9(47.922) 17
ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსე გიორგისძე ჯანაშვილი.

საქართველოს ისტორია

...და იყოფოდა ესენი ესრეთ აწი სამდე; ხოლო წალმართი უწყის ღმერთმან, და, ვითარცა ნებავს, იყავნ.

ვახუშტი.

К 13.718/92

შემუშავებული და შევსებული ავტორისაგან.

მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

თბილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლ. ქუჩა, № 21.
Тип. М. Шарадзе и К-°, Ник. улица.
1895

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე გიორგისძე ჯანაშვილი.

საქართველოს ისტორია

...და იყოფოდა ესენი ესრეთ აწი-
სამდე; ხოლო წაღმართი უწყის ღმერთ-
მან, და, ვითარცა ნებავს, იყავნ.
ვახუშტი.

შემუშავებული და შევსებული ავტორისაგან.

მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა.

თბილისი
სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლ. ქუჩა, № 21.
Тип. М. Шарадзе и К-°, Ник. улица.
1894

ეროვნული ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Ноября 1893 г.

504 ფ3·18ვ3·[9·vh·]

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წინასიტყვაობის მაგიერად.

ფილოსოფოსის ლეიბნიცის სიტყვებია: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა.“ რაც სარწმუნოდ მისაჩნეული მასალები მოგვეძებოდა, იმის მიხედვით არ დავზოგეთ ჩვენი ძალ-ღონე, რათა მართლად გამოგვესახა ჩვენი წარსული. ხოლო აქვე თანამდებ-არს აღვნიშნოთ, რომ საქართველოს ბირველ დროინდელი ისტორია, აგრეთვე მეფობანი თვრნავაზისა, ადარგისა, ვახტანგ გორგასალისა და ზოგიერთ სხვა ბირთა, ახალ წყაროების ჩვენებით, სხვა სახით გვესტება: სტრაბონის მოწმობამ და ბერაის ქრონიკამ საკმაო შუქი შეიტანეს აზოისა და თვრნავაზის ცხოვრებაში; ტაციტის წიგნმა წარმოგვიდგინა სრული ისტორია ქრისტეს დროინდელ საქართველოს დიდებულ მეფის თვრსმანისა, რომელიც იმავე დროს ჰფლობდა სომხეთს; არჩილ მოწამის († 718 წ.) ძმის-წულის ქმარი ჯუვანშერ ჯუვანშერიანი „ნებროთის წიგნიდამ“ მოკლედ მოგვითხრობს ძველს გადმოცემას შესახებ იმისა, რომ ქართველები ჩამომავალნი არიან ნებროთ გმირისა (ცხოვრობდა 2100 წელს ქრ. უწინარეს). ამ ცნობას ემოწმებიან აგრეთვე: ა) ქართლის ცხოვრება, რომელიც დაწვრილებით აღწერს ქართველების ბრძოლას ნებროთთან არარატ-მასისის ხეობაში და ბ) ვანის კლდეებზე გამოკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თილნი ლურსმებრივნი წარწერანი, რომელნიც, მეცნიერების თქმით, დაწერილნია ძველ ქართულ ენით. ამას გარდა, თვით ჩვენსავე მატიანეებში ვპოულობთ საბუთს იმისას, რომ ა) პირველ საუკუნეს საქრისტიანო წელთა აღრიცხვისას ადგილს არ უმეფნია საქართველოში, არამედ სხვა მეფეს (ზემორე ხსენებულ ფარსმან დიდს) და ბ) ვახტანგ გორგასალი 499 წელს კი არ გარდაცვლილა, არამედ მას მხოლოდ ამ წელს დაუწყია თვისი მეფობა და აღსრულებულა 552 წ., და სხ. და სხვა.—რადგან ეს დრო (ქართლოსიდგან ქრისტეს შემდეგ საქართველოს გაერთიანებამდე) მოითხოვს გულდასმით შესწავლა-გამოძიება-განხილვას, ამიტომ ჩვენს ისტორიაში, ამ უამად, აღნიშნულ დროის შესახებ, შეკიტანეთ მხოლოდ საზოგადო ცნობები, და ისიც მოკლედ. ხოლო ვრცელი, გამორკვეული და სანა-ეპოქებად დაყოფილი ისტორია წარმოდგენილი იქმნება ცალკე, მეფე-მთავრებისა და ქათალიკოსების სიებითურთ. დიდად დაჯილდოვებული ვიქმნები, თუ ეს მეორე გამოცემა, ახლად შემუშავებული და შეკსებული, მიიზიდავს საზოგადოების ყურადღებას... ჩვენი შრომის ყოველგვარი ნაკლულოვანება, რომელსაც აღნიშნავს პირუთვნელი კრიტიკა, დიდის მადლობით შემეცნებული იქმნება ჩვენ-მიერ.

მ. ჯანაშვილი

7 იანვ. 1895 წ.
თბილისი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასწავლები

	გვ.
პირველი ცნობები შესახებ ქართველებისა . .	4
ალექსანდრე მაკედონელი	6
სამეფოს დაარსება	6
გეოგრაფიული აღწერა	7
საქართველო ფარნაოზის სიკვდილის შემდეგ . რომაელების შემოსევამდე	12
ფარსმანის მეფობა	18
ორგამგეობა საქართველოში	20
129 წ. 265 წლამდე	22
სასანიდების მეფობა	24
ქრისტიანობის გავრცელება	27
ქრისტიანობის მიღებითგან ვახტანგ გორგასალამდე.	32
ვახტანგ გორგასალი	36
ვახტანგ გორგასლის მემკვიდრენი . . .	43
მეფობა გურამისა	52
სტეფანოზ I და ადარნასე I	54
არაბნი და მეფენი მირ და არჩილ II . . .	56
აშოტ დიდი	62
ბაგრატ აშოტისძე	64
აშოტის მემკვიდრენი	66
ბაგრატ III	74
გიორგი I	81

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ IV 82
გიორგი II 95
დავით III, აღმაშენებელი 98
დიმიტრი I 112
გიორგი III 114
თამარ მეფე 119
გიორგი IV, ლაშა 162
რუსუდან 166
დავით IV ნარინი და დავით V სოსლანი . . 173
დიმიტრი II, თავდადებული 182
ვახტანგ II 188
დავით IV და კოსტანტინე 189
გიორგი V, ვახტანგ III და გიორგი VI მტირე . 191
გიორგი V, ბრწყინვალე 194
დავით VII 210
ბაგრატ V, დიდი 211
გიორგი VII 219
კოსტანტინე II 224
ალექსანდრე I 225
ვახტანგ IV 228
გიორგი VIII 230
მეფენი:
კოსტანტინე III და დავით VIII (ქართლისა), .
ბაგრატ II ⁄ ალექსანდრე II (იმერეთისა), გიორგი I,
ალექსანდრე I და ავ-გიორგი II (კახეთისა). . 240
გიორგი IX ⁄ ლუარსაბ I (ქართლისა), ბაგრატ III
(იმერეთისა) და ლევან I (კახეთისა) . 251
სვიმონ I, დაუთსან და გიორგი X (ქართლისა),

გიორგი II, ლევან და როსტომ (იმერეთისა), . ალექსანდრე II (კახეთისა 260
ლუარსაბ II, ბაგრატ VI, სვიმონ II ს როსტომ (ქართლისა), გიორგი III და ალექსანდრე III. (იმერეთისა), თეიმურაზ I (კახეთისა) . . 279
ვახტანგ V (ქართლისა), ბაგრატ IV . . (იმერეთისა), არჩილ (კახეთისა) . . . 324
გიორგი IX, ერეკლე I, ქაიხოსრო, ვახტანგ VI, იესე, ბაქარ (ქართლისა), ალექსანდრე IV, სვიმონ (იმერეთისა), ერეკლე I და დავით (კახეთისა) . 360
ვახტანგ VI (ქართლისა), ალექსანდრე V (იმერეთისა) ს კოსტანტინე II (კახეთისა 385
თეიმურაზ II (ქართლისა), ერეკლე II (კახეთისა), ერეკლე II (ქართლ-კახეთისა), სოლომონ I, დავით II და სოლომონ II (იმერეთისა) . . . 414
გიორგი XII (ქართლ-კახეთისა) და სოლომონ II (იმერეთისა) 473

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს

ისტორია

შედგენილი

მოსე ჯანაშვილისაგან.

მეორე გამოცემა

ფ. ჯიჯინაძისა

თბილისი

სტამბა მ. შარაძისა და ამხ., ნიკოლ. ქუჩა, № 21.
Тип. М. Шарадзе и К-°, Ник. улица.
1894

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Ноября 1893 г.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს ისტორია.

ა

პირველი ცნობები შესახებ ქართველებისა და მათი დასახლება კავკასიაში.

ჩვენი მატიანეს გადმოცემით (ქართლის ცხოვრება) ქართველები და სომხები შთამომავლობენ იათეტის შვილის-შვილისაგან, რომელსაც ერქვა თარგამოსი. ეს თარგამოსი მრავალის თავის ნათესაობით დაესახლა არარატის მთის არე-მარეზე. აქ გაშენდა ⁄ გამრავლდა მისი შთამომავლობა. თარგამოსს ჰყოლიდა რვა შვილი, რომელთაგან ქართლოსი თავის სხვა ძმებით (ბარდოსით, მოვაკანით, ლეკოსით, ჭეროსით, კავკაზოსით და ეგროსით) დაესახლა არეზის მდინარის ჩრდილოეთის მხრით ვიდრე კავკასიის მთებამდე.

მთელი ეს ქვეყანა, ქართლოსის სიკვდილის შემდეგ, მისმა შთამომავლებმა გაჰყვეს რამდენიმე ნაწილად. ყველანი ცალკე-ცალკე ჰმართავდნენ თავის წილ ქვეყანას, მაგრამ ყველანი ემორჩილებოდნენ მცხეთის მმართველს, რომელსაც პირველ დროში ერქვა მამასახლისი. მცხეთის სამამასახლისოს დაერქვა საქართველო.

ქართველების ცხოვრებაზე დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოს ბუნებას, დასერილს მთებით ⁄ დაყოფილს მრავალ ხეობებად, რის გამოც თვით ქართველი ხალხიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყოფოდა მრავალ საზოგადოებად. ნოყიერმა და ძლავრმა ნიადაგმა სალხს შეაყვარა ხვნა-თესვა; მაღალმა მთებმა დაჭბადეს მასში სიმამაცე; მტრების შიშმა ააშენებინა ქალაქები და ციხეები. პირველი ქალაქი საქართველოში ააშენა მცხეთოსმა, ქართლოსის შვილმა, სადაც მდ. არაგვი ერთვის მტკვარს. 1565—1499 წლების წინ ქრისტეს დაბადებამდე მოხდა ეგვიპტელების შემოსევა საქართველოში. პირველად იმათ შემოიტანეს საქართველოში განათლება: ასწავლეს ქართველებს, სხვათა შორის, სელისაგან ქსოვილის და ფარჩეულის კეთება, თაყვანის-ცემა მზისა, მთვარისა და ხუთი უძრავი ვარსკვლავისა; აგრეთვე ააშენებინეს სალოცავები ⁄ დაადგმევინეს მზის გერბები.

მეთორმეტე საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე ბერძნების გმირებმა—ფრიქსმა, ულისმა და არგონავტებმა სამჯერ მოიარეს დასავლეთის საქართველო (კოლხიდა). ამ მგზავრებმა კოლხიდაში ნახეს მდიდარი ⁄ შესანიშნავი ქალაქი, რომელსაც ჰქვიან ეხლა ნაქალაქევი. ამ დროს ქართველებმა იცოდნენ ოქროს დნობა, სელის ქსოვა, ლვინის დაყენება. ბერძნებს ძალიან მოეწონათ ჩვენი ქვეყანა ⁄ აქ ვაჭრობა გამართეს, რის გულისათვის ააშენეს შავი ზღვის ნაპირებზედ ბიჭვინტა და დიოსკური (სოხუმი), ანუ დიდი სებასტოპოლი.

600 წელს ქრისტეს დაბადებამდე წინასწარმეტყველი იეზეკიელი იხსენიებს სხვათა შორის ქართველებსაც და ამბობს, რომ ქართველები ვაჭრობენ ფინიკიელებთანა, რომლებზედაც ჰყიდიან მონებს და სპილენძის ჭურჭელსა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალექსანდრე მაკედონელი

К13.239

საბერძნეთის ქვეყანაში, სახელდობრ მაკედონიაში, დაიბადა ალექსანდრე, შვილი ფილიპესი. ალექსანდრემ დაიმორჩილა ყველა ქვეყნები. შემოესია საქართველოსაც და ესეც დაიმორჩილა. აქ მაშინ სცხოვრობდა ერი მეომარი და მეჭონე მაგარის ციხეებისა და ქალაქებისა. ყველა ეს ქალაქები აიღო, დააყენა შიგ თავის ჯარები; ჯარების უფროსად დასვა იაზონი (აზო) და უბრძანა, რომ გაეგრძელებინა სალხში მზისა, მთვარისა და ხუთი უძრავი ვარსკვლავის თაყვანის-ცემა და თითონ დაბრუნდა.

ალექსანდრეს სიკვდილის (332 წ.) შემდეგ იაზონმა დაანგრია მცხეთის და სხვა ქალაქების კედლები, დაიმორჩილა სამეგრელო, ოსეთი, დაღისტანი და სკვითები. დაიწყო ხოცვა მოთავე ქართველებისა და სალხიც ძალიან შეაკვიწროვა.

ამ დროს მცხეთაში სცხოვრობდა ერთი ახალგაზდა კაცი ფარნაოზი. ეს იყო ნათესავი უკანასკნელის მცხეთის მამასახლისისა—სამარასი, რომელიც მოჰკლა ალ. მაკედონელმა. მამა რომ მოუკლეს ფარნაოზს, მაშინ სამის წლის იყო. დედამ შვილი წაიყვანა და კავკასიის მთებში დამალა. როდესაც დაკაჟკაცდა ფარნაოზი, დაბრუნდა მცხეთაში. დედა ურჩევდა მას, რომ გაფრთხილებოდა იაზონს და გადასახლებულ-იყო სპარსეთში. მაგრამ ფარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაზი არ დასთანხმდა. იმას ძალიან უეკარდა საქართველო ჯ განიზრახა საქართველოს განოავისუფლება მტრებისაგან. სთხოვა შველა სამეგრელოს მმართველს ქუჯის, ოსებს, ლეკებს, ანტიოქიის მეფეს. ყველანი მიეშველნენ. იაზონი გაიქცა კლარჯეთში (ბათუმის ბაზრაში). მაგრამ ერთ შეტაკებაში (ქ. არდანუჯთან) მოკლეს იგი ჯ მთელი საქართველო დაემორჩილა თვარნაზს.

ბ

სამეფოს დაარსება.

ერთ-მეფობის დაარსებას ხელი შეუწყვეს იმ უბედურებათა, რომელთაც ბშირად ეწოდა ზემო-ქართლი რაჭ-დენიმე საუკუნის განმავლობაში; აგრეთვე ერთათ ბრძოლამ, კაჭრობამ, ერთმანერთში მისვლა-მოსვლამ, ერთნაირმა სჯულმა. განცალკევებული ხალხი ერთმანეთს დაუახლოვდა. ეს იყო მიზეზი, რომ იაზონის მოკვლის შემდეგ ყველა ქართველებმა დასვეს თავის მეფედ თვარნაზი ჯ დაემორჩილნენ მას 302 წელს ქრისტეს მოსვლამდის. თვარნაზის სამეფოს ჭსაზღვრიდა: ჩრდილოეთის მხრით კავკასიის მთა, დასავლეთის მხრით შავი ზღვა ვიდრე ბათუმამდე ჯ მდ. ჭოროხი; სამხრეთის მხრით მდინარე არეზის სათაურები ჯ დებედა-ჩაი მტკვრამდის, აქედგან ალაზნის შესართავამდე და ეგრი-ჩაის გაყოლება კავკასიის მთებამდე.

თვარნაზმა მთელი სამეფო გაჭყო რვა ნაწილად ანუ საერისთოდ. ერისთავები ყველაფერში ჭშველოდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეს, მაგრამ თავის საერისთავოს მეფის დაუკითხავად განაგებდნენ.

ამ დროს გაჩნდა ოთხი წოდება: თავადთა, აზნაურთა, მოქალაქეთა და გლეხთა. ამავე მეფემ მოიწვია სპარსეთიდგან მოგვები, რომელთაც უნდა განეწმინდათ ზოროასტრის სჯული. საზოგადოდ ეს სჯული ჭგმობდა ქურდობას, სხვა-და-სხვა ბოროტ მოქმედებას, ტყუვილს, აქებდა მიწის შემუშავებას, აგრეთვე თხოულობდა უმაწვილების აღზრდას. მაგრამ ამავე სჯულში იყო ბევრი ცუდი და მავნე მოთხოვნილებაც: მისი მიხედვით მკვდარი არ იმარხებოდა, ნათესავებს ნება ჭქონდათ შეუღლებულიყვნენ ერთმანეთთან და სხვა.

ფარნაზ მეფემ უფრო დიდი სიკეთე ის უყო ქართველებს, რომ შეადგინა ანბანი. ეს ანბანი ისეთი სრულია ჯ გონიერად შედგენილი, რომ თითქმის არც ერთ ხალხს არა აქვს ამ გვარი თავისს ენაზე.

ბ.

გეოგრაფიული აღწერა ძირველ-დროინდელ საქართველოსი.

მთელი მაშინდელი საქართველო ისამზღვრებოდა კავკასიის ქედით, შავი ზღვით, ჭოროხის და არეზის საიაურებზე მდებარე მთებით, დებედა-ჩაით, აქედგან კიდევ აღმოსავლეთიდგან ჩამომავალი ალაზანის ტოტით ეგრიჩაით, ვიდრე კავკასიის ქედამდე; ესე იგი, მთელი საქართველო მომწყვდეული იყო 40° 47' და 43° 15' ჩრდილოეთის სიგანისა და 59° 15' და 64° 58' აღმოსავლეთის სიგრძისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ეს ქვეყანა ბუნებითვე იყოფებოდა ოთხ დიდ ხეობად: პირველი, ყველაზედ უდიდესი არის მტკვრის ხეობა, მეორე—რიონის, მესამე—ენგურისა, მეოთხე—ჭოროხისა. მაგრამ ყველა ეს ხეობები იყოფებიან მრავალ პატარ-პატარა ხეობებად. საზოგადოდ ამ ქვეყნის ზედა პირი არის აწეულ-დაწეული, მთებით დასერილი; კაცს აკვირვებს საქართველოს მრავალ-ფეროვანი მცენარეულობა, მრავალ-გვარი ცხოველები, მიწის სიმდიდრე, წყლის სიუხვე.

მთელი კავკასიის მთა ძირიდგან მოკიდებული $2^1/_2$ ვერსის სიმაღლემდე მოცულია დიდის ტყეებით; მის წვერებზე კი მუდმივი თოვლი სძევს. საქართველოს სამხრეთის მხრით, კავკასიის მიდევნებით, გაწოლილა სხვა მთა, რომელსაც მცირე კავკასიის მთა ეწოდებიან. დიდი და მცირე კავკასიის მთები შეერთებულნი არიან ჩრდილოეთიდგან სამხრეთისკენ გაწოლილ ლიხის მთებით. გარდა ამისა, საქართველოში არიან კიდევ სხვა მთებიც, სხვათა შორის მთა ცივ-გომბორისა მდ. ალაზნის და იორის შუა, თავსი მთა ენგურის მარცხენა მხარეს, სამხრეთის სამზღვარი სვანეთისა. ყველა ამ მთებიდგან გამოდიან მრავალი რუები, მდინარეები, რომელნიც უხვად რწყავენ მთელს საქართველოს.

შესანიშნავი მდინარეები:

მტკვარი (კურა, კირონ).—დასაწყისი აქვს არსიანის მთებში, მოდის ჩრდილოეთისკენ მომწყვდეულ მთებს შუა, მერე წელს იხრის აღმოსავლეთისკენ და ისრე მოდის კიდრე თბილისამდე, აქედგან ბრუნდება აღმოსავლეთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამხრეთისკენ და კასპიის ზღვას ერთვის. მტკვრის ტოტები: ფოცხოვი, ლიახვი, ქსანი, არაგვი, ალაზანი თავის ტოტით იორით.—ეს წყლები ჩამოდიან დიდი კავკასიონიდგან; ალგეთი, ხრამი თავის ტოტით დებედათი ჩამოდიან მცირე კავკასიის მთებიდგანა ლ თრიალეთიდამ.

რიონი (ფაზისი), რომლის დასაწყისი არის კავკასიის მთაში, სონგუთა-ხახის ძირში. აქედგან ჩარბის სამხრეთისკენ, შუა წელში ბრუნდება დასავლეთისკენ და შავ ზღვას ერთვის. ამის ტოტები: ყვირილა, ცხენისწყალი, ტეხური.

ენგური ანუ ინგური, რომელიც გამოდის იქიდგანვე, საიდგანაც რიონი და ცხენის-წყალი.

ჭოროხი,—გამოდის მცირე კავკასიის მთებიდგან, ჩრდილოეთისკენ მოდის და შავ ზღვას ერთვის.

ეგელა ამ მდინარეების ნაპირებზე იყო დაშენებული სალხი, რომელსაც მოეშენებინა მრავალი პირუტყვი, გაეგეთებინა ბაღები და სვნა-თესვისთვის მოეკიდა ხელი. უწინდელ დროიდგან ეს ქვეყანა ცნობილი იყო ბუნების სიმდიდრით. ღვინის კეთება ძველადგანვე იყო გავრცელებული რიონის ნაპირებზე. ლიმონის და ფორთოხალის ტყეები ამშვენებდნენ კოლხიდის სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. მთელი საქართველო საზოგადოდ და კოლხიდა განსაკუთრებით დათვრილია ჩრდილოეთის სუსხისაგან კავკასიის ქედით. ამიტომ ამ ქვეყანაში დიდი სიცივეები არ არის ხოლმე, კოლხიდაში კი თითქმის ზამთარი არ იცის.

მიმოსვლა ამ სალხებში ჰხდებოდა მცირე—გაუკეთებელი გზებით; მაგრამ შესანიშნავი გზაც იყო: მტკვრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვიდრე სურამამდე, იქიდგან ლიხის ქედზედ გადამავალი უვირიდამდე, მერე უვირიდიდგან რიონით ზღვამდე. ჩრდილოეთ კავკასიაშიც ჰქონდათ აგრეთვე ორი გადამავალი გზა: დარიალის ხეობიდგან და დარუბანდის ყელიდგან. დარუბანდიდგან მოკიდებული კავკასიის აქეთა მხრით მთის ძირში 360 ვერსის სიგრძეზე კედელი იყო აშენებული, სკვითების და მთიულ ერთა მოსაგერებლად. ამ კედლის ბოლო ესლაც სჩანს დარუბანდში და აგრეთვე საინგილოს სოფლებში: მუხაში, კატეხს, მაწეხში და სხვ.

დარიალიდგან ჩამოდიოდნენ ოსები ინდოსტანიდგან მოტანილ და შინ გაკეთებული ნივთების საყიდლად, ჰყიდულობდენ და მიჰქონდათ თავის ქვეყანაში.

ვაჭრობამ და ალებ-მიცემამ დაჭბადა მოთხოვნილება ქალაქების აშენებისა. ქალაქებში და ციხეებში ადვილად შეიძლებოდა გამაგრებულიყვნენ და დაეცვათ თავიანთი საქონელი.

მაშინდელი შესანიშნავი ქალაქები:

ქართლი, აშენებული ქართლოსისაგან, მდებარებს მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არაგვის შესართავთან. ფარნაოზის დროს ამ ქალაქს ერქვა არმაზის ციხე, რადგან ფარნაოზმა აქ აშენა საფლავი ღმერთის მზისა.

ურბისი (სამშვილდე), ესეც აშენა ქართლოსმა ხრამის მარცხენა ნაპირზე.

მტკვარის-ციხე ანუ სუნანი, აშენებულია ქართლოსისაგან იქ, სადაც დებედა წყალი ერთვის მტკვარს.

დედა-ციხე ან ბოსტან-ქალაქი (რუსთავი), — ესენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ აშენებულნი ქართლოსის ტოლოსაგან. დედა-ტბა იყო მოშენებული თეძამზე (ქართლში).

გაჩიანი, აშენებულია ქართლოსის შვილისაგან ხრამის ნაპირზე, მაშავერის შესართავთან. ამ ქალაქის ნანგრევები ესლაც მოჩანს.

ჩელთა ანუ **ბერ** ესლა დიდი სოფელია კახეთში მდ. ჩელთაზე და ჭვეიან შიდა.

მცხეთა, რომელიც აშენა მცხეთოსმა მტკვრის მარცხენა ნაპირზე არაგვის შესართავთან. მცხეთა თავის დაარსებიდგან დაწყებული, ვიდრე მეხუთე საუკუნემდე ქრისტეს დაბადების აქეთ, იყო საქართველოს დედა-ქალაქად. ამ ქალაქში იყო დიდი შენობები და მრავალი ხალხი ცხოვრობდა. მასში არის უწინდელი ძველი და დიდი ეკკლესიები. ესლა მცხეთა სოფელია.

მცხეთოსის შემდეგ მისმა შვილებმა აშენეს აგრეთვე შემდეგი ქალაქები: ოძრხე, თუსარისი, წუნდა, არტანი (ქაჯთ-ქალაქი), უფლის-ციხე, ურბნისი, კასპი. ზოგი ამათგანი ესლა დანგრეულია და ნაშთების მეტი ალარა მოსჩანს-რა, ზოგი-დიდი სოფლებია; არტანი ესლაც ქალაქია, რომელსაც ჭვეიან არდაგანი.

მტკვრის ხეობაში იყო კიდევ ქალაქი სურამი (სურიუმ), აშენებული მამასახლისების დროს. ეს ესლა დაბაა. ეს იყო ინდოსტანიდგან მოტანილი საქონლის საწყობი ⁂ შესანახავი ადგილი.

ქალაქები ეა ⁂ ქუთაისი, პირველი [illegible] ურაზე, მეორე რიონზე. ძველადგანვე ტროაადის ომის შემდეგ [illegible]ლტელებმა (ბერძნებმა) რიონის ზღვასთან შესართავთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასშენეს ქალაქი თავზისი (თორთი). ქუთაისში სცხოვრებ-
დნენ ძველადგანვე კოლხიდის მმართველები.

დ.

საქართველო თვრნაოზის სიკვდილის შემდეგ რომაელების შემოსევამდე.

თვრნაოზის სიკვდილის შემდეგ გამეფდა მისი შვილი საურმაგი (237 წ.). ქართლის ერისთავს არ სურდა მისი მორჩილება, ამიტომ აღელვა ხალხი. საურმაგი გაიქცა მთიულ ხალხებში, მაგრამ ქართლის ერისთავს არ გაუვიდა ცბიერება: საურმაგს მოეშველნენ ნათესავები (სხვათა შორის სამეგრელოს მმართველი ქუჯი), დაამარცხეს ქართლის ერისთავი და საურმაგი კიდევ გაამეფეს.

ამ მეფის სიკვდილის შემდეგ გამეფდა (162 წ.) სიძე მისი მირვანი (შვილი ასურელთა მეფისა). ეს ძალიან ეწყინა სამეგრელოს მმართველს, რომელიც იყო ნათესავი საუმარგისა. მოინდომა თვითონ გამეფება. ასტუდა ომი. მირვანმა მოიწვია სომხის მეფე ვალარშაკი. შეესივნენ სამეგრელოს, დაამარცხეს აჯანყებული და განდევნეს სამეგრელოდგან..

ის-ის იყო დაწყნარა საქართველო მირვანმა, რომ დარიალის ყელიდგან შემოესია საქართველოს ველური ხალხი—ბალკარები, რომელთაც განვლეს მთელი საქართველო და დაესახლნენ სომხეთში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირვანის სიძეს—თვრნაჯობს (112 წლიდან—93 წლამდე) ქართველები აუჯანყდნენ. მიზეზი ის იყო, რომ ამ მეფემ მოინდომა შეცვლა ერის სჯულისა. ხალხი აღელდა და მოიწვია მეფედ არშაკი—მირვანის მეორე სიძე. თვრნაჯობი გაიქცა ბონტში (შავი ზღვის პირას); ათი წლის განმავლობაში ის აჯანყებდა ხალხს, სცდილობდა მეფობა დაებრუნებინა, მაგრამ ვერას გახდა; ბოლოს ერთ შეტაკებაში მოჰკლეს. არშაკს დარჩა მეფობა (93 წ.)

98 წ. ქ. დაბადების წინ აჯანყდა კოლხიდა; ბონტოს მმართველი მიტრიდატი შემოესია ამ ქვეყანას, დაიმორჩილა და დასვა აქ თავის მმართველები; 84 წ. ქ. დ. ამავე ადგილებში მოხდა კიდევ ხალხის არეულობა. ხალხმა განდევნა მმართველები და სთხოვა მიტრიდატს დაესვა მათ მეფედ შვილი თვისი მახარა. მაგრამ მიტრიდატმა მოაგვლევინა მახარა და დასავლეთ საქართველოში მმართველად დასვა ერთი გულითადი მონა თვისი და გაამაგრა დიდ-ძალი ჯარით.

საურმაგმა, მირვანმა, თვრნაჯობმა და არშაკმა მოასდინეს თავის მეფობის დროს სხვა-და-სხვა ცვლილება ხალხის ცხოვრებაში. საურმარგმა დასდგა კერპები: ანიანი და დანიანი ხალხის თაყვანის საცემლად. თვრნაჯობმა ააშენა კახეთში ჩელტის ახლო ქალაქი ნეკრესი, რომლის ნახგრეგები ესლაც მოჩანს. ამანვე მცხეთის პირდა-პირ აღმოსავლეთის მხარეს, არაგვის შესართავს ზემოთ, ააშენა სალოცავები, სამსხვერპლო და კერპი „ზ ა დ ე ნ ი“. მირვან მეფემ დასდგა კარები დარიალის ყელში,—ეს კარები იცავდა საქართველოს ჩრდილოეთის ველურ ხალხების შემოსევისაგან. თუმცა ეს მეფეები ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაირად მოდვაწეობდნენ თავის სალხინისათვის, მაგრამ სალხი მაინც ღარიბდებოდა. უმთავრესი მიზეზი ის იყო, რომ ალ. მაკედონელმა ეგვიპტეში აშენა ქალაქი ალექსანდრია და იშოვა ახლო და ადვილი გზა ინდოსტანში სავლელად,—ეს იყო გზა სუეცის სარტყელზე გადამავალი წითელ ზღვაში და იქიდგან ინდოსტანის ოკეანეთი ინდოსტანში. მთელი ვაჭრობა ბერძნებისა საქართველოდგან გადავიდა ალექსანდრიაში. მაგრამ, უნდა ვსთქვათ, რომ ალექსანდრია აშენების შემდეგაც დიდ სარგებლობას აძლევდა საქართველოს რიონ-ტეკერის სავაჭრო არხი. რომის მეისტორიე ბლინი ამბობს, რომ ოთვულ წელიწადს რომიდგან შორაპანში ასი მილიონი სესტერცი იგზავნებოდა სავაჭრო ნივთების საყიდველადა.

ე

არშაკი I გარდაიცვალა 81 წ. ქ. დაბადებამდე. ამავე წელს გამეფდა ამის შვილი არტაგი. ამ დროს დასუსტებული იყო სპარსეთის სამეფო. ამით სარგებლობდა სომხეთის მეფე არტაშესი, რომელიც სცდილობდა დაეპყრა ეზია. ამან ბავი შეჰკრა მიტრიდატთან თავის წადილის აღასრულებლად და მართლაც ბევრი ადგილები დაიპყრო. მაგრამ ერთმა მის ჯარის კაცმა მოჰკლა იგი. გამეფდა სომხეთში მისი შვილი ტიგრანი. რომიდგან გამოგზავნეს დიდ-ძალი ჯარი სულლას წინამძღოლობით; მაგრამ მიტრიდატმა, მინამ მოვიდოდა ეს ჯარი, დაიპყრო მცირე ეზია, მერე ეგიპტის ზღვა, ათინა, თრაკია და დაჰხოცა 80,000 რომაელნი. სამი წლის განმავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობაში ბრძოლის შემდეგ სულლამ გაანთავისუფლა სა-
ბერძნეთი და განდევნა მიტრიდატი, მაგრამ მიტრიდატი
კიდევ იმედს არ ჰკარგავდა, მისი დამარცხება უნდოდა ჯ
ამისათვის ბეჯითად ემზადებოდა. რომაელებმა გამოგზავ-
ნეს ლუკულლი 73 წ. ქ. დ-დე დიდ-ძალი ჯარით. ლუკუ-
ლლმა ჯერ სომხეთი გაანარცხა, მერე მოვიდა იქიდგან
კოლხიდაში, სადაც იმალებოდა მიტრიდატი და რაც
დახვდა დასავლეთ საქართველოში ყველა გაანარცხა.

არტაგი ამ დროიდის არ იღებდა მონაწილეობას
ამ ომში. ლუკულლის კოლხიდაში შემოსვლამ შეაშინა
ესეც. არტაგი შეეზავა მიტრიდატს და ტიგრანს წინააღ-
მდეგ საზოგადო მტრისა. მოიწვიეს აგრეთვე დასახმა-
რებლად მეფე ალბანიისა ორეზი.

მეისტორიეს ბლუტარხის სიტყვით ქართველებს
ჰყავდათ მაშინ 40,000 ჯარის კაცი; ალბანიის ჩვენებით
კი 70,000 კაცი. ქართველთა ჯარები ყოველთვის ცნობ-
ილნი იყვნენ სიმარდით, გულადობით და კარგი მოწყობ-
ილებით. ამ დროს ქართველთა ჯარს ეცვა წითელი ჯუ-
ბა და განყოფილი იყო ცხენოსან ჯარად და ქვეითად;
გარდა ამისა ქართველებს შინაურობა გამაგრებული ჰქონ-
დათ ციხეებით და სხვათფრივ.

ლუკულლი კოლხიდიდგან რომში გაიწვიეს. მიტრი-
დატი კი დაიმედებული ასალ მოზავეებით კიდევ გახდა
მოუსვენარი მტერი რომაელებისა. 67 წ. ქ. დ-მდე მიტრი-
დატმა ზელესთან დაამარცხა რომაელების ჯარი.—რო-
მაელებმა გამოგზავნეს კიდევ სხვა ჯარები პომპეის წინა-
მძღოლობით. 66 წ. ქ. დ-მდე პომპეიმ საშინლად დაა-
მარცხა მიტრიდატი, რომელიც სამეგრელოდგან გაიქცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩრდილოეთ კავკასიაში. ლუკულლმა ვოსტის შეუდგ
დასვა შვილი მიტრიდატისა ფარნაკი, თვითონ კი გამო-
ედევნა ტიგრანს და დაიპყრო სომხეთი. აქედგან წამო-
ვიდა ჩრდილოეთისკენ, დაიპყრო ალბანია, შეურიგდა
ორეზს და მძევლად გამოართვა მას შვილები. აქედგან
გასწია საქართველოს შუა გულში. რამდენიმე ომის შემ-
დეგ არტაგასაც შეურიგდა. აქედგან წავიდა სამხრეთ საქარ-
თველოში, დაიპყრო აქაურობაც. სამეგრელოს მმართველი
ოლტაგი, მიტრიდატის დაყენებული, ტყვეო წაიყვანა;
მის ადგილას დასვა არისტარხი, თავის მეგობარი. სამე-
გრელოდგან გაილაშქრა ათხაზეთში. მაგრამ აქედგან
დაბრუნდა აჯანყებულ ალბანიელთა დასამშვიდებლად. დაა-
მშვიდა ესენი; მერე ლეკები დაიპყრო, დაბრუნდა სომ-
ხეთში, აქედგან სირიაში წავიდა.

საქართველოს ხალხისა ყოველთვის ეშინოდათ რო-
მაელებს, ბერძნებს, სპარსელებს, ამიტომ რომ ამათზედ
იყო დამოკიდებული მათი მიჯნების სიმშვიდე. თვით
ჩვენი ხალხები იცავდნენ მათ მიწებს ჩრდილოეთის ვე-
ლურების შემოსევისაგან. გარდა ამისა მაგარი ადგილ-
მდებარეობა საქართველოსი, ქართველების სიმამაცე ომში,
რომაელებს, ბერძნებს, სპარსელებს არწმუნებდნენ, რომ ან
მეგობრული განწყობილება უნდა ჰქონოდათ ქართველებ-
თან და ან დაეპყრათ საქართველო. ეს ორი გარემოება იყო
მიზეზი განუწყვეტელი ომებისა და ბრძოლისა კავკასიაში.

არტაგის სიკვდილის შემდეგ (65 წ. ქ. დ. წინ.)
გამეფდა ბარტომი იმავე წელში. ამ მეფემ მთელი თვისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი სიცოცხლე შესწირა საქართველოს კეთილ-დღეობას და განკარგებას. განაახლა ქალაქები, ციხეები; გაამაგრა მცხეთა; მაგრამ ბოლოს მშვიდობიანობა დაარღვია მირვანმა (თვრნაჯობის შვილმა), რომელმაც 33 წ. დაამარცხა ბარტომი, მოჰკლა და თვითონ გამეფდა.

K 13.239

მირვან II-ის ათი წლის მეფობის განმავლობაში არაფერი შესანიშნავი არ მომხდარა. ეს მოკვდა 23 წ. ქ. დ-მდე. ამ წელში გამეფდა მისი შვილი. არშაკი. ამ მეფემაც ბარტომიანით მთელი დრო გაატარა საქართველოს შენებასა და მისი ქალაქების გამშვენიერებაში. გაზნდა საქართველოში მდიდარი ქალაქები, მშვენიერის შენობებით. სახლებს აშენებდნენ აგურით, თლილის ქვით, კირით და ჭურავდნენ კრამიტით. *)

3 წ. წინ ქ. დ-მდე მოვიდა საქართველოში დიდძალი ჯარით ბარტომის ნათესავი თვრსმანი, გამოითხოვა არშაკი საბრძოლველად, მოჰკლა და თვითონ გამეფდა.

ამ არეულობის დროს არც დასავლეთი მსარე საქართველოსი იყო კარგ მდგომარეობაში. 48 წ. მიტრადატის შვილი თვრნაკი შემოვიდა კოლხიდაში, განაძევა არისტარხი და კოლხიდა შეუერთა თავის სამეფოს; ამის შემდეგ მიტრიდატი, შვილი მიტრიდატ დიდისა, გახდა

---

*) ზოგიერთნი, რომელთაც მოუხდაო ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა, გვარწმუნებენ, რომ საქართველოში ამ დროს მოიპოვებოდა კარგი გზებიო, საცა მანძილიდამ მანძილამდე მგზავრთათვის გამართული იყო სასტუმროებიო და საზოგადოდ ხალხი კეთილ-განწყობილებაში იყოვო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მმართველად; მეორე ასასანდრი; 14 წ. ქ. დ-მდე ბოსტრის სამეფო და კოლხიდა დაიპყრო ბოლემონმა, ზენონ ლაოდიკიელის შვილმა.

ე

ფარსმანის ანუ ადერკის მეფობა (3 წ. ქ. დ-მდე და 60 წ-მდე ქ. ჰქონ.)

გამეფების შემდეგ ფარსმანმა დაიპყრო სამეგრელო და კლარჯეთი. 3 წ. ქ. დ. წინ რომის იმპერატორმა ტიბერიმ პართიის მეფედ დასვა ტირიდატი და სთხოვა ფარსმანს, რომ შემწეობა მიეცა მისთვის; თავის მხრით დაჰპირდა, რომ მის ძმას მიტრიდატს მისცემს სომხეთის სამეფოს. ფარსმანმა შეასრულა ეს თხოვნა იმპერატორისა, მოჰკლა სომხების მეფე არშაკი და თავს-ზარი დასცა სომხეთს. პართიის მეფე არტაშანი განრისხდა, შეაგროვა დიდ-ძალი ჯარი და თავის შვილის ოროდის წინამძღოლობით გამოგზავნა ფარსმანზე. მაგრამ ოროდი, მძიმედ დაჭრილი ფარსმანისაგან, მოკვდა და მთელი მისი ჯარი დამარცხდა. თვით არტაშანიც იძლია რომაელებისაგან. ამ ნაირად პართიის სამეფო ერგო ტირიდატს და სომხეთისა მიტრიდატს, რომლებიც იყვნენ ფარსმანის მფარველობის ქვეშ.

მაგრამ მალე ტიბერი მოკვდა და გამეფდა კაიკლიგულა. ამ დროს არტაშანმა კიდევ დაიბრუნა პართიის სამეფო და მიტრიდატი, არტაშანის თხოვნით, გალიაში ჩასმული რომში წაიყვანეს, მაგრამ ფარსმანის სიმძლავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ იმდენად იმოქმედა იმპერატორს კლავდიზე, რომ თვრსმანის თხოვნით აპატია მიტრიდატს და დაუბრუნა მას სომხეთის ტახტი.

საუბედუროდ მალე ამათ შორის ჩამოვარდა უკმაყოფილება და თვრსმანმა განიზრახა მისი მოკვლა; ამ დროს თვრსმანის შვილი რადამისტი სტდიოობდა აეშალა ხალხი და გამეფებულიყო მამის ადგილას. თვრსმანმა რომ შვილის გული მოეგო, მისცა მას ჯარი და გაგზავნა მიტრიდატზე იმ პირობით, რომ სომხეთის სამეფო დაეპყრო და გამეფებულიყო. რადამისტმა მოტყუილებით და ცბიერებით მოჰკლა მიტრიდატი, დახოცა მისი ცოლ-შვილი და თვითონ გამეფდა სომხეთში. მაგრამ მალე პართიის მეფის ვალოგეზისაგან განდევნილ იქმნა და, რომის იმპერატორის ნერონის თხოვნით, თვრსმანისაგან მოკლულ. 58 წ. ქ. დ. აქეთ სომხეთში გამეფდა ტირიდატი. თვრსმანს ნერონმა აჩუქა სომხეთის ერთი ნაწილი ერთგულებისათვის.

40 წ. ქ. დ-ბის შემდეგ ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი მარიამ დედისაგან გამოგზავნილ იქმნენ საქართველოში, რომელიც ღვთის-მშობელს წილად ხვდა გასაქრისტიანებლად და გასანათლებლად. ეს მოციქულები ტრაპიზონიდგან მოვიდნენ აჭარაში და ხალხი გააქრისტიანეს. აქედგან წავიდნენ მესხეთში, ტაოს-კარში, ათხაზეთში და უკანკალგან შეასრულეს თავისი ვალი. ხალხი ინათლებოდა, ანგრევდა უწინდელ სალოცავებს, ამსობდა კერპებს. ეს არ მოეწონა თვრსმანს და დეკნა დაუწყო მოციქულებს. ამიტომ ანდრია წავიდა ბოსფორში (ყირიმში), სიმონი კი მოჰკლეს ნიკოფსიაში. ისეთ ნაირად დევ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიდნეს ქრისტიანებს, რომ მალე ყველამ დაიკარგა-ეს სჯული.

ფარსმანი თავის დიდი ხნის მეფობის განმავლობაში უფრო მეტ ყურადღებას აქცევდა შინაურს საქმეებს და ხალხის კეთილ-დღეობას. იმის დროს მცხეთა გაიზარდა, აშენდა. ფარსმანი მოკვდა 60 წ. ქ. დ. აქეთ. მის სიკვდილის წინ მთელი საქართველო ორად გაიყო. მტკვრის მარჯვენა მხარე ფარსმანმა ერთს თავის შვილს მისცა, მარცხენა მეორეს.

3

ორ-გამგეობა საქართველოში.

(60 წლიდგან 129 წლამდე)

ორ-გამგეობა მდგომარეობდა იმაში, რომ საქართველოს ჰმართავდნენ ერთ-და იმავე დროს ორნი მეფენი. ერთი ამათგანი სცხოვრებდა მცხეთაში და ჰმართავდა ყველა ადგილებს მტკვრის მარცხენა მხრისას. მეორე იჯდა არმაზში და ჰმართავდა მტკვრის მარჯვენა მხარეს. რომელიმე ამათგანი რომ მოკვდებოდა, მაშინ მის ადგილას შვილი გამეფდებოდა. საზოგადო საქმეების განსახილველად და განკარგულების მოსახდენად ორივე ერთათ უნდა შეყრილიყვნენ; ომიანობის დროს ერთი საერთო საქმეს განაგებდა, მეორე შინაურს.—(ქართამი მოკვდა 60 წ., ესე იგი სამი წლის მეფობის შემდეგ. ამის მაგიერ ამავე წელს გამეფდა შვილი მისი, ფარსმანი II. ბარტომი მოკვდა 72 წ. და ამის მოადგილე გახდა კოსი, შვილი ბარტომისა. ესენი დაიხოცნენ 87 წ. და ამათ ადგი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლას გამეფდნენ აზორკი და არმაზელი; ამ ორის სიკვდილის დრო ცნობილი არ არის. 103—113 წ. აზორკის და არმაზელის შემდეგ მეფობდნენ ადერკი და ამზასპი. 113—129 მეფობდნენ ფარსმან III და მირდატი I).

ამ დროს მოხდა ორი სომხეთთან. განდევნილი სომხების მეფე არტაშანი დიდ-ძალი სპარსეთიან ჯარით მოადგა სომხეთის წინამძღოლობით სომხეთის მეფეს ერვანდს. ამას მიეშველა ფარსმან II. სომხათმა და სძლია ერვანდი, მოჭრა და გამეფდა არტაშანი. 87 წ. სომხათი გაემგზავრა ფარსმანის ჯარის ამოსაყრელად. მოტეუებით აიღო ციხეები არტანისი და წუნდა. ამ დროს გარდაიცვალა კოსი. ფარსმანმა მოიწვია არმაზელი და აზორკი, გადასცა მათ მეფობა და მოკვდა.

ახალ მეფეებმა მოიწვიეს ოსები და მთიული ხალხი და 88 წ. შეესივნენ სომხეთს და მთლად მოსწვეს და აოხრეს. მდიდარის განძით დაბრუნდნენ და დადგნენ იორის პირზედ. დაეწია მათ სომხათი. ასტუდა ბრძოლა და ქართველები დამარცხდნენ. სომხათმა განგლო მთელი საქართველო ქიზიყიდგან მოკიდებული ვიდრე მესხეთამდე და გაოხრა ქვეყანა; მერე დაბრუნდა შინ. ქართველები კიდევ გამაგრდნენ, ააშენეს დანგრეული ქალაქები, ციხეები და ბოლოს შეესიენეს სომხეთსა. სომხეთის მეფემ არტაშანმა დაასხვედრა ჯარი, თავის შვილის ზარენის წინამძღოლობით, რომელიც დაამარცხეს ქართველებმა, ტყვეთ წამოიყვანეს და დაამწყვდიეს დარიალში. ბოლოს შერიგდნენ ქართველები სომხებთან იმ პირობით, რომ პირველებმა დაუბრუნეს სომხებს ზარენი და მათგან მიიღეს მესხეთის ციხეები. ფარსმანი III ს მირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატი სხვ-და-სხვა ხასიათისა იყვნენ. რამდენადაც ბირველი ჭკვიანი და კეთილი იყო, იმდენად მეორე იყო უჭკუო. მირდატმა მოინდომა თვრსმანის მოკვლა, მაგრამ გაუგეს და განაძევეს საქართველოდგან.

მირდატმა ორჯელ სცადა სპარსელების ჯარით შემოსვა საქართველოში, მაგრამ ქართველებმა ორივე-ჯერ რომაელების დახმარებით დაამარცხეს და განდევნეს. ბირიქით თვრსმანი დიდის ჯარით შეესია სპარსეთს, მაგრამ მირდატისაგან მოწამლულ იქმნა. ქართველები დაბრუნდნენ, ამათ გამოედევნენ სპარსეთის ჯარები, რომლებმაც დაიპყრეს საქართველო და მეფედ დასვეს მირდატი, მაგრამ მალე თვრსმან მესამეს შვილმა ადამმა შეაგროვა ჯარები, ლიახვზე დაამარცხა მტრები და მირდატი მოჰკლა. ეს მოხდა 129 წ. გამეფდა ადამი. ამით გათავდა ორგამგეობა საქართველოში.

ზ

(129 წლიდგან 265 წლამდე)

ადამმა იმეფა სამს წელიწადს (129—132). ამის სიკვდილის შემდეგ მისი შვილის თვრსმანის მცირე წლოვანობის გამო 14 წელიწადს ჭმართავდა ქვეყანას ადამის დედა ღადღანი. 146 წ. გამეფდა თვრსმან IV. ამის შემდეგ ამზასპი II 184 წლიდგან 188 წლამდე. მერე სომხეთის მეფის შვილი რევი. რევის შემდეგ ვაჩე 213—231 წლამდე, ამის შემდეგ ბაგური; მერე 246 წლიდგან მირდატი II. მირდატის შემდეგ 262 წ. აღვიდა ტახტზედ ასფაგური.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადამის ჯ თვრსმან IV მეფობა იყო მშვიდობიანი, ამზასპ II მეფობის დროს დვალეთიდგან ქართლს ოსები შემოესივნენ, აქედგან გასწიეს მცხეთისკენ ჯ შემოერტყნენ მას. ამზასპმა მაშინვე შეატყობინა ერისთავებს ჯ სთხოვა შემწობა. თვითონ კი გაამაგრა ქალაქი მცხეთა ერთი წილი ჯარით ჯ მეორეთი წინ დაუხვდა ოსებს საფურცლეზე. მოხდა შეტაკება. საღამოამდის შეაჩერა მან ოსების ჯარი. საღამოზე დაბრუნდა მცხეთაში და გამაგრდა შიგ. ამზასპს მცირე ჯარი ჰყვანდა და ყველა ელოდა მცხეთის აღებას. გათენდა. ის იყო ბრძოლას იწყებდნენ, რომ მცხეთას მოვიდა ერისთავების ჯარი. ყველამ ერთად დაუწყეს ბრძოლა. ორი დღის ბრძოლის განმავლობაში ოსები სრულიად დაამარცხეს და განდევნეს.

მტრების დამარცხებამ ისე გაამხნევა ამზასპი, რომ მაშინვე იგი დიდის ჯარით წავიდა ჩრდილოეთ-კავკასიაში მტრების დასასჯელად: დაიმორჩილა ოსეთი, განვლო ათსაზეთამდე და დაიმორჩილა ყველა მთიულები.

როცა დაბრუნდა საქართველოში, თავის ჯარის კაცებს მისცა ნება, როგორც სურდათ, ისე მოქცეულიყვნენ. ამათ თითქმის გაატყავეს ხალხი, რომელიც მოთმინებიდგან გამოვიდა და სთხოვა ერისთავებს ამზასპის განდევნა. სამეგრელოს, ოძისის, კლარჯეთის, წუნდის ერისთავებმა ბირობა შეჰკრეს და სთხოვეს სომხეთის მეფეს ვალარშაკს, ქართველთა მეფედ დაესვა თავისი შვილი. ამზასპი მოჰკლეს და რევი გამეფდა.

რევი იყო კარგის ხასიათის კაცი, სულ-გრძელი ჯ გრძნობიერი. ამან აღკრძალა ადამიანის კერპებისთვის შწირავა. რევზე დიდი გავლენა ჰქონდა მის ცოლს სეფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რას (ბერძნის ქალს), რომლის სახსოვრადაც მეფეს ეშენა ნა კერპი ათენოდიტი. აგრეთვე რვეი ლმობიერად ეპყრობოდა თითო-ოროლა ქრისტიანს, რომელნიც აქა-იქ მოიძებნებოდნენ. ამის მოადგილეებიც ისე სასტიკად არ სდევნიდნენ ქრისტიანებს, როგორც აქამდის.

233 წელს სომხეთის სამეფო, სადაც აქამდის მეფობდნენ მეფენი არშაკიდების გვარიდან, დაემორჩილა არდაშირს, სპარსეთის მეფეს.

258 წ. გოტფები ჩრდილოეთის მხრიდგან მოვიდნენ შავი ზღვის ნაპირას, გააკეთეს გემები და 15,000 კაცით გაემგზავრნენ ათენაზეთისკენ. გადმოსხეს ჯარი ბიჭვინტას. ბიჭვინტა მაშინ იყო მაგარი ციხე-ქალაქი, რომელიც აიღეს და გაანადგურეს. აქედგან შეესივნენ სამეგრელოს და ყველა მოსწყვეს, დაანგრიეს. მერე წავიდნენ ტრაპიზონში. არდაშირის მოადგილემ სათორმა ძალიან შეაიწროვა საქართველო. მირდატის მოადგილე ასფაგური მოთმინებიდგან გამოვიდა და წავიდა მთიულეთში ჯარების მოსაგროვებლად, მაგრამ 265 წელს იქვე მოკვდა და მით არშაკიდების შთამომავლობის მეფობა საქართველოში დასრულდა.

Გ

სასსანიდების *) მეფობა საქართველოში.

სპარსეთში სასსანიდების გაძლიერებას დიდი გავ-

---

*) 226 წ. სპარსეთის მეფედ გახდა არდაშირი, შვილი სასსანისა. აქედგან იწყობა სასსანიდების გვარის მეფობა სპარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენა ჰქონდა ქართველობაზე. სათორის გულის მოსაგებლად ქართველების ერისთავებმა მაშინვე მიუგზავნეს სპარსეთში დესპანები და სთხოვეს შვილი მოეცა ქართველთა მეფედ; მით უმეტეს ეს უნდოდათ, რომ ასთაგურის სიკვდილის შემდეგ არავინ დარჩა არშაკიდების გვარიდგან.

დესპანებმა რომ მოახსენეს სათორს ქართველთა ხალხის სურვილი, მან იკითხა: „სად არის ქალაქი მცხეთა, რამ სიდიდოა? შორს არიან იქიდგან ქაზარეველნი და ოსები? რომელი გვარიდგანაა საქართველოს მეფის ასული?“ სათორმა მიიღო-რა პასუხი კითხვებზე, მაშინვე გამოემგზავრა საქართველოში, სადაც დიდი პატივი ჰსცეს. სათორი ყველაფერით კმაყოფილი დარჩა; დაუნიშნა ქართველებს მეფედ თავისი შვილი, შვიდი წლის მირიანი და დაუმორჩილა მას აგრეთვე სომხეთი და მთი-

---

სეთში. არდაშირმა დაიპყრო მთელი მცირე აზია; დაამარცხა რომის ჯარი, სომხების ჯართან შეერთებული. მთელი სომხეთი დაემორჩილა სპარსეთს. სომ<ეთის მეფის შვილი მცირე წლოვანი ტირიდატი გააქციეს რომში და დამალეს.

260 წ. თვით რომის იმპერატორმა მოიყვანა ჯარი სპარსეთზე, სადაც მაშინ მეფობდა შვილი არდაშირისა, საფორი. მაგრამ საფორმა დაამარცხა, თვით ვალერიანი დაატყვევეს და შებორკილებული გალიით დაჰქონდათ ხალხის საჩვენებლად. ვალერიანის მაგიერ საფორმა დანიშნა უბრალო კაცი ანტიოქელი, ვიღაც კირიადა, რომელიც მაშინვე შეშინებულმა რომაელების ჯარებმა მეფედ აღიარეს. რომს შიშის ზარი დაეცა. ვალერიანი შეწუხებული მოკვდა. მერე საფორმა მოსწვა ანტიოქია, ტარსი, კესარია. ამ ნაირად შეაძრწუნა და შეანძრია მთელი აზია და ევროპა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული სალხი; ამის შემდეგ სათორმა მოახდინა განგანგება, რომ დაენიშნათ გამდელი მირიანისათვის და დროებით მმართველი საქართველოისა და წავიდა სპარსეთში.

მირიანმა დიდი სიყვარული გამოიჩინა ქართულის ენის, სჯულის, ჩვეულებისა. ამიტომ სალხმაც შეიყვარა. პირველი დრო მისი მეფობისა იყო ძალიან შფოთიანი. მთიულები სან დარუბანდიდგან შემოესეოდნენ ხოლმე საქართველოს, სან დარიალის ყელიდგან. მაგრამ მირიანი ყველგან ესწრობოდა და იგერებდა მტრებს. ომიანობის დროსაც ის მოუსვენრად იღვწოდა საქართველოს ქალაქების, ციხეების, სალოცავების ასაშენებლად და გასაახლებლად; სხვათა შორის მან გაამშვენიერა თვრნაოზის სათლავი.

ამავე მეფის დროს მოჭხდა შემოსევა საქართველოში ოსებისა 276 წ. ესენი შეესივნენ ათხაზეთიდგან სამეგრელოს, აქედგან წავიდნენ კლარჯეთში, გაანოხრეს აქაურობა და მერე წავიდნენ პონტში. რომის იმპერატორმა ტაციტმა გამოდევნა ესენი და თვით კავკასიონის მთების ძირში მოგვდა.

ამავე წელიწადს შემოესივნენ თურანგები ჯერ კლარჯეთს, მერე სამეგრელოს. გაანოხრეს უბვე გაოხრებული ქვეყანა და მერე ევრიპაში წავიდნენ ზღვით.

მაშინ, როდესაც საქართველო იყო თავისუფალი ქვეყანა, იმ დროს სომხეთი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სპარსეთის სამფლობელოს შეადგენდა და დიდს ტანჯვაში იყო. 287 წ. რომის იმპერატორმა ტირიდატი (არშაკიდი) გამოაცხადა მეფედ სომხეთისა და გამოამგზავრა აზიაში. ტირიდატს მიეგება დიდის სიხარულით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი სომხეთის ხალხი. ამან განდევნა სპარსელები და გამეფდა, მაგრამ სპარსეთის მეფემ ბარამმა შეაგრძნო ყველა თავისი ჯარები და დაამარცხა ტირიდატი. ეს კიდევ გაიქცა რომში. რომის იმპერატორმა დიოკლეტიანმა დაამარცხა სპარსეთის ჯარი: ამის შედეგი ის იყო, რომ აღდგა სომხეთის სამეფო, მეფედ გახდა ტირიდატი. უფლება საქართველოს მეფეების დანიშვნისა მიეცა რომის იმპერატორებს.

იმპერატორმა დიოკლეტიანემ მირიანის შვილი ბაქარი მძევლად წაიყვანა რომში, მირიანი კი დაუნათესავა ტირიდატს: რევს, მეორე შვილს მირიანისას, შერთო ტირიდატის ქალი.

მირიანმა კახეთში მმართველად დასვა რევი, და განჯის მაზრაში კი სპარსეთის მმართველის ნათესავი— ფერიზი. ამ გვარად ორივე მეფეებს არ აწყენინა: არც რომის იმპერატორს, არც სპარსეთის ხელმწიფეს.

თ

ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში.

საქართველოში მე-IV საუკუნის დასაწყისამდე იყო წარმართობა, ურწმუნოება. ქართველთა სარწმუნოება შესდგებოდა ეგვიპტელების, ბერძნების, სპარსელების შერეულ სჯულთაგან; ესენი ისე იყვნენ შერეულნი, რომ ერთმანერთი დაემახინჯებინათ, ჯ კაცმა არ იცოდა, თუ ქართველები რომელი სარწმუნოებისა იყვნენ. ხალხში გავრცელებული იყო ცრუ მორწმუნოება. ეოველი დიდი სე, ქვა, კლდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ სხვ. ქართველებს ღმერთებად მიაჩნდათ. ტაძარ-მოწმუნოება ისე ღრმად ჰქონდათ ძვალ-რბილში გამჯდარი, რომ ხალხში აქამდის არის დარჩენილი მისი კვალი.

ამ უსჯულოების დროს, ერთმა ურიამ, ელიოსმა მოიტანა კვართი ქრისტესი მცხეთაში ლ მოუთხრო ხალხს ამბავი დიდს მოციქულზე—მესსიაზე. ამ ხმებმა მეფე თვარსმანამდე მიაწიეს. თვარსმანს უნდოდა კვართი ხელში ჩაეგდო, მაგრამ სასწაულებრივ ეს კვართი მიწამ შთანთქა. აძას გარდა საქართველოს ურიებს მოსდიოდათ ურიასტანიდგან წერილები, რომლებითაც ატყობინებდნენ აქაურებს ამბებს ქრისტეზე. ელიოსმა მიიღო წერილი მღვდელ-მთავრის ანასაგან. ანა სწერდა, რომ ღვთის მოვლენილი უმაწვილი ალიზარდა, ჩასაგში მოვიდა, ეხლა ამბობს—ღვთის შვილი ვარო. ჩვენი ხალხი ემზადება მის მოსაკლავად, რომ ალასრულოს მცნება მოსესი. ელიოსი და ამხანაგი მისი ლონგინოზ კარსნელი წავიდნენ იერუსალიმს, სადაც ნახეს ჯვარ-ცმული ქრისტე და წამოიღეს მცხეთას წილ ხდომილი კვართი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი.

დიდი გაკვლენა ქართველებზე ჰქონდა აგრეთვე ანდრია ლ სიმონ მოციქულების მოსვლას. აგრეთვე ეპისკოპოსებს: კლიმენტის ლ პავლეს (ეს იყო მეგრელი), რომელნიც რომიდგან გამოდევნილ იყვნენ მცირე აზიაში. ასე რომ რამდენათაც ქრისტიანობა ვრცელდებოდა და ეთვისებოდა ხალხს, იმდენად ურწმუნოება სუსტდებოდა და მცირდებოდა. მარიანის მეფობის დროს კი თვით სასახლეშიაც მოიკიდა ფეხი.

ქრისტეს ამაღლების შემდეგ მისი მოციქულები'

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრისტეს დარიგებისამებრ, მოედვნენ მთელ ქვეყანასა, გავრცელებინათ სწავლა და სჯული თავის მასწავლებლისა. ყველაზე მეტი იღვაწა ქრისტიანობისათვის მოციქულმა პავლემ, რომელმაც მოიარა მთელი მცირე აზია, მაკედონია, საბერძნეთი ⸗ იტალია ⸗, თუმცა სასტიკად სჯიდნენ ქრისტიანობის მოღვაწეთ, მაგრამ მან მაინც ყველგან დააარსა ქრისტიანეთა საზოგადოებანი (წრენი). ეს წრეები ერთდებოდნენ ⸗ ერთმანეთს შველოდნენ ყოველს უბედურებასა და დევნაში. მოციქულების შემდეგ ქადაგება დაიწყეს სხვა განათლებულ პირებმა, რომელთაც აგრეთვე სასტიკად სდევნიდნენ. ამ გვარი დევნა იყო იმ დროიდის, მინამ არ გამეფდა კოსტანტინე დიდი, შვილი კოსტანცია ქლორისა. ამის გამეფებამდე თუმცა სასტიკად სჯიდნენ ქრისტიანებს, მაგრამ ქრისტიანობა მაინც ძალიან გავრცელებულიყო ⸗ ქრისტიანები გამრავლებულიყვნენ.

კოსტანტინე პირველი იყო მმართველი მხოლოდ გალლიისა. 312 წ. შეაგროვა ჯარები (გალლები) ⸗ გამოაცხადა, რომ იგი მიდის რომის დასაპყრობლად ⸗ ქრისტიანობის დასათვრავად დევნისაგან. მის ბაირაღზე გამოსახული იყო ჯვარი. ეს ჯვარი წინ მიუძღოდა ჯარს. ამ დროს რომში იმპერატორად იყო მაქსენტი, რომელიც სდევნიდა ქრისტიანებს. ამის ჯარში ბევრი ქრისტიანი ერია. გაიგეს თუ არა კოსტანტინეს დაპირება, ქრისტიანი ჯარები ⸗ ხალხები გადუდგნენ მაქსენტის ⸗ მიემხრნენ კოსტანტინეს. დამარცხდა მაქსენტი ⸗ გამეფდა კოსტანტინე, ამასთანავე დაემხო წარმართობა ⸗ გაიმარჯვა ქრისტიანობამ. ქრისტიანობა მიეცა დიდ სიხა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რულს. თვით კონსტანტინე დიდი, მისი მეუღლე ფაუსტა, დედა ელენე, სიდედრი ევთროპია, მთელი მისი სასახლე და ჯარი თანაგრძნობას უცხადებდნენ ქრისტიანებს და მონაწილეობას იღებდნენ მათ სიხარულში. ამის შემდეგ აშენდნენ მშვენიერი ეკეკლესიები, მღვდელ-მსახურნი გამრავლდნენ და ქრისტეს სჯული გახდა მთავარ-სჯულად მთელს რომის იმპერიაში. ამ მდგომარეობაში იყო ქრისტიანობის საქმე საქართველოს გაქრისტიანებამდე.

ი

ქრისტიანობის მიღება ქართველთაგან.

ნინო იყო კაპპადოკიის ქალაქ კოლასტრიდგან, შვილი ღვთის მოშიშ და კეთილ-მორწმუნე მშობლებისა. პატარაობისასვე დაობლდა. ბიძა მისმა მიიყვანა იერუსალიმში და მიაბარა ალსაზრდელად სარწმუნოებელ ქალს, რომელიც ეკეკლესიაში ჰმსახურებდა. ნინოს კარგად ჰქონდა შესწავლილი ქრისტეს სჯული, როცა იერუსალიმში მოვიდა ერთი დედაკაცი და ხმა დაუგდო, რომ იმპერატორის კონსტანტი ქალაქის ტოლს ელენეს ჰსურს მიიღოს ქრისტიანობა. ნინო, პატრიარქის ნებადართვით, გაემგზავრა იმ დედაკაცთან ერთად რომში, მივიდა იქ და მონასტერში შეავიდა. ამ მონასტერში სცხოვრობდნენ და სწავლობდნენ 50 ქალწი, ამათში მშვენიერი რიოსიმეც ერია.

დიოკლეტიანემ რომ გაიგო მშვენიერეს რიოსიმესი, მოინდომა მისი ცოლად შერთვა. ქალებს თავს-ზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი დაეცათ და ყველანი გაიქცნენ. ნინო, რიფსიმე, გაიანე და სხვ. გამოიქცნენ სომხეთში. სომხეთის მეფემ ტირიდატმა იპოვა რიფსიმე და გაიანე და დახოცა, რადგან მათ არ მოინდომეს დიოკლეტიანეს ცოლობა.

ნინო პირველად იმალებოდა ჩრდილოეთ სომხეთში; მეორე წელიწადს, ივლისის თვეში, იგი მოვიდა საქართველოში. ნინო ჯერ შემოვიდა ჯავახეთში. აქ გამოიკითხა მცხეთა.—მეთევზეებმა მას მისცეს საჯმელი—პური. ჯავახეთის ახალ-ქალაქიდგან მოვიდა ქალაქ ურბნისში. ურბნისიდგან, რამდენიმე დღის შემდეგ, დიდ-ძალ ხალხთან ერთად მოვიდა არმაზში. აქ მოდიოდა ხალხი ყველა კუთხიდგან არმაზის და ზადენის მოსალოცავად.

ხალხის ცრუ-მორწმუნეობამ აღელვა ნინო. იგი დიდის სიმწუხარით უყურებდა იმას, რაც ხდებოდა მის თვალ-წინ.—სთხოვა ნინომ ღმერთს, რომ მისთვის მიეცა ძალა ამ წარმართ ხალხის ჭეშმარიტ გზაზე დასაყენებლად: შუადღისას ასტყდა დიდი ქარიშხალი სეტყვით და მთელი მლოცავი ხალხის გუნდი განაბნია. ამის შემდეგ ნინო დასახლდა მცხეთაში. დაიწყო ქადაგება და ხალხის სწავლა და ავადმყოფების კურნება სხვა-და-სხვა წამლებით და ჯვრით. პირველი მოწაფე მისი იყო აბიათარი და მისი ცოლ-შვილი, აგრეთვე მეფის ზოგიერთი კარის კაცები და თვით მირიანის მეუღლე ნანა, რომელიც მოარჩინა ნინომ დიდი-ხნის სნეულებისაგან. მირიანი გაკვირვებული იყო, რომ ცოლი მოურჩა. მოიწვია ნინო და დიდხანს ესაუბრა ქრისტეს სჯულზე.

ბოლოს მირიანმა გამოიწერა საბერძნეთიდგან მღვდლე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი და თავის ხალხითურთ მოინათლა. იქ, სადაც ეკლესია
არმაზის კერპი, აღმართეს სის ჯვარი და ხალხი მას
თაყვანსა სცემდა. იქ, სადაც იყო მეფის ბაღი (მცხეთა-
ში), დაიწყეს შენება ეპირველის ეკკლესიისა. რომის იმ-
პერატორმა კონსტანტინე დიდმა დიდის სიხარულით მი-
იღო მირიანის და ქართველების მოქცევის ამბავი და
მაშინვე მძევლად მეოთი ბაქარი, შვილი მირიანისა, გაა-
ნთავისუფლა.

. ნინო, გახარებული საქმის ამ გვარად წარმართვისა
გამო, წავიდა საქართველოს სხვა ადგილებში და ყველგან
ასწავლიდა და უქადაგებდა ხალხს. მალე მოაქცია ყველანი
მისი სწავლა მოეფინა მთიულეთსაც.

შვიდი წლის შემდეგ (325 წ.) საქართველოს ეკკ-
ლესია მიეწერა ანტიოქიის საპატრიარქოს.

ამ ნაირად მოხდა ქრისტიანობის მიღება ქართვე-
ლთაგან. ქრისტიანობამ მჭიდროდ შეაერთა ქართველები
და ჩამოაგდო მათში ძმური სიყვარული.

IA.

ქრისტიანობის მიღებიდგან ვიდრე ვახტანგ გორგ-ასლანამდე.

ქრისტიანობის მიღების შემდეგ მირიანი გაემგზავ-
რა იერუსალიმში ქრისტეს საფლავის თაყვანის-საცემლად.
მივიდა იერუსალიმში და იმპერატორის თანხმობით
ააშენა ტაძარი ეპტიოსნისა ჯვარისა. იქიდგან რამ
წამს დაბრუნდა, გახეთი შემოუერთა თავისს სამე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოს, რადგან მისი მმართველი რეგი გარდაცვლილიყო. თვითონაც გარდასცა მეფობა ბაქარს ჯ მოკვდა 342 წ.

ბაქარმა მამაზე ნაკლები სიკეთე არ დათესა საქართველოში. მოიწვია საბერძნეთიდგან ნასწავლი კაცები. ეკკლესიებთან ერთად აშენებინა სკოლები. ეს ნასწავლი კაცები სკოლებში ასწავლიდნენ ყველა საგნებს ქართულს ენაზე. აგრეთვე კალდებული გასადა ესწავლებინათ ბერძნული და ასსირული ენებიც. ყველგან ბაქარის ბრძანებით აშენეს მრავალი ტაძრები, რომლებშიაც დააყენა უკეთესნი მქადაგებელნი სარწმუნოებისა. მათ წყალობით მალე ქრისტეს სჯული მიიღეს ათეისტებმა, სეკსურებმა და კავკასიის სხვა ხალხებმაც.

ბაქარის სიკვდილის შემდეგ გამეფდა შვილი მისი მირდატ III 364 წ. ამის მეფობა იყო მშვიდობიანი და მეგობრული კავშირით დაზავებული რომის იმპერიასთან, რომელიც ემზადებოდა სპარსეთთან საომრად. ამის შვილის ვარაზბაკურის დროს სპარსებმა დაიმორჩილეს ბევრი ადგილები და სთხოვეს სომხებს და ქართველებს, რომ ყოველ წელიწადს მათთვის ხარკი ეძლიათ. ვარაზბაკურს შეეშინდა და კახეთის ხევში დაიმალა, თუმცა მას ერისთავები სპარსებთან შებმას აიძულებდნენ. სპარსეთის ჯარი შემოვიდა საქართველოში. ამათ, თბილისში, სოლოლაკის გორაზე აშენეს სიმაგრე, წოდებული „შერის ციხედ“, რომელშიაც ჩააყენეს თავისი ჯარები. ხალხი შეავიწროვეს ჯ ხარკი დაადვეს. სპარსელები იმ დროიდის იყვნენ საქართველოში, მინამ მეფე ქართველთა არ დაჭირდა ხარკის მიცემას და არ დაუთმო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ალმოსავლეთის ნაწილი კახეთისა და განჯის (არანი) და მძეკალი არ მისცა.

რომის იმპერატორს არ მოეწონა ვარაზბაკურის მოქმედება. დაიბურო ელარჯეთი არსიანამდის და მის მმართველად დანიშნა საგრომათი. სპარსეთის მეფეს ეწყინა. დიდ-ძალი ჯარით დაეცა რომაელებს, დახოცა იგინი და განდევნა საგრომათი. 393 წ. მოკვდა ვარაზბაკური, რომელსაც დარჩა სამი მცირე-წლოვანი შვილი. გამეფდა მისი სიძე, რეკის შვილი, თრდატი. ამის მეფობაში შესანიშნავი არა მომხდარა-რა.

405 წ. თრდატის სიკვდილის შემდეგ გამეფდა ვარაზბაკურის შვილი ფარსმან V. ამან საქართველო განთავისუფლა სპარსეთის ბატონობისაგან და ხარკის მიცემა ალკვეთა. მაგრამ სამი წლის შემდეგ მოკვდა და 408 წ. გამეფდა მისი ძმა მირდატი მე-IV. ეს იყო ამაყი და თავ-მოყვარე კაცი, არა სცდილობდა, რომ საქართველო დაეცვა სპარსებისაგან, რომელთაც უარი უთხრა ხარკის მიცემაზე. განრისხებული სპარსეთის მეფე 410 წ. წამოვიდა და ერთ შეტაკებაში დაამარცხა მირდატი და ტყვე ყო. მოიარა მთელი საქართველო, დაანგრია ეკკლესიები და გაანადგურა ყველაფერი. მეფის სახლობა და სამლვდელობა შეიხიზნა კახეთის ხეკში. მირდატი გაგზავნეს ბიზანტიის და იქ მოკვდა. საქართველო საშინელ მდგომარეობაში ჩავარდა.

სპარსების შემოსევის შემდეგ საქართველოს არა ყოლია მეფე და ან საგუთარი მმართველი სამი წლის განმავლობამდე. 413 წელს, როცა სპარსელებს სხვა ხალხებთან ომი აუტუდათ, ქართველებმა გაამეფეს არჩილი, შვილი მირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დატ IV-სა. ამან მეგობრული განწყობილება დასდო საბერძნეთის იმპერიასთან და ეკკლესიების შენება და აღდგენა დაიწყო. ეკკლესიები საკსე იყო მოგვებით, რომელნიც სპარსელების შემოსევის დროს დაემკვიდრნენ აქა. მოგვებმა უჩივლეს არჩილს. არანის და ადირბეჟანის მმართველები დაეცნენ ქართველებს, მაგრამ არჩილმა დაამარცხა იგინი და დიდ-ძალი ალაფი წაართვა.

434 წ. არჩილი მოკვდა და გამეფდა მისი შვილი მირდატი V, რომელმაც შეირთო ქალი ბარზაბოდისა, სპარსთა მეფის ხელის-უფლისაგ ამ ნაირად ჩამოაგდო მეგობრობა ორ სახელმწიფოს შუა, მაგრამ მალე მოკვდა ძველი ყეენი და სპარსეთის ტასტზედ აკიდა იეზდიგერდ II, რომელიც დაეცა ბერძნების ჯარს ნიზიბისში და განდევნა იქიდგან; მერე ადირბეჟანის მმართველს უბრძანა დაეპყრო სომხეთი და საქართველო და დაეყენებინა აქ მრავალი მოგვები და ამასთანავე წერილით დაიბარა ქართველთა და სომეხთა ჯარები ჭუნნების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამასობაში მოკვდა (446 წ.) მირდატი V, რომელსაც დარჩა 7 წლის კაჟი კახტანგი.

თუმცა სპარსელები დიდად აბრკოლებდნენ ქრისტიანობის გავრცელებას საქართველოში, თუმცა ეკკლესიებს, სკოლებს ანგრევდნენ და მოგვებს უყენებდნენ ქართველებს, მაგრამ მაინც ქრისტიანობამ მკვიდრი ფესვები გაიდგა საქართველოში.

ამავე დროს შემოიღეს საქართველოში ახალი ასოები—სუტური, რომელიც მოიგონა ჯაყელმა. ამ ახალი ანბანის შემწეობით სწერდნენ და სთარგმნიდნენ საღვთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნებსა. სასარება ბირველად გადმოთარგმნეს ვახტანგის დედის საგდუხტისათვის.

ვახტანგ გორგასალი, მირდატ მე-V შვილი. (446—499 წ.)

დაბადებისათანავე ვახტანგი აღსაზრდელად მისცეს ქართლის ერისთავს და საქართველოს ჯარის წინამძღოლს, საურმაგს. ამის სიკვდილის შემდეგ ზრდიდნენ ვახტანგს ჯარის ახალი წინამძღოლი ჯუანშერი და მთავარ-ეპისკოპოსი მიქელი. ამათგან ვახტანგი, გარდა ფიზიკურ განვითარებისა, სწავლობდა ღვთის მეტყველებას და სხვა საგნებს; ამათვე ჩაუნერგეს გულში დაობლებულს მომავალს მეფეს ღრმა სიყვარული ქართველთა ერისადმი.

ვახტანგის დაჭაბუკებამდე სამეფოს ჭმართავდა მისი დედა—საგდუხტ—რვა წელს (446 წლიდგან 454 წ.) ამ დროს დიდი უბედურება ეწვია საქართველოს. სპარსეთის მეფემ იეზდიგერდმა, რომელმაც სრულიად დაამხო და დაასუსტა სომხეთის სამეფო, მოინდომა საქართველოს წახდენაც, რადგან ქართველები ქრისტიანობას თავს არ ანებებდნენ. საქართველოს დარბევა მინდობილი ჭქონდა ადირბეჟანის მმართველს, ბარზაბოდს. მაგრამ დედოფალმა საგდუხტამ—ბარზაბოდის ასულმა—შეაბრალა მამას თავი თვისი და საქართველო. ამის გამო თუმცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მან ალარ შეასრულა თავისი მეფის ბრძანება, მაგრამ მაინც საქართველოში გამოგზავნა ზოროასტრის სჯულის მღვდლები—მოგვნი, რომელნიც მოწიწებით შეუდგნენ ამ სჯულის გავრცელებას ქართველებში. ამას გარდა 449 წ. შემოესივნენ ოსები საქართველოს, აოხრეს ქართლი და დიდძალი ხალხი ტყვე ჰყვეს და მათ შორის კახტანგის დაც. მერე შეესივნენ ალბანიას (კახეთს), გააოხრეს ქვეყანა და დალისტანში გადავიდნენ, აქედგან დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. 452 წელს ბერძნებმა დაიპყრეს ათასზეთი და ერთი ნაწილი სამეგრელოსი.

ამასობაში კახტანგი შეიქმნა 15 წლისა და 454 წელს გამეფდა. ეს იყო ჯან-მრთელი, მაღალი და ლამაზი უმაწვილი კაცი. კახტანგი, ალვიდა-რა ტახტზე, გამოაცხადა, რომ უეჭველად სამგიარროს გადაუხდის ოსებს და მეგობრული განწყობილება ექმნება საბერძნეთთან და სპარსეთთან. 455 წ. სრულიად დამზადებული იყო კახტანგი საომრად. მის ჯარში, ქართველებს გარდა, იყვნენ მოწვეულნი ყველა ის ხალხები, რომელნიც დაჩაგრულნი იყვნენ ოსებისაგან. მდინარე არაგვის შორი-ახლო, მუხრანის მინდორში, ახალგაზდა კახტანგმა დახედა თავის ჯარს და ძალიან გაუხარდა, რომ მეომარნი მიეგებნენ აღტაცებით და კარგის მოწყობილობით. შვიდ დღეს იმარხულეს ჯარებმა და ილოცეს, მერე კახტანგმა სამეფოს მმართველად დასვა თავისი დედა, და თითონ გაემგზავრა დარიალის ყელიდგან ოსეთისკენ. ეს ყელი გაემაგრებინათ ოსებს. ომი დაიწყო ორთა შუა ბრძოლით; თვით მეფე კახტანგმა გამოიწვია გამოჩენილნი მებრძოლნი: თარხან ქაზარეველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ოსი ბაყათარი, და ესენი დასძლია. მერე ჯარს ქართ-
ძანა შეჭსლოდა მტრებს. შეშინებული ოსები გაიქცნენ,
ქართველები გამოედევნენ და აოხრეს მათი ქვეყანა. ვახ-
ტანგმა დაამარცხა ქაზარეველნი, ბაჯანიანი, გაიარა მიწა
ოსებისა, ჩერქეზებისა, გაანთავისუფლა თავისი და და
ეველა ტყვეთ წაყვანილნი ქართლიდგან, წაართვა მრა-
ვალი ცხენი და სხვა საქონელი და ათხაზეთიდგან საქა-
ართველოში დაბრუნდა.

დაბრუნდა თუ არა, მაშინვე გაუგზავნა სპარსეთის
მეფეს ორმუზდს, იეზდიგერდის შვილს, დიდძალი სა-
ჩუქარი და სთხოვა ცოლად ქალი. ორმუზდს ამა გულ-
კეთილობა და გმირული მოქმედება ვახტანგისა და შეუ-
სრულა მას სურვილი.

მეოთხე საუკუნის დამლევს კლარჯეთის საერისთო-
ნი დაპყრობილნი იყვნენ ბერძნებისაგან. 452 წ. კლარჯმა
გუბაძემ მოინდომა გამეფება, რის გამო შეერთა აქაური-
ნი ქართველნი და ლაზიკის სამეფო დაამყარა. ბოლოს
ისე გაძლიერდა, რომ მოინდომა სვანეთის დაპყრობაც.
ამასობაში ბერძნებმაც მოინდომეს სპარსეთის დასავ-
ლეთი მიჯნების დაჭერა.

სპარსეთის შეფემ ორმუზდმა გამოუგზავნა ვახტანგს
თავისი ჯარები და სთხოვა ბერძნების წინააღმდეგ ბრძო-
ლა დაეწყო. ვახტანგსაც ეს უნდოდა. მეფე დარაზმულ
—განწყობილ ჯარით მიადგა ციხე კარაბეოლს, მაგრამ
ვერ აიღო. შემოარტყა ერთი ნაწილი ჯარი და მეორეთი
შევიდა ბონტოში (ლაზისტანი). გუბაძე ვერ გაუმაგრდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაიქცა კონსტანტინოპოლს (466 წ.), მეფე ლეონ დიდთან. ვასტანგმა აიღო ანზიანძორი, ეკლეცი, სტერი და დაატუვეკვ კაი ძალი ხალხი, სხვათა შორის მღვდლებიც, რომელთაც მოეპყრა პატივით და გულ-კეთილად: ბევრნი ამათგან გაანთავისუფლა. ციხეში შემწყვდეულ ხალხს ძალიან მოეწონა ვასტანგის გულკეთილობა. დაიდო ზავი. ციხის მცხოვრებლებმა ვასტანგს საჩუქრად მიართვეს 1,000 ლიტრა ოქრო და 500 ნაჭერი ძვირფასი თვრჩეული.

იმპერატორ ლეონმა მოინდომა დაზავება ვასტანგთან მხოლოდ იმ პირობით, რომ სპარსთა ჯარი გაეწყვიტა. მეფე დათანხმდა. „გაცალკევ ქართველთა ჯარები სპარსელების ჯარებისაგან. ბერძნები დაეცნენ სპარსელებს. ესენი დამარცხდნენ. თავის-თავის გასამართლებლად სპარსეთის მეფის წინაშე ვასტანგი დაეცა ბერძნების დალალულ ჯარს, სრულიად დაამარცხა და განდევნა შავი-ზღვის ნაპირებისკენ. ლეონი, რომელიც პონტოს მოსულიყო, ძალიან გაჭკვირდა ვასტანგის ამ გვარი საქციელით, მაგრამ ვასტანგმა ამ ბრძოლის მიზეზი გადააბრალა ბერძნების ჯარების წინამძღოლს—პოლიკარპოსს. შეიკრა ზავი ლეონსა და ვასტანგს შორის. ამ ზავით ვასტანგს დაუბრუნდა ყველა ნაწილები დასავლეთის საქართველოისა, გუბაძე განდევნილ იქნა კონსტანტინოპოლს. ამის შემდეგ ვასტანგმა შეირთო ლეონის ასული, რომელსაც მზითვად მიეცა ათასზეთი.

ზავის შემდეგ ვასტანგმა მოიარა თავისი ახალი ქვეყნები. აშენა მათში მონასტრები, ჩამოაგდო წე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიერება და გამარჯვებული დაბრუნდა თავის საკუთარ ქალაქში.

ვახტანგი ამის შემდეგ ძალიან სასტიკად ეპყრობოდა საქართველოში მყოფ სპარსელებს და მოგვებს. სპარსეთის მეფეს არ იამა მეფის ამ გვარი ქცევა და უფრო მეტად კი მისი ჯარების გაწყვეტა და ზავ-მეგობრობის დადება საბერძნეთთან. ახლად გამეფებული სპარსეთის მეფე—ფეროზი (ძმა ორმუზდისა) დიდ-ძალი ჯარით დაეცა სომხეთს და ალბანიას, გააოხრა ეს ქვეყნები და შემოესია საქართველოს.

ვახტანგის თხოვნით ლეონმა გამოუგზავნა მეფეს 80,000 კაცი. საქართველოში სპარსელების ჯარებს დახვდა მაგარი ციხეები, რომელთაც მტერს გაუძნელეს მოქმედება. ფეროზმა გაიგო თუ არა ბერძნების ჯარები მოვიდნენო, მაშინვე შერიგება სთხოვა ვახტანგს იმ პირობით, რომ მოგვებისთვის ნება მიეცა საქართველოში ცეცხლთაყვანის-მცემლობა გაეგრძელებინათ. ვახტანგმა არ მიიღო ეს პირობა, მაშინ ფეროზმა გამოუგზავნა ვახტანგს ძვირფასი საჩუქრები, ძვირფასი სამეფო გვირგვინი და იწვევდა შერიგებაზედ მოსალაპარაკებლად. ვახტანგმა მიიღო ეს საჩუქრები და თავის მხრით გაუგზავნა მას 500 მონა და 1000 მხედარი, 500 ძვირფასი ფარჩა და მერე მიეგება ფეროზს.

ამ ზავის ძალით საქართველო სრულიად თავისუფალ და სპარსეთისაგან დამოუკიდებელ სამეფოდ შეიქმნა და ეს ზავი დაგვირგვინდა მით, რომ ფეროზს ვახტანგმა მითხოვა თავისი და. ვახტანგისავე შუამავლობით სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნეთმა და სპარსეთმა მეგობრული ზავი შეკრეს ერთ-ერთ შორის.

ამ ნაირი გაკვლენა ჰქონდა საქართველოს ერს ვახტანგ მეფის დროს მაშინდელ უძლიერესს ხალხების ცხოვრების მიმდინარეობაზე.

შემოთვარგლული და განთავისუფლებული საქართველო ვახტანგმა გაჰყო ათ საერისთოდ ს ერისთავებად დასვა თავისი გამოჩენილი სარდლები. მერე გამოეთხოვა თავის პაწაწინა შვილს, დაჩის, და 10,000 უკეთეს ჯარით გაემგზავრა იერუსალიმის მოსალოცავად. იქიდგან წავიდა სპარსეთს. სპარსეთის მეფემ გაიოლია ინდუსტანს სხვა-და-სხვა ხალხების დასაპყრობად. აქედგან, სხვა განძეულთა შორის, დაბრუნებისას მოიტანეს ქართველებმა აბრეშუმის ჭიის თესლი.

როცა დაბრუნდა ვახტანგი საქართველოში, ჩვენი ეკლესია სრულიად გაანთავისუფლა გარეშე საპატრიარქოს დამოკიდებულებისაგან. დაარწესა საკუთარი საპატრიარქო, რომელსაც შეადგენდა თორმეტი საეპისკოპოზო ერთის პატრიარქის დამოკიდებულების ქვეშ. აგრეთვე საბერძნეთიდგან გამოიწერა სამღვდელო პირნი, და ასრე განამტკიცა ქრისტიანობა საქართველოში.

მეფე ვახტანგსვე ეკუთვნის თბილისის აშენების დაწყება. გარდმოცემა გვეუბნება, რომ ის ადგილი, სადაც ახლა თბილისია მოშენებული, წინეთ იყო მოცული დიდის უტყეურის ტყით. ამ ტყეში ერთხელ მოინადირა ვახტანგმა. აათრინეს ხოხობი, რომელსაც მეფემ გამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგენა თავისი ჭორი ჯ მერე თვითონაც ცხენის ტყუბით დაედევნა. მივიდნენ ჯ ნახეს, რომ ჭორი და ხოხობი ჩაცვივნულან წყალში და მოთუთქულან. მეფეს ძალიან მოეწონა ეს წყარო და მისი მიდამო. მალე დაიწყო აქ ქალაქის შენება, რომელსაც ამ თბილი (ტფილი) წყლების გამო დაარქვა თბილისი ანუ ტფილისი.

საქართველო რომ ამ გვარად გაძლიერდა, საბერძნეთში ლეონის სიკვდილის შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა და გამეფდა ანასტას, მტერი ქრისტიანობისა.

სპარსეთში გამეფდა ფეროზის შვილი—კობადი, კაცი ცბიერი და მეომარი, რომელმაც მოინდომა სპარსეთის სამეფოს გაძლიერება და გაგანიერება. კობადს უნდოდა, რომ ვახტანგს შემწეობა მიეცა მისთვის წინადმდეგ საბერძნეთისა. კობადმა გამოუგზავნა მეფეს მოციქულები. ვახტანგმა არაფერი შემწეობა არ მისცა, თუმცა კარგად იცოდა, რომ ასეთი კადნიერება ითვად არ დაუჯდებოდა.

ეგელანი მოელოდნენ კობადის შემოსევას, ამიტომ შეიხიზნენ მთებში; მეფემ კი გაამაგრა მცხეთა და ციხისმცველებად დანიშნა ერისთავები: დიმიტრი, ნერსე და ბიერიტიანი, თვითონ კი გამაგრდა უჯარმაში.

მართლაც, კობადი შემოვიდა საქართველოში. მოაოხრა ქიზიყი, აიღო ჯერმის და ველის ციხეები, მერე მოადგა ვახტანგს. სამ დღეს გაგრძელდა ბრძოლა. ორივ მხრივ მრავალი დაიხოცა. მეოთხე დღეს, დილას, შეესია ვახტანგი მტერს ჯ ყათლავი უყო. ვახტანგი მტრის შიგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუა გულში შეიჭრა, მოჰკლა შვილი კობადისა და თი-
თონაც მწარედ დაიჭრა. ბრძოლა შუა-დღემდის გაგრძე-
ლდა. ბოლოს მტრები გაიქცნენ—ქართველებს კი დიდ-
ძალი ალაფი დარჩათ.

მაგრამ რაწამს სპარსელებმა გაიგეს ვახტანგის ჭრი-
ლობა, გამხნევდნენ და ხელ-მეორედ შემოუტიეს ქართვე-
ლებს. აქედგან სპარსელები გადავიდნენ მტკვარზე, დაანგ-
რიეს თბილისი, არმაზის ციხე და დაიპყრეს ქართლი,
მცხეთა კი ვერ აიღეს.

სამწუხაროდ, ჭრილობამ ბოლო მოუღო მძლავრს
მეფეს. ამან თავის მოადგილედ დანიშნა თავისი შვილი
დაჩი, ორი უმცროსი შვილები დასვა ტაშის-კარის, წუნ-
დის და ათხაზეთის ერისთავებად და მალე გარდაიცვა-
ლა—499 წელს. ეს მეფე ჭმარხია მცხეთის ეკკლესიაში-

ვახტანგმა ასრეთი ანდერძი დაუტოვა ქართველებს:
უშიშარნი იყავით და გიყვარდეთ ერთმანერთიო. მის
მიერ მოჭრილ ფულს აწერია Ч-К (ვახტანგი).

ვახტანგ გორგასალის მემკვიდრენი
(500 – 575 წ.)

ქართლიდგან სპარსელების ჯარი გაემგზავრა კარნუ-
ქალაქისკენ (არზრუმი), რომელსაც უახლოვდებოდნენ ბერ-
ძნების ჯარები. განძვინებული მტრები შეხვდნენ ერთ-
მანეთს კარნიფორის ველზე. მოხდა საშინელი ბრძო-
ლა. ორივ მხრივ დაიხოცა დიდ-ძალი მეომარი, რის-გამო
სპარსელებმაცა და ბერძნებმაც შეაჩერეს ბრძოლა. მაგრამ
მაინც შემდეგში ბერძნები სრულიად დამარცხებულნი არ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩნენ. კობადმა 80,000 ჯარის კაცი გასწყვიტა, ასევე მრავალი ქალაქები და მაშინ შეურიგდა მტერს, რომ მიიღო ანასტასიოსგან ურიცხვი საჩუქარი.

ამ ნაირად კობადმა დაიპყრო საბერძნეთის აღმოსავლეთი ნაწილი, სომხეთი და თითქმის მთელი საქართველო. ამანვე გაამაგრა დარიელის ყელი. კობადს საზოგადოდ დიდი გავლენა ჰქონდა საქართველოზე. ამ დროებში მეფე დაჩიმ საცასტო ქალაქად გასადა თბილისი, რომელსაც შემოავლო გალავანი, მცხეთა კი დარჩა მხოლოდ ადგილ სამეფოველად საქართველოს კათალიკოზისა.

დაჩიმ იმეფა 499—514 წლამდე, ბაქარმა II 514 წ. 528 წ., ფარსმან VI 528—542 წ., ფარსმან VI 542—577 წ., ბაკურმა III 557—575 წლამდე. ყველა ეს მეფენი თავის მეფობაში სცდილობდნენ წმინდათ შეენახათ ქრისტეს სარწმუნოება, რის გამო აშენებდნენ და ასხლებდნენ ეკლესიებს.

ფარსმან VI დროს ასურეთიდგან მოვიდნენ ცამეტნი მამანი (ბერნი), რომელთაც ააშენეს მონასტრები. *) ამ მონასტრებში ეს წმინდანნი ასწავლიდნენ სალხს და ღრმად უნერგავდნენ ქრისტეს სჯულს, ასე რომ ტეტხლ-

---

*) იოანე, აბიბოსი, ანტონი, დავითი, ზენონი, ისიდორე, ისე, იოსები, მიქელი, პიროსი, სტეფანე, შიო და თადე. პირველმა ააშენა ზედაზენის მონასტერი, მეორემ ნეკრესისა, ანტონიმ მარტყოფისა, დავითმა გარეჯისა, ზენონმა იყალთოსი, ისიდორემ სამთავისისა, ისემ წილკნისა, მიქელმა ულუმბოსი, პიროსმა ბრეთისა, იოსებმა ალავერდისა, შიომ შიო-მღვიმისა, სტეფანემ ხირსისა და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაყვანის-მცემლობას თითქმის სრულიად შემოაკლეს ძმებს ფრთები.

ამავე დროს ეკუთვნის არაგვის და ქსნის ერისთავების ჩამოთვლობის შესახებ ზირველი ცნობანი. ზეზირგარდმოცემა გვეუბნება, რომ ქსნის ხეველებსა და არაგვის ხეველებ შორის ყოველთვის წმ. გიორგის დღესასწაულს ხდებოდა ჩხუბი. ამის მიზეზი იყო თვით ეს ეკლესია, რომელიც მდებარეობდა ამ ორივე ხეველების შუამიჯნაზე. არაგველებსაც უნდოდათ დაესაკუთრებინათ და ქსნელებსაც. ერთხელ წმ. გიორგის დღეობაზე, სხვათა შორის, მივიდნენ ძმები ოსები—დუდარუკოვები, რომელთაც მოარიგეს და დაამშვიდეს ორივე ხეველები. ამ ხეველებმა ზატივის-ცემისათვის მოიწვიეს ეს ძმები და დასვეს თავის ერისთავებად: ერთი არაგვის ხეობაში, მეორე ქსნისაში. თვით მეფემაც დაამტკიცა ესენი ერისთავებად.

ამ დროს, ე. ი. მეეჭვსე საუკუნეში ლაზიკა დაერჭვა არა მარტო იმ ჭვეყანას, რომელშიაც თვით ლაზები სცხოვრობდნენ, არამედ გურიასა და სამეგრელოსაც. ამის მიზეზი ის იყო, რომ კასტანგ გორგასალის სიკვდილის შემდეგ ბერძნებმა ისარგებლეს დაჩის სისუსტით და ხელ-ახლად აღადგინეს ლაზიკის სამეფო, რომელიც დაიპყრეს გუბაძის ნათესავებმა: დამნაძემ და მერე ცაცემ. ცაცეს ზირველად მეგობრული განწყობილება ჰქონდა სპარსელებთან, რომელნიც იმ დროს მფლობელობდნენ საქართველოს, მერე, იმის შიშის გამო, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოგვებს ექნებათ ცუდი გავლენა ხალხზეო, წავიდა ბერძენ-
ტანტინოპოლს, შეირთო იქ ბერძნის ქალი და იმპერა-
ტორისაგან ლაზიკის მეფედ აღიარებულ იქმნა. იმპერა-
ტორმა დიდი შემწეობა აღუთქვა ცოტეს, რომელიც ლა-
ზიკაში დაბრუნდა, როგორც მეფე. დაბრუნდა თუ არა
ცოტე, მაშინვე ლაზებმა განდევნეს სპარსელები და ამათ
დამოკიდებულებიდგან გამოვიდნენ.

ეს იყო მიზეზი, რომ 523 წელს საპრსეთის დიდი
ჯარი მიადგა ლაზისტანს. მოხდა ომი. ლაზების მხარე
დაიჭირეს ბერძნებმა. ამ ომებს ცუდი შედეგი ჰქონდათ
საქართველოსთვის. აბეზარს მოსული ბევრი ქართველ
თავადთაგანი სიმშვიდის მოსაპოებლად წავიდა საბერძ-
ნეთს, და ზოგიერთი იმათგან სამუდამოდ დარჩა იქვე.
ეს ომი გაგრძელდა 10 წელს. ამ გაჭირვებისა და არეუ-
ლობის დროს მოკვდა ცოტე (528 წ.) და მის მოადგი-
ლედ გახდა შვილი მისი გუბაძე II. ბოლოს 528 წ.
ზავი შეიკრა ბერძნებსა და სპარსელებს შუა. ამ ზავის
ძალით სპარსელებმა დასტოვეს ლაზისტანი და ბერძნები
კიდევ გახდნენ მის მფლობელად.

ბერძნებმა მაგარსა და მიუდგომელ ადგილას, შავი
ზღვის პირად, აშენეს ციხე — პეტრა (ქვა), რომელიც
უძლეველი გახდა მტრებისაგან. აქაური ვაჭრობა და აღებ-
მიცემა მთლად გადავიდა ბერძნების ხელში; თვით აუტი-
ლებელ და ცხოვრებისათვის უსაჭიროესს საგნებს დაა-
დეს დიდი ბაჟი, მაგ. პურს, მარილს ⁄ ამ ნაირად შეა-
ვიწროვეს ლაზისტანის ქართველები; გარდა ამისა, თვით
ბერძნების მმართველნი ცუდად ეპყრობოდნენ ხალხს.
ამათზე უკმაყოფილების გამოსაცხადებლად დესპანები გაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზავნეს კონსტანტინოპოლს, სადაც არა თუ გაუგონეს და ყურადღება მიაქციეს მათ თხოვნას, არამედ თვით ეს დესპანები დაამწყვდიეს. ამ გვარ მოქმედებამ სრულიად აღელვა ლაზები, რის გამო სთხოვეს სპარსეთის მეფეს შველა და თავის მფარველობის ქვეშ მიღება. სპარსეთის მეფემ ქასრემ (იგივე ნუშირვანი). აღუსრულა მათ წადილი.

ქასრე იყო კობადის შვილი. სპარსეთის ტახტზე ავიდა 531 წელს. ამან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ალბანიას, დარუბანდის სიმაგრეებს ს დაღისტანს. ერთი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც დაიმხო ალბანიის სამეფო და ხალხი ამ სამეფოისა განიბნა. ამ ქვეყანას ხშირად შემოესეოდა ხოლმე ჩრდილოეთის ველური ხალხები: ქაზარეველნი, ჰუნნები და სხვ. იმ დროს, როდესაც კობადი ომობდა საბერძნეთის იმპერიასთან, ნუშირვანი მოქმედებდა ამ მთებში. ნუშირვანმა დაიმორჩილა თურქმენები, გაამაგრა დარუბანდი და მამის თანხმობით დააწესა სამი საყაენო: თბილისარანისა, დარუბანდისა და შირვანისა. შირვანის საყაენოს ნაწილს შეადგენდენ, ალბანიის გარდა, განჯის და ყარაბაღის მიწები ანუ არანი. ქასრემ გაამრავლა მცხოვრებნი დარუბანდში და აგო დიდი ციხე, რომელიც ერთის მხრით სწვდებოდა კასპიის ზღვას, მეორეს მხრით კავკასიის მთებს, და ამ ციხის სიგრძეზე დააყენა მცველები. შირვანის საყაენოში აგრეთვე აგო ციხე—შირვანი.

ქასრე საზოგადოდ დიდ მნიშვნელობას აძლევდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის დაპყრობას. ეს იყო მიზეზი, რომ ქასრემ ასრე ადვილად დაუჯერა ლაზებს და მიიღო მათი თხოვნა. ქასრემ იფიქრა, რომ ლაზების დამორჩილების შემდეგ, ადვილად დავიპყრობ რიონის ხეობას და შავი ზღვის ნაპირებს, და ამის შემდეგ ძნელი არ იქნება თვით საბერძნეთთან ომიც და კონსტანტინოპოლის აღებაც. ამის გამო ქასრემ დაარღვია ზავი ბერძნებთან და 541 წ. გაემგზავრა ლაზების ქვეყანაში.

ლაზების დესპანები იყვნენ გზის მაჩვენებელნი და ბელადნი სპარსელების ჯარისა. სპარსელები რომ შეიდნენ ლაზიკაში, წინ დასდათ უტეხარი ტყეები: გზები თითქმის არსად იყო. ამიტომ სჩეხავდნენ ტყეებს და ისე მიდიოდნენ. სპარსელები მივიდნენ თუ არა, ლაზების მეფე გამოეცხადა ნუშირვანს და სრულიად დაემორჩილა მას. ქასრე არ გაჩერდა. გაგზავნა ჯარი ანიაბადის წინამძღოლობით ციხის პეტრას ასაღებად. ამ ციხეში გამაგრებულიყვნენ ბერძნები. ანიაბადი სრულიად დაამარცხეს. ნუშირვანმა ჯარი მიუსია და უბრძანა ისრებით შეიარაღებულებს ქალაქის კედლები დაენგრიათ. მართლაც მალე ისარი მოარტყეს თვით პეტრას გამგეს — იოანე ციბუსს, და კედლიც გატეხეს. შეშინებული ბერძნის ჯარები დაემორჩილნენ სპარსელებს. ქასრემ იშოვა ციხეში დიდ-ძალი განძეული. თავის ჯარები ჩააყენა პეტრაში და სახჭარად წავიდა სპარსეთს, რომელსაც დასავლეთის მხრით დაეცნენ ბერძნების ჯარები. ბერძნების აქ და სპარსელების ლაზიკაში გამარჯვებამ ჩაჩოაგდო მათ შუა ზავი 545 წ. 4 წლის ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაზიკაში ქასრეს ბრძანებით მოგვები ბეჯითად ავრცელებდნენ ცეცხლ-თაყვანის-მცემლობას. მაგრამ ხალხი ძალიან უგულოდ ეკიდებოდა მოგვების სწავლას, ხოლო ქრისტიანობას უფრო მოწიწებით ითვისებდა. ამისათვის ქასრემ გადასწყვიტა, რომ მოეკლა გუბაძე და ხალხი გადაესახლებინა თავის ვრცელ სამეფოის სხვა-და-სხვა ადგილებში; შავი ზღვის პირებზე-კი ახალშენების გამართვა უნდოდა. გუბაძემ ძალე გაუგო განზრახვა. სინანულით შეეხვეწა იუსტინიანეს, ეპატიებინა მისთვის დანაშაულობანი, და მოშველებოდა. იმპერატორმა მოაშველა 7,000 მეომარი ბერძენი და 1000 ზანგი და გამოუგზავნა ფული დასაქირავებლად მეშველ ჯარისა ალანიდგან.

549 წ. ბერძნები შემოერტყნენ ციხე პეტრას, რომელიც ძალიან გაემაგრებინათ სპარსელებს. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ პეტრა აღებულ იქმნა 551 წელს. სპარსელების ჯარი ორ რაზმად გაიყო. ერთმა დაიპყრო ათხაზეთი და წებელდა. ეს რაზმი ხალხმა დიდხანს არ აბოგინა და დას-დასად გაწყვიტა. მეორე რაზმი მერმერეის წინამძღოლობით რიონზე გადავიდა და ძველ-სენაკისკენ წავიდა. აქ ბერძნებსაც ჰყვანდათ დაყენებული თავისი ჯარები.

ლაზებმა დაანგრიეს შორაპნის, კარციხის და სკანდის სიმაგრეები, რომ სპარსელები ვერ გამაგრებულიყვნენ მათში. მერმერეი წავიდა და სკანდა აიღო, გაამაგრა და შიგ ჯარები ჩააყენა.

მერმერეის უნდოდა ბერძნების ბანაკი აეღო, მაგრამ ის სრულიად დატოვებული დახვდა. აქედგან დაბრუნდა იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველ-სენაგში და იქიდგან მაგიდა ქუთაისს ზამთრის სატარებლად. ამან სულ-ასლად გაამაგრა ქუთაისი და შორაპანი, და 554 წლამდე თითქმის მთელი იმერეთი დაიპყრო. გუბაძე იმალებოდა მთებში და არ ეკარებოდა სპარსელებს. 554 წ. ავად-ყოფი მერმერეი მოიყვანეს მცხეთაში, სადაც ის მოკვდა. ქასრემ ამის მოადგილედ დანიშნა ნაკორაგანი. ამის წინამძღოლობის დროს ყოველთვის მარცხდებოდნენ სპარსელები, ბოლოს ბერძნებმა ერთს შეტაკებაში წაართვეს ნოკორაგანს 10,000 კაცი ლ თითონაც ძლივ-ძლივობით გაიქცა.

ამდენმა უბედურებამ, ჯარების უნაყოფო შრომამ ლ სისხლის ღვრამ ქასრე დაარწმუნა, რომ ვერას გასდებოდა, რადგან თვით ადგილობრივი სალხი საშინლად ეწინააღმდეგებოდა სპარსელებს. ამის გამო ამ ქვეყნების დაპყრობას უგულოდ ეკიდებოდა. ამით ისარგებლეს ბერძნებმა, რომელთაც მოინდომეს სრულიად დაეპყრათ ლაზიკა. ალსასრულებლად თვისის განზრახვისა ბერძნებმა მოჰკლეს გუბაძე,—რომ სპარსელებთან შერიგების შემდეგ შემტილებელი არა ჩყოლოდათ. მართლაც 561 წელს იუსტინიანე და ქასრე შერიგდნენ. ამ შერიგების ძალით საქართველოს მიეცა თავისუფლება რაგორც ვაჭრობის მხრით, ისე სჯულისა; გარდა ამისა ლაზიკა სრულიად განთავისუფლდა სპარსელების გავლენისაგან ლ გადავიდა ბერძნების ხელში; სპარსეთის მეფეს დარჩა მხოლოდ დარიალის ყელი. ამას გარდა ქასრემ იუსტინიანესაგან მიიღო წლიური შემოსავალი მთელის იმპერიისა,—ოც-და-ათი-ათასი ოქროს ზოდი (გუნდა, ნაჭერი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს დიდი სანი იყო სწყურდა სჯულისა და კაჭრობის თავისუფლება. ეს თავისუფლება მიენიჭა იუსტინიანეს და ქასრეს ზავის ძალით. იუსტინიანეს ამ წყალობისათვის დიდ პატივსა სცემდნენ ქართველები. მაგრამ იგი სხვათრივეც პატივსაცემი შეიქმნა, რადგან ნება მისცა ქართველებს, რომ ქათალიკოზი ამის შემდეგ ამოერჩიათ ქართველთაგანვე და არა ბერძენთაგან, როგორც აქამდე იყო. თავის გავლენის დასამტკიცებლად იუსტინიანე უფრაგებდა გავლენიან პირებს: ქსნის და არაგვის ერისთავებმა მიიღეს საპატიო ტანისამოსი. სხვათა შორის მან დაიპყრო ათხაზეთი და აგრ ბიჭვინტის დიდი ტაძარი, რომელიც აენამდის არსებობს, აგრეთვე ჩერქეზეთში ქრისტიანობა გაავრცელა.

577 წელს საქართველო კიდეც ჩავარდა სპარსეთის ხელში. იუსტინიანეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა უნიჭო იუსტინე II, რომელმაც ჩვენი ქვეყანა დაუთმო ქასრეს. 588 წელს მოკვდა ბაკური და დასტოვა ორი მცირე წლოვანი შვილი. ბურთი და მოედანი დარჩა ქასრეს მოადგილეს, ორმუზდს, რომელმაც საქართველოში გამოგზავნა შვილი თვისი ამბარგეზი. ამას, მამის ბრძანების ძალით, უმეფობოდ უნდა დაეტოვებინა საქართველო და ცდილიყო უთანხმოება ჩამოეგდო საქართველოს სხვა-დასხვა ნაწილებ შორის. ამის გულისათვის ამბარგეზმა დაამტკიცა ერისთვების უფლებანი და უბრძანა, რომ არაგვის დამორჩილებოდნენ, გარდა სპარსეთის მეფისა, რომლისთვის უნდა ეძღვნათ ხარკი.

უმეფობა საქართველოში გაგრძელდა იმ დროამდე, მინამ სპარსეთს არ შეესივნენ თურქმენის ელები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერძნები. მაშინ ამბარვეზმა დასტოვა საქართველო და წავიდა მამის საშველად. ამით ისარგებლეს ქართველებმა და 586 წელს სთხოვეს იმპერატორს მაურიკეს, რომ დაენიშნა მათთვის მეფედ ერთი ვინმე ჩამომავალთაგანი ვახტანგ-მეფისა. იმპერატორმა აღუსრულა მათ სურვილი: საქართველოს მეფედ დასვა კლარჯეთისა და ჯავახეთის მმართველი (კურატპალატი) გურამი, შვილის-შვილი ვახტანგისა.

ბაგრატოვანთ შთამომავლობა

მეფობა გურამისა. (575—600 წ.)

ბაგრატოვანები ანუ ბაგრატიდები ჩამომავლობენ ურიების მეფის დავითისაგან. ბაგრატოვანთა წინაპარნი, ურიათა გადასახლების დროს, შემოვიდნენ საქართველოში და აქ გამრავლდნენ და გაძლიერდნენ. ბოლოს მიიღეს ქრისტიანობაც. მეექვსე საუკუნეში ერთმა მათაგანმა (გურამმა) შეირთო ვახტანგ-გორგასლის ასულის წული. ამ ნათესაობის წყალობით იგი გახდა კლარჯეთის და ჯავახეთის მმართველად. გურამი, რომელიც დაადგინეს საქართველოს მეფედ, გახდა მოთავედ ბ ა გ რ ა ტ ო ვ ა ნ თ გ ვ ა რ ი ს ა. *)

---

*) ეს არის მიზეზი, რომ ბაგრატოვანთ საგვარეულო ღერბზე გამოხატულია შურდული, რომლითაც მეფე დავითმა მოჰკლა გოლიათი, დავითის ქნარი, სასწორი და კვართი უფლისა, რომელიც მოტანილ იქმნა საქართველოში. ღერბის გარეშემო წარწერაა დავითის ფსალმუნისა: „ეფუცა უფალი და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამის მეფობის პირველ ყამს კახეთი ორად გაიყო: მარცხენა მხარე ალაზნისა, ვიდრე კავკასიონის მთებამდე, მიეცა ბაკურ მესამის შვილებს, მარჯვენა კი (ქიზიყი ანუ კამბეჩოვანი) წაერთვა სპარსეთის მმართველს და მიეცა გურამის ძმებს.

გურამმა რომ საქმეები მოარიგა კახეთში, იმპერატორმა გამოუგზავნა მას დიდ-ძალი ფული და სთხოვა, დაქირავებინა მთიული ხალხი, მასთან შეეერთებინა ქართველთა ჯარი და შეჭსეოდა სპარსეთს. გურამმა მოიწვია ოსები, ძურძუკები, დიდოელები და წავიდა ადირბეჟანის მხარეს. გაოხრეს ეს ქვეყანა და სპარსეთს თავზარი დასცეს. მაგრამ მალე ბარამ-ჩუბინმა სრულიად დაამარცხა ოსმალოს ჯარები, მერე მოვიდა და შეება ქართველებს, რომელნიც აგრეთვე დაამარცხა. ქართველები უკან მოიქცნენ. სპარსეთში ჩამოვარდა უთანხმობა და შინაური შფოთი, რომელიც დაბოლოვდა მით, რომ იმპერატორ მაგრიკემ მიიღო მონაწილეობა მის დამშვიდებაში, რის გამო საქართველო ხელ-ახლა გადავიდა იმპერატორის მფარველობის ქვეშ.

გურამის მეფობაში დასრულდა შენება თბილისის სიონისა და დაიდვა საფუძველი მცხეთის ჯვარის ეკლესიისა—იქ, სადაც პირველად მირიან მეფის დროს დასდგეს ჯვარი. გურამისვე მეფობაში აღუკვდა თბილისი. გურამი მოკვდა 600 წელს და გამეფდა უფროსი შვილი მისი—სტეფანოზი I.

ეროვ. ბიბ. 222.

ვითს ჰეშმარიტებითა, და არა შეურაცხ-ჰყოს იგი: ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენთა". (131. 11).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტეფანოზ I (600—619 წ.)

ადარნასე I (619—639 წ.)

მავრიკეს უნდოდა ასალი წეს-განწყობილება შემოელო თავის ჯარში. ეს არ მოეწონა მის ჯარს. ვიღაც ფოკას წინამძღოლობით დაეცნენ კონსტანტინოპოლს, აიღეს ქალაქი და გაამეფეს ფოკა. ამან მოკლა მავრიკე. ფარვიზმა, სპარსეთის შაჰმა, გარდასწყიტა მაგიერის გარდახდა იმათთვის, ვინც ხელი შეახო მის ნათესავ სახლობას. სპარსელები შეესივნენ მცირე აზიას, გაანხრეს ეს მხარე, მერე სირია, ანტიოქია, იერუსალიმი აიღეს, შეეიდნენ არაბისტანში და ეგვიპტეში. ამ გამარჯვებებმა თავზარი დასცა იმპერიას და არავინ იცოდა, რით გათავდებოდა ეს ომები. მხოლოდ ირაკლი, ფოკას შემდეგ გამეფებული, იმედს არ ჭკარგავდა ჯ გულადად იყო.

საქართველოს მეფე სტეფანოზი კი ძალიან შეაშინა ფარვიზის გაძლიერებამ, რის გამო მან თავის ნებით გადასცა საქართველო სპარსელებს. სპარსელები შემოვიდნენ ამ ქვეყანაშიაც. ქრისტიან ხალხს გაუძნელდა ცხოვრება.

ამასობაში ფარვიზი მიადგა კონსტანტინოპოლესაც. ირაკლი, რომ მისთვის თვალები აება, ჯერ შეურიგდა ჯ მერე, ორი წლის განმავლობის შემდეგ, მოიწვია კავკასიის ხალხი და თითონ დაეცა მას.

ქართველების გულის მოსაგებლად ირაკლიმ წინათვე, სტეფანოზის მაგიერ, დანიშნა მეფედ ბაგურ III-ს შვილი ადარნასე (სასანიდის გვარისა), ათხაზეთის მმართველს ლეონს აჩუქა ქალაქი ნიკოფსია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

622 და 623 წლების განმავლობაში ირაკლიმ აიღო სომხეთი, ადირბეჟანი და შირვანი. 624 წ. შიგ შუა სპარსეთში უნდოდა წასვლა, მაგრამ დაღალული ქართველები არ გაჰყვნენ.

იმავე დროს სპარსელებს დარუბანიდგან შემოესივნენ ქაზარეველნი და გაუოხრეს ქვეყანა. ირაკლიმ შემოიერთა ესენი და დაეცა თბილისს, რომელშიაც სპარსელების ჯარით გამაგრებული იყო სტეფანოზი, აიღო ქალაქი *) კალის გარდა, კალას შემოარტყა ჯარები ადარნასეს წინამძღოლობით და თითონ შეესია სპარსეთს. გაიარა საქართველოს მიწები: გარდაბანი, ბერდუჯი და ლალი. ააშენა აქ მრავალი ეკკლესიები. ხალხი და მმართველი ბერდუჯისა კარაზგაგელი სომხის გრიგორიანის სჯულიდგან მართლ-მადიდებელ ქრისტიანობაზე მოაქცია.

ადარნასემ აიღო კალა და დაატუვეკა ჯარის უფროსი, გაატყავა იგი და გაუგზავნა ირაკლის, რომელიც მაშინ იყო კარაზ გაგელისას. ამ ნაირადვე დასაჯეს სტეფანოზი და ძისი შომხრენი. სტეფანოზის შვილები გაიქცნენ და დაიმალნენ კლარჯეთის მთებში, ადარნასე კი დაუბრკოლებლად აკიდა თავის მამა-პაპეულს ტახტზე. ბერძნებს დარჩათ შავი ზღვის ნაპირები და კლარჯეთის ერთი ნაწილი.

629 წელში ირაკლიმ სპარსეთიდგან ისევ საქართველოში დაბრუნდა, აქედგან განდევნა უკელა ცეცხლ-

---

*) ირაკლის რომ გაუძნელდა თბილისის ციხის აღება, მაშინ ციხის თავმა დასცინა: წვერი თხისა გაქვსო და კისერი ვაცისა. ირაკლიმ მიუგო: „ვაცი დასავლეთისა შეუმუსრავს რქასა ვერძსა აღმოსავლეთისასა.“

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაუვანის მტემლები და წავიდა სუბერძნეთში.

სტეფანოზ I და მისმა ძმამ დიმიტრიმ ააშენეს ჯვრის ეკეკლესია მცხეთის ზირდაზირ გორის წვერზე. ორნიეე ეს მოღვაწენი ჭსტიან ამ ტაძრის კედელზე. სტეფანოზის მიერ მოჭრილ ფულს აწერია **ԵՐԿՊՔԽ.**

ადარნასეს მეტადინეობით წესად დაიდო, რომ ქართველთ კათალიკოზის კურთხევა ამის შემდეგ მომხდარიყო საქართველოშიეე და არა ანტიოქიაში, როგორც აქამდე იყო. ადარნასე მოკვდა 639 წ. გამეფდა მისი შვილი სტეფანოზი II.

არაბნი და მეფენი მირ და არჩილ II.
(663—718 წ..)

ალლახის მოტიქული მაჭმადი, უდიდესი (თ:თრების ისტორიის მოწმობით) ყველა მოტიქულებზე, გახდა მეშვიდე საუკუნის დასაწყისში მფლობელად მთელის არაბისტანისა, რომლის გაფართოება და გადიდება მოინდომა, მაგრამ სიკვდილმა (632 წ.) ადარ დაატალა. ხალიფებმა (აბუბეკრ და ომარ), მაჭმადის სიკდილის შემდეგ, გააგრძელეს მაჭმადიანობა და გაამლიერეს არაბისტანი.

არაბების გაძლიერების მიზეზად, უმთავრესად, შეიქმნა სპარსეთის დასუსტება იმპერატორის ირაკლის ომების შემდეგ. სპარსეთში დიდხანს ჭსუფევდა შფოთი და უთანხმება. ჭხოცავდნენ ზედი-ზედ მეფეებს და ახალ პირებს ამეფებდნენ. გარდა იმისა რომ, ირაკლისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან წახდენილ—დასუსტებული იყო ეს ქვეყანა, თვით ირაკლიც, მრავალი ომებისაგან დამაშვრალი, ყურს არ უგდებდა არაბისტანის საქმეებს. ამით ისარგებლეს არაბებმა. აბუბეკრის ბრძანებით არაბების ჯარების უფროსი ქალედი შეკიდა სპარსეთში, დაიპყრო ირანი და ეფრატის ხეობა. ჯარების მეორე ნახევარი შეკიდა სირიაში და დაიჭირა ურიასტანის მრავალი ქალაქები, სხვათა შორის იერუსალიმიც. მერე არაბები შემოვიდნენ ტიგროსის ხეობაში და აქედგან სომხეთში. მოხდა საშინელი ბრძოლა. სომხები დამარცხდნენ და ხალხს შიშის ზარი დაეცა. არაბთ დაიპყრეს სომხეთი და არეზის ხეობა (639 წ.). 642 წ. დაიპყრეს აგრეთვე შირვანი. ჯერი მოადგა საქართველოსაც.

არაბების გამარჯვებამ შეაშინა ქართველი ხალხიც. ყველანი მოლოდნენ საშინელ აკლება-აწიოკებას და ამისთვის ყოველი კაცი მიეშურებოდა მთებისკენ და შეუვალ ადგილებში მალავდა თავის ქონებას, ავეჯეულობას.

663 წლიდგან მოკიდებული საქართველოში მეფობდნენ მირი და არჩილი, შვილები სტეფანოზისა—პირველი დასავლეთ საქართველოში, მეორე აღმოსავლეთისაში. მალე არჩილიც გაიქცა დასავლეთ საქართველოს—სამეგრელოში, ოავის ძმასთან, რადგან ეშინოდა განძვინებულ არაბებისა. მირვანის (ესეც ცნობილია ჩვენს ისტორიაში მურვან ყრუდ) წინამძღოლობით არაბნი შემოესივნენ საქართველოს, განვლეს დარიალის ულამდის, დაიპყრეს ეს სიმაგრე და მერე განვლეს ქართლი, სამცხე და მიადგნენ არგვეთს, სადაც დახვდა მათ ქართველთ მოწინავე ჯარი ორთა ძმათ—დავით და კოსტანტინეს წინამძღოლობით. თუმცა მოწინავე ჯარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაბებისა დამარცხდა, მაგრამ ამან უფრო გაანაწყენა მურვან, რომელიც ოჯოლის თავის ძალით იერიშით მიეიდა არგვეთზე. ქართველები მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ რას გაიტანდნენ ურიცხვ მტრის რაზმებთან. არაბებმა გაიმარჯვეს და დაატყვევეს თვით ქართველთ ჯარების წინამძღოლები. სულ-შეკრულნი დავით და კოსტანტინე წარუდგინეს მურვანს, რომელმაც ჯერ აწვალა იგინი და მერე ჩაჭყარა ტბაში (ზოგიერთნი ამბობენ მდინარე რიონშიო *).

მურვანს უნდოდა დაატყვევებინა თვით მეფენი. ამისთვის იმან გაიარა მთელი იმერეთი და გადავიდა ათხაზეთში. გაიგო თუ არა, რომ მირი და არჩილი იმალებოდნენ ანაკოფიაში, იმან შემოარტყა ჯარები ამ ქალაქს. მეფეებს ჰყავდათ ქალაქში 2000 ათხაზი და 1,000 ქართველი. გამაგრებული ქალაქი წვიმებისა და ნიადგრებისა გამო ვერ აიღო მურვანმა ლ ზღვის პირპირ წავიდა სამხრეთისკენ. ბევრის წვალების და ვაი-ვაგლახის შემდეგ მურვანი გავიდა საქართველოდგან, მაგრამ ვაი ამისთანა გასვლას: არც ერთი შენობა დაუზიანებელი და დაუმხობელი არ დაანარჩუნა საქართველოში. მთელი ჩვენი ქვეყანა არაბების მოხარკედ გახდა.

არაბების შემოსევამ სრულიად დაამხო საქართველოში კერპთ თაყვანის მცემლობა. მათ დაანგრიეს ჩვენი კერპები, დეკნა დაუწყეს მოგვებს და ცეცხლ თაყვა-

*) ძმათა დავით და კოსტანტინეს საქართველოს ეკლესია აღიარებს წმიდანებად და ამ წმიდანების სახელობაზე აშენებულია მოწამეთის ეკლესია, რომელიც ქუთაისს შორავს ექვსის ვერსით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მცემლებს. ამისთანავე დღე დაუდგათ აგრეთვე სპარსელების ქადაგთაც. საშინელ დევნის გამო ცეცხლ თაყვანის მცემლობის მტკიცედ მაღვიარებელნი მიიოტოდნენ ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში. ამ ნაირად მთელ სპარსეთს მიაღებინეს მაჰმადის სჯული.

ამ დროინდელი შინაური მდგომარეობა ქართველ ხალხისა მოკლედ არის გადმოცემული. მაშინ ქართველებს ჰქონდათ საკუთარი ფული, საკრავები და საომარი იარაღები: ბუკი, დაფდაფი, შურდული, ლახვარი, ხმალი და ფარ-ხმალი. ქართველების საცმელი იყო: ახალუხი, გრძელ სახელებიანი ჩოხა, ლაფჩინები (წაღები) მაღალ ქუსლებიანი და გრძელ ჭვინტებიანი, აგრეთვე ქალამანი.

მაშინდელ ჩვეულებათაგან აქამდე დარჩომილა იმ დროინდელი „ჭია-კოკონა“, რომელიც იტიან ჩვენში დიდ მარხვის უკანასკნელ კვირის ოთხშაბათ საღამოს. ამ ჩვეულებით ქრისტიანი ხალხი გამოჰსატავს ცეცხლ-თაყვანის მცემლობის დაცინვას.

მირი მოკვდა მაშინ, როდესაც მურვანი შემოერტყა ანაკოფიას. მეფედ გახდა არჩილი. მირის ანდერძის მიხედვით არჩილმა გაათხოვა თვისი ძმისწულები — რვა ქალიშვილი. სხვათა შორის ერთი მათგან მიათხოვა ათხაზეთის მთავარს, რომლის შემწეობითაც დაიბურო და დაუშვიდა შავი ზღვის ნაპირა ხალხები. ამის შემ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგ ადგილად დაიმორჩილა და დაამშვიდა: სამცხეჯავახეთი, კახეთი და დაღისტანი. ყველგან აშენებდა ეკეკლესიებს და ავრცელებდა ქრისტიანობას. მაგრამ არჩილს დიდხანს არ დასცალდა მშვიდობიანი მოღვაწეობა საყვარელ სამშობლოსთვის. მურვანის შემდეგ საქართველოს კიდევ შემოესია არაბის ხალხი ჭიჭუმ აზიმის წინაძღოლობით. ჩვენი ხალხი კიდევ შეირყა, სად შეეძლო წინ დასდგომოდა მტერს. ზირველ აოხრებისაგანაც ჯერ სული ვერ მოებრუნებინა. მეფე, ერისთავები და მთელი ხალხი შეშინდნენ. არჩილს უნდოდა თვისი ერი გადარჩინა განსაცდელისაგან. იგი თავის ნებით წავიდა ჭიჭუმის ბანაკში ერთგულობის გამოსაცხადებლად. აზიმი დაჭირდა ქვეყანას არ გაგიოხრებო, თუ შენი ხალხი მაჭმადის სჯულს მიიღებსო. ეს წინადადება არჩილმა უარ ჰყო. მაშინ აზიმმა სთხოვა, რომ შენ თითონ გამაჭმადიანდიო. არც ეს ჰქმნა არჩილმა. აზიმმა ჩაგდო არჩილი საპყრობილეში და ძალად უნდოდა მიეღებინებინა მაჭმადის სჯული. მაგრამ ვერც ამან გასჯრა: მეფე მტკიცედ იდგა თავის სარწმუნოებაზე. აზიმმა მოაკვლევინა იგი და საშინლად აოხრა საქართველო. მეფის გვამი იპოვნეს ქართველებმა. მისმა მეუღლემ ქმრის გვამი დაასაფლავა სოფელ ნოტკორას (ერწოშია) ეკეკლესიაში. საქართველოს ეკეკლესიამ ეს მეფე წმიდათა შორის შერაცხა.

ამ ნაირად ისეც დასუსტებული და ძალ-გამოლეული ქვეყანა უარესს მდგომარეობაში ჩავარდა. საქართველოს დასუსტების ერთი მიზეზთაგანი იყო აგრეთვე საქართველოს ორად განაწილება არჩილის შვილებ შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ოსნე და ჯუანშერ). ამისთანა უბედურებას ზედ მოჰყვა კიდევ ერთი უბედურებაც — ჩრდილოეთის მხრიდგან შემოესივნენ საქართველოს ქაზარეველნი. ქაზარების შემოსევის მიზეზად შეიქმნა ის გარემოება, რომ მეფეებმა თავისი და შუშანა არ მიათხოვეს ქაზარების მმართველს (ხაკანს). ხაყანმა გამოგზავნა თავისი ჯარი, რომელსაც უნდოდა ძალად წაეყვანა მეფეთა და. ქაზარები დაღისტნიდგან გადმოვიდნენ კახეთს, დაარბიეს ჩელეთი, წუგეთი, ველის-ციხე, თიანეთი, ერწო, თბილისი და სხვა ადგილები. ჯუანშერი და შუშანა ტყვეთ წაიყვანეს დარიალის ყელიდგან, მაგრამ შუშანმა ვერ გაუძლო უბედურებას და შხამი მიიღო.

ამგვარი შავ-ბნელი დღეების მგლოვიარე თბილისი არაბებმა აიღეს, აქ დასვეს თავისი მმართველები და დაადვეს ალმოსავლეთ საქართველოს ხარკი.

ჯუანშერი ტყვეობაში დარჩა შვიდ წელიწადს და მერე დიდის საჩუქრებით ხაკანისაგან განთავისუფლებული დაბრუნდა საქართველოში. ამის შემდეგ ჯუანშერს დიდი გავლენა ალარ ჰქონდა თავისს სამეფოს ბედ-იღბალზე.

საქართველოს დასავლეთის მხარე სრულიად დაემორჩილა ათხაზეთის მეფეს ლეონ II-ს.

ამ დროიდის ათხაზეთი იყო ბერძნების იმპერატორების დამოკიდებულების ქვეშ, თუმცა იგი ძველადგანვე შეადგენდა საქართველოს სამეფოს ნაწილს. ლეონ II-მ ცოლად შეირთო ხაყანის ქალი ს სიმამრის შემწეობით განდევნა ბერძნები და გამეფდა. მერე დაიმორჩილა სამეგრელო, იმერეთი, რაჭა, სვანეთი, გურია და ყველა ეს ადგილები რვა საერისთოდ გაჰყო, სახელდობრ: 1, ათხაზეთი; 2, ცხუმი (ენგურიდგან ალანამდე); 3, ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დია (ენგურიდგან ცხენისწყლამდე); 4 — გურია; 5, რაჭა; 6, ლეჩხუმი; 7 სვანეთი; 8 ცხენისწყლიდგან სურამის მთებამდე რიონის ხეობის გაყოლება. თვისი ტახტი გადმოიტანა ქუთაისს. უველა ამ რვა საერისთოს დაერქვა «სამეფო ათხაზეთისა.»

იოანნე მალე მოკვდა, მოკვდა აგრეთვე ამის ძმა — ჯუანშერ. მეფობა ჯუანშერის ტოლის ძმას — ათოტ ბაგრატოვანს დარჩა. ამ გვარად დასრულდა სასსანიდების გვარის მეფობა საქართველოში.

ჯუანშერის მიერ მოჭრილ ფულს ხუცურად აწერია Ꭾ — Ꭹ (ჯუანშერ).

ათოტ დიდი.

(787—826 წ.)

ათოტის დროს თბილისს ფლობდნენ არაბნი. დიდი გაკლენა ჰქონდა ათოტს სამცხეში და ითვლებოდა მის მმართველად. ჯუანშერის სიკვდილის შემდეგ ათოტი გახდა მეფედ (787 წელს). 23 წლის განმავლობაში ათოტმა იბრძოლა შინაურ და გარეშე მტრების წინააღმდეგ და საქართველოს შესაერთებლად. მაგრამ მინამ ათოტი აღასრულებდა თავის წადილს, 790 წ. ერთმა თავადმა გამოაცხადა თავისი თავი დამოუკიდებელ მმართველად კახეთისა და გახდა მთავრად ამ ქვეყნისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაურ შფოთისა და არეულობის გამო არაბების ჯარების უმეტესი ნაწილი არაბეთს დაბრუნდა. ამ დროს აშოტმა მიათხოვა თავისი ქალი ათეხაზეთის მეფეს თადეოზ I-ს, შვილს ლეონ II-სას, და მერე სიძის შემწეობით შეესია ქართლს. გრიგოლმა — კახეთის მმართველმა, მიიწვია ლეკები და შეუერთდა თბილისის ემირს ალიას. ესენი ქსანზე დაუხვდნენ აშოტს, რომელმაც დაამარცხა იგინი და ქართლიდგან განდევნა. მაგრამ მალე ალიას და სომხეთის ემირის ხალიფას ჯარებმა დაამარცხეს აშოტი და განაძევეს ქართლიდგან.

ამის შემდეგ კი ხანს დარჩა აშოტი სამცხე-ჯავახეთში. აქ ის აშენებდა ეკლესიებს და დანგრეულ ქალაქებს. სხვათა შორის გაამაგრა კახტანგ გორგასალის დროინდელი ციხე არდანუჯი, ამ ქალაქის ციხეში აგო ტაძარი პეტრე-პავლესი და სასაფლაო თვისი. ბოლოს ბედმაც გაუღიმა და დაიპყრო მთელი ქართლი, მაგრამ არაბები მოსვენებას მაინც არ აძლევდნენ და 826 წ. მოულოდნელად დაეცნენ მას ნიგალის ხეობაში და შიგ პეტრე-პავლეს ეკლესიაში მოჰკლეს. ალია გახდა ემირად ქართლისა და სამცხე-ჯავახეთისა აშოტის შვილებს ხარკი უნდა ეძლიათ მისთვის.

872 წ. მოკვდა კახეთის მმართველი გრიგოლ, რომელსაც აწერენ აშენებას ქალაქის თელავისას ციგოომბორის მთის კალთაზე. გრიგოლის შემდეგ ხალხმა მმართველად დასვა დაჩი, იოანე ქობულიძის შვილი. დაჩი ჭმართავდა კახეთს 12 წელიწადს. 839 წელს მოკვდა იგი და კახეთში მმართველად გახდა სამუელ დონაური. ამასობაში კახეთს დაეცა ხალიფა, სომხეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემირი, მაგრამ სოფ. გავაზთან დამარცხებულიყო. ეს-
იქცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ესვე ხალიფა შემოესია
ქართლს, მაგრამ ჯავახეთში მოკლულ იქმნა. ამის
შვილმა, მაჭმადმა განიზრახა ჯავრის ამოყრა და წავიდა
ქართლისკენ. მას მიეშველა აშოტის მეორე შვილი—ბაგ-
რატი, რის გამო მაჭმადმა მისცა მას ქართლი.

ამავე დროს ათხაზეთი მოსვენებაში არ იყო. ბერძ-
ნები ხშირად ეცემოდნენ მას. 831 წელს ბერძნები შეე-
სივნენ ათხაზებს, მაგრამ ვერა გაუწყეს-რა. მაშინ ათ-
ხაზთა მეფედ იყო თადეოზი, რომელსაც ძალიან უყ-
ვარდა ქრისტიანობა. ამ მეფეს ეკუთვინის დაბა ხონის
და იქაური სობორის აშენება.

ბაგრატ აშოტის ძე.

(826—876)

მაჭმადს ბაგრატის გამეფება უნდოდა, ამიტომ
დიდძალის ჯარით შეკიდა ქართლში, იერიშით აიღო
უფლის ციხე და სოფელ რეხის ახლოს შეებრძოლა
თბილისის ემირის სააკის ჯარებს. ფიცხელი ბრძოლის
შემდეგ მაჭმადი იძულებულ იქმნა დაეტოვებინა ქართლი
და არანს შეჭსოდა.

რამდენიმე წლის შემდეგ თბილისს შემოერტყა ბუ-
ღა, თურქთა ჯარის უფროსი, კაცი უდიერი და სისხ-
ლის მსმელი, რომელმაც სომხეთში და ადირ-ბეჟანში
გაულიტა 80,000 კაცი. ბაგრატი მიემხრო ამას. ბუღამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციხე ქალაქი, სააკი მაშინათვე ჩამოასრჩო, გადასწვა ქალაქი და გაანთხრა გარეშემო მდებარე ადგილები. საქართველოს საზარების შემოსევის შემდეგ ამისთანა ალხრება და განადგურება არა სწვეოდათ.

ათასზეთის მეფე თადეოზმა განიზრახა ბულას წინააღმდეგობა. ამისთვის ის შეუერთდა ქართველებს და კვერცხობის ასლოს დაებანაკა. ბულამ გაგზავნა მის წინააღმდეგ თავისი ჯარები ზაქარიას და ბაგრატის წინამძღოლობით. თადეოზი დამარცხდა და დავლეთიდგან გადავიდა რაჭაში და იქიდგან შინ დაბრუნდა.

ბულამ ქართლის ალხრების შემდეგ მოინდომა ოსეთის დაპყრობა, რის გამო ის კიდეც წავიდა ჭართალ-ცხოვათამდე და ოსებს გამოართვა 300 ამანათი, მაგრამ ამ დროს ბაგრატის ძმამ—გურამმა და სომხეთის მმართველ აბულაბასმა სთხოვეს ოსებს, რომ მტრისთვის გზა შეეკრათ, თვითონაც თავის მხრით შემწობა აღუთქვეს. ოსები გაგულისდნენ, შეერთდნენ და ერთ ვიწრო ღელეში შეეტაკნენ მტერს. ბოლოს დიდად დაზარელებული ბულა უკან მოიქცა, არანში შეიდა და იქიდგან კახეთს შეესია. აქ ამ დროს მმართველად იყო გაბრიელ დონაური.

ზათვსულში სელმეორედ უნდოდა ბულას ოსეთზე წასვლა, მაგრამ არაბისტანიდგან ბრძანება მოუვიდა, რომ თბილისის ემირობა მიეცა მაჭმადისათვის და თვითონ დაბრუნებულიყო. უკელა ეს ამბები მოხდა 854 წ.—861 წლამდე. საქართველოში ამის წასვლის შემდეგ დროებით ჩამოვარდა მშვიდობიანობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

876 წ. რომ მოკვდა ბაგრატ I, გიორგი I, მეფე ათხაზეთისა, შემოვიდა ქართლს, დაიბუნა ეს ქვეყანა და ერისთავობა მისცა დიმიტრის შვილს—ტინენს. მაგრამ გიორგი რომ მოკვდა და გამეფდა შვილი ამისი იოანე, დედა მისმა მოაკვლევინა ტინენი და ტინენის ძმა—ბაგრატი ზღვაში ჩააგდებინა, რადგან არ უნდოდა რომ კისმე სხვას ჭონოდა წილი ათხაზეთის სამეფოს მმართველობაში. ბაგრატი ვილაც მეტიკეებმა იშოვნეს და კონსტანტინოპოლს წაიყვანეს.

აშოტის მემკვიდრენი.

(876—980 წ.)

876 წ. ბაგრატი გარდაიცვალა და მისი შვილი—დავით I გამეფდა. ამის ბიძის გურამის შვილს ნასრს არ უნდოდა, დავითს რგებოდა ქართლი; ამიტომ ათხაზეთის მეფის იოანნეს მხარე დაიჭირა. მაგრამ 879 წ. იოანნე რომ გარდაიცვალა, ათხაზებმა მიატოვეს ნასრი. მიუხედავად ამისა ნასრმა ცბიერება იხმარა და მოჭრა დავითი 881 წელს. ამ შემთხვევამ აღელვა ყველა მოკეთენი დავითისა. მთელი ქართლი, სომხეთი, თბილისის არაბები შეიყარნენ და დავითის მოადგილედ დასვეს შვილი მისი ადარნასე II. ნასრი გაიქცა კონსტანტინოპოლს.

აქაც გულმა არ გაუძლო. ზემორე ხსენებული ტი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენის ძმა ბაგრატი ნასრმა შეაგულიანა და ურჩია ტაბ-ტი წაერთმია ათაბაგეთის მეფის ადარნასესათვის (ეს იყო შვილი იოანესი). ბაგრატმა ითხოვა იმპერატორისაგან ჯარები და გემები და მოადგა ათაბაგეთს, დაიმორჩილა ეს ქვეყანა, მოჭკლა ადარნასე, გამეფდა თვითონ, გამოიწვია სტამბოლიდგან ნასრი და მისცა ჯარები ქართლის დასაპყრობად. ნასრი შეეიდა სამცხეში, აიღო ციხენი: ოძრხე, ჯავრის-ციხე და ლომსიანი. აქედგან ქვემო ქართლისკენ გამგზავრება უნდოდა, მაგრამ საქართველოს მეფე ადარნასემ დაასვედრა ქართლის და სომხითის ჯარები, დაამარცხა იგი და კიდეც მოჭკლა. ამ ნაირად გათავდა ეს ომი.

მაგრამ საქართველოში მშვიდობიანობა მაინც არ დამყარდა: კახეთის მმართველის გაბრიელ დონაურის მოადგილე თვადლამ დაიპყრო ბარდაბანი, რომელიც ეკუთნოდა ქართლს, ამიტომ ათაბაგეთის მეფე ბაგრატი შემოეიდა ქართლში. თვადლა მოკვდა 893 წ. და ბაგრატი 897 წელს. ამათი მოადგილენი გახდნენ: გეორგე I და ათაბაგეთის მეფე კონსტანტინე.

896 წელს სომხეთის მეფის სუმბატისაგან გაგზავნილი ადირბეჟანის მმართველი (ემირი) ავშანი (აბულ-კასიმი) შეეიდა სომხეთში, აოხრა იგი, მერე შემოესია საქართველოსაც. ქართლის ცხოვრების სიტყვით, ავშანი ბირველად მოადგა თბილისს, რომლის მმართველად მაშინ იყო ჯაფარი. აქედგან წაეიდა და უჯარმას შემოერტყა. უჯარმის მცველნი იყვნენ 300 მეომარნი. ამ ციხის აღებამ შეაშინა ციხე ბოჭორმის ჯარები, რომელნიც გაიქცნენ, მინამ მტერი მოეიდოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირიკემ იგრძნო, რომ ვერ მოერეოდა მძლავრ და ურიცხვ მტერს და ამიტომ მორჩილება გამოუცხადა მას. კახეთის დამარცხების შემდეგ ავშანმა გაიარა ქართლი, შეკიდა სომხეთში, ჯავახეთში და შემოერტყა ციხე თმოგვს, მაგრამ იგი ვერ აიღო ⁄ შემოერტყა მეორე ციხეს—ეგელს, რომლის აღების დროს წამებულ იქმნა გობრონი. *)

აქედგან ავშანი წავიდა ყარსში, სადაც ამ დროს იმალებდა სუმბატის (სომხეთის მეფის) სასლობა. აიღო ეს ქალაქი და დაატყვევა სუმბატის ცოლ-შვილი. სუმბატ იძულებულ იქმნა შერიგებოდა ავშანს, რომელსაც მზეკლად მისცა თავისი უფროსი შვილი.

ამის შემდეგ 904 წლამდე დამყარდა მშვიდობიანობა საქართველოში. მაგრამ ამ წელს ათხაზეთის მეფე—კოსტანტინე შეესია სუმბატის სამეფოს. ადარნასე მიეშველა სუმბატს და ორივემ დაამარცხეს კოსტანტინე და დაატყვევეს, მაგრამ მალე აპატიეს დანაშაულობა და გაანთავისუფლეს. სამწუხაროდ მალე უთანხმოება ჩამოვარდა ადარნასესა და სუმბატს შორის, რადგან ეს უკანასკნელი უფრო მეტს პატივს სცემდა კოსტანტინეს და არა ადარნასეს. ამან 907 წელს სომხების ზოგიერთ თავადებთან ერთად განიზრახა სუბატის დამარცხება. მაგრამ სუმბატმა გაიმარჯვა; ამათ შორის ზავი შეიკრა, რომლის ძალითაც ადარნასეს სუმბატისვის უნდა მიეცა სომხის თავადები, რომელთაც მიიღეს მოსაწი-

---

*) გობრონი (მიქელ) ქართველთ ეკკლესიამ წმიდათა შორის შერაცხა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობა ადარნასეს შეთქმულობაში.

ამ გვარ გამრჯეობით წაქეზებულ სუმბატმა გამოუცხადა ომი ადიერბეჟანის ემირს უსუფს. ომი გაგრძელდა 914 წლამდე. ბოლოს უსუფმა დაამარცხა იგი და მთელის სახლეულობით დაატყვევა, მოიყვანა დვინში და ჩამოახრჩო.

სომხეთი ჩავარდა სამწუხარო მდგომარეობაში: ყველა თავადები შებორკილებულ და ყმად წაყვანილ იქმნენ. მრავალი ქრისტიანი სომეხი გასწყვიტეს, რადგან მტკიცედ იდგნენ თავის სჯულზე, სოფლები, ქალაქები დაანგრიეს და აოხრეს.

915 წ. სუმბატის შვილი—აშოტი 600 თავ-განწირული მხედრით მოვიდა საქართველოში და სთხოვა ადარნასეს, რომ მისთვის სომხეთის სამეფო გვირგვინი ეკურთხა. სურვილი აღუსრულეს ადარნასემ და ათხაზეთის მეფემ. ამის შემდეგ აშოტი ყველგან, სადაც კი შეხვდებოდნენ არაბები, ჭხოტავდა და ულტავდა მათ. მაგრამ მაინც ვერაფერი გააწყო, რის გამო 920 წ. სომხეთის ქათალიკოზი იოანნე VI მოვიდა ადარნასესთან და სთხოვა შემწეობა. რადგან ადარნასე თვითონაც იყო შეკიწროებული და თვითონაც ეძიებდა შემწეობას და ჭფიქრობდა კონსტანტინოპოლში წასვლას შემწეობის სათხოვნელად, ამიტომ უარი უთხრა იოანნეს.

ამისთანა მდგომარეობაში იყო საქართველო და სომხეთი, როცა 623 წ. მოკვდა ადარნასე. *)

---

*) ამავე ხანში (არა უგვიანეს 918 წლისა) ერისთავთა ერისთავმა აშოტ კუხმა ააშენა დიდებული ტაძარი შავშეთს—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადარნასეს სიკვდილის შემდეგ გამეფდა ქართლში შვილი მისი სუმბატი I. ათხაზეთის მეფე გიორგი II, შვილი კონსტანტინე I-სა, შემოვიდა ქართლში, აიღო იგი და მეფედ დასვა შვილი თვისი კონსტანტინე. სუმბატს დარჩა მხოლოდ სამცხე, ტაო, ჯავახეთი, თრიალეთი, სამშვილდე, ხუნანის საერისთო, გარდაბანი, კლარჯეთი. კონსტანტინემ სამის წლის განმავლობაში ბევრჯელ გაიმარჯვა მტერზე და ამით იმედ მიცემულმა 926 წ. მოინდომა სრულიად გაეთავისუფლებინა ქართლის სამეფო ათხაზეთის სამეფოს დამოკიდებულებისაგან. გიორგიმ შეაგროვა დიდ-ძალი ჯარი და გაილაშქრა თავის შვილზე, რომელიც გამაგრდა უფლის-ციხეში. ბევრი სალხი დაიხოცა, მაგრამ გიორგიმ ვერა დაავლო რა შვილს. ბოლოს ხერხი იხმარა: გაუგზავნა წარჩინებულნი პირნი და თავისს მხედრობის პირით მოახსენა, რომ ვითომ ჯარს ჭსურს მისი გამეფება და მამისთვის ტახტის წართმევა, რის გამო საჭიროა იგი გამოეცხადოს ჯარს. უბედურმა კონსტანტინემ დაიჯერა ამ გავრი სიტყვე, დაჯდა ტიკზე და დამე გასცურა მამის ჯარებისკენ. რა წამს ათხაზებმა დაინახეს, მისი მოკვლა დააპირეს. მაგრამ კონსტანტინემ დროიანად გასცურა მეორე კიდემდის და სადღაც მიიმალა. მალე მიაგ-

---

ტბეთი, საცა ეპისკოპოსად დასვა სანატრელი სტეფანე, კაცი წმინდა და ფრიად განათლებული. მის ნაწერთაგან ზოგი ჩატანილია ეტრატის დიდს წიგნში—საგალობელში, რომელიც შედგენილია მეათე საუკუნეში. ამოტი გარდაიცვალა 918 წელს. თვით მეფე ადარნასემ ააშენა ბანას ეკკლესია ჭოროხის ხეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს მას და წარუდგინეს გიორგის, რომელმაც სიკვდილით დასჯა, მისი ადგილი კი მისცა თავისს მეორე შვილს, ლეონს.

929 წ. კახეთში კვირიკე II-ეს (ფადლას შვილი) დროს გარდაბანელებმა მიიწვიეს გიორგი და კახეთის მეფობა შეაძლიეს. გიორგი შევიდა კახეთში, დასწვა და დაანგრია ბევრი ადგილები. მაგრამ ზამთრის გასატარებლად დაბრუნდა ატენში, სადაც მიეიდა შეშინებული კვირიკე მორჩილების გამოსაცხადებლად. თუმცა მალე კიდევ გაიქცა, მაგრამ მაინც დაჭერილ იქმნა გიორგისაგან. გიორგი ხელ-ახლა შევიდა კახეთში. კვირიკეს ძმამ დაუთმო მას უკარმის ციხე და ზოგიერთი სხვა ადგილები. ბოჭორმა, ლოწობანი, და სხვ. კი არ ემორჩილებოდნენ. მაგრამ გიორგიმ უკანასკნელი ციხეებიც რომ აიღო, მაშინ კვირიკემ გამოუცხადა: დაგითმობ კახეთს, ოღონდ განმათავისუფლე და მომეცი ნება ზამთარი გავატარო ბოჭორმის ციხეში, გაზაფხულში კი გადავსახლდებიო. გიორგი დათანხმდა და ათხაზეთში დაბრუნდა. გაზაფხულზე კვირიკე არა თუ გადასახლდა კახეთიდგან, არამედ უარ-ყო თავისი ბიერობანი და ქართლის აზნაურების დახმარებით განდევნა ათხაზები და განთავისუფლა ციხეები.

კვირიკეს მოქმედებამ ძალიან შეაწუხა გიორგი, რომელმაც გამოგზავნა ახალი ჯარები თვისი შვილის ლეონის წინამძღოლობით კვირიკეს დასასჯელად. რა წამს ლეონი შემოვიდა კახეთში, მოუვიდა ამბავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესახებ მამის სიკვდილისა: სიჩქარეზედ დაბრუნდა ოსეთსა ზეთს, აღვიდა მამის ტახტზე, შეურიგდა კვირიკეს და დაუთმო მას კახეთი. ეს მოხდა 955 წელს.

სუმბატი მოკვდა 959 წელს, მას დარჩა შვილი, ბაგრატ II, რეგვენად წოდებული.

ლეონ III იმეფა 2 წელიწადს და მოკვდა 957 წელს, უშვილოდ. გამეფდა მისი ძმა დიმიტრი. ძმა ამისა თეოდოსი, რომელიც იყო გაგზავნილი კონსტანტინოპოლს სწავლის მისაღებად, დაბრუნდა იქიდგან სამცხეში. შეაგროვა ჯარები წინააღმდეგ ძმისა, მაგრამ დამარცხებულ იქმნა. თეოდოსი დაიმალა ქართლში ძამის ციხეში; მაგრამ სამ თვეს გარს შემოერტყმული ციხეები დაემორჩილნენ დიმიტრის იმ პირობით, რომ თეოდოსისთვის თავისუფლება არ მოესპო.

ამავე დროს ეკუთვნის გალაშქრება ქართველებისა თორნიკეს წინამძღოლობით, სპბერძნეთის იმპერატორის თხოვნისამებრ, წინააღდეგ იმპერატორის მტრისა—ბარდა სკლეროსისა. ქართველების შემწეობით ბარდა სკლეროსი სრულიად დაამარცხა იმპერატორმა. ქართველებს დიდი ალაფი დარჩათ, ამ ალაფით აშენეს მრავალი ეკკლესიები დასავლეთ საქართველოში და გააშენეს ათონის ივერიის მონასტერი.

თეოდოსი მაინც არ დაწყნარდა. კახეთის მმართველის კვირიკე II-ის შემწეობით უნდოდა ოსეთზეთის მეფედ გახდომა. მაშინ დიმიტრიმ ხერხი იხმარა და სთხოვა კვირიკეს შეერიგებინა იგინი. კვირიკემ შერიგება მოახდინა იმ პირობით, რომ ორივეს დაეკიწყათ თავისი წარსული უკმაყოფილებანი, მტრობა და ძმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად ესარგებლნათ მამის ქონებით. შერიგების შემდეგ მოსდა მცხეთის სობორში, სადაც მოვიდენ თეოდოსი, დიმიტრი, გვირიგე და სხვ. ფიცის შემდეგ ორივე ძმები წავიდნენ ათხაზეთს, მაგრამ დიმიტრიმ შეიპყრო ძმა, თვალები დასთხარა და საპყრობილეში ჩააგდო. ამ გვარ უღვთოებამ ააღელვა ათხაზები, რომელთაც მეფობა წაართვეს დიმიტრს და, რადგანაც შვილი მისი უჭკვო იყო, გამოიყვანეს საპყრობილედგან თეოდოსი და მეფედ დასვეს (979 წ.)

ამასობაში გვირიგე შევიდა ქართლში და შემოერტყა უფლის-ციხეს. თავადმა ივანე მარუშიძემ მოიწვია დავით კურატპალატი (გამოჩენილი მეომარი მაშინდელი დროისა) ქართლის დასაჭერად. დავითი შემოვიდა ქართლში, განდევნა გვირიგე და გაამეფა თავისი შვილობილი ბაგრატ III, საქართველოს მეფის გურგენის შვილი.

ბაგრატ III-ის გამეფება (980 წ.) დიდად სასარგებლო იყო საქართველოს სამეფოს გასაძლიერებლად. ბაგრატი რადგან მცირე წლოვანი იყო, ქართლს განაგებდა მისი მამობილი დავითი, კაცი ფრიად ახოვანი, ძლიერი, და პატრონი ტაოსი. ამ დროს არაბების სიძლიერესაც ბოლო ეღებოდა. მათი ვრცელი სამეფო სუსტდებოდა შინაური შფოთისა და უთანხმოების გამო. ამიტომ თბილისის ემირს ძალიან მცირე გავლენა ჰქონდა საქართველოს შინაურ საქმეებზე.

ამავე დროს ქართლში გაჩნდენ წინააღმდეგნი პირნი, რომელნიც ებრძოდნენ მეფეს. ამათი მოთავე იყო ქვითარ ტბელი, რომელმაც მიიწვია გვირიგე, აიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფლის-ცისე და დაატუვევა გურგენი და ბაგრატი, ბაგრამ დავითი დაეცა და გაანთავისუფლა იგინი, კვირიკე კი გავიდა ქართლიდგან.

ამავე დროს ათხაზეთშიაც აღელვებული იყო აზნაურობა, რადგან ბრმა თეოდოსი ვერ ჭმართავდა სამეფოს. ამით ისარგებლა იმავე ივანე მარუშიძემ და იმდენი ეცადა, რომ თავის მხარეს გადიბირა უმთავრესი ნაწილი ათხაზეთის დიდ-კაცობისა და ჩააგონა მათ, რომ მოეწვიათ მეფედ ბაგრატი. ათხაზებმა გამოუგზავნეს კურატპალატ დავითს შუა-კაცები და ბაგრატი ითხოვეს მეფედ ათხაზეთისა. დავითი დათანხმდა, დალოცა თავისი შვილობილი და გაისტუმრა ქუთაისს, ათხაზეთის სამეფოს დედა-ქალაქს, სადაც ხალხმა შეჭეფილა მას ერთგულობა. ასე 985 წელს შეერთდნენ ათხაზეთ-ქართლის სამეფონი.

გაძლიერება საქართველოსი

ბაგრატ III (980—1014 წ.)

980 წელს გამეფდა თუ არა ბაგრატი, დაამშვიდა ათხაზეთის ხალხი და ანდრინდელი მეფე და ბიძა თვისი—თეოდოსი გაისტუმრა თავის მამობილის, დავით კურაპალატის ჭეყანაში, ტაოს, რადგან ეშინოდა მას ხალხი არ აეღელვებინა. ათხაზეთში ჩამოაგდო წესი და სიმშვიდე, მაგრამ ამავე დროს იმერეთში ქვითარ-ტბელის თაოსნობით ზოგიერთებმა განიზრახეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაენთავისუფლებინათ ქართლი ბაგრატის დამოკიდებულებისაგან. წინააღმდეგნი შეიყარნენ და გამარგდნენ ლიხის მთებში. ქართლის დიდ-კაცობა ბატიკს აღარ სცემდა დროებით მმართველს ამ ქვეყნისას, ბაგრატის დედას.

მეფემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, დიდ-ძალი ჯარით გადმოვიდა ლიხზე, შეებრძოლა, დაამარცხა, შევიდა ქართლში, დაამშვიდა და მერე წავიდა იმერთში. თავის დედაც თან წაიყვანა. მაგრამ წინააღმდეგნი მაინც არ დაწყნარდნენ. რამდენიმე წლის შემდეგ ხელ-ახლად აჯანყდნენ. ამათი მოთავე იყო რატი ორბელიანი *), რომელსაც ჰქონდა დიდი მამულები ატენიდგან მოკიდებული კლდე-კარამდე და თრიალეთამდე; მასვე ეკუთნოდა მანგლისი და სკვირეთი. რატიმ გადიბირა თავისკენ დავით კურაპალატი, რომელიც რაღაც მიზეზისაგამო გასწყრომოდა თავის შვილობილს, აგრეთვე ბაგრატ რეგვენი, რომელიც შეესია შაგშეთს. დავითი გამაგრდა თრიალეთში. რატიმ დაიჭირა ატენსა და მანგლისს შუა ადგილები. ბაგრატი, გაკვირვებული და გაოცებული მამობილის ამ გვარ ყოფაქცევით, ჯარით მოვიდა თრიალეთს და აქედგან ცხენით, მარტოთ-მარტო წავიდა მამობილის ბანაკში მასთან მოსალაპარაკებლად და თავის გასამართლებლად. დავითმა მართლაც დიდის სიხარულით მიიღო იგი და შეიწყნარა მისგან თავის განმართ-

*) შესანიშნავი გვარი ესე მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინ ჩინეთიდგან გამომავალად ითვლება. ორბელიანებს ჰქონდათ და აქვთ დიდ-ძალი მამულები საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლება, დაითხოვა თვისი ჯარები და შინ დაბრუნდა.

ბაგრატი არ შეება საბრძოლველად გამზადებულს რატს და დაბრუნდა ათხაზეთს. ზამთარი რომ დადგა, რატიმ თავის ჯარის კაცები დაითხოვა. ბაგრატი დიდის სისწრაფით წამოვიდა და კლდე-კარს შემოერტყა. თავ-ზარ დაცემულ რატიმ მორჩილება გამოუცხადა. ამის ნიშნად მისცა მას შვილი თვისი ლიპარიტი, ოვითონ კი საცხოვრებლად, ბაგრატის სურვილისამებრ, არგვეთში წავიდა.

ასოლოკი, თანამედროვე ბაგრატის მამობილის დავითისა, ამბობს, რომ დავით კურაპალატი და მეფეთ-მეფე სიწყნარითა და მშვიდობის-მოყვალობით აღემატება ყველა ხელმწიფეებს, რომელნიც ჩვენ დროს ცხოვრობენო. იგი შეიქმნა მიზეზად სომხეთისა და საქართველოს კეთილ-დღეობისა და სიმშვიდისაო. მან მოსპო ქვეყნის გამანადგურებელი ომები და აკობა ყველა მეზობლად მყოფ ხელმწიფეს, რომელნიც თავის ნებით დაემორჩილნენ დავით მეფესო.

დავითის-მიერ მოჭრილ ფულს აწერია: ՊԱՐ—ԿԱ (დავით-ბაგრატი).

1001 წ. მოკვდა დავით კურაპალატი, რომელმაც თვისი სამეფოებელო უანდერძა იმპერატორს ვასილს და არა ბაგრატს, როგორც ბირობა ჰქონდა. ვასილი მოვიდა ნაანდერძევ ადგილების საპატრონებლად. აქ მოხდა შეტაკება გურგენსა და მის შორის, და ბრძოლა გათავდა მით, რომ ვასილი შეურიგდა გურგენს და დაუთმო მას ტაოს ნაწილი.

გურგენის სიკვდილის შემდეგ (1008 წ.) ბაგრატ III-მ გაამრავლა ჯარების რიცხვი. ამ აზამად მას ჰქონდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაკავებული თითქმის მთელი უწინდელი საქართველო, გარდა კახეთისა. ბაგრატმა ამ ქვეყნის მეფე დავითსაც შეუთვლა დამორჩილებოდა და ზოგიერთი ციხეები დაეთმო. დავითმა ომის გამოცხადებით უპასუხა. 1010 წ. ბაგრატი თიანეთიდგან შეესია კახეთს, დაიმორჩილა იგი, დაატყვევა დავითი და მთელი ეს ქვეყანა თავის ერისთავებს გაუნაწილა; მერე შევიდა ჭერეთში და მმართველი მისი დედოფალი დინარ ტყვე-ყო და ეს ქვეყანა გაუნაწილა თავის წარჩინებულ კაცებს.

კასტანგ გორგასალის შემდეგ სამეფო საქმეებში არ გამოჩენილა ბაგრატის თანაბარი. ამან დაიმორჩილა განჯის ემირი—თვალფანი, რომელიც ხშირად ეტემოდა კახეთს. ადირბეჟანისა და სომხეთის მმართველნი მას აძლევდნენ ხარკს. სპარსეთის მეფე და იმპერატორი ვასილი მის მეგობრობას დაეძებდნენ.

სამუდამო ადგილ-საყოფელი ბაგრატისა იყო ხან ქუთაისი, ხან უფლის-ციხე. თბილისში იმ დროს იჯუოფებოდა არაბების ემირი (VII საუკუნიდგანვე), რომელსაც ჭქონდა აქ თავისი სასახლე; თბილისსა და მის მიდამოში სცხოვრობდნენ თათრები. ამის გამო ქართველობას არ უყვარდა თბილისი.

ბაგრატიდგან იწყობა გაძლიერება ქართველთა. თვით ბაგრატი იყო ღონიერი, ბრძენი ლ განათლებული მეფე. იგი დაუღალავად შრომობდა ლ ამდიდრებდა თავის სამეფოს. მის დროს აღებ-მიცემა, ხვნა-თესვა, სწავლა-განათლება წარმატებაში შევიდა. აღებ-მიცემისათვის საჭირო შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქმნა ფული. ბაგრატმა გამართა ზარათ-სანა ლ ბოლგრა ფული, ზედ წარწერით Ч—Р (ბაგრატ). დანგრეულ-დაქცეულნი შენობანი მეფემ სულ-ასლა აგო. ძველები განაახლა. აგრეთვე აგო მრავალი ახალი ეკკლესიები და ტაძრები. ქუთაისის შესანიშნავი სობორის საძირკველი ჩაუყარა 1003 წელს და ამ სობორს ასაგებად იხმარა ბევრი მეცადინეობა და დასარჯა დიდ-ძალი ფული. (სობორ მარმარილოს ქვით არის აშენებული. დიდებულ სობორდგან ესლა დარჩომილა დაზიანებული კედლები). მცხეთის დაძველებული სობორ ბაგრატმა სრულიად განაახლა. ბედიის ტაძარი (ათხაზეთში) აგრეთვე ეკუთვნის ამ მეფეს. იუსტინიანეს ეკკლესიასთან (მარტვილში) ბაგრატმა აშენა მონასტერი, რომელიც განაწესა ადგილსამყოფელად ეპისკოზის ჭყონდიდელისა. *) ქალაქებისა ლ ციხეების რიცხვი ამის დროს გამრავლდა. იმ დროინდელ ქალაქთა შორის შესანიშნავნი არიან: ასალ-ციხე და ასალ-ქალაქი. საეკკლესიო და საერო ლიტერატურაც აღუვავდა. ასალ-გაზდა ქართველები სწავლის დასასრულებლად მიდიოდნენ საბერძნეთში და, სწავლით აღჭურვილნი, ბრუნდებოდნენ საშობლოს გასა-

*) ჭყონდიდელი იყო პირველი მინისტრი მეფისა. ჭყონდიდელს ირჩევდნენ იმისთანა პირთაგან, რომელნიც ცნობილნი იყვნენ თავის მაღალ ზნეობით, სწავლა-განათლებით. ჭყონდიდელი იყო მოთავე ყველა მწიგნობართა, აგრეთვე მფარველი ქვრივ-ობოლთა. იგი პირველად გადასცემდა მეფის ნებას საერო და სასულიერო მმართველებს. ომის დაწყებამდის იგი წინ უძღოდა ჯარს ჯვარით, ლოცავდა მათ და მერე, ბრძოლის დროს, თითონ უკან მოეჭცეოდა ხოლმე და აძხნევდა მათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლებლად. მათ შორის განითქვნენ შემდეგნი მოღვაწენი: იოანე ათონელი და ძე მისი ეფთვიმე, იოანე გრძელისძე, იოანე ხახულელი, ვასილი ბაგრატისძე, გრიგოლი, ზაქარია მირდატისძე, თორნიკე ათონელი, იოანე (ბერაჯ), სუმბატი, იოანე და სხ.

იოანე ათონელი სტუდიელობდა მეათე ნაუკუნის დასასრულს. ათონის ქართველთა მონასტერში მასთან ერთად მოღვაწეობდნენ შვილი მისი ეფთვიმე და ბერი გაბრიელი. იგინი განითქვნენ ვითარცა საღვთო წიგნების თარგმნით ქართულს ენაზე. ეფთვიმემ გადმოთარგმნა მრავალი წიგნი ბერძნულიდან. სხვათა შორის დაშთენილა მის-მიერ თარგმნილი სრული სახარება. მანვე ქართულიდგან ბერძნულად სთარგმნა „ბალავარი", „აბიგურა" და სხვა წიგნები. მან განაბრწყინა ქართული ენა. ეფთვიმე გარდაიცვალა 1028 წ. ნიკოლოზ თბილელი მის შესახებ ამბობს: „ეფთვიმე იყო სიბრძნით მრწყველი ქართველთა, ღრმად გამოძიებული, მესხთა მთიები (რიყურაყი), იმერთა მთოვარე, გურულთა მზე, მეგრელთა ცისკარი, სვანთა და ოფსაზთა ლიფლიფი (ლამპარი), კახთა ნათელი".

იოანე გრძელისძე—რიტორი, წმინდა, ღრამატიკოსი, ღვთის-მეტყველი, ფილოსოფოსი, ბრძენი. მან დასწერა „დარღვევა მაჭმადიანთა სარწმუნოებისა", საგალობელი და სხ.

იოანე ხახულელი, ოქროპირად წოდებული. იგი მოღვაწეობდა ხახულს, თორთუმის ხეობის დაბას, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

განთქმული.

ვასილი ბაგრატის ძე—კაცი ფრიად განათლებული. მან ბერძნულით გადმოიღო წიგნი „ლავსაიკონი“, „წიგნი ასურისა“. ვასილი თვით ბაგრატ მეფის ძე იყოვო, ამბობს ანტონ ქათალიკოზი.

ზაქარია მირდატის ძე—კაცი სიბრძნის მოყვარე, რიტორი, ღვთის-მეტყველი. სხვათა შორის მან სთარგმნა „საუნჯე“ გიორგე ალექსანდრიელისა.

თორნიკ ათონელი ბერად შედგა 972 წ. იგი იყო ჩინებული მსედარი და მწიგნობარი. იგი წინამძღვრობდა ქართველთ ლაშქარს, რომელიც დავით კურაპალატმა გაგზავნა კოსტანტინოპოლის სახსნელად აჯანყებულ ბარდა სკლეროსისაგან.

იოანეს მეტ სახელად ერქვა ბერაძ. იგი იყო ერთი მეწესეთაგანი. მან შეადგინა საძეცნიერო კრებული, შატბერდის ქრისტომატიად წოდებული. მასში ჩატანილია საქართველოს მოკლე ისტორია და ვრცელი მოთხრობა შესახებ წმ. ნინოსი და მირიან მეფისა.

სუმბატმა დასწერა მოკლე ისტორია ბაგრატოვანთა ამათ გამოჩინებიდამ მე-XI საუკ. დასაწყისამდე.

იოანემ შეადგინა დიდი საგალობელი, ნოტებიანი. მასში ჩატანილია, სხვათა შორის, ნაწერი ტბეთის ეპისკოპოზის სტეფანესი, ცხოვრება წმ. აბოსი და სხ.

თვით მეფე ბაგრატმა შეადგინა ათასაზთა ისტორია

ბაგრატისავე მეფობის დროს დაიწყო მოღვაწეობა გიორგი მთაწმინდელმა, ათონელმა. გიორგი დიდად განათლებული კაცი იყო. მან გადმოთარგმნა სვინაქსარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თოვენი, დავითნი ლექსად და მრ. სს. ამას გარდა ყველა წიგნები, მის წინა დროს თარგმნილნი, ხელახლა გადაშინჯა და შეასწორა. თვით სახარება, თარგმნილი მის უწინარეს დროს და გავრცელებული საქართველოში სასელ წოდებით „საბა-წმინდურნი“, ხელახლა გადმოსთარგმნა. დღეს საქართველოში იხმარება ის სახარება, რომელიც სთარგმნა გიორგი მთაწმინდელმა.

შორეულ იერუსალიმსაც გასწვდა ხელი ბაგრატისა. იქ აშენა მონასტერი ქართველთათვის. ეხლა ბერძენთ ხელშია ჩავარდნილი. წინეთ იქ სწავლობდნენ ახალ-გაზდა ქართველები. ჩვენი მეფეებისაგან მონასტერს დიდი მამულები აქვს ნაჩუქები საქართველოში.

ბაგრატი გარდაიცვალა 1014 წ. და დაიმარხა ბედიის მონასტერში.

გიორგი I (1014—1027).

მამის სიკვდილის შემდეგ რომ 1015 წელს გამეფდა გიორგი I, კვირიკე III-მ, განდეგნილმა კახეთიდგან, მიიბირა ზოგიერთი გავლენიანი პირები და ამათ შემწეობით დაიპყრო კახეთი და ცრეთი. პირველში დააარსა სამი საერისთო: რუსთავისა, ქვეტერისა და პანკისისა; მეორეში ოთხი: ხორნაბუჯისა, ვეჯინისა, მაჭისა და სტორისა, და საკასტო ქალაქად განაჩინა თელავი და ისე გაძლიერდა, რომ საშიშო შეიქმნა როგორც ქართლისათვის, ისე ოსეთისათვის. ოსეთის მთავარს—ორდურეს უნდოდა შეემტერებინა გავლენა კვირიკესი და დაესუსტებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი. ამიტომ თიანეთიდგან შემოვიდა კახეთში, მაგრამ დამარცხებულ და სიკვდილით დასჯილ იქმნა.

გიორგის იმდენი ძალა არა ჰქონდა, რომ კვირიკე დაემორჩილებინა, ამიტომ შეჰკრა ზავი სპარსეთის მეფესთან, რომ მის შემწეობით მაინც მორჩილებში ჰყოლოდა განჯის ხანი, მაგრამ ამ ზავმა უფრო მეტი უბედურება დაჰმართა: ბერძნების იმპერატორმა—ვასილი II-მ არ მოუწონა ასრეთი საქციელი გიორგის და შემოესია ზემო ქართლს, აიღო და აოხრა იგი, დაამარცხა გიორგი და აიღო 14 ციხე. იმპერატორს შეეღოდა უძლიერესი ერისთავი ქართლისა—ლიპარიტი. გიორგი შეურიგდა იმპერატორს. ვასილიმ დაინარჩუნა დაკავებული ადგილები და მზეგლად წაიყვანა შვილი გიორგისა—ბაგრატი, რომელიც, ბერობისამებრ, სამი წლის შემდეგ უნდა გაენთავისუფლებინა ვასილს. ბაგრატის დაბრუნების შემდეგ გიორგიმ იცოცხლა კიდევ ორი წელიწადი. ამის სიკვდილის წლის თავზე, კახეთის მეფე—კვირიკე მოჰკლა მისმა მონამ—ოსმა.

გიორგის მეფობის დრო ხალხმა ბრძოლაში გაატარა. მისმიერ მოჭრილ ფულს აწერია �гі (გიორგი).

ბაგრატ IV (1027—1072).

კონსტანტინე IV-მ გამეფებისაგე უმალ დაარღვია მეგობრული განწყობილება საქართველოსთან. ვასილი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან განთავისუფლებული ნორჩი ბაგრატი რომ საქართველოში მოდიოდა, კონსტანტინემ გამოადევნა თავისი კაცები, რომ შეეპყრობა იგი და უკანვე, კონსტანტინოპოლში, წაეყვანათ. მაგრამ მდევარნი ვერარ დაეწივნენ ბაგრატს, რადგან იგი შემოსულ იყო თვისსა მამულსს და მიეშურებოდა სტასტო ქალაქ ქუთაისს, საცა მას მიელოდნენ მისნი მშობელნი—მეფე გიორგი ⁄ დედოფალი მარიამ.

1028 წ. ვაჩე კარიჭისძე და ბანას ეპისკოპოსი ოანნე,—რომელთაც დიდი გაკვლენა ჰქონდათ ტაოს-კარში,—განუდგნენ ბაგრატს და თავის ციხე-ქალაქები დაუთმეს კონსტანტინეს, რომელმაც გამოგზავნა დიდძალი ჯარი თავის საზინდრის წინამძღოლობით. ამან, ჯარების გარდა, ისმარა ოქრო და ამ ორის იარაღით დაიმორჩილა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო და მერე მოადგა ციხე კლდე-კარს, რომელშიაც ზოგიერთი აზნაურებით იყო გამაგრებული ლიპარიტ ორბელიანი—ქართველთ ჯარების უფროსი. ბერძნებმა რომ აიკლეს ამ აზნაურების მამულები, მაშინ ეს აზნაურნიც განუდგნენ ბაგრატს, დაემორჩილნენ კონსტანტინეს და დაუთმეს მას თვისნი ციხენი. ასრეკე მოიქცა შავშეთის ერისთავი ჩანჩუხა, რომელმაც ბერძნებს გადასცა ციხე ცეფთისა. ამისთანა გაჭირებულ დროს ბერძნების წინააღმდეგ ამსედრდა ტბეთის ეპისკოპოსი საბა. ამ შესანიშნავმა მამულისშვილმა ტბეთის მახლობლად აეშენა სიმაგრე—სვეტი, რომელშიაც თავი მოუყარა თავის მრევლს და გამაგრდა. აქვე მოიყარეს თავი შავშეთის აზნაურთ ანჩელ ეპისკოპოსის ეზრა-თურთ. მტერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ აიღო ეს სიმაგრე ვერც ძალით და ვერც ლაჩრ-
მოტეუებით. სვეტი ვერას გზით ვერ გატეხა მტერმა.
ბერიქით სვეტი შეიქმნა მაგალითად სრტანუჯის ერის-
თავის იოანე აბუსერისათვის, რომელმაც შეკრიბა თავისი
ჯარები და მტერი დაამარცხა.

ქართველთა სასიხარულოდ იმავე წელიწადს (1028)
მოკვდა კოსტანტინე და გამეფდა რომანოზ არგირი,
რომელმაც გაიწვია თავისი ჯარები საქართველოდგან.

ამ გვარი ბოლიტიკა იმპერატორისა ძალიან მო-
წონა ბაგრატს და მეგობრობის გამოსაცხადებლად გა-
უგზავნა ქათალიკოზი—მელქისედეკი, რომელიც დიდის
სიყვარულით მიიღო იმპერატორმა და საჩუქრებით გა-
მოისტუმრა. სამი წლის შემდეგ კოსტანტინოპოლს მი-
ვიდა აგრეთვე დედა ბაგრატისა—მარიამ, რომელმაც გა-
მოუცხადა რომანოზს ერთგულება შვილისა და ქართ-
ველთა ერისა, და სთხოვა მას, რომ ბაგრატისათვის
ცოლად მოეცა ასული თავისი ელენე, ნაშობი კოსტან-
ტინეს ქალიშვილის ზოიასაგან. იმპერატორმა აღუსრუ-
ლა თხოვნა. ელენეს მზითვად, მრავალ განძეულთა
გარდა, მისცა აგრეთვე ერთი ლურსმანი ქრისტეს ჯვრი-
სა და ხატი ოქროსი ღვთის მშობლისა. ამ გვარად ჩა-
მოკარდა მეგობრობა საქართველო-საბერძნეთ შორის.

ელენე მოვიდა ქუთაისს, სადაც მოხდა ქორწილი
14 წლის ბაგრატისა. ელენეს დიდხანს არ უცოცხლია.
მალე იგი მოკვდა და ბაგრატმა შეირთო ბორენა, ოს-
თა მეფის ასული, დაჲ დურღულელისა.

1036 წ. დიდ-ძალ ჯარით დვინის ემირი შეესია
ალმოსავლეთ ნაწილს სომხეთისას, რომლის მეფემ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითმა სთხოვა შემწეობა ბაგრატს. ბაგრატმა ლიპარიტ ორბელიანის და იოანნე აბაზაძის წინა-მძღოლობით მიაშველა 4,000 კაცი. ამათ შეუერთდნენ აგრეთვე: კახეთის მეფე გაგიკი (შვილი კვირიკე III-სა), დასავლეთ საქართველოს მეფე—იოანნე და თბილისის ემირი—ჯავარი. მინამ ეს ჯარები მიეშველებოდნენ, უმეტესი ნაწილი სომხეთისა ემირმა აიკლო, მაგრამ შემწეობა რომ მოვიდა საქართველოდგან, იგი სრულიად დამარცხდა, დასტოვა დიდი ალაფი, გაიქცა და მალე მოკვდა.

ამ გამარჯვებამ მეტად გაამხნევა ლიპარიტ ორბელიანი და იოანნე აბაზაძე. ამათი თქვრით, ეს დრო ძალიან მარჯვე დრო იყო თბილისის გასანთავისუფლებლად და მისი ემირის ჯავარის დასამარცხებლად. ესენი დაეცნენ მის სამფლობელოს დასავლეთის მხრით და კიდეც აიღეს ბირთვისი. ბაგრატს არ მოეწონა მათი ამ გვარი მოქმედება და არა თუ მისცა ნება სხვა ადგილებიც აეღოთ, არამედ უბრძანა, რომ ბირთვისი დაებრუნებინათ ჯავარისათვის. ლიპარიტი თავისას არ იშლიდა და იმდენი ეცადა, რომ მეფე დაიყოლია და დაითანხმა, ეწინააღმდეგა ჯარისათვის საქართველოს განსათავისუფლებლად. 1038 წ. მიუსტანენ თბილისს: დასავლეთის მხრით იმერეთის და ქართლის ჯარები, აღმოსავლეთის მხრით კახეთისა. ორმა წელიწადმა განვლო, მაგრამ თბილისი ვერ აიღეს. ქალაქის მცხოვრებნი, ყოველის მხრით გზა-შეკრულნი, ძალიან შეკიწროვდნენ. ამასობაში ქართველებმა და იმერლებმა აიღეს ორი სიმაგრე: ორბისი ⁄ თვარცხისი. ქალაქში დიდი შიმშილი ჩამოვარდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჭირებამ აიძულა მოქალაქენი დამორჩილებოდნენ ბაგრატს. ემირმა ჯაფარმა ლამე ტიკით გაპარვა განიზრახა. საქმე რომ ამ ნაირად ბოლოვდებოდა, ლიპარიტის მტრებმა მეფეზე ისეთი გავლენა იქონიეს, რომ იგი იძულებულ-იქმნა დაეტოვა ჯაფარი თბილისშივე ემირად და ჯარები უკან დაებრუნებინა.

მეფის ამ გვარმა მოქმედებამ აღელვა ლიპარიტი და აგრეთვე კახეთის ჯარი, რომელიც თბილისში მოელოდა დიდს დავლას. ამისთვის მეფე განრისხდა კახელებზე, შეკიდა კახეთში და მთის ყელ-გაბრიელის სხლოს შეება კახეთის ჯარს, სრულიად დაამარცხა იგი, დაატყვევა უგეთესი მათი მხედრები—ერისთავები: ბანგისა—სტეფანოზი, ხორნაბუჯისა—ვაჩე, სტორისა—რაჯე და სხვანი. მერე შეკიდა თიანეთში, დასწვა მშვენიერი ბოჭორმის სასახლე, გვირგვე III-საგან აშენებული, და დაბრუნდა.

იმ დროს, როდესაც ბაგრატი არბევდა კახეთს, ლიპარიტი ემზადებოდა მეფესთან საბრძოლველად. ლიპარიტმა საბერძნეთიდგანაც ჯარები მოიშველა. მაგრამ რაწამს გაუგო განზრახვა მეფემ, მაშინვე შეკიდა ჯავახეთში და გაამაგრა ახალ-ქალაქი. ლიპარიტი კი დაეცა ატენს, რომელსაც იცავდნენ თმოგვის ერისთავები—თარსმანი და თუხარისისა—ბეშკენ ჯაყელი. 1041 წ. ბერძნების ჯარები უკანვე დაბრუნდნენ, მეფე შეურიგდა ლიპარიტს და მისცა ქართლის ერისთავობა. 1042 წ. ჯავარი მოკვდა და ბაგრატი ქალაქმა მიიწვია. ამ დროს მეფე ანაგოფიას შემორტყმოდა ჯარებით, რომ გაეთავისუფლებინა იგი ბერძნებისაგან. ბაგრატმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქ თავის ჯარები ჯაჯანას ხელ-ქვეკით დასტოვა და თვითონ წამოვიდა თბილისში, სადაც დიდის ამბით მიეგება მას სალხი, გარდა ქალაქის ერთი ნაწილისა — ისნისა. ისნელებმა დასწვეს სიდი და არ ემორჩილებოდნენ ბაგრატს, მაგრამ მალე ესენიც დაემორჩილნენ.

1045 წ. ლიპარიტი კიდევ შეება მეფეს. ამ წელს ბერძნებმა განიზრახეს დაეკავათ ერთი ნაწილი სომხეთის სამეფოსი, ამიტომ გაიწვიეს კოსტანტინოპოლში შვილი აშოტისა — გაგიკი II და იქვე დაანარჩუნეს. სომხეთისათვის კი თვისი საკუთარი მმართველი უნდა გამოეგზავნათ, მაგრამ მინამ ისინი გამოგზავნიდნენ, სომხები გაიყვნენ სამ ნაწილად: ერთს უნდოდა მეფედ დავითი, მეორეს აბუსერი, მესამეს საქართველოს მეფე — ბაგრატ IV. რაწამს ბაგრატს მოუვიდნენ მოციქულები სომხეთიდგან, იმ წამსვე გაგზავნა ჯარები არტანუჯის ერისთავის — აბუსერის წინამძღოლობით სომხეთში, რომ აღოთ სატახტო ქალაქი ანი. ანშიგე წავიდა დედა ბაგრატისა — მარიამი. ეს რომ გაიგო კოსტანტინე მონომახმა გამოუგზავნა ლიპარიტს ბაგრატის ძმის დიმიტრის წინამძღოლობით ჯარები და უბრძანა წაერთვა ბაგრატისათვის არა თუ ანი, არამედ მთელი სამეფოც და საქართველოს ტახტი დაეღოცნა დიმიტრისთვის.

ლიპარიტი დაეცა ქ. ანს ბ ბოტუუებით გამოიწვია მოსალაპარაკებლად ანის მცველები: აბუსერი, იოანნე როდიონი და გურამ გოდერძიანი და დაატუვეა იგინი და მერე ქალაქიც აიღო. ამდრინ ბაგრატი იყო თბილისში. აქედგან საჩქაროდ წავიდა ჯავახეთის, სადაც ჯერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემწეობას დაჭვირდნენ, მერე უღალატეს და ლიპარიტის მხარეს გადავიდნენ. ამათ შეუერთდნენ კახელებიც. აქ შეტაკება არ მომხდარა. გავიდა ზავხული, შემდგომ და ზამთრობისას მეფე დაბრუნდა ქართლს.

1046 წ. მეფეს მოეშველნენ 4,000 ვარიაგნი. ბაგრატი წავიდა ჯარებით სასირეთში, სადაც მტრებმა იგი დაამარცხეს.

ამ დამარცხების შემდეგ მეფეს ორი გზა დარჩენოდა: ან უნდა შერიგდებოდა ლიპარიტს, ან გაქცეულიყო ქართლიდგან. მეფემ ბირველი არჩია. სოფლებში დასტოვა თავის ჯარები და თითონ მცირე ამალით წავიდა ლიპარიტის სანახავად. მაგრამ ლიპარიტს სინდისმა ნება არ მისცა, რომ შეხვედროდა ბაგრატს, ამიტომ დაიმალა და არ ინახულა მეფე, რომელიც შერიგებაზე იმედ დაკარგული დაბრუნდა იმერეთში.

ამასობაში კალმახის ერისთავმა—სულამ და არტანუჯისა—გრიგოლმა და ზოგიერთ მესხეთის აზნაურებმა შეაგროვეს ჯარები და მიიწვიეს ბაგრატი. ბაგრატი დაუყოვნებლივ წავიდა და შეუერთდა მათ არგის-ციხეში. ლიპარიტი მეისვე კახელებით, ბერძნებით და სომხებით დაეცა არგის-ციხეს და აიღო. ბაგრატი გაიქცა ქუთაისს. სულა და გრიგოლი დაატყვევეს და საშინლად განაწვალეს საპყრობილეში.

ლიპარიტი ამის შემდეგ შემოვიდა ქართლში და თავისუფლად ჭმართავდა მას.

იმავე 1046 წ. ლიპარიტი ებრძოდა დვინის ემირს, მერე ერთი წლის შემდეგ იმპერატორმა გაამხედრა ოსმალების წინააღმდეგ, რომელნიც მცირე-აზიას

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოვიტანეს, მაგრამ დამარცხებულ და ტყვედ წაყვანილ იქმნა.

ამ დროს ბაგრატი თავად-აზნაურობამ და ლიპარიტის შვილებმა—იოანნემ და ნიანიამ მიიწვიეს და გადასცეს მას ყველა ქალაქები და ციხეები, აგრეთვე თბილისიც.

მაგრამ ლიპარიტი მალე პატიებულ იქმნა და პირდა-პირ კონსტანტინოპოლს წავიდა, სადგანაც კი ძალი ჯარით წამოვიდა საქართველოში. ბაგრატი შეშინდა და უკანვე, ქუთაისში, დაბრუნდა,—ლიპარიტი კი ქართლში შეკიდა.

ბოლოს, ბაგრატი რომ თავისით ვერას გახდა, დედით მარიამითურთ წავიდა საბერძნეთს და სთხოვა კონსტანტინე მონომახს, რომ შემწეობა არ მიეცა ლიპარიტისათვის. კონსტანტინემ პატივით მიიღო იგინი, მაგრამ სამი წლის განმავლობამდე შეინახა თავისთან და მერე დიდ-ძალის განძეულით და საჭურჭლით გამოისტუმრა. იმერლები დიდის სიხარულით მიეგებნენ მეფეს. მის დაბრუნებამ გაახარა ხალხი აგრეთვე ქართლშიაც. თვისი ცუდი ხასიათის გამო ლიპარიტი ყველასაგან მოძულებული იყო. სულა კალმახელმა და მესხეთის სხვა დიდ-კაცობამ დაატყვევეს ლიპარიტი და შვილი მისი იოანნე და ბაგრატს მიჰგვარეს. ხალხს უნდოდა მათი ჯვარცმა, მაგრამ მეფემ აპატია ლიპარიტს და და სულ-ასლად დაუმტკიცა ყველა მისი საკუთარი მამულები და არგვეთი. ამაყმა ლიპარიტმა აქ ვეღარ მოისვენა სირცხვილისაგან, წავიდა კონსტანტინოპოლში და იქ გარდაიცვალა. მისი გვამი წამოიღეს საქართველოს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამარხეს კვლხის მონასტერში. ლიპარიტის მონაზონ დემეტრე, შვილი გიორგი მეფისა, ნაშობი ოსეთის მეფის ასულისაგან, წავიდა ოსეთს და იქ გამეფდა.

შემოსევა არფასარიანისა (ალპ-ასლან).

ლიპარიტ ორბელიანის სიკვდილის შემდეგ (1059 წ.) ბაგრატმა თითქმის ყველა ციხეები კახეთისა და ჰერეთისა აიღო. ამის დროს მრავალნი დანგრეულნი შენობანი განახლდნენ და აშენდნენ ახალნიც, აგრეთვე დასრულდა ქუთაისის ბაგრატის ტაძრის შენება. მეფის ხელ-შემწეობნი იყვნენ ქართველიგოსი მელქისედეკი და დიდი მასწავლებელი და წიგნების მთარგმნელი წმიდ გიორგი მთაწმინდელი (ათონელი).

სამწუხაროდ, ბოლოს დროს ბაგრატის ნამოქმედარს და ნაღვაწევს სამარე გაუთხარა არფასარანმა, რომელმაც 1063 წ. დაიმორჩილა თურქესტანი, ხოვარეზმი და 1064 წ. შემოესია საქართველოსა და სომხეთს. სულთანს უნდოდა დაემხო და მოესპო ქრისტიანობა ამ ქვეყნებში.

არფასარანმა აამხედრა სპარსები, ოსმალები და შემოვიდა ალბანიაში. აქ გაანადგურა ქრისტიანობა, მერე გაუგზავნა მოციქულები კვირიკეს და სთხოვა ცოლად ასული. კვირიკეს შეეშინდა და ქალაქ ლორეში წარუდგინა მტერს თავისი ქალიშვილი და ამით იხსნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისი ბატარა სამეფო ათხრებისაგან. აქედგან ართვსა-
რანი წამოვიდა თრიალეთზე. ბაგრატი ამ დროს სცხოვ-
რობდა სეკრებულში (ტაოს) და არ იცოდა, თუ რა
მოელოდა. ამიტომ მტრებმა მოკლე დროში დაიმორჩი-
ლეს და გაანადგურეს შავშეთი, კლარჯეთი და ტაო
თვანასკერტამდე; აგრეთვე თორი და ლეკეი. მერე და-
ბრუნდნენ თრიალეთისაკე და აქედგან შეკიდნენ ჯავახეთში
და შემოერტყნენ ახალ-ქალაქს, რომელიც იყო მდიდა-
რი, მრავალ-მცხოვრებლებიანი და ჰქონდა მაგარი ციხე-
ქალაქი აიღეს. გარდა მოხუც ქალთა და ყმაწვილთა,
რომელნიც ტყვეთ წაიყვანეს, ყველა დახოცეს. ქალაქი
დაანგრიეს და გაანადგურეს. აქედგან მდინარე ხრამის
სეობიო გაიარეს და შემოერტყნენ ციხე-ლალს, რო-
მელიც მოშენებულ იყო ორ მაღალ მთაზე და ორივე
მხრით ჩაუდიოდნენ ჩქარი მდინარეები. თუმცა ასეთი
მაგარი ადგილი ეკავა ამ ციხეს, მაგრამ მაინც მტრებმა
აიღეს და დაანგრიეს. აქედგან წავიდნენ ქალაქ ანის ასა-
ღებად. ყარსის და ანის აღების შემდეგ დაბრუნდნენ
სპარსეთში. მეფე ბაგრატმა დაიწყო თავის ხალხის დამშ-
ვიდება ან შენება იმ ადგილებისა, რომელიც გაანადგურეს
მტრებმა. 1068 წ. ბაგრატი გამხედრდა კახეთის მეფის
ალსართანის წინააღმდეგ, რომელიც სსენებულ უბედურობის
დროს ბაგრატის მორჩილებიდგან გამოვიდა. მეფე ბა-
გრატს მიემსრნენ ყველა გამოჩენილი გვარები ჭერეთისა.
სამწუხაროდ, დამორჩილებას მთელის კახეთისას დაუშ-
ლა ართვსარანის კახეთში შემოსვამ. შეშინებული ბა-
გრატი დაბრუნდა ქართლს, ხალხი კი შიშის გამო შეი-
ხიზნა მთებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განძეულებული მტერი რომ მეკიდა კახეთიდან, დახვდა მას ალსართანი, რომელმაც ართვსარანს წარუდგინა საჩუქრები და ნიშნად მორჩილებისა მაჭმადიანობა მიიღო. ართვსარანი ამით დაკმაყოფილდა და ალსართანი თან გაიყოლია. კახეთიდგან მოკიდებული მტკვრამდე დასწვა-დაანგრია ყოველი შენობა. მტკვრის პირზედ დახვდნენ მას თბილისის თათრები, რომელთაც გადიეკანეს მეორე კიდეზე. ურიცხვი თვისი ჯარი ართვსარანმა რამდენიმე დასად გაჰყო: ეს დასები ქართლის ყველა მხრისკენ გაგზანვა, რომ ერთბაშად გაენადგურებინათ ეს ქვეყანა. ჩვენი სალსი ტყე-ღრეში დაიმალა. მეფე ბაგრატი ვერც ერთგან ვერ შეება მტერს, რადგან იყო დარწმუნებული, რომ ვერას გაიტანდა. ართვსარანი უშიშრად იწეოდა წინ. მთელი ქართლი სრულიად მოაოხრა და გადვიდა იმერთში, რომელიც ციხე სვერამდე ქართლიკით მოაოხრა და მერე, ზამთრის დროს, დაბრუნდა ქართლში. ეს ქვეყანა ადამიანის სისხლით მორწყა ამ მხეცმა, მრავალი სალსი ტყვე ჰყო, მერე ითხოვა ბაგრატისაგან ხარკი და მშვიდობიანობა აღუთქვა. მაგრამ სასტიკმა ყინვებმა აღარ მოაცდევინეს ბასუხის მიღებამდე: იგი დაბრუნდა სპარსეთში, თბილისი კი გადასცა განჯის ემირს.

ესეთი იყო მეორედ შემოსვა ართვსარანისა. ამ უბედურებას დაემატა კიდევ სხვა უბედურებაც: მომავალ გაზაფხულზე საქართველო მოტყლიეს დიდმა ნიაღვარმა.

ართვსარანი 1068 წ. შეება იმპერატორ რომანოზს და 1071 წ. სრულიად დაამარცხა და ტყვე ჰყო იგი. შეჰკრა ამასთან ოვისთვის სასარგებლო ზავი, მერე წავიდა ასურეთის დასაპყრობად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს განჯის ემირი შემოესია ქართველს. ბაგრატ დადგა დიდ-გორს და იოანნესი (ლიუბა-რიტ ორბელიანის შვილი), ნინია ქობულიძის და მურვან ჯაყელის წინამძღოლობით გაგზავნა ჯარები (35,000 კაცი) მტრის წინააღმდეგ მუხრანსა და წილკანში. მტერი მაშინვე გაიქცა ლართის-კარისკენ. ქართველებმა შეუტიეს და მტრის ნახევარზე მეტი წილი გაუყლეტეს. ემირი დანარჩენ 15,000 კაცით გაიქცა ზეკითკენ, არაგვის ხეკის გაყოლებაზედ და შეკიდა ერწოში და იქიდგან თბილისში დაბრუნება უნდოდა, მაგრამ ბაგრატის თხოვნით კახელებმა დაიჭირეს და წარუდგინეს მეფეს, რომელმაც ამის შემდეგ მალე აიღო თბილისი და აა გადასცა სათლარს—დმანისის მმართველს, თვითონ კი დაინარჩუნა ციხეები: რუისთავი, თვრეტხისი, აგარანი, გრიგოლ-წმინდა და გაკვაზნი. აგრეთვე გადაახდევინა 44,000 დრაჭკანი და მზეულად გამოართვა განჯის გამოჩენილი გვარის შვილები.

1072 წ. არფასარანი მესამედ დაიძრა საქართველოსკენ, რადგან ბაგრატმა უარი უთხრა სარგის მიცემაზე, მაგრამ ამავე დროს ის უნდა წასულიყო თურქესტანს, სადაც ხალხი აჯანყდა. მალექ-შაჰის წინამძღოლობით საქართველოში გამოგზავნა დიდ-ძალი ჯარი, თითონ კი, თურქესტანში მიმავალი, მოკვდა, რის გამო მალექ-შაჰი შუა გზიდგან დაბრუნდა სპარსეთში.

ამავე წელიწადს მეფე ბაგრატმა მოიარა თვისი სამეფო და ამ მოგზაურობის ყამს, სამშვილდის მიდამოში მუოფს, მუტლის სალმობა აუტყდა. მეფე თბილისისკენ გამოემართა, მაგრამ ტკივილი ისე გაუძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელდა, რომ ტახტზე დაესვენეს და ისე წამოიყვანეს ქართლს. ავადმყოფ მეფის საწოლს თავს-ადგნენ დიდებულნი ქართველნი: დედა მისი მარიამი, დედოფალი ბორენა, ასული მისი მარიამი და ძე გიორგი. მომაკვდავმა დედას მიჰმართა ამ სიტყვებით: „დედაო, მეწყალევი შენ, რამეოუ ყოველნი შობილნი შენნი წარგვიქცევენ წინა, და ეგრეთ-ღა შენ მოკვდები“. აღესრულა ეს მეფე 24 ნოემბერს 1072 წელს. ბაგრატის დროს ბრწყინავდა გიორგი მთაწმინდელი, სახარებისა და სხვა წიგნების მთარგმნელი, ყრმათა აღმზრდელი და მასწავლებელი. გიორგი აღესრულა 1066 წელს (იხ. ბაგრატ III მეფობაში).

ჩვენამდის მოუღწევია ბაგრატის-მიერ შედგენილ და დამტკიცებულ სიგელს. ამ სიგელში სწერია, რომ მე, ბაგრატ მეფემ, ჩემს დარბაზში მოვიწვიე ღვდელმთავარნი, ეპისკოპოსნი, ერისთავნი, ხევის ბერნი და აზნაურნი, მეცნიერნი საბჭოთა საქმეთანი და გავარჩიე მიჯნაზორელთა და ოპიზართა შორის ამტყდარი დავა და განვისილე და შევამოწმე მოდავეთაგან წარმოდგენილი სიგელები: მამფლის გურამისა († 883 წელს), გურგენისა († 968 წ.), მეფის გურგენისა († 1008 წელს), ბაგრატ მეფისა (980—1014 წ.), გიორგი მეფისა († 1027 წ.). სიგელებმაცა და მოწმებმაც დამტკიცეს სიმართლე მიჯნაზორელთაო და მათ სასარგებლოდ გადასწყდა დავა. სიგელი თავდება ამ სიტყვებით: „აწ ვინცა ჴნახოთ ბრძანება და სიგელი ესე ჩვენი შემდგომთა ჩვენთა მომავალთა მეფეთა და ერისთავთა ტაო—კლარჯეთისა, ყოველთა ხელისუფალთა და საქმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოქმედთა—დუმტკიცეთ და ნუკინ ხელ-ჴყოფთ ბრძოლასა
და შეცვალებასა ამისსა.

ბაგრატის-მიერ მოჭრილ ფულს აწერია ԿԻԼ
(ბაგრატ).

გიორგი II (1072—1089 წ.)

ნახევარი წელიწადიც არ გასულიყო გიორგის გამეფების შემდეგ, რომ განუდგნეს მას იოანნე ორბელიანი თავის შვილით—ლიპარიტით, ნინია' ქობულიძე და სვანეთის ერისთავი ვარდანი. გიორგიმ დაუთმო იოანნეს ციხე სიმშვილდე, მის შვილს—ლიპარიტს ლოწობანი, ნინიას თმოგვი, ვარდანს ასკალანი და ამ ნაირად დაამშვიდა იგინი, თუმცა ეს მშვიდობიანობა კიდევ მალე დაირღვა იოანნესაგან. მაშინ გაჯავრებულმა გიორგიმ მოიწვია ალსართანიც და შემოერტყა სამშვილდეს, რომელიც მალე აიღო. იოანნე ჯერ გაიქცა სომხეთის მთებში, მერე შემოჴფიცა მეფეს ერთგულება და მიიღო უკვე დაკარგული სამშვილდე და კლდე-კარი. თუმცა ამის შემდეგ იოანნემ კიდევ მალე უღალატა მეფეს, მაგრამ მოძულებულმა სალხისა და მეფისაგან ვერაფერი გააწყო და იძულებულ იქნა შვილითურთ გაქცეულიყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალეკ-შაჰთან. აქედგანაც მალე უკანვე გამოიქცა, მაგრამ თურქები დაეწიენენ და ცოლ-შვილიანად ტუვეთ წაიყვანეს.

გიორგიმ შინაობაში მშვიდობიანობა რომ ჩამოაგდო, გამხედრდა დასავლეთისკენ და აიღო ანაკოფია და მრავალი ციხეები კლარჯეთსა, შავშეთსა, ჯავახეთსა და არტანუჯში. გარდა ამისა ქალაქ ანის უოთილ მმართველის გრიგოლ ბაკურიანის შემწეობით აიღო ყარსი, კანანდი, კარნიფორი, და ყველა ამ ქალაქებიდგან თურქები განდევნა.

დიდხანს არ გაგრძელდა გიორგის ბედნიერება. მოკლე დროში მეტად გაძლიერდნენ თურქები (ოსმალები). ესენი ხშირ-ხშირად ეცემოდნენ საქართველოს. ამის-გამო გიორგი შეება მათ, მაგრამ ციხე უველთან დაუმარცხდა. აქ მტრებს დარჩათ ალაფი: ოქრო-ვერცხლის მოწყობილობა სუფრისა, მრავალი ძვირ-ფასი ბადია და სხვა ნივთები. გიორგი აჭარიდგან იმერეთში გამოიქცა. თურქებმა კი, გაგვირვებულებმა მეფის ამ გვარ სიმდიდრით, იფიქრეს, რომ საქართველო უნდა იყოს სიმდიდრის სალარო და ამიტომაც დროებით მოსპეს ომები-მტირე აზიაში და 1080 წ. იენისის თვეში შემოვიდნენ ჩვენ ქვეყანაში. მეფე გიორგი გაიქცა ათხაზეთს. თურქებმა დაანგრიეს არტანუჯი, აოხრეს კლარჯეთი, ტაო, ჭუთაისი დაანგრიეს; დაიმორჩილეს თბილისი ჯ მტკვრის კიდეებზედ დაასახლეს დიდი დასტები თათრებისა, სპარსელებისა და თურქებისა. ესენი მუდამ ეცემოდნენ ქვეყანას ჯ არბევდნენ. ისეთ მდგომარეობაში ჩავარდა საქართველო, რომ ალარსად მშვიდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიანოა არ მოიბოვებოდა. მრავალი სალხი დაიწყო ნარჩომნი სრულიად გაძარცულნი იყვნენ, სახლ-კარი დანგრეული ჰქონდათ. თურქები რომ მიწის პირზე ვერაფერს ბოულობდნენ, სამარეებს სთხრიდნენ და სიმდიდრეს ეძებდნენ.

ამისთანა საშინელ მდგომარეობიდგან ერის სახსნელად მეფე გიორგი, სალხის თხოვნისამებრ, წავიდა მალექ-შაჰთან. მალექ-შაჰმა კეთილად მიიღო მეფე და მისცა მას კახეთიცა და ჰერეთიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ ყოველ წლიგ ეძლია დადგენილი სარკი. მაგრამ გიორგიმ კახეთი და ჰერეთი სულ-ახლა დაუბრუნა ალსართანს, რომელიც წყალობის სათხოვნელად მიავიდა მალექ-შაჰთან.

ყველა ამ უბედურებათა დაერთვნენ აგრეთვე საშინელნი მოკლენანი ბუნებისა. სალხი ამას ღვთის რისხვად სთვლიდა, იმის გამო, რომ ამ დროს ბევრნი სტოვებდნენ ქრისტიანობას და მაჰმადიანდებოდნენ. ალდგომის დღეს იყო ისეთი ძლიერი მიწის ძვრა, რომ თვით მაღალი მთები, მაგარი კლდეები იქცეოდნენ; მრავალი ქალაქები, ციხეები, სახლები დაინგრნენ და გახდნენ საფლავად თვის პატრონებისა.

12 წელს ასეთი ტაჯვა გამოიარა ჩვენმა მამულმა. უსახლ-კაროდ დარჩომილი სალხი გალარიბდა. ავაზაკობა გახშირდა. თვით მეფე გიორგი ვერას ჰშველოდა სალხს, რისგამო მაშინდელ სწავლულ და განათლებულ პირების თხოვნისამებრ გიორგიმ ტახტი დაუთმო თავის შვილს—დავითს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგის მიერ მოწერილ თულს აწერია ᲐᲘ—ᲘᲐᲘ (მეფე გიორგი)

ამ მეფის დროს მოღვაწეობდნენ: იოანე პატრიგ ეოთვილი, თეოლოსოფოსი; გიორგი ოლთისელი, რომელმაც გადმოსთარგმნა რამდენიმე წიგნი.

დავით III, აღმაშენებელი (1089—1125 წ.).

I.

რომ ცხადად შეეიგნოთ დავით აღმაშენებლის მეფობა, საჭიროა ტოტა შორიდგან დავიწყოთ. მე-XI საუკუნის დასაწყისს გამოჩნდა ახალი ხალხი—თურქი ანუ სელჯუკი. ეს თურქნი პირველად შეებრძოლნენ ბიზანტიას 1048 წელს, და გაემარჯვათ. იგინივე შეებრძოლნენ ბაღდადის ხალიფებს და დაამარცხეს იგინი. ამის შემდეგ მათი საძფოლობელო გაგანიერ-გაფართოვდა და გავრცელდა არხიპელაგიდგანა და ბოსფორიდგან მოკიდებული კიდრე შუა-გულ აზიის ყაშგარიამდე. ამ უშველებელ სივრცეზე სელჯუკმა თოღრულ-ბეგ დაარსა სასულთნო. „ვისრამიანში“ (თარგმნილია მე-XII საუკუნეში) თოღრულ-ბეგ წოდებულია სულტნად ხორასნისა და ადერბეჟანისა, მეფლობელად ქირმანისა, მისლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა, სომხეთისა და მცირე-აზიისა. თოღრულ-ბეგის სპასპეტმა იბრაჰიმ ბასიანში შემოიკვანა 100,000 ჯარის კაცი. მას შეებრძოლნენ ბიზანტიისა და საქართველოს ჯარები, მაგრამ იძლივნენ. სელჯუკთა ძალ-მომრეობისაგამო საბერძნეთი დღითი-დღე სუსტდებოდა და ძალე მან დაჰკარგა ედესსა, იკონიუმი, ტარსი, ანტიოქია, ნიკეა, ბითინია, კათბადუკა, სირია და მთელი მცირე-აზია. ამ ქვეყნების ქრისტიანებს გაუჭირდათ ცხოვრება. მათმა აუტანელ მდგომარეობამ გამოიწვია აგრედ წოდებული „ჯვაროსანთა ომი“ წინააღმდეგ ბარბაროს სელჯუკებისა. ზემოთ ხსენებულნი არეკასარანი და ძალქ-შაჰ, რომელნიც შემოვიდნენ სომხეთსა და საქართველოში, აგრეთვე იყვნენ სელჯუკნი. სომხეთი, სადა 885 წლიდგან აგრეთვე მეფობდნენ ბაგრატოვანები, არეკასარანმა სრულიად გაანადგურა-გათელა და აიღო ამ სამეფოს დედა-ქალაქი ანი 1079 წელს. ასრე დაიმხო ჭაროსიანთა სამეფო და მოისპო მისი თვით-არსებობა.

დაკითი რომ გამეფდა, სელჯუკნი (იგივ ოსმალნი) უკვე დამკვიდრებულ იყვნენ ადირბეჟანსა, სპარსეთსა, სომხეთსა და მცირე-აზიაში. იმავე ოსმალთ ეჭირათ თბილისი და მისნი მიდამონი აკჭალიდგან მოკიდებული, ვიდრე მდ. ხრამის შესართავამდე და აქედგან ციხე სამშვილდემდე. იგინი ზამთრობით ჩადიოდნენ ალაზნის შესართავამდე და განჯამდე და ხალხს ძრიელ აწვალებდნენ.

კახეთი ამ დროს გატალკეკებული იყო და მას ჭმართავდა საკუთარი მეფე ალსართანი. მტრის-მიერ აკლების შიშით ხალხი გახიზნულიყო ტყე-ღრეში და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველო დაცარიელებულიყო. გამეფებისავე-უმალ დავითმა მიაქცია უურადღება სამეფოს სამწუხარო მდგომარეობას. ტყე-ღრიდგან გამოიწვია შეშინებული ხალხი და დასასლა გაოხრებულ ადგილებზე. ხარკის ძლევით მტრის გული მოიგო და ქვეყანა უზრუნველ-ყო. ერის ზნეობის აღსადგენად მოახდინა სახელმწიფო კრება. ეს კრება შესდგა ეპისკოპოზებისა და მრავალ განათლებულ პირთაგან. კრებას დაესწრნენ აგრეთვე გიორგი ჭყონდიდელი და არსენი, იყალთოს ეპისკოპოსი, დიდად განათლებული კაცი და მოძღვარი მეფისა. შემოკრებულ კაცებმა „მრავალ დღე გამოწვლილვითა და ფრიადითა შრომითა კეთილად გამოიძიეს, და ყოველი ცთომილი განმართეს, და კეთილ-წესიერება ყოვლითურთ დაამტკიცეს, ულირსად გამოჩინებულნი გარდამოსთხივნეს საყდართაგან და შეაჩვენეს, და ძეგლი შვენიერი აღწერეს, და მეფის ერთგულნი და ნიჭიერნი კაცნი ხელისუფლად აღირჩიეს“. მეფის ორგულ და ქვეყნის ამრეკ ლიპარიტ ორბელიანმა, ნახა-რა, რომ მას შეაჩვენებდნენ, დაიწყო ხალხის აღელვება. მაგრამ მას სტატეს ხელი და საპყრობილეში ჩასვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ იმან მოინანია ცოდვები და მეფეს ერთგულობა შეჰფიცა. მეფემაც აპატია დანაშაულობა და დაუბრუნა მამულ-დედული. რაწამს ლიპარიტი დაბრუნდა თავის მამულში, ფიცი გასტეხა და კიდევ ხალხის აჯანყება მოიწადინა. იგი ხელ-ახლა შეიპყრეს და გაგზავნეს საბერძნეთს. მისი ქონება ასწერეს და ეკკლესიას გადასცეს.

1092 წ. მოკვდა მალექ-შაჰი და მისი სახელმწიფო გაიყო რამდენიმე ნაწილად. სამი წლის შემდეგ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(1095 წ.) დაიწყო ჯვაროსანთა ომი წმ. ადგილები (სხვათა შორის ქრისტეს საფლავის) განსათავისუფლებლად მაჰმადიანთაგან.

პალესტინა, სადაც დაიბადა, აღიზარდა და მერე ჩქადაგებდა მცხოვარი,—რისგამო იგი დასტანჯეს და ჯვარს აცვეს —დაპყრობილი ჩქონდათ მაჰმადიანებს, რომელნიც, როგორც ვსთქვით, დიდად სტანჯავდნენ ქრისტიანებს. ერთი პილიგრიმი (მლოცავი)—პეტრე უდაბნოელი 1095 წელს, ბევრი ტანჯვა-წვალების შემდეგ მიეიდა პაპი ურბან მეორესთან და აღუწერა მას საშინელი მდგომარეობა ქრისტიანებისა პალესტინაში და სთხოვა შემწეობა და განთავისუფლება წმინდა ადგილებისა ურჯულოთაგან. პაპმა გაუგონა მას და საფრანგეთის ქალაქ კლერმონში პირველად უქადაგა ხალხს ამ საქმის შესახებ. ხალხმა აღტაცებით მოისმინა ეს მოძღვრება. წლის თავზე შეიკრიბა 600,000 კაცი ჯვაროსანთა ლაშქარი და გაემგზავრა პალესტინას მაჰმა, დიანთა დასამხობად. მაჰმადიანნი უმეტესად განძვინდნენ, გაბოროტდნენ და უფრო მაგრა ჩასჭიდეს ხელი ქრისტეს საფლავისა — პალესტინას. აქაურნი მეფეებნი იწვევდნენ სხვა-და-სხვა ქვეყნებში დამკვიდრებულ მაჰმადიანთა ლაშკარს და ემზადებოდნენ საომოვანად დახვედროდნენ მტერს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II.

მარტო ჩვენს ქვეყანაში მეოთე მაჭმადიანები (სელჯუკები) არ ჩქარობდნენ და ბიზანტიაში წასვლა თვიქრადაც არ მოსდიოდათ. დავით მეფემ ესენი დასტადასტა დაამარცხა და მომეტებული ნაწილი კი განდევნა საქართველოდგან. სელჯუკნი განძვინდნენ და საქართველოს დაკარგვა ითაკილეს. თვისი შერცხვენა და წასდენა მოწიწებით მოახსენეს ემირს ილგაზის. ამან შეჰყარა 150000 მეომარი, მოიწვია ათი გუნდი არაბეთის მეფლობელის სადაყასი და 400,000 მხედარი განძაგის სულთნისა და ამ აუარებელ ლაშკრით შემოვიდა საქართველოში. დავითი არ შედრკა. შეჰკრიბა 40,000 მხედარი, მოიწვია 15,000 მეომარი ყიფჩაყეთიდგან, 5,000 ალანიიდგან და მიეგება მტერს. ბრძოლა დაიწყო 15 აგვისტოს, ორ მთას შორის. ბრძოლა ისეთი სასტიკი იყო, რომ მთებიც კი ინძრეოდნენო. ღმერთი შეეწია ქართველებს. მტერი მთლად გაიმუსრა. დაჩეხილი გვამებით გაივსო მდინარეები, ღელეები და ხევები. მოკლულ იქმნა 400,000 მაჭმადიანი. 30,000 კაცი დაატყვევა დავითმა. თვით ილგაზი, თავში დაკოდილი, ძლივს-ღა გაიქცა 20,000 კაცით. გოთიე, რომელიც აღწერს ამ ბრძოლას, ამბობს, რომ ილგაზის ჰყოლიდა 600,000 კაციო და დავით მეფეს კი 80,000 მეომარიო.

იმავე წელიწადს (1121 წ.) დავითმა ოსმალნი გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკა ტფილის-დმანისიდგან, შაქ-შირვანიდგან, განჯიდგან და ერთ ბრძოლაში გასწყვიტა 60,000 სპარსი. 1124 წ. იგი მიუხტა სომხეთის დედა-ქალაქ ანს, გაეყლიტა 20,000 მაჰმადიანი და მტრებს გამოჰგლეჯა ეს დიდებული ქალაქი. სომხებს გაუხარდათ. შემოიკრიბნენ და სამადლობელი პარაკლისი გადიხადეს ანის საკრებულო ტაძარში, რომელიც მაჰმადიანებს მეჩითად ექცეათ. ეს დღე სომხის ნათესავისათვის შეიქმნა დღედ ბედნიერებისა, — ამბობს სომხისაკე მემატიანე, — რადგან დავითის წყალობით ანი განთავისუფლდა სისხლის მწოველთა ხელიდგანა.

ჯერ ეს ომები არც კი დაეწყო დავითს, რომ მოისმო თვით-არსებობა კახეთ-ჰრეთისა. აქაური მეფე აღსართანი, კაცი „ცუნდრუკი რამე, უსჯულო, უმეცრად უსამართლო და ყოველად წინა — უკმო“, შეიბყრეს ჰრეთის დიდებულებმა — არიშიანმა, ბარამმა და დედის ძმამან მათმან ქვეთარ და მოსცეს მეფე დავითს. ეს მოხდა 1105 წელს *)

---

*) კახეთ-ჰრეთის და კუხეთის მთავარნი:

გრიგოლ	787—827 წ.	კვირიკე I	893—918 წ.
ვაჩე ქობულიძე	827—839—	ფადალა II	918—929—
სამოელ დონაური	839—861—	დინარ დედოფალი	917—
გაბრიელ დონაური	861—881—	კვირიკე II	929—976—
ფადალა I	881—893—	დავით	976—1010—

მეფენი:

კვირიკე III დიდი	1010—1039 წ.	კვირიკე IV	1084—1102 წ.
გაგიკი (გაკი)	1039—1058 —	აღსართან II	1102—1105—
აღსართან I	1058—1084—		

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის შემდეგ დავითმა დაიპყრო ქვეყნები ოსთა ზღვათა შორის. კასპიის ზღვისკენ დარუბანდი შეადგენდა მაშინდელ დროის საქართველოს მიჯნას. დარუბანდი იყო შესანიშნავი სიმაგრე, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეული, და მოსაკიდებელნი ოქსიონნი, და წიგნები საეკკლესიო სრულობით, სამსახურებელნი ოქროისა რჩეულისა".

მარტო ამით არ დასრულდა მისი მოღვაწეობა. საქართველო ამ დროს მძლავრი და აღდგენილი იყო თავის ძველის მიჯნებით. მეფე ახლა შეუდგა შინაურ საქმეების განკარგება-განწყობას. ამისთვის მან რამდენიმეჯერ მოახდინა კრებები სასულიერო და საერო ზირთაგან. გამართა: ზარაფხანა, სკოლები, სასტუმრო—საკადმყოფოები დაჭრილთა და სნეულთათვის, რომელთაც ხშირად თვით ინახულებდა და ზირად თვითონ ემსახურებოდა.

დავითი მამობრივის სიყვარულით ეზრუნებდა არა თუ მარტო ქართველებს, არამედ თვით აქ დაშთენილ მაჰმადიანებსაც. ალაინი, არაბთა მწერალი, ამბობს, რომ უცხო ტომთათვის დავითმა აშენა ქარვასლები და სადგურები. მოქადაგეთა, სუფიებსა და ზოტებს ულუფას აძლევდა. თუ რომელიმე მათგან მოისურვებდა თბილისის დატოვებას, იგი გულსავსებით ხელს უწყობდა და მგზავრობის სახსარს აძლევდა ფულითაც. დავითი უფრო მეტ ზატივს მიაზურობდა მაჰმადიანებს, ვიდრე სულტანნიო.

ამავე დროს ფრიად გავრცელდა მწიგნობრობა და ქვეყანას მოეფინა განათლება. იყალთოსა და გრემში დავით მეფემ დააარსა უმაღლეს სწავლა-განათლების მისაღები სასწავლებლები—აკადემიანი. იმანვე დააარსა მრავალი სკოლები საქართველოს ყოველ კუთხეში: თბილისში, სათვარას, ტბეთს, ოზიზას, გელათს, მარტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილს, მცხეთას, გარესჯას და მრ. სხ. ხოლო საქართ-
ველოს გარეთ განაბრწყინვა სკოლები ქართველთ მო-
ნასტრებსა და ლავრებში: ათონს, იერუსალიმს, სინას,
ასურასტანს. ყველა ეს სასწავლებელნი ადივსნენ მოს-
წავლეებით. მათში გამოიზარდა არა ერთი სახელმწი-
ფო კაცი და მოღვაწე. მეფე არ კმარობდა აქაურ სწავ-
ლა-განათლებასაც და ყოველ-წლივ 40—80-დე ახალ-
გაზდას გზავნიდა საბერძნეთს, რომელიც მაშინ ითვლე-
ბოდა სიბრძნის ლამპრად. დიდებულ მეფის მფარველო-
ბით ერს დაუდგა ხანა წარმატებისა და განვითარებისა.
საცა რამ ნიჭიერება იყო მაისის ვარდისავით გადიშალა
ლ გაუკაილდა. დაიბადნენ სახელოვანნი მწიგნობარნი, ფი-
ლოსოფოსნი, მხატვარნი, მქანდაკებელნი, ხურთნი ლ ხუ-
რთ-მოძღვარნი, მეწესენი და კალმის-კაცნი (მწერალნი).
ყოველმა სკოლამ შემოიფარგლა თავისი გავლენის წრე და
მეტოქეობა დაუწყო სხვა სკოლებს. ყოველი კერია გა-
ნათლებისა სცდილობდა იმას, რომ არ ჩამორჩენოდა
თვის მოძმეებს და მესვეურობა სხვისთვის არ დაეთმო.
ამიტომაც ყველგან გაჩაღებულიყო დაუღალავი მუშაობა.
ყოველი სკოლა ზრუნავდა სხვებზე უკეთესად ეწე-
რა, სხვებზე კარგა ესწავლებინა, სხვებზე შნოიანად
ეხატა, სხვებზე უკეთესად შეეგნო მშობლიურ ენის
სიღრმე-სიგანე, რათა ადვილ-გასაგებად გამოეთქო
სიბრძნე მეცნიერებისა. ამ დროის მოღვაწეთა შემწეო-
ბით შემუშავდა და განიფრჩქვნა ის მხატვრობა-ხელოვ-
ნობა, რომელსაც მეცნიერნი დღეს უწოდებენ ქართულ
ყაიდის (სასის) ხელოვნობას და რომელსაც ამ
გვარ ხელოვნობათა შორის უპირველეს ადგილს მია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კუთვნებენ. ქართულ სამსატვრო და საქანდაკო ხელოვნობის განსაკუთრებულ თვისებად ითვლება გადასლართვა სახეებ-ფერადებისა ულორტებითა, ყვავილებითა და ფოთლებით. ამ დროის მოღვაწეთა შორის უმეტესად ულველთა განითქვნენ: გიორგი, იოანე პეტრიწი, ეფრემ მცირე, არსენი იყალთოელი, იოანე და სხ.

მამა გიორგი მოღვაწეობდა ათონს, რომლის წინამძღვრადაც იგი დაინიშნა შემდეგ გიორგი მთაწმინდელისა. მამა გიორგის დროს ათონს სწავლობდნენ 50 ჭაბუკნი, საქართველოდგან წარგზავნილნი. მათ შემწეობით მამა გიორგიმ გაამრავლა საეკლესიო წიგნნი. გიორგიმ შეადგინა ვრცელი ბიოგრაფია ქართველთა უდიდესს მთარგმნელებისა—ეფთიმისა (აღესრულა 1028 წ.) და გიორგი მთაწმინდელისა († 1066 წელს). მამა გიორგი გარდაიცვალა 1098 წელს. მის შესახებ სწერენ, რომ იგი იყო კაცი ბრძენი, ღრამატიკოსი, რიტორ-ფილოსოფოსი, ღვთის-მეტყველი, მნათობი დიდი.

იოანე პეტრიწი ჭიჭიმელი, ფილოსოფოსი, დიდი პოეტი და ღრამატიკოსი. მისნი შრომანი: განმარტება მარკოს მახარებელისა; კლემაქსი, ლექსად გადმოღებული; ბრიღოგი, ლექსად შედგენილი; კავშირი ბრიკლე დიოდოხოსისა; ნემესიოსი; წიგნი იოსებ ფლავიოსისა; ტოპიკნი არისტოტელისა და სხ. ანტონი I-ის სიტყვით, იოანე პეტრიწის თქმასა და უკუთქმას ვერავინ დაარღვევდა. იგი იყო ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, ზედმიწევით მცოდნე ასტრონომისა, ღრამატიკისა. მისნი ლექსი ბრწყინვენ და ყვავიან. საქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გელო ათინად იქცა პეტრიწის მოღვაწეობითაო.

ეფრემ მცირეს შრომანი: ზეციისა იერარხიისათვის; ამმონიოსის წიგნი; მოქცევა საქართველოისა; ქადაგება თომა მოციქულისა. მის შესახებ სწერენ: ეფრემ რიტორი, შვენიერ მოუბარი, უხვ-სიტყვა, უცხო მსილოგიზმე, მეაქსიომე ბრძენი, უცხო პიიტიკოსი.

არსენი იყალთოელი იყო მოძღვარი თვით დავით მეფისა. მან დიდი ღვაწლი დასდო საქართველოს. არსენ იყალთოელმა აღწერა ის „ძეგლი შვენიერი", რომელიც ზემო მოვიხსენეთ და რომელიც მეფე დავითის განკარგულებით შეადგინეს საქართველოს მოღვაწეებმა. ძეგლად წოდებულია სახელმწიფო კანონები საქართველოისა. ამ ძეგლის შესავალი მოკლედ გადმოგვცემს ისტორიას შესახებ ქართველთა მოქცევისა ქრისტესადმი. ძეგლის ბოლოს არსენს ჩაურთავს შესხმა-შექება მეფე დავითისა და სხ. მოღვაწეთა. არსენის შესახებ სწერენ: ამისი არის საქებელ ღვთის-მეტყველება, ფილიკა, ანატომია, ფილოსოფია, სილოგიზმო, პიიტიკა-შაირნი, გალობა, სტვინვა ოქრო-მუსიკთა. არსენ იყალთოელმა დასწერა მოთხრობა შესახებ სომეხთა ეკკლესიის განდგომისა მართლ მადიდებლობისაგან და გადმოთარგმნა ბერძნულიდგან „ოქროს ნაქტარი" დამასკელისა.

იოანე ტარიჭისძე ათონის მოღვაწე, რომელიც საქართველოში მოვიდა, აქ გამართა სასწავლებელი და დაიწყო მუშაობა. მან სთარგმნა: დიალექტიკა; პორფირის შეუკანილობა; კატეგორია დამასკელისა; თორმეტთა ქვათა აღწერა და საგალობელნი წმინდანთა. მის შესახებ სწერენ: იოანემან ცხოვრება თვისი მოგვცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტად: გვითარგმნა წიგნნი და სწავლა განჭეინნა და ქართველნი აღაყვავა.

თვით **მეფე დავითი** იყო ფრიად ბრძენი კაცი და ღრმად მცოდნე ქართულის ენისა. მისგან დაგვშთა შესანიშნავი თხზულება „გალობა სინანულისა". ამ გალობაში, სხვათა შორის, იგი სწერს: „ყამი-რა წვლილთა და ხმელთა წარმოდგეს, ზარი მეფობისა წარხდეს, დიდება დაშრტეს, შვებანი უქმ-იქმნენ, ყვავილოვნება დაჭნეს, სხვამან მიიღოს სკიპტრა, სხვასა შეუდგენ სპანი,—მაშინ შემიწყალე მე, მსაჯულო ჩემო, იესო ღმერთო". წიგნი მეფეს ძალიან ჭყვარებია. მემატიანეს სიტყვით „წიგნნი იყვეს მისსა საზრდელ ყოველთა გემოვან და სასმელ ტკბილ და საწადელ". მისთვის წიგნები დაჭქონდათ ჯორებითა და აქლემებითაო და „სადა გარდაჭსდის ჭუნესა (ჭუნე—ცხენი), ბირველ ყოვლისა წიგნნი მოაქვნდიან ხელითა, და არა დაასცადის კითხვა ვიდრე არა დაშვრის". მეფეს ჭყვარებია იმისთანა წიგნების კითხვა, „რომელსა შინა არა-რა არს ტყუილი". წიგნის წაკითხვის ხალისმა, ერთხელ, როდესაც თბილისი ისევ მტრებს ეჭირათ, კინაღამ მსხვერპლად არ შეიწირა მეფე. დავითი ავჭალაში იდგა 300 კაცით. 15 კაცკაცს უბრძანა ლოჭინის მხრივ დასცემოდნენ მინდორში მძოვარ თბილისის საქონელს და გამოერეკნათ. თურქნი მდევრად გამოვლენ და გაგულეტავო, ფიქრობდა მეფე. მინამ გაგზავნილი კაცები აღასრულებდნენ მეფის სურვილს, დავითმა აიღო ხელში წიგნი, ამალას უბრძანა „აქ დამიცადეთ უძრავადო", განშორდა მათ და მუუდრო ადგილს წიგნის კითხვას მიეცა და ისრე გაერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თო, რომ სრულიად დაავიწყდა „წინამდებარე ცხოვრებ". ნახირის გამომრეკლებს მდევრად გამოეკიდა ასი მხედარი, რომელთაც მეფის კაცებს ცხენები დაუხოცეს. გაიმართა დიდი ბრძოლა, კიყინი. მეფემ ეურო მოჰკრა ამ თქვრა-თქურს, წიგნი იქვე დასტოვა, შებრძანდა ცხენზე, მიჰყვა ხმას და „წარდგა მონათა თვისთა ესე ვითარსა ღვაწლსა შინა მეოფთასა, და მსწრაფულ შთაბრიალდა ვითარცა არწივი, ს დაბნია ვითარცა კაკაბნი ს მოსწყვიტნა მრავალნი,—მტირედნი-და შეესწრნეს ქალაქსა,—ფერიადისა ტემისაგან ხმალმანცა, დაღვლარჯნილმან, უარ-ყო ქარქაში თვისი". ამის შემდეგ დავითი მიეიდა თავის ამალასთან და ისევ წიგნი მოიკითხა. რაც უნდა არა სტალოდეს კაცს, წიგნისათვის მაინც უნდა მოიცალოსო, ბრძანა მეფემ.

დანგრეულ-დაქცეული ციხეები, ქალაქები და ტაძრები მეფე დავითმა ზოგი ხელ-ახლა აშენა, ზოგი შეკეთა და გაამშვენიერა. მანვე აშენა დიდებული გენათის *) ტაძარი, მსგავსად ბიზანტიის ტაძრისა. გენათის ლავრა ახლაც მოწმობს მაშინდელქართველების დიდებასა და კეთილ-დღეობას. ეს ტაძარი აგებულია სხვილ-სხვილ ქვით. საკურთხეველში ასვენია მოკვრაყებული ხატი ღვთის-მშობლისა, ნაჩუქარი იმპერატორის ალექსი კომნენისაგან. აქვე ასვენია უუძველესი და უუძვირფასესი ხატი ხახულის ღვთის-მშობლისა, ქმნილი წმ. ლუკასაგან და მოკაზმული ძვირფასის ქვებით თვით მეფე დავითისაგან. დავითმავე გაამშვენიერა ხახუ-

*) გენათისა (გელათისა), ღვთის-მშობლის დაბადებისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ღვთის-მშობლის ტაძარი (ჭოროხის ხეობაში). გელათში დაცულია დარუბანდის რკინის კარები, რომელიც მტრებს წაართვა დავით აღმაშენებლის შვილმა დიმიტრიმ. გელათი შეიქმნა საგვარეულო სამარხად ბაგრატიონებისა.

დავით მეფე აგრეთვე დიდ უურადღებას აქცევდა შიო-მღვიმის მონასტერს. მის-მიერ მონასტრისათვის ნაბოძებ გუჯარში სწერია: შიო-მღვიმეს შევუდგინე წესდება, რომელშიაც აღვნიშე გზა ჭეშმარიტი, ცხოვრება ბუნებრივი და მოქალაქობა ანგელოზებრივი. მონასტერი გავამშვენიერე, გავამდიდრე, გავანთავისუფლე ხარჯ-ბეგარისაგან და შევწირე მას: ლამპარნი, სასანთლენი, 30 ლიტრა ოქრო, სანთელი, 500 დრამა გამოძცხვარი პური ყოველ წლივ, ღვინო, შემოსავალი საკვრო სახლებიდგან და წისქვილებიდგან, 30 ჯორი, მონასტრის 3000 ცხვარს მივუმატე კიდევ 2000 და ნება დავრთე ეს თვრა გამოკვებათ სამეფო მამულებზე, ხოლო საბალახო არ გადაეხადათ. შევწირე აგრეთვე: 100 ძროხა, რომელნიც უნდა აძოვონ თრიალეთს — სოფელ ბჩიტს, და მრავალი თვალ-მარგალიტი. პარასკევობით ყოველს მლოცველს უნდა ეძლიოს ახლად გამოცხობილი სეფისკვერი, ხოლო დიდ-მარხვის პირველ კვირას, პარასკევს, თითო ჯამი ღვინო.

მემატიანე ამბობს: დავითმა „განათავისუფლნა არა მონასტერნი ოდენ და ლავრანი, არამედ ხუცესნიცა ყოველისა ჭირისა და ბეგრისაგან. ხოლო კინ დასთვლის: რაოდენნი ეკკლესიანნი აღაშენა; რაოდენნი ხიდნი მდინარეთა სასტიკთა; რაოდენნი გზანნი, საწყინოდ სავალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი, ქვა-ფენილ-ყვნა; ანუ დაადგინნა კაცნი ძალიან ლიად მცნობელნი და გამკითხვარნი მოჩიკვართანი; განთავისუფლნა ტყვენნი“ და სხ.

მეფე დავითი გარდაიცვალა 1125 წელს, 24 იანვარს. საქართველოს აღდგენისა და გაშენებისათვის ქართველნი მას აღმაშენებლად ჰხადიან. საქართველოს ეკკლესიამ-კი, რომელიც მან იხსნა მტერთაგან და განაბრწყინა, შერაცხა იგი წმიდათაშორის.

განისვენა ამა წმიდა მეფემ და დაესაფლავა გელათის მონასტერში. აი მისი საფლავის ქვის წარწერა, რომელიც დაუცავს ერის მესხიერებას.

როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე პურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი სამზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,—
აწ ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს.

გელათის ტაძრის კედელზე ჰხატიან: დავით აღმაშენებელი, დიმიტრი, გიორგი, თამარი და სხ. აღმაშენებლის სურათის ქვეშ შემდეგი წარწერაა: «ესე არის განსასვენებელი ჩემი უკუნითი უკუნისამდე. ამას დავემკვიდრო, რამეთუ მთნავს ესე» (ფს. 131, 14).

დიმიტრი I (1125 – 1155 წ.)

ორის წლის წინად თვისის სიკვდილისა მძლავრმა და ღვთივ გვირგვინოსანმა მეფე დავითმა დასწერა შემდეგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდერძი: „მიგდივარ წინაშე უკვდავისა მეუფისა, ბრძანებელმა სოფელსა ამას შინა მოამანიჭა ეგეოდენი წყალობანი თვისნი და მოაცა შვილი დიმიტრი, უმეტეს ჩემსა აღვსილი სიბრძნითა, სიმართლითა, სიმტკიცითა და ვაჟ-კაცობითა. ამისთანა მეფე არს ჯილდო უფლისა მართალთათვის, დაშთენილთა ამა სოფლად; ამისთანა შვილმა აღავსო გული ჩემი სიხარულითა დიდითა“. შემდეგ: „დაადგა თავსა გვირგვინი, შვენიერი, ქვათაგან პატიოსანთა, და შეარტყა წელთა ძლიერთა მახვილი, და შემოსა პორფირი მკლავთა ლომებრთა და ტანსა ახოვანსა, და დაუფარა ცხოვრება წარმართებული და განგრძობაჲ დღეთა ბედნიერობით, და გამობრწყინვებად დღეთა მისთა სიმართლე და მშვიდობა“.

მამის ანდერძი აცხადდა. დიმიტრიმ უმეტეს მამისა გაძლიერა საქართველო. ჯერ მამისავე სიცოცხლეში და მისივე მინდობილობით დიმიტრიმ გაიალაშქრა შირვანს. ჭმნა ომნი და ბრძოლანი; თავის ვაჟ-კაცობით გააკვირვა მტერნი, აიღო ციხე ქალაქორი, დაამარცხა სპარსეთის თავი ჯარი და აიკლო ალათეთა და ტუკით. ამამის სიკვდილის შემდეგ მან დაარბია განჯა. თურქებისაგან გაოხრებული ქვეყანა—ტაო ხელ-ახლა დაასახლა და დაამშვიდა. მის მეფობის განმავლობაში ქართველთა ხალხი მშვიდობიანად მუშაობდა შინაობაში და გარეშე მტრებისაგან მოსვენებული იყო.

ბოლოს დროს იგი ბერად შედგა, მეფობა გადასცა თავის შვილს—დავითს, რ ომელიც ექვსი თვის მეფობის შემდეგ გარდაიცვალა. ამავე წელს გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიცვალა ბერი დიმიტრიც. დავითს დარჩა ვაჟი-დიმიტრი. მის მცირე-წლოვანობისაგამო საქართველოს გამგედ დაინიშნა დავით მეფის ძმა გიორგი, შვილის შვილი დავით აღმაშენებლისა.

დიმიტრი I-ის ყამს მოღვაწეობდა მამა სამა სინგელოზი, რომელიც, ანტონი ქათალიკოზის სიტყვით, იყო კაცი ფილოსოფოსებრი, პიიტიკებრი, შვენიერ-მჯეკრი, ქართველთ დიდება, იმერთა გვირგვინი, ოდიშართ მნათი, მესხთა და გურიელთ სიგეთე, კახ-ათ-საზთა შვენიერება დიდი. ამავე დროს სცხოვრობდა მამა იეზეკიელი, რომელსაც იოანე პეტრიწს, ფილოსოფოსს, ადარებენ.

გიორგი III (1156—1184 წ.)

ჯვაროსანთა ომების გამო მაჰმადიანთ აღარ ეცალათ საქართველოსთვის. მათი უმთავრესი ძალ-ღონე პალესტინის დაცვას უნდებოდა. მაჰმადიანნი სცდილობდნენ მტერი—მეჯვაროსნე ლაშქარი—მოეგერებინათ ჯ ერუსალიმი. ამით გიორგი მშვენიერად სარგებლობდა. გასაძლიერებლად თვისის სამეფოისა და ჯვაროსანთათვის ხელ-შესაწყობად იგი ხშირად უტე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხვედა ომს ხან ოსმალთ, ხან სპარსელებს, და, ხან-გადოდ, მაჭმადიან ხალხებს. ისე ოსტატურად ებრძოდა მათ, რომ სულ მუდამ ბრძოლის ველიდგან გამარჯვებული ბრუნდებოდა.

თვისი მოქმედება წინაალმდეგ მტერთა გიორგიმ დაიწყო საქართველოს სამხრეთ მიჯნაზე, არარატის მიდამოში, სადა მაშინ ოსმალნი ბატონობდნენ. აქ მან დაამარცხა მტრები, აიღო სომხეთის ქალაქები ვალარშაპატი და დვინი, და არეზის ნაპირის ციხეები. დაიმორჩილა ქალაქი ანი, განდგომილი შანშე დადიანის მოთავეობით. მტერს ოვეზარი დასცა. შანშე დადიანმა ძლივს მოასწრო სპარსეთს გაქცევა.

რამდენადაც ქართველთ ემატებოდათ დიდება და პატივი, იმოდენად ოსმალთ და სპარსთ აკლდებოდათ გავლენა მცირე-აზიაში. ამიტომ ბევრი ველარ ითმინეს. ოსმალნი და ხორასნის სულთნები შეუერთდნენ სალიფას ჯარებს და საქართველოს წინაალმდეგ გამოემართნენ. გიორგი არ შეუშინდა მტერს. გმირულად დაესხა მათ და დაამარცხა იგინი. ამის შემდეგ ქართველს აღარ ეშინოდა მტრისა, რომლის ქედ-მაღლობის დასამხობად გიორგიმ იხმარა შემდეგი ღონე: თვისი მამაცი ჯარი მან გაჭეო ექვს წოობად: ერთი გაგზავნა ვანის დასაპყრობად, მეორე—არზრუმისა, მესამე—მტკვრის გაღმა განჯის ქვეყნებისა, მეოთხე—განჯას იქითი ადგილებისა ხოლთამდის, მეხუთე—შირვანისა; თითონ კი თავის წოობით გაიარა ყაჯოგანის დასაპყრობად. ყველა ამ ჯარებმა სწრაფვად და მალიად შესრულეს მათდამი მინდობილი საქმე: დაიმორჩილეს აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნული ადგილები და დიდი ალაფვით დაბრუნდნენ ქართველოში.

ამის შემდეგ ყველა მეზობელი ხალხები სცდილობდნენ დამეგობრებოდნენ ქართველებს *). ბიძაშვილი დიდის იმპერატორის მანუილისა ანდრონიკ კომნენი მშვიდობიანობის მოსაპოვებლად მოვიდა საქართველოში მთელის თავის ოჯახითურთ. მეფე გიორგიმ მიიღო იგი, როგორც ეკადრებოდა მეფის გვარის შვილს, და აჩუქა მას მრავალი მიწები კახეთში. **)

უკანასკნელი ლაშქრობა ჰქონდა გიორგის წინააღმდეგ დარუბანდისა და მთიულებისა, რომელნიც ავაზაკებრ ეცემოდნენ ქართველთა განაპირა ქვეყნებს. ყველა ეს ხალხები გიორგიმ დაამარცხა, დაიმორჩილა, აღაოსრა მუსკური, შარაბამი, აიღო ქალაქი შაბური, მშვიდობიანობა ჩამოაგდო აქაურობაში და მშვიდობით და დიდებით დაბრუნდა თავის ქვეყანაში, რომელიც ებჯინებოდა ერთის მხრით კასპიის ზღვას დარუბანდამდის და მეორეს მხრით — შავ ზღვას ტრაპეზუნტამდის.

ამასობაში გიორგის ძმისწული დიმიტრი (დემნა) სრულ-წლოვანი შეიქმნა და ბიძას მოსთხოვა ტასტი.

---

*) ჩვენი მატიანეს გადმოცემით ბერძენნი, ინდოელნი, არაბნი, სულთნები ხორასნისა, ასურეთისა, მისირისა, იკონიისა და აგრეთვე ქაზარეველნი, ალანნი, აბაზგნი და ყველა ხალხები მაღრუბით მაშრუყამდის ეძიებდენ გიორგის მეგობრობას.

**) მისი (ანდრონიკ კომნენის) ჩამომავალნი, დაშთენილნი საქართველოში, ეხლა იწოდებიან ანდრონიკაშვილებად და ხარისხით არიან თავადნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგიმ უარი შეუთვალა. მოჭხდა შეგოთი, ამბოხება და დიდი განდგომილობა. ახალ გაზდა დემნამ, რომელიც აღიზარდა ორბელიანთა გვარში და მათ რჩევას აჭყოლოდა, გადიბირა თავის მხარეს მრავალი დიდ-კაცობა, რომელთა ქედ-მაღლობა დაემტირებინა გიორგის. დიმიტრი გამაგრდა ტაშირსა და ლორეს. გიორგი მიუხტა მას, აიღო ტაშირი, მტერი შერეკა ლორეს და დაიბანაკა აგარას. დიმიტრიმ გაგზავნა თვისი ალმზრდელი მეჯინიბეთ-უხუცესი ჭიაბერ ჩერეთს მოსაწვევ-მოსახმობად აქაურ ერისთავისა, ლეკთა და კავკასიელთა. ჭიაბერმა დაიყოლია ეს სალხები, შეჭრიბა დიდი ლაშქარი და მივიდა ლორეს. შეიბნენ ბიძა და ძმის-წული. შეიქნა ომი ფიცხელი და მკვეთრ კვეთებანი. გაემარჯვა გიორგის. იძლიენენ ლეკნი და ჩრთა დიდებულნი გაიქცნენ. გიორგი შემოერტყა ლორეს. უღონოდ დარჩენილმა დემნამ საბელი მოიბა და გარდამოხდა ციხით და მივიდა ბიძასთან. ციხეში დარჩენილნი ურჩნიც მალე დაემორჩილნენ გიორგის და ციხის კარები გაუღეს. დემნა საბურობილეში მოკვდა. შემდგომ ამისა, მეორე წელს, გიორგიმ ტახტი დაუღოცა თავის ასულს ოამარს.

გიორგი მეფე თვის ყველა სიმდიდრესა და საზინას ახმარებდა საქვეყნო საქმეს: ციხეებისა და ტაძრების შენებას. იგი დიდ ყურადღებას აქცევდა ვარძიას, საძეფო საცხოვრო ადგილს.

ვარძია ახალციხის მხარეშია, მტკვრის პირას, იქ, საცა ქარაზამეთის წყალი ერთვის მტკვარს. ვარძია კლდეში გამოკვეთილი შენობაა. იგი შესდგება მრავალ სენაკ-ოთახებისაგან. შიგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის ეკკლესიები, ბუზები, ბალახნი, ფოლოტნი და სხ. ეს შენობა ისეთი ვრცელია, რომ 20,000-მდე კაცს დაიტევს.

ისკანდერ მუნჯის სიტყვით, ვარძიის კლდეში გამოკვეთილი ტაძარი საკვირველი ქმნილებაა. იგი ჩაითვლება სასწაულად კაცის ხელოვნობისა და ჭკუისა. ეკკლესია შესდგება ოთხ დიდრონ ბალახისაგან. ეკკლესიის კედლები ჩუქურთმიანია. მეორე ბალახის შუაგულს იდგა სამეფო ტახტი, რომლის ზევით დაკიდებულ იყო სალს ოქროსაგან ჩამოსხმული სატი, შიგა და შიგ შითთხილი ძვირფას ქვებითა. სატზე გამოუკანილ წმინდანის თვალების ადგილას ჩადგმული იყო ორი ლალი, რომელთაგან ყოველი ღირდა 50 თუმანი. გარედგან ტაძარში შესასვლელი გზა ვიწროა და ბნელი.—ამ მიწის ქვეშეთსა და კლდეში გამოსკრეტილ ქალაქში 700 მეტი ბალახ-სენაკია და მათ შორის, ეკკლესიის გარდა, კიდევ არის მეფის სასახლე, სალარო, სასამართლოს ბაბალახი, საბურობილე და სხ. ამ ქალაქში წყალი შემოუკანილია მილით **ალის** წყაროდგან, რომელიც ვარძიაზე დაშორებულია 3 ვერსტით. ერის გადმოტანა გვეუბნება, რომ თამარ დედოფალი ამ მილით, ვარძიაში, წყლის მაგიერ, რძეს ადენდა. ვარძიის ტაძრის კედლებზე ჴსატიან გიორგი III, თამარ დედოფალი, რომელსაც ხელში უპყრია გეგმა საყდრისა, ლაშა—გიორგი და რუსუდანი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თამარ მეფე

(1184—1212 წ.).

I

დაბადება და აღზრდა.

თამარის დედა ბურდუხან ოსეთის მეფის ხუდანის ასული იყო. გიორგი მეფემ იგი შეირთო თვისის მამის დიმიტრის რჩევით. ბურდუხანი ფრიად ლამაზი, ბრძენი და სათნო ადამიანი იყო. მისებრი რძალი ქართლს არ უხილავსო, ამბობს ქართლის ცხოვრება. მემატიანეს სიტყვით, ბურდუხანის ქებად ისიც საკმაო, რომ იგი შეიქმნა დედად ნათელ-შემოსილის თამარისა. მატიანე არ ამბობს, სახელდობრ, რომელ წელიწადს დაიბადა თამარი. თამარის მამა, რომელმაც მამა მისს ტოლად მოჰ‍ᲒᲒვარა ბურდუხანი, აღესრულა 1155 წელს. ამის გამო სარწმუნოდ მისაჩნევია თამარის დაბადების დროდ ჩვეთვალოთ პირველიგე წელიწადი მისის მამის გამეფებისა, ესე იგი 1156 წ. *

---

*) თამარის გამეფებისა და სიკვდილის წელიწადნი დღემდის დაჭეშმარიტებით გამორკვეულნი არ არიან. ვახუშტით, თამარი გამეფდა 1174 წელს და აღესრულა 1201 წ.; ბროსეს ანგარიშით კი იგი გამეფდა 1184 წ. და აღესრულა 1212 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დემნას სიკვდილის (1177 წ.) შემდეგმეფე გიორგი შეუდგა თადარიგს სამეფო გვირგვინი გადაელოცნა თვისის ასულისათვის. 1179 წელს საქართველოს გასცა ბრძანება: განვიზრახე თამარს გადავსცე ტახტი. მო-

---

ამას გარდა, ზოგიერთი მემატიანე თამარის სიკვდილის წელიწადად ჰხადის 1207 წ, ზოგი 1204 წ. და სხ. რომ თამარი ცოცხალი ყოფილა 1212 წლამდის, ეს მტკიცდება მის-მიერ მოჭრილ ფულით, რომელზედაც აღნიშნულია 1212 წ. ქართლის ცხოვრების ქორონიკონების მიხედვით ირკვევა შემდეგი: ა) თამარმა იმეფა 23 წ. და აღესრულა 18 იანვარს; ბ) ლაშა იყო 13 წლისა, რაჟამს დედა მისმა დაადგა გვირვინი და დაულოცა მეფობა; გ) რაჟამს მიიცვალა თამარ, ლაშა იყო 18 წლისა. მაშასადამე: 1212 – (18 — 13)=1207 (წელიწადი, ოდესცა თამარმა დაადგა ლაშას გვირგვინი); 1207—23=1184 (წელიწადი თამარის გამეფებისა); გიორგიმ გვირგვინი რომ დაადგა თამარს, ამის შემდეგ კიდევ მეფობით იცოცხლა 5 წელიწადი (1184—5=1179 წ.). ორი წლის ამის წინად მოკვდა დემნა (1177 წ.). თუ თამარის შობის წელიწადად მივიღებთ 1156 წელს, მაშინ მისი წლოვანობა დაბადების დღიდგან იქნება: გვირგვინის ღადგმამდე 23 წ. (1179—1156=23); გამეფებამდე ანუ თვით-მპყრობელობამდე 28 წ. (1184—1156=28); თვით მპყრობელობის უარ ყოფამდე ანუ ლაშასთვის გვირგვინის დალოცვამდე 51 წ. (1207—1156=51); სიკვდილამდე 56 წ. (1212—1156=56); რუსის შერთვამდე 31 წ. (1187—1156=31); სოსლანის შერთვამდე 37 წ. (1163—1156=37); ლაშას შობამდე 38 წ., რუსუდანისა— 40 წ.—1156 წლით ანგარიში სარწმუნო ხდება იმითაც, რომ ქართლის ცხოვრებაში თვით თამარის მატიანეს სათაურს 1156 წ. აღნიშნულია წელიწადად თამარის გამეფებისა ანუ, სხვა ნაირად რომ ვსთქვათ, დაბადების დღიდგანვე მატიანე თამარს იხსენიებს მეფობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დით ყოველნი ხელმწიფეთ დავსვათ მზეებრ მანათობელი. მოვიდნენ ქართველნი. შემოიკრიბა ბევრ-ათასი ლაშქარი. დასდგეს სამეფო ტახტი უთქმელი თვისისა. ბერ-მცინარე მაძამ მიიყვანა თამარი და ტახტზე დასვა. დაიწყეს ლიტანიობა. მეფემ აიღო გვირგვინი ოქროისა მის ოთვზისა, აღმკული იაკინთიითა და სამარგალითა და გადასცა ანტონი ქუთათელს და მან დაადგა იგი თამარს თავზე. აიღო მეფემ ხრმალი და გადასცა კასაბერ კვირიკისძეს, რაჭის ერისთავს, და მან შემოარტყა იგი თამარს. მეფემ მისცა ხელში თამარს სკიპტრა. შემოსა მეფურად ზეზითა და ბისონითა. გვირგვინი უკურთხეს, ერთგულობისა და ერთსულობის თვიცი მიიღეს: მაძა მისმა, ბატრიარქმა, ეპისკოპოსებმა, იმერამერთა დიდებულებმა, ვაზირთა, 'სპასპეტთა, ლაშქარმა და სხ. შემდეგ ამისა თაყვანი სცეს და მიულოცეს თამარს გამეფება და ქება უთხრეს მრავალგვარი. გაიმართა საერო ლხინი. ჭკრეს სპილულ-ჭურთა, ქოსთა და ბუკთ. წინწილის მხიარული ხმა მოეფინა საქართველოს არე-მარეს. მხიარულობდა ყოველი კაცი. თამარმა მოატანინა თავისი უნჯი და ქვრივ ობოლს, დავრდომილს, ლაშქარს და ყველას უწყალობა უზომო, უანგარიშო, ულევი. დიდკაცობაც სელ-ცარიელი არ დარჩა: მათ ებოძათ ნასუქალნი ტაიჭ-ცხენნი და სხ. ნადიმობა გაგრძელდა სამ დღეს. გამხიარულებული მეფე—მაძა თვის ერთგულ კაცებს გამოეთხოვა ამ სიტყვებით: ამისად ქმნამდის დამწველი ცეცხლი არ დამეკსებოდა. «დამწველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტეტხლად» გიორგის მიაჩნდა თამარის ტახტის ქმნა-ტილე დემნა, რომლის სიკვდილისათანავე მის-მიერ აღნ-თებული ტეტხლიც ჩაქრა ჯ მეფესაც მიეცა შემთხვევა სა-ქართველოს ტახტი გადაელოტნა თავის ასულისათვის. ამ დროს თამარი უკვე 23 წლის ქალი იყო, სახელმწიფო სიბრძნით განბრძობილი, და იცოდა მეფობა.

თამარის აღზრდა მისს მშობლებს მიენდოთ რუ-სუდანისათვის, რომელიც იყო თამარისავე მამიდა. რუ-სუდანი ცოლად ჰყვანდა ხვარასნის სულტანს, რომელ-საც თავი დაანება, მოვიდა სამშობლოში და სამეფო სასახლეში დაბინავდა. იგი ნასწავლი და ფერიად ბრძენი დედაკაცი იყო. თამარმა მისგან ისწავლა ყოველგვარი სიბრძნე, და იქმნა „უბრძნეს ბრძენთა“. შავთელი თა-მარს ჰხადის სიბრძნისა სიტად და კაზად, სწავლის მოძღვრად, წერილთა ღრმათა გამმარტებელად, მსჯავრი-სა და სამართლის მსჯელად და სჯულის ლა-ვად. იგი ამასთანავე იყო ადამიანი სათნო, ღვთისნიე-რი, მშრომელთა, უცხოთა და გლახაკთა მოწყალე და გამკითხავი.

უყვარდა თამარს შრომა, ხელ-საქმე. მისი ყოველ ღამინდელი ხელსაქმარი გლახაკთ მიეცემოდა ხოლმე. თუ რაზომ უყვარდა თამარს შრომა, ამას გვიმტკიცებს შემ-დეგი მაგალითი: ერთხელ ღამე კიდეც გატეხილი იყო და თამარს კი ჯერ არ დაეძინა. იგი იჯდა თავის ოთახში და ხელ-საქმოობდა. ბოლოს დაიღალა და მაშვ-რალს მიეძინა. მძინარეს ესიზმრა სახილველად ტურფა საყოფელი, ყვავილითა, მწვანვილითა ჯ ნერგით განშვე-ნებული, სამოთხის მსგავსი. მასში იყო საყდრები და

ტაბლები, ბატიოსნად შემკული სარკმლებითა. კაცად-ვაცა-
დისათვის დადგმული იყო ოქრო-ვერცხლის საჯდომები
და მათ შორის, ზენა კერძო, იყო ტახტი უბატიოს-
ნესი, ოქროისა, შემკული თვალთა და მარგალიტთაგან.
ამ სამოთხეში შეიყვანეს თამარი, რომელმან, იხილა-რა
იგი საჯდომები, ითქვა: მეფე ვარ და იგი უბატიოს-
ნესი და უზენაესი საჯდომი ჩემი უნდა იყოსო, და
გაემართა მაზე დასაჯდომად. სოლო წარმოუდგა კაცი,
ნათლით შემოსილი, ხელი დაუჭირა და უთხრა:

— არა არს შენი საჯდომი ეგე. შენ ვერ შემძ-
ლებელ სარ დაბურობად ამისსა.

— ვინ უბატიოსნეს არს ჩემსა, რომელმან
დაიბურას უბატიოსნესი საჯდომი, ჰკითხა თამარმა.

— საყდარი ესი შენისა დიასახლისისა არს, ამისთ-
ვის რომელ ათორმეტთა მღვდელთა მისითა ხე-
ლითა შესთული ჰმოსიეს, ამისთვის იგი უზესთაეს არს
შენსა. საყოველი შენი აქავე არს. და უჩვენა უდარესი
საჯდომი.

გაელვიძა თამარს, მოიხმო დიასახლისი და მის-
გან შეიტყო, რომ მას, მართლაც, 12 ღვდლისათვის
შეუსთავს კვართ-ფილონი ჯ მიუძღვნია მათთვის. „ამიერით-
გან თამარმაც იწყო — ალექსანდრიით ვაჭართაგან მოღებუ-
ლის მატყლისაგან — სთვად ჯ ქმნად შესამოსლისა, ვიდრემ-
დის ათორმეტად სრულ-ჰყო“.

თამარს კარგად ახასიათებენ შემდეგი სიტყვები,
რომლებიც მას მუდამ პირზედ ეკერა:

— მე ვარ მამა ობოლთა და მსაჯული ქვრივთა.

— შიშველი გამოვეკ დედის მუცლით და შიშველსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეგულების წარსვლად.

ქცევითა და შესედულობით თამარი ყოფილა მშვენიერი, თვალ-წარმტაცი. ასრე სტავს მას ჩახრუხაძე: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, ბირ-მცინარი, სახიანარი, მზე-მცინარი, წყალი-მტკნარი, მოჩდინარი; მისთვის ქნარი, რა არს ქნარი; არსით-მთქნარი, უჩინარი; ვარდ-შამბნარი, შამბ-მალნარი, ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფენარი“.

შავოელის სიტყვით, თამარი ყოფილა მეტად ღონიერი და მკლავნი ჰქონია ძლიერნი; სოლო ჰმოსია: „შესამოსელნი, შესამკობელნი ოქრო-ნემსულნი; გვირგვინ-სკიპტრანი, ბისონ-მიტრანი ძოწეულითა თანა-შექსულნი; დიადიმ-ბორგვირთა, შთაცმა ბოდვირთა, სამარგდონი ერთგან-ექსულნი.“

თამარის დაგვირგვინების შემდეგ წლის თავზედ გარდაიცვალა მისი დედა ბურდუხან და რამდენიმე წლის შემდეგ (1184 წ.) აღესრულა მეფე გიორგიც. თამარი შეიქმნა თვით-მპყრობელ სელმწიფედ.

II

სეფე-სიტყვა და ქორწინება თამარისა.

თამარის პოლიტიკური ნიჭი, მისი შორს გამჭვრეტელობა ტასტზე ასვლისავე-უმალ გამოჩნდა. მართალია, მამისაგან თამარმა ჩაიბარა ძლიერი სამეფო, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ ეს სამეფო მკვიდრ საფუძველზე არ იყო დამყარებული. მას აკლდა შინაური ერთობა და სიმტკიცე, ეს ქვა-კუთხედი ყოველი სამეფოს ძლიერებისა და ბედნიერებისა. გონება-ვრცელ თამარს არ გამოეპარა ესრეთი ნაკლი მამა მისის სამეფოისა. თვით-მპყრობელ ხელმწიფემ, გამეფებისავე უმალ, დაამხო ქედ-მაღლობა იმ დიდებულთა, რომელთაც ქვეყნის ერთობა—სიმტკიცე თავიანთ თავის დამტირებად მიაჩნადათ, რადგან გაძლიერებულ მეფის შიშით თავისუფლად ველარ მოქმედობდნენ. ამ გვარ სენს ბოლო მოუღო თამარმა და თავის შესანიშნავის ნიჭით ყოველი ქართველის გული მოიგო და მოხიბლა.

უწინარეს ყოვლისა თამარი შეუდგა ერის ზნეობის განკარგებას. უმაღლეს ხელისუფალთა მეოხებით სალხის ზნეობა შებღალულიყო. ქათალიკოზი მიქელ, რომელიც განაგებდა ეკკლესიას, თვით წინა-უკმო იყო წესთაგან საეკკლესიოთა; ეუბასარი, ამირ-სპასალარი და მანდატურთ-უხუცესი, ფილენჯის სენს შეეპყრო და წართმეოდა ენა, ხელი და ფერხი. ამისთანა მოთავე კაცნი ფრიად მაზარებელნი იყვნენ ქვეყნისა. მათნი ხელ-ქვეითნი, თავისის საქციელით, რუვნიდნენ ეკკლესიას, სალხს და ლაშქარს. ამის ცხადი მაგალითი მეჭურჭლეთ-უხუცესი ეუთლუ-არსლანია. ამ „ჯორის სასხედ ორ-გონება და დაუდგრომელ კაცმა კარავი დაიდგა ისნის (თბილისის ნაწილია) ველზე და სომეხთ მეფედ დასაჯდომად განემზადა.

თამარმა იერუსალიმით აღმოუწოდა ნიკოლოზ გულაბრისძეს, საქართველოს ქათალიკოზად ყოფილს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და შეკრიბა საღვდელთნი და წარჩინებულნი კაცნი, მოიხმო ანტონ ქუთათელი საღირისძე, კაცი დიდად განთქმული სათნოებითა და ძლიერი სიტყვითა და საქმით. შეიკრიბნეს-რა ყოველნი ერთსა სადგურსა, თამარი მიეგება მათ ამ სიტყვებით:

თქვენ ღვთისა-მიერ განჩიბულ ხართ მოძღვრად ჩვენდა. გამოიძიეთ ყოველი კეთილად. დაამტკიცეთ მართალი და განხადეთ ყოველი გვლარძნილი. ნუ თვალ-ახვამთ მთავართა სიდიდისათვის, ნუცა გლახაკთა უდებ-ყოფთ სიმცირისათვის. თქვენ სიტყვით, ხოლო მე საქმით. თქვენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით. თქვენ წვრთით, ხოლო მე განსწვრთით. ხელი მივცეთ ერთმანეთს დაცვად სჯულთა: თქვენ ვითარცა მღვდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე; თქვენ ვითარცა ხელისუფალნი, ხოლო მე ვითარცა ებგური (დარაჯი).

დასრულა-რა თამარმა ესრეთი მტკიცე-აზრიანი სიტყვა, გამოეთხოვა კრებას და წარვიდა პალატად თვისად. კრებაზე დამსწრე სამღვდელოების რჩევამ დაამხო ქათალიკოზი მიქელ, რომელი არც კი გამოცხადდა ამ შეურიდობაზე,—ამის შემდეგ მიქელს დიდხანს აღარ უცოცხლია. იგი ქათალიკოზობისაგან „განაყენა ღვთის სასჯელმა“.—სამღვდელოებისაგე რჩევამ „ვინმე ეპისკოპოსნი შესცვალნეს და მათ წილ საღმრთონი კაცნი და მეცნიერნი სჯულისანი დასხნეს“. ყუბასარი, რომლის გადაყენება უნდოდათ, მაღე აღესრულა. განლაღებული ავრიდონი, მსახურთ-უხუცესი და თმოგვისა და სხვა ციხეების პატრონი, ლაშქრის სურვილისამებრ, მოიშა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლა და დაიმხო. შეშინებულნი ყუთლუ-არსლანი და ძალნი მოამხრენი თავის ნებით მოვიდნენ წინაშე თამარისა, დავრდომით თაყვანი-სცეს მას, მისცეს ბირი ერთგულებისა და მორჩილებისა.

ამის შემდეგ, თანა-დგომითა და ერთ-ნებობითა საქართველოს დიდებულთა, თამარ დედოფალმა დანიშნა ახალნი ხელისუფალნი: **ამირ-სპასალარად** (ჯარის უფროსად) სარგის მხარგრძელი, რომელიც შთამომავლობით იყო ქურთის ტომისა; **მანდატურთ-უხუცესად** (პოლიციის უფროსად) ჭიაბერი, რომელსაც მისცეს ოქროს არგანი (კვერთხი), ჩაცვეს საკრამანგი (პერანგი მარგალიტ მოულებული); **მეჯურჯლეთ-უხუცესად** (სახელმწიფო ხაზინის უფროსად) კახაბერ ვარდანისძე, კაცი დიდ-გვარიანი; **მსახურთ-უხუცესად** ვარდან დადიანი; **ჩუნჩერახად** (მზარეულთ უფროსად) მარუშიანი; **ამილახორად** (მეჯინიბეთ უფროსად) გამრეკელი თორელი, რომელიც, შემდგომ სარგის მხარგრძელისა, დაინიშნა ამირ-სპასალარად; **ჭყონდიდლად და მწიგნობართ უხუცესად** ანტონ გლონისძე, კაცი ფრიად მეცნიერი, სახიერი, მოწყალე; **ქათალიკოსად** (შემდეგ მიქელის სიკვდილისა) თეოდორე.

ამაგე დროს თამარმა დასვა: ბარამ ვარდანიძე სვანთა ერისთავად; კახაბერ კახაბერისძე რაჭის ერისთავად; დოთალოს შარვაშიძე ოფხაზეთის ერისთავად; ამუნელისძე ცხუმის (სუხუმის) ერისთავად; სამეგრელოს ერისთავად ბედიანი; იმერეთ-ქართლის ერისთავად რატი სურამელი და კახეთისა ბაკურ ძაგანისძე; ტერეთის ერისთავად ასათ გრიგოლისძე; სომხის ერისთავად და სპა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სალარად ბოლო ჯაუელი.

თამარმა დაადგინა აგრეთვე ახალნი ხელისუფალნი, ტაძრისა და საყდრისა წინაშე მდგომელნი, და გაანთავისუფლა სარჯისა და ბეგარისაგან ეკკლესიანი, გააზნაურა ქვეყნის მომქმედნი და მუშაკნი.

ახალ ხელისუფალთა შემწეობითა და «სიმშვიდითა დავითიანითა, სიბრძნითა სოლომონიანითა, სიმხნითა და საურავისა დღესისა ხვალისა არ მიგდებისა, თამარმა იშყრო ზღვით ბონტოსით ზღვამდე გურგანისა (კასპიისა) და სპერიდგან დარუბანდამდის და ყოველნი კავკასიისა იმერნი ლ ამერნი, ხაზარეთამდი და სკვითთამდი». და წარემართა საქართველოს ბედი სვიან-დოვლათიანად.

მაგრამ ქართველნი სწუხდნენ, რომ მათი ხელმწიფე უმეღლეო იყო და განიზრახეს მოეგვართ მისთვის ქმარი. თამარს ბევრი მთხოვნელი ჰყავნდა. მაგრამ ქართველნი ეძიებდნენ მათზე უკეთესს და უფრო ღირსეულ საქმროს.

ბევრი რჩევის შემდეგ თამარისათვის საქმროდ ალირჩიეს რუსთ მეფის შვილი გიორგი, რომელიც ვაჭარმა ზანქან ზორაბაბელმა ყიფჩაყიდგან თბილისს ჩამოიყვანა. ხალხმა რუსუდანის პირით თამარს მოახსენა თვისი სურვილი. გონება-ვრცელ თამარს გაუკვირდა ესრეთი კადნიერება და უთხრა ხალხს: „აცნო, ვითარ ღირს შეუტყობლად ესე ვითარისა საქმისა ქმნად? არა ვიცით კაცისა ამისთვის უცხოსა: არცა ქცევა, არცა საქმე, არცა ბუნებისა და ჩვეულებისა, არცა მხედრობისა და სიქველისა; მაცადეთ, ვიდრემდის განიცადოთ ყოველთა სიკეთე, გინა სიდრკვე მისი!“ თუმცა ასე მჯევრ-მეტუველურად და საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის ცოდნით ეკედრებოდა თამარი ხალხს, მაგრამ იგი „წინააღუდგებოდეს და უშვილობასა და სახლისა მისისა უნაყოფოებას მოახსენებდეს, დრტვინვიდეს და წინამძღვარსა სპათასა ითხოვდეს და ყოვლითურთ შეაიწროებდეს სულსა მისსა, ესოდენსა მძიმესა საქმესა მსუბუქად შეეხებოდეს“. ამის შემდეგ თამარმა, თანახმად ხალხის სურვილისა და დასამტკიცებლად თვისის გონიერებისა და შორს-გამჭვრეტელობისა, შეირთო გიორგი.

თამარის ქორწინების შემდეგ მოხდა ლაშქრობა. მოთავედ ჩვენი ჯარისა იყო თვით გიორგი. გაილაშქრეს და აიღეს ყარსი, კარნიფოლი. მცირე ჯარით გამრეკელმა განდეგნა ოსმალნი ძაღლის-ხეიდგან (ბალაკლიოდგან). მხარგრძელმა მიმოვლო დვინის და სურმანის ქვეყნები. სხვებმა განაძევეს მტრის ჯარები კლარჯეთიდგან. აჯანყებულნი დვინელნი გიორგიმ ხელახლად დაამარცხა და წაართვა კაი ძალი ალაფი. აქედგან წავიდა არარატისკენ და განაბნია დიდ-ძალი ოსმალთა ჯარი. დაბრუნებისას ქართველთ დაეცნენ გელაქუნის ოსმალნი, მაგრამ არც მათ მოუდრეკეს თავი ქართველებმა. ამის შემდეგ გაილაშქრეს განჯისაკენ და მდინარე არეზის ნაპირებისკენ.

ესრეთი ძლევა-მოსილობა ვერ ახარებდა თამარის გულსა და სულს, რადგან მისი წინასწარმეტყველობის ნიშნები გამოჩნდა. გიორგი შეეჩვია სიმთრვალეს და ისე გაირყვნა, რომ „სიმთრვალესა შინა იწყო მრავალთა საძაგელთა და უშვერთა საქმეთა ქმნად, რომელთა ნამეტნავ არს აწერად.“ შეუჩნდნენ კაცნი გასაგურნებლად, მაგრამ „ვკურნებდით ბაბილოვანსა და არ იყო კურნება: არათუ ოდენ არ შეიგონა, არამედ უძვირესთა მიმართ იწყო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცნი უბრალოდ გვემნა და ასოთა ამოგდებითა ტანჯნა.

ამის შემდეგ თამარმა სახალხოდ გამოაცხადა, რომ ამისთანა გარეგნილ კაცთან ველარ ვიცხოვრებო, და მერე მიუბრუნდა თვით გიორგის და უთხრა: „მე არა მიძლავს აჩრდილისა მრუდისა ხისასა გამართვად და უბრალოდ განვიყრი მტვერსაცა, რომელი აღმეკრა შენ მიერ.“ თამარი განშორდა მას. რუსუდან დედოფალმა და ყოველთა წარჩინებულთა გიორგი ჩასვეს ნავში და კონსტანტინოპოლს გაისტუმრეს. ასე დაირღვა პირველი ცოლ-ქმრობა თამარისა.

ამის შემდეგ, თხოვნისამებრ სასულიერო წოდებისა, აზნაურთა და ხალხისა, თამარი მეორედ უნდა შეუღლებულიყო. თამარის ქმრობის მსურველნი ბევრნი აღმოჩნდნენ, სხვათა შორის, საბერძნეთის იმპერატორის შვილი, ანტიოქიის მთავარი ბოემუნდი, სულთანნი და სხ. მაგრამ ყველა ამათგან ამოირჩიეს ქართველთ მეფეთა ნათესავი დავით სოსლანი, ბაგრატოვანი, ოსთა მეფის შვილი. მატიანეს სიტყვით, დავითი „მოუმე იყო ნაკვთად კარგი, ბეჯ-ბრტყელი, პირად ტურფა, ტანად ზომიერი, კეთილად ზრდილი და წვრთნილი, მხნე და ძლიერი, რაინდობითა და მშვილდოსნობით უსწორო, ტანითა ახოვანი, და ყოვლითურთ სრული სიკეთითა“. იგი პატარაობიდგანვე საქართველოში მოეყვანა თამარის მამიდა რუსუდანს და აქ აღეზარდა ისე, ვითარცა შეჯფერისთ სეფე-წულთ. ერის არჩევანს თამარმაც დასტური დასცა და დავითის მეუღლობა იკადრა. დიდებაში შეიყარა მრავალი ხალხი, მოგროვდა ლაშქარი და ქორწილი ქმნეს შესატყვისი და შემსგავსებული ხელმწიფობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და შარავანდედობისა მათისა. შემდგომად ამისა „შემოვიდეს თბილისად და დასხდეს ტახტსა ბედნიერსა ორნი მნათობნი, ორნი მზენი განმანათლებელნი ყოველთანი.“ სახსოვრად ამ ამბისა თამარმა უხვად გასცა წყალობანი, რომელთაც აღაყვავეს მეურნეობა და განაძლიერეს მუშაკნი, ქვრივ-ობოლნი, ლაშქარი და ეკეკლესია. თამარის ესრეთი მამობრივი სიყვარული თვის ქვეშევრდომთადმი ღრმად ჩანერგილა ერის სულსა და გულში. ერის მესხიერებას დაუცავს შემდეგი სურათი დიდუბის ლხინისა.

საქართველოს დედოფალი, დედა ქართველისა, თამარი,
სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი,
დავით-სოსლანის მეუღლე, რომელს უმშვენა მან მხარი.
დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი.
ნადიმობა გაუმართა; მოიწვია თავის ჯარი.
ასი სული ცხვარი დაკლა და ორასი ნიშა-ხარი.
ლურჯი სუფრა გაუშალა, იქნებოდა ასი მხარი.
ქვრივ-ობლებსა უწყალობა ოქრო-ვერცხლი დიდი ძალი.

ამ შემთხვევაში მოწყალე და კრცელ-გონება თამარი მოიქცა თანასმად ერის სიბრძნისა, რომელიც ამბობს: ვარდთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორედ მოეფინების,—დიდთა და წვრილთა წყალობა შენცა ნუ მოგეწყინების; უხვსა მორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულია; რასაცა გასცემ—შენია, რაც არა—დაკარგულია.

ამასობაში რუსი გიორგი კოსტანტინეპოლიდგან ჯარით წამოვიდა საქართველოსკენ, რათა დაიბრუნოს დაკარგული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტახტი. შემოვიდა ყარნუ ქალაქში (არზრუმში) და გადიბირა ზოგიერთი თავადები. სხვათა შორის გუზან, მმართველი კლარჯეთისა და შავშეთისა; ბოცო, მმართველი სამცხისა და ვარდან დადიანი, რომელმაც მიიმხრო ათხაზნი, სვანნი, რაჭველნი, არგვეთელნი და მეგრელნი. ყველა ესენი მიემხრენ გიორგის და გეგუთში სამეფო ტახტზე დასვეს. ამის შემდეგ ერთი ნახევარი აჯანყებულთა და ორგულთა ლიხის მთით გადმოვიდა და გაანხრა ქართლი და მოაწია გორამდის და ნაჭარმაგევამდის; მეორე ნახევარი გადავიდა სამცხეს და დასწვა ოძრხე.

გაიგო თუ არა თამარმა ასეთი მოქმედება იმერთა, შეკრიბა ლაშქარი და გამრეკელის წინამძღოლობით ათრინა სამცხისკენ, სადა შეკრებილიყვნენ მტრები. ნიალის მინდორში მოხდა ბრძოლა და აჯანყებულნი დამარცხებულ და განბნეულ იქმნენ. ახლა კი მისვლნენ თვის შეცდომას იმერნი და ბატიება სთხოვეს თამარს. თვით გიორგი დაატყვევეს და მოჰგვარეს დედოფალს. ოდესღაც მოწყალე თამარმა ყველას შეუნდო და მისცა სიმტკიცე ბირველად გიორგის უვნებელად გაშვებისათვის, მერმე მის ყამისა არას შეცოდებისათვის, არცა შენანებისა და გარდახდისა. ამის შემდეგ გიორგი „წარვიდა მასვე მისსა სვეუბედურსა გზასა და შეიქმნა მშვიდობა, ერთობა და სიხარული საქართველოსა შინა.“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III

ლაშქრობანი და ბრძოლანი.

სახელი და დიდება თამარისა უმეტესად გაძლიერდა და განითქვა მეორე ქმრის, დავითის, შერთვის შემდეგ.

შანქორის ომი. მაშინ, როდესაც თამარი მშვიდობიანად განაგებდა სამეფოს, მოვიდა ამბავი, რომ მაჰმადიანნი მისულან სალიოვასთან და უთხოვნიათ შემწეობა მოგვეცი და თამარის ჯავრი ამოგვაყრევინეო; სალიოვასაც გაუცია დიდ-ძალი ოქრო-ვერცხლი და თავის სარდლებისათვის უბრძანებია დაიარონ ყველა ქვეყნები ინდოეთ-სამარუანდიდგან მოკიდებული ვიდრე დარუბანდამდის და შეკრიბონ იმდენი ლაშქარი, რომ მათი „რიცხვი არც არავინ იცოდეს და არც არა ერთსა თემსა დაეტეოდეს“.—სარდლებსაც მალე შეეკრიბათ ურიცხვი ლაშქარი, სალიოვას ძვირფასი დროშა წამოემძღვარათ და დაბანაკებულიყვნენ ადარბადაგანს, და ამის შემდეგ განეცხადებინათ თამარისათვის წაკიდება თვისი.

რაწამს ყოველივე ესე ესმა თამარს, უბრძანა ანტონ ჭყონდიდელს: „არა ავითა გულითა და არცა დედა-კაცურითა სიტყვითა: ისწრაფეთ დაწერად და მამაცურითა სიტყვითა მიმოდასდეკით ბრძანება, რათა მსწრაფულ შემოკრბენ მხედრობანი“. ასრე უბრძანა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ბრძანება სამეფო იქმნა და ათსა დღესა, ვითარცა გონი შავარდენთა, მოჰფრინდა ყოველი მხედრობა ყოველითურთ სავსენი სიხარულითა, და აიღეს ლაშქრით მტკვრის პირი თბილისით ყარაღაჯამდის: ალგეთის პირი, ქციის პირი და ბერდუჯის პირი.“ თამარი მიეგება ლაშქარს მამაცურ სიტყვებით:

„ძმანო ჩემნო, ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქვენნი სიმრავლისათვის მათისა და სიმტირისათვის თქვენისა, რამეთუ ღმერთი ჩვენთანა არს... მოიგონეთ გედონისაგან ურიცხვ მადიანელთა გაყლეტა... მხოლოდ ღმერთსა მიენდვენით. შეისწრაფეთ ქვეყანად მათდა და გამარჯვებულნი წარმოემართენით.“ ამის შემდეგ თამარმა წაუმძღვარა ჯარს ძელი ცხოველი და თვითონ ტაბახმელას დადგა.

დავით მეფე ადიჭურვა იარაღით და შებრძანდა ცხენზედ, რომელსაც ერქვა ზერდაგი. ეს ცხენი მეფეს ეყიდნა ვასტანგ სახინელისაგან და თავსად მიეცა ციხე და სოფელი. აღმხედრდა ლაშქარიც და გაემართა განჯისაკენ. მზვერავების თქმით, მტრის ლაშქარს ეჭირა დიდი სიერცე განჯასა და შანქორს შორის მტკვრამდის.

თამარის სიტყვით გამხნევებული ჯარი დავითმა ორად გაჰყო და ორის მხრით იერიში მიიტანა მტერზე. პირველად მიუხტა მტერს ზაქარია მხარგრძელი და, როცა იგი ურიცხვ მტერთაგან იძლეოდა, უცებ შეუტია მათ უკანიდგან დავით სოსლანმა და მტრის ბანაკი აირია ლ გაიქცა. ქართველნი გამოეკიდნენ. შეიქმნა ჩახა-ჩუხი. შეიმუსრა გაღალებული ლაშქარი მტრი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა. მეფეს დარჩა მთელი ბანაკი ძ მრავალი დროშა ხალიფეს დროშითურთ. ქართველნი დაბრუნდნენ განჯაში და „მადრასათა-წილ ალმართეს ეკკლესიანი, მუეანთა-წილ რეკეს ძელთა, და ნაცვლად მუურთა ლაღადებდა მღვდელი“. მეორე დღეს, გათენებისას, მოვიდნენ შანქორელნი და მოართვეს მეფეს ქალაქის გლიტენი. ამასობაში მეფისაგან წარგზავნილმა შიკრიკმაც მიაღწია ტაბახმელამდე და თამარს აუწყა გამარჯვება მისის ლაშქრისა. გახარებული თამარ აიყარა და თბილისს დაბრუნდა. დავით მეფემ დაიმორჩილა განჯა-შანქორი და მათი არე-მარე, განაგო იქაური საქმეები და მერე წამოუძღვა თავის ძღვა მოსილ ლაშქარს და მოვიდა თბილისს. ქალაქის ახლოს მიეგება მათ თამარი, მოიგეთხა ოთველი კაცი და შეაქო. მერე წამოუძღვა ჯარს და შემოიყვანა ქალაქში. სარდლები ძ დიდ-კაცობა მიიწვია სრასა სამეუფოსა; ხოლო ტუვენი, დროშანი და დავლა-ალათი „განაწყვეს ველსა დიდუბისასა აგჯალამდის: აქლემი ოთველი ტვირთითა, ცხენი ოთველი აკაზმულობითა; ოთველი ამირანი თვისითა დროშითა (ბირველად ხალიფეს დროშა, მერე ათაბაგისა); შემდგომად გააწყვეს კარითგან ქალაქისა ვიდრე ხევამდე გლდანისა: ტუვე-ოთველი კაცი ხელმწიფე-აზნაურთა მონამდის —12,000; აკაზა (ვეფხი) 40, ცხენი 20,000, ჯორი 7,000, აქლემი 15,000,—ოთველი კიდებული. სხვათა სიმდიდრეთა და საჯურჯლეთა, ოქროთა და ლართა, ვინმცა უძლო აღრიცხვად“.

ასრე რომ განაწყეს, მერე „განიყვანეს თამარი, და შეწირნეს და ათაყვანეს ოთველნი იგი თავნი სპარსეთისანი, თვითცა თაყვანი სცეს და მიულოცეს მეფო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ბედნიერი".

მემატიანეს სიტყვით, ტუკეებს ქალაქში კუტლად ფუკისად (ფუკის კუტალი=ხის კოკზი, ჩამჩა) ჰყიდნენ; სეფე-აზნაურნი ანაკოფიის ციხიდგან გულასტანის ციხემდე აღიკსნენ საგანძურითა და ტუკეითაო. ხალიფას დროშა თამარმა წარგზავნა გელათს და მიუძღვნა ხასულის ღვთის-მშობელს.

ამის შემდგომ თამარმა გაგზავნა ლაშქარი ყარსის ასაღებად. დროთა ვითარებისაგამო ეს ქალაქი მტრებს დაეჭირათ. ყარსს რომ მიუახლოვდნენ ქართველნი, მტრები გაიქცნენ. ყარსის მმართველად დასვეს იოანნე ახალციხელი და დაბრუნდნენ ქართლად. დიდხანს არ მოუხდა დასვენება თამარის ლაშქარს.

ომი ბოლოსტეკეს. მალე მათ წინ-აღუდგა საშინელი მტერი ეკვროსნობისა—ალეპპოს *) სულთანი ნუქარდინ, რომელმაც თამარს მოსწერა შემდეგი წერილი, ალსავსე ზვიადობითა და ღვთის გმობით:

მე ნუქარდინ,—სულტანი ყოვლისა ცასა-ქვეშისა, უმაღლესი მიმსგავსებული ანგელოზთა, თანამდგომი ღვთისა, მოვლინებული დიდისა მოჰმედისაგან,—მოგიმცნობ მეფესა ქართველთასა თამარს: ყოველი დიაცი რეგვენია: შენ გიბრძანებია ქართველთა აღებად ხრმლისა და ღვთისაგან საყვარელისა ისლემთა ერისა დახოცად და კვალად ნათესავსა ზედა თავისუფალსა დადებად ხარკი ყმებური. აწ მე მოვალ, რათა ვუსაჯო

---

*) ალეპპო იყო მაგარი და მდიდარი ქალაქი ასურასტანში. ეს ქალაქი მეათე საუკუნიდგან ეკუთნოდათ მცირეაზიის სულთნებს. სულთანი ნუქარდინიც აქაური იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალი სახლსა სპარსთასა და განგწვართოო შენ დაბრალი შენი, არაოდეს აღებად ხრმლისა, რომელი ღმერთსა ჩვენთვის უბოძებია; ხოლო ცხოვრებით იგი ოდენ ვაცხოვნო, რომელმან უწინარეს მოსვლისა ჩემისა თაყვანი მცეს წინაშე კარვისა ჩემისა და აღიაროს ქადაგება მაჰმად მოციქულისა, და უარჰყოს სჯული შენი, და ხელითა თვისითა იწყოს წინაშე ჩემსა ლეწად ჯვარისა, რომლისა მიმართ დაგიცსთ ცუდი სასოება. აწ მოელოდი ნაცვალსა ჩემსა, რომელი შეამთხვიე სპარსთა.

ნუქარდინს ჰყვანდა 800,000 მოეომარი და ამათგან 100,000 იყო მხედარი. მთელი ეს ლაშქარი მოეგრიბათ მესოპოტომიასა, გალეტონიასა, ისაურიასა და კაპპადოკიაში და აგრეთვე სომხეთსა, ბითინიასა, პაფლაგონიასა და სხვა ადგილებში.

ნუქარდინმა თვისი ეპისტოლე გამოატანა შიკრიკს. იგი მოვიდა საქართველოში და, წარსდგა-რა წინაშე ამირ-სპალარისა, ამაყად სთქვა: „უგეთუ მეფემან თქვენმან დაუტეოს სჯული თვისი, იპყრას სულტანმა ცოლად ჯ უგეთუ არ დაუტეოს სჯული, იყოს ხარჭად (ხასად) სულტნისა.“

ამ სიტყვებმა საშინლად აღელვეს სარდალი ზაქარია. იგი მიჰვარდა ბრიყვს შიკრიკს და ისე ღონიერად სტკიცა სილა, რომ ამაყი მოციქული პირ-ქვე დაეცა და ვითარცა მგვდარი დაედვა“.

წაიკითხა თუ არა თამარმა ამ გვარი საწყენი წერილი, თადარიგს შეუდგა. მისის ბრძანებით „მოუწოდეს სპათა, იმერთა და ამერთა. ნიკოფსიით დარუბანდამდის ბრძანება და წიგნები ქრიდა. მალე-მსრბოლთა, ცოტათა დღეთა შინა, შემოკრიბეს, ლაშქარი ვითარცა ვეფხვნი სიკისკასითა ჯ ვითარცა ლომნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულითა... შეკრბეს ჯავახეთს და არღარა ჰყოფნეს, არამედ მსწრაფელ მიმართეს კარძიას, ტაძარსა ყოველად წმ. ღვთის მშობლისასა. შეეკედრა (თამარმა) სოსლანდაკით და სხა მისი და დრო შა ბედნიერად ხმარებული. აქედგან გაემართა ლაშქარი, რომელსაც თვით თამარი უძღოდა წინა... ლაშქარმა მიაღწია ბასიანის კერძოს და მიუახლოვდა ყარსს. აქედგან თამარმა ნუქარდინს, ბოლოსტიკეს დაბანაკებულს, შეუთვალა:

ძალისა ღვთისა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამის მეკედრებელმან ჯ ბატიოსნისა ჯვარისა სასოებით მოსავმან, წაიკითხე ღვთისა განმარისხებელი წიგნი შენი, ჯი ნუქარდინ, და ვსცან სიტრფენი შენნი, რათა ბჭე ღმერთი იყოს. არა გასმიესა, რამეთუ, ყოველი ტრფად მოფუტავი სახელსა ღვთისა, მის-მიერ ადიხოტოს. შენ ოქროითა შეკრებულთა სიმრავლისა მეკირეთა მინდობილხარ, უმეტარი მსჯავრსა ღვთისასა, ხოლო მე არცა სიმდიდრეთა, არცა სხათა ჩვენთა სიმრავლესა, არცა რასა სხვასა კეტობრიესა საქმესა მინდობილ ვარ, არამედ ძისა ღვთისა, ყოველისა მფურობელისა და შეწევნასა ქრისტეს ჯვარისასა, რომელსა შენ ჰგმობ. ესე-რა ვითარი შემოგეთვალა, წარმომიგზავნია მხედრობა ქრისტეს მოსახელე, არა შენდა თაყვანის ცემად, არამედ დამხობად შენდა ზვავისა მაგის და ამპარტავანისა გულისა შენისა, რათა განისწავლო ღვთისა-მიერ არ-ღა რა გმობად სახელსა მისსა. იყავნ ნება ღვთისა და ნუ შენი. წარმოგიგზავნე მსახური ჩემი, რათა წიგნისა შენისა პასუხი ადრე მოგართვას და შეგატყობინოს, რომ ჩემ-მიერ წარმოგზავნილთა სხათა ფერხნი ესე-რა კართა შენ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თა ზედა დგანან.

ამის შემდეგ ქართველთა ლაშქარმა თაყვანი სცა და უამბორა წმ. ჯვარსა, გამოეთხოვა ლ გამოემშვიდობა თამარს და გაემართა ბოლოსტიკეს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველთ „დევნა უყვეს, ჴსოცდეს, ჩამოჴყრიდეს, იბურობდეს და სიმრავლისაგან მტერი ვერ ივლტოდეს, არამედ ურთიერთარს დასთრგუნვიდეს.“ მტერნი სრულიად შეიმუსრნენ, ხოლო ქართველთა ჯარი მტირედ დაზიანდა და „არც ერთი კარგი, მეფისაგან შესწავებული, კაცი მოკვდა.“

ქართველთ დარჩათ იმდენი დავლა, რომ „არ იყო განცდა მისი სიდიდითა ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელთა, ნაქსოვთა სიმრავლე აურაცხველნი, სასმურნი ოქროსანი, თვალ-მარგალტნი, ლანგნები, ბინაკები, ლაგვინებისა და ქვაბებისათანა, ოთვლითურთ საგსეთა, მიუწდომლითა ალაფითა; ხოლო ცხენ-ჯორისა და აქლემისა სიმრავლე და კარავთა და საფეხელთა სიმრავლე და ურიცხველობა, რომელ დაყარეს, ვინმე აღრაცხნეს, რამეთუ საგსე იყო ოთველი საბანაკო მათი.“

ამდენის დავლით ქართველთა ჯარი დაბრუნდა და მოვიდა თბილისს, სადა თამართან ერთად იდღესასწაულეს ძლევა მტერთა ზედა. ტუკეთა რიცხვი იმდენი იყო, რომ „ასსა სპარსსა ერთი ქრისტიანე ძლივ მიხვდებოდა წარმომყვანელად“. აიკოდ თამარის ხაზინა სიმდიდრითა. სასახლეში ამის შემდეგ სხვა ჭურჭელს ალარ ხმარობდნენ, თუ არა ოქრო-ვერცხლისას. ძვირფასი ქვები და იაგუნდი იმდენი იყო, რომ „საწყაოთ რწყავდნენ“.

ეგელა ეს დავლა, აურაცხელი ალაფი, თამარმა მოახმარა ქველ და კეთილ საქმეებს. ალექსანდრიიდგან (ეგვიპტეშია) მოკიდებული სინაამდის და „მათ კერძოთა ეკკლესიათა, მონასტერთა და ერთა ქრისტიანეთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიკითხვიდის; ხოლო იერუსალიმისთვის რადგან სხ-
მარ არს თქმად, რამეთუ წარგზავნიდის ამათ ყოველთა
შინა ბარძიმ-ფეშხუმებსა, ეკეკლესიათა ჲ სიწმიდეთა სა-
ბურველსა და მონაზონთა და გლახაკთათვის ოქროთა
აურაცხელთა; ტუკენი განათავისუფლნა და ხარკი ერსა
თვისსა უკუნ-სტის. ქველის საქმით აავსო ეკეკლესია-მო-
ნასტერნი ელადისა, მთა-წმიდისა, მაკედონიისა, თრა-
კიისა, კოსტანტინოპოლისა, ისავრისა და ყოველთა მათ
სანახებთა შავის-პირისა, კვიპრისა და სხ.

ძლევა-მოსილ თამარმა შეჰკრა მეგობრული ზა-
ვი დამასკის სულთნებთან. ეს სულთნები აქამდის
დიდად სტანჯავდნენ იერუსალიმის მოსალოცავად მიმა-
ვალ ქრისტიანებს. ახლა კი ამ ზავის ძალით მაჰმა-
დიანთ აღეკრძალათ ქრისტიანების დევნა-წვალება და
პატივით ეპყრობოდნენ მათ. თათრები უფრო მეტ პატივს
მიაპყრობდნენ ქართველებს. იერუსალიმსა და სულთ-
ნების სამფლობელოში ქართველნი თავისუფალნი იყვნენ
ყოველ გვარ ხარჯისა და ბეგარისაგან. თვით თამარს
დიდის სიყვარულით იხსენიებდნენ იერუსალიმსა და წმ.
ადგილებში. თამარისავე თხოვნით სულთანმა სალადინ
ქრისტიანებს დაუბრუნა ის ჯვარი, რომელზედაც მიმსჭ-
ვალული იყო ქრისტე. ამ ჯვარის დასახსნელად თამარმა გა-
დიხადა 200,000 დინარი.

ტრაპეზუნტის იმპერიის დაარსება. როდესაც
თამარი თვისის ძლევა-მოსილობით იდიდებოდა ყოველ-
გან და როცა იგი უხვს მოწყალებას აძლევდა ქვრივ-
ოხერთა, მონაზონთა და მონასტერთ, მაშინ ვერცხლ-
მოუვარე ბერძენთ იმპერატორი ალექსი ანგარი, „რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელმან ძმასა თვისსა ისაკსა თვალნი დასწვნა და მეფობა წარუღო“, სჩაგრავდა და ძარცვიდა თამარისაგან გაბედნიერებულ და გამდიდრებულ მონაზონებსა და მონასტრებს. სცნა რა ეს თამარმა, მაგიერი წართმეულთა სხვა გაუგზავნა მონასტრებს და განრისხდა მეფეთა ზედა ბერძენთასა: წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთიქითნი და წარუღეს ლაზიკა, ტრაპიზუნტი, ლიმონი, სამსონი, სინოპი, კერასუნდი, ქიტორა, ამასტია, ირაკლია და ყოველნი ადგილნი თებლაღონიისა და პონტოსანი. აქ დაარსა ტრაპიზუნტის იმპერია ⲇ მმართველად დაადგინა ნათესავი თვისი ალექსი კომონიანოსი (კომნენი) *.

როდესაც დედოფლის გავლენა სხვა-და-სხვა სახლებზე და მისი დიდება აღვიდა უმაღლეს წერტილამდის, და როდესაც მან ყოველი თვისი ცოდნა და ძალა სამშობლო ქვეყნის საქმეებს მიაპყრო, მაშინ მოკვდა დავით სოსლანი, რომლისაგან თამარს დარჩა ვაჟი გიორგი (ლაშა) და ასული რუსუდან. მტრებს გაუხარდათ მისი სიკვდილი და აიშალნენ. მოინდომეს თვისი დიდების დაბრუნება და ჯავრის ამოყრა.

პირველად აღდგა არდებილის სულტანი, რომელიც თარულად შევიდა ანის ქალაქში და ამოყლიტა 12,000 ქრისტიანი. თამარმა მალიად გაგზავნა თავისი ჯარი არ-

---

*) ტრაპიზუნტის იმპერია არსებობდა ვიდრე 1462 წლამდის და ამ წელს მას ბოლო მოუღეს ოსმალთა. მიქელ პანარეტისაგან შედგენილ „ტრაპეზუნტის ქრონიკაში“ სწერია: „კირ-ალექსი კომნენმა თვისის მამის მამიდის თამარის შემწეობით ტრაპეზუნტი აიღო 1204 წელს აპრილის 17 დღესაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებილს. ქართველთ დაიბურეს იგი და ამოსოტეს 12,000 მაჭმადიანი, ტყვეთ წამოიყვანეს სულტანი და მისნი ცოლ-შვილნი; მორეკეს ჯოგნი აქლემთა, ჯორთა, ცხენთა და სხ. მოიტანეს მრავალი თვრდაგი, სათვენი, თვალ-მარგალიტი და სხ.

გალაშქრება სპარსეთს. რაოდენიმე ხნის მშვიდობიანობის შემდეგ თამარმა, ზაქარია და ივანე მსარგებლების რჩევით, გაისტუმრა თავისი ჯარი სპარსეთს ხორასნის დასაპყრობად. დიდძალი ლაშქარი გადავიდა მდ. არეზზე და მიადგა თავრიზს, რომლის მცხოვრებნი «განკრთეს და ძრწოლამან შეიპყრნა ყოველნი მკვიდრნი თავრიზისანი, ხოჯანი და ყოველნი წარჩინებულნი მიმდგომნი თავრიზის ქალაქისანი. მაშინ განიზრახეს, რათა ხარკის მიცემით, ძღვნითა, და შეკრდომითა, და ზენარის თხოვნითა დაამშვიდონ პირნი ქართველთა სპათანი. წარმოავლინეს მოციქულნი და ითხოვეს მშვიდობა, არა მოოხრება ქალაქისა მათისა. აღუთქვეს ძღვენი ურიცხვი». დასთანხმდნენ პირობაზედ ქართველნი და მერმე „მოვიდეს ყადნი, ხოჯანი და ყოველნი თავადნი თავრიზისანი და მოიტანეს ოქრო, ვერცხლი, ლარი, თვალი, მარგალიტი, შესამოსელნი, ცხენი, ჯორი, აქლემი და საზრდელნი კმასაყოფელნი ლაშქართათვის. აღავსნეს დიდნი და მცირენი“.

ზაქარია მსარგებელმა თავრიზს დასვა მმართველნი ქართველთაგან და თითონ წაუძღვა ლაშქარს: გაიარეს ადარბადაგანის ქვეყანა და მიმართეს მანას. რაწამს მანას მელიქმა გაიგო ქართველთა მოსვლა, მოიქცა თავრიზელებსავით: ურიცხვი საქონლით იყიდა მშვიდობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქარიამ აქაც დასვა საგუთარნი მმართველნი და წყალნი
და შემოერტყა ერთ მცირე, მაგრამ ძლიერად გამაგრე-
ბულ, ქალაქს—ზანგას. ამ ქალაქელთ ფიცხელად იწყეს
ბრძოლა, მაგრამ მალე ქალაქი აღებულ და მცსოვრებნი
დახარგულ იქმნენ. ამის შემდეგ ქართველთ აიღეს ხვა-
რასნის ქალაქები: უაზმინი და გურგანი.

ამას იქით ქართველნი ველარ წავიდნენ, რადგან
დიდ ძალი ალაფი ამძიმებდა მათ. «შემოიქცეს გამარ-
ჯებულნი და სიმდრითა შემოსილნი ქართველნი». მაგ-
რამ დაბრუნებისას გაიგეს, რომ მანას მელიქს დაუხოტ-
ნია და ძელსა ზედა ჩამოუკიდნია ქართველნი დარაჯნი.
ესმა ესე ზაქარიას და იკანეს: „დიდად გამწარდეს.
შეიბურეს მელიქ და ყველანი სახლეულნი და ნათესავნი
მისნი და სიკვდიდ დასაჯნეს,—თვით იგი და შვილნი
მისნი: ტუკვები დაჭხადეს და ძელსა ზედა ჩამოჭკიდეს,
ხოლო ქალაქი მოაოხრეს, მოსწვეს და ტუვე ჭუვეს.
სიმდიდრე, რომელი წარმოიღეს შეუძლებელ არს აღ-
რიცხვა მისი“.

ამის შემდეგ წამოვიდნენ ადარბადაგანს. გამოვლი-
სას ბირველად უკანელთ, მერმე თავრიზელთ მოართვეს
დიდი ძღვენი და სიმდიდრე. ამ ქვეყნიდგან გადმოვიდ-
ნენ თბილისს წინაშე ოამარისა, რომელიც გაეგება მათ
ზეიმითა და დიდებითა. „იყო ხმა ბუკთა და დუმბულ-
თა. მერმე შეკიდეს ისანსა და დაჯდა მეფე ტახტსა
ზედა სამეფოსა. შეუძღვა ამირ-სპასალარი და შეკიდეს
თავადნი და დასხდეს წესისაებრ და მიიღეს არძალანი
ურიცხვი, და დადგეს წინაშე მეფისა: გაგიერდა მეფე,
რომელ არავის ქართველთაგანსა ენახნეს ეზომნი სიმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდრენი აურაცხელნი, თვალნი და მარგალიტნი. ხალო თამარი აღასრულებდა ლიტანიობასა და გასცა მრავალი ობოლთა და ქვრივთა ზედა, და ეკეკლესიანი აღავსნა სიმდიდრითა, და ლაშქართა ზედა განყო საჭურჭლე დიდი".

სამწუხაროდ, ამისთანა სიხარული დიდხანს არ გაგრძელდა. ძლევა-შემოსილი და სპასალართა შორის უნიჭიერესი კაცი — ზაქარია, ძე ამირ-სპასალარისა, გარდაიცვალა და ჰქმნეს გლოვა და ტირილი დიდი. მოიგლოვეს იგი და მერმე თამარმა მიიწვია ძმა ზაქარიასი ივანე, მსახურთ უხუცესი, და ამირ-სპასალარობა შეაძლია. მაგრამ მან არ იკისრა ეს თანამდებობა და ათაბაგობა ითხოვა. უსმინა თამარმა და ათაბაგობა უბოძა. მსახურთ უხუცესად კი დაინიშნა ჯარამ, ზაქარია გაგელისძე.

ამის შემდეგ თამარი მოგზაურობდა თავის სამეფოში და ყველას მამასავით ეალერსებ-ამხნევებდა. ამ დროს მოუვიდა ამბავი, რომ ფხოველნი ჯ დიდოელნი განდგნენო. თამარმა უბრძანა ათაბაგს დაემშვიდებინა აჯანყებულნი. სამ თვეს იყო ბრძოლა. განდგომილნი დამარცხდნენ ჯ დაემორჩილნენ თამარს.

სიკვდილი თამარისა. რადგან ცის ქვეშე უსრული არა არის რა, აგრეც ქართველთ სიხარულსაც ბოლო მოეღო. «მხედრობათა შინა განგრძობილ დედობრივ უძლურებისაგან» ნაჯარმაგევს ავად გახდა თამარ და თბილისს კუბოთი წამოიყვანეს. ვერა მკურნალმა ვერ მოარჩინა იგი: „დღემან მისმან იწყო მიდრეკად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზემან დასვლად, ჰაერმა სხვად ფერად უფერულობა და ტისკარსა დღისასა ზედა იწყეს დაბნობად. თვალთა მათ, ტბაებრ მზისა შემცხრომელთა, სიბრუდეთ მიმართეს. ხელთა მათ, მსახურებისაგან გლახაკთასა არაოდეს დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად. ფერხთა იწყეს შედრეკად, და ყოველნი ნიშნნი ცხოვრებისანი სხვა და სხვა ფერად იხილებოდეს.“ ამარს გარს ესვივნენ ყოველი წოდების და ღირსების კაცნი: თავადნი, აზნაურნი, გლეხნი, სამღვდელონი, გლასაკნი და ობოლნი. ყველანი ჭვითინით სტიროდნენ დედოფლის დაკარგვას. სიკვდილის წინა წამებში სნეულმა წამოიწია და მიჭვარეთ სალხს: „ძმანო და ჩემნო შვილნო! მე ესერა მივიწოდები მსაჯულისაგან საშინელისა. გეგედრები ყოველთა, რათა, მარადის კეთილსა შინა, იყვნეთ მახსენებელ ჩემდა. აჭა ესერა მკვიდრად სახლისა ჩემისა დაგიტოვებ,—რომელნი მოძღვნა ღმერთმან,—შვილნი ჩემნი გიორგი და რუსუდან. ეგენი მიიხვეწეთ ჩემ-წილ და მაგათ ადმოგივსონ დაკლებული ჩემი“. ყველას გამოემშვიდობა და უკანასკნელად სთქვა: „ქრისტე და ღმერთო ჩემო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მოძღენ, და მერმე სულსა ჩემსა“. საუკუნოდ მიიძინა თამარ დედოფალმა 18 იანვარს 1213 წელს.

გვამი თამარისა დასდვეს მცხეთის სობოროში. ხალხი მოდიოდა და თაყვანსა სცემდა თავის საყვარელ დედის გაცივებულ ნაშთს. რამდენიმე დღის შემდეგ მცხეთიდგან წაასვენეს გელათს და დაკრძალეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

IV.

საზოგადო განხილვა გვლილ მეფობისა.

თამარის მეფობამ დიდი სარგებლობა მოუტანა საქართველოს. აუარებელნი მტერნი დარწმუნდნენ, რომ ხალხი, რომელსაც წინამძღვრობს თამარი, არის ერი მედგარი, ძლიერი, რაინდისებრ გეთილ-შობილი და მოუკრეთ თვისის სამშობლოსი, ენისა, სჯულისა და წეს-ჩვეულებისა. შეიგნო-რა ეს თვისებანი სამაგალითო კაკვლტობით განთქმულ ქართველთა, რომელთა რიცხვი ამ დროს ოთხ მილიონს სჭარბობდა, მტერმა ქედი მოიხარა, აზვავებულ მაჰმადიანობამ საქართველოს მეგობრობა წყალობად მიითვალა. დაღისტანი, კასპ-შირვანი, ნახჩევანი, ყარსი, ანი და არზრუმი დაემორ-ჩილა ათაბაგ-ქართველთა მეფის სკიპტრას და ხარკი მოსცა. ამას გარდა თამარს მეგობრობდნენ მცირე-აზიის სულტანნი, ტრაპეზუნტის იმპერატორი, რომელიც გაა-ხელმწიფა თვით საქართველოსაგე ლაშქარმა და ოსეთ-ჩერქეზეთ-ხაზარეთი.

თვით ერის უტყუარ მსჯავრს ასრე მორჯმით და მოკლე-სიტყვაობით დაუხატავს თამარის მეფობა:

უბისს ავაგე საყდარი, უწყლოსა წყალი ვადინე.
ისპაანს დავსდევ ბეგარა, სტამბოლს ხარაჯა ავიღე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეთრს ზღვაში რკინა ჩავაგდე, ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე.
ამდენის საქმის მოქმედმან ცხრა ადლი ტილო წავიღე.

მართალია, თამარმა საიქიოს ცხრა ადლი ტილო წაიღო, მაგრამ აქ, სააქაოს, „ცხრა ადლზედაც“ უმაღლესი ძეგლი დაუდგა თავის შთამომავლობას. ამ მოკლე ლექსით, თამარისაგან დაკვლებულ ერს, იგივე გამოუთქვამს, რასაც გადმოგვცემს თვით მატიანე.

თამარმა აგო არა თუ მარტო ძირულის სეობის უბისის საუდარი, არამედ მრავალნი სხვანიც, ჯ არა თუ მარტო საქართველოში, არამედ უცხო ქვეყნებშიაც: საბერძნეთს, პალესტინას, შავ-მთას, სინაზედ და სხ. უკელა ეს ეკეკლესიანი გაამდიდრა ულუფით, გაამშვენიერა და გაამლიერა. მათში მოღვაწეებს დაავალა აღზრდა-სწავლება ახალთაობისა და გამლიერება მწიგნობრობისა. თამარის მეოხებით უმაღლესი სასწავლებელნი (აკადემიანი) იალთოისა, გრემისა, და სასწავლებელნი თბილისისა, გელათისა, მარტვილისა, ათონისა და სხ., დაარსებულნი წინა დროიდგანვე, უმეტესად გაძლიერდნენ და აღუკვადნენ. მათში აღიზარდა მრავალი სახელმწიფო კაცი და მრავალნი მოღვაწენი, რომელთაც გაამდიდრეს საშობლო ლიტერატურა, გაამშვენიერეს ქართული ენა და გამოქნეს. ბრალს თქმით, ამ დროის საქართველოს პოეზიის უკვალებმა შეამკეს არა თუ მარტო საქართველო, არამედ თვით კავკასიონის მწვერვალნიც.

უწყლო-ურწყავ ჯ ხრიოკ მინდორ-ველების მოსარწყავად თამარმა გათხარა მრავალი არხი და რუ, და განაძლიერა და აღაყვავა მეურნეობა, ხვნა-თესვა. აქამდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნაყოფო და უსარგებლო ადგილებიც განაყოფიერდნენ. ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხონთქარი მალალმა ღმერთმა წაჴკიდა. თამარმა ზღვაში ჩაუშო ხომალდი და ზედ დასხა ლაშქარი, რომელსაც მრავალ წყალობას დაჴპირდა.

სხვა და სხვა ქვეშევრდომ ქვეყნებიდგან ხარკ-ბეგარას ასაღებადა და საშობლოს საბატრონებლად თამარს ჴყვანდა დიდი ლაშქარი, შავთელის სიტყვით, „გუნდ მწყობრი დასი, ბევრ ათასი“. ეს მწყობრი დასი შესდგებოდა 60—80 ათასი მეომრისაგან. ჯარს ეძლოდა ჯამაგირი. ლაშქრის მოთავეობა ებარა ერთ კაცს—ამირ-სპასალარს, ხოლო ცალკ-ცალკე დასები: დიდრონნი-სპასპეტებს, წვრილ-წვრილნი—ათასისთავებს და ასისთავებს. ლაშქარი იდგა განაბირა ადგილებში. ამას გარდა, მეფეს ახლდა აგრეთვე საკუთარი დასი—სეფე წულნი. ლაშქარს ძალიან უყვარდა თამარი. მიესმოდა-რა მისი ძახილი, ვითარცა გრძი შავარდენთა, შემოიკრიბებოდა და, აღჭურვილი ჩაფხუტ-ჯაჭვ-ჭურითა და ხელში ორბოლით (ორბოლი-ორბირი და გრძელი შუბია), მიჴმეორინდებოდა იქ, საცა საჭირობა მოითხოვდა. ლაშქარს, ხშირად, თვით თამარი წინ-უძღოდა. მიიყვანდა-რა დანიშნულ ადგილას, ლიტანიას გადიხდიდა, დალოცავდა მეომრებს, თავის მარჯვენა ხელსა და ჯვარზედ აამბორებინებდა, და მერე მიუსვამდა მტერს.

თამარს არ უყვარდა ერთ ადგილას ცხოვრობა. იგი მიდიოდა ყველა კუთხეების დასათვალიერებლად და ერის ვარამის შესატყობად. იგი ინახულებდა ხოლმე თვით განაბირა ქვეყნებსაც. ჩახრუსაძე ამბობს: თამარი „ხაზარეთსაც დაჴყვის და რუსეთსაც ჩაჴყვის“. ყველგან გულმოდგინებით ისმენდა ქვრივ-ობოლთა, დავრდომილთა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა, მწიგნობართა და მსაჯულთა სათხოვრს. იგი უველგან მიჩნეულ იყო „სწავლულთა მასწავლებელად“, „მოსამართლეთა და ბჭეთა ბჭედ“, „სამართლისა ს სამსჯავროს ლარად“, ზეროგალთა წმინდა ბრძმედად“, „ურმათა მზრდელად“. თვით ერსაც უყვარდა თავისი ზატრონი და ხელმწიფე. შავთელის სიტყვით, თამარს შეერდომით ადიდებდნენ „ყველა ტომნი, ერნი და ბერნი, ურმანი და მეკვლენი, მთანი და ბორცვნი, მაღნარნი და ველნი“.

უმთავრეს სატასტო ქალაქად ითვლებოდა **თბილისი**, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შია, მაჭის წყლის ხეობაში, მთაზედ, ლაგოდეხის ციხ-ლოს. ვახუშტით თოლა იყო სასახლე მეფეთა, ფრიად მშვენვარე ზაფხულს". ეს თორღის სასახლე შესაძლებელია აშენებული იყოს იმ თორღაის ძეთაგან, რომელნიც „შეიწყალა და დალოცა" თამარმა და დაადგინა კახეთის მოთავეებად. ციხენი, წოდებულნი „თორღად", არიან თუშეთშიაც. თვით სიინგილოს მეტ სახელად ინგილონი უწოდებენ თორღას.

გეგუთი ანუ ციხე-დარბაზი ქუთაისზედ შვიდი ვერსით დაშორებულია და რიონის მარჯვენა ნაპირზედ მდებარებს. იგი გადადგმული ყოფილა თვით რიონზე. აქედგან გაუკანილი არხი უკლიდა სასახლეს და შედიოდა წალკოტში. გაუქმებული არხის ფსკერი იხილება დღესაც. შუაგულ სასახლისა ყოფილა დიდი და ვრცელი დარბაზი, გუმბათიანი. მის წინ ქვით აგებულ სვეტებზე ამართული ყოფილა მაღალი თვრდული, დიდრონ და თვრთო კარებიანი. ერთის მხრით დარბაზს მიშენებული ჰქონია მაღალი და ოთახებად დაყოფილი კოშკი. დარბაზის მეორე მხრით ყოფილა აგრეთვე მრავალი შენობები. ყოველივე ეს დღეს შემუსვრილია.

სასახლეს ასრე ასწერს რუსთაველი: მეფემან სახლი აგო: შიგან სამეოფი ქალისა, ბირსა ბაღჩა და საბანლად სარაჯი (შადრევანი) ვარდის-წყლისა. სრა (ბალტნი) ედგა მოფარდაგული ოქსინოთა (ოქრო ქსოვილი თვრჩა) და შადითა (ძვირფასი თვრჩეული). ბაღჩა იყო უტურფესი ყოველისაგე სალხინოსა. ფრინველთაგან ხმა ისმოდა უამესი სირინოსა. ბანოსა მრავლად იყო შადრევნები ვარდის-წყლისა. კოშკები იყო ვრცელი, ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზარ-გებიან — ქულბაქებიანი (ბაზარ-გებული ანუ საგან-რად მოწყობილი ქულბაქებითა).

თამარის სასახლესა და მის მოწყობილობას ასრე სტავს შავთელი: „თუ გუქო სრანი (ბალატნი): გალა-ვანისა შემკულობანი, მტილ-სამოთხენი, ზედ ავაზანთა (ავაზანი — კეფხის სახე ანდალმა) შექმნულობანი; კართა სტოკანი — ერის სტოლანი; იპპოდრომისა განხმულობა-ნი; სახმრად ლანკანთა, ბინაკთა ბადეხშნით ხელ-ჭუკეს შექმნულობანი; ტახტ-საჯდომელნი, მკამკამებელნი, სარ-დიონითა (სარდიონი ძვირფასი თვალია) შემკულნი. მი-საყრდნობელნი, ძნელ-საცნობელნი, სამოთხეთ ნაძვნი, თვით უდნობელნი; ოქრო-ვერცხლებრივ, ბრწყინავს ცეცხლებრივ კედელ-ყურენი, ფიქლით ძერწილნი, ბივ-რილიონით (ბივრიტით) — ლიგვრილიონით (იაგუნდით) ურთიერთობით შორის შთათხილნი; აქვს ზარდახჩანი, მას-ყე ბალჩანი, ლუსკუმებრ დასაკრძალითა; ურიცხვი გორი (ძვირფასი ქვა), რიყე თვალისა, მარგალიტი ოდენ ბურთისა საბურთალისა; გარდა იაგუნდისა სხვა რად უნდისა; ჯამები იყვის ლალ-ფერუზისა; იყვის ჭურჭელთა, სხვა და სხვა ფერთა, სიმრავლით დება, ურიცხვისა; ბევრად სძევს გორი — ზოდი ოქროსა მის-გან (თამარისაგან) თლილისა; ისმის მგოსანთა, ვით სა-ფერონთა, ხმანი ებნისა და წინწილისა“.

ყველა ქალაქსა და დაბაში თამარისაკე მეოხებით ეღორძინდა და გაძლიერდა ალებ-მიცემა და მრეწველობა. მაშინდელი ხელოსნები, ოსტატები, მბეჭავნი, მჭედელნი, ოქრო-მჭედელნი, მკერვალნი და სხ. მშვიდობიანად მუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკობდნენ. საქართველოში კეთდებოდა*: **ირაკლი:** შვილდი, ისარი, ხმალი, კაპარჭი, დანა, მახვილი, ბარბითი, შუბი, წერაქვი, ძელი, რკინიანი კეტი, ორლი, ჯაჭვ-ჭური, თოლაკავანი (ციხე-სიმაგრეთა შესამუსრველი მანქანა, ქვის ტყორცნით) და სხ.; **საცმელი:** ძოწეული, რიდე (თავ-ტანზედ მოსახვევი შალი), კაბა, ქუდი, კვართ-შერანგი, საკრამანგი (მარგალიტ მოვლებული მოკლე კაბა), ყარუუმი (თეთრი ბეწვეული ტყავი), ოქრის ქამარი, ჯუბა, მუზარადი, ყაბაჩა (მოკლე ქათაბი), ატლასი, სამკლავე, ჩაბალახი, ბისონი, სამხრე, სარტყელი, საბურავი, ჩაფხუტი, სკლატი (შალის ტილო), ლაფჩინი (წალა), ნაბადი, საბარკული, სტავრა (თვრჩა, ოქრო ნაქსოვი) და სხ.; **სამკაული:** სალტე, კოტა, მარგალიტი, გიშერი, ბროლი, ბადახში, ლალი, ქარვა, რკალი, იაგუნდი, ალმასი, ფირუზი, სადაფი და სხ.; **საფეხი:** თვრდაგი, ნოხი, ორხო,; **ჭურჭელი:** ჭიქა, ჯამი, დოსტაქანი, თვრჩი, ქვაბი, ქვეკრი, ჭური; **საკრავნი:** წინწილი, ბუკი, ჩალანა, ჩანგი, დაფი, ტაბლაკი, დაბდაბი, ნობი, ქოს-დაბდაბი, ქნარი, ჩონგური, სპილენძ-ჭური; **ავეჯი:** სკამი, კიდობანი, ტახტი, საკანი, სკამ-ლოგინი. **სათამაშო:** ნარდი, ბურთი; **საკაზმი:** ლაგამი, აბჯარი, უნაგირი, მათრახი; **სანადირო ჭურჭელი** (ზღვის პირა სადგურებში): ნავი, ჯაკშანი, ხომალდი, კატარღა; **სამრეწველო და სამეურნეო:** ბარი, გუთანი, სახნისი, ღვედი, რკინა, სელი, ცვილი, სანთელი და სხ. ამას გარდა განთქმულნი იყვნენ მოქანდა-

---

* იხ. ქართლ. ცხოვრება, შავთელი, ჩახრუხაძე, რუსთაველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბენი და მსატვარნი. მათგან ხელოვნურად გაკეთებულნი ნაშთნი ახლაც აკვირვებენ მეცნიერებს. ქსლის-ბეჭვა და საზოგადოდ ხელ-საქმარი გავრცელებულიყო თვით ხალხმიანც, მეტადრე დედაკაცობაში. ამას მოწმობს თვით სიმხნე თამარისა, რომელიც დაუცადებლად მუშაკობდა და ხელსაქმარს უბეჯითებდა დღე-ყოველ. ქართველ კაჭრებს საკაჭრო საქონელი შეჰქონდათ მთის ქვეყნებში — ოსეთს, დაღისტანს, ყიფჩაყეთს და სხ. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ თამარისთვის ამორჩეულ საქმრის მოსაყვანად ყიფჩაყეთს წარგზავნილ იქმნა თბილისის დიდებული კაჭარი ზანქან ზორაბაბელი, რომელსაც საკაჭრო მიზნით არა ერთხელ ექნებოდა გავლილ-გამოვლილი დარიალის გზა-კვალი.

კაჭრობასა და ალებ-მიცემაში იხმარებოდა ფული. ამ დროის **საფასე** იყო: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, **დრაამა** (დრაჭკანი), **დინარი**, **ბერბერა**, **დედალი**, **დუკატი** და ბოტინატი. ამათგან ზოგი საქართველოშივე იჭრებოდა და ზოგი ბიზანტიიდგან შემოდიოდა. «დუკატი» საქართველოში გავრცელდა კონსტანტინე დუკის დროიდგან (1059—1067 წ.). ამ დუკის ფულს დაერქვა დუკატი. „ბოტინატი“ შემოვიდა ნიკიფორე ბოტინატის ყამიდგან (1078—1081 წ.). ბოტინატის ფულს ეწოდა ბოტინატი. ბერბერა იჭრებოდა თვით საქართველოს საფლურეში (ზარათხანა). არაბთა მწერალი ყაზვინი (მე-XIII საუკ.) ამბობს: „თბილისში ქართველ-აბსაზთა მეფენი სჭრიან ოქროს ფულს დინარს, რომელსაც იგინი უწოდებენ ბერბერას. ყოველი ბერბერა იწონს ერთ მისხალს. ეს კარგი ფულია და მოკაუჭე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული სახისაა". დაშთენილა მრავალი ძველი ფული, მოჭრილი თამარის-მიერ. მათზე აწერია: ზემო პირზე: «თამარ-დავით», მეორე პირზე: „დედოფალი მაღალ-ხარისხოვანი, დიდება სოფლისა და სარწმუნოებისა, თამარ, ასული გიორგისა, შემდეგი მესიისა. ღმერთმან აღიდოს ძლევანი მისნი". თამარისა და მისი ქალის რუსუდანის-მიერ მოჭრილი ფული დღესაც მრავლად იპოვება უველგან კავკასიაში, ყარსშიაცა და ყუბანის ოლქშიაც, სადაც სადიყინის სიმაგრის აშენების დროს მიწიდგან ამოიღეს მრავალი ქართული ფული რუსუდანისა. შავოელის მოწმობით თამარის საფლურეში „ბევრად სძევს გორი, ერთა სავგორი, ზოდი ოქროსა, მისგან თლილისა". მივიღებთ-რა მხედველობაში, რომ ჩვენ წინაპრებმა თვით ქრისტეს დაბადების უწინარეს დროსაც იცოდნენ ოქროს ზოდთა თლა, სარწმუნოდ ხდება შავთელის თქმა შესახებ ოქროს შემუშავებისა თამარის დროს.

საქართველოს მიმოვლის დროს თამარი აგვირდებოდა სალხის ცხოვრებას და მოხელეებად ამწესებდა იმისთანა კაცებს, რომელნიც განთქმულნი იყვნენ ნიჭითა და პატიოსნებით და არა მხოლოდ გვარიშვილობით. მის დროს პირველად გაისმა საქართველოში დიდებული სმა: „ათასად გვარი დაფასდა, ათი-ათასად ზრდილობა: თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდია გვარიშვილობა". ამას გარდა, დიდებულ თამარის მისედულობით განმტკიცდა ის აზრიც, რომ ქალსაც შესძლებია მუშობა და მოღვაწეობა, რომ ეგიც არის არსება, ყოველად თანასწორი მამაკაცისა. „ლეკვი ლომისა სწორია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძუ იყოს, თუნდა სვადია“—ითქვა საქართველოშიც. ეს ორ სმას მიემატა მესამეც: „სწავლა სინათლეა, უსწავლელობა სიბნელე“. ამ გვარად, დიდებულ თამარმა გაამეფა საქართველოში **ნიჭი, თანასწორობა** და **სწავლა**. ამ შესანიშნავ აზრების სამოძღვრებლად დაიბადნენ მოსე ხონელი, შოთა რუსთაველი, შავთელი, ჩახრუხაძე და სარგის თმოგველი.

მოსე ხონელი, დამწერი დიდებულ ისტორიულ ეპოპეისა „ამირან-დარეჯანიანისა“. ეს მოსე ხონელი დაიბადა უწინარეს შოთა რუსთაველისა და იგი შეიქმნა წინამორბედად თამარის დიდებულ მეფობისა და საქართველოს დიდებულ პოეტებისა.

დილარგეთ სარგისი, პატრონი თმოგვის ციხე-ქალაქისა და მისთვის წოდებული თმოგველად. ქართლის-ცხოვრებით, იგი იყო კაცი „მეცნიერი, ფილოსოფოსი და რიტორი“. რუსთველიც ამბობს: „დილარგეთ სარგის თმოგველსა, მას ენა—დაუშრომელსა“. სარგისმა გადმოსთარგმნა დიდად შესანიშნავი რომანი „ვისრამიანი“. რა დროს ითარგმნა ეს თხუზულება? „ვისრამიანში“ მოხსენებულნია თოღრილ-ბეგი და არსლანხანი, მოღვაწენი მე XI საუკუნის დასასრულისა. რუსთველი სარგისს იხსენიებს შემდეგ მოსე ხონელისა და შავთელისა; ხოლო შავთელს, ბლ. იოსელიანის აზრით თვისი „შესხმა“ დაუწერია 1192 წ. რადგან თვით რუსთველი თამარის თანამედროვე ჩახრუხაძის წინახნის მწერალია, ამიტომ დრო 1192 წ. 1212 წლამდე უნდა ჩავთვალოთ დროდ „ვისრამიანის“ თარგმნისა. ქართლის-ცხოვრებაში სარგის თმოგველი ბიერველად იხსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიება ვითარცა ერთი მეომართაგანი ყარსის ლაშქრობისა. ეს ლაშქრობა იყო 1207 წელს. ამის შემდეგ იგი ხშირად გვხვდება, როგორც დიდად ნიჭიერი მხედარი და მებრძოლი. სარგისმა მიიღო მონაწილეობა სახელოვან ცოტნე დადიანის შეთქმულობაში წინააღმდეგ მონგოლთა. იგი ცოცხალია 1256 წელსაც. სარგისის შესახებ ანტონ ქართველიშვილი ამბობს: «სარგის შოთაებრ არს კაცი, სიბრძნის-მოყვარე, ფილოსოფოს გამომთქმელ, რიტორ შვენიერ, ბიბლიოს საქებელ». „ვისრამიანი“ უკვე დაბეჭდილია.

შავთელი იყო სამცხელი. ერქვა აბდულ-მესია (მონა ქრისტესი) და ბერობაში იოანე ეწოდა. ქართლის-ცხოვრებით, იგი იყო კაცი «ყოველად განთქმული და საკვირველი მოღვაწე, ლექსთა გამომთქმელი, ევლოგი და ქრისტესთვის სულელი, რომელსაც მიეცა მაღალი წინასწარ- მცნობელობისა». ბერობამდე იგი იყო თამარ დედოფლის მდივანი. ბერად შედგა გელათს. თამარს იგი ხშირად თან დაჰყავდა. შავთელის ნაწერთაგან ჩვენამდე მოუღწევია ბოემას «თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით მეფის შესხმა». იგი დაწერილია 1192 წელს. მის შესახებ რუსთაველი ამბობს: „აბდულ-მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა“. შავთელი, აღტაცებული თამარის ხელმწიფობით, აღნიშნავს მის სასიათს, ჭკუა-სიბრძნეს, ჯ უწოდს კეისრად აღმოსავლეთისა. ანტონ ქართველიშვილი ამბობს: «იოანე, შავთელ ზედ-წოდებული, კაცი ნეტარი, ბიბლიოსი, მაღალ გამომთქმელ, მოძღვრებით ბრწყინვალე, სიბრძნის მოყვარე, ღვთისმეტყველი, შაირთ გამომთქმელი, სარგე უბიწოებისა და წმიდანად მიჩნეული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩახრუხაძე იყო მოხევე, არაგვის ხეობის მკვიდრი. სახელად რა ერქვა, არა სჩანს. მან ლექსად დასწერა თხზულება „თამარ მეფისა და მისი მეუღლის დავით-სოსლანის შესხმა“ (შექება). ჩახრუხაძე მოკლედ აღწერს თამარის სიმშვენიერე-სიბრძნეს, მის ქველობას, ომებს და სხ. ჩახრუხაძისებურ ლექსთა-წყობას დაერქვა «ჩახრუხაული». რა დროს დაიწერა ეს „შესხმა“? რუსთაველი თავის წინა-დროინდელ მწერლებს იხსენიებს და ჩახრუხაძეს კი არა. აქედგან სჩანს, რომ „შესხმა“ დაწერილია შემდეგ "ვეფხის ტყაოსნისა". თვით ჩახრუხაძე ასრე ათავებს თავის ნაწერს: «მოხევეს ძეთა, ჩახრუხაძეთა ექო თამარი მეფე-წულიანი (მოწყალე), მისი სიმეტე, ბრძენთა სირეტე. თინათინ ვაქო, ბალი წულიანი. აი ეს თინათინ,—ნუ ის თინათინ: არაბეთს იყო სულადიანი,—ჯერეთ ყმაწვილი, წმიდათ ნაწილი, სამოთხის ვარდი, ბირად მზიანი». თამარი (თინათინ) შესხმის დაწერის დროს რომ „ყმაწვილი“ არ ყოფილა, ამას გვიმტკიცებს თვით შინაარსი ჩახრუხაძის ნაწერისა, რომელშიაც მოხსენებულია ომები ბარდავს (1195), ბოლოსტიგეს (1203 წ.). სიტყვები: „აი—ეს თინათინ, ნუ ის თინათინ, არაბეთს იყო სულადიანი“ აღბად აღნიშნავენ იმას, რომ «ვეფხის-ტყაოსანში» თამარ დედოფალი გამოხატულია როსტევან მეფის ასულ თინათინად ჯ არა ნესტარ-დარეჯანად.—ანტონ ქათალიკოზი სწერს: „ჩახრუხაძე, უცხო ბიიტიკოსი, თამარ მეფისა მკობი შაირებითა. შოთას შაირთა უკეთესთაცა მთქმელი მესტიხე, დიდი სიბრძნის მოყვარე, რიტორთ გვირგვინი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა იყო მესხეთიდგან, სოფელ რუს-თავიდგან, რის გამო მას ეწოდა **რუსთაველი**. მისი ნამდვილი გვარი არ შენახულა. თამარისა და მისი მამის დროს იყო ვინმე შოთა ართოკაჩოსძე, რომელიც იოანე კარდანიძითურთ ლორის ციხიდგან გამოეპარა აჯანყებულ დემნას და მეფეს წინაშე მოვიდა. შესაძლებელია, რომ თვითონ ეს შოთა ართოკაჩოსძე ყოფილიყო ჩვენი სახელოვანი პოეტი შოთა რუსთაველი, რომელმაც დასწერა „ვეფხის ტყაოსანი". უმაღლესი სწავლა რუსთაველმა მიიღო ათინაში. მან ზედმიწევნით იცოდა ენები ბერძნული, სპარსული და არაბული. ბლ. იოსელიანის სიტყვით, ბერძნულ ენას შოთა გაიგვეთავდა ქართველთა მონასტრებში: ათონს, ულუმბოს და იერუსალიმს, სადაც ქართველნი ერმანი ათასობით იგზავნებოდნენ სწავლის მისაღებად. ერთხნობისას იგი იყო თამარ დედოფლის მოლარედ. ბოლო დროს ბერად შესდგა, წავიდა იერუსალიმს და დაბინავდა ქართველთა ჯვრის მონასტერში. იგი იქვე აღესრულა და დაესაფლავა. ამავე ტაძრის კედელზე გამოხატულია ბერი რუსთაველი. „ვეფხის ტყაოსანი" დიდის სელოვნებითა და ნიჭით დაწერილი თხზულებაა. იგი ადრიდგანვე გავრცელებულა საქართველოში და უმეტესად კი მას შემდეგ, როდესაც ვახტანგ მეფემ იგი აღბეჭდა 1710 წელს. ვეფხის ტყაოსანი ქალებს მზითვად ეძლეოდა. მას სწავლობდნენ ზეპირად ქალნიცა და კაცნიც. ვითარცა თამარი მეფეთა შორის, ისეც რუსთველი ითვლება მეფედ ქართველთა პოეტებისა. სწავლულნი რუსთველს უფრო მაღლა აყენებენ, ვიდრე მის თანამედროვე ევროპიის პოეტებს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან-დერ-ბოგელ-ვეიდეს და ბოლოთრამ თან ეშენბაუნ-ლა-ადარებენ დანტეს. ეს. იოსელიანის თქმით, რუსთაველი, ვითარცა ზნეობის მხატვარი, აღემატება თვით ბაირონს ჯ ტასსოს. რუსთველი იმითი შეიქმნა უგვდავი და ქართველთა სალოცავი, რომ მან ნიჭიერად გამოხატა დიდებული მეფობა თამარისა. მან აღნიშნა ის, რამაც განვლო მის თვალ-წინ და რასაც ხედავდა დღეობელ; სიყვარულის ძალზედ, ვით მარგალიტი ობოლი, ასხა და აკინძა ყოველი სიბრძნე-ჭეშმარიტებანი, რომელნიც, თამარის მოხებით, ტრიალებდნენ ხალხში. ხალხიდგან ამოღებულ-გამოკრებულნი სიბრძნენი, გამოთქმულნი ლამაზად, მორჭმით, კოხტად, რუსთველისებურად, და შექსოვილნი ერთ დიდ რომანად, შემდეგ ისევ ხალხსვე დაუბრუნდნენ «ვეფხის ტყაოსნის» შემწეობით.

—

აი ის ძეგლი და ანდაზა, რომელიც აღმართა თამარმა, თამარ-ნეტარმა, თამარ-წყნარმა, თამარ-ბრწყინვალემ, თამარ-წმინდამ, თამარ-დედოფალმა. მისნი საქმენი, მისნი ქცევანი, მისნი გამარჯვებანი დღესაც ბრწყინავენ ჩვენ შორის. სადაა ისეთი კუთხე საქართველოისა, რომ იქ იგი არ იდიდებოდეს ვითარცა მაშენებელი ციხე-კოშკებისა, გამყვანი რუ-არხებისა, ამგებელი ტაძარ-მონასტრებისა ანუ ბატრონი ქვრივ-ობოლთა და მსვნელ-მთესველისა. დღესაც ერთნაირად იდიდების თამარ-დედუფალი (ფერი-ფალიჩა) აჭარა-ლაზისტანსა, სომხით-სამცხესა, ქართლ-კახეთსა, სამეგრელო-სვანეთსა, ოფსაზეთ-ჩერქეზეთსა ჯ ოსეთ-დაღესტანს. საქმეთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისმან უკვდავ ყოფ თამარი. იგი ყმარსია ქართველ-ერის გულში და არა გულათში.

გიორგი IV, ლაშა

(1212—1223 წ)

თამარის მემკვიდრის შობას ქართველნი დიდის სასოებით მოელოდნენ. ამიტომაც, როდესაც შეიტყეს ფეს-მძიმობა თვისის დედოფლისა, დიდად გაიხარეს და „იწყეს ლიტანიობა მარხვითა, ლოცვითა და ცრემლით ვედრებად ღვთისა, რათა მისცეს ღმერთმან ვაჟი შვილი“. ღმერთმან ისმინა ვედრება ერისა ეს თამარს დაებადა ვაჟი-შვილი (1194 წ.) ერის სიხარულს საზღვარი ალარა ყოფნდა. ერი, სპანი, აზნაურნი და დიდებულნი ღმერთს მადლობას სწირავდნენ ამისთანა მოწყალებისათვის. გახარებულმა მეფემ ტყვენი გაათავისუფლა და უქონელნი გაამდიდრა. თამარის მოსალოცად და მოსაგითხად მოვიდნენ კაცნი ბერძენთა მეფეთაგან და აგრეთვე სპარს-მაჰმადიანთა სულტანთაგან. მათ მოართვეს დედუფალს „ნიჭნი და განძნი ყმა-საყოფელნი“. საქართველოს ტახტის მემკვიდრეს დაარქვეს ბაბა მისის სახელი გიორგი, ხოლო მეტ სახელად ლაშა, რომელიც ათუსაზურად ბრწყინვალეს აღნიშნავს.

მემკვიდრის აღზრდა ვის ებარა, არა სჩანს. თამარმა ეს გვირგვინი გადულოცა თვის სიცოცხლეშივე (1207 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ როდესაც თამარი გარდაიცვალა 1213 წელს, 18 იანვარს, გიორგი შეიქმნა თვით-მპყრობელ ხელმწიფედ. იგი ამ დროს იყო 18 წლის ჭაბუკი, სახით ფერად შვენიერი და ხასიათით მეტად მკვირცხლი და ლაღი.

ჯერ დედის გლოვა არც კი დაესრულებინა, რომ აუჯანყდნენ განჯელნი და ხარკი არ მოსცეს. ლაშა-გიორგიმ ბრძანება გასცა შემოკრებულიყო ლაშქარი. ბრძანება საქმედ იქცა. შემოიკრიბა ჯარი. ლაშა წაუძღვა და წაიყვანა განჯას და განაწყო რაზმ-რაზმად: ერთ-კერძო ჭერ-კახნი, ერთ-კერძო ქართველ-სომხითელნი და ერთ-კერძო ლიხთ-იქითელნი. ერთ დღეს მეფემ მოიკურვა „გარ-მოვლა ლ მოთვალიერება ქალაქისა“. გარ-მომვლელი იხილეს მტერთა და იცნეს. გამოცვივდნენ და თავს დაესხნენ. მეფეს მტირე ამალა ჰყვანდა. „თავი გავწიროთ და არ შევრცხვეთო“, სთქვეს ქართველებმა და მიეტევნენ მტერს. იქმნა ბრძოლა ძლიერი. მალე იძლიეს მტერნი და ისევ ქალაქში შეცვივდნენ. გამარჯვებული მეფე დაბრუნდა თავის ბანაკში. რამდენიმე დღის შემდეგ ქალაქი თავის ნებით დაემორჩილა მეფეს და ძველანდებულად ისევ ქართველთა მოხარკეობა თავს-იდვა. შეიწყალა იგინი მეფემ და დაბრუნდა.

ამ გამარჯვებამ ყველას ცხადად დაანახვა, რომ თამარ დედოფლის ტახტზედ ზის საიმედო პატრონი და საქართველოს მეფობის საჭე ხელთ-უპყრია ძლიერ მარჯვენას.

ქართველნი ისევ იხარებდნენ და იშვებდნენ და არ იცოდნენ, რომ შუაგულ აზიაში ახლად აღორძინდა უშველებელი ძალა, რომელიც შემოესეოდა მათ ქვეყანას და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაანგრევდა იმ დიდებულ ⰴ მორწმუნე სახლს, რომელიც აგებს თამარ დედოფალმა და მის წინა დროის მეფეებმა. ესრეთი ძალა აღორძინდა 1202 წლის მომდევნო ჟამიდგან. ეს ძალა იყო ძალა მონგოლთა.

1202 წლამდის მონგოლებს არავინ იცნობდა. ჩინგის-ყაენი იყო ბირველი შემოქმედი მონგოლთ ძლიერებისა ⰴ მფლობელობისა. 1202 წელს ჩინგისმა შემუსრა უნ-ხანი, თათრის ტომის მთავარი. ამას შემდეგ შუაგულ აზიის ყველა ტომებმა ჩინგისი აღიარჩიეს თვის ყმენად. ამან შუაგულ აზიის მონგოლთა ვრცელ სამფლობელოს შეუერთა უცხო ტომნიც. მისი ბრძანებით ყველა ქვეშევრდომი—მამაკაცთაგანი მეომრად ჩაირიცხა. თვისი აუარებელი ლაშქარი დაყო „თუმანებად". ყოველი თუმანი შესდგებოდა 10,000 მეომრისაგან. მცირე დროს განმავლობაში თვისი ლაშქარი კარგად გაწურთნა და მოაწყო, მერმე შეუდგა მსოფლიოს დაპყრობას. 1215 წელს მან შემუსრა ჩინელთა ძალა და დაიპრო ეს სახელმწიფო. 1218 წელს მან დაიპყრო ხვარაზმი, ბუხარა, ხორასანი და ერაყი. ამის შემდეგ ჩინგის-ყაენის ლაშქრის ერთმა ნაწილმა დაიპყრო აშტარხანი, ყაზანი და ყირიმი, შემუსრა რუსნი, აიღო რიაზანი და დასწვა მოსკოვი. რუსეთს დაედგა მონგოლთ უღელი. მონგოლთ აიკლეს აგრეთვე ვენგრია და სილეზია. უმთავრესი ურდო (ბანაკი) ამ ლაშქრისა იყო სარაია მდ. ვოლგაზე.

ამავე ჩინგის-ყაენის მეორე სარდალ ოგოდაიმა დაარბია ინდუსტანი და დაიპყრო, ხოლო მესამე სარდალი-ჩერმაღუნი წარმოგზავნილ იქმნა დასავლეთ ქვეყნების

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასაკლებად და დასამონებლად. ერან-თურანი, ჯიღონი და ადირბეჟანი დაემორჩილნენ მას.

მონგოლთა ლაშქარი საქართველოში შემოვიდა განჯის მხრით. იგი შუაზედ გაიყო და ერთი ნაწილი მზირად ჩასათრდა, ხოლო მეორე მოვიდა და ბერდუჯის-წყლის კიდეზედ, ბირის-ბირ ტიხე გაგისა, დადგა. ლაშამ შეკრიბა 80000 მეომარი და მიუხტა მტერს, ტიხე გაგთან მდგომარეს. მტერმა ბირი იბრუნა და გაიქცა. ქართველები მიჰყვნენ კვალ-და-კვალ. ამ დროს უკანიდგან მოუარა მზირად ჩასათრებულ მტრის ლაშქარმა და მოულოდნელად თავს დაესხა ქართველებს. შეიქმნა გამწარებული ბრძოლა. ქართველნი იძლიენენ და გამოიქცნენ. ეს იყო 1221 წელს. მონგოლთა ლაშქარმა გამოკვლო სამშვილდემდე და მერე უკუნ-იქცა და კასპიის ზღვის ბირ ბირ გაიარა და მივიდა ჩინგის-ყაენთან.

მონგოლების დაბრუნების შემდეგ შიში დაცხრა. ამავე ხანს მცირე-აზიის სულტანმა შარვან-შაჰ მეფეს გამოუგზავნა მოციქული და ცოლად მოსთხოვა დაი მისი რუსუდან. ამ საქმის გასარიგებლად ლაშა წავიდა ბაგავანს. აქ მეფე დასნეულდა და ამ სენმა ბოლო მოუღო. სიკვდილის წინად მან უანდერძა ქართველებს, რომ მეფედ დაესვათ რუსუდანი, ხოლო მის შემდეგ თვისი უკანონო შვილი დავითი, სოსლანად წოდებული. ლაშა გარდაიცვალა 1223 წელს 18 ივნვარს.

თუშ-ფშავ-ხევსურებს ლაშა დიდ რაინდად მიაჩნიათ ლ წმინდანად ჰსადიან. მის სახელობაზე აგებულ სალოცავს (ხატს) ლაშარის-ჯვარს ეძახიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რუსუდან (1223 — 1247 წ.)

ლაშას დასაფლავების შემდეგ შეკრბნენ ყოველნი დიდებულნი ნიკოფსიით დარუბანდამდე ჯ თბილისს აკურთხეს რუსუდანი მეფედ. დედასავით იგი იყო შეენიერი, მოწყალე და უხვი.

საქართველოდგან დაბრუნებულ მონგოლთა ლაშქარი ჩინგის-ყაენთან მივიდა. ჩინგის-ყაენს მეტად იამა ძლევა-მოსილობა თვისის ლაშქრისა. უმეტესად გამხნევდა. რამდენიმე გუნდად გაჰყო მთელი თვისი ძალა და წარავლინა ქვეყნების დასაპყრობად. ერთი რაზმი დედაწულოსნად სპარსეთს მოუსია. მოადგა-რა ეს ლაშქარი სპარსეთს, აქაური სულთანი ჯელალ-ედ-დინ აიყარა და 140,000 ლაშქრით საქართველოსკენ გამოიქცა. იგი შემოვიდა სომხითს ჯ ქვეყნის ოხრება დაიწყო. მისი მეომრები თვით ჩჩვილთაც შეუბრალებად ულეტავდნენ. რუსუდანმა შეჰკრიბა ჯარი, წინამძღვრად უჩინა იოანე ათაბაგი (მხარგრძელი), მისცა სეფე-დროშა და წარგზავნა დვინს. ამ დროს მტერი იდგა გარნისს. ქართველთა მოწინავე რაზმის უფროსებად იყვნენ შალვა ჯ იოანე ახალციხელი. ამ მოწინავე რაზმს შემოებრძოლა ჯალალედინი, კაცი ასოვანი და გამოცდილი. შალვამ იოანე მხარგრძელს შეუთვალა სწრაფვად მოშველება. მაგრამ იგი ადგილიდამაც არ დაიძრა. ამასობაში ომი შენიეთდა. სასტიკმა ბრძოლამ დიდად დაუზარალა ორივე მებრძოლი ლაშქარი. შალვას სმალი გადუტეხა „ჩაბალახსა ზედა". ქართველნი იძლიეს და გამოიქცნენ. მტერმა შალვა შეიპყრო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწამს ლ მოკლა. მისი ამხანაგი იოანე ახალციხელი მტერმა ჩაქოლა. დაუმარცხდათ ქართველებს და დაუმარცხდათ მისთვის, რომ თვით ამირ-სპასალარი იოანე ათაბაგი მხარგრძელი შეიქმნა მოღალატედ. ასრე აღსრულდა ბრძნული თქმულობა ერისა: რჯულის მოღალატე არ დაინდობს თვის სალხინობასაცა *. ჯელალედინმა აიღო დვინი. აქ მან ამოსწყვიტა 20,000 მეომარი ქართველთა, 50,000 კი უკანვე საშობლოში დაბრუნდა. ეს იყო 1224 წ.

იმავე წელიწადს რუსუდანი მიეთხოვა მაგიდ-ედ-დინს, რომელიც იყო შვილი ყილიჯ-არსლან III-სა, არზრუმის სულთნისა. რუსუდანს ამ გაქრისტიანებულ თათრისაგან გაუჩნდნენ თამარი ლ დავითი. ეს თამარი რომ აღიზარდა, მიეთხოვა გაიათ ედ-დინ ქაიხოსრო II-ეს.

ამასობაში ჯელალ-ედ-დინი არა სცხრებოდა. იგი არბევდა საქართველოს საამხრეთ მიჯნებს და სურდა გამეფებულიყო ამ ქვეყანაში. დიდძალის ლაშქრით იგი ძლევა მოსილად მოადგა თბილისს, რომელიც ქართველთ გაემაგრებინათ. რუსუდანი ქუთაისს გახიზნულიყო. მტერი შემოებრძოლა ქართველთ, მაგრამ ვერა დაეკლო-რა, რადგან მეტიხოვნე ლაშქარი გმირულად იბრძოდა. ჯელ ლს გადუწყდა იმედი ქალაქის აღე-

---

*) იოანე ათაბაგი, ზაქარია მხარგრძელის ძმა, ქურთის ტომისაგანი იყო. იგინი გადმოვიდნენ სომხეთს და იქ მიიღეს მათი რჯული. ხოლო საქართველოში რომ გადმოვიდნენ, აქ იოანე ქართულად მოინათლა და თამარმა მისცა მას ათაბაგობა. ამგვარად განდიდებულმა კაცმა მაინც იკადრა ასრეთი სამარცხვინო ღალატი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისა. ამ დროს შინა გამცემელთ მას გაუღეს ქალაქის კარები. მტერი შეიჭრა ქალაქში, ასწყვიტა 100,000-მდე კაცი, დაარბია და გაანადგურა ქალაქის მკვიდრთა სახლკარი და იავარ-ყო. სიონის გუმბათი ჩამოაგდო, მასზედ საჯდომი გაიკეთა და ქრისტიანეთა ხოცვა-ულეტის სეირს უყურებდა. იქვე აგლაბრის ხიდის ყურზედ დაეგდოთ სიონის ღვთის მშობლის ხატი. რომელი ქართველიც მას არ ნერწყვიდა, იმას თავს სჭრიდნენ და მტკვარში აგდებდნენ. იჯერა-რა გული თბილისზედ, ამ მხეცმა შეუსია თვისი ლაშქარი კასეთ-ჰერეთს, ქართლს, სამცხეს, ტაოს, ანს და ხუთი წლის განმავლობაში საშინლად აოხრა თამარის-მიერ მშვენიერად განწყობილი ქვეყანა.

ქრისტიანეთა სისხლით ჯელალ-ედდინი ჯერ არ კი გაძძღარ იყო, რომ მონგოლთა სარდლებმა (ჯარმალან, ჩაღათარ, იოსერ და ბინჩვის) გამოგზავნეს სპარსეთი, გადმოვიდნენ არეზის მდინარეზედ და შემოესივნენ განჯას და შემუსრეს მაჰმადიანნი. ჯელალ-ედ-დინი აიყარა საქართველოდგან და გაიქცა. მონგოლნი გამოეკიდნენ მას და ბასიანს დაეწიენნ. ჯელალის ჯარი გაიფანტა. თვით ეს მხეცი მოკლულ იქმნა მეცხვარესაგან. რუსუდანი დარწმუნებული იყო, რომ მონგოლთ ვერ გაუმაგრდებოდა. თბილისის ციხის თავს გოჯა მსარგებელს უბრძანა, თუ თათარნი (მონგოლნი) მოვიდნენ, ქალაქს ცეცხლი წაუკიდე და გადაწვი, „რათა არა იპყრან სადგურად თვისად“. ამის შემდეგ რუსუდანი ისევ ქუთაისს წავიდა. თათარნი მალე მოადგნენ თბილისის არე-მარეს. მათ მოსვლამდე ქალაქი გადაბუგა ცეცხლმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თათარნი მოადგენენ ამერეთს, „ვითარცა მგელნი მსეგრელნი უწყალოდ“. ხალხი შეიხიზნა მთა-ველეში. საქმე რომ გასჭირდა, ტყე-ღრეში მიმალულნი ამერ-იმერთა დიდებულნი სამალავებიდამ გამოვიდნენ და რუსუდანის ნება რთვით მტრის ბანაკს მივიდნენ მორჩილების გამოსაცხადებლად. მონგოლთა სარდლებს იამათ მათი საქციელი და შეიწყნარეს იგინი. ერთგულობის საფიცრად მონგოლთ ასრეთი წესი ჰქონდათ: „განბრძმედილ ოქრის წყალში გაავლებდიან და მონდობილ კაცებს შესვიდიან.“ ასრეთი წყალი ქართველ დიდებულებსაც დაალევინეს.

მიესმა-რა რუსუდანს „თათართა ბირის სიმტკიცე“, განიზრახა საქართველოს ტახტი მათ შემწეობით დაემტკიცებინა თავის შვილის დავითისათვის. თვისი ძმის წული დავით სოსლანი, რომელიც, ლაშას ანდერძის მიხედულობით, ტახტზე უნდა დამჯდარიყო შემდეგ რუსუდანისა, დედოფალს წინათვე გაესტუმრებინა თავის სიძე გაიათ-ედდინთან. რუსუდანმა თათრების სარდლებს დესპანი გაუგზავნა და სთხოვა ტახტი დაემტკიცებინათ მისის შვილის დავითისათვის. სარდლებს ღიდად გაუხარდათ და ალუთქვეს თხოვნის შესრულება.

რუსუდანის შვილის მისვლამდე, მონგოლთა სარდლებმა ქართველთა ჯარებითურთ გაილაშქრეს ყაისდინ სულთანზედ, რომელიც 400000 მეომრით დაუხვდა მტერს. ყაისდინ იძლია და თათართა მოსარგე შეიქმნა. მათივე მოსარგეობა თავს იდვა ხლათის სულთანმაც. აქედგან თათარნი მოვიდნენ გელაქუნს და რუსუდანს შემოუთვალეს წარუგზავნოს მათ დავითი და ზავ-ჰყოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათთან. რუსდანმაც წარგზავნა. ამასობაში მონგოლთ სარდლებს მოუვიდათ ამბავი: ჩინგის-ყაენი მოკვდა და მის მაგიერ გახელმწიფდა მანგუ ყაენიო. სარდლებმა მანგუს აცნობეს აქაური ამბები და ისიც მისწერეს, თუ როგორი მამაცი სალხია ქართველთა ერი და როგორი კეთილი და ერთგული მონგოლთა. მანგუმ უბრძანა სარდლებს პატივისცემა ქართველოა და მათ შემწეობით ომების განგრძობა და გაყლეტა სპარსთა. რუსუდანის შვილი დავით მონგოლთა სარდლებმა წარგზავნეს წინაშე ყაენისა, რომელმაც კეთილად შეიწყნარა იგი და უწოდა ნარინ (ნარინ მონგოლებრ „მოსული“).

ამის შემდეგ მონგოლთა სარდლებმა ისრე გაანაწილეს საქართველო: თბილისიდამ შამახიას მთამდე ჩაბარეს ეგრასლან ბაკურციხელს; ვარამ გაგელს სომხითი; გრიგოლ სურამელს ქართლი; გამრეკელს ჯავახეთი; ტოტნე დადიანს სამცხე არზრუმამდე; რაჭის ერისთავს ლიხთიმერეთი. გაჭეგეს-რა ისრე ქვეყანა, ქართველთ ლაშქარი წაიყვანეს და წავიდნენ ალმუთს.

ოსმალთ იხილეს-რა უპატრონოდ დაშთენილი ქვეყანა, შეჭრიბეს ლაშქარი და შემოესივნენ საქართველოს. მათ წინააღმდეგ ამხედრდნენ შავთელნი, ალარჯნი, ტალელნი, ალა-არტანელნი, კარნიფორელნი და შემწეობა ითხოვეს ყვარყვარე ცახის ჯვარელისაგან. ამანაც მოუწოდა მესხთა, შეკრიბა 10,000 მხედარი და მიუხტა მტერს, რომელიც უკვე არბევდა ბანას, ოლთისს და ტაოს. გაემარჯვათ ქართველთ, რომელთაც ასწყვიტეს მრავალი თურქი და ალიღეს ურიცხვი ალაფი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს მოხდა შეთქმულობა წინააღმდეგ მოხ-
გოლთა. „ამათ ჭირთა შინა მყოფნი შეკრბნენ წარჩი-
ნებულნი საქართველოს სამეფოისანი კოხტისთავს“ და
იურვოდნენ და ჰფიქრობდნენ, როგორ ეხსნათ ქვეყანა
განსაცდელისაგან. კარგა ხნის ბაასის შემდეგ დაასკვნეს
განდგომა თათართა და „ამა ჰირსა ზედა წარვიდნენ
იმერნი კაზმვად, ხოლო ამერნი უცდიდნენ მუნვე კოხ-
ტისთავს. (კოხტის თავი ჯავახეთშია კოხტის-ხევზედ.
კოხტის-ციხე, კახუშტით, დიდ-შენი და მაგარი). მო-
გოლთა ჯაშუშებმა გაუგეს ამათ და აცნობეს თვის წი-
ნამძღოლებს. თათარნი მიუხტნენ კოხტისთავს, თავს
დაესხნენ განდგომილთ, შეიპყრეს იგინი და ჭარმაღანს
წარუდგინეს ქალაქ ანს. მან განაშიშვლა იგინი, მკლა-
ვები შეუკრა, წასცხო ტანს თაფლი და ბაბანაქება სიცი-
ხეში დააყენა. შეთქმულთა ამხანაგი და ოანა-მოაზრე
ტოტნე დადიანი დანიშნულ კვალს მივიდა კოხტისთავს.
აქ მან სცნო ოკვალიკე ოფილი და თვითონაც წავიდა
ანს. მისრულმა, იხილა-რა კითარ იტანჯებოდნენ მისნი
ამხანაგნი, დაუხანებლად გაიძრო ტანთ-საცმელი, თაფ-
ლი წაიცხო ტანსა, მივიდა ამხანაგებთან და გვერდს
ამოუჯდა მათ. დარაჯთ ოკვალიკე ეს აცნობეს ჭარმა-
ღანს. დიდად გაუკვირდა მას, ტოტნე მიიხმო და
მისი საქციელის მიზეზი გამოჰკითხა. ტოტნემ კაჟ-
კაცურად უპასუხა: „არა თქვენისა განდგომისათვის
შეკიკრიბენით, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქვენი ჯ
ხარგნი“. ამის ამხანაგებსაც იგივე ეთქვათ და ამიტომ
ჭარმაღანმა დაიჯერა ტოტნეს სიტყვა და განუტევა შეპყ-
რობილნი, აქო მათი სიკეთე და ერთგულობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბედშავ დროს ამერეთის წარჩინებულნი შეიკრებ-ნენ და თათართა სარდლებს მოახსენეს ლაშას შვილი დავით გამოესსნათ გაიათ-ედდინისაგან და მისთვის საქართველოს ტასტის მემკვიდრეობა დაემტკიცებინათ. მონგოლთა წინამძღოლების ბრძანებით გაიათ-ედდინმა წარმოგზავნა დავით-სოსლანი. ესეც, ვითარცა ტახტის მეძიებელი, გაისტუმრეს მანგუ-ყაენთან.

უსასოოდ დარჩენილი რუსუდან საშინელ ყოფაში ჩავარდა. მისი სამეფო ვერ იხსნა განსაცდელისაგან ვერც ბაბამ, რომელთანაც მან მიწერ-მოწერა გამართა, შემწეობა ითხოვა და თავის მხრითაც დაჭბირდა, რომ „ჩემი ამირ-სპასარი ემზადება საქართველოს ლაშქარი შეუერთოს იმპერატორ თრიდრიხის ლაშქრებს საბრძოლველად წინააღმდეგ მაჭმადიანთა და სახსნელად ბალესტინისა“. რომის პაპის გრიგორი მე-IX-საგან რუსუდანს მოუვიდა შემდეგი სანუგეშო წერილი. იმპერატორ თრიდრიხთან ცუდი განწყობილება მაქვსო. ვერავითარ შემწეობას ვერ ალმოგიჩენო. ჯვაროსანთა ლაშქარიც ვერ შემოვა საქართველოში, რადგან გზები სარაცინებს (მაჭმადიანთ) უჭირავთო. პაპი ურჩევს დედოფალს რომის საყდრის მორჩილი იყოს და უგზავნის რამდენიმე მონოზანს, კათოლიკეთა სარწმუნოებისას. უნუგეშოდ დარჩენილი რუსუდან მალე აღესრულა (1247 წ.). თამარ დედოფლის მიბაძვით რუსუდანის-მიერ მოჭრილ ფულს აწერია: ზემო პირზე: **ᲩᲑᲚ** (რუსუდან); მეორე პირზე: „დედოფალი მეფეთა და დედოფალთა, დიდება სოფლისა, სამეფოისა ᲡᲐᲠᲬᲛᲣᲜᲝᲔᲑᲘᲡᲐ—რუსუდან, ასული თამარისა, თანაშემწე მესსიისა. ღმერთმან ადიდოს ძალანი მისნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინდელ დროის მწერალი ჩამჩიანი ამბობს, რომ რუსადანმა თავი მოიწამლა უსანეთის ციხეშიო და აღესრულა 1247 წელსო.

მეფენი { დავით IV, ნარინი (1243—1286 წ.)
{ დავით V, სოსლანი (1243—1270 წ.)

თუმცა მონგოლთა სარდლებმა (ნოინებმა) ეს ორივე დავითნი აღიარეს საქართველოს მეფეებად, მაგრამ მხოლოდ სახელით ოდენ. იგინი წარგზავნილ იქმნენ ყარაყორუმს მანგუ ყაენთან, რომელსაც მხოლოდ ეკუთვნოდა მეფეთა არჩევა-დამტკიცების უფლება. დავით ნარინი რუსუდანისძე და დავით სოსლანი ლაშასძე მანგუ-ყაენმა დიდი პატივით მიიღო და თავისთან დაიტოვა იგინი. მერმე ლაშქარი ჩააბარა თავიხ ორ შვილს—ყუბულს და ულუს და პირველი წარგზავნა ინდოეთს, ხოლო ულუ დასავლეთს. უკანასკნელმა გამოვლო ჯეონი, ხვარასანი და მიეიდა ალმუთს, სადაც მიეგებნენ მას ნოინნი და ქართველნი. ულუმ ქართველებს მიაგო დიდი პატივი, მაგრამ ეს პატივი იყო უგვანო, მონგოლთა სავადრისი: ზოგ ქართველს „მოწყალე“ ულუმ მიუბოძა მშვიდობის-მტკიცეთველობა, ზოგს მემაშიობა და სხ. ამ დროს მოვიდა ამბავი: მანგუ-ყაენი გარდაიცვალა და მის მაგიერ გახელმწიფდა ყუბულ-ყაენიო. ამის მსმენი ულუ მოვიდა ახტაშს, დაჯდა ტახტზედ და შეიქმნა ყაენად

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასავლეთის ქვეყნებისა—საქართველო-საბერძნეთიდან მოკიდებული ინდოეთამდე. აქაურ ნოინებმა თაყვანისცეს მას.

უმეფოდ დარჩენილი საქართველო საშინელ ყოფაში ჩავარდა. ამ დროს ქვეყნის მხსნელად გამოჩნდა ქათალიკოზი ნიკოლოზ, „კაცი სულითა მხილველი, მობაძავი ანგელოსთა, საკვირველი მოღვაწე, უძანგო და მამხილებელი ყოველთა“. ეს ნიკოლოზი ვარძიის მონასტრის მოძღვრითურთ წავიდა ულუ ყაენთან და საქართველო შეაკედრა. თვალ-ტანადი და ახოვანი ქრისტიანეთა მოძღვარი რომ ისილა ყაენმა, დიდად გაიკვირა მისი ჩაცმულობა, რადგან აქნობამდის ჯერ არასდროს არ ენახა ქრისტიანეთა სულიერნი მამანი. ქათალიკოზის თხოვნა გულმოდგინედ მოისმინა ულუმ, პატივი სცა მას, იერლაყი (შეწყნარების ბარათი) დაუწერა, მოსცა შანა (თავდებობის ქალალდი), შეუქმნეს ოქროს ჯვარნი, თვალითა და მარგალიტით შემკულნი, ხელში მისცეს არგანი (კვერთხი), ოქროთი შეკაზმული და ჯვარიანი, და პატივ-ცემული და დიმედებული გამოისტუმრეს.

საქართველოს ტახტის შემკვიდრენი ჯერ ისევ ყარაყორუმში იყვნენ. საქართველოს ტახტს იგინი ერთმანერთს ეტილებოდნენ. სარგის თმოგველი, კაცი ფილოსოფოსი, ბრძენი და რიტორი და აგრეთვე სხვა კაცნი სცდილობდნენ ეუბულ-ყაენს მეფობა მიეცა დავით სოსლანისათვის. ბოლო ავაგი და სხვანი დავით სოსლანის გამეფების წინააღმდეგნი იყვნენ, და ნარინ დავითის მსარე ეჭირეთ. პირველნი ამბობდნენ: «არა ჯერ-ანს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ არა ძმან თვით-მეფრობელისა მამაკაცისამან». მეფენი უპასუხებდნენ: ნარინ-დავით დიდა-თუ დედაკაცისა ნაშობი იყო, არამედ მეფეკე იყო რუსუდან გეორგინოსანი და მეფისაკე ძე არს ნარინ-დავით". ყუბულ-ყაენმა არ იცოდა, რომელი მსარე მართალი იყო. ამ გვარ ცილობაში განვლო რამდენიმე წელმა. ბოლოს ორივე დავითნი ყუბულ-ყაენმა წარმოგზავნა ულუ-ყაენთან და შემოუთვალა: «რომელსაც გნებავს, იმას მიეცი მეფობაო». ულუმ პატივი-სცა მათ და ორთავეს მიუბოძა საქართველოს მეფობა. გახარებულნი მეფენი მოვიდნენ თბილისს, მეტეხის სასასლეში, და დასხდნენ ტახტზედ.

დავით ლაშასძე იყო დიდ-ტანოვანი, ახოვანი, მოისარი მაგრითა მშვილდითა, უმანკო, წრფელი, მალემრწმუნებელი, ხოლო დავით რუსუდანისძე იყო ზომიერ ტანისა, ენა ტკბილი, მდაბალი, ფეხ-მარდი. ორთავე ერთმანერთის მოსიყვარულენი იყვნენ. ქართველ ხალხსა ჯ ულუ-ყაენს უფრო უყვარდათ დავით ლაშასძე.

ძმა-დის წულების ტკბილი ცხოვრობა მალე მოიშალა. ულუ გაურისხდა ნარინ-დავითს, შეიპყრო იგი და ბარდეს წარგზავნა. ნახჭევანს რომ მიიყვანეს, იგი გაეპარა დარაჯებს ჯ ალეფზეთს განიკლტო. ლიპარიტ თორელმა შესვა იგი ცხენზედ და ქუთაისს მიიყვანა. იმერთ ძრიელ გაუხარდათ. შეიკრიბნენ და მეფედ აკურთხეს. საქართველო გაიყო ორ სამეფოდ. იმერეთის მეფედ შეიქმნა ნარინ-დავითი და ამერეთის მეფედ დაშთა სოსლან-დავითი. ეს იყო 1258 წელს.

ამოსობაში ბითუ ყაენმა, მონგოლთავე სარდალმა, რომელსაც ეპყრა ხატაეთი დარუბანდამდე და რუსეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერბიამდე, დაიბარა დავით-სოსლანი. წასვლის წინად დავითმა მთავართ შეკედრა მსახურება დედოფლის ჯიგრა-სათუნისა, ხოლო ქვეყნის გამგედ დანიშნა ჯიქური (მეწდე მეფისა). ბითუ ყანმა სიამოვნებით მიიღო დავითი და ყველა ნოინებზე მეტი პატივი სცა. დავითს ულუსაგან ნაბოძები ჰქონდა „სურგუჯი“ (მაჩრდილობელი, ქოლგა), «რომელსა თვინიერ ყანთაგანი ვერავინ იქონებდა». აქედგან მეფე ისევ სამშობლოში გამოისტუმრეს. მოვიდა დავითი და ტაბასმელას დადგა. აქ გამოეცხადნენ მას, გარდა პანგისის ერისთავის თორღულისა, ყველა ხელისუფალნი და გამგენი. ჯიქურმა თორღულის შესაპყრობად წარგზავნა ხორნაბუჯის ერისთავი (ხორნაბუჯი—ციხე ქალაქი ალაზნის პირს, შირაქის ბოლოს, აწინდელ საინგილოს სანახებს). შეპყრობილი თორღული ჯიქურმა მოიყვანა ტაბასმელას დედოფლის წინაშე და მის ბრძანებით კლდე-კარის კონცხზედ გაკაკვდა და გაკაჩეხა. სოსლან-დავითმა „განაგნა ოკვლნი საქმენი სამეფოსანი და მერმე ძღვნითა დიდითა წარვიდა წინაშე ულუ-ყანისა. მან პატივით შეიწყნარა და დაადგინა ზემოდ ოკვლთა ნოინთა.“

ამის შემდეგ ულუ-ყანი ქართველთა ლაშქრითურთ ალმხედრდა და მივიდა ბაბილონს (ბაღდადს), წინააღმდეგ სალიფასი. შემოერტყნენ ქალაქს: ერთ-კერძ ულუ-ყანი, ერთ-კერძ ენგინ ნოინი და ერთ-კერძ ქართველნი. თერთმეტ დღეს გარს ერტყნენ ამ დიდებულს ქალაქს და ეგი ვერ გასტეხეს- მაშინ დავით სოსლანმა უბრძანა თავის ლაშქარს შეეთხარათ ციხის ზღუდე. შეთხარეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველნი შეცვივდნენ. გაიმართა ბრძოლა სასტიკი. გაიმარჯვეს ქართველებმა. გაიქეს კარები. მონგოლნიც შეცვივდნენ ქალაქში. შეიბნენ მტერნი. მოისრნენ ხალითვისანი. თვით ხალითვა გაიქცა. მაგრამ დაიჭირეს. ულუს წარუდგინეს. ულუმ მოაკვლევინა იგი. ბაღდადი დაიხარკა. მონგოლ-ქართველნი აღიკვნენ დავლა-ალაფით, თვალმარგალიტით, ოქრო-ვერცხლით. ქალაქში კარი ჩააყენეს და წამოვიდნენ. დავით-სოსლანი დაბრუნდა თბილისს. მაჭმადიანთა მწერლების თქმით ქართველთა და მონგოლთ ბაღდადი აიღეს 30 იანვარს 1258 წ. და ამოხოცეს 80,000 კაცი.

ბაღდადის ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო ერისთავთ-ერსითავმა კახა თორელმაც. ამ ლაშქრობიდამ მოტანილ დიდ-ძალ ალაფითა და ფულით კახას უყიდნია სოფელი ხოკლე ლ შეუწირავს რკონის მონასტრისათვის. ამ შეწირულობის გუჯარში კახა და მისი მეუღლე სათუთა სწერენ: „ბაღდადი გატეხეს თათართა. ეპტრონმან (დავით-სოსლანმა) წინავე გამგზავნა მოციქულად... მაშინ ბაღდადში ყველა იეფად იყო... და თეთრი (ვერცხლის ფული) ავიღე და ვიურკოდი და ვყიდდი თვალსა, მარგალიტსა... მე ეგზომი დამრჩა, რომ ხოკლეს ფასი მით მოვიგე, და ვიყიდე ხოკლე: ხოჯის შვილისაგან ნახევარი და ნახევარი ჭვრონ სუმბატის ძისაგან და იაკობ ბულათვაისაგან. მათ 65,000 თეთრად ეყიდა ალბულასაგან....“ გუჯარი შემოწმებულია და ხელმოწერილი დავით-სოსლანისაგან, მისი ძის გიორგისაგან, ქათალიკოზ ნიკოლაოზისაგან და სხ.

ამავე წელიწადს ბითუ-ყაენმა საქართველოში წარმოგზავნა

ეროვნული ბიბლიოთეკა

არღუნი და უბრძანა მას აღეწერა ქვეყანა. ულუ-ყაენის ბრძანებით მან აღწერა ქართლი მიწით, ვენახით, ხვასტაგით (საქონლით), მტილ-წალკოტით და წისქვილით. ამ აღწერილობით ოთხელ ათ კომლ გლეხზედ მეათე საალაშქროთ წამსვლელად ჩაეგდეს და სულ გამოვიდა 400,000 მოლაშქრე ქართველთაგან. ამ რიცხვში არ ითვლებოდნენ ერმანი ათ წლისამდე და სამლვდელონი *. ხარკად დაედო საქართველოს ოთხელ წლიურ შესატანად 60,000 ოქროს თეული.

ამის შემდეგ ულუ-ყაენმა ილაშქრა მისირეთს (ეგვიპტეს). მას გაჰყვა ქართველთ ლაშქრიც დავით-სოსლანის წინამძღოლობით. მისრეთის სულთანი დახვდა მათ ევფრატის ხეობაში. გაიმართა დიდი ბრძოლა. ქართველთ აქაც დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს. დამარცხდა სულთანი. მონგოლ-ქართველთ დარჩათ დიდი ალაფი. ულუ-ყაენი შამს მოვიდა. დავით-სოსლანი ყაენის ნება--რთვით სამშობლოში დაბრუნდა. ქართველთ დიდად გაიხარეს მეფის მშვიდობით დაბრუნებისა გამო, მაგრამ სწუხდნენ, რომ დედოფალი ჯიგრა-ხათუნ უშვილო ჰყვანდათ. მაშინ დავითმა მეორე ცოლად მოიყვანა ოსეთის მეფის ქალი იმ პირობით, რომ შვილის ყოლის შემდეგ იგი ისევ განეტოვებინა. მეორე ცოლმა ალთუნ დედოფალმა მეფეს უშვა

---

* ამ აღწერილობის მიხედვით ამ დროს მარტო ამერეთში უნდა ყოფილიყო 4,000,000 მეტი მცხოვრები, ვინაიდგან 400,000 მეომარი შეადგენდა ქართლის გლეხთა მე $^1/_{10}$-დს, მაშასადამე მარტო გლეხთა რიცხვი უნდა ყოფილიყო 400000×10 = 4,000,000 სული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკი შვილი—გიორგი და მერე ასული თამარ. ამის შემდეგ ალთუნი გაეყარა და განშორდა მეფეს. ჯიგრასხათუნს ძრიელ უყვარდა გიორგი. დედოფალი მალე მოკვდა და დაასაფლავეს მცხეთის სობორში.

ამასობაში მოკვდა ავაგ ათაბაგი, რომელსაც დარჩა მხოლოდ ერთად-ერთი ასული ხვაშაგ. მეფემან მოიგლოვა ავაგი და შეირთო მისი დაქვრივებული ცოლი გვანცა, რომლისაგან მიეცა კაკი დიმიტრი. ჯიქურმა არ მოუწონა მეფეს გვანცას შერთვა. ამიტომაც მეფემ იგი გადაგდო მტკვრის ციხიდამ და გადახესა. ქალაქის გლასაკთა, რომელთა მწყალობელი იყო ჯიქური, დაიტირეს გვამი მისი და დაფლეს.

ამავე ხანს ულუ-ყაენმა ინება ისევ მისრეთს ელაშქრა და დაიბარა დავით-სოსლანი. დავითი წავიდა ჯავახეთს, მიიწვია დიდებული და დაჯდა ბჭედ სარჩიელისა: წავიდნენ ულუ-ყაენთან, თუ განუდგნენ მას. ზოგი ამბობდა წავიდეთო, ზოგი ნუ წავალთო. გადასწყვიტეს: ვისაც სურს,—წავიდეს, ვისაც,—არა, აქვე დარჩეს მეფესთან. ბევრი ქართველი წავიდა ულუ-ყაენთან, რომელმაც დაამარცხა მისრეთის სულთანი და უკ-მოიქცა. სტნო განდგომა მეფისა და არღუნი შემოესია საქართველოს. ქართველნი შეებრძოლნენ და გაიმარჯვეს. რამდენიმე ხნის შემდეგ არღუნი ისევ შემოებრძოლა, დაამარცხა ქართველნი და დაატყვევა გვანცა და შვილი მისი დიმიტრი. მეფე წავიდა ქუთაისს ნარინ-დავითთან. იმერლებმა იგიც ალიარეს მეფედ. ორთავე დავითებმა ქუთაის-თბილისი ძმურად გაიყვეს. აგრეთვე გაინაწილეს ყველა ის უნჯი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც დაკრძალულ იყო ხომლის კლდის გამოქვაბულში. ვახუშტით, ეს კლდე ფრიად მაღალია. სახელი მოიგო სიმაღლით — ხომლის ვარსკვლავის სწორებით. ამ კლდეში გამოკვეთილია ქვაბი, მეფეთა საგანძურთა სადები. ეს ადგილი მაგარია და შეუვალი. აქედგან გამოღებულ განძთაგან დავით რუსუდანისძემ დაიტოვა უძვირფასესი ჯაჭვი, „სალმასურად“ სახელდებული, თვალი პატიოსანი და მარგალიტი დიდი, „რომლისა სწორი არავის სადა უხილავს“.

ულუ-ყაენმა მოინდომა შერიგებოდა მეფეს. მოტიქული გაუგზავნა დავითს. ამან შეუთვალა: გამომიგზავნე ტოლ-შვილი და ჩემი მოღალატე აზიზი, საქართველოს გამგეთაგანი, ჯ შეგირიგდებიო. გაუგზავნა. მეფე დახვდა მათ ქვიშხეთს. აზიზს თავი წარჭეთა და თვითონ წავიდა ულუ-ყაენთან. (1262 წ.)

მოვიდა ამბავი: ყაენი ბერაქა დარუბანდით გამოვიდა, დიდძალი „ულუსი“ (მონგოლი) გადმოიყვანა ამიერ კავკასიაში ჯ ულუ-ყაენის წინააღმდეგ გამოემართა. ულუ-ყაენი და ქართველნი მიეტევნენ მტერს, შემუსრეს იგი და უკუ-აქციეს.

გვანცა დედოფალი მალე აღესრულა. იგი მოწამლა მისმა ქალმა სვაშაქ. მეფემ იქორწინა დიდის ნოინის ჭორმაღის ასულ ესუქანზედ. ამავე დროს მოვიდნენ ბერქასაგან დარუბანდით ლტოვილნი ორნი დედაკაცნი, სახელით ლიმ და ახავ, და მრავალნი თავადნი. ესენი მეფემ დაასახლა ზოგი დბანისს, ზოგი ყინვანს ჯ ზოგი თბილისს.

ულუ-ყაენი მოკვდა 8 თებერვალს 1265 წ. და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახელმწიფდა მისი შვილი ალალა. ეს კეთილი კაცი ბერქა-ყანი 300,000 ცხენოსნით შემოვიდა საქართველოში, მოალხრა მოვაკანი, ცრეთი თბილისამდე და დადგა გარესჯის მთებზედ. აქ მოკვდა ბერქა. მისი მხედრობა უკანვე დაბრუნდა.

შეიქმნა განდგომილობა თათართა შორის. ალალას ყანობა შეშურდათ სხვა ნოინებს. თენგუთარ და ძმა მისი ბარხას გადაემტერნენ მას. ბირველი სამცხეს შეიჭრა და ალალხრა ოპიზა. ალალამ მიუსია მას თავისი ჯარი. თენგუთარმა განვლო ჭოროხი და მივიდა ათაზეთს. ნარინ-დავითმა ისტუმრა იგი და დაუკლა 500 ძროხა. მისი ჯარის საზრდოდ დაუნიშნა 600 ცხენი, 1500 ძროხა, 1000 ცხვარი, 1000 ღორი, ღვინო ჭურებითა და ურმებით ურიცხვი. ნარინ-დავითის ცოლი, ასული კეისრის მიხეილ პალეოლოგოსისა, მასპინძლობდა თენგუთარის მეუღლეს. ამასობაში თენგუთარის ძმა ბარხასიც შემოვიდა სამცხეში. ალალა ეეედრა ნარინ-დავითს შეეკრა გზა თენგუთარისათვის. ნარინმა ჩახერგა გზები. თენგუთარ მოემწყვდია იმერ-ამერთა ლაშქართ შორის. საქმე რომ გაჭირდა, თავის ჯარით მივიდა ალალა-ყანის წინაშე და მან პატიმარ ჰყო იგი, ნარინ დავითს კი დიდნი ნიჭნი მიანიჭა.

ალალა-ყანმა მტრების ალმარცხების შემდეგ გაილაშქრა კასპიის ზღვისაკენ და დავით-სოსლანიც თან წაიყვანა. ამ ლაშქრობაში დასნეულდა მეფე და მოკვდა. ამის სიკვდილის უწინარეს მომკვდარიყო მისი 18 წლის შვილი გიორგიც. დავით მეფის მიერ მოჭრილ თეულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასწერია: „ძალითა ღვთისითა და წყალობითა ყოველთა ყოვნისითა დაუდ (დავით). იბეჭდა თბილისს“.

დავით მეფის დროს საქართველოში ბრწყინავდა მამა პეტრე, გამამხნევებელი ერისა და კეთილი მოძღვარი მისი. ერისა და ქვეყნის მუშაკთა განსამხნევებლად მან დასწერა წიგნი „მოწამეობისა გიორგიანი“. მისგან დაგვრჩა რამდენიმე სხვა შრომაც. ანტონი ქათალიკოსი მის შესახებ ამბობს, რომ პეტრე ფილოსოფოსის წერილნი უდრიან არსენი იყალთოელისა და ქართველთა მნათობის ეფთიმეს ნაწერებსაო.

ამავე ხანს ჭყონდიდლად ლ უჯარმელად იყო ეპისკოპოსი ბასილი. მეფის იმერეთში მყოფობის დროს მან იწყო მართვა ქვეყნისა დამოუკიდებლად, ვითარცა მეფემ. სეფე ქვეყანას თვისად ჭსადიდა. მასვე ჭზრახავდნენ ვითარცა ესუქან დედოფლის მოყვარეს. მეფის დაბრუნების შემდეგ ყოველივე გამოაშკარავდა. დავით მეფემ იგი მოაყვანინა და შუა ქალაქში ძელზე ჩამოჭკიდა და დაარჩო. თქმულ არსო, ამბობს ვახუშტი, დავით-სოსლანი მოსწამლა დედოფალმა ესუქან ბასილი ჭყონდიდლის ჩამორჩობისათვისო.

დიმიტრი II, თავდადებული (1273—1289 წ.)

მამის სიკვდილის ჟამს დიმიტრი მცირე-წლოვანი ყრმა იყო. მაშინ საქართველოში მძლავრობდნენ თავადნი—ერისთავი რაჭისა ვახვბერი და სადუნ მანკაბერდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი, მეუღლე ხვაშაქისა, ასულისა ავაგ ათაბაგისა, [illegible] ლის ქვრივი გვანცა ტოლად ჰყვანდა დავით მეფეს.

ერისთავი კახაბერ და ვინმე ალალურ გაუწურნენ იმერეთის მეფე ნარინს, ჯავახეთით წავიდნენ ყაენის წინაშე, თავი დაუგრეს მას, დავით ნარინი დაბეზღეს და უთხრეს: „ჩვენ უწყით გზა იმერეთისა. მოგვეც სვანი და ხელთ გიგდოთ ნარინ-დავით“. ყაენს გაუხარდა. სირმონ ნოინი გაატანა 20,000 მხედრით. ესენი სწრაფვ სიარულით გადავიდნენ ლიხის მთაზედ და უგრძნეულად მიადგნენ ქუთაისს. ამ დროს მეფე აბანოში ბანაობდა და მტრის მისვლის შესახებ არა იცოდა-რა. კიკინი რომ მიესმა, ხელ და ხელ კაბა გადიცვა, შეახტა ცხენს და განიგლტო. თათრებმა მოაოხრეს ეკეკლესიანი, მრავალი ხალხი ტყვე-ჰყვეს, სხვანი მოსწყვიტეს და დაბრუნდნენ ლ უვნებლად მივიდნენ ყაენთან. — ქვეყნის მტერი კახაბერ მაინც არ დასცხრა. მეორე წელიწადსაც მოიწვია თათარნი და თავს-დაესხა მეფეს. ნარინი ისევ გაიქცა და ლაშქრის შეკრებას შეუდგა. მტერმა ააოხრა ქვეყანა და, ნარინის თავ-დასხმის შიშით, აიყარა და სწრაფვად გავიდა იმერეთიდგან.

სადუნ ძანკაბერდელი ფრიად გამძლავრებულიყო. მიუხედავად ამისა იგი არ ღალატობდა მცირე წლოვან დიმიტრის და მის გამეფება უნდოდა. სადუნმა მოიწვია დიდებულნი ლ მათთან ერთად წაიყვანა დიმიტრი ყაენის წინაშე და შეეკედრა მეფობა დაემტკიცებინა მეფის ძისათვის. ყაენმა შეუსრულა თხოვნა. ქართველნი დიმიტრითურთ დაბრუნდნენ თბილისს, სადა შეიყარნენ ქათალიკოს — ეპისკოპოსნი და დიდებულნი სომხითარნი, კახნი, ჯავახ-ტაო-კლარჯელნი და დიმიტრი აკურთხეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფედ (1273 წ.) ამ კურთხევას არ დაესწრო მსოფლიო სარგის ჯაყელი.

დიმიტრის მცირე წლოვანობისაგამო აბაღა ყაენმა საქართველოს მმართველად დანიშნა სადუნ მანკაბერდელი. იგი ბრძნულად განაგებდა ქვეყანას. ამ დროს აბაღამ გაიღაშქრა წინააღმედეგ ეგვიპტისა, და დაუმარცხდა. ამის მიზეზად შეიქმნა იკონიის სულთანი თვრსმან (თერვან), სიძე თამარისა, რუსუდან დედოფლის ასულისა. აბაღამ ეს თვრსმანი მოჰკლა, მის მაგიერ სულთნად დაადგინა ერინჯი ნოინი, ხოლო თამარის სამზითვო—აწყური მიუბოძა სარგის ჯაყელს ს მის შვილს ბექას.

ამასობაში მეფე დიმიტრი დაკაყვანდა და მეფობა იტვირთა. ყაენმა მოსთხოვა ხარკი. მეფეს თეული არა ჰქონდა. სადუნს მიჰყიდა დმანისი და ამ თეულით გადიხადა ხარკი. სადუნი უმეტესად გაძლიერდა. იგი ყაენსაც მსახურებდა ს მეფესაც მორჩილობდა. ამაზედაც უფრო მეტად გაძლიერდა სამცხის სპასალარი სარგის ჯაყელი, რომელმაც დაიპყრო ქვეყანა ბორჯომის ყელიდგან არზრუმამდე.

მეფე დიმიტრი იყო კაცი ღვთისნიერი, ჭკვიანი, მშვიდი, ქვრივ-ობოლთა და უქონელთა შემწყალებელი. იგი ხშირად უბრალო ტანისამოსს იცვამდა და თვრულად ითვალიერებდა საწყალ სალხს და ნუგეშს სცემდა შეძლებისამებრ. მან ააშენა ეკკლესიები ს გაამშვენიერ-გაამდიდრა. ქვეყნის დასამშვიდებლად და უზრუნველ საყოფელად მტერთაგან გაიმეტა თავისი და თამარი და მითხოვა არღუნ ნოინის შვილს დიდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთიც დამშვიდდა. ნარინ დავითი ბრძნულად მართავდა ქვეყანას, რომელსაც წარმატება დაეტყო. ბატიკ აურიული რაჭის ერისთავი კახაბერ ატენს გამოძებებულ იყო. ეს შეეკედრა მეფეს ეპატიებინა დანაშაული. სულგრძელ მეფემ შეუნდო. კახაბერ რაჭას წავიდა. მაგრამ იგი «კეკლად მიექცა წუნებესა» ლ თათრების უფროსს ელიუანს მისწერა: მოდი, ნარინს ხელთ-გიგდებო. ნარიმა შეუტყო. დაიჭირა. თვალები ამოჭხადა, ხელები და ფესები მოჭკვეთა, მისნი ძენი ექსორიად კონსტანტინოპოლს წარგზავნა. მოკვდა კახაბერი და ალიხოცა მისი სახსენებელი.

ამ დროს ოსქართველოს ეწია დიდი უბედურება. მიწის ძვრამ დაანგრია ბევრი შენობანი. უფრო მეტად დაზარალდა სამცხე. დაიქცა აგრეთვე მცხეთის სვეტიცხოველი და აწუურის ტაძარი (1283 წ.)

ამავე ხანს სარგის ჯაყელი განუდგა თათართ. ბაბა ყაენმა მიუსია მას 20,000 მეომარი. სარგისმა ხალხი დახიზნა მთებში და თვითონაც გურიის მთებში დაიმალა. თათრებმა მოაოხრეს უპატრონო ქვეყანა და დაბრუნდნენ. ამის შემდეგ სარგისს ფეხის ტკივილი აუწყდა და მოკვდა. სამცხის პატრონად შეიქმნა მისი შვილი ბექა.

ბაბა-ყაენი არ ისვენებდა. მას სურდა ეგვიპტელების ჯავრი ამოეყარა. მოუწოდა თვის ლაშქარს და დიმიტრი მეფეს, უბრძანა მათ წინამძღვრად თვისი ძმა მანგუ-დემურ და წარგზავნა. ამ ლაშქრის რიცხვი იყო: თათართა 200,000 მეომარი და ქართველთა 30,000. მტერს რომ მიუახლოვდნენ, ქართველნი დაქვეითდნენ ლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამწარებულად შეებრძოლნენ. ქართველთა თავ-ადმოდა
და გაუკაცური ბრძოლა აკვირვებდა და აოცებდა უველას.
მიუხედავად ამისა თათარ-ქართველნი იძლიენენ, გამო-
იქცნენ და აბაღა-ყაენის წინაშე მიგიდნენ. აქ თათრთა
მგოსანმა გალობით შეაქო ქართველთა მეომრების სიგმი-
რე. აბაღამ დიდი წყალობა მიანიჭა ქართველებს ჯ მათ
მეფე დიმიტრის, ჯ გამოისტუმრა. ამ ყაენს დიდი ნდობა
ჰქონდა ქართველებისა. ევროპიის ხელმწიფეებთან ელ-
ჩად წარსაგზავნად ირჩევდა ქართველებს. სხვათა შორის
ქართველები იკობი და იოანე, აბაღას მინდობილობ-
ით, ეახლნენ პაპა იოანე XXI-ს, ფილიპე მშვენიერს და
ინგლისის კაროლს.

აბაღა-ყაენის სიკვდილის შემდეგ გახელმწიფდა ა-
ბმადი. ეს ა-ბმადი ემაწყალობაში მოანათლული იყო და
სახელად ერქვა ნიკოლოზი. მიუხედავად ამისა, შემდეგში
იგი შეიქმნა დაუძინებელი მტერი ქრისტიანეთა, მაგრამ
მას ბოლო მოუღეს თვით მოანგოლებმავე. აბაღას შვილ-
მა არღუნ იგი მოჰკლა და თვითონ გაყაენდა. არღუნი
სასტიკად სდევნიდა მაჰმადიანებს და მფარველობდა ქრის-
ტიანებს. მაჰმადიანთ დიდი შიში ჰქონდათ მექას მეჩითი
ყაენმა ეკკლესიად არ გადაქმნასო.

ამ არღუნს აუჯანყდნენ დარუბანდელნი. არღუნმა
მიიწვია მეფე დიმიტრი და მიუსტა წინააღმდეგთ. ქართ-
ველებმა ერთიან შეტევით აიღეს მეტად მაგარი ციხე ანა-
კა და სრულიად დაანგრიეს იგი. აჯანყებულთაგან ზო-
გი დახოცეს და ზოგი დაატყვევეს. გამარჯვებულ არ-
ღუნს მალე ეშვი დებადა: ნოინებს და მეფე დიმიტრის
ჩემი ღალატი განუზრახავთო. ამიტომ საიდუმლო ბრძანება

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასცა დაეხოცათ ყველა ნოინები მცირე-აზიისა და ხორასნისა. ამ ბრძანების ძალით ყოველთ უწინარეს მოიკლა ნოინი ბუღა, დიმიტრი მეფის მეგობარი.

ბოლოს ჯერი მიდგა დიმიტრიზედაც. დიდის ჯარით არღუნი დადგა საქართველოს მიჯნაზე და შემოუთვალა მეფეს გამოცხადდი წინაშე ჩემსაო. მეფე დიმიტრი თავის შვილით დავითით წავიდა არღუნის ურდოში. მეფე და მისი შვილი დაამწყვდიეს ერთს ციხეში, სანა დარჩნენ იმ დროამდის, მინამ არღუნი მოელაპარაკებოდა დავით-ნარინს, რომ შვილი მიეცა ამერეთის სამეფო ტახტზე დასასმელად. ნარინ დათანხმდა. ამით არღუნს უნდოდა ორივე სამეფონი მორჩილებაში ყოლოდა. ამის შემდეგ 1289 წ. დიმიტრი გაიყვანეს ქალაქს გარეთ და თავი მოჭეთეს. იქ მყოფ ქართველ თავადებმა შეისყიდეს მეფის გვამი, მოიტანეს და მცხეთაში დამარხეს. ამ ნაირი სვეტ მოელოდა მეფისძე დავითსაც, მაგრამ იგი შეეტოდა მოსე ტახარს, რომელმაც შეაკედრა ყაენს, განთავისუფლებინა და იშვილა.

დიმიტრი მეფეს ყოვნდა სამი ცოლი: ტრაპიზონის მეფის ასული, რომლისაგან ეყოლა შვილები: დავით, ვახტანგ, ლაშა, მანუელ და რუსუდან; თათრის ქალისაგან: ბაადურ და იედიგარ; ბექას ასულის ნათელასაგან გიორგი.

ამ დროის მოღვაწეთა შორის შესანიშნავნი არიან ქართლიკოსი ნიკოლოზ, აბრამ, პიმენ სალოსი გარეჯელი, ანტონი. ყველა ეს მამანი დრტვინავდნენ ზნეწამხდრობისათვის მეფისა ჯ დიდებულთა, რომელნიც ერთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლიანობას ღალატობდნენ და თავის მაგალითით რჩენიდნენ ერსაც. იგინი უშიშრად ამსილებდნენ მეფე-დიდებულთ და ქრისტიანებრივ წეს-ჩვეულებათა ღალატისთვის ღვთის რისხვას უქადიდნენ. მაგრამ მათი ხმა არავის ესმოდა. მეფის მიბაძვით თვით სადუნ მანკაბედელსაც სამი ცოლი შეერთო. ამათგან ერთი იყო მეფის და,—თამარი, რომელიც გამოექცა არღუნის შვილს დიდადს და მთიულეთში დაიმალა. იგი ყაენის ნებართვით მოიყვანა სადუნმა და შეირთო. ქართველიკოსმა კრულ-ჰყო იგი სამცოლიანობისთვის. ჰიმენ სალოსი სცოვრობდა ბელაქანს. მან მოაქცია ქრისტიანობაზე უამრავნი მთელ ულნი: ლეკნი, თუშნი და დიდოელნი. იგი იყო კაცი ბრძენი. ანტონი კუმურდოელი აგრეთვე იყო კაცი ბრძენი, ახოვანი და ძლიერი სიტყვით.

გახტანგ II, ამერეთისა. (1289—1292 წ.)

დიმიტრის მოკვლის შემდეგ არღუნმა მეფობა მისცა ნარინის შვილს გახტანგს. ამანაც ვერაფერი მალამო დასდო ქართველთა ერის წყლულებს. იგი იყო ჰატიოსანი, ტკბილი, მოსამართლე, ახოვანი, მხნე და სამსედროთა ზნითა აღსავსე. საქართველოს საქმეების გამგეობა მან გადასცა ხუტლუ ბუღას და მასვე დაუმტკიცა ათაბაგობა. დიმიტრის შვილი დავით ისევ ტყვეობაში იყო. მისი დედა სვეირეთში იმალებოდა, ხოლო სხვა ძმანი მიმოიბნენ. გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიმიტრისძე წავიდა სამცხეს, სადაც მას ზრდიდა ბაბა ქალ-
სი ბექა ჯაყელი. ამასობაში არღუნ ყაენი დასნეულდა.
იგრძნო-რა სიკვდილის მოახლოებება, დავითი გამოიყვა-
ნა საბურობილედგან, ამერეთის მეფობა დაუმტკიცა და
გამოისტუმრა (1292 წელს). ამავე წელიწადს მოკვდა
არღუნი და აგრეთვე მეფე კახტანგი, მისი მამა ნა-
რინ დავითი და გამეფდა მისი შვილი კოსტანტინე.

კახტანგის მეფობის ყამს რომის პაპმა ნიკოლოზ
IV საქართველოში გამოგზავნა ბერნი, გასავრცელებლად
კათოლიკობისა. ბერნი პატივით მიღებულ იქმნენ. მათ
მიეცათ უფლება დაარსებინათ თბილისში საკუთარი სა-
ეპისკოპოსო. იმათი წინამძღოლი იყო იოანე ფლორენ-
ციელი.

მეფენი

დავით VI, ამერეთისა (1292—1310).

კოსტანტინე, იმერეთისა (1292—1327).

ნარინ დავითს ჰყავდა სამი შვილი. მამის სიკვ-
დილის შემდეგ გამეფდა კოსტანტინე. უმცროსი ძმა მი-
ხეილი (ანუ მიქელი) აუჯანყდა მას და რაჭისა და არგ-
ვეთის ბეფად აღიარა თავი თვისი.

არღუნის შემდეგ გახელმწიფდა ქელთუქონ, რომელსაც
აუჯანყდა რუმის ნოიონი ტუნღუზალო. ყაენმა დავითის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემწეობით შემუსრა ეს ტუნღუზალო. ამავე ლაშქრობაში იყო ოსთა მეფისძე თვრეჯან. ამ დროს ოსნი შემოესივნენ ქართლს, აიკლეს ეს ქვეყანა და აიღეს გორი. მათ წინააღმდეგ აღმხედრდნენ ერისთავნი და განდევნეს ოსები. ამის შემდეგ ოსნიც გადაემტერნენ ქართველებს.

ლაშქრობიდამ დაბრუნებულ მეფე დავითს ქედოუქონმა დაუმორჩილა ყველა დიდებულნი. შეიკრიბნენ ქათალიკოს-ეპისკოპოსნი ჯ დიდებულნი, და მეფეს უგურთხეს გვირგვინი. გვირგვინის კურთხევაზე მოწვეულიყო ბექა ჯაყელიც, მაგრამ იგი არ მოვიდა, არამედ წარმოგზავნა თვისი შვილი სარგის, რომელსაც გამოატანა დიდძალი ძღვენი. ყაენის ბრძანებით დავითმა შეირთო მისი და ოლჯათ, ქვრივი ვახტანგ მეფისა.

ოსთა მთავარი თვრეჯან თუმცა ემსახურებოდა დავით მეფეს, მაგრამ ოსნი-კი მტრობდნენ ქართველებს, მეტადრე რატი სურამელს. ერთ დღეს ოსნი: სათხი და უზურ-ბეგ თავის ამალით მოვიდნენ თბილისს სავაჭროდ. დაბრუნებისას მათ გზაზე შეეფეთა რატი სურამელი. სათხი მიეტევა სურამელს, მაგრამ რატიმ გაუშო მას თავი ჯ მოჭეკა. აგრეთვე მოკლულ იქმნა უზურ-ბეგიც. მათი ამალა გაიქცა.

ამავე დროს აჭმადის ძემ თუქალ მოჭეკა ქედთუქონ ყაენი და თვითონ გასულმწიფდა. თუქალმა, დავით მეფემ და ბექა ჯაყელმა შეჭეკრეს ზავი სიყვარულისა. თუქალმა გასწყვიტა მრავალი ნოიონები. დანარჩენნი შეიყარნენ ჯ ყაზან ყაენს აუწყეს ყოველივე. ყაზანი შემოვედრა დავითს ჯ ბექას ჯ ითხოვა მათგან თუქალ ყაენი. ამათაც მისცეს. თუქალი მოიკლა. ყაზანმა დაიბარა თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფეც. ეს არ წავიდა. გამაგრდა ყინვანში. ყაზანმა სუტ-ლუ-ბუღას გამოაყოლა დიდი ჯარი. ამან შეუთვალა მეფეს გამოცხადდი და თვიცს გაძლევ არას დაგიშვებთო. მეფემ გამოუგზავნა ქართველოსი ბერამ, ბურსული იოანე და თბილისის ყადი, ლ იოსოვა მძეკლად სუტლუ-ბუღას შვილი და ნოინნი. ამის შემდეგ მეფე მაინც არ წავიდა ურდოში, წინაშე ყაზან ყაენისა. თათრები შემოესივნენ საქართველოს ლ მოაოხრეს სომხითი, ქართლი, ერწო-თიანეთი, ბაზალეთი და დადგნენ მუხრანს. გაჯავრებულ ყაენმა დავითის მაგიერ მეფედ დასვა მისი ძმა გიორგი.

დავით მეფის დროს გამოჩნდა კვიმატი ვარსკლავი, ლახვრის მსგავსი, ჩრდილოთ კერძო. იგი ჩნდა ოთხი თვის განმავლობამდე.

მეფენი ამერთისანი

გიორგი V უფროსი (1299—1301 წ.)
ვახტანგ III (1301—137 წ.)
გიორგი VI მცირე (1308—1318 წ.)

ახლად გამეფებული გიორგი მე-V შემოვიდა თბილისში. ხოლო გადაყენებული დავით მეფე თავის ძმით ვახტანგით გამაგრდა ციხეში ციკარას. სუტლუ-ბუღა იმ ციხემდის ვერ მიეიდა ადგილ მდებარეობის სიმაგრისა გამო. ხოლო ქვეყანა დაარბია და დაბრუნდა ყაზანთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიკარში დავითი წაეხუბა თავის ძმას ვახტანგს, რომ-
გამო ეს უკანასკნელი მიეიდა ყაზანთან, რომლისაგან ბა-
ტიეით მიღებულ და მეფედ გამოცხადებულ იქმნა. ამ
ნაირად ამერეთს ერთსა და იმავე დროს გაუჩდა სამი მე-
ფე: გიორგი, დავითი და ვახტანგი-

ამ საშინელ დროს მტრები ხომ მტრობდნენ და
ალბრებდნენ ქვეყანას, თვით მეფენიც ისრე დაცემულ
იყვნენ ზნეობრივად, რომ, ერის შვილის მაგიერ, ერთმა-
ნერთს ეხუბებობდნენ, იბირებდნენ ხალხის ერთ ნაწილს
და მათ შემწეობით ეომებოდნენ მეორე ნაწილს, რათა
ჩამოეგდოთ ტახტიდგან მათი მომხრე მეფე. ქვეყნის
გულ შემატკივარი თითო-ორორლა კაცი ღა იყო დაშთე-
�lი.

ამისთანა დროს, როდესაც კაცი კაცს ველარა
სცნობდა, როდესაც ძმა-ძმას ღალატობდა, დასავლეთ სა-
ქართველოს შემოესია მცირე-აზიის სულთანი აზატ-მო-
ზე 60,000 კაცით. მან აიღო ტაო, ვაშლოვანი, მუძ-
ღული და დახოცა მრავალი ხალხი, მათ შორის ბერხეუ-
ლიძენიც. ბექამ შეაგროვა 12,000 კაცი და თავის შვი-
ლის სარგისის მოშველებით დაეცა მტრებს, ბევრი მათგან
დახოცა, სსვები განდევნა ტაოდამ. მტერს დიდად ავნო
აგრეთვე ფაუა ფანასკერტელმან.

ყაზანი კიდევ ამხედრდა წინააღმდეგ ეგვიპტელთა
და წაიყვანა ვახტანგი ქართველთა ჯარით. ბრძოლა მოჭხ-
და დამასკიხ ახლოს. ქართველ ცხენოსნებმა დაამარ-
ცხეს ეგვიპტელნი და განდევნეს იერუსალიმისკენ. დამასკი
დაანგრიეს და მცხოვრებნი მისნი დახოცეს.

დავითმა ამასობაში ხელ-ჯ-ხელ შეაგროვა 15,000 კაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაცა თათრებს თბილისში და საშინელი სიხლის ღვრა მოახდინა. მაგრამ ვახტანგი სწრაფად გამოეშურა მცირე-ასიიდან, შეებრძოლა ძმას, დაამარცხა იგი და დატყვევა, თუმცა შემდეგ ისევ გაანთავისუფლა.

ყაზანს დიდხანს ალარ უცოხლია. მოკვდა და ყაენად გახდა მისი ძმა ყარა-ბუღა. ამან მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და უნდოდა ამ სარწმუნოების გავრცელება, მაგრამ რადგან ამაო იყო ყოველი მისი ცდა, ამიტომ ბრძანება გასცა გაეწყვიტათ ყველა ქრისტიანები საქართველოში. ვახტანგმა აცნობინა ქართველებს ეს საშინელი განსაცდელი: იგი წავიდა ურდოში, ხმალზე თავი დასდო და მოახსენა ყაენს, რომ იგი მზად არის აქვე თავი მოაკვეთინოს, თუ ქრისტიანთა გაწყვეტის ბრძანება გაუქმებული არ იქმნება. ყარა-ბუღამ შეუსმინა და აპატია ქრისტიანებს. მეფე დაბრუნდა და გზაში მოკვდა. იგი დაიმარხა დმანისში. მას დარჩა დიმიტრი და გიორგი. დიმიტრი გახდა ბატონად დმანისისა, გიორგი-კი სამშვილდისა. გამეფდა დავითის უმცროსი შვილი გიორგი VI.

ყველა ეს მეფენი დაიხოტნენ და 1318 წელს ხელ-ახლა გამეფდა გიორგი V.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი V, ბრწყინვალე (1318—1346).

I

თამარ-ნეტარს აქეთ უკვე ერთმა საუკუნემ განვლო. თამარის სიკვდილს მოჰყვა შფოთი, ღელვა, დრტვინვა, ლევა ქვეყნისა. თამარის დიდებულ მეფობის მსიჟველი ერი საშინლად ეწამა.

საქართველოს აუჩნდენ მძლავრნი მტერნი: სპარსნი, მონგოლ-თათარნი, არაბ-ეგვიპტელნი და ოსმალნი. ყველა ამათ დაანგრიეს ის დიდებული შენობა, რომელიც აგეს და რომელშიაც სცხოვრობდნენ ბაგრატნი, დავითები და თამარი. მტრებმა დასჭრეს, დაანწყლულეს საქართველოს ერი.

საქართველოს აესიენენ აგრეთვე ქართველთა წინანდელი ყმები—ოსნი ან მთის სალხი. ბებერი ლომის იგავი ჩვენზე ასრულდა: გამვლელმა და გამომვლელმა თითო წიხლი ჩაჰკრა საქართველოს. ესენი ქურდულად, მალვა-ფარვით, შემოდიოდნენ და არბევდნენ ქვეყანას.

საქართველოს დაუწყეს მძლავრობა თვით საკუთარმა შვილებმაც. ეს პირდაპირი შედეგი იყო მონგოლთა შორს-გამჭვრეტელობისა. ერთის მხრით ის ძრიელი მორწმუნობა (კულტურა), რომელიც ველურ თათრებმა ისილეს საქართველოში და მეორეს მხრით ქართველთა ლაშქრის ის ძლევამოსილი და გმირული ვაჟკაცობა, რომელიც ანცვიფრებდა თვით მტერს,—ცხად ჰყოფდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონგოლნი ამ ქვეყანას ადვილად ვერ დაიმორჩილებდნენ. გაითვალისწინეს-რა ესრეთი რწმენა, იმათ მიჰმართეს სხვა გვარ ხერხებს: საქართველო გაჰყვეს ორ სამეფოდ. გაადიდეს ზოგი-ერთნი თავადნი. ძმა მიუსიეს ძმას. მეფე მეფეს. ყმა პატრონს. ჯაყელები უკვე ისე გაძლიერდნენ, რომ «ცა ქუდად აღარ მიაჩნდათ ჯ დედა-მიწა ქალამნად»: იგინი აღარ ემორჩილებოდნენ მეფეს ჯ თავს არ უკრავდნენ მას. დავით მეფის კურთხევას სარგის ჯაყელი არ დაესწრო, თუმცა იგი მოუწვევლადაც მოვალე იყო მოსულიყო და მიელოცა მეფისათვის გამეფება. რაჭის ერისთავი კახაბერ რაჭა-არგვეთის მეფედ აღიარებდა თავის თავს. ეგრასლან ბაგურტიხელი ერთხანად მეფობდა ამერეთში. ჯიქურს ებარა გამგეობა ქვეყნისა და პატრონობა მეფის ოჯახისა. სადუნ მანკაბერდელი ითვლებოდა მეფედ თელავისა, ბელაქნისა და მთეულთა. რომ უძეტესი რისი მიემატებინა თავის უფლებისათვის, ამ სადუნმა მოინდომა მეფეთა შთამომავლის ცოლად შერთვა. და შეირთო კიდეც თამარი, დიმიტრი თავდადებულის და, რომელიც მანამდე ცოლად ჰყვანდა არღუნის შვილს დიდას. ამის შემდეგ იგი უღრესად გამძლავრდა, გადიდდა, გამდიდრდა. ამგვარადვე გამძლავრდა პანკისის ერისთავი თორღული, რომელიც განუდგა მეფეს. ერისთავნი სვანეთისა, ოდიშისა, ათაბაგეთისა და გურიისა აგრეთვე თავს აღარ უდრეკდნენ იმერეთის მეფეს. მაგრამ ეს ცოტაა კიდეე. მონგოლთა ყაენები ხშირად ერთსა და იმავე ტახტს ერთსა და იმავე დროს აძლევდნენ სამს მეფეს ჯ ამასაც არა კმაროობდნენ: სამს მეფეს სამიოდ-ოთხიოდ ნოიებსაც თანაშემწედ უნიშნავდნენ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარ დაქუცმაცებას და დაძაბუნებას მოჰყვა ბატონობა მონგოლთა, რომელთაც საქართველოს, მეტადრე ამერეთის, დაადგეს მონობის მძიმე უღელი.

მონგოლთა ბატონობამ შებღალა თვით ზნეობა ერისა, უფრო მეტად კი დიდკაცობისა. თვით მონგოლნი იყვნენ გაუნათლებელნი, სჯამდნენ ცხენის უმ ხორცს. ამასთანავე იყვნენ უშნო-ულაზათო-უმსგავსონი. იცოდნენ მრავალ-ცოლიანობა. ნათესაობა თითქმის არა სწამდათ. აბა, ამგვარ ბატონებისაგან რა სიკეთეს შეიძენდნენ ქართველნი. ბირიქით, მათ მიბაძვით, ჩვენშიაც მოიკიდა ფესი მრავალ უზნეო, არა ქრისტიანულ, საქციელმა. ესრეთი არა წმინდა ცხოვრება ბირველად შემოვიდა მეფეთა და დიდებულთა ოჯახობაში. საქართველოს ზნეობის გასანადგურებლად მონგოლთა ყაენები და ნოინები (მმართველები) მეფეთა და დიდებულთ რთავდნენ თავიანთ ქალებს. ამ დედოფლებს თვის ოჯახში შეჰქონდათ თავიანთებური წეს-ჩვეულებანი და მიდრეკილებანი. იგინი ხშირად უორგულებდნენ ქმრებს. ამისგამო დიდკაცობის ზნეობა იქამდის დაეცა, რომ თვით ჯვარის-მტვირთველი ჭეონდიდელი (ბასილი) არ თაკილობდა მეფის ოჯახის სიწმინდავეს შებღალვას. ამ გვარ დაქვეითება—წახდომის დროს ისმოდა გოდება და ტირილი მხოლოდ ოთხიოდ კაცისა. ანტონი კუმურდოელი „ნაოხრებულად“ წოდებული, ბიმენ სალოსი ბელაქნის მოდვაწე, ნიკოლაზ ⸗ აბრაამ ქათალიკოსნი ამაოდ დაშვრნენ, ვინაიდგან ზნეობა მეფე დიდებულთა ვერ განწმინდეს. მათი მსილება და ამის შემდეგ კრულვა-შეჩვენება არავის ესმოდა. მათი ხმა დაშთა ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასრე დაქუცმაცდა და დაიშალა ის თვითმპყრობელობა, რომელიც სვიან-დოგლათიანად ხელთ-ეპყრა თამარ დედოფლის ძრიელ მარჯვენას!

აი, ამ გვარ საკვლოლო და შავ-ბნელ დროს ქვეყნის მხსნელად გამოჩნდა გიორგი V, რომელმაც კვალად განაბრწყინა ბატიკ-ასდილი სკიპტრა თამარ-ბრწყინვალისა.

ეს გიორგი იყო ძე დიმიტრი მეფისა, შვილის-შვილის-შვილის-შვილი თამარ დედოფლისა. მამა მისს, როგორც ზევით ვსთქვით, ჰყვანდა სამი ცოლი. დედა გიორგისა იყო ნათელა, ბექა ჯაყელის ასული. დიმიტრი თავდადებულმა რომ გადასწყვიტა თათართა ურდოში წასვლა, თვისი შვილები და ცოლები დასიზნა მაგარ და მიუვალ ადგილებში—ზოგი კახეთს, ზოგი სკვირეთს, ხოლო გიორგი იშხანს. ამ დროს გიორგი მცირე წლოვანი ყრმა იყო. ურდოში წასულ დიმიტრის თათრებმა თავი მოჰკვეთეს 1289 წ. ქეყანა მიეცა მწუხარებას და გლოვას. ამ მწუხარება-გლოვაში აღიზარდა გიორგი, მომავალი ბრწყინვალება ქართველთა. მრავალმა შეოთვალულვამ განვლო მის თვალწინ. დედის ტკბილი ნანა კი არა, არამედ ქვეყნის კვნესა ისმოდა მის გარეშემო. მამის უბედურება და ქვეყნის ტირილი ღრმად ჩაენერგა გულში მცირე წლოვან, მაგრამ გამჭრიახ გონებიან, ყრმას.

გიორგი ჯერ არც კი იყო 12—13 წლის ჭაბუკი, რომ ბაბა მისმა წარუდგინა იგი ყაზან-ყაენს. ყაზანმა შეიწყნარა გიორგი და ამერეთის მეფობა დაუმტკიცა. ამხელად გიორგიმ იმეფა მხოლოდ 1299 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1301 წლამდე. მაგრამ ვაჲ ამ გვარ მეფობას! ესმეფობა კი არ იყო, არამედ რაღაც მოჩვენება, რადგან გიორგის გარდა ამავე დროს იმავე ტახტზე ისხდნენ რამდენიმე სხვა მეფენიც! ვინ იცის, იქნება ეს ოთხი იყო თვით გამძლავრებულ ათაბაგ ბექასი, რომელსაც მცირე წლოვან გიორგის სასელით, მაგიერ ბაგრატოვანებისა, ჯაყელთა გამეფება სურდა ამერეთში. ასე თუ ისე, ამ-ხანად გიორგიმ მხოლოდ ორი წელიწადი იმეფა, ისიც მხოლოდ თბილისში. 1301 წელს იგი გადაუყენა ყაენმა და მეფობა მისცა მის ძმას ვახტანგს. ამ შემთხვევაშიაც ყაენი ალბად ხელმძღვანელობდა მით, რომ ბექა, პატრონი ტრაპიზუნდს აქეთ ქვეყნებისა ბორჟომამდე, „თავს ალარ უკრავდა ყაენსა“, ჲ საშიში შეიქმნა მონგოლთათვის.

სად არის ან რას აკეთებს გიორგი 1301 წ. 1308 წლამდე, არა სჩანს. ხოლო ამ წელს რომ მოკვდ ბექა, ყაენმა ამერეთის მეფობა მისცა გიორგის ძმის წულს გიორგი VI მცირეს, ხოლო გამგედ ქვენისა დანიშნა თვით გიორგი V ჲ დაუმორჩილა მას ბექას ძენი, ყველა მთავარნი ჲ ძმის-წულნი. გიორგი VI მცირე გარდაიცვალა 1318 წ. და გიორგი V შეიქმნა თვითმპყრობელ ხელმწიფედ.

ეკლიანმა გზამ, რომელზედაც გიორგის მოუხდა სიარული ტახტზე ასვლამდე, მას შეასწავლა სიფრთხილე, ხოლო მის თვალწინ გაკლილ ამბებმა შესძინეს დიდი გამოცდილება, თვისის მდგომარეობის დაკვირვება, განსჯა—განბჭობა. ამასთანავე მას ჭკონდა გამჭრიახი გონება და დროის შესაფერი სწავლა მიეღო თავის პაპის სახლში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად გამეფებულ მეფეს ჰყვანდა სამი მტერი: მონგოლნი, ოს-მთეულნი და საქართველოს გამძლავრებულნი დიდებულნი. ეს მტერნი, ვითარცა მგელნი, სჭამდნენ ქვეყანასს და სძოვდნენ. ამ ულმობელ მტრების შემუსრვის გარდა, მეფის გამჭრიახი გონება ეტრფიალებოდა იმ აზრსაც, რომ საქართველოში მოსპობილიყო ორ-მეფობა, იმერ-ამერთა ცალკ-ცალკეობა დათრგუნულიყო და თამარის ხელმწიფობა აღდგენილიყო მის სიცრცე—სიგანით.

ამ დიდებულ აზრების განხორციელებას მეფე შეუდგა დიდის სიფრთხილითა და გონიერებით, და საწადელსაც მიაღწია.

პირველად მან შემუსრა ოსნი. ამ დროს ყაენი გიორგის მწყალობელი იყო და ამასთან ეს ოსნი თითართაც აზარალებდნენ ხოლმე. ამიტომაც მათი დამარცხება ყაენისათვისაც სასურველი იყო. ოსთ ეჭირათ ზოგი ერთი სოფლები და დაბები ქართლისა. აგრეთვე ქალაქი გორი. გიორგი მიუსტა მათ და ციხე-სოფლები თითო-თითო წაართო, ჯ გარეკა საქართველოდგან. კვალდა-კვალ მიჰყვა მათ და შეეიდა მთაში, შემუსრა ოსთა ძლიერება, დაიმორჩილა ურჩნი და მოსარკე-ჰყო. დაბრუნებისას მთის გზები შეჰკრა ჯ მცველები დაუდგინა. ამ გვარადვე მეფემ დაიმორჩილა ქსნისა და არაგვის ხეობის მთიულნი და განუჩინა სამართალი.

მთიულების დამშვიდებას მორჩა-რა მეფე, თითართა ნოინები კიდეც გადაეკიდნენ ერთმანერთს; ამ ჩხუბში მოჰკლეს აბუსაით ყაენი და განდგნენ თვის-თვისად: ზოგმა დაიპყრო ხორასანი, ზოგმა სპარსეთი, ზოგმა ერაყი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოგმა მცირე-ზზია და სხ. ამ განდგომა-აშლილობით ისარგებლა მეფემ, შეებრძოლა ძლიერად საქართველოში მყოფ თათრებს, შემუსრა იგინი და განდევნა. საქართველომ თავისუფლად ამოისუნთქა.

ამის შემდეგ ჯერი მიდგა მესამე მტერზედაც. გაღალებული და ზზვაკებული თავადები და ზზნაურები სადარბაზოდ მიიწვია კახეთს, ციცის-მთაზედ. მანსაბინძლობის დროს იგინი ამოსწყვიტა მეფემ და მათ მაგიერ დანიშნა თვისნი ხელისუფალნი.

საქართველოს გაძლიერებას შურით უმზერდნენ რანმოვაკნისა ლ შირვან—დარუბანდის ელნი ლ ლეკნი ლ ემზადებოდნენ თავს-დასხმოდნენ მეფეს. მაგრამ გიორგიმ ადარ დაუცალა მათ. დიდის ლაშქრით შეკიდა რანსა ლ შირვანს, აიღო ეს ქვეყნები, დაიმორჩილა დღისტანი ვიდრე დარუბანდამდე. დაბურობილ ერს დაადვა ხარკი და დიდებით დაბრუნდა თავის ქვეყანაში. აქაც მეფე მოსვენებით არ იყო. მას აწვალებდა ყოველთვის ერთი ჭაზრი: გაერთიანება საქართველოსი. ბედმაც გაუღიმა.

ჩვენ ვიცით, რომ შემდგომად ნარინის სიკვდილისა, იყო შფილობა ძმათა შორის, რომელიც გაგრძელდა მრავალ წელს. ეს შუღლი და შფოთი უფრო გამწვავდა გიორგი ბრწყინვალის დროს, როდესაც იმერეთის ტახტზე იჯდა მეფე ბაგრატი.

გიორგის ლაშქარმა გადალახა ლიხის—მთა და ქუთაისს შემოერტყა. იმერთ სიხარულით მიიღეს მეფე. ბაგრატი ჩაიკეტა ქუთაისში. გიორგი შემოერტყა მას. შეშინებულმა ბაგრატ სთხოვა მეფეს, რომ მიეანჭა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის სიცოცხლე. გიორგიმ ბატიკით მიიღო ბერ-
და შორაპნის ერის-თავად დანიშნა (1330 წ.). შეშინე-
ბულნი ერისთავნი: გურიელი, მამია დადიანი, სვანთა
ერის-თავი, ათაბაგთა შარვაშიძე „მოერთვნენ მეფეს
ნიჭითა დიდითა და დაულოცეს მეფობა იმერეთისა და
ყოველისა საქართველოისა“.

იმერეთიდგან მეფე გაემგზავრა სამეგრელო-ათაბა-
გოს და განაგო იქაური საქმეები. გამოვლისას გადა-
ვიდა სამცხეში, რომლის ათაბაგი სარგის ბექასძე იმ
დროს გარდაცვლილიყო (1334 წ.). მეფემ ათაბაგობა
მისცა მის შვილს ყვარყვარეს. ერისთავები დასვა აგრეთ-
ვე: კლარჯეთს, სპერს, კალმახს, არტანუჯს, არტაანს
და წუნას. ამის შემდეგ ძლევა-მოსილი და თვით-მპყრო-
ბელი მეფე უკუმოიქცა და თბილისს მოვიდა.

როდესაც მეფემ გაიმარჯვა ყველგან და ახლა სა-
მეფოს შინაურ საქმეების განკარგებას მიჰყო ხელი, შე-
მოებრძოლა მას მონგოლთა ნოინი, რომელმაც აიღო სომ-
ხითი, დაიწყო ბურობა რანისა, მოვაკანისა და მოვიდა
განჯას. მეფე გიორგი მიუხტა მას, მოსწყვიტა სპანი
მისნი და თბილისს დიდის ალაფით დაბრუნდა.

არც კი დაესვენა მეფეს, რომ მტირე-ალიის სულ-
თანი ორხან-ხანი შემოესია კლარჯეთს. მეფემ იგიც
დაამარცხა, წაართვა დიდი ალაფი და გახარებული უკუ-
მოიქცა.

ასრე გაერთიანდა საქართველო ნიკოფსიიდგან მო-
კიდებული დარუბანდამდე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

დაამსოფრა მეფემ გამძლავრებულნი მთიელნი, მოხგოლნი და გალაღებულნი დიდებულნი, ახლა შეუდგა თვით ერის შებღალულ ზნეობის განკარგებას. ამის შესახებ თვით გიორგი ბრწყინვალე თავის „ძეგლის დების“ შესავალში ასრე მოგვითხრობს: ...„მიგვედით ჩვენს ყინვანის სასახლეში, იქიდგან ხადა-ცხადოტს. შემოკრიბეთ ხევის ბერნი და ჭაერფოვანნი, განვაგეთ და განვიხილეთ საქმენი მათნი. გავიარეთ დარიალამდე. ვცანით საქმენი ამათნი, გამოვიძიეთ ყოველნივე საქმენი მთიულეთისანი. მოვილოცეთ ლომისა და შევედით ცხრაზმის ხეობაში, დავაწყეთ რიგი და გამოვემგზავრენით მუხრანს. ჯ დავდექით ჩვენს საზამრთო სასახლეში. აქედგან ჩამოვედით თბილისს და მოვიწვიეთ: სხვა და სხვა თემთა ერისთავნი, მხედართ-მთავარნი, ხევის-ბერნი და ჭაერფოვანნი. დავსხედით სადარბაზო-საბჭოდ სასულიერო მეუფის ქართლიკოზის ეგოიმეოურთ, ვეზიერებით, ეპისკოპოსებით და მოურავებით. ვცანით მრავალ-გვარნი ბოროტ-მოქმედებანი ჩვენთა ქვეშევრდომთანი: ტილის წამებანი, ტიხე-სიმაგრეთა შლილობანი, მკვლელობანი, ქმრიანთ დედაკაცთა ტაცებანი, ტოლ-ქმრობის უმიზეზოდ შეგინება-დათრგუნვანი, განრეკნილობანი. ამ ბოროტებათა აღმოსაფხვრელად განვაჩინეთ სამართალი იმიერთა და ამიერთა ხეობათათვის, ჯავისათვის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხადასათვის, ცხოტისათვის, ზანდუკისათვის, ქვედა-ბენისა და ზედა-მენესოსთვის.“

„ძეგლის დება“ შესდგება 46 მუხლისაგან და შეეხება ერის ცხოვრების სხვა და სხვა მხარეს. „ძეგლის დების“ მე 19 მუხლში სწერია: „თუ რომელიმე ხეობა ანუ თემი ერისთავისა ანუ მმართველის მოწოდებისაგუმად არ გამოვიდა საღაშქროდ, ურჩს წაერთმის უძრავი მამული სახაზინოდ და ამას გარდა ოთველ მეგობურს ჯარიმად გარდახდება თითო ხარი.“ სჩანს, მეფეს სამართლის ამ მუხლით ჭსურვებია ერთხელ და სამუდამოდ აღმოეფხვრა სხვა და სხვა თემობისა ს ხეობების ურჩობა და თვისებობა, რომელიც უმთავრეს მიზეზად შეიქმნა საქართველოს წახდენისა მონგოლთა შემოსევის დროს.

მეფე გიორგის შეუდგენია აგრეთვე სხვა სჯულკანონი მთელის საქართველოსათვის. ამას გვიმტკიცებს IV მუხლი აგრედ წოდებულ „მოსეს სჯულისა“, სადაც ნათქვამია: „დიდის მეფეთ-მეფის გიორგის-მიერ ქმნული ნი სამართალნი, რომლითა სჯიდენ სამნივე სამეფონი ქართლისანი.“ ამასვე ნათელს ჭფენს აღბუღა, რომელიც თავის სამართლის წინასიტყვაობაში ამბობს: ...„აწუვერისა და სათვარისა, ვითა ძველითგან იყო, არცა დიდსა მეფესა (გიორგი ბრწყინვალეს) მოეშალა და ჩვენ გაღანამცა აგრეთვე დავამტკიცეთ.“

გიორგი ბრწყინვალეს ჭქონია ზარათხანა და უჭრეკინებია ვერცხლის ფული. ამ ფულს ვასტანგ მეფე უწოდს „გიორგულს“. თვით აღბუღას დროს (XV საუკ.) ხმარებაში ყოფილა ისევ გიორგის ფულები. ეს აღბუღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბობს: „წარჩინებულისა მეფის გიორგის ყამისა ზედ გავაჩინეთო“.

გიორგიმ ქართლიკოზ ეკთიმეს დახმარებით აგრეთვე აღადგინა ეკეკლესიანი და განაძლიერა ქრისტიანობა. ანტონი ქართლიკოზი მის შესახებ ამბობს: გიორგიმ, ვით დიდის ცისკარმა, გაანათა ჭეეუანაო, ათაზ-ქართველთა სამეფონი შეაერთაო, ტუქსნა მოეულნი, სკჳულნი დასხნა. ემსგავსა დავით აღმაშენებელსა. სკჳა თამარისა ამეორაო.

ასრე, მკვდრეთით აღადგინა გიორგიმ დაშლილი, ხოლო ერთ დროს ძლიერი, სახელმწიფო ქართველთა. აღესრულა ბრწყინვალე მეფე თბილისს 1346 წ. გამეფდა მისი შვილი დავით VII.

რადგან ამ დიდებულ მეფის ისტორიის აღმწერელი სიტყვა-ძვირობს და ოვის მოკლე თხრობას ასრულებს მთქმელი: „დაიწყო მთიებმან აღმოჩვირვებად, ხოლო მე ენა ვერ მიძრავს საკვირველისა და საშინელისა თქმად“,—ამიტომ აქვე ჩავურთავთ ზოგიერთ ცნობას, რომელიც ნათელს ჰფენს როგორც გიორგის მეფობას, ისრე ქრისტიანობის მდგომარეობას მთიულთა შორის ამ დროს.

თავად ლ. ა. მაღალაშვილის სახარების წარწერა გადმოგვცემს: *

---

*) ეს სახარება სქელ ქაღალდზე დაწერილია. ქაღალდი მეტად დაძველებულია. ასოები ბევრგან სრულიად გადალეულ-გადასულა. ფურცლები მრავალგან დახეულია ანუ ამოხეული. ტექსტი დაწერილია ნუსხა ხუცურით, წვრილად. ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველი წარწერა:

ქ: ოდეს: სანატრელმან: მან: პატრიაქმან: ჩუენმან: ექთიმე: მოიხილა: კახეთს: ანწუხისა (?) საეფისკოპოზო: და: მიერითგან: გარდამოვიდა: წახურს: კაკ-ელისენს: და: მოვლო: საყდარნი: კასრი სამებისა: ყუმი ღვთისმშობლისა: ლექართს წმ. მოციქულთ-სწორისა: ნინოჲსი: ზარს წმ. მთავარ-მოწამისა გიორგისი: ვარდიანს წმ. აბოჲსი: განუხს არჩილისი: ქიშ-ნუხს ღუთისმშობლისა: ვარდთაშენს ელიაჲსი: თა...სარანს ყ... წ... მოციქულის პეტრეჲსი: კუალად: საყდარნი: ხუნძთა (?): ნახჩთა: თოშეთისა: ნეკრესისა: ლაგოეთისა: ბელქანისა: მაჭ-ფიფინეთისა: ფერიჯან-მუხახ-მამრეხისა: და: ყოვლისა: ვაკისა: ესე იგი არს: ძველი: მოვაკნისა: და: ელისენისა: ვერხვიანით—ზეგანით: გამო: ვიდრე: ივრის (?) მდინარის: ჩასართავადმდე: ალაზანსა: და: ამან: სანატრელმან (?): ექთიმე: მიბრძანა: ქურმუხისა: მთავარ-ეფისკოპოსსა: და: ყოვლისა: მთეულისა: წინამძღუარსა: კკრილე: დონაურსა: გარდაწერინებად: სახარებისა: და: წარგზავნად: თუითეულისა: თჳს: ეკკლესიისა: მეცა: გარდავაწერინენ: კაკისა: წმ. ბარბარეს: ტაძრისა: მღდელსა: იასე: ქიტიაშვილსა: და: ათორმეტთა: მისთა: მოწაფეთა: და: წარვგზავნენ: საყდართა: მონასტერთა: და: შჳდთა: სასწავლელთა: თავს მდგომთადმი: და: ვუბრძანენ: სწავლებად: სჯული: ჰეშმარიტი: და: ფილასოფოსებაჲ: მამათა: ცხორებაჲ: ქართლისა: ცხორებაჲ: და: ც... ბაჲ (?) ალვანიისაჲ: ესე იგი არს: სავანისაჲ: რომელი: დაწერნა: პეტრე: ლაგაძემან: და: ვინმე: სომეხმან: გა..... იგი (?): და: საკუთრად: დაწერილად:

ოთხ — თავის ბოლოს ჩამოთვლილია რაოდენობა მუხლთა. წარწერები (შუაში, სხვა და სხვა ადგილას) აქვს სამი: ასომთავრული (ორი) და მხედრული. ეს წარწერებიც ფრიად დაზიანებულა, გადალეულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაცხადნა: და: სომეხთაც: ადგლად (?): იწამეს (?) ჩუენ-ლებისამებრ:. ოფალო: იესო: ქრისტე: მეოხ: მექმენ: დღესა: განკითხვისასა: მთავარ-ეფისკოპოსსა: კარილეს:. ამინ: ამინ: ქ^სა: ფლ(?) თუესა: მაისსა: იდ: დასაბამითგანთა: ხშიდ: წელთა (= 1310 წ.).

მეოთხე წარწერა:

ოდეს: ბრწყინვალ ემან: მეფემან: გიორგი: გაიმარჯუა: აგარიანთა: ზედა: განძას (?): და: შირავანს: მას: ყამსა: შინა: ჩუენნი: სამწყსონი: შაქ-ქურმუხისანი: ჩინებულად: იბრძოდეს: ძლევად: მტერთა: და: ამისთჳს: უძლეველმან: გიორგი: გჳწყალობნა: სიჯელ (?) და: დაგვიმტკიცნა: ჩუენ: ქიშელ-ქურმუხელს: ზვარი (?)... ყვ... ლსა... განუხს: მამულნი: ყაბალასა ძუარი: ვარდთა: შენს: სავაჭრონი: და: ვაჭარნი: შუიდნი: და: შირაქისა: საბალახენი: და: ქართველთა: მთასა: ზედა: საბალახენი: და: მტკუარსა: თევზისა: საბაჟენი (?): ახტაშისანი:. ღმერთმან: წარუმართნეს: უძლეველსა (?): მეფესა: გიორგი: მბრწყინვალესა: რომლისა: მეოხებითა: უმეტესად: განძლიერდა: ქრისტეანობაჲ: მთეულთა: შორის: და: კუალად: განმტკიცდა: ერთობაჲ: საქართველოსა: შინა:. ამინ: ამინ: აღიწერა: ესე: ქ^სა: კა: თუესა: მარტსა: ე: (=1333 წ.)

ქ: ოფალო: შეიწყალენ: გიშელ(?) ქურმუხელნი: ზაქარია: პეტრე: იოანე: არჩილ: ლუკა: ევაგრე: შიო: გობრონ(?). გიორგი: იოსებ: ზოსიმე: თადეოზ: მინა: მიქელ, ნიკოლოზ: ტარასი: ბართლომე: თადეოზ: თეოფილე (?): კვრიონ: კვრილე დონაური: ლევან:.

მესამე წარწერა შენახულა მხოლოდ ერთ გვერდზე, დანარჩენი დაკარგულა. რაც შენახულა, იმაში იხსენიებიან წინამორბედი იოანე, მთავარ მოწამე სტეფანე და მოწამე დიმიტრი.

შინაარსი ამ წარწერათა სარწმუნოდ მისაჩნევია შემდეგის საბუთებითაც.

ა. როგორც ზევით აღვნიშნეთ, მონგოლნი პირველ ხანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატივით ეკიდებოდნენ ქრისტიანებს და სდევნიდნენ მაჰმადიანობის მიმდევარ სპარსელებს, ოსმალებს და ეგვიპტელებს. თვით გიორგის ძლიერი ჩოფან-ნოინი მეგობრობდა... „შეიტკბო ჩოფანმან გიორგი ვითარცა შვილი თვისი და მისცა ყოველი საქართველო“. ამიტომაც მონგოლნი ხელს არ შეუშლიდნენ ქრისტიანობის გამავრცელებელ ევთიმე-გიორგის.

ბ. თეიმურაზ ბატონიშვილი სწერს: „ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი პირველ იყვნეს ენითა ქართულითა მომზრახნი და ქრისტიანენი. . ლეკნი იყვნენ ქრისტიანენი და სცვიდენ ენასა ქართულსა ვიდრე თემურ-ლანგამდე (გამოჩნდა 1387 წ.), რომელმანცა დაიპყრნა იგინი, მიაქცივნა მრავლისა ტანჯვითა, ლიქნითა და წყალობითა; დაუდგინნა არაბნი მოლანი და განუწესა მათ, რათა ასწავებდენ ყრმათა მათთა წერილსა არაბულისი ენისასა. მისცა მათ ბრძანება ფიცხნი—არღარა კითხვად და არცაღა სწავლად ქართულისა წიგნისა და რათა არცაღა ენა ქართული იზრახებოდეს მათ შორის. მხოლოდ დაშთა ენა ქართული ლეკთა შორის ანწუხელთა, რომელნიც დღეინდელად დღედმდე ზრახვენ ქართულსა ენასა *... არიან ლეკთა შორის ძველად ნაშენები ეკკლესიანი და მონასტერნი—რომელნიმე სრულიად თლილითა ქვითა ნაშენნი, განა აწ რომელნიმე დარღვეულნი და სხვანი უქმად, რომელნიმე მიზგიდებად (მეჩითებად) მათდა შეცვალებულნი... თუმცა-ღა შემდგომად თემურ-ლანგისა მიიღეს მათ სჯული მოჰმედისა და არღარა უტევებდეს თვის შორის სამღვდელოთა, გარნა მეფემან ალექსანდრე (1414—1442 წ.) განდევნა მუნით მოლანი არაბთანი და კვალად მიაგნა იგინი პირველსავე წესსა“.

---

*) რომ ზაქათალაში ვსწავლობდით (1868—1872 წ.), ჩვენი ანწუხელი ამხანაგების მამები ხშირად ჩამოდიოდნენ მთიდგან შვილების სანახავად და ჩვენს მასწავლებელს ესაუბრებოდნენ მშვენიერის ქართულის ენით. მათი სიტყვით, მოხუცთ კარგად ესმისთ ქართული ენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ. ქართლის-ცხოვრებით, 1292 წელს „ბრწყინვიდა ბა-ტიოსანი პიმენ სალოსი, რომელი გარესჯით წარმოვიდა და დაემკვიდრა ბელაქანს, ქვაბსა რასამე, რომელმან ნათესავი ლეკ-თა წარმართობისაგან მოაქცინა, რომელნი ჰგიან სარწმუნოე-ბასა ზედა ქრისტესა. ამ პიმენთან ბრწყინვიდა დიდიცა იგი მოღვაწე ანტონი ნაოხრებულისძე, მესხი". წარმართობად აქ წოდებულია მაჰმადიანობა, რომელიც მონგოლთ სალეკოში შეიტანეს აჰმად-ყაენის დროს.

დ. ლეკებში ქრისტიანობა ჯნდა გავრცელებულიყო გუ-რამის დროსვე. ერეკლე მეფის-მიერ შედგენილ „ოავად აზ-ნაურთა სიაში" სწერია: „თურქისტანის მხრიდგან მოვიდნენ ავარიელნი ხალხნი, რომელთაცა დაიპყრეს კასპიის ზღვიდგან შავ ზღვამდის და დაეშენნენ მუნ დროსა საქართველოს მეფის გურამისა (575—600 წ.). მეფე ესე მარადის ბრძოდა მათ და ავნებდა. შემდეგ ზავჰყო მათთანა და რომელნიმე დაასახლა მთასა შინა კავკასიისათა და ხუნძისა შინაცა, რომელ აწ იწო-დებიან ავარიელებად. ხოლო უჩინებულესი მათგან მოიყვანა და დაასახლა ქართლსა შინა და იყვნენ თავადობისა ხარისხითა. ქართლის ცხოვრებით: მოვიდა არჩილ (†718 წელს) კახეთად... და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი (აწ კასრი-საყდარ, სა-ინგელოში, მთაზედ სოფ. კაკს), და ხევსა ლაკვასტისასა აღა-შენა ციხე-ქალაქი, და პოვნა წუქეთს მთავარნი ...მაშინ ერის-თობდა თუშთა და ხუნძეთა ზედა და ყოველთა წარმართთა მის მთისათა აბუხვასრო, და არა ინება მისგან წაღებად წუქეთი და აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატის ორთა წყალთა შუა. ხოლო ნუხპატელნი იყვნენ უწინარეს კაცნი წარმართნი. და იძუ-ლებით მონათლნა არჩილ იგინი.

ე. მელქისედეკის გუჯარი (XI საუკუნე): „მცხეთის სვეტი-ცხოველს შევწირე... Ცრეთს მონასტერი დიდითა ძა-ლითა. და Ცრეთსვე კატეხისა ეკკლესია შესავალითა მისითა, და კაკს ვაჭარნი ორნი, და ზიარი სოფელი დიდი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. აწ საჩეჩნოსა, თუშეთ-დიდოსა და საინგილოში ძრიპოვება მრავალი ტაძარ-მონასტერი და აქა-იქ იპოვება ქართული წარწერაც ძველ ძეგლებზე. მაგ. საჩეჩნოში მდ. ასსის ნაპირას არის მონასტერი თხაბაერდი (შეადარე შატბერდი, ალავერდი, შამბერდი) ქართულის წარწერებით. საინგილოს სიძველენი უკვე ცნობილნი გვაქვს. (ივერია 1891 წ. №10 და 13)

ზ. მეფე თეიმურაზ I (გამეფდა 1605 წ.) რუსეთის ელჩებს მოახსენებს, რომ ჩვენნი ქვეშევრდომნი—ოსნი, ქისტნი და და სხვა მთიელნი, რომელთა რიცხვი 80,000 მეკომურსაც სჭარბობს, აქნობამდე ქრისტიანები იყვნენო.

Თ. ჩაჩანთა გადმოცემა გვაუწყებს, რომ ამ ერის უწარჩინებულესი ნაწილი საქართველოდგან გასულა და ქართველთა მოდგმისაა. ამას გარდა ამ ერის ენაზე დღესაც იხმარება ქართული სიტყვები: კირინდე (კვირა), ორშუთ (ორშაბათი), პერესკ (პარასკევი); ღლიღვნი და მათნი მეზობელნი ღვდელს ეძახიან მოძღურ (მოძღუარი); ადიგთა მოდგმის (ჩერქეზნი) გადმოცემით ყაბარდოს თავად-აზნაურნი: ქართულოვები, ანძოროვები, ენდაროვები, ერისთოები, მახაროვები და სვ. ქართველთაგან შთამომავლობენ. იმავე გადმოცემით ჩერქესთა ზედა უფლობდა თამარ დედოფლის მესამე შვილი (ესე იგი შვილისშვილის-შვილი ანუ გიორგი ბრწყინვალე), რომელიც მკვიდრობდა მდინარე ქურჟიფსუზე მდებარე ციხეში. ამათ ენაზე ჯვარს (ჯუარი) ჰქვიან ჯუორი, ღმერთს (ღუთა) ჰთა. ოსურად ჯვარს ჰქვიან ძუარი, ღმერთს ხუცაუ, მარხვას მარხვა. თავასარანის ლეკნი ღმერთს უწოდებენ ღუცარ (და ღუთარ იშვიათად). უჰველია ჰთა, ხუცაუ, ღუცარ იმავე ფესვისაა, რომლიდგანაც წარმოსდგნენ ღუთა (შემოკლებულად ღთის, ხთის), ღუდელი (ხუცესი), ღუთაება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავით VII (1346—1360).

ამ მეფის დროს საქართველო სტაბილურად მშვიდობიანობით და მეუდრეობით. დავითი იყო კაცი მხნე და გამრჯელი. მან აშენა და განაახლა მრავალი ციხე კოშკები ს ეკლესიანი. მას არ უყვარდა ერთ ადგილას ყოფნა. იგი მამობრივის მზრუნველობით უვლიდა და ზეპატრონობდა ამერ-იმერს, მთელს საქართველოს ნაკოფსიით დარუბანდამდე. მის დროს მოკვდა ქათალიკოზი ბასილი, რომლის მოადგილედ გახდა დოროთეოსი. ამავე მეფის ყამს, სახელდობრ 1357 წელს, ორჯერ დაბნელდა მზე—17-სა და 29 ივლისს. დავით მეფის ნებართვით ბაგრატ ერისთავმა, იმერეთის მეფედ ყოფილმა, ცოლად შეირთო ყვარყვარე ათაბაგის ასული. ამ ნებართვით შორს-განუჭვრეტელმა მეფემ გაამლიერა საქართველოს სკიპტრის ორგულნი—თვით ბაგრატ ერისთავი და სამცხის ათაბაგი ყვარყვარე. თვით დავით მეფეს ცოლად ესვა სინდუხტარ *) დედოფალი, რომლისგან დაიბადა საქართველოს ტახტის მემკვიდრე ბაგრატ. გეგუთის სასახლეში ყოფნის დროს ავად გახდა დავითი და გარდაიცვალა. იგი დაფლეს გელათს.

---

*) ამგვარივე სახელებით იწოდებოდნენ: საგდუხტ ანუ სანდუხტ (დედა ვახტანგ გორგასალისა), ბალენდუხტ (იმავე მეფის ცოლი), მირანდუხტ (იმავე მეფის ასული), გვარანდუხტ (ასული მეფე მირისა, ცოლი აფხაზთა მეფის ლეონისა), გურანდუხტ (დედა ბაგრატ III-ისა), გვარანდუხტ (ასული გიორგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაგრატ V, დიდი (1360—1395 წ.).

შემოკრბნენ ქათალიკოს-ეპისკოპოსნი, დიდებულნი და წარჩინებულნი ქუთაისს და აკურთხეს ბაგრატ ბეფედ საქართველოისა.

ბაგრატის გამეფების მეორე წელს დაბნელდა მზე. ამავე წელიწადს განდგნენ სვანნი, გადმოვიდნენ, აიკლეს ქუთაისი და დაწვეს. ბაგრატ მსწრაფულ წავიდა იმერეთს. დაუძახა ლაშქარს, რაჭველნი რაჭის მხრით მიუსია სვანეთს, ხოლო დადიან-გურიელნი და ათხაზ-სომხითარნი ოდიშიდამ, ამათ მიჰყვა თვით მეფეც ლეჩხუმ-მესხეთ-ჯავახ-იმერ-ამერებით. შევიდა სვანეთს, ურჩნი თვისნი მოსწყვიტა, ციხე-სიმაგრეები დაიჭირა და დაამშვიდა ქვეყანა. სვანთა ერისთავი ვარდანიძე პატიმარ-ჰყო, მოიყვანა და მისცა გურიას საერისთოდ, ხოლო სვანთა ერისთავად დასვა გელოვანი.

თურქთ მიესმათ-რა, რომ მეფე შუაკულ მთებში ლაშქრობსო, განიზრახეს საქართველოს აკლება. იგინი შემოვიდნენ და აოხრეს სამცხე. ამის მტნობელი მეფე ფერსათის მთით „გადმოფრინდა“, არეზის ნაპირებზე დაეწია მტერს, ეკვეთა ფიცხელად, შემუსრა მათი ძალა, მოსწყვიტა მრავალი. მტირედნიღა გადარჩნენ და გაიქცნენ.

I-ისა), გურანდუხტ (დავით აღმაშენებელის ცოლი). ყველა ამ რთულად შემდგარ სახელებში „დუხტ“ და „დუხტარ“ სპარსულად ნიშნავს ასულს. სპარსული დუხტარ უდრის ნემეცურს ტოხტერ (ასული).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტუკითა და ალაფვით მეფე მოვიდა სამცხეს (1361 წ.) ამხანად ათაბაგი ყვარყვარე გარდაცვლილიყო. მის მაგიერ მეფემ დასვა მისივე შვილი ბექა, მანდატურთუხუცესი. ამის შემდეგ მეფე დაბრუნდა თბილისს. აქ მალე გაჩნდა „მოამსვრელი ყამი (ჭირი), იქმნა სრვა და სიკვდილი ძლიერი და მოისპნენ სულნი ურიცხვნი და მოკვდა ბაგრატის ცოლი ელენე დედოფალი“. (1366 წ.) ამ უბედურებას ზედ მოჰყვა მზის დაბნელება (1372 წ.). ამავე წელიწადს გარდაიცვალა ბაგრატ ერისთავი, იმერეთის მეფედ ყოფილი, და მის მაგიერ მეფემ დანიშნა შვილი მისი ალექსანდრე.

შემდეგ ამისა 14 წლის განმავლობაში საქართველო სტაბებოდა მშვიდობიანობით. რანი, მოკავნი და დვინი საქართველოს ამლევდნენ სარგს. თვით მეფემ ცოლად შეირთო ტრაპეზუნტის იმპერატორის მანუელ III-ის ასული ანნა.

ასრე რომ წარემართა საქართველოს სვე-ბედი, ამ დროს შუაგულ აზიაში გამძლავრდა ახალი მტერი კაცობრიობისა. ეს იყო თემურ-ლენგი, შვილი მონგოლთ მთავრის თარაგაისა. თემურ-ლენგმა დაიპყრა ყოველი თურქეთი, ინდოეთი და სპარსეთი. მოესმა-რა მეფეს ამ კაცის ამბავი, იწყო მაგრება ციხე-ქალაქთა და სიმაგრეთა, გაამრავლა და დარაზმა ლაშქარი.

დაიჭირა-რა სპარსეთი, თემურ-ლენგი ახლა ჩვენსკენ წამოვიდა. შემოვიდა სომხითს, მოსრა, მოსწყვიტა, შემუსრა სიმაგრენი და აიკლო ქვეყანა. აქედგან წავიდა და აიღო კარი (ყარსი) და იქ დადგა საზამთროდ. რადგან ზათარი იყო ფრიად სასტიკი და თემურს ჯარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭეკანდა მრავალი, ამიტომ ბაგრატ მეფემ «ვერღარ ბევრ-
რა გარე საზღვართა ბრძოლა». დაიწყო ქვეყნის გამაგ-
რება და შემოკრება ლაშქრისა, რათა გაზაფხულს კვე-
რეკანი ბასუხი გასცეს მტერს.

ამ ოთვაში იყო მეფე, რომ მას ულალატა ბექა
ათაბაგმა. ამან „ურწმუნო მეფე თვისი“ ლ მიეიდა წინა-
შე თემურისა. მტერს მეტად გაუხარდა. ბექას მიანიჭა
დიდი წყალობა, გამოისტუმრა უკანვე და მესხთ უბრ-
ძანა მეფეს აღარ დამორჩილებოდნენ. მეფე დიდად შეწუხ-
და. შვილი თვისი გიორგი ათრიანა ქუთაისს, იქაც განდ-
გომილობა არ მოხდესო. თვითონ კი გაამაგრა თბილი-
სი და დიდძალ ჯარით შიგ ჩადგა.

გაზაფხულს თემურ-ლენგმა გამოილაშქრა, გზა-და-
გზა ქვეყნის მუსრვა-ოხრებით გამოიარა და მოადგა
თბილისს. მეფე მიუხტა მას და უმრავლესნი დაუხოცა.
თემური შეშინდა, მაგრამ ადგილიდან არ დაიზარა. ასრე-
თი ოთვა გაგრძელდა ეძვს თვეს. დღე-ოთველ მტერთა
შორის იმართებოდა მიხტომ-მოხტომა. ქართველნი მუ-
დამ იმარჯვებდნენ. ბოლოს თემურმა იხმარა შემდეგი
ხერხი. გააკეთებინა მრავალი ჩელტები (ლასტები) რკინი-
ისა, ეს ჩელტები ლაშქარს წინ-წამოუმძღვარა და ასრე
მოვიდა ქალაქამდის. ქართველთა ჯარმა, რომელიც მი-
უხტა მტერს, ვერ გასტეხა ჩელტებით შემოზღუდული
ლაშქარი თემურისა, და ქალაქში შთაიკეტა. ამ დროს
ერისთავი იმერთა ალექსანდრე განიკლტო. თემურმა
აიღო თბილისი და დაატუვეკა მეფე ბაგრატ დედოფლი-
თურთ. ქალაქი აიკლო სრულიად და აქ იშოვა უთვა-
ლავი სიმდიდრე. აქედგან თვისი რაზმები შეუსია ქართლს.

ერთი ამ რაზმთაგანი მიუსტა ქვათა-ხეკის მონასტერს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ აიღო. ეს ალექსანდრე მალე მოკვდა და გამეფდა მისი ძმა გიორგი (1389 წელს). მოღალატეთ დატუვებული მეფის ბაგრატისძე გიორგი ეხვეწებოდა: ნუ ღუპავთ ქვეყანას, ნუ განდგებით, მტერი ძლიერია და მძვინვარე. შეუერთებელნი დაგმარცხდებით და მოგისვრებითო. მაგრამ მას არ უსმინეს, მარტო მეგრელებმა არ მოინდომეს განდგომა. გიორგი მეფე იმერთა განრისხდა მეგრელებზე, მიუსტა მათ ოდიშს. მეგრელთ მოიშველიეს ათხაზნი, დაამარცხეს გიორგი მეფე და მოჰკლეს. დადიანმა მიიწვია ბაგრატისძე გიორგი იმერთს. იმერეთი დაემორჩილა გიორგის.

საქართველოს განხეთქილების ამბავი ესმოდა ტუვე ბაგრატს და დიდად იტანჯებოდა და სწუხდა. საქართველოს სიყვარულით აღტეინებულმა მეფემ ბოლოს მიჰმართა განსაცდელით აღსავსე ღონეს. თავს-იდვა სჯულის შეცვლა ლ გამაჰმადიანდა. თემურს უქო სიკეთე მისის სჯულისა. თემურმაც განიხარა, დიდად დაჯილდოვა და სანდო კაცად მიიჩნია. ამის შემდეგ მეფემ მოახსენა თემურს: ვსცან შენი სჯულის სიკეთე. აწ მნებავს, მომცე შენნი სპანი, რათა წარვიდე და გავამაჰმადიანო ყველა ქართველნი. თემურს უმეტესად გაუხარდა. მადლობა უთხრა მეფეს, მიუძღვნა დიდ-დიდნი ნიჭნი, მოსცა დედოფალი და ტუვენი ქართველნი და 12,000 თვისი მეომარი და გამოისტუმრა. მდინარე არეზს რომ მოაწიეს, მეფემ თავის შვილს გიორგის შემოუთვალა: „მომყავს სპანი თემურისანი და ტუვენი ყოველნი საქართველოსანი. აწვე შეკრიბენ სპანი და მზიერ-გვექმენო, რათა მოვსწყვიდოთ ესენი ყოველნი“. გიორგიმ თვიცხლავ შემოიკრიბა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპანი, გადმოვიდა იმერეთიდამ, მოვიდა და დადგა ბერ-დუჯის კიდეზედ ზირისპირ ხუნანისა. მასთან იყო აგრეთვე ათაბაგი იოანე (ბექასძე), რომელსაც გიორგიმ არ განუცხადა განზრახული საქმე. ბაგრატი რომ მოვიდა ბერდუჯის კიდეზედ და დაიბანაკა, გიორგი თავს დაესხა და ყათლაკი უყო მონგოლებს. მათგან „ვერ განერა მეტეკიცა ერთი“. გაბარებულნი მამა-შვილნი მიუხტნენ თბილისს, თათარნი გასწყვიტეს და აიღეს ქალაქი (1393 წ.).

მიესმა-რა ეს ამბავი ლანგ-თემურს, ისე ძლიერად შესწუხდა, თითქო მისთვის წაერთოთ მთელი მისი სახელმწიფო: «იშთვებოდა სულითა და განიხერხებოდა შურითა და იმძლავრებოდა ბოროტთა გულის სიტყვათაგან». დაიზამთრა იქვე, ხოლო გაზაფხულს წამოიყვანა ლაშქარი „უმრავლესი ზღვისა ქვიშისა“ და მოვიდა „ძალითა საშინელებითა: ზარის საკიდელითა, საყვირითა, დაბდაბითა ცემითა ლ ბუკთა ტკრციალითა“. მტერმა მოაწია ბარდავს (განჯას), მტკვარზე ხიდი გასდო და ჯარი გადმოსხა საქართველოს მხარეს. თემურს მოერთვნენ შაჰ-შირვანელნი.

ბაგრატ მეფემ და მისმა შვილმა გიორგიმ მოიწვიეს თვისი ლაშქარი. თუმცა მტრის ლაშქარი იყო დიდი და ქართველებზე «უმრავლეს უმეტეს ასითა ათასითა ზემოით“, მაგრამ მაინც ბაგრატ-გიორგი არ შეშინდნენ. იგინი მიენდვნენ თვის მამაც მეომრებს და, გამარჯვების მოიმედენი, მიეგებენ მტერს და ეკვეთნენ ფიცხელად, „ვითარცა ლომი ეკვეთების ჯოგთა კანჯართასა, და ვითარცა მგელი ფარათა თხათასა,“ იქმნა ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასტიკი, ძლიერი. ქართველთ მისდრიკეს იგინი და შეანარცხეს ურთიერთარს. ვითარცა შავარდენი გაანქრევს ჭილუკვავთა გუნდს, ეგრედ განაბნიეს ბანაკნი თემურისანი. ქართველ ასალ-მოასაკე მეომარნი იბრძოდნენ თავგამეტებით, უშიშრად „დამკვეთებელნი ისართანი, მფეთებელნი რხმალთანი და მხეთქებელნი ოროლთანი“. ქართველ ჭაბუკთა სიქველე, მკვირცხლ მორბედობა, უშრომელობანი და სიმაგრენი მკლავთანი „კმა-საყოფელ იყო თვით ძველთა გოლიათთა და გმირთა“. მაგრამ, მიუხედავად ამ გვარ სიგმირისა, მტრის უამრავი სიმრავლე ქართველებმა ვერ შემუსრეს, ბირიქით უმეტესად გაამწარ-გაგულისეს. ლანგთემურმა გაქცევას თავდადება და სიკვდილი ამჯობინა. იმრო მახვილი, ხმითა დიდითა უყივლა ლაშქარსა თვისსა და გამწარებულად შემოუტია ქართველებს ყოვლის ძლიერებით. ისევ შენიეთდა ომი. გაისმა ჭექა-გრგვინვა, კაფა და ყლეტა. მოსწყდა მრავალი ქართველი, ხოლო ხუთი იმდენი მტრისაგანი. ქართველთა მეომრები ცხენებითურთ მთლად შეიღებნენ მტრის სისხლით. ბრძოლა გაგრძელდა დიდხანს. ბირველი შებრძოლების აქეთ ქართველნი მუშაკობაში იყვნენ და ერთ წუთსაც არ დაესვენათ, იგინი დაშვრნენ და ამასთან „დაელეწნეს აბჯარნი საომარენი“. გასჭირდა საქმე. ბოლოს... ქართველთ ბირი იბრუნეს და მთა სიმაგრეებს მიჭმართეს. მტერი გამოეკიდა. საქართველოს ერი წინათვე დასიზნულ იყო ზოგი იმერეთს, ზოგი კავკასიონის ღელე-ყურეში და სხ. ლანგთემურს ქვეყანა დახვდა უკაცური. მოსრა და გაანადგურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკლესია-შენობანი, დასწვა, გადაბუგა ქვეყანა და ისევ ყარაბაღს დაბრუნდა.

მტრის დაბრუნების შემდეგ ბაგრატი ისევ ქვეყნის შენებას შეუდგა. დახიზნული ჯ დამალული ხალხი სამალავებიდამ გამოიყვანა ჯ მათსავე დედულ-მამულზე დაასახლა. ჯ მოკვდა. მალე მისი საყვარელი სამშობლო ისევ მოჯობინდა, მოღონიერდა და გამთელდა. ბაგრატმა ცხადად დაუმტკიცა მთელს სოფლიოს, თუ რა ძალა აქვს იმ ერს, რომელსაც წინამძღვრობს ჭეშმარიტი სარდალი და რჩეული კაცი. ლანგ თემური ყველგან და ყველასაგან მიჩნეულია უძლეველ მტარვალად კაცობრიობისა. მიუხედავად ამისა, ბაგრატის სარდლობით, ქართველებმა კინალამ სრულად არ შემუსრეს მისი ქედ-მაღლობა. მემატიანეს სიტყვით, ბაგრატი იყო მხნე, ახოვანი, ტანით ძლიერი, შვენიერ-ჭაღარა, უცთური მოისარი, სამხედროთა სრული, მშვიდი, მოწყალე, შემმარეთებელი ძლიერი. ამგვარ სარდლისა და მეფის წინამძღოლობით ქართველთა ჯაბუკნი გმირებად შეიქმნენო და მათი გოლიათური ბრძოლა თემურ ლენგთან და შესხმა-ქება თვით „სპარსთა წიგნთა შინა წერილ არს-ო“. რა სწერია სპარსთა წიგნში, ეს ჯერ გამოცხადებული არ არის, ხოლო არაბთა ისტორიკოსი შიხაბედდინა ელკალკაშენდი-კი (†1418 წელს) ასრე ამკობს ქართველებსა და მათ მეფეს:

განაგრძობსცა ალლაჰმან ბრწყინვალება მათის უდიდებულესობისა, ხელმწიფისა: სახელოვანისა, დიდებულისა, მხნეთა-მხნისა, გულოვანისა, უძლიერესისა, დაუცადებლად მებრძოლისა, ლომებრივისა, ტახტთა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკიპტრათა მპყრობელისა, თვისის სარწმუნოების ძალ-ქნისა, თვისთა ქვეშევრდომთა მართლიად გამსჯელისა, ლაზთა მეფეთა შორის უღმატებულესისა, ქართველთა სულთნისა, ზღვათა და ნავთ-საყუდელთა სამეფოთა საუნჯისა, გმირთა აღთქმულ ადგილის მცველ-მფარველისა, თვისთა წინაპართაგან ტახტთა და გვირგვინთა მემკვიდრეობით მოსაყდრესანისა, რუმისა (საბერძნეთი) და ერანის ქვეყანათა მოსაგრისა, იოანთა შთამომავლისა, ასურელ მეფეთა მოკავშირისა, ტახტთა და გვირგვინთა მპყრობელთ შორის აღმატებით რჩეულისა, ქრისტიანეთა განმადიდებელისა, იესოს სარწმუნოების ტერფისა, ქრისტიანეთა გმირთა შორის კეთილეულისა, თვისის გამჭრიახობით უწმინდეს სახლის (იერუსალიმის) აღმამღლებისა, ნათელ-ღებულთა კვარცხლ-ბეკისა, რომთა პაპის შემწისა, მაჰმადიანთა მეგობრისა, უახლოვეს მეუკისთა შორის უმშვენიერესისა, მეფეთა და სულთანთა უერთგულეს მეგობრისა; განაგრძენინ აღლაჰმან სიცოცხლე მისის დიდებულებისა ბატონისა: ქებულისა, სულგრძელისა, სახელოვანისა, ახოვანისა, უშიშარისა, უსაღმოესისა, სულიერისა, მესიანთა ერის დიდებისა, მეჯვარეოსნე ტომ-მოდგმის საუნჯისა, საქრისტიანო სჯულის სიამაყისა,—მეფისა ათაბაგთა, ქართველთა და ჯურჯანთა, მეგობრისა მეფეთა და სულთანთა.

გიორგი VII (1395—1407).

ახლად გამეფებულ გიორგის თემურმა გამოუგზავნა დესპანი და შემოუთვალა: „მე დაგიბყარ აღმოსავლეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მეფენი მისნი და ვარ მეფეცა შენ ზედა. ესე ჯვ-
ვედ და მორჩილ მექმენ. მოგანიჭებ ნიჭსა დიდსა და ქვე-
ყანასაცა შენსა უკნოდ. უკეთუ ურ-ჭყო, მოგსრნა ულ-
ველნი მკვიდრნი ქვეყანისა შენისანი და ტყვე-ვყო შენი-
თურთ“.

გიორგიმ მიუგო: თუმცა სარ მეფე, გარნა წარმა-
ვალი—დღეს მყოფი და ხვალე არღარა—და მე ვარ
მკვიდრი. ამისთვის ბატიებს-გცემ, მოგცემ სარკესა, რათა
დაიცვა ქვეყანა მშვიდობით; და მე არ მოვიდე წინაშე
შენსა, გნებავს,—ესე არს, უკეთუ არა,—ჭყავ რაჯ ძალ-
გიძს და გნებავს.

თემური განრისხდა და მოვიდა შუა ქართლს. გიორ-
გი ეკვეთა მას ძლიერად. მის ჯარში იყვნენ ოსნი და
კავკასნი. თემურის ლაშქარი შეძრწუნდა და გაქცევა
დაიწყო. თემურმა უყივლა თავისთან მყოფ გუნდს
„აჭა დღე სიკვდილისა ჩემისა“ და, ვითარცა გრი-
გალი, დაესხა დამაშვრალ ქართველებს. უკვე ბინდი იყო
და ქართველებმა სიმაგრეებს მიაშურეს. თემურმა, ვისაც
მოასწრო, გაულიტა, უკუიქცა, ობილისი აიღო, მას
მცველად დაუყენა ხვარასნელი და თვითონ მუსრანში
დაბანაკდა. აქ გამოეცხადნენ მას ზოგიერთნი ქართველ-
ნი და სხვათა შორის ჯანდიერი წარჩინებული. თემუ-
რი შეეცადა გიორგის დაჭერას, მაგრამ ვერ შესძლო.
აიყარა და ყარაბაღს წავიდა. აქედგან კვალად წარმოგ-
ზავნა სპასელი თვისი ამირჯან დიდის ლაშქრით და უბრ-
ძანა აეოხრებინა ქართლი და როგორმე შეეპყრო მეფე.
ამავე დროს განდგა კოსტანტინე ბაგრატისძე (იმერთა
მეფედ ყოფილისა), დაიპყრო იმერეთი და გამეფდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურის სპასპეტმა ააოხრა ქვეყანა და დაბრუნდა. გიორგიმ მოიწვია ოსნი, კავკასიანნი და ძურძუკნი, მიუსტა ციხე ალიკანს, შემუსრა იგი, გაანთავისუფლა თემურისგან დაპატიმრებული სულთანი თირკალათისა, მოსწყვიტა გარემოს მოსასლე მაჭმადიანნი და დიდძალის ალაფით დაბრუნდა. ამის შემდეგ გიორგიმ მოინდომა ზავყოფა და შერიგება თემურთან. დესპანის პირით შეუთვალა: იკმარე ამდენი სისხლის ღვრა. სარკეს მოგცემ და დამესენიო. მან უპასუხა: „უკეთუ მოხვიდე ჩემდა, პატივითა და ნიჭითა მიგითვალო ჯ დავიცვა ქვეყანა შენი უვნოდ“. იგი დიდად მრისხანებდა ალიკანის ციხის ალებისათვის ჯ ამბობდა: „მცთუნებს გიორგი მეფე მოსვლად წინაშე ჩემსა“. მეფის პასუხს ალარ დაუცადა, წამოვიდა, შეკიდა სამცხეში, მოაოხრა ქვეყანა, შემუსრა ციხე-ეკკლესიანი, დაბრუნდა და დადგა მანგლისს. აქედგან ლაშქარი შემოუსია ქართლს და მოაოხრებინა. შემდეგ თვითონაც მოვიდა და შეესია მთიულეთს და ააოხრა არაგვის ხეობა. მთიულთა და გიორგის მეომრებმა იგი უკუ-აქციეს. თემურმა თავის ოთხ შვილს გააყოლა ჯარი ალიკან ციხის ასაღებად. ციხე შემუსრეს, ციხის-მცველნი ქართველნი დაატუვეეს და მანგლისს მდგომარე თემურს მოართვეს. გიორგიმ კვალად სცადა ზავ-ყოფა თემურთან. ამან ერთი ნაწილი თვისის ლაშქრისა წარგზავნა ბაღდადის დასაპყრობად და მეორეთი გაიარა ალინჯა და დადგა გელაქუნს. მეფემ თავის ძმის კოსტანტინეს ხელით მიართო მას დიდი ძღვენი და ითხოვა შენდობა და აღუთქვა მორჩილობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემურს გაუსარდა, დიდი სიხუჭრებით დაეკიდა ტანტინე, უკანვე გამოგზავნა და მეფეს შემოუთვალა: „იყავ მშვიდობით და ნურღარას ავნებ მაჭმადიანთა“. თვითონ თემური აიყარა, წავიდა ბარდავს და იქიდგან მთას შეუსია ლაშქარი. ამათ განვლეს დარუბანდი, ლეკეთი და მივიდნენ ოსეთს. შემუსრეს, ტუვე-ჭუვეს და ძლევა-მოსილნი დაბრუნდნენ. წლის თავზე თემური ისევ მანგლისს მოვიდა. აქ მიერთვნენ მას ათაბაგი იოანე, იესე მთავარი და სომხითარ-ქართველნი. მანგლისში თემურმა დასწვა სამალავში დაგრძალული ბარათიანთ წიგნები. მერე წავიდა და დაიბურა ქურთისტანი. საქართველოს გასამაჭმადიანებლად წარმოგზავნა შიხ-ბარამ შარვან-შა, რომელსაც აგრეთვე დაავალა შეეტყო დებულება საქართველოს გლეხთა და შემოსავალი მეფისა. გიორგიმ ისევ ძღვენი გაუგზავნა და მშვიდობა ითხოვა. თემურმა ძღვენი არ მიიღო და სთქვა: „შეიკრებს მოსავალთა და მიენდობა სიმაგრეთაო“. მეფეს შემოუთვალა: გამაჭმადიანდი და განგათავისუფლებო. თუ ამას არ იზამ, სრულიად მოვსტვლეპავ შენ ქვეყანასო. შემოთვლილის მომტანს თვითონაც უკან მოჭყვა.

მეფემ ბრძანება გასცა დაემკოთ ყანები, შემოეკრიბათ ნაშრომი და ხალხი დაეხიზნათ. თემური შემოვიდა ქართლს და ბირთვისის ციხეს შემოერტყა. აქ გამაგრებულ იყვნენ ზოგიერთნი აზნაურნი ცოლ-შვილით. ციხე აიღეს და გასწყვიტეს შიგ მყოფნი. შემდეგ აიყარა და წავიდა მცირე-აზიას. მას შეება ხონთქარი ბაიაზედ, რომელიც დამარცხდა. აქედგან თემური წავიდა სამარყანდს და მოკვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეფემ შემოიკრიბა ლაშქარი და ბრძოლა დაუწყო ციხეებში მყოფ თათრთ. ამ დროს მოკვდეს იმერეთის მეფე კოსტანტინე. გიორგი გადავიდა იმერეთს და დაიპყრო ეს ქვეყანა. დაემორჩილნენ მეფეს დადიანი მამია, გურიელი, შარვაშიძე და სვანნი, და მოსცეს მეფეს მცირე წლოვანი ძმისწული კოსტანტინესი. იმერეთიდამ მეფე შეეიდა სამცხეს, განაგო საქმენი სამცხისა და კლარჯეთისა, და უბრძანა ხალხს აეშენებინათ გაოხრებულნი ციხე-ქალაქნი ს ეკეკლესიანი. დაბრუნდა-რა მეფე ქართლს, იწყო ციხე-ქალაქების პყრობა თათრთაგან, რომელნიც ამ დროს, თემურის გარდაცვალების გამო, ერთმანერთს ებრძოდნენ. გიორგიმ მალე შემუსრა თათრთა ნაშთნი და საქართველო გაანთავისუფლა მათ მძლავრობისაგან და გადარეკა იგინი არეზის იქით. შერცხვენილნი თათრნი შეიყარნენ ერთად და დიდის ძალით წამოვიდნენ საქართველოზე. გიორგი შეებრძოლა მათ და მოსრა იგინი. ამ ბრძოლაში მოკლულ იქმნა თვით გიორგიც. მისი გვამი დაფლეს მცხეთას.

ამ კაბით ალსავსე მეფობას კაგრად ასურათებს ლარგვისის მონასტრის პარაკლიტონის წარწერა: მეფობასა შინა გიორგი ბაგრატის ძისასა, ოდეს იგი დიდთა ომთაგან გამარჯვებული ალინჯით მოვიდეს ქორონიკონსა ეფპ (1400 წ.) მაისს ზ, მოვიდა თემურ-ბეგ სულტანი სამარეანელი... ს სიმარავლისა მათისა არა იყო რიცხვი. და მოკლეს ყოველი ქვეყანა, და წარტყვენეს, ს დააქცივნეს საყდარნი, მონასტერნი, ს ალიხვნეს ყოველნი ციხენი, და ტყვე-ჰყვეს და მოაოხრეს ყოველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა დასავლეთამდის,—მას ყამსა შინა დამიცვა ღმერთ-მან ხელთაგან მათთა და შემდგომ მცირედისა ყამისა დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან, და ვსტირობდი თავსა ჩემსა მე გრიგოლ შინდაძე ავგარობის შვილი. დაწვი-საგან მოხრებული ალვაშენე ხუთი სახლი... ალვაშენე კარის-ბჭე და დავსტე ხელითა ჩემითა, დავგიდე კანდელი ვერცხლისაჲ ჲ ორი საცეცხლური, შესამოსელი ჲ სიწმინ-დისა სამსახური ლარისა. შიგნით ეკკლესია მოვსტე ჲ შე-ვამკე... დავსხენ წიგნნი: ბარავლიტონი, სამოციქულოჲ, გულანი, ავგარობი. ჲ ავაგე მარანი ჲ ჩავდგი ოცი ჭური, ავაგე ზედა სამყოფი სახლი, ბედელი, საწოლი, დეიოვანი, სამრეკლო და ბოსელი, და დავბურე ოთველი სიბითა.

კოსტანტინე I (1407—1414)

კოსტანტინე გიორგი VII-ს ძმა იყო, კაცი გამ-ბედავი და მხნე. ძმის სიკვდილის შემდეგ იგი შეუდგა გაოხრებულ ციხე-მონასტრების შენებას. მანვე შემოიგ-რიბა დიდძალი ლაშქარი და მუსრვა დაუწყო მაჰმადიანთ. მალე მტრები სრულიად განდევნა საქართველოდგან. შერცხ-ვენილი მაჰმადიანები მივიდნენ ანატოლიის ბეგლარ-ბეგ-თან და აუწერეს თვისი გაჭირება ქართველთაგან. ბეგ-ლარ-ბეგმა ოთველივე ეს აცნობა სულთან მუსას. ეს მუ-სა იყო ძის ძე სახელოვანის ხონთქრის ბაიაზითისა. ამ დროს მუსას ებრძა ანდრიანე, ფილიპეშოლი, თესალო-ნიკე და ოთველი ალმოსავლეთი. მუსა ხონთქარმა იმა-ვე ბეგლარ-ბეგს უბრძანა შემოეყვანა საქართველოში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერი ლაშქარი და დაიმორჩილეს იგი. მეფე კონ-
სტანტინემ ფიცხლად შეკრიბა თვისი ლაშქარი, სწრაფად
წავიდა, გაიარა კლარჯეთი და სამხრეთველოს დასავლეთ
მიჯნაზე თავს დაესხა მტერს. შეიქმნა საშინელი ბრძო-
ლა. თურქნი უკვე იძლეოდნენ. გახარებული მეფე შეიჭ-
რა მტერთა ლაშქრის შუაგულს და იწყო კაფვა ოს-
მალთა. ამ დროს იგი მოჰკლეს. ქართველები შეშინდნენ
და გამოიქცნენ. მტრები გამოეკიდნენ და შემოვიდნენ
კლარჯეთს. ხალხი დასიზნულ იყო მაგარ ციხე-კოშკებ-
ში. ამ ციხე-სიმაგრეებისა შეეშინდათ მტრებს და უკან-
ვე დაბრუნდნენ. კონსტანტინეს გვამი ქართველებმა მოი-
ტანეს და დაფლეს ვარძიას.

ალექსანდრე I (1414—1442)

ალექსანდრე იყო კონსტანტინეს ძმის გიორგი მე-
ფის შვილი. პირველსავე ხანს მის გამეფებისას მძლავ-
რი მამია დადიანი მიუსტა შარვაშიძეს, რათა დაიმორ-
ჩილოს იგი. შარვაშიძეც შემოებრძოლა, დაამარცხა, გასწე-
ვიტა მრავალი მეგრელი და მოჰკლა თვით მამია დადია-
ნიც. ალექსანდრე წავიდა იმერეთს და იქიდგან ოდიშს.
ლიპარიტ, ძე მამიასი, მიეგება მეფეს და შენდობა ით-
ხოვა. მეფემაც შეუნდო, დადიანობა მისცა და გაემართა
ათხაზეთისკენ. შარვაშიძე მოეგება და ერთგულობა გა-
მოუცხადა. მეფემ გაარიგა იქაური საქმე, დაამშვიდა ქვე-
ყანა და ქუთაისს დაბრუნდა. იმერ-ამერთა დიდებულებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ქართველოზ-ეპისკოპოზებმა აკურთხეს იგი მეფედ. ამ კურთხევას ათაბაგი არ დაესწრო. იმერეთის მეფედ უოფილის ალექსანდრესძე დიმიტრი დაადგინა ერისთავად იმერეთისა და მერმე შემოიკრიბა ლაშქარი და შეიყვანა სამცხეს და დადგა კოხტის თავს, სადა იყო ძლიერი ციხე. აქედგან შეუთვალა ათაბაგს ნუ იზამ განდგომილობასაო. ათაბაგმა ორი გამოუცხადა მეფეს. შეკრიბა ჯარი და მიუხტა კოხტის თავს მდგომ მეფეს. ფიცხელად შეიბნენ ქართველნი. დაიღვარა ძმათა სისხლი. ათაბაგი დამარცხდა. მისი ჯარი ამოსწყვიტეს. თვითონაც დაატყვევეს. მეფემ დაიმორჩილა სამცხე, აიღო იქაური ციხესიმაგრენი და თავისი კაცები შიგ ჩააყენა. ათაბაგის ხელისუფალნი ზოგნი განდევნა სამშობლოდგან, ზოგნი უმკვიდრო-ყო. ტყვე-ათაბაგი შეეგედრა მეფეს საუკუნოდ შენ მორჩილებაში ვიქნები ოღონდ ისევე ათაბაგობა მიბოძეო. ალექსანდრემ მისცა.

თბილისში რომ დაბრუნდა მეფე, შეკრიბა ქართველოს-ეპისკოპოსნი და დიდებულნი, რათა ალმოაჩინონ სასსარი დანგრეულ ციხე-ტაძრების აშენებისათვის. ბევრი თათბირის შემდეგ გადასწყვიტეს: გლეხთა ოთველ მეკომურს, სახელმწიფო გადასახადს გარდა, ოთველ წლივ გამოერთოს სამ-სამი კირმანეული (ექვსი შაური). ამ ფულით ისევ განაახლეს თემურ ლენგისაგან დაქცეული მცხეთის სვეტი ცხოველი, რუისის ტაძარი და სხ.

სვეტი ცხოველის აშენება იწყო თვით ალექსანდრეს ალმზრდელმა, ბებია მისმა ქუტნა ამირეჯიბის მეუღლემ. მაგრამ ბებიამ ვერ დაამთავრა დიდებული საუდრის აგება და მოკაზმვა, და გარდაიცვალა. ამის შემდეგ თვით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფემ განაგრძო თვისი ბებიის დაწყებული საქმე და 24 წლის განმავლობაში დაასრულა.

ქვეყნის შენებაში რომ იყო ალექსანდე, ამ დროს სპარსეთი დაიბურა შარუხმა. იგი დიდის ლაშქრით შემოვიდა ადირბეჟანს და სომხითს. მეფემ შეკრიბა დიდებულნი და ეკითხა: რა ვქნათ, ბრძოლა თუ ზავი. დაადგინეს: ზავ-ყოფას შევეცადნეთ ჯერ, თუ არ ინება შარუხმა, ვებრძოლოთ. დიდი ძღვენი მიართვა შარუხს მეფის ძე დიმიტრიმ. შარუხმა შეიწყნარა თხოვნა და უკუიქცა. დიმიტრი კი დიდის სახუჭრებით სამშობლოში დაბრუნდა.

გაძლიერებულ სპარსეთის იმედით განჯა-შირვანელთ მეფეს ალარ მოსცეს ხარკი. ალექსანდრემ იგინი დაიმორჩილა და ისევ დახარკა.

ამ ალექსანდრეს დროს ფლორენციაში მოხდა კრება სასულიერო და საერო პირთა რომის ეკკლესიის საბერძნეთის ეკკლესიასთან შესარიგებლად. ამ კრებაზე დასასწრებლად ალექსანდრემ გაგზავნა მიტროპოლიტი გრიგოლ (სოფრონ) და ერთი თავადი (1438 წელს). გორაცი ჯუსტინიანი ამბობს, რომ ქართველ თავადის კოსტას ჩაცმულობა ჯერ მისი მჯეკრ-მეტუველება კრებაზე დამსწრეთ აკვირვებდაო.

ალექსანდრე კეთილი მწყემსი იყო ქვეყნისა, რომელსაც ხშირად მოიკლიდა ხოლმე და ათვალიერებდა. ამისთვის იგი მიდიოდა: ზამთრობით იმერეთს, ზაფხულს სამცხე-ჯავახეთ-თრიალეთს, შემოდგომა-გაზაფხულს ქართლს, სომხითს და კახეთს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლოს იგი ბერად შედგა, იწოდა ათანასედ და სამეფო კი სამად გაჰყო: თვის უფროსს შვილს ვახტანგს მისცა ქართლი, შუათანას დიმიტრის იმერეთი და უმცროსს გიორგის კახეთი. ასრე თავხედურად დასრულა ამ კაცმა თვისი სიცოცხლე ჯ დათრგუნა ღვაწლი გიორგი ბრწყინვალისა, ბაგრატ დიდისა და სს., რომელნიც იბრძოდნენ საქართველოს გაერთიანებისა და გაძლიერებისათვის. თვით ბარათაანთ გუჯარიც მოწმობს, რომ ამ ალექსანდრე მეფეს რაღაც გაურა-გაუოფის ყინი სჭირებია. ხსენებულ გუჯარში სწერია: გიორგი მეფის შვილ ალექსანდრემ ბარათაანნი—ძმანი აბაში, გუგუნა და დავით—გაჰყარა ჯ გაუყო მათ მათი დედულმამული და გლეხ-აზნაურნი 9,000 კომლიო. სამთა ძმათა გაუნაწილა საბარათიანო, ხოლო სამთა ძმათ (თავის შვილებს) საქართველო!

ვახტანგ IV (1442—1445)

ვახტანგის დროს საქართველოს შემოესია ჯაანშაჰ, ხელმწიფე სპარსეთისა. იგი იყო მოადგილე შასუხისა. ამ დროს მეფე ვახტანგი თავის ქორწილის საქმეში იყო გართული. მას მოეუკანა ცოლად ფანასკერტელ ციციშვილის ასული, ტურფა და კეკლუცი სითიხათუნ. ჯაანშა უგრძნეულად შემოვიდა სამცხეში და შემოერტყა ახალციხეს. ვახტანგი შეებრძოლა მას ძლიერად. დაიხოცა მრავალი. ღამემ გაჰყარა მებრძოლნი. სპარსნი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდად დაზიანდნენ. ჯაანშა ამავე ღამეს აიყარა და უგრძ-
ნეულად გაიპარა. ეს ამბავი ქართველთ მხოლოდ მეო-
რე დღეს გაიგეს. მეფეს სურდა დეკნა-ეუო მათთვის,
მაგრამ დიდებულები აღარ გაჰყვნენ. იგინი მეფეს ეუბ-
ნებოდნენ: „აწ ჯერ არს მადლობა ღვთისა, ვინაიდ-
გან არა რაჲ წარაქვს ჩვენი, არამედ ოვისიცა დამტე�b-
ბელი ივლტის“.

ამავე წელიწადს სამცხის ათაბაგობა მეფემ უბოძა
ალბულას. მცირე ხნის შემდეგ მოკვდა დედოფალი სი-
თიისათუნ და გვამი მისი მეფემ დაფლა ბანას. საყვარელ
ცოლის სიკვდილმა მალე მეფეც თან-გადიტანა. იგიც
მოკვდა უშვილოდ და დასაფლავებულ იქმნა ბანასვე.

ეს ბანა მდებარებს ჭორხის ტოტ ბანა-ფანასკე-
ტის წყალზე. ამ წყალზედ ამ დროს იყო ფრიად მაგა-
რი ციხე—ფანასკერტისა, კლდეზედ აგებული. აქ იკვდა
ერისთავი ფანასკერტ-ოლთისისა. ციხის ზევით, მთაში,
იყო აშენებული ბანას ეკკლესია გუმბათიანი, დიდი, შვე-
ნიერად ნაგები და კეთილ-შვენიერ ადგილას. იგი ააშე-
ნა ადარნასე მეფემ (†923 წ.) კვირიკეს ხელით. ეს კვი-
რიკე მეფემ გააძწესა ეპისკოპოსად ბანასი. ამის შემდეგ
აქაური ეპისკოპოსები ბანელებად იწოდნენ და მწყსიდ-
ნენ ფანასკერტს, ოლთისს, ტაოს და ნარუმაკანს. ეს
დიდებული ეკკლესია დღეს შემუსრვილია და ფანაქსად
იწოდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გიორგი VIII (1445—1469 წ.)

გიორგი კასტანგ მეფის ძმა იყო. მის დროს ათაბაგ ალბულას წაეჩხუბა ბიძა მისი ყვარყვარე. ჩხუბის მიზეზად ის შეიქმნა, რომ ალბულა ერთგულობდა მეფეს და წინააღმდეგი იყო განდგომილებისა. ყვარყვარემ გადიბირა თავის მხარეს მესხნი და შეებრძოლა ალბულას და დაამარცხა იგი. ალბულა გამოიქცა ქართლს და მეფისაგან შემწეობა ითხოვა. მეფის ჯარები უკვე მიდიოდნენ ყვარყვარეს დასასჯელად, რომ იგი თვითონვე მოვიდა მეფის წინაშე და მორჩილობა აღუთქვა. გიორგიმ ათაბაგობა ისევ ალბულას მისცა, ხოლო ყვარყვარე თავისთან დაიტოვა.

ოსმალნი. ამავე ხანს საქართველოს დასავლეთის მეზობელი—ბიზანტია უკვე მილეულიყო და ძლივს-ღა, სუნთქავდა. მას გარს შემოერტყმოდა მრისხანე მურად II რომელიც იყო ოსმალთა ხონთქარი. ოსმალნი მონგოლთა ტომის სალხია. იგინი ბირველად მოსახლეობდნენ კასპიის ზღვასა და ალტაის მთებ შორის. აქედგან მე XI საუკუნეში ოსმალნი შეესიენენ მცირე-აზიას და აქ დაემკვიდრნენ. უაღრესად გაძლიერდნენ იგინი ოსმანის დროს (1299—1326 წ.) და ამ ოსმანისაგან თვით მათ საბრძანებელსაც დაერქვა **ოსმალთა** (ოსმანთა) **იმპერია.** ოსმანის შვილი-შვილ მურად I-მა თვისი შესდგა ევროპაშიაც და ადრიანეპოლს დამკვიდრდა (1361 წ.). ეს ქალაქი თვის სატახტო ქალაქად გამოაცხადა. მურადს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭეკანდა დიდად გაწეურთნული ჯარი—ინგიჩართა ლაშქარი. ეს ინგიჩართა ლაშქარი მან შეადგინა ქრისტიანეთა შვილებისაგან. მათში ერია მრავალი კაკკასიელიც. ოსმალთ დიეურეს სერბია (1389 წ.). მურად I-ის შვილს ბაიაზეთს, საქართველოს დაბურობის შემდეგ, შეება თემურ ლენგი. ორთავე მტრის ლაშქარი მილიონამდე იყო. ოსმალნი დაამარცხა თემურ ლენგმა, ბაიაზეთიც დაატყვევა (1404 წ.) და დაბრუნდა სამარყანდს, საცა თემური მალე მოკვდა. მიუსედავად ამისა ოსმალნი იმედს არ ჭკარგავდნენ, რომ იგინი დაიბურობდნენ ბიზანტიას. 1451 წ. სულთქრად შეიქმნა მურად II. ამ დროს ბიზანტიის იმპერატორის უფლებაში იყო მხოლოდ კონსტანტინეპოლი, მორეა, აქაია და ლესბოსი. მურადმა ალყა შემოარტყა კონსტანტინეპოლს. მას ჭყანდა 300,000 მეომარი და დიდძალი თოფ-ზარბაზანი. ერთი მისი ზარბაზანი ისეთი დიდი იყო, რომ ეუმბარის მაგიერ ისროდა დიდ-დიდ 35 ფუთიან კოხებს. ამ დროს იმპერატორად იყო კონსტანტინე, სიძე საქართველოს მეფის გიორგისა. მურადმა შეამტვრია ციხე-ქალაქი და აიღო იგი (1453 წ.). ოსმალთ სამი დღის განმავლობაში დარბიეს ქალაქი და გაუყლიტეს მრავალი ქრისტიანი. თვით კონსტანტინე მოკლულ იქმნა ქალაქის კარებშიგე.

ასრე დაიმსო ეს ძველის-ძველანდელი სახელმწიფო, ძრიელი შემწე და მეგობარი საქართველოისა. მალე ოსმალნი ისრე გაძლიერდნენ, რომ დაამხეს თვით თამარისაგან დაარსებული ტრაპეზუნტის იმპერიაც (1462 წ.).

ამ მურადს ჯერ ისევ კონსტანტინეპოლი არ აეღო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ 50 მისი სამხედრო კატარღა (გემი) მოადგა ოფხაზეთს და გადმოსხა დიდი ჯარი. მეფე გიორგი გაეშურა აფხაზეთისკენ. მის მისვლამდის ოსმალთ აიღეს ცხომი, მოარბიეს ზღვის პირის ადგილები ⁄ უკანვე წავიდნენ.

ოსმალნი დაემკვიდრნენ კოსტანტინეპოლს, რომელსაც უწოდეს სტამბოლი. აია-სოფიის დიდებული საპატრიარქო ტაძარი მეჩითად აქციეს და დაიწყეს მძლავრობა. გაჩირდა ცხოვრება ქრისტიანებისა. ოსმალთ მალე თავზარი დასცეს და შეაძრწუნეს მთელი ევროპაც.

ამ გვარ საშინელ და საშიშარ დროს საქართველოს მმართველნი ქვეყნის გაერთიანებაზე კი არ ზრუნავდნენ, არამედ მის განაწილებაზე.

განდგომა იმერეთისა. ყვარყვარე ათაბაგის რჩევით იმერთა ერისთავმა ბაგრატ დაუწყო შეგულიანება იმერლებს, რათა ჰყონ იგი მეფედ; ამასთანავე თავისუფლება აღუოქვა დადიანს, გურიელს, შარვაშიძეს და გელოვანს; ხოლო ამ თავისუფლების-წილ ამათაც მოსთხოვა შემწეობა თვის განზრახვის შესასრულებლად. ყველამ მტკიცე პირი მისცა ⁄ ბაგრატ დაადგინეს იმერეთის მეფედ. საქართველოს მეფე გიორგიმ შემოიკრიბა ამერეთის ჯარი ⁄ იმერეთს გადავიდა. გიორგი ⁄ ბაგრატ შეიბნენ ჩიხორს. მოხდა საშინელი ბრძოლა. ძმამ ძმას დაუწყო უწყალოდ მუსრვა. გიორგი იძლია და გამობრუნდა. ძლევა-მოსილი ბაგრატ მივიდა ქუთაისს და ეკურთხა მეფედ იმერეთისა.

განდგომა სამცხე-საათაბაგოსი. გიორგი მეფე იმერეთს რომ მიდიოდა განდგომილ ბაგრატის დასასჯელად, ათაბაგ ყვარყვარეს უბრძანა მომეშველოო. ათაბაგმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეჭრიბა სამცხის ჯარი და დადგა იმერეთის მიჯნაზე: ვნახოთ, საქმე რით გათავდებაო. დამარცხებული გიორგი ქართლსვე რომ გამოიქცა, ყვარყვარე დაბრუნდა სამცხეს, მიიბირა იქაურნი ერისთავნი და მეფისაგან დადგენილნი ხელისუფალნი და განუდგა გიორგი მეფეს. გიორგიმ შემოიკრიბა ლაშქარი და გაეშურა სამცხისაკენ. იგი დადგა ფანავრის ტბის პირას და ყვარყვარესა და მესხთ შეუთვალა: „ნუ განდგებით, დამემორჩილენით, შემომიერთდითო“. აქ რომ იდგა მეფე (1463 წ.), განდგომილებმა შეუჩინეს მას მოღალატენი მოსაკლავად. ეს გაიგო იოთამ ზედგინიძემ ჯ შეატყობინა გიორგის. მან არ დაიჯერა. იოთამმა მოახსენა: რადგან არა გჯერა, მაშინება მიბრძე ამალამ მე დავწვე შენს ლოგინში ჯ, თუ მე მომკლეს, ნუ დაივიწყებ ჩემ შვილებსო. მეფე დასთანხმდა. მოღალატეებმა ღამე მოკლეს იოთამი. ამისთანა უმაგალითო თავგანწირვისათვის შემდეგში მეფე გიორგიმ იოთამის შვილს მიუბრძა ციხენი, მამულნი, სპასპეტობა ქართლისა, მოურაობა გორისა და ამილახვრობა. ხოლო საგვარეულო სასაფლაოდ მისცა სამთავისის ტაძარი, აგებული 1050 წელს. ყვარყვარეს შემწენი იყვნენ იმერეთის მეფე ბაგრატ და გურიელი კახაბერ, რომელსაც ათაბაგი წინათვე უძღვნიდა აჭარასა და ჭანეთს. მეფის ვედრება სამცხელთ არ შეიწყნარეს. ყვარყვარე უგრძნეულად მიუხტა გიორგის თვისის შემწეებით და დაამარცხა. მეფე დაატყვევა და წაიყვანა სამცხეს (1465 წ.).

განდგომა კახეთისა. გიორგი მეფის დატყვევების შემდეგ უმეტესად გაძლიერდნენ ბაგრატ მეფე იმერთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ყვარუკარე ათაბაგი. ბაგრატ მეფე ლიხზე გადმოვიდა, დაიპყრო ქართლი და მოინდომა კახეთის დამორჩილება. ეს იუკადრისეს კახელებმა და თვისი ერისთავი დავით აღიარეს მეფედ. ტუკე-გიორგი ყვარუკარემ განთავისუფლა, მისცა სამცხის ჯარი და ქართლს გამოისტუმრა. გიორგი შევიდა კახეთში. დავით მეფე თავის ცოლ-შვილით დიდოეთს გაიქცა. კახეთი დაემორჩილა გიორგი მეფეს. აქედგან გიორგი მეფე წავიდა აჯანყებულ შირვანის დასაპყრობად, შევიდა ყაბალას, * დაიმორჩილა, დახარკა ურჩნი, დაბრუნდა ქართლსკე და მოკვდა (1469 წ.). დავით მეფე დიდოეთიდამ ჩამოვიდა ლ ბოდბეში ეკურთხა მეფედ კახეთ-ჩრეთისა (1469 წ.)

მეფე გიორგი, მისი მეუღლე დედოფალი ნესტან დარეჯან ლ მათი შვილი ალექსანდრე ყურულიანთ გვარს უახლებენ საგვარეულო სიგელს ლ უმტკიცებენ (1463 წ.). სიგელში ჩამოთვლილია თვასები დანაშაულობისა: 160000 კილმანური (კილმანური ორი შაური) საგვარეულო კაცის მოკვლისათვის; 45,000 კილმანური ზედ-დასხმისათვის, 30,000 საბძელისა, ან ძნისა, თივისა, წისქვილისა, ვენახისა, სახლისა, ღობის გადაწვისათვის, 100,000 ჯოხის ან ხმლის გარტყმისათვის, 30000 ცოლის ცემისათვის, 40000 ცხის გატეხისათვითს, 50000 მტერთა ზედა სასიკვდილოდ გაცემისათვის; „თუ სხვა: ანუ უპატიობა, ანუ მუქარისა თხოვნა ლ ანუ სხვა რამე საქ-

*) ყაბალას დიდებულნი ნაშთნი დღესაც უდთა-მიერ იწოდება ყაბალად. უდნი მართლ-მადიდებელი ერია, სულ 1000 სული და სცხოვრობენ ნუხის მაზრაში. იქვეა ყაბალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე, ანუ შეუიკილი, ანუ სხვა რა გინდა კინ დაგიშაოს, — მისნი ბჭენი ჰ გამრჩეველნი იქმნენ ანუ ეპისკოპოსნი, ანუ დარბაზის კარისა კაზირნი ჰ მოსამართლენი კაცნი, ანუ ქალაქის კაჭარნი ჰ ყოველთა ქვეყანათა მპყრობელნი ჰ მნახველნი კაცნი, ანუ ღვთის მოშიშნი და სულისა კერძნი კაცნი, ჰ ანუ ქვეყანის მამასახლისნი ჰ ძველნი კაცნი, — თქვენი საქმე ესე ვითართა კაცთაგან გაიბრწყინებოდეს.... «ქრისტეს-მიერ კურთხეულნო ქართლისა ქათალიკოზ და ეპისკოპოზნო, ქართლის ერისთავნო და ერისთავთ-ერისთავნო, და ყოველნო თავადნო ქართლისანო, და ქალაქისა სმირნო და სმირთ-სმირნო, მდივანნო და მეტამლენო, და ყოველნო ხელის-უფალნო ქალაქისანო, და მთიულეთისა თავადნო და ხევის-ბერნო და მამასახლისნო, კარისა ჩვენისა კაზირნო, და ყოველნო ჩვენგან პატივცემულნო და ხელისა-მქონებელნო, — ნუ კინ უშლით ჩვენგან წყალობით ბოძებულსა სასისხლოსა განაჩენსა სიგელსა, თკინიერ შეწევნისა და თანა დგომისა». ქნი რნა (1463 წ.).

ამ სახით საქართველო განაწილდა სამ სამეფოდ (ქართლისა, კახეთისა და იმერეთისა) და ერთ დამოუკიდებელ სამთავროდ (საათაბაგო).

სამცხე-საათაბაგო. მტკვრის ხეობა ბორჯომს ზეკით და ჭოროხის ხეობა ტრაპიზუნტის მთებამდის და საქართველოს-ყელამდის (არზრუმის შორი-ახლოს) ძველიდგანვე იწოდებოდა სამცხედ და სამესხეთოდ. მთელ ამ სივრცეზე სცხოვრობდნენ ქართველნი — მესხნი, ჭანნი და ლაზნი. ქვეყანა იყოფებოდა შემდეგ მაზრებად:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯავახეთი, სამცხე (ახალციხის მაზრა), კოლა, არტახერუშეთი, ტაო, ბასიანი, აჭარა და კლარჯეთი. არაბებმა რომ შემუსრეს ძლიერება ქართველთ მეფეთა, მაშინ გაძლიერდნენ ტაო-კლარჯეთის ერისთავნი და იწოდნენ მამფალებად და შემდეგ მეფეებად. მეათე საუკუნის დასასრულს ტაოს ხელმწიფე დავით კურაპალატი იწოდებოდა მეფეთ-მეფედ. იგი უშვილო იყო და იშვილობილა ბაგრატ III, რომელმაც 985 წელს შეერთა ათხაზ ქართველთა სამეფო. ფრიად გაძლიერდა. ტაო-კლარჯეთის სამეფოს ტახტის მემკვიდრენი დაიჭირა და თმოგვის ციხეში ამოყოლიტა. ამის შემდეგ მთელი სამცხე-ტაო-კლარჯეთი და მთელი საქართველო-ათხაზეთი ეჭირა ერთ თვით-მპყრობელ ხელმწიფეს—საქართველოსას. წარმატებით წარემართა ჩვენი ცხოვრება. ასრე მოდიოდა ჩვენი სვე-ბედი მე XIII საუკ. დასაწყისამდე. ამ საუკუნეში საქართველოს ლაშქრის უფროსი—ამირსპასალარი იწოდა ათაბაგად. პირველ სპასალარ-ათაბაგად იყო იოანე მხარგრძელი და შემდეგ ამისა სარგისი, პატრონი ჯაყის ციხისა და ციხე-ჯვარისა. ხოლო ციხე ჯაყისა (აწ ჯაყისმანი) იყო სამცხეს, ფოცხოვის წყლის ნაპირას და იქვე ციხე-ჯვარიც. ამ ციხეების გამო თვით სარგისი იწოდებოდა ჯაყელად ანუ ციხე-ჯვარელად. აქედგან წარმოსდგა გვარი სამცხის ათაბაგებისა ანუ ჯაყელებისა. ჯაყელები, როგორც ციხე ჯაყის გამგენი, იხსენიებიან მე XI საუკ. დასაწყისიდგანვე. თამარ მეფის დროს სამცხის ჯარის სპასალარად იყო ბოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯაყელი. სამცხე-საათაბაგოს განდგომა-განცალკევებამდე (1465 წ.) ჯაყელთაგან ათაბაგად იყვნენ:

სარგისი I (†1285 წ.)	ბექა II (†1391 წ.)
ბექა I (†1366—)	იოანე I (†1444—)
სარგის II (†1334—)	აღბუღა (I †1451—)
ყვარყვარე I (†1361—)	ყვარყვარე II (†1466—).

სარგის I-მა ჯაყელ-ჯავრელმა 1268 წელს დაიპყრო სამცხე და დაემორჩილა მონგოლთა ყაენს. ხოჯო ჯავახეთი, კოლა, არტანი ⁄ კლარჯეთი ისევ მეფის ხელმწიფობაში დაშთნენ. დიმიტრი თავდადებულის კურთხევას არ დაესწრო ეს სარგისი, არამედ შვილის ხელით დიდი ძღვენი მოართვა. სარგის I ფრიად განვითარებული და განათლებული კაცი იყო. მის ოჯახში აღიზარდა დიდებული მეფე გიორგი ბრწყინვალე. ბექა I-მა თავისი ასული მიათხოვა ტრაპეზუნტის იმპერატორს ალექსი II-ს, რომელმაც ბექას მისცა ტრაპეზუნტს აქეთი ქვეყანა. გაძლიერებულმა ბექამ დაიპყრო მთელი სამცხე და მეფეს ურჩობა დაუწყო. ბექას ცოლი განათლებული დედაკაცი იყო. მას მიეცა სამი კაცი: სარგის, ყვარყვარე და შალვა. ეს უკანასკნელი ითვლებოდა სპასალარად სამცხისა. ხოლო მისი ძმა ბექა მანდატურთ-უხუცესად. ბექა I-სა და მის შვილებს მიაწერენ სათვარის მონასტრის აგებას. ბექა I-ის შვილნი დაიმორჩილა გიორგი ბრწყინვალემ ⁄ მთელი სამცხე-კლარჯეთიც შემოუერთა საქართველოს. მაგრამ ამის შემდეგაც ათაბაგთა კავშირი საქართველოს მეფეებთან მტკიცე არ იყო. ამას გვიმტკიცებს აღბუღა I-ის „სამართლის“ წინასიტყვაობა. აღბუღა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწერს: „შეკიყარენით ჭოლთას მინდობილნი ღვთისნი და აწყურისა ღვთის-მშობლისანი: დაგიდეკით წინა პატრონისა პაპისა ჩემისა მანდატურთ-უხუცესის ბექას განაჩენი და იგი აგრეკე სრულებით და უკლებლად დაგწერეთ... და ჩვენიცა სამართლიცა ზედა დაურთეკით...“ ბექა-ალბუღას მიერ ცალკე სამართლის შედგენა იმას მოასწავებს, რომ სამცხის ათაბაგნი, თუმცა ითვლებოდნენ საქართველოს მეფის მანდატურთ-უხუცესად, მაინც სცდილობდნენ თავიანთი კუნჭული შემოეზღუდათ საკუთარ სამართალ-კანონებით. ამას გარდა იგივე კანონები ამტკიცებენ, რომ მათი დამწერნი ყოფილან ფრიად განათლებულნი პირნი და ღრმად მცოდნენი ქართულის ენისა. ხოლო დიდებულ სათვრის მონასტრისა ტ სს. ჩუქრთმა-ქანდაკი გვიჩვენებს, რომ ამ დროს საქართველოში აუკაკებული ყოფილა სახურთ-მოძღვრო სელოვნება. ბექა-ალბუღას „სამართალი“ მთლად შეტანილია ვახტანგ VI ‹სჯულდებაში› და აგრეთვე დაბეჭდილია ჩუბინაშვილის ქრისტომატიაში.

ეკკლესიის დამოკიდებულება. საქართველოს განაწილების შემდეგ თვით ეკკლესიაც ორ საქათალიკოზოდ გაიყო: ათხაზეთ-იმერეთისა და ამერეთისა (მცხეთისა). ათხაზეთ იმერთა პირველ ქათალიკოსად გამწესდა იოანიმე. გელათის 1426 წელს შედგენილ გუჯარში სწერია: პატრიარქი იერუსალიმისა და ანტიოქიისა მიხაილ მოვედ საქართველოში, რათა ვცნა სარწმუნოების მდგომარეობა ამ საქრისტიანო ქვეყანაშიო. მე პატრიარქი და მეფე ბაგრატ იმერეთისა, დადიანი, გურიელ დიდი, ერისთავთ-ერისთავნი ტ ბედიის მთავარ-ეპისკოპოსი იოანიმე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეკიყარენით ერთად და განვიხილეთ დავთრები, ჩვენ-
ვარეულო სიანი და იადგარები, და ვცანით, რომ სა-
ქართველოს ქათალიკოზებს ძველ დროს აგურთხევდნენ
ანტიოქიის პატრიარქნი. ამიტომაც მეფე ბაგრატისა და
სხვა წარჩინებულ პირთა სურვილისამებრ, ქათალიკოსად
იმერეთისა, ოდიშისა, გურიისა და ათხაზეთისა ვაკურთ-
ხე წარჩინებული იოაკიმე, მთავარ-ეპისკოპოზი ბედიისა.
მთელი ათხაზეთი, რომელსაც ქრისტიანობა დაეტოვა,
ამ იოაკიმემ კვალად ქრისტიანობაზე მოაქცია.—ამ-
ნაირდვე დაირღვა კავშირი მცხეთის სვეტი-ცხოველ-
სა და სამცხის ეკკლესიას შორის. აქნობამდის სამც-
ხის მიტროპოლიტებს ნიშნავდა ქათალიკოზი საქართ-
ველოისა, ამის შემდეგ კი ანტიოქიის პატრიარქი. დო-
როთეოს, პატრიარქი იერუსალიმისა, ათაბაგ მზეჭაბუკს
(1502 წ.) სწერს, რომ დღეის შემდეგ სამცხის ეპის-
კოპოსთა კურთხევა მიმიცია მაწყვერელისთვისა ან მისთ-
ვისვე მიმინიჭებია ხელმწიფება შეკვრისა ან გახსნისა.—
ამავე დროს თვით კახეთის ეკკლესიამაც მოიხდომა გან-
ცალკევება და დაემორჩილა ამ ქვეყნის უმთავრესს ეპის-
კოპოსს—ალავერდისას და მის-მიერ მცხეთის ქათა-
ლიკოზსაც.

ასრე განაწილდა დიდებული სამეფო ბაგრატ III-სა,
დავით ალმაშენებელისა და თამარ-ბრწყინვალისა. მაგრამ
ასრეთი დაქუცმაცებაც არ აკმარეს საქართველოს იმ კა-
ცებმა, რომელნიც ამ დროს განაგებდნენ ქვეყანას. მა-
ლე დროში იმერეთის მეფეს განუდგნენ ერისთავნი გუ-
რიისა, სამეგრელოსი, ათხაზეთისა, სვანეთისა და
იწოდნენ დამოუკიდებელ მთავრებად. ამის შემდეგ სრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიად დაირღვა ჩვენი ქვეყნის ერთობა და ძირი გაუდო ეთხარა საქართველოს ძლიერებას.

მეფენი

ქართლისა	კონსტანტინე III	(1469—1505)
	დავით VIII	(1505—1525)
იმერეთისა	ბაგრატ II	(1455—1478)
	ალექსანდრე II	(1478—1510)
კახეთისა	გიორგი I	(1471—1492)
	ალექსანდრე I	(1492—1511)
	ავ-გიორგი II	(1511—1513)

იმერეთის მეფეს ბაგრატს უნდოდა ეუფლნა ქართლშიაც, ამიტომ დიდი ჯარები დაამზადა. ქართლის მეფეს კი უნდოდა შემოერთებინა კახეთი. ამ დროს მოკვდა კახეთის მეფე დავით I და გამეფდა მისი შვილი გიორგი, რომელმაც ბირობა შეკრა ბაგრატთან, რათა ერთად შეებრძოლონ ქართლის მეფეს. გიორგიმ უკელა წინანდელი ერისთავები გამოსცვალა, მათ მაგიერ თავის მომხრენი განაწესა უკელგან: ქიზიყს, ელისენს, წუკეთს, დიდოეთს, თიანეთს, ჭიაურს, შილდას, ყვარელს, მარტყოფს, გრემს და სხვ. ალაზანზე დასვა კახეთის უმთავრესი ეპისკოპოსი. გააშენა და გაამშვენიერა გრემი. მოსპო ხმარებიდამ „ცერეთი“ და იწოდა კახეთის მეფედ. დიდოელებიც დაემორჩილნენ მას, ხოლო თუშნი და ხევსურნი თავს არ უხრიდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის მეფე კი, მინამ წამოვიდოდა ქართლზე, დაცა დადიან კამეუს. ბაგრატმა აიღო კამეუის ციხეები. (1477 წ.) კამეუმა სრული მორჩილება გამოუცხადა და სთხოვა პატიება. ბაგრატმა აპატია, გამოართვა დიდი ჯარები და ქართლში წამოვიდა. ქართლის მეფე კოსტანტინე უბრძოლველად დაემორჩილა მას.

კახეთის მეფე ვერ მიეშველა ბაგრატს, რადგან იმ დროს სპარსელნი იყუბ ხანის წინამძღოლობით შემოსულიყვნენ კახეთში და დაეჭირათ ხერკი, საგურამო, მარტ-ყოფი და თიანეთი. ტახტი რომ არ დაეკარგა, გიორგი მეფემ სპარსეთის შაჰს უზუნ-ჰასანს გაუგზავნა საჩუქრები, მონები და მხეკლები და სრული მორჩილება გამოუცხადა.

უკან მიმავალი იმერეთის მეფე ბაგრატი რაჭაში გარდაიცვალა (1478 წ.) და ტახტი დარჩა მის შვილს ალექსანდრე II-ს, რომელსაც არ დამორჩილდა კამეუ დადიანი. მას მიჰბაძეს: გურიელმა კასაბერ, შარვაშიძემ, გელოვანმა. ამით ისარგებლა ქართლის მეფემ და შეიდა იმერეთში. იქაურმა ერისთავებმა სიხარულით მიიღეს მეფე კოსტანტინე, ალექსანდრე კი მთებში მიიმალა. აქაური მთავრები დაემორჩილნენ ქართლის მეფეს. იმერეთის დამშვიდების შემდეგ მეფე კოსტანტინე ისევ ქართლს მოვიდა კამეუ დადიანითურთ. შემოიკრიბა ჯარი ლ მიუხტა ათაბაგ მანუჩარს, რომელიც მას არ ემორჩილებოდა. მეფე რომ სამცხეს შეიდა, მანუჩარი იქიდგან გაიქცა. კოსტანტინემ დაიპყრო მთელი არსიანის მთებს აქეთი სამცხე, გაამაგრა მისი ციხეები და დაბრუნდა. კამეუ დადიანი იმერეთს გაისტუმრა. მეორე წელიწადს მოკვდა ეს დადიანი და იმერეთში ისევ არეულობა მოხდა. ამ არეულობით ისარგებლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათაბაგ მანუჩარმა ლ კვალად დაიპყრო სამცხე, კონსტანტინე მიუსტა მას, მაგრამ მწვავედ დამარცხებული უკანვე დაბრუნდა (1483 წ.) ალექსანდრემ აიღო ქუთაისი, ეკურთხა მეფედ და დაიპყრა იმერეთი. კონსტანტინემ მოიშველია კავკას-მთიულნი, გადიარა ლიხის მთა, დაიპყრა იმერეთი, აიღო ქუთაისი და იქ დადგა და იწყო ქვეყნის მაგრება. ლიპარიტ დადიანი ვამეყისძე მისი შემწე იყო (1486 წ.).

მეფე რომ იმერეთს იყო, სამცხესა და ქართლს შემოესია იაყუბ ყაენი. სამცხიდამ ყაენმა წარგზავნა თვისი რაზმები და გააოხრებინა დბანისი და ქვეშის ხევი (1486 წ.). ორი წლის შემდეგ ამავე ყაენმა წარმოგზავნა სალიბეგ დიდძალის ლაშქრით. ამან დაიწყო შენება ქოზიანისა და ალჯაყალის ციხეებისა და მერე მოადგა თბილისს. შეიქმნა დიდი ბრძოლა. მტერს სასტიკად შეებნენ ქაიხოსრო ციციშვილი, ჯავას ჯავახიშვილი და ბარათიანნი. ესენი დაეცნენ თათრებს ჭანდარს და გაულიტეს იგინი სრულიად. მიესმა-რა კონსტანტინე მეფეს თათართა შემოსევა, იმერეთიდამ მსწრაფულ წამოვიდა. თბილისის მბრძოლ თათრებს შეეშინდათ და გაბრუნდნენ. დაბრუნებულ მტრებს კუმისის ბოლოს გზა შეუგრეს იმავე ქაიხოსრო ციციშვილმა და ბარათაშვილებმა. ქართველებმა მუსრი გაავლეს მტერს, თავები დასჭრეს მათ მეომრებს ლ ლობეების მარგილებზე ჩამოატვეს. ხალიჩი გაიქცა ყაენთან. იმერთა მეფე ალექსანდრემ, კონსტანტინეს ქართლში დაბრუნებისავე-უმალ, სვანთა შემწეობით, ისევ ქუთაისი აიღო და მეგობრული ზავი შეჰკრა დადიანთან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მალე ყაენმა ისევ შემოუსია ქართლს ლაშქარი. კონსტანტინემ მოშველება სთხოვა ათაბაგს და კახელებს, მაგრამ იგინი არ მოეშველნენ. მეფემ იწყო მაგრება ქვეყნისა. თათარნი მოვიდნენ ოსმალეთის მხარეს და იქიდგან კოჯრის ციხეს შემოებრძოლნენ. მეციხოვნენი ლამე გაიპარნენ. დილას მტრებმა შემუსრეს ციხე და თბილისს მოადგნენ. მეფე ნიჩბისს იდგა. თათართა რაზმები გაიფანტნენ სანბარათიანოში და იწყეს რბევა და ოხრება ქვეყნისა. მათ შეებნენ ენაგეთს მდგომნი სულხან ბარათაშვილი, ქაიხოსრო ციციშვილი, ქაიხოსრო თურმანიძე და აქა-იქ შემუსრეს მტრის რაზმები. გმირულად იბრძოდნენ აგრეთვე ქაიხოსრო ჯავახი, ქავთარ და სოლაღაშვილი, რომელთაც ოცი კაცით დაამარცხეს თათართა რაზმი, რომელსაც შეადგენდა 300 მოომარი. ესმათ-რა თბილისს მდგომ თათრებს ეს ამბავი, შეეშინდათ, აიყარნენ და გაიქცნენ. მეფე მიუსტა ქოზიანსა ჯ ალჯაყალას ჯ შემუსრა. საქართველოში დაშთენილი ელიტ გასწყვიტა და დიდის ალაფით დაბრუნდა.

დაბრუნებულ მეფეს ძრიელ აწუხებდა ის გარემოება, რომ საქართველო განაწილებულ იყო და ჭსურდა მისი შეერთება და გაძლიერება. ამიტომაც მოიწვია თბილისში ქათალიკოს-ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი კაცნი და შეეკითხა მათ: „თუ რაჲ ჭყონ განდგომილებისათვის ქვეყანათა, და ვითარ მოაგონ კვალად მეფობასაგე თვისსა“. დიდებულებმა მეფეს ასრეთი რჩევა მისცეს: „ვინადგან იმერნი, კახნი და სამცხელნი მტკიცედ დგანან ერთგულებასა ზედა თვის-მიერვე ამოირჩეულ მეფეთა ჯ ათაბაგისა, ამისთვის არ გირჩევთ მათთან ბრძოლასა: რამეთუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა მრე ვეძმენთ ერთსა, არღარა მოგვცემს მეორე ხე-ბასა. ვაცადოთ ყამი, უკეთუ კვალად აგოს ღმერთმან მე-ფობასა შენსა". მეფემაც მიიღო ესრეთი რჩევა ჯ ალიარ-ჩია მშვიდობა.

ამ დროს ათაბაგად იყო ყვარყვარე, რომელმაც და-იპყრა მთელი სამცხე. იგი იყო კაცი მხნე, ახოვანი და ძლიერი. ამ ყვარყვარემ დიდი სახელი გაითქვა შორეულ ქვეყნებშიაც, და გაითქვა ამ სახით. შაქს (ნუხი) წასულ-იყო ვინმე მესხი აბრეშუმის საყიდლად. ამ ვაჭარ მესხ-სა ჯ შაქელ ვაჭარს ჩხუბი მოუვიდათ. შაქელი მოერია მესხს და სცემა. მაშინ მესხმა „აქადა სიმხნე და ძალი ათაბა-გისა და დასთხოვა მუქარა". შაქელი უმეტესად გაბრაზ-და, უწყალოდ ჰგემა მესხსა, წაართვა რაც რამ ებადა, გამოაგდო და თანაც ეს სიტყვები მოაძახა: „არ მიმი-ბას ყური სამსჯვლითა დუქანსა ჩემსა და მიცეს წიხლი დარბაზსა ამას ჩემსა ათაბაგმან შენმან ამისთვის". და-ღონებული და გამწარებული მესხი ვაჭარი დაბრუნდა სამ-შობლოში და ტირილით შესჩივლა ათაბაგს. ყვარყვარემ ამოირჩია 500 ჯაბუკი, შესხა ურა კვიცებზე, გაიარა დბანისის ხეკი, გადავიდა მტკვარზე ჯ მივიდა შაქს უცნობ-ლად და „უო ოკელნიკე თქმულნი ვაჭარსა მას შაქელსა ჯ მისცა მესხსა ქონება თვისი, გარნა სხვა არა რაჲ აკნო ქვეყა-ნათა ჯ მოქალაქეთა". შემდეგ გამობრუნდა, შემოკლო ყა-რაია, გამოკლო მუხრანი და მოაწია შიდა-ქართლს. ტიტი ტიტიშვილმა და ქართლელებმა შეიტყეს - რა ათაბაგის მოსვლა, შემოკრბნენ ფიცხლავ, გამოეკიდნენ და მოეწივ-ნენ. ათაბაგმა თვის მდევართ შემოუთვალა: «მრავალი ქვეყ-ნები გავიარ-გამოვიარე და არც ერთს არა ვაკნე-რა. ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამი რა არის, ისიც კი არ დაუზარავლე. ხოლო უმეტესად განვადიდე სახელი ქართველთა, რადგან ვუმტრე მტერსა. ამისთვის ჯერ არს თქვენდაცა სიხარული, რამეთუ ვარ მკვიდრი და მონათესავე თქვენი. აწ მიტევეთ, რათა წარვიდე მშვიდობით». ქართველებმა მიუგზავნეს მროველ ეპისკოპოსი და შეუთვალეს: „ანუ მოვედ და მორჩილ ექმენ მეფესა ჩვენსა, ანუ შეგიბურობთ, რამეთუ ხელთა შინა ჩვენთა სარ". ათაბაგი უარჰყოფდა შეპყრობასა ს ეპისკოპოსს სთხოვდა მშვიდობასა. მროველმა მიუგო: „არა უწყი, რამეთუ ძალი ხნავს ალმართსა". ეკარუკარემ განაწყო რაზმი საბრძოლველად. მროველი რაზმის პირას უშიშარ ადგილას დააყენა. ქართველნი მიუსტენენ ეკარუკარეს. შეიბნენ. და „იქმნა ბრძოლა სასტიკი. არა დაშთნენ მესხნი, რომელი არა დაიკოდა, ანუ არა დაჭკოდა, ს ანუ თვით ათაბაგმან არა მოჭკვეთა მკლავი. ჭკრა შუბი შალიკაშვილმა მახაბელსა ს გარდააჭრენა ცხენიდამ. მჩოქარე მახაბელმა მოუკრა ხმალი ს წარუკვეთა კისერი ცხენსა მისსა". იძლივნენ ქართველნი. გამარჯვებულ ათაბაგმა დაბრუნებისას ათრევინა მროველი და თანაც ეუბნებოდა: „უკეთუ ხნავს ძალი ალმართსა, ნებამ დათვრცხოს თავდალმართი".

ეს ათაბაგი მოკვდა 1500 წ. და გაათაბაგდა მისი ძე ქაიხოსრო და მის შემდეგ მზეჭაბუკ დიდი. ამ დროს ოსმალთ წაართვეს გურიელს ჭანეთი და აჭარა. მზეჭაბუკი მივიდა თავშებთან და ერთგულება გამოუცხადა. თავშებმა მისცეს აჭარა, ჭანეთი და დაამტკიცეს ათაბაგად. ოსმალნი დაბრუნდნენ. მზე ჭაბუკმა ტეე-ღრეში მიმალული ხალხი დაუშენა მათსავე დედულ-მამულში და აუშენა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყანა. მზეჭაბუკს მისთვის უწოდებენ „დიდს“, „ბრძენს“ „დღეთა მისთა არა აღეფრინდა ქათამიცა უსამართლოდ სალთაბაგოსა შინა“.

ასრეთი იყო საქართველოს ვითარება, რომ მოკვდა კახეთის მეფე გიორგი I და გამეფდა ალექსანდრე I, რომელმაც სპარსთა შიშისა გამო მიჰმართა რუსეთის ხელმწიფეს და შემწეობა ითხოვა. მოკვდა აგრეთვე ქართლის მეფე კოსტანტინე და გამეფდა ძე მისი დავით VIII. ამ დროს შემოესია ქართლს იმერეთის მეფე და აიღო გორი. აქედგან ისევ მალე დაბრუნდა თავის ქვეყანაში, რადგან იქ არეულობა მოხდა. ალექსანდრე მეფემ დაამშვიდა ქვეყანა და მოკვდა (1510 წ.). მას დარჩნენ ძენი: ბაგრატ, დავით და კახტანგ. მეორე წელიწადს გიორგი აუჯანყდა თავის მამას კახეთის მეფე ალექსანდრეს, მოჰკლა იგი და თვითონ გამეფდა. ეს გიორგი ფრიად ბოროტი კაცი იყო და მისთვის ეწოდა ავ-გიორგი.

იმერეთის მეფის წასვლის შემდეგ დავით მეფე მიუხტა გორში მდგომ იმერთა მეცხოვნეებს, დაამარცხა იგინი და დაიპყრა ციხე. აქედგან მივიდა ატენს და დაიბანაკა. ავ-გიორგი მიუხტა მას და, რადგან ატენის ციხე გამაგრებული დახვდა, უკანვე დაბრუნდა და დაუწყო ქართლს ოხრება. მეფე დავითი მშვიდობის მოყვარე კაცი იყო და ამიტომ ავ-გიორგისთან შებმას არ აპირობდა: ძმათა სისხლი რად უნდა დაიღვაროსო. მისი ძმა ბაგრატი კი აქეზებდა მეფეს და ეუბნებოდა: „წაგვართვა კახეთი და ახლა ქართლის წართმევაც სურს“. ამ ბაგრატმა ძმა-მეფეს სთხოვა: საუფლის-წულად მომეცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხრანი, არაგვისა და ქსნის ხეობანი მთიულ-ძალვეთურთ და „მე ალუდგები მტრად ავ-გიორგის“. დავითმაც მისცა. ბაგრატმა ააშენა მუხრანს „ციხე მტკვრისა“. ავ-გიორგი მიუხტა მას და ალყა-შემოარტყა ციხეს. სამ თვეს ბრძოდა, მაგრამ ციხე ვერ აიღო. ბრაზმორეულმა ავ-გიორგიმ ბაგრატს გაუგზავნა ერთი ლიტრა ღვინო და დაცინვით შეუთვალა: „ხარ ძე მეფისა და არს ყამი მრავალი, რომელსა არა გისკამს, აწ იხმიე“. ბაგრატს ჭაში ჭყვანდა ტოტსალი ორაგულები. ერთი მათგან გაუგზავნა ავ-გიორგის და დაცინვითვე მოახსენა: „სამ თვე მოთმობ ქსანსა ზედა და არა გიგემებია. იგემე, რამეთუ ტოტსალ არს“. ტოტსალი თევზი რომ მოართვეს, ავ-გიორგის ძლიერ გაუკვირდა. აქამდის მას ეგონა, რომ სატაა ციხე კარებს გამიღებს სიყმილისაგამო და ახლა კი დარწმუნდა, რომ იქ ბევრი სურსათი იყო. მოშორდა ციხეს, ჯარს დაარბევინა ქართლი ჯ თვითონაც გაჰყვა ნადირობითა და შვებით, რადგან არავის შიში არ ჰქონდა. ამ შემთხვევით ისარგებლა ბაგრატმა. ძალისის ხევში მზირად ჩაუსაფრდა და ნადირობით გართულ ავ-გიორგიმ რომ მოაწია აქამდის, თავსდაესხა, მოსრა მისი მხლებელნი, შეიპყრო იგი და მტკვრის ციხეში შეამწყვდია (1513 წ.). ამავე წელიწადს ავ-გიორგი აქვე მოაშთვეს. მას დარჩა მცირე წლოვანი ყმაწვილი — ლევანი.

დავით მეფე შევიდა კახეთში, დაიპყრო იგი ჯ დაბრუნდა. ქართლს რომ მივიდა, მხოლოდ მაშინ გაიგო დავით მეფემ, რომ ავ-გიორგის დარჩენია შვილი. აქამდის კი იგი დარწმუნებული იყო, რომ ავ-გიორგის გარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაცვალებით კახეთის სამეფო შტო სრულიად მოისპოს. ამიტომ კახეთს გაგზავნა თვისი ძმა ბაგრატ და დაავალა მოიძიოს მცირე წლოვანი ლევანი. ეს ლევანი ამ დროს 7 წლისა იყო და იგი დაემალა თავის სახლში გარსევან ჩოლაყაშვილს, მის ნათესავს. ბაგრატი კახეთში რომ შეკიდა, კახელებმა დიდი ფიცით დაიფიცეს: ლევანისა არა ვიცით რაო. ბაგრატის გასაცრუებლად გარსევან ჩოლაყაშვილმა ასრეთი ხვანჯი იხმარა: მიიწვია იგი სტუმრად და სმა-ჭამის დროს მოამსახურა ლევანი „უშვერის სამოსლითა“ და თანაც ასრე ფიცულობდა: „რომელი არა გეხილვოთ თქვენ თვინიერ მისსა, არცა მცირე და არცა დიდი, არავინ მუკეს და არცა უწყოდე“. ბაგრატმა ირწმუნა მისი ფიცი და დაბრუნდა. ხოლო გარსევანმა ერმა ლევანი წაიყვანა და ოჩანის ციხეში დამალა. ქართლ-კახეთი დროებით შეერთდა.

ამასობაში სპარსეთში მეტად გაძლიერდა შაჰ-ისმაილი. ამან დაიპყრო ბალხი, ბუხარა ს ქობული. ოსმალთა სიმძულვარისაგამო სპარსნი ალია მოციქულის სარწმუნოებაზე მოაქცია, თვით იწოდა ძედ ალიასი. გაიგორა შაჰ-ისმეილის გაძლიერება, დავით მეფემ ყაენის წინაშე დიდის ძღვენით წარგზავნა თავისი შვილი რამაზი, ითხოვა მშვიდობა და მორჩილება გამოუცხადა. ამ დროს კახელებმა ოჩანის ციხიდამ ჩამოიყვანეს ლევანი და გაამეფეს. დავით მეფე შვილის მოლოდინში იყო და კახეთისთვის არ ზრუნავდა. მალე რეკაზი დაბრუნდა და მოიტანა კარგი ამბავი. შაჰ-ისმეილს საქართველოსთვის არ სცალოდა, მას ამ დროს ომი ჭქონდა ხონთქართან, რომელმაც იგი დაამარცხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობის ამბავი რომ მოუვიდა დავითს, გაუშურა კეხეთისკენ და გარს შემოადგა მაღნარის ციხეს, რომელშიაც გამაგრებულ იყო ლეკანი. ციხე ისე შეამჭირვა, რომ უკვე აპირებდნენ მის მოტეხას. ამ დროს მეფეს მოუვიდა ამბავი: ქართლს შემოესივნენ ოსმალნიო. ეს ამბავი მეფემ კარს არ შეატყობინა. და რომ დაეჩქარებინა ციხის დაპყრობა, გაგზავნა მთავარ-ეპისკოპოსი და ამილახორი და მეციხოვნეებს შეუთვალა: „ციხე მოგვეცით, თორემ სიყმილით ამოგხოტავთო“. მეციხოვნენი უკვე დათანხმდნენ, რომ მთავარ-ეპისკოპოსმა ოსმალთა მოსვლის ამბავი გაუმეღავნა დედოფალს ლეკანის დედას და უხთრა საიდუმლოდ: „ნუ გეშის: ღამესა ამას წარვალთ. განმაგრდი“. დედოფალი გამხნევდა და უთხრა: „კარ ძისა მაგრებასა და მიუტემლობასა“. ოთვალივე ეს გამოეღვიძა. მეფე აიყარა და მსწრაფულ დაბრუნდა. თავს დაესხა ოსმალთ, შემუსრა იგინი, ალტა, აიღო მათი ალაფი ლ თბილისს მივიდა. აქედგან ისევ კახეთს წავიდა. მაგრამ ქიზიყში დაუმარცხდა და უკანვე გამოაშურა.

ლეკანს მწე-მფარველად გამოუჩნდა მამია გურიელი, რომლისათვის ლეკანს მოტიქული გაეგზავნა და თვის სატოლად ეთხოვნა მისი ქალი თინათინ. გურიელი ათაბაგის შემწეობით შემოვიდა ქართლში. მეფე მიუხტა მას. მოხისში მეფეს დაუმარცხდა. გურიელმა მოაწია მუხრანს და შეუერთდა ლეკან მეფეს. გურიელმა დავით მეფეს შემოუთვალა: «თქვენ წინაშე ვედრებად მოვედი და არა საბრძოლველად. ვუოთ ზავი სიყვარულისა, ვინაიდგან ჩვენ გარემოს არიან მტერნი ძლიერნი, ვითარცა ყეენი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელი იშურობს ქვეყანათა". დავითიც დაეთანხმა: «ისიელნეს ურთიერთნი, ზავ-ყოფენ, უძღვნეს და წარგიდნენ თვის-თვისად».

გურიელის სიტყვა მალე გამართლდა. დიდძალის ლაშქრით შაჰ-ისმაილი წამოვიდა სპარსეთიდგან საქართველოს გასამაჰმადიანებლად. დავით მეფემ იწყო ქვეყნის მაგრება. შემოიკრიბა ჯარი და მიეგება მტერს სომხითში. მტრის მოწინავე ლაშქარი სრულიად შემუსრა, ხოტა და დევნა უყო. ამ დროს შაჰ-ისმაილმა, რომელიც აქამდე საფარში იდგა, უკანიდგან შემოუარა უკვე დაღალულ ქართველებს და მუსრი გაავლო. მერე მოადგა თბილისს. ქალაქის ციხის თავს შეუჩინა კაცები, მიისყიდა იგი დიდის სიჩუქრებით და ასრე აიღო თბილისი. დალეწა სატ-ჯვარი და ავარ-ყო აქაურობა. შემდეგ აღლაბრის ხიდის ყურზედ აგო მეჩითი. ამ დროამდის თბილისის ქალაქში მაჰმადიანთა სალოცავი არ ყოფილა და ახლა ესეც გაჩნდა. თბილისიდგან ყაენმა ჯარი შეუსია ქართლს და სამცხეს. მოარბია ქვეყანა, თბილისის ციხეში მცველები ჩააყენა, წავიდა სპარსეთს და მოკვდა (1523 წ.). მეფე მიუხტა თბილისს და აიღო. დაიშურა აგრეთვე აღჯაყალა და ქართლიდგან გარეკა მაჰმადიანთა ელნი. შემდეგ აღიკვეცა მონაზნად და მეფობა დაუტოვა თავის ძმას გიორგის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფენი

ქართლისა	გიორგი	IX	(1525—1534)
	ლუარსაბ	I	(1534—1558)
იმერეთისა	ბაგრატ	III	(1510—1548)
კახეთისა	ლევან	I	(1520—1574)

პირველ ხანს ერთმანერთს მეგობრობდნენ მეფენი გიორგი, ბაგრატ და ლევან. ათაბაგი ყვარყვარე აგრეთვე მორჩილობდა ქართლის მეფე გიორგის. ამ დროს, ქართლის ცხოვრების თქმით, სულთანმა სულეიმან, რომელიც გადამტერებოდა ყაენს და სურდა დაემხო ძლიერება სპარსთა, ქართველ მეფეებს შემოუთვალა: „ადგილი სჯულისა თქვენისა—იერუსალიმი დაიპყრეს უსჯულოთა. აწ მიმინიჭებიეს თქვენდა. მოვედით და განასხენით იგინი და დაიპყრენით თქვენდა“. აქ მატიანე ამასაც უმატებს, რომ სულთანი ასრე იმიტომ მოიქცაო, რათა ქართველნი „არა მიერთნენ ყაენსა“ ყველა ეს მეფენი და ათაბაგი წავიდნენ იერუსალიმს. ამ ქალაქს რომ მიუახლოვდნენ, მისი მცხოვრებლების მოტიქულები მეფეებს დაეკითხნენ: «გვაუწყეთ: უკეთუ ხართ მტერნი, მტირედ გვიჩანთ და უკეთუ სტუმარ, მრავალ ხართ». ამათ მიუგეს: «მებრძოლნი ვართ ძალითა მაგვა ადგილისათა». ასრეთი პასუხი რომ მიუვიდათ ქალაქელებს, გამოვიდნენ და შემოებნენ. ქართველებმა დაამარცხეს იგინი და აიღეს იერუსალიმი. მოიღოცეს აქაურნი საწმინდაგენი და დიდის ალაფით უკანვე დაბრუნდნენ. ამ თხრობას საეჭვო ედება მითაც, რომ ამ სულეიმან ხონთქარმა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ტოლის თხოვნით, რომელიც შესაძლებელია ქართველი ქალი ეოფილიყო, ბრძანება გასცა უფლის საფლავის კარის ბჯეში მცველები დაედგინათ და იერუსალიმის მოსალოცად მოსულთაგან ეკრიფვათ სარგი: ყოველი რომაელისაგან 14 გროში (პიასტრი), ბერძნისა- 7 გრ., არაბ-ეგვიპტელისაგან 3 გრ. და სხ. მარტო ქართველ მლოცავსა და აბაშელს სრულიად არა გადახდებოდა-რა. სანუტი სწერს: „ქართველი ერი ფრიად მეომარია და ბრძოლა-ომში უშიშარი. იგინი მეტად საშიშარნი არიან და ფრიად აკნებენ არაბთ, სპარსებს, მიდიელებს და ასურელებს. მარტო ქართველებს აქვთ უფლება იერუსალიმში შეკიდნენ ახდილ დროშა-ალმებით და ამისთვის არაკითარი სარგი არ გადიხადონ. არაბნი ვერ ბედავენ მათ წუენას“.

ამ დროს თვით ხონთქარი ებრძოდა ყაენს, რომელსაც წაართვა ერევანი. სულთნის სიახლოვესაგამო ქართველებს შეეშინდათ ფრიად. მ გრამ სულთანი საქართველოში არ შემოვიდა, არამედ ერევნიდამ წავიდა ბაღდადს. მისი სპასპეტი შეკიდა სამცხეს და აქედგან გადავიდა იმერეთს. ათაბაგი მზე-ჭაბუკ ოსმალთა მომხრე იყო. ბაგრატ მეფე ეურჩებოდა მათ. მტერი რომ მიუახლოვდა ქუთაისს, ბაგრატი მიიმალა მთათა სიმაგრეებში. ოსმალთ გადასწვეს ქუთაისი და გელათი, მოარბიეს არე-მარე და უკანვე წავიდნენ. ბაგრატი მოეპატრონა ქვეყანას და დაიწყო შენება დანგრეულ-დაქცეულ ქალაქისა.

შემდეგ ბაგრატმა შემოიკრიბა ჯარი და მიუსტა ათაბაგს, დაამარცხა იგი, დაატყვევა და დაიჭირა სამც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხე. ხოლო თვის შემწე გურიელს მისცა აჯარა და გა-
ნეთი. ამ დროს შაჰ-თამაზი აღმხედრდა და მოვიდა სა-
ქართველოს დასარბევად. ყაენმა დაიბანაკა ყარაბაღს. მას-
თან მივიდნენ მეფენი ბაგრატ და ლევან. ყაენმა აღუთქვა
ბაგრატს შემწეობა და დიდად დაჯილდოებული გა-
მოისტუმრა. ბაგრატი სამცხეს მივიდა. ათაბაგის ყვარ-
ყვარეს ძე ქაიხოსრომ მოიყვანა ოსმალთა ჯარი და თან
მოიტანა დიდ-დიდი ზარბაზნები. გურიელის შემწეობით
მეფემ ოსმალნი შემუსრა, წაართვა ზარბაზნები და იმე-
რეთს წაიღებინა. ოსმალთა ხონთქარი მეტად განძვინდა
და დიარბექირის თავშები წარმოგზავა. ბაგრატმა მიიშვე-
ლია ქართლის მეფე ლუარსაბ და ბასიანში შეება მტერს.
ქართველნი იძლიენენ, რადგან მესხელებმა ულალატეს.

კახეთის მეფე ლევანმა ბოდბეში იკურთხა გეირ-
გეინი, გურიელის ქალი თინათინ მოიყვანა გრემს ჯ ჯვა-
რი დაიწერა. მისგან ეყოლა ალექსანდრე და იასე. მაგ-
რამ მალე თინათინი გაეყარა ქმარს, რადგან იგი მეძავი
და გარეგნილი კაცი იყო, მოლოზნად შესდგა, ააშენა
შუა-მთის მონასტერი და მას შესწირა დიდი მამულები:
უჯარმას რვა მეკომური, ბელაქანს—ექვსი მეკომური ურია
და ორი კომლი ქართველი, გრემს ორი მეკომური და
აგრეთვე მთელი სოფელი გულგულა მის მიდამოთი. ამის
შემდეგ ლევანმა შეირთო დაღისტნის შამხალის ქალი,
რომლისაგან მიეცნენ: გიორგი, ელიმურზა, კასტანგი და
ხოსრო. ბოლოს ლევანმა დასტოვა გარეგნილობა და
შეუდგა სამეფოს შენებას. კახეთს შემოუერთა ფშავ-ხევ-
სურეთ თუშეთი, დაიმორჩილა ჯ დაიპყრო ლეკნი, რო-
მელნიც დაასახლა ფიფინეთში (ჯარში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამეფებისავე უმალ ლუარსაბმა შეჭერა ზავი იმერეთისა და კახეთის მეფეებთან. ამათ მეგობრობამ გაძლიერა სამივე სამეფო. სამცხის ათაბაგიც მეგობრობდა გიორგის.

ლუარსაბმა მეგობრობა არ გასწყვიტა კახეთისა და იმერეთის მეფეებთან. ყაენს არ ემორჩილებოდა და თავს არ უხრიდა, არამედ აშენებდა ციხე-სიმაგრეებს და ეამზადებოდა საბრძოლველად. შაჰ-თამაზი შემოვიდა საქართველოში, აიღო ციხე ბირთვისისა. საცა გასწყვიტა უველა მეციხოვნენი. აქედან გამოიარა თბილისზე, აიღო იგი, მერე შეესია ქართლს, დაიპყრო გორი და ციხენი წედისი, ვერა და ატენი. აქვე დაატყვევა ლუარსაბ მეფის დედა და და. თამაზის გულითადი სურვილი იყო დაესუტებინა ქართლ-კახეთის სამეფოები და გაეძლიერებინა იმერეთი და მის შემწეობით დაემხო ოსმალთა ძლიერება. მაგრამ სპარსეთში მომხდარ არეულობამ აღარ დაუცალა: შაჰი ყარაბაღში დაბრუნდა, და თან-წაასხა 30,000 ტყვე-ქართველი და აგრეთვე დედა და და ლუარსაბისა. საქართველოს ციხე-სიმაგრეებში ჩააყენა თავისი ჯარები და იგინი ჩაბარა შაკერდი ზიად-ოღლის, განჯის ბეგლარ-ბეგს.

ამავე ხანს ოსმალებმა წაართვეს ბაგრატს აჭარა-ლაზისტანი და ჭოროხის პირზე აშენეს ბათუმი და იმას იქით ზღვის პირზე გონია. იმერეთის მეფემ თავის მომხრეებითურთ ერთი კიდევ სცადა თავისი ღონე: დაეცა ოსმალებს, მაგრამ ამაოდ: ოსმალთ გაემარჯვათ. ბაგრატმა საათაბაგოც ყვარყვარეს შვილს ქაიხოსროს დაუბრუნა, თვითონ ყვარყვარე კი ტყვეობაში მოკვდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამავე დროს არც ქართლ-კახეთის მეფეები ეყენენ განცხრომაში. ქართლის მეფე ლუარსაბმა განდევნა საქართველოდგან სპარსეთის ჯარები. ლევანმა კი 1547 წ. სახელოვანად გაიმარჯვა ასან-ბეგზე, რომელიც შირვანის მმართველად იყო დაყენებული თამაზისაგან და ხშირად არბევდა ხოლმე კახეთს. თვით ასან-ბეგი მოკლულ და შირვანი აკლებულ და აოხრებულ იქმნა. ამის შემდეგ ორთავ მეფეთ ზირობა დასდეს, რათა ერთად ებასუხი ეგოთ სპარსთათვის. იმათ გაანთავისუფლეს თბილისი და სპარსელთ ჯარი განდევნეს და აღაოხრეს ადირბეჟანი. სამწუხაროდ ასრე კარგად დაწყობილი საქმე დიდ-ხანს არ გაგრძელდა: ლევან მეფის გული მოისყიდა შაჰის ძღვენმა და მოწყალეობამ. ლევანი წავიდა ყარაბაღს წინაშე შაჰისა (1548 წ.). იქაც ლევანმა კარგი სამსახური გაუწია შაჰს: მან მოჰკლა დერვიშ-მჰმადი, შვილი შირვანის მფლობელის ასან-ბეგისა, რომელიც აუჯანყდა შაჰსა. ლევანი დიდის სიხუქრებით დაბრუნდა კახეთში. ამავე წელს მოკვდა იმერეთის მეფე ბაგრატ III და გამეფდა იმისი შვილი გიორგი.

ყაენი ქართველ ტუტეებითურთ სპარსეთს რომ წავიდა, ლუარსაბმა შემოიკრიბა ლაშქარი და შეება აქაურ სპარსელებს. ზედი-ზედ დაამარცხა ყიზილბაშნი და წართვა მათ ყველა ციხე-სიმაგრეები, გარდა თბილისისა და გორისა. ეუწყა-რა ეს ამბები განჯის ბეგლარ-ბეგ შაკერდი ზიადოღლის, შემოიკრიბა დიდი ჯარი და გამოემართა ქართლისაკენ. ლუარსაბ მეფე მიეიდა სომხითს და დაიბანაკა გარეთს. შაკერდი ზიადოღლიც მოვიდა და შორი-ახლო მეფის ბანაკისა დადგა. მტრებმა დაუწყეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანერთს ყელყელობა. ბრძოლის წინა ღამეს მეფემ ნახა სიზმარი. გათენებისას მან მოიხმო ქათალიკოზი ნიკოლოზ, თავისი შვილები სვიმონ, დავით და აგრეთვე ყველა დიდებულნი, და უთხრა მათ: „წუხელ ვნახე სიზმარი, უსაცილოდ ჩვენ გაგვმარჯვება წინამდგომარე ომში და მტერნი დამარცხდებიან. ამ ომშიავე მე მომკვლენ და ჩემს მომკვლელსაც ქართველები მოჰკვლენო“. მერე უფროსს თავის შვილს სვიმონს მოჰკიდა ხელი და სთქვა: „ხელმწიფობას ამას ვაძლევ და კიდეც ღირსიაო“. ყველამ სვიმონს დაუკრა თავი და ყველანი ეამბორნენ მას ხელზე, ხოლო ქათალიკოზმა აკურთხა იგი. ამის შემდეგ ლუარსაბი შეეკედრა ქართველებს: სპარსელებს რომ შემუსრავთ, მერე ჩემი გვამი წაასვენეთ მცხეთას და იქ დამარხეთო. ამ სიტყვაზედ ყველანი ატირდნენ და მეფეს ურჩიეს: „რადგან მაგისთანა სიზმარი გინახავს, მტერს ნუღარ შეებმით და გაუშორდეთო“. მეფემ პასუხად სთქვა: აქნობამდის არც ხონთქრისა და არც ყაენისათვის ზურგი არ შემიქცევია და ახლა ერთ ვიღაც ყაჯარს (ზიად ოღლი ყაჯარის გვარისა იყო) როგორ გავექცეო“.

ამის შემდეგ ლუარსაბმა ჯარს წაუმძღვარა სვიმონი და თვითონ კი ქათალიკოზითა და თავის მცირე ამალით უკან დადგა. სვიმონმა თავის ჯარის ერთი ნაწილი სოფარში დამალა, სოლო დანარჩენით შეება მტერს. ომი რომ გაცხარდა, ქართველებმა გაბგებ უკან დაიწიეს, ვითომ შეშინებულებმა, სპარსელებს ეგონათ ეს არის გაიმარჯვეთო, და იმედიანად შემოუტიეს ქართველებს. ამ დროს სვიმონის დამალული რაზმი თავს დაეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხა სპარსელებს, რომელნიც აირიკნენ, ბირი ეჭიდ-ნეს და გაიქცნენ. სვიმონი დაეწია მათ და მუსრი გაავლო. თვით შაჰვერდიმ კი გაასწრო და სიკვ-დილს გადურჩა. სვიმონი რომ მტერს სდევნიდა, ერთი დასტა მტრის ჯარისა მაჰმად სულთნის მოთავეობით შეიმალა ტყეში და შეუნიშნავად გაპარვას შეეცადა. ამ დასტამ თვალი შეასწრო ლუარსაბის ამალას. თვით სულთან მაჰმადმა იცნო მეფე და შეუტია მას. გაიმარ-თა სასტიკი ბრძოლა. ლუარსაბს დაემტვრა ყველა საო-მარი იარაღი. ამასობაში მტერი იძლია და გაიქცა. მე-ფე გამოეკიდა, დაეწია, გაჭენებული ცხენით დაეძგერა მაჰმად სულთანს და ცხენიანად ძირს დასცა იგი. მერე სხვებსაც დაედევნა და ცხენის ძგერებით იბრძოდა. ბო-ლოს... მეფის ცხენს ფეხი მიწის ნასკდომში ჩაუვარ-და და მხედრითურთ გაიშხლართა იქვე. ერთი სპარ-სი—ზაქირი მიჰვარდა მეფეს და მახვილი დასცა. მე-ფის ამალის კაცებმა ზაქირი მოჰკლეს და ბევრი სხვა სპარსელიც გაულიტეს. მამის უბედურების ამბავი რომ მი-ესმა სვიმონს, სპარსთა დევნას თავი ანება და მამასთან მოიჭრა. შესწუხდნენ ქართველნი. ლუარსაბმა მალე სული განუტევა. მისი გვამი წამოასვენეს მცხეთას და დაასაფ-ლავეს სვეტი-ცხოვლის ტაძარში (1557 წ.)

ამავე ხანს მეფე ლევანმა მოიწვია რუსის ჯარი და ჩააყენა კახეთის ციხეებში. ამისთვის დიდად გაუწყრა შაჰ-თამაზი. შეშინებულმა ლევან მეფემ რუსნი რუსეთსვე გაისტუმრა.

რუსეთი. ბიზანტია რომ დაიმხო (1454 წ.) და აგრეთვე ტრაპეზუნტი (1462 წ.), საქართველომ უნებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიად თვალი მიაპყრო ჩრდილოეთს, საქრისტიანოდ ბერ-
სეთს. ამ რუსეთის უფრო ახლო მომიჯნავე იყო კახე-
თის სამეფო და ამიტომაც პირველად კახთ მეფეებმა
მიჭმართეს რუსთა ხელმწიფეს შემწეობის სათხოვნელად.
აქედგან მოელოდნენ იგინი იმ გვარსავე შემწეობას, რა-
გვარსაც ქართველნი ჩვეულნი იყვნენ ბიზანტიისაგან. ამ
მიზნით მოციქულები გაიგზავნა რუსეთს პირველად კა-
ხეთის მეფე ალექსანდრესაგან (1492 წ.) და შემდეგ ლე-
ვანისაგან (1558 წ.). ხოლო რუსეთს ამ დროს არ შეჭ-
წეოდა იმდენი ძალ-ღონე, რომ ქართველებისათვის შემ-
წეობა აღმოეჩინა. მართალია, იოანე გროზნის ამ დროს
უგზე შეემუსრა მონგოლთა სამეფონი: ყაზანისა (1552 წ.)
და აშტარხანისა (1556 წ.), მაგრამ, მიუხედავად ამისა,
თათრნი ისევ მძლავრობდნენ რუსეთში, ყირიმის თა-
თრნი მოსვენებას არ აძლევდნენ რუსთა სახელმწიფოს.
ამავე იოანე გროზნისავე დროს ეს ყირიმის თათრნი შე-
ესივნენ რუსეთს, დაიპყრეს მოსკოვი ლ დასწვეს (1571 წ.),
გასწყვიტეს იმდენი ხალხი, რომ დახოცილთა გვამე-
ბით აივსო მოსკოვ-მდინარე ლ ამას გარდა თათრთაგან
ტყვეთ წაყვანილ იქმნა 100000-ზედაც უმეტესი კაცი. ას-
რე შეწუხებული იყო თვით რუსეთი მაშინ, როდესაც
ლევან მეფე აქედგან მოელოდა შველასა და ითხოვდა
ჯარს. ლევან მეფემ რუსთა მეშველი რაზმი რომ მალე
უკანვე გაისტუმრა, ამის უმთავრესი მიზეზი უნდა ყო-
ფილიყო მათი რიცხვის სიმცირე. ეს რაზმი ისე ცო-
ტა ეჩვენა მეფეს, რომ მათ შემწეობით წინ ვერ დაუდ-
გებოდა სპარსეთის ძალერ ლაშქარს. რუსეთს კი ჯერ
არ შეეძლო მოეშველებინა დიდი ჯარი. საქართველოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეფოებისა და სამთავროებისთვის თრიად ხელ-საყრელი იყო ერთმანერთის დაასლოკება და მეგობრობა; ამ გვარ მეგობრობას არავინ დაეძებდა სამწუხაროდ.

ამავე უამს ეკუთვნის გრიგოლ სამთავნელის დადგენილობა (გუჯარი 1549 წ.): თავად-აზნაურთ წირვისა და ბანაშვიდის გარდახდევინებისათვის ეკკლესიას უნდა შესწირონ ცხენი და იარაღი; კაცის-მკვლელმა უნდა გადიხადოს ეკკლესიისთვის 5 ხარი, ცოლის განტევებისათვის 5 ძროხა; ქადაგი და მისანი ცხვირით გასეიბრდეს, თუ კი შეინანებს—ორი ძროხა გადახდეს; თუ ვინმე დადადოს მკითხავები და კუდიანები, ეკკლესიისთვის გადიხადოს 4 ძროხა, დადადულმა კი ერთი ძროხა; გაუთხოვარ დედაკაცის მტაცებელს გადახდეს ორი ძროხა, გათხოვილისას—ოთხი. ღვდელს, რომელიც ამათ დასწერს ჯვარს, აეხდება ხარისხი, ხოლო თუ შეინანებს, გადახდება 3 ძროხა; რომელნიც ნათესაობრივ კავშირს შებილწავენ, ჩაიქოლონ. ღვდელს ქურდობისა და იარაღის ხმარებისათვის აეხდება ღირსება, თუ კი შეინანებს, გადახდება 3 ძროხა; ღვდელს, რომელიც საეკკლესიო წესებს აღუსრულებს ეკკლესიისაგან განყენებულს და შეჩვენებულს, აღეხდება ღირსება; ღვდელს, რომელიც სომხის სარწმუნოების კაცს ან გაუნათლავს სახლს და ან აღუსრულებს საეკკლესიო წესებს, გადახდება 3 ძროხა; როდესაც ქართველი ირთავს სომხის ქალს ანუ ქართველი ქალი სომეხს, ღვდელი მოკვლეა სომეხი (კაცია და ქალიც) ქართულად მონათლოს, ხოლო თუ ამას არ იზამენ, ღვდელმა შეულოცების ნება არ უნდა მისცეს, რადგან იგინი

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დაისაჯნენ საეკლესიო სასჯელით. ვინც ეკლესიანებს თვისის დაწინდულ საცოლეს სიწმინდაკეს, დაისჯება 3 ძროხის გადახდეკინებით; ვინც მარხვას გასტეხავს, გადახდება 2 ძროხა. ღვდელს, რომელიც ეკლეიის გარედ შეასრულებს ნათლობის წესს უემბაზოთ, ადეხდება ხარისხი, თუ კი შეინანებს, გადახდება 3 ძროხა.

მეფენი

ქართლისა	სვიმონ I	(1558—1600)
	დაუთ-ხან	(1569—1578)
	გიორგი X	(1600—1605)
იმერეთისა	გიორგი II	(1548—1581)
	ლევან	(1581—1590)
	როსტომ	(1590—1605)
კახეთისა	ალექსანდრე II	(1574—1605)

სვიმონი მეფედ ეკურთხა მცხეთაში. ამ დროს იგი იყო ოცი წლის ვაჟკაცი. მან შემოიკრიბა ჯარი და შეუდგა ქართლიდამ სპარსთა გაძეკება—გარეკას. ქართველნი მამაცურად იბრძოდნენ უველგან. მალე წაართვეს მტრებს გორის ციხე და მრავალი სხვა სიმაგრეები; თბილისი კი ვერ აიღეს, რადგან ძლიან გამაგრებული იყო სპართაგან. გამარჯვებულმა სვიმონ მეფემ შეირთო კახთა მეფის ასული ნესტან-დარეჯან (1559 წ.) და დადგა სატახტო ქალაქ გორს. ამ სიხარულის დროს მეფეს ისევ სამშობლოს განთავისუფლება ახსოვდა. იგი სწუხდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ თბილისი მტრებს ეჭირათ. მეფის წუხილში მონაწილეობას იღებდა აგრეთვე ეველა ქართველი და უფრო მეტად კი არჩილ მუხრანბატონი. იგი თავის გუნდით ეკირთებოდა თბილისს და მის არე-მარეს და სიტოტხლეს უმწარებდა სპარსელთ. ხან აქ, ხან იქ თავს ესხმოდა მოულოდნელად და ყლეტავდა. საუბედურად ამ გულად მამულის შვილს საფურცლეს დაუმარცხდა. იგი შეიპურეს ტოლ-შვილით ჯ წარგზავნეს სპარსეთს (1560 წ.)

მეორე წელიწადს სვიმონმა შემოიკრიბა ჯარი და დადგა ციხედიდს (ძეგვთან). მას მოეშველა ტოლის ძმა გიორგი. სვიმონს აზრად ჰქონდა დასცემოდა თბილისს, რომლის მცველებსაც მალე შემოუერთდა განჯის ბეგლარბეგი შაჰვერდი ზიადოღლი. ეს სპარსელნი უგრძნეულად დაეცნენ ქართველებს ციხედიდს. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. ქართველები დამარცხდნენ და გაიქცნენ. მოკლულ იქმნა სვიმონის ტოლის ძმა გიორგი. გამარჯვებული შაჰვერდი ისევ თბილისს დაბრუნდა. სვიმონი გორს მიეიდა.

სვიმონის დამარცხებით ისარგებლა მისმა ძმამ დავითმა. მან მიიმხრო სომხითის დიდკაცობა, წავიდა სპარსეთს და შაჰ-თამაზს მოახსენა: «მაჰმადს ვირწმუნებ, თუ ქართლის სამეფოს მე მომცემო.“ ეაენს დიდად ეამა. გაუმართა მეჯლისი. თავის გვერდს დაისვა. მისი მხლებელნიც მიიწვია. დავითი გამაჰმადიანდა და მასთან მისული თავად-აზნაურნიც. ეაენი სიხარულით ფეხზედ ადარ იდგა. დავითს თავის შვილად ჰხადიდა. უწოდა მას დაუთხან, უბოძა 2000 თუმანი, კაბა, სარტყელი, სიასამურისტყავი, თაჯი, ხმალი, ხანჯალი, მარგალიტის სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუსარი, ოქროთი დაკაზმული ცხენი, ოქროს სუნაფი
თასი. დაჯილდოვა აგრეთვე ქართველნი თავად-აზნაურ-
ნი. დაუთხანს მიეცა ქართლის მეფობა და დიდი ჯარი
ამ სამეფოს დასაპყრობად. ამასთანავე ყაენმა განჯისა და
ყარაბაღის ხანებსაც უბრძანა მიშველებოდნენ დაუთხანს.

ამნაირი ძალით დაუთ-ხანი წამოვიდა თავის ძმის
სვიმონის შესამუსრავად, მაგრამ სვიმონმა ორჯერ ზედი-
ზედ დაამარცხა იგი. მაღე დაუთ-ხანს მიემხრო დაღის-
ტნის შამხალი. გაძლიერებულ დაუთ-ხანს სვიმონი ისევ
შეება სოფელ ფარცხისთან. მტრებზე გამარჯვება სვი-
მონს არ დაუცალა ქვეყნის მოღალატე კახბერ ყორღა-
ნაშვილმა, რომლის ჯაშუშობით, გაცხარებული ომის
დროს, სპარსელთ დაიჭირეს სვიმონი და წარგზავნეს
სპარსეთს. თამაზმა ჯერ ალერსიანად მიიღო, მაგრამ რო-
დესაც სვიმონმა გამაჭმადიანებაზე უარი უთხრა, იგი ალა-
მუტის ციხეში დაამწყვდია.

დაუთხანი დაჯდა მეფედ (1569 წ.). ქვეყნის წე-
სიერად მმართველსა და პატრონობას იგი სრულიად ყურს
არ უგდებდა. ზოგი ერთი თავადები მის დროს მეტად
გაძლიერდნენ ჯ გათამამდნენ. იგინი ისაკუთრებდნენ სა-
მეფო მიწა-წყალს და ქონებას. სიდამონ სიდამონიძემ
ამოყლიტა თავადნი ბაზღიძენი და შეიქმნა არაგვის ხეო-
ბის ბატონად. თვით დაუთხანი დაემოყვრა ელიზბარ ქვე-
ნათელაველს და ქსნის ხეობის ერისთაობა მისცა.

დაუთხანის დიდი მოწინააღმდეგე იყო სპასპეტი
სარინო ბარათაშვილი, კაცი ფრიად კეთილი. ამ ბარა-
თაშვილმა კახბერ ყორღანაშვილს სამაგიერო გადუხადა
ჯაშუშობისა და ქვეყნის მოღალატეობისათვის. კოჯრიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მომავალი ყორღანაშვილი შეიპყრო და გელოყარის კლდეზედ გადაგდო და თანაც მიაძახა: „უკეთუ კეთილ-არს გაცემა ქვეყნისა და მეფისა, იხილე აწ შენცა“. ეს ამბავი ხალხმა რომ გაიგო, გამოსთქვა: „ყორღანასძე ქარათურიანდა, ხელი ჰკრეს და გადათურიანდა.“

ამ დროს კახეთიც მშვიდობიანად არ იყო. აქ მოკვდა მეფე ლევანი ლ ქვეყანას დაუპატრონდნენ მისნი ძენი: ელი-მურზა, ხოსრო და ვახტანგი. მაგრამ ალექსანდრე, ლევანისაგე ძე, ნაშობი მისის ბერეკელი ცოლის თინა-თინისაგან, წამოედავა ძმებს, დაუთხანის შემწეობით დაეცა მათ თორღას, დაამარცხა, დახოცა და თვითონ გამეფდა (1574 წ.). ეს ალექსანდრე დიდად მტრობდა სვიმონის ცოლს ნესტან-დარეჯანს, ღვიძლ დას თავის ძმებისას. ალექსანდრეს ჩაგონებით მისი სიმამრი ბარძიმ ამილახვარი და ქსნის ერისთავი ელიზბარ თავს დაესხნენ ნესტან-დარეჯანს, კავთის-ხევს, და აიკლეს მისი სარჩო-საბადებელი. ეს ამბავი ხალხმა რომ გაიგო, გამოსთქვა: „ვაჲ სვიმონ მეფის საქონელსაო“.

ეს ალექსანდრე მეფე დიდი მოსარჩლე იყო შაჰ-თამაზისა და მისი ყურ-მოჭრილი ყმა. ამიტომაც ყაენი სწყალობდა ამ მეფეს. ეს იყო მიზეზი, რომ სპარსელნი გავიდნენ კახეთიდამ. ქვეყანამ ძლივს თავისუფლად ამოი-სუნთქა. ალექსანდრე ბეჯითად შეუდგა კახეთის შენებას და აღორძინებას. მაღე დროში ისეთი უშიშარი და მშვი-დობიანი შეიქმნა ეს ქვეყანა, რომ ტანჯულნი და დევ-ნულნი ქართლ-სასათბაგო-იმერეთიდამ აქ მოდიოდნენ და აქვე სახლდებოდნენ სამუდამოდ.

კახეთის სამეფო რომ სტკბებოდა მშვიდობიანობ-ითა და წესიერებით, ქართლის სამეფო-კი უგუნურ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უთხანის ხელში იწიწკნებოდა და იტანჯებოდა. ხალხს მეტად სძულდა თავისი მეფე. წარჩინებულნიც აბეზარს მოსულიყვნენ მისგან. მარჯვე დროს ელოდნენ, რომ იგი ტახტიდამ ჩამოეგდოთ. ეს დროც მოვიდა: თამაზი მოკვდა და სპარსეთში აჯანყება მოჰხდა.

სპარსეთის არეულობით ისარგებლა აგრეთვე სულთან მურად III-მ, რომელმაც ლალა-ფაშის წინამძღოლობით 15,000 კაცი გამოგზავნა საქართველოში. ლალა-ფაშამ დაიჭირა თავრიზი, ერევანი და განჯა. სამეფოს აუკლებლობა ბირობად დაუდო და კახეთის მეფეც წაიყვანა შირვანს. დაიბურო შირვანი და მერე მოვიდა და აიღო თბილისიც. დაუთხანი მიიმალა მთებში.

უმეფოდ დარჩენილნი ერისთავნი მუხრან ბატონის თავმჯდომარეობით შეიყარნენ და ზავი შეჰკრეს ლალა-ფაშასთან, რომელიც, გაამაყებული თავის ძლევა-მოლებით, ახლა წავიდა იმერეთის დასაბურობად. აქ დაუმარცხდა და ისევ თბილისისკენ დაბრუნდა. ქართველები შეებნენ ჯ გაემარჯვათ. ლალა-ფაშა გაიქცა შირვანს, შემოიკრიბა დიდი ჯარი ჯ ისევ მალე მუხრანში დაიბადა.

ამასობაში სპარსეთის არეულობაც დაბოლოვდა. გახელმწიფდა ხუდაბანდი. ამან გაანთავისუფლა სეიმონი, ისევ ტახტი დაუბრუნა, მისცა ჯარები, ფული, გამოგზავნა საქართველოში და დაავალა ოსმალთ გაძევება ქართლიდამ. სეიმონი მოვიდა, სომხითში დადგა და მოიწვია ქართველნი სამშობლოისა და ჯვარის დასაცველად. ქართველნიც შეუერთდნენ. სეიმონი დაეცა ოსმალთ, დამარცხა იგინი და განდევნა გორიდამ, მერე აიღო ოსმალთ უმთავრესი ქალაქი თბილისი. ლალა სამცხიდამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთში გაიქცა. დაუთხანიც კონსტანტინოპოლში ვიდა და იქვე მოკვდა.

სვიმონი გამეფდა. მან დაიწყო ქალაქებისა და ციხეების შენება. აწიოკებული და ტანჯული ხალხი დაამშვიდა. მაგრამ ქართლის აღორძინება დიდხანს არ გაგრძელებულა. კახეთის მეფე ალექსანდრე იდუმალად დაეცა დილომში მყოფ მეფეს და დაამარცხა იგი. სვიმონმა ძლივს იხსნა თავი და მთებში მიიმალა. ალექსანდრემ აღადგინა ქართლი, გადასწვა მინდორ-ველახები, ბევრი ქართველი დაატყვევა და ბევრნიც სტანჯა. სვიმონ მეფემ ხელდახელ შეჰყარა ჯარი და დაეცა ალექსანდრეს ჭოტორთან. შემუსრა იგი და წაართვა ყველა თვისი ნიგოები და ტყვენი. ალექსანდრე გაიქცა და მალაროში დადგა. ბოლოს ეს მეფენი შარიგა სვიმონის ნათესავ აშოთანმა.

იმერეთშიაც მშვიდობიანობა არ იყო. გიორგი გურიელი გაეყარა თავის ცოლს დადიანის ასულს და შეირთო მეფე გიორგის ასული. დადიანს ეს ეწყინა და ჭილაძეების დახმარებით დაეცა მეფეს იანეთში, მაგრამ იძლია. დადიანი გაიქცა ოსმალეთში, მეფემ კი დაიჭირა სამეგრელო. სულთანს გაუსარდა დადიანის მისვლა და ტრაპეზუნტისა და არზრუმის ჯარებით გამოგზავნა იმერეთში. გურიელი იძულებული შეიქმნა 10,000 დრაჭკანი მიეცა დადიანისათვის და შერიგებოდა. გურიელისაგან გაშვებული დადიანის ქალი შეირთო ბაგრატმა, გიორგი მეფის ძემ.

ესრე სამიკე სამეფოებში სანატრელი მშვიდობიანობა არ ჭსუფევდა. მუდამ ომიანობის ამბავი ისმოდა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან ერთი კუთხე საქართველოისა იწიწკნებოდა, ხან მეორე, ხან მესამე.

ჯერ სამი წელიწადი არ შესრულებულ იყო ლალავაშის განდევნის შემდეგ, რომ ისევ ოსმალეთის ახალი ჯარი სინანაოვაშის წინამძღოლობით შემოერტყა თბილისს, აიღო იგი (1581 წ.) და თვისი ჯარით დაბანაკდა სოფელ მუხრანში. ამავე დროს სინანა-ფაშის მომხრენი: მეფე იმერთა გიორგი, დადიანი და გურიელი შემოვიდნენ ქართლში. ოსმალნი სვიმონმა დაამარცხა და თბილისში შერეკა, იმერლებს შეუკრა გზა. იმერლებმა ზავი შეჰკრეს სვიმონთან და დაბრუნდნენ. მეფე გიორგი ამის შემდეგ მალე მოკვდა (1585 წ.) და იმერეთის ტახტი დარჩა თორმეტი წლის ლევანს, გიორგის შვილს.

სვიმონს მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდა გაენთავისუფლებინა სამშობლო ოსმალთაგან. ამიტომაც იგი დუმეგობრდა სამცხის ათაბაგ მანუჩარს და მიათხოვა მას თავისი ასული ელენე. სიძის შემწეობით სვიმონი შემოერტყა თბილისს, დაამარცხა ოსმალნი და განდევნა. (1583 წ.). სვიმონმა აგრეთვე წაართვა ოსმალთ სამშვილდე და ლორი.

ოსმალთა სულთანს რომ მიუვიდა საქართველოს ამბები, ფრიად განრისხდა და დიდძალის ლაშქრით გამოგზავნა ფერად ფაშა. ამან აიღო ლორი და ხატის სოფელში დაიბანაკა. სვიმონის ჯარი ხრამის პირას დადგა. ბრძოლის წინად სვიმონმა დიდი გამბედაობა გამოიჩინა. ოსმალების ფაშასთან მივიდა, სვიმონ მეფის მოციქულად მოველი შერიგების შესახებ მოსაფარაკებლად. ფაშამ ვერ იცნო, კარგად მიიღო და პატივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაისტუმრა. სვიმონის აზრი ის იყო, რომ დაეთვალიერებინა ოსმალთა ბანაკი და გაეგო მისი ავ-კარგი. რა ნახა ყოველივე ეს თავის თვალით, მეორე დღესვე თავს დაესხა ოსმალთ, მუსრი გაავლო მათ, აიღო მათი ბანაკი და დიდის ალაფეით თბილისს დაბრუნდა. მერე მიუხტა დბანისსაც და მთელი ეს ხეობაც დაიპყრო. ოსმალნი მალე გაძევებულ იქმნენ საათაბაგოდამაც.

სამცხიდამ მეფე სვიმონი გადავიდა იმერეთში, სადაც მას მიემხრნენ ზემო-იმერეთის ბატონები. ლევან მეფე შეებრძოლა სვიმონს, მაგრამ დამარცხებულ და ლეჩხუმში განდევნილ იქმნა. სვიმონმა გამოართვა მძევლები იმერლებს და ქართლში მოვიდა. ლევანი კი ქუთაისს დაბრუნდა და სვიმონის მომხრე დადიანზე გაილაშქრა, მაგრამ დაუმარცხდა. დადიანმა დაატყვევა ლ შხეფის ციხეში დაამწყვდია. აქვე მოკვდა ლევანი ლ, დადიანის სურვილისამებრ, იმერეთში გამეფდა როსტომი (1590 წ.), შვილის შვილი ბაგრატ III.

გამეფდა თუ არა როსტომი, მისი მწე და მფარველი მამია დადიანი მოკვდა და გადადიანდა მისი ძმა მანუჩარი, რომელიც აგრეთვე კარგი მეგობარი იყო როსტომისა. მაგრამ გურიელმა როსტომის მაგიერ მოინდომა გამეფება ვახტანგის შვილის-შვილის ბაგრატისა. ოსმალთა ჯარების შემწეობით გაამეფა კიდეც. ჩიჯავაძეებს ჩაძოართვა საჩინო, რადგან ისინი ბაგრატს არ ემორჩილებოდნენ და მისცა მეორე ჩიჯავაძეს.

ამისთანა უთავ-ბოლობისა და შფოთისა გამო ქართლის მეფე ხელ-მეორედ შევიდა იმერეთში, აიღო ქუთაისი, განდევნა გურიის ჯარი, ჩააყენა იქ თავის მმართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველები, და თვითონ კი დაბრუნდა. მაგრამ როსტომმა დადიანის შემწეობით ისევ განდევნა სვიმონის ჯარი და მმართველები.

ამის გამო მეფე სვიმონი მესამედ შევიდა იმერეთში, აიღო სკანდე, კაცხი, სვირი და ჭუთაისი. როსტომი გაიქცა ოდიშში მანუჩართან. სვიმონი დაედევნა მას, რადგან უნდოდა იმერეთ-ქართლის შეერთება, მაგრამ სოფელ ოფეიშკვეტთან დაუმარცხდა (1590 წ.) და ქართლს გამოიქცა. მოწინააღმდეგეთ დარჩათ სვიმონის ზარბაზნები და ალაფი.

დამარცხებული სვიმონ მეფე იმერეთიდგან ქართლს მოვიდა მარტოდ-მარტო. მისი ჯარი მოჰყვანდათ მის სარდლებს. მეფე იჯდა თავის საყვარელ ცხენ შურდანზედ. მან გამოიარა კოლბეურზედ და მოვიდა კავთისხევს ღამე. ფრიად დამაშვრალ მეფემ ღამის სათევად ბინა სთხოვა ქვლიეიძის მეუღლეს. ამ ქალმა, რომლის ქმარიც მეფეს გაჰყოლოდა იმერეთის ომში, ვერ იცნო სტუმარი. სუფრა რომ გაუშალა, ჰკითხა: „მეფე რას იქს, როგორ მშვიდობით გადურჩა ომსაო“. სვიმონმა მიუგო: „არა ვიცი რაო.“ — ნეტა ჩემი ქმარი-და როგორ არისო, ვეღარ შეეკითხა დედაკაცი. მეფემ უპასუხა: „არა ვიცი-რა თუ რა შეემთხვა მეფის ლაშქარსაო“. მაშინ დედაკაცმა სთქვა: ნეტა ღმერთმა მისცდოს მეფეს წყალობით და გვეღირსოს სვიმონის ტოტსლობით გამოსვლა ჯ სხვანი ეგელანი მისი ჯირის სანაცვლონი იყვნენო.“ მეორე დღეს სვიმონი ქალაქისკენ წავიდა. ამ დედაკაცმა მაშინ შეიტყო თავის სტუმრის ვინაობა, როდესაც მეფემ მისი ქმარი გააზნაურა და უწყალობა ყმა-მამული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის იმერეთის ომში ყოფნის დროს ოსმალნი ლორის ციხიდან შემოესივნენ ქართლს, აიკლეს იგი და გორი გაამაგრეს. სვიმონმა ზავი შეჰკრა როსტომ მეფესთან, დაიბრუნა იმერეთიდგან თვისი დატყვევებული მეცისოვნეები და ისევ შეუდგა ჯარის შემოკრებას. მერე მიუხტა ლორეს, დაამარცხა ოსმალნი და აიკლო ეს ციხე-სიმაგრე. ასლა ოსმალთა ხელში იყო მარტო გორი. მეფე გაეშურა ამ ქალაქის ასაღებადაც. სვიმონმა იერიში რომ მიიტანა ქალაქზე, ოსმალთ ზარბაზნები დაუშინეს და უკუ-აქციეს. მეფე აკიდა გორის-ჯვარს და იქ დადგა. აქ რომ იყო, ერთხელ სადილის დროს ღვინითა და თრიაქით გამხიარულებულმა მეფემ უთხრა თავის მსლებლებს: „გორის ბაღებში მწვანილს ვხედავ, მისი ჭამა მინდა და მომტანი კი არავინ არისო.“ სვიმონის რაზმი დაეშვა მთიდამ, შეტვიედა ბაღებში და იწყო მწვანილის კრეფა. ოსმალთ ზარბაზნები დაუშინეს. სვიმონის რაზმიდგან ბევრი დახოტეს, სხვათა შორის მოკლეს მეფის ბაბის ძმისწული გოჩაც. დანარჩენი მეფეს მიუტანეს მწვანილი. ამის შემდეგ სვიმონს ოსმალებმა უწოდეს დელი-სიმონ (გიჟი-სვიმონ). ამ დელი-სიმონმა 1598 წ. გორს გარს შემოარტყა თავისი ჯარი და ცხრა თვის ბრძოლის შემდეგ აიღო ეს ციხე, ოსმალნი დატყვევა, მათვე ციხის კედლები დაანგრევინა, დანგრეული ციხის ქვები ზურგით მტკვრის პირას ჩაატანინა და წყალში გადააყრევინა. ამის შემდეგ იგინი გაუოტა, ხოლო მათი ცოლ-შვილი ქართველებს დაურიგა.

განძვინებულ ხონთქარმა სვიმონ მეფის დასასჯელად ჯათვარ თავში გამოგზავნა. მას ჰყვანდა 20,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეომარი, აღჭურვილი წერაქვებითა, ბარებითა, ცულებითა და სხ. იარაღით. ჯვთვარ თვაშა მოვიდა და დადგა ნახიდურს. მის ზირის ზირ სალიარაშენს დაიბანავა სვიმონმა. სამი დღე ასრე იდგნენ ერთმანერთის შემაცქერალნი. ბრძოლის წინად სვიმონმა განიზრახა მტრის ბანაკი დაეთვალიერებინა. ათი ცხენოსანი და ერთი მებუკე წაიყვანა, მიავიდა ნახიდურის თავს და გადახედა მტრის ლაშქარს. რომ შეეტყო მათი მზადყოფა, მებუკეს ბუკი დააყვირებინა. ამ ხმაზედ ოსმალნი ფიცხლავ აიშალნენ: ეგონათ ქართველები დაგვესხნენო. მეფემ მოჰკურცხლა თავის ბანაკისკენ. მას მდევარი გამოეკიდა. მეფის გაჭენებულ ცხენს ლიაში ფეხი ჩაუვარდა. მდევარნი დაეწიენენ, შეიპყრეს სვიმონი და ჯვთვარს მიჰგვარეს. გახარებულ ჯვთვარ თვაშამ მეფეს თავი დაუკრა და მერე სტამბოლში გაგზავნა. ქართველნი სვიმონის შვილის გიორგის მოთავეობით გამოეკიდნენ ოსმალთ, მაგრამ ისინი ლორეში შეტვივდნენ.

სვიმონის დატყვევების ამბავი რომ მიუვიდა ხონთქარს, დიდი შადღუხი გადიხადა და გასცა ბრძანება მის სასელმწიფოს ყველა ქალაქებში ქუჩები მოერთოთ და სამი დღის განმავლობაში ეუქმათ და ემხიარულათ. მალე თვით სვიმონიც მიიყვანეს სტამბოლს. ხონთქარმა მას უთხრა: თუ დამემორჩილები და ხარჯს მომცემ, ისევ მეფობას დაგიბრუნებო. სვიმონმა დამორჩილებაც და ხარჯის ძლევაც უარყო. რისგამო იგი დააბატიმრეს შვიდ-კოშკიანს ციხეში. მის მაგიერ ქართლში გამეფდა გიორგი.

გიორგი მე X-ს გულითადი სურვილი იყო გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისუფლებინა თვისი მამა. სულთანი ამისთვის ბრ-
ხოვდა ხარჯს მთელი ქართლიდამ და ზოგიერთ ცი-
ხებს. სვიმონმა ეს არ ისურვა და სასყიდლის ერთბა-
შად გადახდა მოინდომა. სულთანი ამ პირობაზე ბო-
ლოს დათანხმდა. მოტიქულებმა თუული რომ წაიღეს,
სვიმონი უკვე გარდაცვლილ იყო *). სულთანმა თუული
მაინც გამოართო და მოტიქულებს მისცა მეფის გვამი,
რომელიც მოიტანეს და მცხეთაში დამარხეს.

ასრეთი იყო გაკლენა ოსმალთა საქართველოზე მა-
შინ, როდესაც სპარსეთის ტახტზე აღვიდა შაჰ-აბაზ I,
დიდი. მას თვიქრადაც არ მოსდიოდა საქართველოს და-
ტოვება ოსმალთათვის. 1601 წ. საქართველოს დაპყ-
რობისათვის ასტუდა საშინელი ომი ოსმალთა და სპარს-
თა შორის. აბაზმა მიიწვია ქართლ-კახეთის მეფენი და
შემოერტყა ერევანს, რომელიც ოსმალთ ეჭირათ. ქალა-
ქის ასაღებად პირველად იერიში მიიტანეს ქართველებმა
და შეტვიდნენ შიგ. ამათ მიჰყვნენ სპარსნი. ერევანი აიღეს
და მისნი მცველნი ამოსწყვიტეს. ამის შემდეგ გიორგი
მეფეს უთხრა ყაენმა: „მართალია, ხონთქარი ჩემი მტე-
რიც იყო, მაგრამ უფრო მეტად შენი. და რადგან იგი
იძლია ჩემი ძალით, ამიტომ ჯილდოდ უნდა მომცე
ლორე ბერდუჯის ხეობიანად.“ მეფე იძულებული იყო მი-
ეცა, რადგან შაჰ-აბაზი ძლიერი იყო და ამასთან ლო-
რის გამაჰმადიანებულ ერისთავს აღარ სურდა ქართლის
მეფის მორჩილებაში ყოფნა. ლორის დათმობისათვის
ყაენმა მეფეს დაუნიშნა ყოველწლივ 300 თუმანი, რომე-

*) ზოგი ერთნი სწერენ მოსწამლესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიც მას უნდა მიეღო სპარსეთის საზღვიდამ. ამავე დროს ყაენმა კახეთის მეფეს ჩამოართო კაკ-ელისენი (საინგილო) ⁄ ამის მაგიერ ოთხელ წლიც დაუნიშნა ჯილდოდ 700 თუმანი.

ამის შემდეგ ქართლ-კახეთი დაემორჩილა შაჰ-აბაზის ხელმწიფებას. მაგრამ ეს ხელმწიფება იუკადრისეს ჩვენმა მეფეებმა და ამიტომაც მიჰმართეს რუსეთის ხელმწიფეს და სთხოვეს მფარველობა და შემწეობა. მანაც აღუთქვა. მაგრამ ამით უფრო გაარისხეს აბაზი და უფრო მეტ განსაცდელში ჩაგდეს სამეფოები.

კახეთის მეფის ალექსანდრე II შვილ დავითმა, შაჰის ჩაგონებით, შეიპყრო თვისი ძმა გიორგი და დაწყვდია თორღას ციხეში, სოლო თორმეტნი მისნი მოამხრენი გადმოჰყარა ჭოეთის ციხიდამ და სხვანი პატიმარ-ყო. მან შეიპყრო აგრეთვე თვისი მოხუცებული მამაც და დაამწყვდია. ასრე გამეფდა კახეთს ეს დავითი, კაცი ამაყი, ლაღი, მრისხანე. მას ცოლად ჰყვანდა მუხრანბატონის ასული ქეთევან, რომლისაგან მიეცა ერთი ვაჟი — თეიმურაზ. დავითმა იმეფა მხოლოდ ექვს თვეს და მოკვდა (1603 წ.). მისი შვილი თეიმურაზ წარგზავნეს სპარსეთს. ამ დროს იქვე იყო ალექსანდრე მეფის შვილი კონსტანტინე, რომელსაც მიეღო მაჰმადიანობა. ყაენმა მისცა მას მეფობა კახეთისა და დიდის ჯარით წარმოგზავნა. კონსტანტინე მოვიდა ბაზარს (ზაქათალის მაზრის სოფელია) და მიიწვია თავისი მამა და ძმა გიორგი, ვითომ კეთილის განზრახვით, და დახოცა. შემდეგ თავის ძმის დავითის ცოლს შეუთვალა: „მე მებრძა ტახტი კახეთისა, ჩემი ძმა დავით მკვდარ არს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენ ჩემზე გამოთხოვდი". რასაკვირველია, ქეთევანმა უარი უთხრა. კახელები მეტად გაბოროტდნენ. მეფედ დასვეს ქეთევანი. მიუხტნენ კოსტანტინეს, დაამარცხეს იგი და მოჰკლეს (1605 წ.).

ქეთევანმა ალავერდის სობოროში დაასაფლავა გვამნი ალექსანდრესი და გიორგისა. აბაზს რომ მიუვიდა კოსტასნტინეს ამბავი, ვითომ გაუხარდა და ბირთვერობით სთქვა: „ეგრე ჯერ არს მამის მკვლელისათვის". კახეთის მეფობა ქეთევანის შვილს თეიმურაზს მისცა და გამოისტუმრა (1605 წ.)

სამცხე. განდგომილ ათაბაგები ოსმალთა შემოსევის დროსაც საქართველოს მეფის მხარე არ ეჭირათ. 1545 წელს ქაიხოსრო ათაბაგი მიემხრო ოსმალთა თვაშებს. იმერეთისა და ქართლის მეფენი სოხისტანს (ბასიანში) მივიდნენ და თავს დაესხნენ ოსმალთა და სამცხის ლაშქარს. მეფეებს დაუმარცხდათ და გამოიქცნენ. ქაიხოსრომ სამცხე დაიჭირა. ქაიხოსრო იყო სიძე ბირველ მუსრან ბატონის ბაგრატ ბაგრატიონისა და ცოლად ჰყვანდა მისი ასული დედისიმედი. ქაიხოსროს დედისიმედისაგან მიეცნენ ქალ-ვაჟნი: მანუჩარ, ყვარყვარე, ბექა, მზეჭაბუკ, ბასილი, თვალშვენიერ, იანქო და თამარ. „მესხური დავითნის" ქრონიკა, რომელიც ამ დროსვე შედგენილი, გადმოგვცემს:

ა) ყვარყვარემ ქორწილი ქმნა ოდიშს დადიანის ქალს მარეხთანა, რომელიც მოიყვანა სამცხეს 1565 წელს; ბ) 22 წლის მზეჭაბუკმა იქორწინა და მოიყვანა როსტომ გურიელის ასული როდამ. ეს მზეჭაბუკი მიიცვალა ამიერ სოფლით 23 წლისა. იგი იყო „ყოვლად სრული და ზნე უკლები, ღვთის მოყვარე, სრული მწიგნობარ—მგალობელი, რიტორი, ხმა-შვენიერი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენა ტკბილი. იცოდა სპარსული წიგნი და წერა, და ენა თვთ-
რული, სპარსული და არაბული. იყო მობურთალ-მოასპარეზე.
ქვეყანასა ზედა მისებრი არ გამოჩენილა". გ) პატრონი ქაიხოს-
რო ყაზმინს წავიდა წინაშე შაჰ-თამაზისა (1570 წ.). იგი იქვე
მიიცვალა (1573 წ.). დ) ამავე წელიწადს ყაზმინს წავიდა თვალ-
შვენიერი; ე) ცამდი ამაღლებულის,.. თვალ-პირ სამოთხისა,
ლამაზად შესახედავ-წამოსადეგისა, ახლისა სამოთხის ყვავილი-
სა იანქოსაგან ღმერთი გარისხდა და აღესრულა (1575 წ.);
ვ) ჟამი შეიქმნა (1579 წ. მაისს). ბევრი გააცხელა ჩვენში და
არავის-რა დაუზიანდა. გააცხელა დედისიმედი, ბექა, ხოსიტა
ყარყვარესძე, ბასილი, რომელიც საფარას საბურთეზე გაეცხე-
ლებინა. დედისიმედი წავიდა მასთან. დედა-შვილნი ერთ კა-
რავში დაწვნენ; ზ) ქორონიკონს სჯვ (1578 წ.) მარიამობის-
თვეს ზ (7-დს), ხუთშაბათს, ხვანთქრის ლაშქარი და ლალა-
ფაშა მგელ-ციხეს მიადგეს, შეიბნეს; მეციხოვნეთა როინ გო-
გორიშვილმა, მისმა ძმამ ბერმა ერუშნელმა და ძმის-წულმა ზუ-
რაბ მტერი დაამარცხეს. იმავე თვეს მტერმა აიღო ქაჯის-ციხე,
ველი და თეთრ-ციხე. ქაჯის-ციხის მცველები მტერმა მთლად
გაჟლიტა. აიღო აგრეთვე თმოგვი, ახალქალაქი. ათაბაგი მანუ-
ჩარ მიეგება ლალაფაშას. წავიდნენ და თბილისს ფაშა დასვეს და
გორს სანჯახი. სათი-ჭალას კახ-ბატონის ლევანის შვილი ალექ-
სანდრე მიეგება ლალაფაშას და შაქ-შირვანზე წავიდნენ. დაიჭირეს
შირვანი, ციხე ააშენეს, შიგ ჩააყენეს ოსმან ფაშა და თვითონ
დაბრუნდნენ. ლალა-ფაშა მუხრანს დადგა. გორი გაამაგრა. ყა-
ენმა ხუდაბანდ ტყვე მეფე სვიმონ გაანთავისუფლა. სვიმონი მო-
ვიდა და სომხითს დადგა. ლალა-ფაშა აიყარა და იწყო მისმა
ლაშქარმა მოდენა სამცხეს. ლალა-ფაშა მოვიდა და ლეკზე
დადგა. ყვარყვარე მიეგება მას. დედისიმედი ციხიდამ გავიდა
და ლალაფაშა ნახა. ანგარიში არ იქნებოდა, რაც ლაშქრისა
და აქლემების ჯარი იყო. შაბათს ცისკრისა აიყარა და წავი-
და. ყვარყვარე თან გაჰყვა მოტყუებით და აღარ დაბრუნდა.
მანუჩარიც თან წაჰყვა. ეს ლაშქარი ათს დღეს ძლივს გაწმდა.
ამბავი მოვიდა: ყვარყვარე აღარ დაბრუნდაო. დედისიმედი წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უდგა, ჯაყამდის სდია, ვერ მიეწია; აზნაურის შვილები წაუყენ, ველარ დააბრუნვა, ისრე დედისა და ცოლშვილის გამოუსალმებელი წავიდა. ოლთისი სასანჯახოდ მისცეს. მანუჩარი აწყვერს მოვიდა. დედისიმედის ძმა ვახტანგ მეფემან სვიმონ დაიჭირა და კეხვის ციხეში ჩააგდო. ლალა-ფაშამ მანუჩარს გამოუგზავნა ლაშქარი და სანჯახები. მანუჩარი ჩაუხტა და ზემო ქართლი დაარბია. მოვიდა ამბავი: ყვარყვარე ოლთისს აღარ დააყენეს, აზრუმს მიიყვანესო. მანუჩარიც აზრუმს მივიდა (1579 წ-მარტს). ყვარყვარეცა და მანუჩარიც სტამბოლს წავიდნენ. ლალა-ფაშა მეორედ მოვიდა და კარი (ყარსი) აღაშენა. თბილისს ქალაქს ლაშქარი გაგზავნა და ნუზლი შეუტანინა. ამავე ქორონიკონს (1579 წ.) გიორგობისთვეს პატრონი მანუჩარ მოვიდა კოსტანტინეპოლიდამ, ფაშაობაჲ ებოძა ხუანთქარსა და სრულად მისი მამული. მანუჩარმან გვირგვინი იკურთხა ფებერვალსა (1581 წ.) და მეფეთ მეფის სვიმეონის ქალი ელენე მოიყვანა. ყვარყვარე, ღვთის წინაც შეურცხვენელი და კაცთანაც ფალავანი, დაეცა ხვანთქართანა და ქართველობით გამოეშვა და მარტში მობრძანდა სამცხეს. მანუჩარს უღალატეს ოსმალთა. მანუჩარს გაემარჯვა. მძიმედ დაკოდილნი ფაშანი გაიქცნენ და თემი მანუჩარსვე დარჩა. ამისთვის ყაენმა მანუჩარს მისცა ჩალაბუთი და დედისიმედს ხუთი დიდი სოფელი. აგრეთვე მისი შვილი თვალშვენიერი ორმოდამ ამოაყვანინა და თავისთან მოაყვანინა.. ბევრ რიგი მოღალატე შემოადგეს პატრონს მანუჩარს. ველარ დაუდგა მათ და ახალდაბას ცოლი წაიყვანა და წავიდა. დედისიმედი და ყვარყვარეს შვილი ქაიხოსრო საკანაფეს ციხეში დადგნენ. და ელია დიასამიძემ დემოთას ციხეს სავალინშვილი საღალატოდ შეუყენა. უღალატეს, ციხე წაართვეს და ბევრი საქონელი და სალარო დაიჭირეს; და გოგორიშვილმა ბეჟან ციხი-ჯვარი უკუ-უჭირა და მისცა ფაშასა. შემოგვიყენეს მოღალატენი და ველარც ჩვენ დაუდეგით, და ჩავედით ახალდაბას. ახალციხეში შემოვიდნენ ოსმალნი და გაამაგრეს. სვიმონ მეფემ სიძის მხარე დაიჭირა და შევიდა სამც-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხეში. მესხთ ნება არ მისცეს იგი შებმოდა ოსმალთ, რადგან კოსტანტინეპოლს უკვე გაეგზავნათ მძევლად მაწყვერელი და საპატიონი კაცნი. ამიტომაც სვიმონმა დაარბია მანუჩარის ურჩნი თემნი და დაბრუნდა.

დედისიმედი, მატიანეს სიტყვით, იყო ამაყი, გლისპი, მრისხანე და გაუსინჯავი. მანუჩარი მოკვდა 1614 წ. და გაათბაგდა მისი შვილი მანუჩარ III.

ქართლის მეფე გიორგი იმავე წელს მაჭმადიანობის მიუღებლობისათვის, შაჰის ბრძანებით, შხამით მოწამლულ იქმნა. თბილისი, დმანისი და ლორი აიღეს სპარსელთ და ლორისათვის დანიშნული 300 თუმანი მოსპეს. ქართლის ტახტზე აღვიდა გიორგის ძე ლუარსაბ II (1605 წ.).

აქ შემოგვაქვს შემდეგი საყურადღებო ცნობა, რომელიც შეეხება ლუარსაბის მამის ოჯახსა ს რუს-ქართველთა კავშირის გაცხოველებას.

1604 წელს საქართველოში მოვიდნენ აზნაური ტატიშჩევი და ივანოვი. მათ მინდობილი ჰქონდათ, სხვათა შორის, ქართველთ სეფე-წულთაგან ამოერჩიათ საქმრო რუსთა ხელმწიფის ბორისის ასულის ქსენიასთვის და სასძლო მის კაცის თეოდორესთვის. ბევრი მოლაპარაკების შემდეგ მეფე გიორგი დასთანხმდა ქსენიას საქმრად რუსეთში გაეგზავნა თავისი ნათესავი ხოსრო, ხოლო თავის ქალის შესახებ ელჩებს მოახსენა, რომ მასაც წარგზავნის მოსკოვს, როდესაც იგი შეიქმნება სრული წლოვანი. ტატიშჩევი სწერს: „მეფემ მიგვიწვია თავის სასახლეში. მივედით. მეფემ მიგვიღო დედოფლის პალატში და გვაჩვენა თვისი ქალი ელენე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც სასძლოდ გვინდოდა. ელენე იჯდა მარგალიტ მოკლებულ მუთაქაზე. ბალატის იატაკი დაფენილი იყო ოქროთი მოქარგულ ხალიჩებით. საცმელი სეფე-ქალისა იყო ხაკერდისა, რომელსაც ოქროს ფერი დასცემდა და მოკლებული იყო არშიებითა. მას ეცვა აგრეთვე სხვა საცმელიც-ოქსინოსი. თავზედ ესურა ალისფერ ხაკერდის ქუდი, ძვირფასს მარგალიტებიანი და თვლებიანი. სეფე-ქალის მარჯვენით იჯდა მისი დიდედა, დედა გიორგი მეფისა, ხოლო მარცხენით მისი დედა, გიორგის მეუღლე. მათი საცმელი იყო შავის ხაკერდისა. იგინი მგლოვიარედ იყვნენ.—ტატიშჩევმა თავი დაუკრა მათ თავის მეფის მაგიერ და უველა მათგანს მიართვა ორმოცი-ორმოცი ბეწვეული წაგისა. მათ მადლობა უთხრეს. შემდეგ მეფე გიორგიმ უბრძანა თავის ასულს ამდგარიყო. ელენე ადგა. მეფემ ქუდი მოჭხადა, წამოასხამი გაახდევინა. აიღო ლერწამი, გაზომა მისი სიმაღლე და საზომი გადასცა ტატიშჩევს მისის ხელმწიფისთვის მისართმევად. სეფე-ქალი ლამაზი არ იყო, მაგრამ საამური გამომეტყველება ჭქონდა. პირი ჭქონდა მოთეთრო. თვალები შავი. ცხვირი ზომიერი. შავი თმები წითლად ჭქონდა შეღებილი. ტანი ჭქონდა წერწეტი. მეფის სიტყვით იგი მაშინ 9 წლისა იყო. მისი ძმა ლუარსაბი კი იყო სასიამოვნო შეხედულობისა და დაზედ ულამაზესი. ელენე ფრიად გამხდარი იყო. ამის შემდეგ ელჩნი მეფემ გაიწვია სხვა ბალატში და ჭკითხა მათ როგორ მოგეწონათ ჩემი ასული. ელჩებმა მოახსენეს ძრიელ მოგვეწონაო. ელჩები ემუდარებოდნენ მეფეს ესლავე მოგვეცი წაგიყვანოთო, მაგრამ მეფემ არა ქნა: ჯერ მცირე წლოვანია ჯ ამას გარდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩვეულებისამებრ, ქალი არ დაინიშნება, თუ მისმა მთხოვნელმა სამგზის არ გამოგზავნა მაჭანკალიო-ელჩები რუსეთს დაბრუნდნენ.

ამავე ხანს საქართველოში მომრავლდა თვრშავანგი. ამ დრომდის თვრშავანგი ქართველთათვის უცნობი თრინველი იყო. ერთხელ კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574—1605 წელ.) ნადირობდა ალონის ველზე. მაშინ მეველემ მეფეს მოახსენა, რადაც უცხო თრინველნი გამოჩნდნენო და აქვე ახლოს არიანო. მეფე მიიჭრა იმ ადგილისკენ და ნახა თვრშავანგები, რომელთაგან ზოგს ბოლო წამოეხურა, ზოგნი ხმა მაღლა ყიოდნენ და დასტრიალებდნენ დედლებს. მეფემ „ბრძანა: სულ ცოცხალი დაიჭირეთ, შეინახეთ, მოვაშენოთ, ფხიანად გვყვანდეს. გარეშემო შემოკერტყნეთ, სასიგვდილოდ ჯოხი არავინ დაარტყას.— გავაზები და ბარები მაღლა აუშვეს. მეფე შავარდნით ცხენზეცხად მიუსტა. ყველა თვრშეკანგები დაიჭირეს.—მას აქეთ კახეთს მომრავლდა, ოდიშსაც აქედგან მოშენდა: მეფემ ქალს გაატანა ზითევად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფენი

ქართლისა	ლუარსაბ	II	(1605—1616)
	ბაგრატ		(1616—1619)
	სვიმონ	II	(1619—1629)
	როსტომ		(1634—1658)
იმერეთისა	გიორგი	III	(1605—1639)
	ალექსანდრე	III	(1639—1661)
კახეთისა	თეიმურაზ	I	(1605—1663)

სამივე სამეფოს მეფენი—ლუარსაბ, გიორგი და თეიმურაზ—გახელმწიფდნენ ერთსა და იმავე წელიწადს (1605 წ.).

—

კოსტანტინემ რომ მოჰკლა კახეთისმეფე ალექსანდრე II, მამა თვისი, ჯ მერმე მოკლულ იქმნა თვით კოსტანტინეც, მაშინ შაჰ-აბაზმა მიიხმო 13 წლის ჭაბუკი თეიმურაზ და მისცა კახეთის მეფობა. ამ დროს იქვე, სპარსეთს, იყო თეიმურაზის გამზრდელი შერმაზან ჩოლაყაშვილი და რამდენიმე სხვა ქართველი. ყაენმა თეიმურაზს მიუბრძანა ძვირფასი შესამოსელი, თას-სურები და გამოისტუმრა. ქართველები მეფეითურთ შესხდნენ ფეხმარდ ბედაურებზე და წამოვიდნენ. ქიზიყს რომ მოაწიეს, იგინი მიიპატიჟა ერთმა გლეხმა და თეიმურაზს „უძღვნა ცხრა წულნი აკვნით“. აქედგან შეატყობინეს ქეთევანს თეიმურაზის ამბავი. დედამ შვილს დაასხვედრა კახეთის სპასალარი. ქიზიყიდგან თეიმურაზი ალაზანზე ჭიაურს გადავიდა და გაემართა სატახტო ქალაქ გრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისკენ. აქ იყო დიდებული სასახლე, აგებული ლეკვან მეფისაგან. სასახლის გარეშეო იყო ბაღ-წალკოტი, რომელსაც ამშვენებდა კვიპაროზი, ალვის ხე და სხ. გზა და გზა მეფეს დას-დასად ეგებებოდნენ კახელნი, თავს უგრავდნენ და ხელზე ეამბორებოდნენ. გრემს რომ მივიდა, დედა დაუხვდა ჯარად გამწკრივებულ ქალებით, გადაჭკოტნა და სრა-პალტს შეიუკანა. შვილის მშვიდობით დაბრუნებისაგამო ქეთევანი ორი კვირის განმავლობაში მასპინძლობდა და იშვებდა. შემდეგ თეიმურაზი წავიდა ბოდბეს და მეფედ იკურთხა. გვირგვინოსან, პორფირმოსილ და ხელ-სკიპტროსან მეფეს უძღვნეს ოქროს ნალბაქნი, თასნი, სურები, ჯამები, ვერცხლი და სხ. „ათი გოდორი“. ამის შემდეგ სამეფო საქმეებს ისევ ქეთევანი განაგებდა. 16 წლისა რომ შეიქმნა, თეიმურაზმა მოიყვანა დადიანის ასული ანნა და შეირთო. ჯვრის-წერა მოხდა თოლას სასახლეში, დიდის ზეიმით. ქორწილი 40 დღეს გაგრძელდა. სიმღერა, ბურთაობა, ყაბახის სროლა, თამაში სცვლიდა ერთი-მეორეს.

ამის შემდეგ სამეფოს განაგებდა ქეთევანი ,ხოლო თეიმურაზი მოგზაურობდა, ნადირობდა ,ათვალიერებდა ქვეყანას. კახეთი მაშინ მდიდარიყო. არჩილი ამ დროის შესახებ სწერს: ერწო კაი საკურდღლოა. მწყერიც მრავალია. წვრილმანს ტყეებში ნადირი და ჩალებში წერო ბევრია. თიანეთს ვინც მივა, კალმახით გასჯერდება: არც ერთი წყალი საკალმახოდ იორს არ შეედრება. მთიდგან ნადირს მოიტანენ, გორა-გორობით დაეურება. სხვა მინდვრები ირმით საესა, ყარია ჯეირნით. თორმეტი არის მინდორი,—სხვებისაგან უკეთესების—ირმისა, ჯეირნისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დათვისა, ლორისა, ტურისა, მგელისა, ათთრისა, ძველისა, თოცხვრისა, კურდღლისა, მაჩვისა, მელისა. ეს მინდვრებია: შირაქი, ორი ტარბანაები, ორი ელდრის მინდორი, უაჯირი, ლუხი, ბაიდი, გოლი, სამგორ-ჩადიკარი.—კულმუხელთა (საინგილო) და კახთ იმ დღეს, ბურთაობა-ყაბახის სრულის შემდეგ, თეიმურაზმა გასცა ასი ჯიღა, ასი ტყავი, ბედაური ცხენები და აბრეშუმი სამოცს აქლემს ნატვირთავი.

დედოფალი ანნა მოკვდა 1610 წ. და თეიმურაზს დაუტოვა ძენი ლევანი და ალექსანდრე.

იმერთა მეფე რუსტომი რომ მოკვდა (1605 წ.), მეფედ დასვეს მისი ძმა გიორგი, მხეკლისაგან ნაშობი. გიორგი ძრიელ სწუხდა, რომ მის სამეფოში გავრცელებული იყო მრავალ-გვარი ბოროტება: ტყვეების ყიდვა, უმიზეზოდ ცოლ-ქმრობის დარღვევა, კვლა, ძარცვა, უსჯულობა და სხ. ყველა ამ ბოროტებას მკვიდრად გადგა ფესვი იმერთა შორის და უმეტესად კი დიდკაცობაში. შარდენი სწერს: სამეგრელოში დღეს 20,000 მკვიდრია, ხოლო 30 წლის წინად კი 80,000 იყო. ამის მიზეზი არის განუწყვეტელი ომები და ტყვეთა ყიდვა აზნაურთაგან. სამეგრელო ყოველ წლივ ჭკარგავს 12,000 მცხოვრებს. ეს წესები აქ ადრითგანვე გავრცელებულა. ტყვეებს ან ფულად ჭყიდიან ან საქონელზე სცვლიან. უბედურნი ტყვენი ხელში უცვივიან ოსმალთა და სპარსთ. მარტო კოსტანტინეპოლს ყოველ წლივ იგზავნება 3000 ტყვე. თეიმურაზი სწერს: დადიანი ყოველ-წლივ ჭყიდის 10,000—15,000-მდე ტყვეს; ქრისტიანებს შვილებს ართმევს და სახუქრად უგზავნის სულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანს და მის ვეზირებს, თითოს 120 ურმას ოთხელ-წლიგ; გურიის მთავარ-ეპისკოპოსი ოთხელ-წლიგ ჭყიდის 10,000—12,000 ურმას. ამ გვარ ბოროტების აღმოსაფხვრელად გიორგი მეფემ მიიწვია ქართლიკოზები: ქართლისა მალაქია, ათხაზ-იმერთა ეკდემონ, და ეპისკოპოსნი: სვიმონ ჭუთათელი, ანტონ გენათელი, ჭყონდიდელი, ბედიელი, მოქველი, თელიშე დრანდელი, კოზმან ცაგერელი, ზაქარია ხონელი, იოანეიმ ნიკორწმინდელი და კირილე ჩაისელი. ამათ „განაჩინეს მოქმედთა მათთათვის ჯეროვანი შერისხვანი, დასწერნეს და შეაჩვენნეს მოქმედნი მისნი, ვითარცა გვაუწყებს აღწერილი მათი“. „აღწერილი მათი“ არის აგრედ წოდებული „რჯულის კანონი“ ქართლიკოზისა და შესდგება 23 მუხლისაგან. პირველ მუხლში შეკრებილნი მამანი შენიშნავენ, რომ ეს კანონები უცვლელად ამოვკრიბეთ ძველი დროის „რჯულის კანონიდგანო“. შემდეგ დადგენილია: ვინც გაჭყიდის კაცს, შეჩვენებულ-წყეულმცა იყოს (მუხ. 2), ვინც ეკკლესიას გაჭქურდავს, გაუსამართლებლად დარჩობილ იქმნას (მუხ. 3), ვინც მოჭკლავს ძმას ანუ მამას, მკლავი მოეჭრას და განიდევნოს (5), ვინც მოჭკლავს უდანაშაულო კაცს, ან მგზავრს, ან რაისამე მცველს, იგი მოიკლას (მ. 5), ვინც მოიპარავს, იგი დაისაჯოს ძველის წესისამებრ (მ. 7). ეპისკოპოსი, რომელიც სამღვდელო კაცებს არ გამოსცდის სწავლასა და საეკკლესიო წიგნების კითხვაში და ისე აკურთხებს მღვდლად ანუ მთავრად, წყეულიმცა იყოს (მუხ. 9). ქორ ეპისკოპოსი *,)

---

*) ქორ ეპისკოპოსნი არიან მდაბალ-მდაბლის რიგის მიმცემნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც არ მოიხილავს სამწყსოს, არ შეჰკრებს მათ და არ გამოიძიებს, თუ ვითარ ასრულებენ უქმეებს, ანუ ნათესაობა-ნათლიობას, მარხვას და წმინდა ცხოვრების წესებს, და არ განმართავს ნაკლებობას, წყეულიმც იყოს (მუხ. 13). ვინც თავის ცოლს უსამართლოდ გაეყრება, წყეულიმც იყოს და მიესაჯოს სიკვდილი (მ. 23).

გიორგი მეფემ შეირთო ათაბაგის ასული თინათინ, რომელიც მოკვდა 1610 წ. და მემკვიდრედ ქმარს დაუტოვა ალექსანდრე.

ქართლს რომ გამეფდა ლუარსაბი, მისი სამეფო და თვითონაც «ფრიად ნაკლულევან იყო საგანძურითა». ქართლი გაღარიბებულ იყო სვიმონ I დროიდგანვე. ამ სვიმონ მეფემ „დასდვა კომლს გლეხსა ზედა მარჩილი (სამი აბაზი) და ამით მოიყიდდა ოსთა, კავკასთა, ჩერქეზთა, და წარუგზავნიდა ყაენსა“. ამას გარდა თვით ეს მეფე სვიმონი რომ დაატყვევეს ოსმალთა ჯ სტამბოლს წაიყვანეს, მის გამოსახსნელად მისმა შვილმა გიორგი მეფემ „წარავლინნა (სტამბოლს) ყოველნი საჭურჭლენი და საგანძურნი მამისა თვისისა და ეკკლესია-მონასტერთანი“. გაღატაკებულ ქვეყანას ეჭირებოდა მშვიდობიანობა. და ამ მშვიდობის მოსაპოვებლად ლუარსაბმა თავისი და თინათინ მიათხოვა სპარსეთის ყაენს შაჰ-აბაზს. ყაენმა მეფის და წაიყვანა დიდის დიდებით და მეფესაც მოწყა-

---

უფროსთა მთავარ-ეპისკოპოსთა მორჩილებით, და თუ, ქმნას მღვდლის რიგი, მტერია კანონისა და სამართლის წიგნისა (იხ. ვახტანგის კანონები).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად მოეპყრო. ქვეყანამ იწყო მოსულიერება და მოლონიერება.

კათოლიკეთა მოძღვრების მოსვლა. კათოლიკეთა მოძღვრები პირველად მოვიდნენ საქართველოში რუსუდანის დროს (1212—1239 წ.). რუსუდანმა პაპს გრიგორი IX შემწეობა სთხოვა და მან შემწეობის მაგიერ შვიდი ბერი გამოგზავნა (Fratres praedicatores), რათა რუსუდანიცა ჯ მისი ერიც მიექცეთ კათოლიკობისადმი. რუსუდანმა უარ-ყო მათი მოძღვრება. 1289 წ. პაპ ნიკოლოზ IV-მ ხელ-ახლა გამოგზავნა მღვდლები, რომელნიც ქართველებმა პატივით მიიღეს და ნება დართეს თბილისში ჰყოლოდათ თვისი ეპისკოპოსი. მეფე კოსტანტინე III-მ ოვისი ელჩები გაგზავნა რომს წინაშე პაპ ალექსანდრე IV, რომელმაც მეფეს ეპიტოლეთი მოჰმართა. ამნაირ მიწერ-მოწერისაგამო კათოლიკეთა მოძღვრებამ ნელ-ნელა მოიკიდა ფესი საქართველოში, უფრო მეტად კი სამცხე-საათაბაგოში. 1604 წლიდგან მათი რიცხვი გამრავლდა. იგინი დაესახლნენ თბილისსა და გორში, ქუთაისს სამეგრელოს და გურიას. კათოლიკეთა მოძღვარნი ფრიად განათლებულნი კაცნი იყვნენ, იცოდნენ ექიმობა და სწავლობდნენ ქართულ ენასაც. ამ ენის შესასწავლად რომის «მოქადაგეთა სკოლაში» პაპმა დაწესა ქართული ენის კათედრა და პროფესორად გაამწესა ქართველიკე—ირბახი, რომელიც „მთელს წინასაზიაში განთქმული იყო მეცნიერებითა და სადიპლომატო ელჩობით". ამ ირბახის შემწეობით პაულინმა შეადგინა და დაბეჭდა 1626 წ. «ქართული ანბანი» (Alphabetum ibericum), რომელშიაც ჩაურთო 3084

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სიტყვა, ხოლო საქართველოში მეოთხ მოძღვარმა მაჯიმ შეადგინა „ქართულ ენის გრამატიკა“ ლათინურ ენაზე და დაბეჭდა რომს (1643 წ.). წინასიტყვაობაში იგი ამბობს, რომ ამ ენის შესწავლას მოკუნდი 22 წელიწადიო, გრამატიკა შედგენილია თანახმად ქართულ ენისაო და აგრეთვე დაფუძნებულია მწერლობით ნიმუშებზე, რომელიც გამოკრიბე ქართულ ხელნაწერ წიგნებიდამო. იგივე აღნიშნავს სახელებს კათოლიკეთა უველაზე განთქმულ „მოძღვრებისას“ და „მოციქულებისას“, რომელნიც მის დროს მოღვაწეობდნენ საქართველოში. ამ მოუღალავ მღვდლებმა მთელი ევროპიის უურადღება მოაპყრეს საქართველოს, ამ ერთად-ერთ საქრისტიანო სახელმწიფოს აზიისას, მომწყვდეულს საშუალ აღბორგებულ მაჰმადიანობისა. ადრე თუ გვიან საქართველოს ეშველებოდა კიდეც, თუ დაეცალა ცბიერ შაჰსაბაზს, რომელსაც ქართველთა თავისუფლობა ძალს უფრთხობდა და მოსვენებას არ აძლევდა.

თათარ-ხანის-შემოსევა (1609 წ., ივნ.) თათარ-ხანად მატიანე უწოდებსეირიმის ხანს სელამათ გირეის. აჰმად ხანთქარს ჰსურდა დაეპყრო ბაღდადი. მან შემწედ მიიწვია სელამათ გირეი, რომელიც 30,000 მეომრით წავიდა ყაფეს. ბაღდადის აღების შემდეგ სელამათ გირეიმა—გზის სიმოკლისაგამო—მოინდომა საქართველოს გადალახვა და დარიალის ულიით თავის სახანოში წასვლა. მასვე განზრახვა ჰქონდა გაეგლისას აეკლო ქართლი. სელამათ გირეი მოდიოდა სომხითის გზით. მისი მოსვლა რომ შეიტყო ლეკარსაბმა, იარალის უბრძანა მტრისთვის შეეკრა გზა, ხოლო თვითონ კი ცხირეთს დადგა. იარალიმ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩახერგა გზა და ელოდა მტრის მოსვლას. ამ ლოდინ-
ში მას დაეძინა. თათარხანი მძინარეს მოუსტა და გაუ-
ლიტა ქართველნი და მათთან იარაღიც. თათრნი გა-
მოემართნენ და დასწვეს მანგლისი და კველთა. აქ შე-
იპყრეს თევდორე ღვდელი, ფასტით ცემა დაუწყეს და
აიძულებდნენ ეთქვა, თუ სად არის მეფე ლუარსაბი.
მღდელს კარგად ესმოდა, თუ რა განსაცდელი მოელო-
და სამშობლოს მეფის ბინის ჩვენებით და ამიტომ გა-
დასწყვიტა: „არა ვიქმნე გამცემელ მეფისა და ქვეყნისა“.
დაადგა-რა ამისთანა გარდაწყვეტილებას, იგი წაუძღვა
მტრებს, გაატარა გოსტიბის თავ-თავ და ჩაიყვანა ქვე-
ნადრის გზაზედ. მეფეს ასცდნენ მტრები. სტნეს-რა ღვდე-
ლი გვატყუებსო, მოკლეს იგი. თევდორე შეირაცხა წმინ-
დათა შორის. თათრებმა მოიცვეს ერთა-წმინდა და ახალ-
ქალაქი. მათ მაღლიდგან სჭვრეტდა მეფე, რომლის ბრძა-
ნებით ზაზა ციციშვილმა და მოურავ სააკაძემ შეკრი-
ბეს მეომრები და მიუსტნენ მტრებს. ამ დროს საბარა-
თიანოს ჯარიც მოვიდა მდევრად. ზაზა და საკაძე ეკ-
ვეთნენ მტრებს სსერტის ჭალაში და მოსწყვიტეს მრა-
ვალი. თვით ზაზა მიუსტა თვაშას, წარჩეკეთა თავი. ამ
დროს მას შემოერტყნენ თათრნი. ზაზამ „იპყრო კბი-
ლით წვერი თვაშის წარკვეთილის თავისა“, შეჯდა ცხენ-
ზე და ბრძოლით გაარღვია მტრის რაზმი და მშვიდო-
ბით მივიდა წინაშე მეფისა. ამის შემდეგ თათარხანი
აიყარა და სწრაფის ნაბიჯით წავიდა ქალაქ გორისკენ.
მტერს ესურდა დროიანად გადასულ იყო გორის ხიდზე.
მიმავალ მტრებს მეფე გამოედევნა ქართლის ჯარით.
დოესის მინდორზე მიმავალი მტერი დაინახა გორელმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტერტერამ, გაიქცა და, თათართა მისვლამდე, ბორბალ ხიდი აჭყარა. მტრებმა ნახეს-რა ხიდი აურიღია, მტკვრის ზირ-ზირ ჩავლეს სტიციანო და მიეიდნენ ბრბონას. აქაურ მკვიდრთა სახლები დააქციეს და ამ დარღვეულ სახლების მასალით ხიდი გასდეს, გადავიდნენ მტკვარზე და დადგნენ ტაშისკარის ბოლოს. მეფე ლუარსაბი მიეიდა ასალდაბას და „ცხენის ცურვით“ სპეითურთ მშვიდობით გადავიდა, ჩავლო მტკვრის კიდე ფარულად და მიეიდა სურამის ბოლოს. აქ შემოუერთდნენ მტკვრის მარცხენა მხრის ლაშქარნიც. მეორე დღეს ლუარსაბი შეება მტერს და ამოსწყვიტა (1609 წ., ივნისს). თათარნი, რომელნიც გადარჩნენ, ტყეებში მიიმალნენ. სამი დღის განმავლობაში ამ მიმალულ თათრებზე ნადირობდნენ ქართველნი, უმეტესად დედაკაცნი, იჭერდნენ და „განაშიშვლნიან და განუტევიან“. მეფეს დარჩა თათართა აუარებელ ალაფი, ხოლო მათი თავები წარუგზავნა შაჰ-აბაზს. ყაენს დიდად იამა ოსმალთა მომხრე ყირიმის თათრების გაწყვეტა და მეფეს საჩუქრები გამოუგზავნა.

მოურავი საკაძე. მრავალმა უბედურებამ, რომელიც თავს-დაატყდათ ქართლის მეფეებს, ეს მეფეები ძრიელ დაასუსტეს, დაამცირეს და შეაეიწროეს. ამ სიისუტით ისარგებლეს დიდებულებმა და თავ-თავისთვის დაიშურეს ხეობანი და შეიქმნენ მთავრებად. „ასრე სჭირს საქართველოს დიდებულთ: აზვავდებიან, იტყვიან: უჩემოდ ვინ იმღერთა“ (არჩილიანი). ამ ლუარსაბის დროს ბატონობდნენ: საბარათიანოში შადიმან ბარათაშვილი, მუხრანში მუხრან-ბატონები და ამილახვრები, არაგვის ხეობაში ნუგზარ ერისთავი, ქსნისაში იესე, ხოლო ცხინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალსა ს დავალეთს გიორგი საკაძე, რომელიც იყო აგრეთვე თბილისის მოურავად. იგი იყო კაცი მხნე, ახოვანი, ძლიერი, უშიში, ხოლო ამასთანავე ცბიერი, მჩურჩნელი და უნდო. საკაძენი შთამომავლობით დალისტნელ ჭანკებიდგან არიან. ამ ჭანკათაგან რაოდენიმე კაცნი სომხეთს დაესახლნენ 767 წელს და მომრავლდნენ. ხოლო სომხეთის სამეფო რომ დაიმხო, იგინი შემოვიდნენ საქართველოში და დაესახლნენ თეძმის ხეობაში. გიორგი მეფის დროს მათ მიეცათ თავადობის ხარისხი (1503 წ.) და იწოდნენ მოურავებად. შაჰ-აბაზ ყაენმა (1622 წლის შემდეგ) დაუმტკიცა მათ თარხანობა (თარხანი ქართულად თავისუფალი). ამ თარხნობისაგამო იგინი იწოდნენ აგრეთვე თარხნიშვილებად. აი ამ გვარს ეკუთვნოდა გიორგი საკაძე. იგი მეტად ამაყი კაცი იყო და შემწედ ჰყვანდა თვისი სიმამრი, არაგვის ხეობისა და მთიულეთის ერისთავი ნუგზარ. საკაძის მძლავრობას საზღვარი აღარა ჰქონდა მის შემდეგ, როდესაც მეფე ლუარსაბმა შეირთო მისი და, „შვენიერი და კეკლუცი“. ამის შემდეგ საკაძე ქართლის დიდებულებს აღარაფერად აგდებდა და რომ შემთხვევა მიეცემოდა, დასცინოდა კიდეც. იგი ამ გვარადვე ეპყრობოდა ამ დროის ძრიელ მებატონეს, შადიმ ნ ბარათაშვილს, მეფის-მამა-მძუძეს. თბილელის ბირით საკაძე ამბობს: „შადიმან ამად დამქიშპდა: აქვს მამაცობის ზრახვანი; ერთხელ ვუთხარ: შენსა სრმალს არა აქვს კვეთა-ხვანი“. ასრეთი დაცინვა მაშინდელ დროს კაუკაცობის გაწბილებად და დიდ შეურაცხყოფად ჩაითვლებოდა. აი ამიტომაც, როგორც ეს შადიმანი, ისრე სხვა დიდებულნი შეუჩნდნენ მეფეს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიძულეს იგი გაჭურდა თავის ტოლს და დაემხო სა-
ყვარელ. დიდებულთა ჩაგონებით მეფემ გადასწყვიტა სა-
ყვარელ მიეწვია ყარაიას სანადირად ლ იქ მოეკლა. კახაბერ
ხერხეულიძემ ეს ამბავი შეატყობინა მას. იმავე ღამეს სა-
ყვარელ დედა-წულიანად თავის სიმამრთან გაიქცა დაბარუ-
ლის ცხენებით („კაცნი ჩავგზავნე: მათ შვიდი ცხენი
დაჭბარეს, ჩვენთვის სასხდომად კმარისა“.). საყვარელმა და
მისმა მოამხრეებმა გადასწყვიტეს წასულიყვნენ წინაშე შაჰ-
აბაზისა. და წავიდნენ კიდეც: საყვარელ ტოლ-შვილით და
ნუგზარ. გაკლისას საყვარელმა ტოლ-შვილი აღჯაყალის ტი-
ხეში დასტოვა. ყაენმა პატივით მიიღო ორივენი, შემ-
დეგ დიდად დაჯილდოვებული ნუგზარ უკანვე გამოისტუმრა,
ხოლო მოურავი თავისთან შეინახა. შაჰ-აბაზს
მანამდისაც უნდოდა ქართლის დაპყრობა ლ მისი გამაჭმა-
დიანება ლ ახლა მისს დიდის ხნის სურვილს ზედ და-
ერთო ქართველ დიდებულების წაქეზებაც. ტბიერმა შაჰ-
აბაზ მოურავს მეჯლისი გაუმართა. თვითონ დაჯდა ტახტ-
ზე. მოატანინა ვერცხლით სავსე გუდები და მიუბოძა
საყვარელს. მეც ბევრის აღებას შეეცადო, ამბობს იგი,
„თვითო (თეთრის-გუდა) მხარზედ გადვიდე, ერთი თავ-
ზედ დავიდე, თვითო ღლიასა შევიგდე, ორი ვქენ ხელ-
კიდებული; ერთი კბილშია დავიჭირე ლ მერე ავდეგ, კა-
რამდის წავიღე. მემძიმა და ხელმწიფემ ბრძანა «ნუ მოჭკ-
ლავთ ჯაშუშსა» და ეგ გუდები საყვარის კაცებს მიაბა-
რეთო. მოვიდნენ ჩემი ყმები და ოთხასის თუმნის ტვირ-
თი გამომართვეს (თბილელი).

ხოსრო-მირზა. ეს ის ხოსროა, რომელიც მო-
ვიხსენიეთ ლუარსაბის მამის მეფობაში. რუსის ელჩებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი მეფე ამას ატანდა რუსთა ხელმწიფის ბორბალის ასულის ქსენიას საქმრად, მაგრამ ხოსრომ არ ისურვა და სპარსეთს წავიდა. ხოსრო ქართლის მეფის დაუთხანის (1569—1578 წ.) უკანონო შვილი იყო. ისპაანში იგი სტუმრობდა ღარიბად, ყველასაგან დავიწყებული. საკაძემ ყაენს გამოუმეღავნა მისი ვინაობა. შაჰ-აბაზმა ხოსროს დიდი პატივი სცა, დასაჩუქრა და დანიშნა ისპაჰანის მოურავად. ხოსროს ამაღლებით მოურავმა ლუარსაბ მეფეს გაუჩინა მეტოქე და ეს მეტოქე შემდეგში შეიქმნა ქართლის მეფედ, სახელწოდებით როსტომ.

ნუგზარ ერისთავი. ამავე დროს თერიად გამძლავრდა არაგვის ერისთავი. არაგვის ხეობის მკვიდრნი ძველადგანვე ცალკე ცხოვრებას დაჩვეულნი იყვნენ. წმ. ნინომ რომ მოანათლა ქართველნი, მერე მეფის ერისთავი და იაკობ ღვდელი წაიყვანა წობენს, მოიხმო მთიულნი, ჭართალელნი, თუხელნი და წილკნელნი და უქადაგა სარწმუნოება ქრისტესი. ხოლო მათ უარ-ყვეს თვისის სჯულის დატოვება და გაქრისტიანება. მაშინ მეფის ერისთავმა „მტირედ წარჭმართა მახვილი, და ამისგამო ამ მთიულებმა მისტნეს კერპნი მათნი დალეწად“. ნინომ მოაქრისტიანა ყველა ესენი და აგრეთვე ერწოთიანეთელნი. მეფე გიორგი ბრწყინვალემ არაგვისა და ქსნის ხეკელებისათვის შეადგინა „ძეგლის დება“. მე XV საუკუნის დასაწყისს მეფე კოსტანტინემ თავის მოხელედ გაამწესა სიდამონ სიდამონისძე. ამავე დროს საქართველოში მოხდა არეულობა. ამ არეულებით ისარგებლა სიდამონმა, გასწყვიტა ბაზლიძენი, მკვიდრნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაზალეთის ტბის გარემოსი და იწოდა მებატონედ ანაგვისა. სვიმონ მეფე რომ ოსმალთ დაუტყვევეს, ანაგვის მებატონემ ამოსწყვიტა თექთურმანიძენი და ჭარმეული. მისმა შვილმა დახოცა თვისი ძმები, ხოლო გადარჩა მისი ძმისწული, სასასაგან ნაშობი ნუგზარ. ეს ნუგზარი მცირე წლოვანი იყო და მისმა მოკეთეებმა დამალეს. იგი რომ დაკაჟკაცდა, მიიბირა გაკლენიანი კაცები, თავს დაესხა თავის ბიძას, მოჰკლა იგი, დაიპყრო ბაზალეთი და მთიულეთი და დაჯდა ერისთავად დუშეთს. ნუგზარ ერისთავი იყო ამაყი, მრისხანე და შეუბრალებელი კაცი. თავის ქვეშევრდომებზედ ტეტხლს აწვიმებდა. ამისგამო ანდაზად ითქვა: «ნუგზარ ერისთვის დროსაო,—სისხლის წვიმების დროსაო». ნუგზარი რომ დაუმოუკრდა მოურავ სააკაძეს, მის შემდეგ იგი ლუარსაბს ალარათფრად აგდებდა და მეფესავით განაგებდა თავის საერისთოს. მის მემკვიდრედ შეიქმნა ბაადური (†1619), ბადურისა ზაალი (1619—1629), ზაალისა დათუნა (1629—1635), დათუნასი ზაალი II (1635—1660).

ქსნის ერისთავი. დავით VI დროს (1292—1310) ქსნის ხეობის მოხელედ იყო შალვა ქვენა-ფლაველი, წინაპარი ამ ხეობის შემდეგი დროის ერისთავებისა. ეს შალვა განუდგა მეფეს, მივიდა მონგოლთა ბანაკში და მორჩილება გამოუცხადა. მოგოლთ ბატიი-სტეს მას. განაჩინეს წინამძღვრად, გამოჰყვნენ და ცხრაზმის გზით შეკიდნენ ცხრალტში. ქვენაფლაველნი იწოდებოდნენ აგრეთვე ვირშელებად და ლარგველებად. ლარგვისში მათ ჰქონდათ დიდი ციხე-სიმაგრეები და მონასტერი. «ქსნის ერისთავთა მატიანეს» სიტყვით იგინი მე VI საუკუნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადმოსულან დვალეთიდგან ლ დამკვიდრებულან ქსანი-ორეგვის ხეობაში. მათი გვარი ყოფილა ბიბილური. 1400 წელს ქვენაფლაველი—ვირშელი იხსენიება ერისთავთ-ერისთავად. ლუარსაბ II დროს ქსნის ერისთავად ზის იესე.

თეიმურაზ მეფის მეორედ დაქორწინება. პირველი ცოლი რომ მოუკვდა ახალგაზდა თეიმურაზს, იგი დიდ მწუხარებაში ჩავარდა. ბნელ ოთახში იჯდა და მეუღლეს იგლოვდა. ტბიერმა შაჰ-აბაზ შემოუთვალა: „განაგდე გლოვა, გამხიარულდი და მოდი ჩემთანაო.“ მეფეც წავიდა და დიდი ძღვენი მიუტანა ყაენს. შაჰ-აბაზმა უბრძანა: „შეირთე მეფე ლუარსაბის და და ქვისლად გამიხდიო“. თეიმურაზმა უპასუხა: „ლუარსაბი არის ახლო ნათესავი და ჩვენი სჯულით მისი და არ მერგებაო“. ყაენს ჭსურდა ამ გვარ უკანონო ჯვარ-წერით დაემტკიცებინა ქრისტიანობა, რომლის წილ მაჰმადიანობის შემოღება უნდოდა საქართველოში. თეიმურაზი ნება-უნებლიედ დასთანხმდა და სთხოვა ყაენს დაეთანხმა ლუარსაბიც. შაჰ-აბაზმა ლუარსაბს უბრძანა: „შენი და მიეცი თეიმურაზსო“. სპარსეთიდგან დაბრუნებულ თეიმურაზმა შეირთო ლუარსაბის უფროსი და ხვარაშანი (1612 წ.).

ქაიხოსრო ომანიშვილი. ამ ხანებში ლეკნი გადაემტერნენ თეიმურაზ მეფეს. პირველით შემოდიოდნენ საქართველოში და აოხრებდნენ ქვეყანას. ლეკების დასასჯელად მეფემ წარგზავნა ქ. ომანიშვილი, კაცი ახოვანი და ძლიერი. იგი შეკიდა დაღისტანში, დადგა ერთ მთაზედ და იწყო იქაურობის რბევა და ოხრება. დაღის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტნელთ ვერ გაბედეს წინააღმდეგობა. ომანიშვილმა მეფისაგან ითხოვა ბუკი, რომ მისი დაუკრებით დაეშინებინა ლეკნი. მტრებმა ომანიშვილი დაასმინეს მეფეს და უთხრეს: «ნებავს კახეთი და მისთვის ითხოვს ბუკსაც». მეფემ დაუჯერა მათ. მოუწოდა ომანიშვილს და მოჰკლა. ამისგამო ზოგი-ერთნი კახელნი თეიმურაზს გაურბოდნენ და „იწყეს ქვე-გამხედველობა მეფისა“.

შაჰ-აბაზი. ჰეისონელი სწერს: „თეიმურაზ მეფე შაჰ-აბაზთან იყო შეზრდილი... ერთ და იგივე აღზრდამ შეჰქმნა ორნი ფრიად დიდნი კაცნი, ხოლო სასიათით სხვა და სხვა გვარნი. ამ აღზრდამ ერთში განვითარა კეთილშობილნი თვისებანი, ხოლო მეორეში ბიწიერება. აბაზს მხოლოდ დიდი მეფის შესაფერი ნიჭი ჰქონდა, თეიმურაზს კი ეს ნიჭიც და მეფის შესაფერი მაღალ-ზნეობაცა ჯ სიკეთეც. აბაზი, დაბრმავებული ბედისაგან, რომელიც მუდამ მისკენ იყო, ხშირად იდენდა იმისთანა სასტიკობას, რომელიც ნისლსა ჰფენს მის გმირულ საქმეებს.“ არაქელი: „შაჰ-აბაზი იყო გვლარძნილი, გრძნეულობითა და ეშმაკობის ხელოვნებით მან მოუმზადა გიორგი მეფეს (ლუარსაბის მამას) სასიკვდილე სასმელი. აბაზი იყო ვერაგი, ცბიერი ჯ თავის კარზედ მუდამ ჰყვანდა ქურდები“. არჩილი: „შაჰ-აბაზი—ეშმაკის ჩანასახამი, უკულმართი, სისხლის მსმელი, გესლიანი“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ეს ცბიერი შაჰ-აბაზ ჯერ 1602 წელსვე მტრულად მოექცა ქართლ-კახეთის მეფეებს. ქართველთა შემწეობით რომ შემუსრა დაუძინებელნი თვისნი მტერნი — ოსმალნი და ერევანი აიღო, დაჯილდოების მაგიერ ქართლის მეფეს წაართო ლორე და კახეთისას კაკი. მაგრამ ესეც არ იკმარა: მცირე ხნის შემდეგ ქართლის მეფეს (ლუარსაბის მამას) შეასვა შხამით შეზავებული სასმელი, რომელმაც მეფე დაასნეულა და მოჰკლა (1605 წ.). იმავე შაჰ-აბაზმა გამაჰმადიანებული კოსტანტინე ბატონიშვილი კახეთს გამოგზავნა და დაავალა მოეკლა თვისნი მამა-ძმანი და გამეფებულიყო. კოსტანტინემ პირველი შასრულა, ხოლო გამეფება ვერ მოასწრო: ქეთევან დედოფალმა იგი დაამარცხა და მოჰკლა. იმ დროს შაჰ-აბაზს არ ეცალა საქართველოსთვის. მას შინაობაში ბევრი აწეწილი საქმე ჰქონდა. ამიტომ კახეთის მეფედ თეიმურაზი გამოგზავნა. მაგრამ მისი მანკიერება მალე გამოჩნდა. 1612 წელს ქართლ-კახეთის მეფენი რომ უკანისკნელ ბრძანებით თეიმურაზის ქორწილის საქმეში იყვნენ გართულნი, ხვანჯიანმა შაჰ-აბაზ ყაზახის ხანს მისწერა: „შემოიკრიბე გარემონი ყოველნი, დაესხი მეფესა ლუარსაბს, მოჰკალ იგი და თავი მისი წარმოიგზავნე“. ამავე დროს ლუარსაბსაც მოსწერა: ყაზახის ხანს თავი მოსჭერ ⁄ წარმოიგზავნეო. ამ გვარ გულარძნილობით მას ქართლის წახდენა ჰსურდა: თუ ხანი გაიმარჯვებდა, ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ყაენს დარჩებოდა, ხოლო თუ მეფე—ჯერ კიდევ, შეიტყობდა ქართველთა ძალ-ღონეს და მეორეც—ხანის დაღუპვას მოიმიზეზებდა და გადაეკიდებოდა ლეკარსაბს. ბრძანების მიღებისაკე უმალ ლეკარსაბი მიუხტა ყაზახის ხანს, მოჰკლა იგი, წარჰკვეთა თავი ს ყაენს გაუგზავნა.

ამის ტოტა ხნის შემდეგ, იმავე წელიწადს, საკაძე გავარდა საქართველოდგან და მივიდა შაჰ-აბაზის წინაშე. ამ დროს ყაენი მოსვენებული იყო გარეშე მტერთაგან და იჯდა ტახტზედ ძლევა-მოსილ და მორჭმულ ხელმწიფედ. ყაენის წინაშე მისული მოურავი, არაქელის სიტყვით, ჰფშვინვიდა, ვითარცა მებრძოლი ცხენი და შესძახებდა, ვითარცა ლომი და აღმოიფშვენდა ლეკარსაბსა ზედა, ვითარცა გველის მფშვინავი გეშაპი და ეძიებდა სასიკვდილოდ მას... მოურავსა ამას ყაენი ესაუბრებოდა და სცნობდა მისგან ქართველთ ჭეუნისა და გვარ-ტომის ვითარებასა. გამოიკითხვიდა ჭეუნის სიმაგრესა, მეფეთა და თავადთა სიმხნესა, ხიმრავლესა ნათესავისასა და ვაჟკაცობასა მხედრობისასა, და სხვასა, რაიცა ენება". რასაკვირველია, ლეკარსაბის მტერი მოურავი ყაენს ყველაფერს გამოუმეღავნებდა და გაუზიარებდა. შაჰ-აბაზი მისგანა და მის სიმამრისაგან გაიგებდა ქართლის დიდებულების აშლასა და განდგომას, შესუსტებას ლეკარსაბისას, რომლის ხელმწიფობას ადრ ემორჩილებოდნენ ერისთავნი არაგვ-მთიულეთისა, ქსნისა, ჭრცხინვალ-დვალეთისა, თეძმის ხეობისა; სცნობდა აგრეთვე ქაისარო ოსმანიშვილის მოკვლის გამო მეფის შეორგულებას ზოგი-ერთ კახელთა, რუსეთის ელჩთა და კათოლიკეთა მღვდლების მოსვლას საქართველოში. ეი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ გვარ მოჯღაბრისა და ჯაშუშის მისვლას ნატრულობდა ყაენი და მიუკიდა კიდეც მრავალ ყმა-მამულიანი საკაძე. თბილელი სწერს: „თურმე შაჰ-აბაზ ხელმწიფე იყო (მოურავის) მისვლისა მდომელი". დელლავალე 1627 წელს სწერს: «.. სამწუხარო იყო, რომ მეფეებს უღალატეს მრავალ თავად-აზნაურებმა და შეიყვანეს (ყაენი) საქართველოში. მესაძლებელია, რომ უამისოდ იგი ვერას დროს ვერ შესულიყო ამ ქვეყანაში გზებისა და ადგილ მდებარეობის სიმაგრისაგამო. თურმე ყაენი ჩაგონებული იყო ერთის გამოჩენილის და ძლიერის ქართველ მოურავისაგან, რომელიც გამწყრალი იყო ლუარსაბზე».

III

შაჰ-აბაზის ბირველი შემოსევა. 1615 წ. „შეჰკრიბა მხედრობა თვისი, აიყარა ისპაანიდამ, თან გამოიყოლა დამრიგებელი ბოროტისა და ქვეყნის აღმოხრებელი მოურავი, მოვიდნენ და დაიბანაკეს ყარაბაღში— განჯას» (არაქელი); „შაჰ-აბაზს წამოუძღვა მოურავი, გაუკაფა გზა და შემოიყვანა კახეთში" (შარდენი). რათ შევიდა ყაენი ბირველად კახეთში და არა ქართლში, საითკენაც მას მოაშურებდა მოურავი ლუარსაბის ჯავრის ამოსაყრელად? საქმე ის არის, რომ ქართლის დიდებულებმა სტნეს-რა ყაენი განჯას მოვიდაო, იგინი სწრაფად წავიდნენ მის წინაშე, თავი დაუკრეს და მორჩილება გამოუცხადეს. ეს დიდებულები და მთავარნი იყვნენ: არაგვმთიულეთის ერისთავი ნუგზარ, ქსნის ერისთავი იესე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამილახორი ანდუყაფარ, ფეშანგი ფალავანდიშვილი და ალა-
თანგი ხერხეულიძე. ამათ მისგან ყაენი დაარწმუნა, რომ
ლუარსაბი სახელით ოდენ იყო ქართლის მეფედ, ხო-
ლო ნამდვილად კი მას ამ დროს ეჭირა მხოლოდ თბილისი
ს მის ზეკით მტკვრის პირები სურამამდე ს აგრეთვე სომხი-
თი, გარდა ლორის ხეობისა, რომელიც ყაენს წინათ-
ვე დაესაკუთრებინა. ქრცხინვალ-დვალეთი ს თეძმის ხეო-
ბა ხომ თვით მოურავის საბატონო იყო. ასრე დამცი-
რებულ ქართლის მეფის შემუსრვა ყაენისათვის ეჭვს გა-
რეშე იყო. ამისგამო მან უმთავრესი ყურადღება მიაქცია
კახეთის სამეფოს, რომლის მეფე უფრო მორწმულად
ხელმწიფობდა, ჰქონდა მაგარი ციხე-სიმაგრეები, და
ამასთანავე მეგობრობდა ქართლის მეფეს. და ამიტო-
მაც ყაენმა განიზრახა პირველად შეემუსრა კახეთის მე-
ფე და მერე ერთის შეტევით დაეპყრო ლუარსაბის წი-
ლად დარჩენილი ქართლიც. დაადგა-რა ყაენი ამ აზრს,
ჯერ ხნობით კახეთში შესვლა უკუ-სდო, და მოინდომა
მოტყუებით ხელში ჩაეგდო თეიმურაზის ვაჟები, რომ
იგინი რაგორმე არ გადარჩენილიყვნენ კახეთის შემუსრვის
დროს. ყაენს ჰსურდა ამოეწყვიტა ქართლ-კახეთის სამე-
ფო გვარეულობა. ამ ყამად თუმცა ყაენი მეგობრობდა
ოსმალებს, მაგრამ მან ოსმალებთან ომი მოიგონა და
თეიმურაზს შეუთვალა: „მივალ ბრძოლად ოსმალთა.
ამისთვის აწ მომეც ძე შენი მძევლად, რათა არა ემწო
ოსმალთა, და ვსცნა ამით ერთგულობა ჩემი შენგან“.
თეიმურაზი მაშინათვე მიხვდა, რომ ყაენი იგონებდა ოს-
მალებთან ბრძოლას, რომ იგი მას მახეს უგებდა, და
ამიტომაც არ მოინდომა შვილის გაგზავნა. მეფე ამ საქ-
მის შესახებ დაეკითხა თვის ქვეშევრდომებსაც. ამათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ურჩიეს დაეკმაყოფილებინა ყაენის სურვილი. მეფემაც თავისი უმცროსი შვილი მცირე წლოვანი ალექსანდრე და დედა თვისი ქეთევან ნოდარ ჯორჯაძეს გაუოლა და გაისტუმრა ყაენის წინაშე. მეფეს ეგონა, ჩემს დედას მაინც ხატიკს დასდებს და არას დაგვიშავებს შაჰ-აბაზი. მაგრამ მეფის მოლოდინი არ გამართლდა. ესენი ყაენის წინაშე რომ მიეიდნენ, იგი განძვინდა და თეიმურაზს მრისხანედ შემოუთვალა: „არა თუ კარ ძიძა ლ მზრდელი ძისა შენისა? წარმოიკლინე ძე შენი უხუცესი, უკეთუ გნებავს ერთობა ჩემთანა და მე ვსცე ხატიკი დედასა შენსა და უკუნ-ვიქცე“. დედას თეიმურაზისთვის საიდუმლოდ ეცნობებინა: არ დაუჯერო ყაენს და მეორე შვილიც არ გაძოუგზავნოო. მეფესაც არ უნდოდა გაგზავნა, მაგრამ კახელებმა აიძულეს. ბეფის ძე ლევანიც დავით ასლანიშვილმა მიჰგვარა ყაენს. ამის შემდეგ აბაზმა კიდევ შეუთვალა მეფეს: „აწ ვსცან, რამეთუ ჩემი ერთგული ხარ დიდი. რადგან არა ჭრიდე ძეთა შენთა ჩემთვის, მოვედ შენცა და აღგავსო ნიჭითა და განგიტეო ქვეყნითურთ მშვიდობით“. კახელები ახლა კი დარწმუნდნენ, რაცა სწადდა ყაენს. ლუარსაბმა და თეიმურაზმა შეჰკრეს ზავი და იწყეს ქვეყნის მაგრებმა. თეიმურაზმა მუკუზნიდამ გალმა-მხარემდე ჯებირი გააკლო და დადგა. ყაენმა მეფის დედა ლ შვილები შირაზს წარგზავნა. თეიმურაზისათვის გზის შესაკრავად ყალეთს გამოგზავნა ჯარი და თვითონ შეესია კახეთს. ტბიერი ყანი აქაც ეშმაკურად მოიქცა. შეხვედრილ ქართველებს არ ატყვევებდა, არამედ ხალათებს აცმევდა და უტევებდა. ამის გამგონე კახელნი ეპარებოდნენ თეიმურაზს და ყაენის წინაშე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიდიოდნენ. იგიც დიდ სიჩუქრებს ურიგებდა მათ. ულაზ-
ნოდ დარჩენილი თეიმურაზ იგლტო მცირე რაზმით და
ქართლს მიაშურა. მაგრამ გზაზედ მას შეეფეთა სპარს-
თა ჯარი, რომელიც იდგა ყაზეთს. მეფე ეკვეთა მათ
ძლიერად, უმრავლესნი აკვეთა, დანარჩენნი გაიქცნენ. თეი-
მურაზი მიეიდა მუხრანს, სადა იყო ლუარსაბ მეფეც.
მეფეებს ჭსურდათ ბრძოლა მტერთან, მაგრამ ქართლ-კა-
ხელებმა ნება არ მისცეს. ყაზეთის ამბავი რომ გაიგო
ყაენმა, სწრაფად გამოეშურა. მაგრამ მინამ იგი მოაწევ-
და, ორთავე მეფენი იმერეთს გადავიდნენ. გიორგი მე-
ფემ იმერეთისამ იგინი დიდის პატივით მიიღო. ყაენმა გო-
რითგან ელჩი გაუგზავნა გიორგის და მოსთხოვა მე-
ფენი. იმერთ მეფემ გეგუთის სასახლეში მიიწვია ყველა
დიდებულნი, ქათალიკოზი მალაქია და ქართლ-კახეთის
მეფენიც. კრებამ გადასწყვიტა არ დაეთმოთ მეფენი. ყა-
ენს გამოუგზავნეს მალაქია ქათალიკოზი და შემოუთვა-
ლეს: «გეგედრებით პატივ-გვცე, მეფეებს სამეფოები და-
უბრუნო და შენ წახვიდე». ყაენმა ტირილით დაარწმუნა
ლუარსაბის ალმზრდელი შადიმან ბარათაშვილი, რომ
მას ლუარსაბი შვილივით უყვარს ჯ არას დაუშავებს, ხო-
ლო მისი მტერი მარტო თეიმურაზია. შადიმანმა დაი-
ჯერა და წავიდა იმერეთს და ლუარსაბი ჩამოიყვანა. მი-
სი მოსვლა რომ გაიგო ყაენმა, შეჯდა ცხენზე და მიე-
გება მას და ტირილით უთხრა: „ვითარ გიყოფ ბოროტ-
სა ახოვანსა და შვენიერსა, ერთგულთა ჩემთა ძესა“.
წამოიყვანა იგი თბილისს. აქ დაუტოვა ციხის მცველნი ჯ
მეფეს უთხრა: „წავიდეთ ნადირობად ყარაიისად“. წაიყ-
ვანა. აქედგან ყარაბაღის მოსანადირებლად მიიწვია, იქიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მაზანდარანისა. აქ მეფეს უბრძანა გამაჭმადიანდეთ. მეფემ ეს არა ქმნა. ყაენმა წარგზავნა იგი შირაზს და დაამწყვდევინა გულაბუალას. (ლუარსაბი ამავე საბურობილეში მოაშთვეს შვილდის საბლით 1622 წ. შეირაცხა იგი წმიდათა შორის).

შაჰ-აბაზის შემოსევა. (1616 წ.) სპარსეთში მიმავალ ყაენმა კახეთის გამგედ დანიშნა ნოდარ-ჯორჯაძე და დავით ასლანიშვილი. სამი თვის შემდეგ ამათ შეუთვალეს თეიმურაზს: „მოვედ და ეპატრონე კახეთს, საბატონოსა შენსა“. თეიმურაზი წამოვიდა. იგი არაგვამდე გამოაცილეს გიორგი მეფემ, ლევან დადიანმა და მამია გურიელმა. თეიმურაზი ისევ შეიქმნა ბატონად კახეთისა, მაგრამ მისი ბატონობა დიდხანს არ გაგრძელდა. მიესმა-რა შაჰ-აბაზს თეიმურაზის გაბატონება, შემოიკრიბა ლაშქარი, თეიმურაზისთვის გზის შესაკრავად აფრინა ალიყული-ხანი და თვითონაც გამოეშურა საქართველოსკენ. ალიყული-ხანი რომ მოვიდა არაგვზედ, მას წიწამურის ზევით თავს-დაესხა თეიმურაზი და მოსრა სპარსნი. მცირენი გადარჩნენ და გაიქცნენ წინაშე ყაენისა. შაი „განძვინდა ვითარცა ვეშაპი“ და თბილისს შემოვიდა. თეიმურაზი და ზოგი-ერთნი დიდებულნი იმერეთს გადავიდნენ. ყაენმა დაღისტნის ლეკებს შეუთვალა: «მნებავს მოწყვეტა კახეთისა. რომელნი შემოვიდნენ თქვენ კერძთა მთათა შინა, თქვენ მოსრენით, ტყვე-ჭყვენით, და აღგავსებ მცა ნიჭითა». ლეკებიც წამოიშალნენ. ყაენმა ჯარი შეუსია ერწო-თიანეთს, და შევიდა კახეთში. **ისკანდერ მუნჯი:** ..აბაზმა გრემში ნახა მშვენიერი ტაძარი და ხმა მაღლა აღავლინა ვედრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჭმადიანობამდი. მიკიდა ალაკერდს. აქ შეიტყო ქართველობა გამაგრებულა თორღასო, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც შეეფარნენ ფშავ-ხევსურეთ-თუშეთს და მიიმალ-ნენ ტყე-ღრეში.

IV

ტუდ ყოფაში ჩავარდა საქართველო. სპარსეთში მიმავალ ბარბაროსმა ქართლის მეფედ დანიშნა ბაგრატ, რომელიც იყო მეფე დაუთხანის შვილი. ბაგრატი გამაჭ-მადიანებულ იყო, ქრისტიანები სძულდა. ამიტომ ქართ-ველებსაც ეჯავრებოდათ იგი. ბაგრატი საბარათიანოს სცხოვრობდა და ამიტომ მას უწოდებდნენ საბარათიანოს ბატონად. იგი მალე მოკვდა (1619 წ.). მას დარჩა ვა-ყი—სვიმონ, რომელიც თავის დედა ანნათურთ თბი-ლისსა და საბარათიანოს არ სცილდებოდა. ამავე დროს ბარათა ბარათაშვილი მიესია თავის სახლეულობას და ამოსწყვიტა ყველანი, გადარჩა მხოლოდ ყაფლანი, რო-მელიც იყლტო სპარსეთს, მოიყვანა ყიზილბაშნი ლ მოჭკ-ლა ბარათა.

არაგვის საერისთო. ამავე ხანს მოკვდა ნუგზარ ერისთავი და გაერისთავდა მისი შვილი ბაადურ. ამას აუჯანყდა მისი ძმა ზურაბი. იგი თავის ტოლითურთ წავიდა წინაშე ყაენისა. ზურაბი მოურავ საკაძეს აღზრ-დილი იყო. ამიტომაც მისი შუამდგომელობით ყაენმა დიდად დაასაჩუქრა ზურაბი, არაგვის ერისთობა დაუმტ-კიცა და გამოისტუმრა. მისი ტოლი იქვე დაშთა. ზუ-რაბი სპარსთა მხედრობით მიუხტა ბაადურს, დაამარცხ-ა და დაიპყრო ბაზალეთი. შემდეგ მიიმხრო ბარა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაშვილი და დაიმორჩილა მთიულ მოხევენი. ბაადური გაიქცა იმერეთს და დაბინავდა სიჩინოში. მაგრამ მალე მას ულალატა მისმაგე ცოლმა, რომლის საყვარელმა ჩიჯავაძემ მოჰკლა იგი, ხოლო მისი ქვრივი თვითონ შეირთო. ეს ამბავი რომ მიუვიდა ამაყ ზურაბს, განრისხდა ფრიად, შემოიკრიბა ჯარი, ფერსათის მთით შეიპარა სიჩინოს, მოჰკლა ჩიჯავაძე და გამარჯვებული დაბრუნდა. მის სიამაყეს საზღვარი აღარა ჰქონდა. იხილარ ქედმაღლობა მთავართა, ბაგრატის ძე სვიმონი წავიდა ყაენის წინაშე. იქვე მივიდა ზურაბი: „ყაენთან არ შემასმინონო“. მაშინ მოურავი უკვე ფრიად დამსახურებული ბერი იყო. მისი რჩევით ყაენმა სვიმონს მისცა მეფობა, ცოლად შერთო ჯანბანუმ, ასული ყორჩიხანისა, და წარმოგზავნა საქართველოს. ყაენმა მას გამოაყოლა აგრეთვე სვიმონის სიმამრი ყორჩიხანი, მოურავი და ზურაბი, და დაავალა მოსწყვიტონ კახელნი, აჭყარონ ქართლელნი ს წარგზავნონ სპარსეთს (1619 წ.).

კახეთი. ამ ჟამეულის ბატონად ყაენმა დაადგინა თეიმურ-ხანი (1616 წ.) აკლებული, გაოხრებული და განადგურებული კახეთი ამ დროს წარმოადგენდა საზარო სურათს. ყოველ მხრივ ისმოდა კვნესა და გმინვა დაჭრილ და დასახიჩრებულ ერისა. დაცარიელებულ გალმა—მხარში ჩამოთესლდნენ ლეკნი და დაბინავდნენ ჭარ-ბელაქანში. ამ კრცელ მიდამოზე (აწინდელი საინგილო ლაგოდეხ-ნუხ-ვართაშენს შორის) ქართველნი დაშთნენ მხოლოდ კაკ-ელისენში. ეს კუთხე 1587 წელს შაჰ-აბაზმა ჩამოართო კახეთის მეფე ალექსანდრეს და მისცა კახიშვილს, რომელიც გამაჰმადიანდა და იწოდა სულთნად

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკისა (კახუშტი). ამავე შაჰ-აბასის 1587 წლის ბრძანებაში სწერია: კაკის ბატონის გურამ-ოღლის (ქართველის) შვილების მამული მიგეცი საქართველოს მეფე სვიმონს (1558—1600 წ.), ხოლო აწ იმავე მამულს კუბრუნებ გურამ-ოღლის შვილებსო. იმავე უაენის ფირმანი 1620 წლიდგან: „ძველი დროიდგანვე გურამ-ოღლის კუთვნილ მამულს დღეიდგან კუბოძებთ გურამ-ოღლის შვილებს—ზაალ-ბეგს და კისუ-ბეგს. ამათ საბატონოს გლეხნი, საცა უნდა იყვნენ იგინი, ისევ დაბრუნდნენ თავიანთ მამულებში, ემსახურონ მათ და დაემორჩილნენ, ვითარცა ემორჩილებოდნენ გურამ-ოღლის. ქართლის მმართველ სვიმონ-ხანს (1619—1629 წ.) და მოურავ-ბეგს ევალებათ აღმოუჩინონ მათ შემწეობა“.—ფეიქარხანმა აშენა მოსაბრუნი (საინგილოს ბოლოს, ალაზნის მარჯვენა ნაპირას) და დასასახლა აქ თათრის ელნი (მულალონი), რომელნიც მალე დამკვიდრდნენ სოფელ ალმალოს, მულალოს, თალას, კაკს და სხ.

სვიმონ მეფის მოსვლა. ყორჩიხანმა, ზურაბმა ჯ მოურავ-ბეგმა (სააკაძე) სვიმონი მოიყვანეს თბილისს ჯ თვითონ ყიზილბაშის ჯარით მივიდნენ მუხრანს ჯ დაიბანაკეს. შემდეგ მოუწოდეს კახელებს უაენის “წყალობის“ გამოსაცხადებლად და მისგან გამოგზავნილ ხალათების მისაღებად. კახელებმაც იარწმუნეს და ბევრნი მოვიდნენ. „მოსრულთა შეიყვანდნენ მოკლებულს თეჯირსა შინა წინაშე ხანისა, რეცა ხალათის მიცემად, არამედ მოჭკვეთდნენ მუნ თავსა. და მოსწყვიტნეს მრავალნი“. მალე მტრებს კახელებმა ეშმაკობა შეუტყეს, იძრეს ხმალნი,

ბრძოლით გამოვლეს და გაიქცნენ. ამის შემდეგ მტრები შეუდგნენ ქართლის აყრაზე ზრუნვას.

ამოწყვეტა გარესჯის მეუდაბნოეთა. ამასობაში სპარსთა რაზმებმა იწყეს თარეშობა საქართველოში. ერთი რაზმთაგანი 1622 წლის აღდგომის დღეს გარესჯის შორი ახლოს იყო ჩამომდგარი. გარესჯაში მაშინ მრავალი მოღვაწე იყო. იგინი საქართველოს სხვა და სხვა კუთხის მცხოვრებნი იყვნენ. ამ მამებმა სალიტანიოდ სანთლები რომ აანთეს, სპარსებმა თვალი შესწრეს მათ, უგრძნეულად თავს დაესხნენ ჯ... „მრავლთა განგვრიდიან, რომელთამე წარგვეთდიან თავნი, ხოლო მრავალნი მათგანი მოსწყვიტნეს შინაგან ეკეკლესიასა, რომელნიმე დაჭკონეს თვით ტრაპეზსა ზედა უწყალოდ.“ მთელი აუარებელი ქონება აიკლეს და გააკერანეს დიდებული მონასტერი.

მანკიერება შაჰ-აბაზისა. ამ ხანს მოურავ-ბეგი საკაძე ნადირობდა ლოჯინის ხეობაში. ამ დროს მან თვალი შესწრო ყაენიდამ მომავალ შიკრიკს. შეიპყრო იგი და გამოართო ყაენის წერილი. წაიკითხა. ეწერა: „ურჩიხან, მოსწყვიტე კახნი, აჭყარე ქართლი. მოჭეთე თავი მოურავსაცა, და წარმოიგზავნე“. მოურავმა თითზე იკბინა. აქ პირველად შეჭკვნესა მისმა გულმა. აქამდის იგი არ იყო დარწმუნებული, რომ შაჰ-აბაზი მას გაიმეტებდა. აქამდის ვერ შეესწავლა ხასიათი შაჰ-აბაზისა. ხოლო ეს ყაენი კაცს გაადიდებდა და იმსახურებდა იმ დრომდის, ვიდრე იგი მის მიზნის განსახორციელებლად სასარგებლო იყო. და რახან ამ მიზანს მიაღწევდა, განდიდებულ კაცსაც ბოლოს მოუღებდა. რაკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგლდა ყაენს: კახეთი ბირქვე დასცა და აჭყარა. ქართლის მეფე შეიბურო და მოჭკლა. ქართლის ტახტს გაუორგულა და გადაჭკიდა მებატონეები. ქართველობას სული ძლიკს-და კბილით ეჭირა. სააკაძეს თავისი „როლი“ შეესრულებინა. იგი საჭირო ადარ იყო ყაენისთვის. მისი თავი მოითხოვა.

მოურავის განდგომა სპარსთაგან. შიკრიკი მან იქვე მოჭკლა და მიწაში ჩათლა. მერე ტუსტუსით გაემართა არაგვის ხეობისკენ, მივიდა ზურაბ ერისთავთან და უთხრა: რაც დაგვაკალა ყაენმა, ეს ჩვენგან საქნელი არ არის. მან მოგვატყუა. იგი შაგვექმნა ჩვენის ხორცის ამქნელი, ჩვენის ბოლოს დამქნელი. კახეთი ხომ ამოგწყვიტეთ ლ ქართლელნიც იქ ჩაგგვრეთ? ამას ნუ ვიქთ. ქართლელნიც იქ რომ ჩაგგვრეთ, მაშინ ვისლა შეგურიგდე? სხვათერ საქმე მოვაგვრეთ. ხმალი ჩემი ბასრი არის. ჯერ ამ ლაშქარს ვუღალატეთ, მერმე მეფე თეიმურაზი მოვიყვანეთ და შეგურიგდეთ (არჩილიანი). ზურაბმა ურ-ჰყო ესრეთი რჩევა: ტოლი სპარსეთსა მყავს, მომიგლენო. მოურავმა აღუთქვა, ოღონდაც დამეთანხმე და ბაგრატ მეფის დას ლელას შეგრთავო (ეს ლელა მაშინ ტოლად ჰყვანდა კახეთის მმართველს ფეიქარხანს). მეფესავით განდიდებულ ზურაბ ერისთავს ამა მეფის ასულის მეუღლედ გახდომა. დასთანხმდა.

ამოწყვეტა სპარსთა. მოურავი მივიდა ყორჩიხანთან და უთხრა: რაც დაგვაკალა ყაენმა, აღვასრულოთ. მოუწოდოთ ქართველთა და წავასხათ სპარსეთს. ყორჩიხანიც აგრე მოიქცა. დაიბარეს ხალხი. მოვიდნენ.

შემოკრებულ დიდებულებს ზურაბ ერისთავმა სასიდუმ-
ლოდ აუწყა ოკვლიკვე, რაცა სწადდა შაჰ-აბაზს. „ნუ
იზამთ იმას, რომ ქართლი მოოსრდესო, ჩვენ (მოურავ-
სა და ზურაბს) მოგვენდვენითო“. დიდებულებმაც „ფი-
ცით აღუთქვეს, რა იგი მათ უთხრან, იგიცა ჴყონ ყო-
ველთა“. ეს საიდუმლო ვერ გაუნდეს მხოლოდ გამაჴმა-
დიანებულ ანდუყაფარ ამილახვარს, რადგან მას ცოლად
ესვა ყორჩიხანის ასული, სვიმონ მეფის ცოლის დაი. ამი-
ტომაც ეს ანდუყაფარი და ცოლი მისი ღამე შეიპყრეს
საფურცლეს, წაიყვანეს მთიულეთს და არშას ციხეში და-
მალეს. მეორე დილას მოურავი და მისი შვილი ზურაბ,
რომელნიც სპარსთავე ბანაკში იყვნენ, დაეცნენ ყორჩი-
ხანსა და მის შვილს, და დახოცეს. ქართველნი მიუსტ-
ნენ სპარსელებს და მუსრი გაავლეს. მცირედნიღა გა-
დარჩნენ და გაიქცნენ (1623 წ.). ქართველნი ესმ რაზ-
მად გაიყვნენ: ერთი ზურაბის წინამძღოლობით მიჴფ-
რინდა კახეთს ფეიქარხანის ჯარის ამოსაწყვეტად და ლე-
ლა ბატონიშვილის დასატყვევებლად, მეორე ახალციხეს
და მესამე მოურავის მოთავეობით თბილისს. მოურავმა
მალე ქალაქი აიღო, მაგრამ მისი ციხე კი ვერა. ამ დროს
მოესმა: ფეიქარხანი გაიქცა ცოლითურთო. მოურავმა ქა-
ლაქს თავი დაანება და კახეთისკენ გაეშურა. ზურაბმა
და მოურავმა ფეიქარხანს სდიეს ბარდამდე, მაგრამ ვერ
დაეწიენნ. ამიტომაც მოარბიეს განჯა-ყარაბაღი და დი-
დის ალაფით მოვიდნენ ქართლს, რომლის გამგედ და-
ადგინეს მუხრან ბატონის კახტანგის ძე ქაიხოსრო. შემ-
დეგ ამისა დაიბარეს კახეთის მეფე თეიმურაზი.

თეიმურაზის უცხოეთში ყოფნა. 1616 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეიმურაზი ყაენს რომ გაექცა, მიავიდა იმერეთს და ეგნ-
თაისში დადგა. მეფის იქ მყოფობისას იმერეთში და-
დი სიმშილობა და სიყმილი იქმნა. თეიმურაზს გაუ-
ჭირდა ცხოვრება. ხონთქარს კაცი გაუგზავნა ლ ითხო-
ვა შემწეობა და სადგური. თვითონ კი ესტუმრა მამია
გურიელს. მან პატივით მიიღო იგი. ამასობაში ხონთ-
ქართან გაგზავნილი კაცი მოვიდა და მეფეს მოუტანა
ამბავი, რომ სულთანმა მოგცა გონია და ზოგიერთი და-
ბები ახალციხის მხარესო, და აგრეთვე აღგითქვა შემ-
წეობაო. გურულთ ყოველივე ეს რომ გაიგეს, ითქვა-
ეს: ხონთქარმა რომ გონია მისცა მეფეს, ამას გურიის
დაპყრობაც უნდაო. მეფე გავიდა გურიიდამ და მიავიდა
მანუჩარ ათაბაგთან. ამან მისცა მეფეს ოლთისი. თეი-
მურაზმა ცოლი თვისი ხვარაშან და აგრეთვე კასელ და-
დებულთა დედა-წულნი ოლთისს დასტოვა. ციხის მცვე-
ლად დაადგინა ნოდარ სასლთ-ხუცესი. ხოლო თვითონ
შვიდასი ცხენოსნით, «თრიად მდიდრად აღკაზმულით»,
წავიდა სტამბოლს. ყოველივე ეს რომ მიესმა შაჰ-აბაზს,
თეიმურაზის შვილები გამოასაჭურისნა (1620 წ.). ეს
უდიერი ტანჯვა ვერ აიტანა ალექსანდრემ და მოკვდა,
ხოლო ლევანი გასულელდა და მალე იგიც დაიღუპა. ამის
შემდეგ ყაენმა უბრძანა ამირგურასანს: „წადი ოლთისს,
შეიპყარ დედოფალი ხვარაშან და მოამგვარეო“. ამირ-
გურასან წავიდა. ზამთარი იყო დიდ-თოვლიანი. ხანმა
თოვლიანი მთა გადათხარა და მიადგა ოლთისს. ქართ-
ველები გამაგრდნენ ციხეში. მტერმა ვერ აიღო იგი და
ცარიელი დაბრუნდა. დაბრუნებულს გამოეკიდა ნოდარ
სასლთხუცესი და გასწყვიტა მრავალი სპარსი. სტამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლს მისული თეიმურაზ სულთან მუსტაფამ დიდის ბატიკვით მიიღო, დაასაჩუქრა და გამოისტუმრა. ჯარი კი არ მისცა, რადგან თვითონაც ომი ჰქონდა დასავლეთ ქვეყნებთან. თეიმურაზი დაბრუნდა ოლთისს, და აქედგან გადავიდა გონიას. იგი უკვე აპირებდა რუსეთში წასვლას, რომ მიუვიდნენ ქართველთაგან სპარსთა ამოწყვეტის მასარებელნი. თეიმურაზი წამოვიდა კახეთს (1623 წ.).

მარაბადის ომი (1623 წ.) მიესმა-რა საქართველოს ამბები, განძვინებულ შაჰ-აბაზს დიდძალის ჯარით გამოგზავნა ისახან ყორჩიბაში. სპარსელნი დადგნენ ალგეთის ნაპირას, მარაბდას. ქართველნი ავიდნენ ტაბახმელას. აქ იყვნენ მეფე თეიმურაზ, ათაბაგი მანუჩარ 300 სამცხელით, ზურაბ ერისთავი, მოურავი, დავით ასლანიშვილი, ალათანგ ხერხეულიძე, ბარათა ბარათაშვილი, იესე ქსნის ერისთავი, მუხრანბატონი თეიმურაზ და მრ. სხ. მტერმა თავისი ბანაკი ასე გააწყო: „ჯერ ზარბაზნები გარშემო მომართა არაბიანად (ურმებით). მას ქვეშ მუხლის მჯდომი მეთოფე, მეორე ზეზე დგიანად, მესამე ცხენოსანია, მეოთხე აქლემიანად“ (არჩილიანი). ქართველებმა გულ-სრულად და ჯავრიანად შეუტიეს მტერს და შემუსრეს. ყიზილბაშნი გაიქცნენ. ამ დროს ერევნის ბეგლარ-ბეგი ამირგურასან შემოეყარა გაქცეულ ყიზილბაშებს, მარაბდის გორიდამ გადმოვიდა და დაეცა ქართველებს, რომელნიც უკვე თარეშობდნენ სპარსთა ბანაკში. ისევ შეიქმნა გამწარებული ბრძოლა. ათაბაგი მიუხტა ამირგურასანს, ჩერა თავსა ხმალი და გაუშო თავი. ამირგურასანმა, რომლის ალზრდილიც იყო ათაბაგი, იცნო ივი და უთხრა: «უშუერმარილოვ». ათაბაგი გაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცალა მას. ამ დროს სპარსთ მოჰკლეს თეიმურზ მეფ-
რან ბატონი. ქართველებს ეგონათ მოგვიკლეს თეიმუ-
რაზ მეფეო. დაიბნენ და იკლტნენ. სპარსნი გამოეკიდ-
ნენ და უწყალოდ ჰყლიტეს. ამ ომში მოიკლა 18,000
სპარსი და 10,000 ქართველი. ამ ბრძოლაში დაიღუპ-
ნენ: ცხრა ძმანი მაჩაბელნი, ცხრა ძმანი ხერხეულიძენი
და მრავალნი დიდებულნი.

ბრძოლა ქსანზედ (1623 წ.) ისახან ოორჩიხანმა
შეესია ყიზილბაშნი ქართლ-კახეთს. მას ჰსურდა განე-
თავისუფლებინა არშის ციხეში დაპატიმრებული ანდუყა-
ფარ ამილახორი. ამიტომ სთხოვა ზურაბ ერისთავს მი-
ეცა მისთვის გზა სპარსთა ჯარის მთიულეთს შესაყვა-
ნად. ზურაბმა დაუდო ეს პირობა: არაგვის ხეკ-ხეკ წა-
დი და დაბრუნებისას ქსნის ხეკზედ ჩამოდიო. ამით ზუ-
რაბს უნდოდა ოხრებისაგან გადარჩინა თავისი საე-
რისთო. ისახანიც ფიცით დაჰპირდა პირობის აღსრუ-
ლებას. ყიზილბაშნი ხოსრო-მირზის (შედეგ როსტომ
მეფე) მოთავეობით შევიდნენ მუხრანს, ავლეს დუშეთი,
მივიდნენ მთიულეთს, გაანთავისუფლეს ამილახორი ტო-
ლითურთ და ქსანზედ წამოვიდნენ მუხრანისკენ. მათ
დაბრუნებამდე იესე ქსნის ერისთავმა და ზურაბ ერისთა-
ვის ძმამ გიორგიმ მტრებს შეუკრეს გზა. მათ მიეშვე-
ლა მოურავიც. მტერმა რომ მოაწია სანგრამდე, დაესხნენ
ქართველნი და გაყლიტეს იმდენი, რომ „ქსანი იქმნა
ვითარცა სისხლი“. მიუხედავად ამისა, ხოსრო მირზამ
გამოასწრო მათ და ანდუყაფარის ტოლი მოჰკვარა ისა-
ხანს, რომელმაც ქალაქს სვიმონ მეფე გაამაგრა და თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან წავიდა სპარსეთს. ყაენმა ხოსრო-მირზას ულაზარეთი ლასობა უბრძა.

წამება ქეთევან დედოფლისა (1624 წ. 13 სექდენბერს). შაჰ-აბაზს ეგონა ქართველები სულ გაკანადგურეო. ის კი არა, ახლა კინაღამ ამ დაჭრილ-დაკოდილ ქართველებმა ბოლო არ მოუღეს მის ლაშქარს. ბრაზი მოერია. გაცეცხლდა. შირაზის ბეგლარ-ბეგს უბრძანა გაემაჰმადიანებინა დედა თეიმურაზ მეფისა, თუ იგი არ დაჰგმობდა ქრისტეს, ეწამებინა და მოეკლა. ქეთევანს მიუჩინეს მოლები. მან არ ინება თვისის სჯულის დატოვება. მაშინ დედოფალი გამოიყვანეს საპყრობილედგან მოედანზედ, გააშიშვლეს, გაუჭიმეს ხელნი, მარწუხებით დაჰგლიჯეს ძუძუნი, წყლულებზე დაადვეს გახურებულნი საჯნი, წვეტიან ლურსმებზე გაართხეს, ზურგით მკერდამდე გაუტარეს შამფური, გახურებული ჯაჭვი შემოარტყეს, თავზე ჩამოაცვეს ცეცხლით გაწითლებული ქვაბი. ქეთევანმა სული განუტევა. მისი სხეული მწვირეში ჩააგდეს ძაღლთა და მხეცთა საჭმელად. ოთველივე ეს თავის თვალით ნახეს იმ დროს იქ მყოფ ფრანგთა მოძღვრებმა. ამათ ქეთევანის ნაშთი მოიპარეს და მოართვეს თეიმურაზს, რომელმაც დაკრძალა იგი ალავერდის სობორის ტრაპეზის ქვეშე. დედოფალი შეირაცხა წმინდათა შორის. ქეთევანი ბრძენი და ფრიად განათლებული დედაკაცი იყო. მამა მისი იყო მუხრან ბატონი ამოთან ბაგრატიონი.

სიკვდილი მოურავ საკაძისა (1629 წ. ივლისს.) საქართველოს მეფე სვიმონი ჩაკეტილიყო ობილისში. მას მცველად ჰყვანდნენ სპარსელნი. საქართველოს უგეთეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი შვილნი კარგად სედავდნენ, რომ იგინი ჯერ-ჯერობით ვერას გახდებოდნენ, მძლავრ მტრებს ვერას დაკლებდნენ, რომ საქართველოსთვის დღეს საჭირო იყო დასვენება, თავისუფლად ამოსუნთქვა, შერჩენილ ძალონის მოკრეფა, გაოხრებულ მამულ-დედულის შენება, უხნავ მინდვრების შემუშავება, ლუკმის შოვნა, შეშინებულ ხალხის ტყე-ღრედგან გამოყვანა და დასახლება. დარწმუნდნენ იგინი, რომ ქვეყნის სახსნელი გზა ერთი-ღა იყო: შერიგება მტერთან და მორჩილობა ყენისა. სამწუხაროდ, ამას ვერა გრძნობდა მხოლოდ მოურავი, რომელსაც ამდენ კაებსა და ქვეყნის აოხრებაში უდიდესი წილი ედო. მხოლოდ იგი არ წუნარდებოდა და იძახოდა: „ჩემი ხმალი ბასრიაო. რაოდენ ლომს თავი წარვკვეთო“. ახლაც იგი მიენდო თავის ხმალს. შემოიკრიბა სამოციოდე კაცი და დაიწყო მიხტომ-მოხტომა. ხან მტრის ერთ რაზმს ეცემოდა, ხან მეორეს და მესამეს, ღ იმარჯვებდა კიდეც. ამ გვარ გამარჯვებებმა გაამაყეს იგი. მან მოინდომა «უფროსობა ზურაბ ერისთავზედაც ღ ქართველებზედაც». ვინც ეურჩებოდა მას და მშვიდობა სწადდა, იგი მიუხტებოდა და იკლებდა. ამ გვარად აოხრა დვალეთი და მოჭკლა თამაზ მაჩაბელი; მეღიქ ქაზუმს მიუყენა ჯაშუში, გატეხა ციხე ღ ივარ-ჭეო; მიუხტა ქვეღ წერეთელს, დასწვა და დადაგა მისი სახლ-კარი. ქართველები ფრიად სწუხდნენ, რომ მოურავი არ წუნარდებოდა ღ მიუგზავნეს მას თბილისის მიტროპოლიტი დიონესე და მცხეთის მამათ-მთავარი ტრიფილე. ეს მამანი მივიდნენ მუხრანს წინაშე მოურავისა და შეეკედრნენ: მოეცი ქვეყანას მშვიდობა და მყუდროება ტაძარსა უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლისასა. ნუ თუ შენს გულს არ ამღვრევს ტირილი და გლოვა ქვეყნისა, გმინვა დიდისა და პატარასი, გლოვა ოჯველს ქოხსა და სახლში. არ გესმის განა მოთქმით ტირილი ერისა, რომელიც დასტირის ზოგი ძმას, ზოგი მამას, შვილებს, ცოლს, დედას, დებს. რაღა ძალა დარჩენია საქართველოს, რომ შეებრძოლოს ძლიერ სპარსეთს. ანებე ბრძოლას თავი. იდეკ მახვილი ქარქაშსაკე შინა. დაუუჩდი დროებით მაინც.—მოურავმა არ შეიწუნარა ეს ვედრება. ბირიქით, მიიმხრო ქაიხოსრო მუხრან ბატონი, განუდგა მეფე თეიმურაზსა და ზურაბ ერისთავს. მათ ჭსურდათ ქართლის სამეფოს დაპყრობა. მოურავმა და ქაიხოსრომ მოიწვიეს ჯარი ათაბაგისა და იმერთა მეფისა ლ მიუხტნენ თეიმურაზ მეფეს, რომელიც იდგა დუშეთში. შეიბნენ ძმანი ბაზალეთს. მრავალი დაიჭრა და დაიხოცა. იძლივნენ მოურავის მხრისანი და გაიქცნენ შერცხვენილნი. მოურავს ახლა შემოსწყრნენ ყველანი: იმერნი და აშერნი. ამიტომაც იგი გაეცალა საქართველოს, მივიდა სტამბოლს, და ითხოვა ჯარი, რათა სულთანს დაუპყროს საქართველო. აქამდის იგი შიიტის სარწმუნოებისა იყო და ერქვა მორად (შარდენ) და ახლა კი შეიქმნა სუნიტი.

ოსმალეთის ისტორიაში სწერია: საქართველოს ასაოხრებლად შაჰ-აბაზმა გაგზავნა რამდენიმე ათასი ჯარი ყარჩიხანისა და მოურავის წინამძღოლობით. საქართველოში შესვლის მიზეზად ამათ უნდა გამოეცხადებინათ ქალწულ ქალთა აკრება და წაგვრა წინაშე ყაენისა. ამ მიზეზით შეკრიბეს 12,000 ქართველი. მოურავმა ქართველთა მოთავეებს შეატყობინა ნამდვილი მიზეზი სპარსთა ლაშქრის შემოსვლისა. მაგრამ ქართველებმა არ დაუჯერეს. მაშინ ყიზილბაშთ მოსწყვიტეს 400 ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ველი. ეს რომ დაინახეს ქართველებმა, ეცნენ სპარსელთ და 30,000 მტერი გასწყვიტეს, დახოცეს ყველა ხანნი და სარდალნი. დიარბექირს მდგომ დიდ-ვეზირს ქართველებმა წარმოუდგინეს 7000 მოჭრილი თავი სპარსთა. ეს თავები შუბებზე აეგოთ და ისრე მოართვეს. 200 თავი, წაგდებინებული მარტო ქართველთა მეფისაგან, წარუდგინეს დიდვეზირს 28 დეკემბერს 1625 წელს. დიდი ვეზირი საქართველოში აღარ შევიდა და გაილაშქრა ბაღდადს.—მოურავი ვეზირს იწვევდა საქართველოში შესასვლელად. წადილი მისი შეუსრულებლად დარჩა. ამიტომაც მან თავისი თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა და მოაჭრევინა ფული ზედ-წარწერით: „მაღრავ-შაჰ, მსახური შაისა“. ამას ჯარი ცოტა ჰყვანდა. ამ არეულობის დროს თეიმურაზი იყო ყარსის მხარეს და ახლა დაბრუნდა თავის ქვეყანაში. მოურავმა მას მიართვა დიდი საჩუქრები, მაგრამ რადგან იგი არ ეკუთვნოდა ქართველთა სამეფო გვარს და ამასთანავე კარგადაც იცოდა, რომ თეიმურაზი მას არ შეიწყნარებდა, იგი მოვიდა დიდი ვეზირის ბანაკში ახალი ინტრიგების გასამართავად და დახმარების სათხოვნელად. დაახლოვებით 1628 წლის ივნისის თვისა მოურავი გამაჰმადიანდა და ეწოდა მოჰამედ-ბეგ. სულთანმა მას უბოძა „კარის-კაცობა“. არზრუმის აღების დროს მას ებარა ამ ქალაქის ის მხარე, საითაც არის საქართველოს გზა. აქედგან დიდ ვეზირმა გაილაშქრა ალეპოს და ქართველები კონიას დარჩნენ. მალე მოურავზე საჩივრები მიუვიდა დიდ ვეზირს. მოურავსა და მასთან მყოფ 41 ქართველს სწამებდნენ მრავალ საზიზღარ საქმის ჩადენას, ამიტომაც ანატოლიის ბეგლარ ბეგი და ნიკდეს ბეგი წარგზავნილ იქმნენ მათ შესაპყრობად. მოურავხანი, მისი შვილი (ზურაბ) და 40 ქართველი მოიყვანეს დიდ ვეზირის კარვის წინაშე. ეს მოხუცი მაღრავხანი იმისთანა უშველებელი ტანისა და ღონისა იყო, რომ მას უწოდებდნენ „ბუღას“ (taurau). მიუხედავად მისის წინანდელ სამსახურისა, იგი გადასცეს ჯალათს და მასთან მისი შვილიცა და 40 ქართველიც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელნიც აღწყვეტილ იქმნენ 1629 წ. ივლისის გასულს *). ასრე დასრულდა სიტოტხლე სააკაძისა, რომელსაც ძალონე და გამბედაობა ბევრი ჰქონდა, ხოლო შორს-გამჭვრეტელობა არც ნამცეცი. ბირად მტრის ჯავრის ამოსაყრელად მან შეურცხვენელად იკისრა ჯაშუშობა ყაენისა, წამოუძღვა მას, გააოხრებინა და აყრევინა ქვეყანა, რომელმაც ამ ომების დროს დაჰკარგა 240,000-მდე მკვიდრი. ერთგულობასა და ღალტს იგი ერთნაირად ხმარობდა თვისის ბირად საწადელის მისაღწევად. სააკაძის სამსახური სპარსთადმი დიდად დააფასეს შემდეგ დროის ყაენებმა, რომელთაც მის შთამომავლობას მისცეს თარხნობა ლ დაუმტკიცეს მეფეთაგან წართმეული დედულ მამული.

V

შაჰ-აბაზ ყაენი რომ მოკვდა (1628 წ.), სპარსეთში მოხდა შფოთი. ყულარაღასმა ხოსრო-მირზამ ისმო ყულნი (ქართველ ტყვეებისაგან შემდგარ ჯარს ერქვა ყული), გამოიყვანა შაჰ-სეფი და დასვა ყაენად. მისნი წინააღმდეგნი გასწყვიტა. ახალ ყაენმა დიდი პატივისცა ხოსრო მირზას, რომელსაც ამის შემდეგ მამას ეძახდა.

მეფე სვიმონის მოკვლა. (1629 წ.) სპარსთ რომ განუდგა ზურაბ ერისთავი, აზრად ჰქონდა ლელა ბატონიშვილი შეერთო. მაგრამ ფეიქარხანმა გასწრო და ცო-

*) Hist. ge. p. II, p. 60.

ლითურთ სპარსეთს გარდაიხვეწა. ამავე ზურაბს ესურდა მეფეთა შთამომავლის შერთვა. გონიიდამ მოიწვიეს გაძეგებული თეიმურაზ მეფე და ისევ გაამეფეს. ზურაბმა შეირთო დაკვლებულ თეიმურაზის ასული დარეჯან. ამის შემდეგ სიძე-სიმამრს მეგობრული განწყობილობა ჰქონდათ. მაგრამ ზურაბი თავის გარშემო მძლავრ კაცებს არ აბოგინებდა ხოლმე. მან თვალები დასთხარა თავის ძმას გიორგის, სიძეს თეიმურაზ მუხრან ბატონისას. 1629 წელს ზურაბი წაეჩხუბა თავის სიმამრს თეიმურაზს. ამან დასტოვა დუშეთი და კახეთს წავიდა. ზურაბი ეახლა სვიმონ მეფეს, მორჩილება გამოუცხადა და გამოიყვანა თბილისიდამ. სვიმონმა დაიპყრო მთელი ქართლი და ცხვილოს ციხეში დადგა. თეიმურაზმა უფალრიდამ ზურაბს მისწერა: „შეუგვანებელ არს განწირვად სიძისაგან სიმამრისა, გარნა ვიხილოთ უკანასკნელი შენი და სვიმონისა“. თეიმურაზი გაეშურა სპარსეთისკენ. ზურაბს შეეშინდა სიმამრის მუქარისა, ღამე მივიდა ცხვილოს ციხეში, მოჰკლა მეფე სვიმონი, თავი მოსჭრა და გაუგზავნა თეიმურაზს, რომელიც გზიდანვე დაბრუნდა და დაიპყრო ქართლ-კახეთი. ამავე წელიწადს მან მოჰკლა თვისი სიძე ზურაბ ერისთავი. ხოლო მისი ცოლი დარეჯან შეჭრთო იმერეთის მეფის ძე ალექსანდრეს.

ქართლ-კახეთის მეფე შეუდგა ქვეყნის შენებას. საქართველოს არ ასვენებდნენ მომიჯნავე მფლობელნი. ამიტომ თეიმურაზის ჯარმა აიღო წუქეთის სულთანი ალი-ბეგ, ულუკოსორი, ბარდა, ყარაბალი, შამშადილი და ყაზახი. ამავე დროს განჯის ბეგლარ-ბეგი დავით უნდილაძე მისის ელჩით თეიმურაზმა დაასახლა იორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპირებზე. ეს უნდილაძე ყაენს გამოუქცეოდა. შაჰ-სეფი მეფეს მოსთხოვა უნდილაძე. თეიმურაზმა არ მისცა. ყაენი გაჯავრდა. ქართლის მეფობა მისცა ხოსრომირზას, რუსტომად წოდებულს, ხოლო კახეთის გამგედ დანიშნა სალიმ-ხანი. სპარსთა ჯარით გამოისტუმრა იგინი. რუსტომი რომ მოვიდა, ქართველთა დიდებულნი მიეგებნენ მას. თეიმურაზი იმერეთს წავიდა. გამეფდა რუსტომი (1634 წ.). სალიმხანი მივიდა მოსაბრუნს და სასახლის აგება იწყო.

საქართველოს გაყოფა სპარს-ოსმალთა შორის. რუსტომ მეფეს არ ემორჩილებოდა მხოლოდ არაგვის ერისთავი დათუნა ზურაბის ძე. რუსტომი მიუხტა მას, მოსჭრა თავი და წარუგზავნა ყაენს. დათუნას შვილმა ზურაბ თეიმურაზს შეუთვალა: „მოდი. ქართლი დაიპყარ. მე შენი შემწე ვარო“. იგიც დაჯლეთით დუშეთს გადმოვიდა. ზურაბის განზრახვას გარემოებამაც ხელი შეუწყო. მურად ხონთქარმა აიღო ერევანი (1636 წ.). თეიმურაზი მიუხტა სალიმხანს, დაამარცხა იგი და დაიპყრო კახეთი. მურად ხონთქარი ჯ ყაენი შაჰ-სეფი შერიგდნენ და გაიყვეს საქართველო. მურადს ერგო იმერეთი, საათაბაგო და ქურთისტანის ნახევარი, ხოლო ყაენს ერევანი, ქართლი, კახეთი და ქურთისტანის მეორე ნახევარი (1636წ.).

ამის შენდეგ ოსმალნი და სპარსნი ბეჯითად შეუდგნენ ქრისტიანობის აღმოფხვრას. ათხაზეთსა და საათაბაგოში შემოვიდა მაჰმადიანობა. მონასტერ-ეკლესიანი თან და თან გაუქმდნენ. ეპისკოპოს-მღვდლები ქართლ-კახეთ-იმერეთში გადავიდნენ. საეკლესიომამულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მაჭმადიანთ დაისაკუთრეს. ყველაზე სამწუხარო ის იყო, რომ თვით სამცხის ათაბაგები სტდილობდნენ მოესპოთ ყოველგვარი ქართული ნიშან-წყალი საათაბაგოში. 1625 წელს ბექამ მოჭკლა ძმისწული თვისი ათაბაგი მანუჩარ, წაიდა სტამბოლს და გამაჭმადიანდა. ამიტომაც ხონთქარმა მისცა მას სამცხის თავშობა, პატივი სცა ორითა თუღითა და წარმოავლინა. მას ეწოდა საფაშა. მის შემდეგ საათაბაგოს დაერქვა ახალციხის საფაშო, რომელიც დაუქვემდებარეს არზრუმის სერასკირს. ქართველთ გაუჭირდათ ცხოვრება, რადგან ყოველ ქრისტიანს ოსმალი ახდევინებდნენ დიდ ხარკს: სულზედ შეკვეთილი იყო: თითო დრაჭკანი, ყოველ მოსავალზედ შვიდის-თავი, ცხვარზედ ორი შაური, ძროხაზედ აბაზი, ცხენსა ლ კამბეჩზედ ექვსი შაური. მამაკაცნი მალე მთლად გამაჭმადიანდნენ. ქრისტიანად დაშთნენ მხოლოდ დედაკაცნი. ხონთქარმა რუსტომ ფაშას (1647—1659 წ.) უბრძანა იგინიც გაემაჭმადიანებინა.. ეს რომ შეიტყო რუსტომ ფაშის მეუღლემ, ფარ-ჭყო სჯულის დატოვება. იგი ტანჯეს, აწვალეს. არც ამან გასჭრა. რუსტომის ცოლმა კლდეზე გადავარდნა დაანპირა. იგი შეიშურეს. ყოველგვარად შეკიწროებულ და ღონე მიხდილ დედაკაცმა რუსტომს ეს პირობა დაუდო: «თუ გამაჭმადიანდებიან ყველა დიდებულების ცოლები, მაშინ მეც დავტოვებ ჩემ სჯულსო». რუსტომს გაუსარდა და იძულებით ყველანი გაამაჭმადიანა. ასლან-ფაშის დროს (1659—1677 წ.) სამცხის დიდებულთ ჩამოხდათ თვისი ღირსება. თავადთა, აზნაურთა და მთავართ შეეცვალათ სახელები და იწოდნენ ფაშად, ბეგად, ალი-ბეგად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სანჯასად და ალად. ახალციხე-ოლთისს განაგებდა ახალ-ციის თავშა, კოლას იჯდა თავშა, შავშეთ-აჭარას ბეგნი და სხვა ადგილებს ალაი-ბეგნი და ალანი.

რუსთა ელჩების მოსვლა კახეთს (1639 წ.). კახთა აყრისა და ჭვეუნის გაოხრებისაგამო გაჭირებულ თეიმურაზმა რუსის ხელმწიფეს სთხოვა დახმარება. მან ჯარის მაგიერ გამოგზავნა ელჩები, რომელთაც მეფეს მოუტანეს 250 ხატი, საღებავი წამლები, ოქრო და ვერცხლი. ამ ელჩებმა კახეთი ნახეს სრულიად გაკვრანებული. თვით მეფის სახლობაც ტალახით გალესილ ქოხებში სცხოვრობდა. ელჩებმა მეფისაგან, სხვათა შორის, გაიგეს, რომ ჯერ თეიმურაზის პაპის ალექსანდრეს დროს (1574—1605 წ.) ერთ მთაში აღმოჩენილ იქმნა ოქრო-ვერცხლის მადანი, რომელსაც სპარს-ოსმალთა შიშით ვერ ამხელდნენ. ამ ელჩების მოსვლამდე თეიმურაზ მეფეს რუსის ხელმწიფისთვის მიეწერა (1635 წ.), რომ სპარს-ქართველთა შორის ატეხილ ომში ქართველებმა გასწყვიტეს 47,000 სპარსიო და მერე კიდევ 13,000; ოსნი, ჭისტნი და სხვა მთეულნი, რომელნიც ქრისტიანები იყვნენ და დღემდის საქართველოს ტახტს ემსახურებოდნენ, არიან 80000 მეკომურნიო. ყველა ესენი ესლა ჩვენ გადაგვიდგნენო.

იმერეთში ამ დროს დიდი განხეთქილება სუფევდა. ლევან დადიანი განუწყვეტლად ებრძოდა გიორგი მეფეს, რომელსაც მან მოუკლა მრავალი კაცი ჯ ბევრიც დაატყვევა. ლევანი გადაეკიდა აგრეთვე თავის სიძე-სვიმონ გურიელს, რომელსაც მოეკლა მამა თვისი. დადიანმა შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

იბურო იგი, თვალები დასთხარა, ხოლო გურიელად დასვა ქაიხოსრო ვახტანგის ძე.

როსტომსაც ჴსურდა იმერეთის მეფის დამცირება, რადგან ეშინოდა, რომ არ მიმხრობოდა თავის ნათესავს — თეიმურაზს. ამიტომ ლევან დადიანის მხარე დაიჭირა. როსტომი თუმცა მოხუცი კაცი იყო, მაგრამ მაინც შეირთო ასული ლევან დადიანისა, სვიმონ გურიელის ქვრივი მარიამ. ამ მარიამის წამოსაყვანად როსტომი მივიდა და დადგა ფერსათის მთაზე. იქვე თავისი და მოიყვანა დადიანმა. გიორგი მეფე დადიანის დასაჭერად გავიდა. დაბრუნებისას დადიანმა გიორგი მცირე ამალით სამზირად გამოსული იხილა, შეიბურა და წაიყვანმ სამეგრელოს. მამის ტყვეობიდგან სახსნელად ალექსანდრემ დადიანს დაუთმო ჩისორისა და ჩხარის ვაჭრობენი. ამის შემდეგ გიორგი მალე მოკვდა (1639 წ.) და გამეფდა მისი შვილი ალექსანდრე III, რომელსაც არ შეურიგდა დადიანი. იგი კვლავ ეცემოდა იმერლებს, ატყვევებდა და სტანჯავდა. თავის ქვეყანაში მან აღგვეთა ქურდობა. მთელს ოდიშში 12 სასახლე აგო და ყველას საგუთარი მოწყობილობა გაუჩინა — ჭურჭლითა თუ ცხენით. ამ სასახლეთა უახლოეს წყაროებზე დასდგა ოქრის თეასანი, ხოლო უშორეს წყაროებზე ვერცხლისანი. თეასანი ძეკვით დაბა. მგზავრნი ამ თეასებით წყალს სმიდნენ. ბატონის შიშით ვერავინ ბედავდა თეასების ბარვას. იგი თრიად მრისხანე კაცი იყო. თავის ცოლს შესწამა სიძვა მეწდისა-თანა. „შეიბურა იგი ძეებითურთ, შთადვა ზარბაზანსა შინა და განტეორცნა და დაიფანტნენ სრულიად“. დადიანი ლევან მიუხტა ალექ-

სანდრე მეფის ძმას და დაატუვევა იგი. მეფეს გაუჭირდა ცხოვრება. ამიტომ გაგზავნა ხოსია ჯავარიძე წინაშე რუსეთის ხელმწიფის ალექსისა ს ითხოვა შემწეობა. რაჯას მოვიდნენ რუსთა მეფის დესპანები ნიკიფორე ბაგლეშვილი და მდივანი ალექსი იოანეს შვილი და მეფეს მოუტანეს დიდი საჩუქრები. აქედგან იგინი მოვიდნენ ქუთაისს (1650 წ.) და მიართვეს მეფეს „სამურნი და ლარნი“. ალექსანდრემ იგინი გაისტუმრა უკანვე და კვალად ითხოვა შველა და შემწეობა.

არც ქართლისა ს კახეთის მეფეები მეგობრობდნენ ერთმანეთს. 1638 წ. შეითქვნენ არაგვის ერისთავი ზაალ, ამილახორი იოთამ, ციციშვილი ნოდარ, გოჩაშვილი გიორგი და ქათალიკოზი ეგდემოზ დიასამიძე და მოიწვიეს თეიმურაზი ქართლის ტახტის დასაპყრობად. შეთქმულებს როსტომმა ჯარით მიუსია იორამი, გიორგი საკაძის შვილი. შეთქმულნი დამარცხდნენ. როსტომმა შეიპყრო ქათალიკოზი და განჯის-კარის კოშკიდამ გადმოაგდო, დაიწვირა გოჩაშვილი და თვალები დასთხარა, მიუხტა ამილახორს, შემუსრა ცხვილოსის ციხე, დაატუვევა ამილახორი და გეემული განუტევა.

სპარსეთის ტახტზე რომ დაჯდა აბაზ II (1642 წ.), როსტომს უბრძანა კახეთში სპარსთა უფლება აღედგინა. ამიტომ თეიმურაზი კვალად მიიქცა რუსეთის ხელმწიფისადმი და შემწეობა ითხოვა. მაგრამ შემწეობის მაგიერ რუსეთში მიწვევის ამბავი მოუვიდა.

ქართლის ჯარი ვასტანგ მუხრან-ბატონის წინამძღოლობით შევიდა კახეთში და თეიმურაზი დაამარცხა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰკლეს მეფის ძე დავითი, თეიმურაზი კი იმერეთს გაიქცა. კახეთი დაბურობილ და ქართლთან შეერთებულ იქმნა (1648 წ.). თეიმურაზის ძეს დავითს დარჩა ასული ქეთევან და მცირე წლოვანი ვაჟი ერეკლე (ნიკოლოზ).

1653 წ. თეიმურაზმა რუსეთის ხელმწიფეს კიდევ მოციქული გაუგზავნა და სთხოვა ზარბაზნები და 6000 კაცი, მაგრამ შემწეობა მაინც არ მოუვიდა. ბოლოს თვითონ რაჭიდამ გადავიდა დიგორს და წავიდა აშტარხანს და იქიდგან მოსკოვს. (1656 წ.). შინაური საქმეებისაგამო რუსეთის ხელმწიფემ შემწეობა ვერ მისცა, ამიტომ თეიმურაზი ისევ იმერეთს დაბრუნდა.

ამ ნაირად ქართლ-კახეთი დარჩა როსტომს. მის მეფობის განმავლობაში ქართველთ ცხოვრებას სპარსთა გავლენა დაეტყო. საქართველოში გაჩნდა მთელი გუნდი გამაჭმადიანებულ ქართველთა, რომელნიც სპარსეთში ადიზარდნენ და იქიდგან გადმონერგეს და საშობლო ქვეყანაში აღორძინეს სპარსთა ზნე-ჩვეულობანი, ადგომ-დაჯდომა და სხ. ყველა თანამდებობას სპარსული სახელწოდება დაერქვა. მეჯლისები და ყოველ გვარი შეძლევა სპარსულ წეს-ჩვეულობაზე მოეწყო: საზითა, დაირა-ზურნითა და დაფ-ნაღარით. ქართული სამუსიკო საკრავები: ჩანგი, ებანი, წიწილი ხმარებიდამ გავიდა.

როსტომი დაუღალავად აშენებდა სამეფოს. ხალხს მშვიდობიანობა მიანიჭა. ერს ადარავინ აწვალებდა. ამიტომ მინდორ-ველნი, ბაღ-ვენახები შემუშავდნენ, ქალაქებში აშენდა მრავალი შენობა. თვით როსტომმა სიონის სობოროს დაადგა შვენიერი გუმბათი, მტკვარსა და ხრამზე მაგარი ხიდები გასდვა, გაამაგრა კოჯორი, ცი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხე შემოავლო გორს, თბილისში ააშენა შვენიერი და დიდი სასახლე.

როსტომი რომ მოკვდა (1658 წ.), ქართლში გამეფდა კახტანგი, ხოლო კახეთის მმართველად დანიშნულ იქმნა სულიმ-ხანი. ამ სულიმ-ხანმა ერწო-თიანეთი დაუთმო არაგვის ერისთავს ზაალს. კახეთის ხანი სცხოვრობდა ყარალაჯში და მაჭმადიანთა შორის ჭყოფდა ქრისტიანეთა მიწებს. ეს ახალი მებატონეები ანგრევდნენ ეკლესიებს და სტანჯავდნენ ხალხს. ამიტომ ზაალმა შეჭყარა თუშ-ფშავ-ხევსურნი, მოიშველა ქსნის ერისთავი შალვა, მისი ძმა ელიზბარ და ბიძინა ჩოლაყაშვილი, დაეცა ურჯულოებს, ამოსწყვიტა ისინი ბახტრიონსა ს ალავერდში. სულიმ-ხნი გაიქცა. კახეთის მმართველად კი გახდა მურთუზ-ალი ხანი (1659 წ.). შემდგომად ზაალის სიკვდილისა მურთუზ-ალი ხანმა შეიპყრო ბიძინა, შალვა და ელიზბარი და წარუგზავნა ყაენს, რომელმაც იგინი წამებით დახოცა (1661 წ.). წამებულნი შეირაცხნენ წმინდათა შორის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფენი
ქართლისა ვახტანგ V (1658—1675)
იმერეთისა ბაგრატ IV (1661—1681)
კახეთისა არჩილ (1664—1675)

I

ვახტანგი თეიმურაზ მუხრან ბატონის შვილი იყო და შემთხვევით გამეფდა. საქართველოს ტახტზედ რომ დაჯდა როსტომი, უკვე 67 წლის მოხუცი იყო ჯ შვილი არა ჰყოლდნა. მან შეირთო აბაშიშვილის გორჯასპის ასული ქეთევან (1634 წ.). იგი მალე მოკვდა უშვილოდ. ამის შემდეგ როსტომმა შეირთო სვიმონ გურიელის ქვრივი დადიანის ასული მარიამ (1638 წ.). არც ამ მარიამისაგან ეყოლა შვილი. მარიამს წინანდელი ქმრისაგან ჰყოლნდა ვაჟი შვილი ოტია, რომელსაც როსტომი თავის შვილად და ტახტის მემკვიდრედ ზრდიდა. ოტია მალე მოკვდა. მაშინ ჩხეიძეებმა და სხვა დიდებულებმა მოინდომეს ქართლის ტახტის მემკვიდრედ როსტომს დაენიშნა იმერთა მეფის გიორგის შვილი მამუკა, კაცი ფრიად მხნე და გულოვანი. როსტომიც დათანხმდა. მამუკა დიდებულებმა სომანეთს მოიყვანეს. აქ ესენი შეითქვნენ როსტომი მოეკლათ და მამუკა გაემეფებინათ. მოღალატენი გამოგზავნეს ქალაქს განზრახულის შესასრულებლად. როსტომმა გაუგო მათ, ათი ათასის მარჩილის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალირალი სიჩუქარი გაუგზავნა მამუკას და მისწერა: «უკანვე მიბრძანდითო და რაც ხელით გამოგვიკვა, აქიდამაც მოგიმართავთ ხელსაო». სომანეთს მეოთი მამუკაც წავიდა. ამის შემდეგ, უაენის ნება რთვით, ქართლის ტახტის მემკვიდრედ დანიშნეს თეიმურაზ-მირზას შვილი ლუარსაბ. ამ ლუარსაბის მემკვიდრეობა ბევრ მებატონეს ეწყინა. თვით თეიმურაზ მეფეც მისი წინააღმდეგი იყო. ერთხელ ეს ლუარსაბი თავადიშვილებითურთ გატეხილ ხიდის ახლოს ნადირობდა. ამ ნადირობაში ტყვია მოხვდა მას და მოკვდა. ამ სახით მემკვიდრეობა ერგო ვახტანგს, თეიმურაზ-მირზას მეორე შვილს. ვახტანგი გამაჭმადიანდა და ეწოდა შანაოზ.

შანაოზის გახელმწიფებით იწყობა მეფობა მუხრან-ბატონის შთამომავლობისა *).

როსტომმა რომ სული განუტევა, არაგვის ერისთავმა ზაალ შემოიკრიბა ჯარი, მოვიდა და დადგა აგლაბარს. მისი სურვილი ის იყო, რომ შანაოზი არ გამეფებულიყო. მაგრამ უაენმა შანაოზს დაუმტკიცა ტახტი. ზაალს შეეშინდა და უკანვე დაბრუნდა.

შანაოზი მხოლოდ გარეგნულად იყო მაჭმადიანი, ხოლო ნამდვილად კი ქრისტიანობდა და ქრისტიანთ დიდათ სწყალობდა. იგი დაუღალავი და მხნე კაცი იყო. მან განაახლა და გაამაგრა ქალაქები და ციხეები. ქართლიკოზად დასვა თავისი ბიძაშვილი დომენტი, კაცი გა-

---

*) შანაოზი (ვახტანგ V) შვილია თეიმურაზ მუხრან ბატონისა, თეიმურაზი-ვახტანგისა, ვახტანგი—ბაგრატისა, ხოლო ბაგრატი-ქართლის მეფის კოსტანტინესი (1465—1505 წ.),

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათლებული და ღირსი. ყაენის ბრძანებით მეფე გაეგზავნა თავის ცოლს როდამს, ყაფლან ორბელიანის ასულს და შეირთო როსტომ მეფის ქვრივი მარიამ. როდამისაგან მეფეს ჰყავდა შვილები: არჩილ, გიორგი, ალექსანდრე, ლევან, ლუარსაბ, სულეიმან, ანუკა, და თამარ. ანუკა მოითხოვა ყაენმა. შანაზმაც მითხოვა. ყაენის საჭურისნი მოვიდნენ და დიდის დიდებით წაიყვანეს ბატონიშვილი ანუკა.

ამავე დროს იმერთა მეფე ალექსანდრეს გაეგდო თვისი შვილი ბაგრატ დედითურთ და სეფე-წულად მიეყვანა კახეთის მეფის თეიმურაზის შვილის-შვილი გიორგი; ხოლო თვითონ შეერთო იმავე მეფის ასული დარეჯან, არაგვის ერისთავის ზურაბის ქვრივი. მემკვიდრედ დადგენილი გიორგი მალე მოკვდა. დარეჯანისაგან მეფეს შვილი არ მიეცა, ამიტომაც ალექსანდრე მეფემ შეირიგა თავისი შვილი ბაგრატ. ამის შემდეგ ალექსანდრემ ცოტა ხანს იცოცხლა და მოკვდა (1661 წ.). ბაგრატი გამეფდა. დედინაცვალმა შერთო მას თავისი ძმის წული ქეთევან. ამ გვარ უჯერო ქორწინებით უფლებისა და დიდების მოყვარე დარეჯანს ჰსურდა მეფე თავის ნებაზე ეტარებინა, ქვეყნის გამგეობა ისევ თვითონ სჭერდა. მაგრამ ბაგრატი მტკიცე ხასიათის კაცი იყო. დედინაცვალის ზვიადობა ვერ შეიშვნია და რახან მეფე იყო, მეფურად იწყო ხელმწიფობა. დარეჯანს ხელიდგან უფლება გამოეცალა. ფრიად ემწარა. მაგრამ სიმწარე დაითმინა და საიდუმლოდ ბაგრატის წინააღმდეგი შეთქმულობა შეამზადა.

მაშინ იმერეთის ციხე სკანდაში სცხოვრობდა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამა თეიმურაზ მეფე, გაძეკებული კახეთიდგან. ზოგიერთი მებატონეები დარეჯანმა დაითანხმა ტახტიდგან ჩამოეგდოთ ბაგრატი და მეფედ მიეწვიათ თეიმურაზი. შეთქმულებმა ბაგრატი დაიჭირეს, შებოჭეს, და ციხეში ჩააგდეს. დარეჯანმა იმავე ციხეში მიიწვია თვისი მოძმრეები, დაჯდა მათთან საბჭოდ შესახებ იმისა, თუ რა უყონ ბაგრატს. ბჭობა გაგრძელდა ხუთ დღეს. ბოლოს გადასწყვიტეს: ეატიმარს თვალები დაეთხარეთო. და დასთხრეს კიდეც.

დარეჯანმა მამას კაცი გაუგზავნა და იმერეთის მეფედ მოიწვია. მეფემ რომ გაიგო ყოველივე ქმნილი, შეეზარა თავისი ასულის უდიერი საქციელი და უარი შეუთვალა. ბოროტ დარეჯანმა წარბიც არ შეიხარა. ეატიგის მოუვარე დედაკაცმა შეირთო კახტანგ ჭუჭუნიაშვილი, მონათესავე მეფის გვარეულობისა. დარეჯანი გამოაცხადეს იმერთა დედოფლად და კახტანგი მეფედ.

შანაოზმა დადიანს გაუგზავნა მოციქული და სთხოვა თავისი ქალი მოეცა მეფის ძის არჩილისათვის. დადიანი დათანხმდა. დადიანი და შანაოზი დამზახლდნენ. მაგრამ ეს მზახლობა ჩაშალა დადიანისავე მეუღლემ: ქართული შორეული ქვეყანაა და ჩემ ქალს იქ ვერ გავათხოვებო. ქმარმაც უსმინა მას და თვისი ასული მითხოვა ბეყან ლოლობერიძეს. მეფის შეჩენილ კაცებმა ლოლობერიძე მოჰკლეს.

ამასობაში შანაოზის წინაშე მოვიდნენ დარეჯანის მოწინააღმდეგენი ეაატა აბაშიძე, რაჭის ერისთავი ეაეუნა და ლეჩხუმის თავი ხოსია ლაშხიშვილი და მეფე მიიწვიეს იმერეთს. შანაოზი შეუდგა მზადებას, რათა გაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშქრობს იმერეთს, დასაჯოს დადიანი და გაარიგოს იმერთა საქმე. ამ მზადებაში რომ იყო მეფე, აუკანუდა მას არაგვის ერისთავი ზაალ, რომელმაც მოსწყვიტა კახეთის ელნი. მეფემ აკანუებულ ერისთავს შეუჩინა მისიკე ძმის-წულნი და მოაკვლევინა. ერისთაობა მისცა ოთარს. ქსნის ერისთაობა დაუმტკიცა იესეს. შანაოზი უმეტესად გაძალიანდა, ქართლის, დიდიხნიდგან დამცირებულ ტახტს, ძალიერება მიემატა.

მინამ მეფე მოიცლიდა იმერეთისათვის, შანაოზის შემარცხვენელ კამეუ დადიანს უკვე დაემხო დარეჯანი, თვალები დეთხარა მის ქმრის კახტანგ ჭუჭუნიაშვილისათვის, აღო ქუთაისი, დაესაკუთრებინა მთელი სიმდიდრე სამეფო სახლისა, გამეფებულიყო და დაბრუნებისას თან წაესხა დარეჯანი, მისი ქმარი და ბრმა ბაგრატი.

შანაოზი დიდ-ძალ ლაშქრით გადავიდა იმრეთს. იმერლები სიხარულით მოეგებნენ. მეფე შემოერტყა სკანდას, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვიდა ზუგდიდს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი და იმერეთის მეფედ დემეტრე გურიელი დასვა. ლეკან დადიანმა ფაშას მორჩილობა გამოუცხადა. ამის შემდეგ ფაშა ახალციხესკენ დაბრუნდა და თან წაიყვანა დედოფლები: დარეჯანი და ქეთევანი.

ხონთქარმა ყაენს მისწერა: „ჩვენ შორის ზავია დადებული. შანაოზს რა მიზეზით დაუპყრია იმერეთი. თუ გნებავს, ვიომოთო“. ყაენს ომის ატეხა არ უნდოდა. შანაოზს შემოუთვალა შენი შვილი არჩილ მე გამომიგზავნეო. ძეფემაც გაგზავნა. ბრმა ბაგრატიც იმერეთსაკე დაბრუნა. ყაენმა არჩილი პატივით მიიღო, გაამაჭმადიანა, ნაზარ-ალი ხანი დაარქვა, კახეთის მეფობა მისცა და დიდის საჩუქრებით წარმოგზავნა.

ამ დროს კახეთში იყო ნამდვილი მემკვიდრე ტახტისა, თეიმურაზ ¼მეფის ძის დავითის შვილი ერეკლე (ნიკოლოზ). კახელებს მისი გამეფება ჭსურდათ. შანაოზი შეეიდა კახეთში ¼ დადგა აწყურს. ერთ ბნელ ღამეს მას თავს-დაესხნენ თუშნი ¼ კახელნი. შანაოზი ¼ არჩილი გამაგრდნენ. ერთი თუში ბილწად აგინებდა მეფეს. თამაზ თურქისტანიშვილი მიუხტა მას, წარკვეთა თავი და მოართო მეფეს. რიყრაყზედ მეფემ ბუკი დაუკვირებინა. შეშინდნენ თუშ-კახნი და გაიქცნენ. მათ გზა შეუკრა სპასპეტმა ზაზამ. მოსწყვიტეს მრავალი. შანაოზმა დახოტილთა თავები მოაჭეჩა და მათგან კოშკი აღმართა. ერეკლე თორღის ციხიდგან გაუპარეს კახელებმა და რუსეთს წარგზავნეს. გამეფდა არჩილი, მომავალი დროის პოეტი (1664 წ.)

რომ უფრო მტკიცედ დამკვიდრებულ იყო ტახტზე, არჩილმა გადასწყვიტა შეერთო ზემოხსენებული ქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეკანი, კახეთის ბატონიშვილის დავითის ობოლი. ბიდ-
რეკვან დედოფალიც სამცხიდან აქეზებდა კახელებს და
მეცადინეობდა ეს საქმე არ მოშლილიყო. მხოლოდ შა-
ნაოზი არ თანხმდებოდა, რომ მის შვილს შეერთო ქე-
თეკანი, რადგან იგი წინათვე დანიშნული იყო ნოდარ
ციციშვილის ასულზედ. ბოლოს, ბევრი სვეწნა-მუდარის
შემდეგ, შანაოზმა ნება-დართო შვილს აესრულებინა გუ-
ლის წადილი. შანაოზმა თბილისის ვაჭარს გაატანა
2000 თუმანი, რომელსაც ითხოვდა დარეკვანი, და სამცხ-
ხიდგან მოა ყვანინა ქეთეკანი და შერთო არჩილს (1667 წ.)

აქ მატიანე არ გადმოგვცემს შემდეგ ცნობას, რომელსაც
მოგვითხრობს შარდენი 1673 წელს. ნოდარ ციციშვილის
ასულს, რომელზედაც დანიშნული იყო არჩილი, შეურაცხებადს
მიუთვლია არჩილის საქციელი. ჯერ წერილით უმხელია მოღა-
ლატე, მერე უმაღლესს სასამართლოში უჩივლია და რომ სა-
სამართლოს გარდაწყვეტილობას ვერ დაუკმაყოფილებია, შეუყ-
რია 400 რჩეული კაცი, მისულა კახეთის საზღვარზე და საომ-
რად გამოუწვევია არჩილი. არჩილს შემოუთვლია ქალთან ბრძო-
ლას ვერ ვიკადრებო და თანაც დაუმატებია შენ სიზის მოყვარე
ხარო. სიზი ნოდარ ციციშვილის მეზობელი ყოფილა და მის
ოჯახში მსვლელობა ჰქონია. ციციშვილის ქალი დაბრუნებულა
და სიზი ხმალში საბრძოლველად გამოუთხოვნია. იგი არ და-
თანხმებულა. ქალი თავს-დასხმია და ოცამდე კაცი მოუკლავს.
მერე ქალის ძმას ხმალში გამოსვლა შეუთვლია. შებმულან კიდეც,
მაგრამ მეფეს შეურიგებია მებრძოლნი.

ქორწილის შემდეგ არჩილი შეუდგა ქვეყნის შენ-
ებას. თელავში ააგო მშვენიერი სასახლე. კახეთის ეკკლე-
სიები გააახლა. სხვა ჯ სხვა ადგილას გაამწესა ეპისკო-
პოსები და გაამტკიცა ქრისტიანობა. ამ დროს ქურდუ-
ლად ჩამოდიოდნენ ლეკნი-ჯურმუტელნი და აოხრებდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალმა-მხარსა და ელისენს. მათ დასასჯელად არჩილმა კახეთის ჯარს შეუერთა მამის ლაშქარიც, მიუსია ჭურმუტს და აოხრებინა იგი და იავარ-ყო.

დარეჯან დედოფალს 2000 თუმანი იმიტომ უნდოდა, რომ ახალციხის ფაშისთვის ბირობა მიეცა, თუ ქმარს გამითავისუფლებ და იმერეთის ტახტს დამიბრუნებ, 20000 მარჩილს მოგცემო.

ბაგრატი ქართლიდგან იმერეთს რომ მივიდა, იმერლებმა სიხარულით მიიღეს იგი. დემეტრე გურიელს თვალები დასთხარეს და ბაგრატი გაამეფეს. იგი გადაეკიდა ლეკან დადიანს. ერთ ბრძოლაში დაამარცხა და ტყვე-ყო. მისი კეკლუცი ცოლი თამარ (ლეიძლი და თეისის ცოლის თითიასი, რომელიც შერთო მას შანაოზმა თბილისში მეოთხობის დროს) მოაყვანინა და თვითონ შეირთო, თითიას კი გაეყარა.

ვახტანგ ჭუჭუნიაშვილი გორის ციხეში იყო დამწყვდეული. ასლან ფაშამ მოისყიდა ციხის მცველი და ჭუჭუნიაშვილი გაუპარა. მერე დარეჯანი და ჭუჭუნიაშვილი წაიყვანა იმერეთს. ბაგრატი გაიქცა რაჭას. დარეჯანი ისევ შეიქმნა იმერთა დედოფლად.

ფაშა რომ დაბრუნდა, იმერთა დიდებულებმა გადასწყვიტეს ბოლო მოეღოთ მათ გამაწბილებელისათვის. ხოსია ლაშხიშვილმა დიდის ოსტატობით შეიპყრო დარეჯანიცა და მისი ქმარიც. დაჭერის დროს დარეჯანი დასანჯეს. ჭუჭუნიაშვილი ბაგრატ მეფესთან რომ მიიყვანეს, ბრაზ მორეულმა შეჰყვირა: «მოლალატეო! შენ თვალები ამომხადე და ახლა მე გულს ამოგხდი». და ჰკრა მას ხანჯალი. ტოტხალ-მგვდარ ჭუჭუნიაშვილს გული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოუღეს და მისცეს ბაგრატს, რომელსაც მტრის გული დიდხანს ხელში ეჭირა და გაშმაგებულად სრესავდა (1668 წ.).

ბაგრატის წინააღმდეგი, დადიანს გარდა, იყო აგრეთვე სეხნია ჩხეიძეც. ამან ოსმალნი შემოაპარა ქუთაისში. ბაგრატი გაიქცა ლეჩხუმს. მოწინააღმდეგენი მას შეებნენ ჩხარს. მეფეს გაემარჯვა. მცირე ხნის შემდეგ დადიანი ისევ მიუხტა, აიღო ქუთაისი და დადგა გეგუთს. ბაგრატი რაჭას წავიდა. დადიანი სირცხვილით იწოდა, რომ ბრმა მეფეს შეერთო მისი ტოლი და ამიტომ არ ბეგდა იმერეთს. მეფემ მოიყვანა ჯარი და განაძევა დადიანი. ახლა გურიელი გადაემტერა მეფეს. ეს გურიელი გიორგი იყო კაცი „უღვთო, მესისხლე და ტუვის მსყიდველი უწყალო“. მას ჭსურდა ბრმა მეფისთვის წართვა მისი მეუღლე და თვითონ შეერთო. ამ გვარად ეს თამარ დედოფალი გახდა საცილობელ საგნად სამთაშორის: ბაგრატისა, გურიელისა და დადიანისა, რომელიც იყო პირველი და კანონიერი ქმარი დედოფლისა. გურიელმა ახალციხის ფაშას დიდი ქრთამი აღუთქვა, თუ თამარს მას შერთავდა. გურიელი და ფაშა მიუხტნენ ქუთაისს და აიღეს. ბაგრატი დაატყვევეს. დედოფალი გაიქცა. ბაგრატმა ფაშას შეაძლია დიდი საჩუქრები და მძევლად მისცა თვისი უკანონო შვილი ალექსანდრე, ნაშობი ლეჩხუმელ კოჩიოლას ტოლისაგან. ფაშამ ქუთაისში ოსმალნი ჩააყენა და თვითონ დაბრუნდა. განთავისუფლებულმა მეფემ ჯარი წაიყვანა ჯ აიკლო გურია. მერე დაბრუნდა და ქუთაისიც აიღო. ფაშამ მძევლად წაყვანილი ალექსანდრე ბაგრატს გამოუგზავნა და მეფეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

სთხოვა ქუთაისი ისევ ოსმალებისთვის გადაეცა. ეს ამბავი დათანხმდა (1674 წ.) დადიანის გულის გასახეთქად თავარ დედოფალმა ბრძა ბაგრატს უშვა ვაჟი - გიორგი (1676 წ.).

რუსეთში წასული ბატონიშვილი ერეკლე არა სცხრებოდა. მას განზრახული ჰქონდა თვისი სიძე არჩილი ჩამოეგდო ტახტიდან და თვითონ დაეჯდა კახეთი. მან მიიბირა, კახეთის მებატონეთა გარდა, არაგვის ერისთავი ოთარ და ძმანი მისნი. შანაოზი და არჩილ მეფე მიუხტნენ ოთარს—ერთი მუხრანიდგან, მეორე ერწო თიანეთიდგან. ოთარი დამარცხდა. მას წაართვეს ერწო-თიანეთი. ოთარმა ერთგულობისა და მორჩილების ფიცი მიიღო. მეფენი დაბრუნდნენ. ამაყმა ოთარ შეატყობინა ყაენს თვისი დამცირება და შანაოზის განდიდება-გაძლიერება. ყაენი აქამდისაც შურით უყურებდა ქართლის სამეფოს გაძლიერებას და მისი დაკნინება სწადდა. ამიტომ ოთარს დუმტკიცა არაგვის საერისთო. მაგრამ ოთარი მალე მოკვდა. შანაოზმა ერისთავად დაადგინა მისი ბიძა რევაზი, რომლის ასული შერთო თავის ვაჟს ლუარსაბს.

1667 წ. მოკვდა შაჰ-აბაზი. მისმა შვილმა შაჰ-სულეიმანმ მოინდომა თვისი დედის ანუკას გათხოვება. მისი შერთვა სურდათ შიხალიხანს და ლორისტანის ხანს. რადგან ანუკა შანაოზის ქალი იყო, ამიტომ ამ საქმის შესახებ სულეიმანი დაეკითხა მეფეს. ამანაც ქმრად თვისის ასულისა არჩია ლორეს ხანი, რომელმაც დაუყოვნებლივ შეირთო ანუკა. ამის შემდეგ შიხალიხანი გადაემტერა მეფეს ჯ სცდილობდა იგი დაღუპა. ასეთივე სურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილი ჰქონდა ყაენსაც. ამან მეფეს გამოუგზავნა დიდ-ძალი ვერცხლი და უბრძანა თბილისისთვის მაგარი ზღუ-და-გალავანი შემოეკლო. მეფემაც შემოაკლო. სპარსნი ჩადგნენ ქალაქის ციხეში ⁄ კარებზედ ყარაულები დააყე-ნეს. ყაენის განზრახვა ისეთი იყო, რომ ერთ ღამეს ცი-ხე-ქალაქში მოწყვდეული მეფე ტოლშვილიანად შეეპყროთ და სპარსეთს წაეყვანათ. მეფე მიუხვდა მათ განზრახვას. ამიტომაც აიშენა ახალი სასახლე ქალაქს გარეთ, მტკვრის პირას, «ასპარეზის თავსა ზედა». ამ სასახლეს ასრე ასწერს შარდენი: „სასახლეში არის დარბაზები, რომელნიც მტკვარსა და ბაღებს გადასცქერიან. ბაღები ძალიან დიდრონებია. იქვე არის საფრინვლო, საცა მრავალ გვარ ფრინველს ინახვენ, სამ-წევარ-მეძებრო და ისეთი მშვენიერი საქორე, რომ უკეთესი აღარ შეიძლება. სასახლის წინ ოთხ-კუთხი ასპარეზია, საცა მოთავსდება ათას ცხენოსნამდე. ასპარეზი დუქნებით შემოზღუ-დულია. სასახლის პირდაპირ გრძელი ბაზარია... მეფე შანაოზ-მა სასახლეში მიმიწვია. მეფე დარბაზში ბრძანდებოდა. დარ-ბაზი სიგძით 110 ფუტია, სიგანით 40. სასახლე მტკვრის პირ-ზედ გადაჭიმულა. მდინარის მხრით დარბაზი ახდილი იყო. ძვირფას თვლებით მოჭედილ და შთათხილ ჭერს იმაგრებს რამდენიმე სვეტი, დახატული და მოვარაყებული: სვეტები სი-მაღლით იქნება 30—40 ფუტამდე. მთელი დარბაზი შვენიერი ორხოებით მორთული იყო. მეფე და დიდებულნი შემოსხდო-მოდნენ სამ პატარა ბუხარს“. შარდენი ამბობს: ქართველ-თა მეფე არასდროს არ გაივლის ხოლმე თბილისის ცი-ხის კარების ახლოს უიმისოდ, რომ შიში არა ჰქონდეს, ვაჲ თუ შემიპყრანო, ვაჲ თუ ციხის თავს საიდუმლო ბრძანება ჰქონდეს ჩემის დაჭერისაო.

ამ გვარ გაჭირების დროს შისალიხანმა ახალციხის ფაშა დაჭრთამა და მის შემწეობით მეფის ძე ლუარსაბი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაგულიანა დაეხსნა იმერეთი და გამეფებულ იყო ლუარსაბიც დათანხმდა და მამას გაეხარა და მივიდა ახალციხეს. ლუარსაბის მომხრე იყო აგრეთვე რაჭის ერისთავი შოშიტა, რომლის დისწული ცოლად ჰყვანდა ამ მეფის ძეს. შანაოზ მეფე ფრიად შესწუხდა. მაგრამ მისი წუხილი უმეტესად გაძლიერდა, როდესაც ლუარსაბის კვალს მიჰყვა მისი ძმა არჩილ მეფეც, რომელსაც არ ჰსურდა, რომ იმერეთის სამეფო, სადაც იგი წინად მეფოდა, დაეხსნა მის ძმას. არჩილს ძმის სიძულილი კი არ აქნევინებდა ამას, არამედ ის მოსაზრება, რომ ადრე თუ გვიან შაჰ-სულეიმანი კახეთის ტახტს მისცემდა ერეკლე ბატონიშვილს, რომელიც 1664 წლიდგან ყაენის კარზე იყო, და თვითონ უტახტოდ დარჩებოდა. სამცხისკენ მიმავალ შვილს გამოეკიდა შანაოზი, მაგრამ ვერ დაეწია. მერე გაუგზავნა ქათალიკოზი და ეკედრა შვილს დაბრუნებულ იყო. არჩილმა უარი შემოუთვალა. მაშინ მეფემ ყაენს შეატყობინა შვილების ამბავი. ყაენმა შანაოზი დაიბარა. წასვლისას მეფემ საქართველოს გამგედ დანიშნა თვისი შვილი გიორგი. თვითონ კი წავიდა სპარსეთს. ხოშკარს რომ მივიდა, დასნეულდა და მოკვდა (1675 წ.). ყაენის ბრძანებით მეფის ქონება ასწერეს და გადასცეს მისივე შვილებს ანუკას და ალექსანდრეს, რომელიც დიდიხნიდგანვე სპარსეთში იყო და ყაენს მისთვის ებოძებინა ისპაანის ტარუღობა.

არჩილი რომ ახალციხეს მივიდა, იქ დახვდა გიორგი გურიელიც, რომელიც აგრეთვე სცდილობდა იმერეთის დაპყრობას და გამეფებას. ამიტომ არჩილი სურამს დაბრუნდა. იმერთა მეფე ბაგრატმა გურიელს მითი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოვა თვისი მეუღლის თამარის ასული დარეჯან და ეკ-
ირიგა იგი. მეფის მოწინააღმდეგედ დაშთა დადიანი,
რომლის მხარე ეჭირა ჭყონდიდელს-ჩიქოანს. ამ ჭყონ-
დიდელს ჰყვანდა ძმა, კაცია, გორდელი აზნაური. კაცია
წინად იყო ფრიად ღარიბი. მამა მისი ზურგით ეზიდე-
ბოდა თავლს, ჰყიდდა სვანეთში და ასრე ჰკვებავდა თა-
ვის ოჯახს. მძლავრ ჭყონდიდელის რჩევით დადიანმა კა-
ციას მისცა სალიბარტიანოს ბატონობა ს მის შემწეო-
ბით მოინდომა ლეჩხუმის დაპყრობა. მეფე არჩილს მი-
ემხრნენ კაცია, ჭყონდიდელი და დადიანი, აიღეს ქუ-
თაისი და გაამეფეს არჩილი (1678 წ.). ბრძა ბაგრატი
გურიას გაიქცა. მისი ცოლი თამარ არჩილმა შეიპყრო და
დადიანსვე მისცა. ბაგრატის შვილი ალექსანდრე, რო-
მელიც ახალციხის ფაშას ტყვედ ჰყვანდა, ქართლის გამ-
გე გიორგიმ შეჩენილ კაცებს მოატაცებინა. ბაგრატი,
რომლის თამარისაგან ნაშობი შვილი უკვე მომკვდარ იყო,
უმემკვიდრეოდ დარჩა. გურიელმა ს ბაგრატმა ახალციხის
ფაშას შემწეობა სთხოვეს. იგიც მიეშველა. მიუხტნენ
არჩილს. იმერლები მიემხრნენ ბაგრატს. არჩილი გაიქცა
რაჭას, ოსმალები მიჰყვნენ. რაჭველები შეებრძოლნენ
მტერს, მაგრამ იძლიენენ. რაჭა აოხრებულ იქმნა. არჩი-
ლი გადავიდა ქართლს და დადგა კულბითს. ბაგრატი კვა-
ლად გამეფდა (1679 წ.).

ამის წინად ყაენის ბრძანებისამებრ, არჩილის ძმა
გიორგი, ქართლის გამგებელი, სპარსეთს წასულიყო.
კულბითში მყოფ არჩილმა იწყო ბრძობა ქართლისა. ყაენს
შეეშინდა არჩილს არ დარჩეს ქართლიო. გიორგის უბო-
ძა მეფობა, თავზე თავის ხელით დაადგა ჯიღა მურასა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოისტუმრა ამ სიტყვებით: „შეიბუარ არჩილ და წარ-მომიგლინე წინაშე ჩემსა, ანუ განაძე“ არჩილი, მისი ცოლი ქეთევან და შვილები: ალექსანდრე, მამუკა და დარეჯან წავიდნენ დვალეთს. აქედგან რვა თვის განმავლობაში არჩილი მცდელობდა დაებურო იმერეთი, მაგრამ ვერა გაიწყო-რა. და ამის შემდეგ აიყარა და წავიდა თვიქომს, იქიდგან თერგს, აშტარხანს, სადა დაჰყო სამი წელიწადი. აქ დგომისას გადიწვა მისი სადგური. ცეცხლმა შთანთქა არჩილის საგანძურნი და სიწმინდენი: ქრისტეს სუდარი და საბელი, გადარჩა მხოლოდ სამსჯვალი და დაუჯდომელი. აქედგან არჩილი მივიდა მოსკოვს (1681 წელს).

არჩილის განდევნის შემდეგ ბაგრატ მეფემ დაამარცხა დადიანი და წაართო თამარი. დადიანი მალე მოკვდა. მეგრელთა თხოვნით გიორგი გურიელმა მოჰკლა აგრეთვე მისი შვილი მანუჩარ, რომელიც მას მძევლად ჰყავდა. ცოტა ხნის შემდეგ მოკვდა ბრმა ბაგრატიც (1681 წელ.). იმერლებმა გაამეფეს გიორგი გურიელი. ამან გაგდო თვისი კანონიერი ცოლი დარეჯან და შეირთო მისი დედა და თვისი სიდედრი თამარ. შემდეგ ამისა გიორგი გურიელმა განიზრახა სამეგრელოს დაპყრობა. მეგრელთა თავი და პატრონი ამ დროს იყო კაცია ჩიქოანი. ამას მისი ძმა ჯყონდიდელი მხარს აძლევდა. ვინც კაციას არ ემორჩილებოდა, მას ჯყონდიდელი უსვამდა თავის ძმას ამ სიტყვებით: „მას ეყოფის ერთი თოფი“. ამ გვარ მძლავრობით ჯყონდიდელმა ჯ კაციამ დაიმორჩილეს თითქმის ყველა მებატონენი და გლეხნი. ამავე დროს მეგრელებს შემოემტერნენ ოფსაზნიც. იგინი ზღვითა და

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხმელით შემოდიოდნენ სამეგრელოში ⁂ ირბენდნენ ქვეყანას. ითხოვთ დაიბურეს ქვეყანა ვიდრე ეგრისის წყლამდე. დრანდისა ⁂ მოქვის საეპისკოპოსო კათედრები მოისპო. ამ დროს მოკვდა კაცია ჩიქოვანი. ლიპარტიანობა დაიბურო მისმა შვილმა გიორგიმ. ეს გიორგი უწყალოდ ულტავდა მეგრელთ და ჭყიდდა ტყვეებს. მამას მისთვის ანდერძად დაეგდო „არა დატეკვა ჩქმიანისა და კოხუნჯიანთა“. ამ მძლავრმა მებატონემ, ნახა-რა გიორგი გურიელი მცდელობს სამეგრელოს დაპურობასო, დადიანობა მისცა ლევანს, მხეკლისაგან ნაშობ შვილს დადიანისას.

გიორგი გურიელს მტრობდა აგრეთვე ქართლის მეფე გიორგი: იმერთა ტახტი უფრო უპრიანია ჩემ ძმას არჩილს ეპურას, ვიდრე გურიელსო. რადგან არჩილი შორს იყო, ამიტომ გორის ციხეში პურობილი ალექსანდრე, ბრძა ბაგრატის ძე, წარუგზავნა ათაბაგ უსუფოვაშას და სთხოვა იგი გაემეფებინა იმერეთს. ოვაშამ ხონთქარს შეატყობინა განზრახული საქმე. ხონთქარმა ალექსანდრეს მისცა ხალათი და ხრმალი. ოვაშამ წაიყვანა იმერეთს და გაამეფა. გურიელი გურიას გაიქცა. მისი ცოლი თამარ მალე მოკვდა: „თქმულ არსო, უმატებს მემატიანე, რამეთუ იყო მიდგომილ და შობასა შინა შვა ტეტხლი და მოკვდა“ (1683 წ.).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

II

ამდენ კაჟ-კაგლასსა და კაებაში მიიწურა ეს საუკუნე. ჯერ არასდროს საქართველოს არ ეხილა ამდენი და ამისთანა უბედურება. მარტო შავ-ბაზმა საქართველოს მოაკლო—გადასახლებითა თუ აღწყვეტით—240000-მდე კაცი. ახლა რაოდენი სული დაჭკარგა სამშობლომ ტყვეთა ყიდვისა და შინაურ ამბოხებისაგამო და მოძმეთა წარგვეთილ თავებით კოშკების აგების წყალობით! კინ მოსთვლის, ამდენ წყვეტება-შეჯასების გამო, რაოდენი სული დაღუბა შიმშილმა, წყურვილმა, სიცივემ და ათასგვარ ჭირმა და კარამმა. ამას გარდა არც ერთ საუკუნეში იმდენი კაცი არ წამებულა, რაოდენიც ამ საუკუნეში. ამდენ კაება-უბედურობის მიზეზად შეიქმნენ უმთავრესად საქართველოსივე შორს-განუჭვრეტელნი მეფენი ლ მებატონენი. ეს უკანასკნელნი ერთმანეთის ჯიბრით გარბოდნენ ყაენის და ხონთქრის წინაშე და აბეზღებდნენ ერთმანეთსა. მოჭუკანდათ მტრის ლაშქარი და იკლებდნენ ერთმანერთის მამულებს, ანგრევდნენ და ალხრებდნენ ქვეყანას, ამხობდნენ მეფეებს, ღალატობდნენ თვისს რჯულს და აგინებდნენ თვის მამა-პაპათა სალოცავებს. სისხლს, ურჩობას, ერთმანეთის გაუტანლობას ისე გაეტანა საქართველოს მოთავენი, რომ მტირე საქმის გულისათვის ხმალზე ხელს იკრავდნენ და ერთმანეთს ესეოდნენ. მათი შემატჭერელი მძლავრი მტერი კი შორიდგან ბარაქალას მოსძახოდა ორივე მხრის მებრძოლთ და აქეზებდა ხან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთს, ხან მეორეს. ხოლო ბრძოლის დასასრულს მა-
უსტებოდა მათ, გამარჯვებულს ციხეში ჩააგდებდა ანუ
აწამებდა და დამარცხებულს სიკვდილს უბრძანებდა. თუ რა-
დენად დაცემული იყო ზნეობა ამ საუკუნის დიდკაცო-
ბისა, ამას გვიმტკიცებს ტუკეთა ყიდვა და ადამიანებით
ვაჭრობა. ამ ხელობას მისდევდნენ დადიანი, გურიელი,
ჩიქოვანი და თვით სულიერნი მამანიც: ჭყონდიდელი,
გურიის მამათ-მთავარი და სხ. შარდენის თქმით, კაცის
სულზე ესრეთი ნიხრი იყო დადგენილი: 25—40 წლის
კაცი ფასობდა 10 მან., მოხუცი 6 მან., 13—18 წლის
ქალი 14 მან., დედაკაცი 8 მ., ბავშვი 210—280 კაპ.
იგივე შარდენი ამერთა შესახებ ამბობს: „კეთილშობილ-
ნი გარეგნობით უმეტესს ნაწილად მაჭმადიანნი არიან. ეს
სარწმუნოება ზოგს იმისთვის მიუღია, რომ მეფის კარს
ადგილი ეშოვნა და სახელმწიფო ჯამაგირი ჰქონოდა,
ზოგს იმისთვის, რომ თავიანთი ქალები მეფისთვის მი-
ეთხოვებინათ. ისეთი სამაგალი კეთილშობილნიც არიან,
რომ თავიანთი ლამაზი ქალები თვითონვე მიჰყავთ მე-
ფესთან... ღარიბი ხალხი ადრე ათხოვებს თავის ქალებს
და ხანდახან აკვანშივე დაჰნიშნავენ ხოლმე. ამას იმიტომ
სჩადიან, რომ მებატონეებმა არ მოსტაცონ გასასყიდად“-
ტოლების გაშვება, შვილებიანებისაც კი, შერთვა ახლო
ნათესავებისა, სიდედრისა და მის ქალისა არ არცხვენდა
თვით მთავრებსა. ამ საკვალო დროს ისევ მდაბიო
ხალხს შერჩენოდა ღვთიური ნაბერწკალი ადამიანობისა
და აგრეთვე თითო-ოროლა გუშაგთ, რომელთაც ქვეყნის
ტირილი უწკავდა სულ-გულს. მრავალნი არ იუკნენ, რო-
მელნიც ცხადად ხედავდნენ საქართველოს მწკავე ყოფას,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო ვინც იუვნენ, გულმოდგინედ მუშაობდნენ: ადგენდნენ ამ დროის ისტორიას, აღწერდნენ ჯერ ისევ გაუცივებელ მოწამეთა ცხოვრებას, სცდილობდნენ მშობლიურ ენის შესწავლას ან მის ლექსიკონის შედგენას, აშენებდნენ დანგრეულ-დაქცეულ შენობებს და სხ. და სხ. მათნი შემწენი იუვნენ ავრეთვე აქ მყოფნი კათოლიკეთა მოძღვარნი, რომელთაც, როგორც ზევით იყო ნათქვამი, გაცხარებული კავშირი დაემყარებინათ ეკრობა-საქართველოს შორის.

ქართველ მწერლებს გარდა, ამ დროის საქართველოს ერის შინაურ ცხოვრების შესახებ ფრიად საყურადღებო ამბებს გადმოგვცემენ უცხოელნი, სახელდობრ:

დელლავალლე (1618 წ.), კათოლიკეთა მოძღვარი. თვისი ნახულ-გაგონილი ამ მოძღვარს დაწერილებით აღუწერია და მიურთმევია პაპისთვის (1627 წ.). ამ მოხსენებაში მოკლედ აღნიშნულია საქართველოს ყველა ნაწილების ყოფა-მდგომარეობა, სპარს-ოსმალთა შორის ამტყდარი შუღლი საქართველოს დაპყრობისათვის, ღალატი მოურავისა, სიკვდილი ლუარსაბისა, საქართველოს ალხერება, ხალხის აყრა, წამება ქეთევანისა, დაღუპვა თეიმურაზის შვილებისა და სხ. და სხ. იგი იმასაც ამბობს, რომ „მოურავი იყო მიზეზი ამდენის უბედურებისაო“.

ისკანდერ მუნჯი (1616 წ.) იყო სპარსელი და, რადგან არაქელის თქმით, „სპარსნი არიან ბუნებით გვლარძნილნი, ვერაგნი ან ცბიერნი“,—ამიტომ მისი მოთხრობა მიუდგომელი არ არის. ქართველთაგან იგი არავის არ აქებს, გარდა მოურავისა, «დიდებულ» შაჰ-აბაზის მეგობრისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოსმალეთის ისტორია, შედგენილი ჰაამერისაგან, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაისის „მოგზაურობაში“ ვკითხულობთ: „ეს ქართველი ბერი ნიკოლოზ, აზნაურთაგანი, წავიდა იერუსალიმს და რადენიმე ხანი დაჰყო ქართველთა ჯვრის მონასტერში, იგი იყო კაცი ჭკუით აღმატებული ჯ გამოცდილი. ისტორიის შესასწავლად ემოგზაურნა ვენეციასა, რომსა, საფრანგეთსა და ინგლისში და აგრეთვე სხვა ქვეყნებში. იერუსალიმში ყოფნის დროს ნიკოლოზი ისე დაუახლოვდა პატრიარქს თეოფანეს, რომ ამ უკანასკნელმა, როდესაც კვდებოდა (1645 წ.), მიუბარა მას თვისი ღირსება. მაგრამ ნიკოლოზს არ დაუმტკიცეს ეს თანამდებობა. ჩვენ დროს იგი საქართველოში იყო“.

თეიმურაზ მეფე (†1663 წ.) იყო განათლებული კაცი, კარგად იცოდა ქართული ენა და აგრეთვე თათრული და სპარსული. მან დასწერა «ვარდ-ბულბულიანი», თვისის დედის „ქეთევანის წამება“ და სხ.

არჩილ მეფე ფილოსოფოს მეფის სამეფო წესრიგს ვერ ეღირსებაო, ამბობს ანდაზა. და ბრძენი არჩილის მეფობაც რაღაც მოჩვენებას წარმოადგენდა. იგი იმოდენად ფილოსოფიურად უყურებდა თავის ხელმწიფობას, რომ თვის მეუღლეს, რომელიც აგრეთვე ქმარიკით ოცნებიანი იყო, ნებას აძლევდა ესაუბრნა შესახებ ტასტის დათმობისა მოწინააღმდეგე ერეკლესთვის. ამისგამო მისი მეფობა ვერსად განედლდა: კასეთიც დაკარგა და იმერეთიც. როდენადაც იგი ცუდი პოლიტიკოსი იყო, იმოდენად ნიჭიერი ისტორიკოსი, გულმოდგინედ და მჯეერ-მეტუველურად გამომძიებელი საქართველოს ზნე-ჩვეულებისა. იგი რუსეთში გადასახლების შემდეგაც იღვწოდა თავის სამშობლოსთვის. რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სეთში „იგი ხელმწიფის ნება-რთვას ითხოვს, რომ დაბეჭდოს რამდენიმე ქართულ-ხუცური წიგნი გასავრცელებლად საქართველოში, საცა წიგნთა ბეჭდვა ნაკლულევან არს საბეჭდავ ასოთა და ასოთ-ამწყობთა სიმცირისა გამო“ (მიწერ-მოწერა). არჩილიანმა ბევრი იღვაწა აგრეთვე ქართული დაბადების შესაკრებ-შესავსებად. 1742 წელს დაბეჭდილ დაბადების წინასიტყვაობაში სწერია: „არჩილს დიდი სურვილი ჰქონდა შეეკრიბა ჯ შეევსო ქართ. დაბადება, რადგან საქართველოში არ იყო სრული კრებული (დაბადებისა), ვინაიდგან ზოგი წიგნი დაშლილ იყო, ზოგი დაკარგულ იყო, ხოლო ზოგი დაუმთავრებელი. მეფე არჩილმა შეჰკრიბა იგინი, წესსა ჯ რიგს მოიყვანა, ხოლო დაუმთავრებელი ადგილები თვითონ სთარგმნა შეძლებისამებრ“. არჩილ მეფის დიდად შესანიშნავი თხუზულება „არჩილიანი“ ავტორს დაუსრულებია 1681 წელს. წიგნის ბოლო სიტყვაობაში იგი ამბობს: „ცხრას თვეს ყველა გავათავე: ოსეთს ფაიქოში დავიწყე და აშთარხანს გავათავე არჩილ მეფემ, ოდეს ვიყავ 34 წლის“. მაშასადამე იგი დაბადებულა 1647 წ. ამ „არჩილიანში“ გადმოცემულია ქართლის ცხოვრება 1605 წლიდგან 1663 წლამდე. ავტორი ასწერს დაწვრილებით თეიმურაზის ცხოვრებას, მოურავის მოდალატობას, მებატონეების აზვავებას, შაჰ-აბაზის მიერ ქვეყნის ალხრეებას ჯ სხ. იმავე «არჩილიანში» ჩატანილია თხრობა შესახებ ქართველთ ზნე-ჩვეულებისა, ქვეყნის სიმდიდრისა, მაშინდელ დროის მწერლებისა ჯ სხ. აი ეს მწერალნი ვინ ჯ ვინ ყოფილან და როგორ ახასიათებს მათ თვით არჩილი.

ბაკა დგალიშეს და დავითა ქვარიანს მელექსეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ ვახსენებო; ქაიხოსროძან ლექსად თქვა «ოძანიანი»; ჯაგლაგსა ფავლენიშვილსა არავინ ათხოვებს ყურსაო; ფარსადანისძემ ნოდარ თქვა ქება კარგა „ბარამგურის"; გარსევან ჩოლაყაშვილსა უთქვამს „ხილთა ქება"; სულხან თანიაშვილი, რომელსაც ცოდნა ბევრი ჰქონდა, მაგრამ სწამებდნენ დაჩემებას; ბარძიმ ვაჩნაძემ სამისა წიგნი გალექსა ოდიშსა,—სხვას მელექსესთან ჯდომაში უხამს იხდიდეს ბოდიშსა; სამებელი იკოობ ბრძნად მოუბარი. ამ ყამად მას მეცნიერი არსად არა ჰყავს უბარი. ხუცურის ენით მელექსობს, არის საერთოს მგმობარი. თავშანგი ბერტაძემ თქვა «თარმანიანი»,—მე ვათქმევინე, მაგრამ ვერ თქვა მარილიანი; „რუსტომიანი" უთქვამსო თუმანიძესა სოსრუსა, სხვა წიგნი მაშინ ძვირობდა დაუწერია მას რუსა; კარგად ვთქვა, ნანუჩას არ დავემსგავსო.—აქ მოხსენებული «რუსტომიანი» ცაგარელის სიტყვით არის შესანიშნავი თხზულება ანვარი სოხაილისა „შაჰ-ნამე".

დუმბაძე იაკობ (1682 წ.) შემოქმედელ მიტროპოლიტი. მან მოიმგზავრა რომი და პაპის თხოვნით დაბრუნებისას წამოიყვანა 7 ბერი ლათინთა მოძღვრებისა. პაპს სწადდა იმერეთ-გურიაში გაეკრტელებინა ფრანგობა. ეს დუმბაძე მისი წინააღმდეგი შეიქმნა. იგი იყო ათონშიაც და იერუსალიმში, სადაც მოკვდა. მისგან დაგვშთა «დარღვევა მაჰმადიანთ სარწმუნოებისა» ლექსად. ანტონით, იგი იყო კაცი სიბრძნის მოყვარე, მეშაირე შვენიერ, მადალ-გონება.

თბილელი, იოსებ სააკაძე (1688 წ.) პლ. იოსელიანის თქმით იყო გიორგი მოურავის შვილის-შვილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხოლო თბილელი კი თავის-თავს სთვლის მოურავის „ნათესავ-მოდგმა-გვარ-ტომად“. იმავე იოსელიანის სიტყვით, ეს იოსებ სააკაძე აღიზარდა ქვათა-ხვეის მონასტერში, იქვე გამონაზნდა, მერე წავიდა იმერეთს, სადაც დადგინეს ნიკორწმინდელად რაჭას. შემდეგ, როსტომ მეფის დროს, დაბრუნდა ქართლს ლ მიებრძა თბილელობა (1662 წ.). იგი 1665 წ. წავიდა მოსკოვს, სადაც მღვდელ-მთავრების ყრილობამ დაამხო რუსთა პატრიარქი ნიკონი. ამ თბილელმა დაგვიტოვა თხზულება „დიდ-მოურავიანი“, რომელშიაც გადმოცემულია ქართლის ცხოვრება გიორგი სააკაძის გამოჩენიდამ მის სიკვდილამდე (1608—1629 წ.). რა დროს დაწერილია ეს თხზულება? ამის პასუხს შიგ „დიდ-მოურავიანშივე“ ვპოულობთ. თბილელი თვისის წიგნის პირველ ტაეპში სრულად მოიხსენიებს მთელ შინაარს „არჩილიანისას“. ამიტომაც, „დიდ-მოურავიანი“ დაწერილია არა ადრე 1681 წლისა. თბილელი დიდად შეაქებს მოურავს და სცდილობს მოლალატეობის ძრახვა აღხადოს თვის პაპას. ამ სახით, მარტო თბილელი და სპარსელი ისკანდერ მუნჯი გამოდიან მოურავის თაყვანისმცემლებად. პროფეს. ჩუბინაშვილის თქმით, „მოურავიანი“ დაწერილია მიდგომილობით. თვითონ თბილელსაც კარგად სცოდნია, რომ უსწორ-მასწოროდ ისტორიის წერის გამო დამემდურებიანო და ამიტომ თვისი თხზულება ამ სიტყვებით დაუმთავრებია: „ეჭმი სიტყვა ცუდსა ჭეკიან, მეც კარ მუდამ უქმის მთქმელი“... მე ამის წერით მეშინის: კა თუ ხმა მესმას ვებისა“.

ბხეიძე სესნია (1676 წ.), თანამედროვე შანაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სა და გიორგი XI, რომელთა დროის შესახებ მას დაკ-
ვიტოვა ჩინებული ისტორია. წინამდებარე მეფობაში სეხ-
ნია გამოჩნდება, ვითარცა ვაჟკაცი მეომარი. მისი თხრო-
ბა დაწერილია შვენიერის ენით.

გორგიჯანიძე ფარსადან, რომელსაც თეიმურაზ ბა-
ტონიშვილი ფარსადან გორგი ჯანაშვილობით მოიხსე-
ნიებს, თანამედროვეა მეფეების როსტომისა, შანაზი-
სა და გიორგი XI. მისი „საქართველოს ისტორია“ მე-
ფე როსტომისამდე შედგენილია სალხის გადმოცემის მი-
ხედვით, ხოლო როსტომიდამ 1703 წლამდე თვის ნა-
ხულისა ⁄ გაგონილის მიხედვით. იგი გორელი იყო ⁄
როსტომ მეფის კარზე სანდო კაცად ითვლებოდა.
როსტომმა წარგზავნა ფარსადანი სპარსეთს (1649 წ.)
ასაგრებად 300 თუმნისა, რომელიც მეფეს ყოველ წლივ
შემოსდიოდა იქაურ ლაჯანის მამულებიდამ. იქ დიდი
სახელი გაითქვა ფარსადანმა სადავანბეგო საქმეებში, რის-
გამო ყაენმა მიუბოძა ეშიკაღასობა (ყაენის ბრძანების აღ-
მასრულებლობა) და ხუთი სოფელი. მის დროს იქვე იყო
მანსურ-ხან ბარათაშვილი, რომელსაც ებოძა ყულთა უფ-
როსობა (ყულარაღასობა) და ოგრეთვე ფარსადანის 16
წლის კაჟი დავით, რომელსაც ყაენმა უბოძა ბოქაულთ-
უხუცესობა. ეს დავითი იყო ამაყი ჭაბუკი, ლხინის მოყ-
ვარე და შეუპოვარი. ფარსადანი და მისი შვილი სპარს-
თა დიდებულებმა შეიძულეს. ამათ ფარსადანს ვერა და-
აკლეს-რა, რადგან მას „ნამეტნავად სწყალობდა ხელმ-
წიფე და ვინც გადეკიდის, წლამდის ვერ გაძლის“.
ხოლო ეს დიდებულები გადაეტერნენ მის შვილს და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითს და შეაბეზღეს უაენთან. დავითი განაძევეს სპარსეთიდგან და გაგზავნეს ადერბეჟანის ქალაქ უუმს.

მარიამ დედოფალი განათლებული და წიგნის მოყვარე ადამიანი იყო. როსტომ მეფეს რომ მოსთხოვდა, მან საქართველოს ისტორიის შესასწავლად თავისთვის გადააწერინა (1636—1646 წ.) „ქართლის-ცხოვრება“. იგი იყო დადიანის ასული. ბირველად მისთხოვდა სვიმონ გურიელს, მის სიკვდილის შემდეგ როსტომ მეფეს და მერე შანაზს. მარიამი გარდაიცვალა 1681 წ.

—

თუ სად იძენდნენ ეს მოღვაწენი სწავლას და რაგვარ სწავლას ეწაფებოდნენ, ესა სჩანს მაშინდელ დროის სკოლის პროგრამიდამ. იმავე არჩილ მეფეს ჩამოუთვლია შემდეგი საგნები აღზრდისა: ენა და წიგნის ცოდნა. უცხო ქვეყნის ამბის მოსმენა. სხვა და სხვა ენის ცოდნა. მწიგნობრობა. მთარგმნელობა. ღრმის სიტყვის ადვილ გამოთქმა. დამწერლობა: ხუცურისა, მხედრულისა, მრგლოვანისა, ყვავის-თრჩხილოვანისა, ასო-მთავრულისა, მხატვრობისა, მონახაზობისა. ლექსთ-მთარგმნელობა. გარდაბოვლით ხუმრობის ადვილ-შეტყობა. მოჩვენობა. სამართლის მართლის ქმნა. დიდი ბჭობა. ანგარიში და რიცხვთ-ცნობა: ჩაგდება, მეგენჯეობა, მესტრელობობა. ცრუდ-თქმულა მებეჭაობა. ელჩობა. მოციქულობა. სიტყვის სწორად დასწავლა. მელექსობა. შაირის თქმა.

—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერის შინაური ცხოვრება.

(შარდენი): ქართველები გაუტეხელი და მამაცი ხალხია, რომელიც თავგანწირულად იბრძვის თავის თავისუფლებისათვის. რადგანაც ქართველები ოსმალებზედაც ახლოს არიან, სპარსელები ვერ ჰბედვენ სრულიად ხელი ჩაჰჭიდონ ქართველებსა და ნებას აძლევენ დაიცვან თითქმის ყველა გარეგანი ნიშნებიც კი თავის რჯულისა: ყველა ეკკლესიის თავზედ გაკეთებულია ჯვარი. სამრეკლოში ჰკიდია ზარები. ზარებსა ჰრეკენ. მოურიდებლად და აშკარად ჰყიდიან ღორის ხორცს, ღვინოს. სპარსელებს, რასაკვირველია, ჯავრი მოსდით და სურთ აკრძალვა, მაგრამ ჯერ-ჯეროობით ვერაფერი გაუწყვიათ... ქართველები ბუნებით მეტად ნიჭიერნი არიან. იგინი სწავლულნი და დიდად ხელოვანნი იქნებოდნენ, თუ სწავლა-ხელოვნებაში გამწურთვნელები ჰყოლოდათ. მაგრამ მათ ცუდათ ზრდიან და, რადგან ამასთანავე ცუდს მაგალითებსაც ჰხედვენ, ამისგამო მეტად უცოდინარნი და ბიწიერნი არიან. ...სხვაფრივ ქართველები თავაზიანები არიან, მოსიყვარულე გულისანი, თავ-მომწონენი და თავ-დაჭერილნი. ...ქართველებმა ძრიელ იციან ჯავრის ჩატანა და თავის დღეში არ აპატიებენ კაცს დანაშაულს, თუმცა, მართალია' მალე კი არ მოსდით გული და არც უმიზეზოდ დაიხსომებენ ჯავრს... ქართველების ტომი უუმშვენიერესია აღმოსავლეთში და, შემიძლიან ვსთქვა, მთელ ქვეყანაზედაც. იქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი და კაცი. ანგელოზივით ლამაზები არიან. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთის სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვაგან ვერსად შეხვდებით. ვერ შეგიძლიან დაჰხატო ქართველ ქალების სახისა და ტანადობის მშვენიერება. იგინი არიან თვალ-ტანადნი, კეკლუცნი და წერწეტნი. უშნოდ დასქელებულ ქალს იშვიათად შეხვდები. მხოლოდ ის აუშნოებს ქართველ ქალებს, რომ ფერ-უმარილს ისვამენ. ქართველი ქალები, საცა სპარსელები არ არიან, უპირბადეოდ დადიან. კაცებს თამამად ელაპარაკებიან. ... ქართველები იმ გვარსავე ქუდებს იხურავენ, რაგვარსაც პოლშელები. მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალუხი გულ-ჩაღილულია და წინ კი კალთები გაშლილი აქვს. ქალების ტანისამოსი სპარსთა ქალების საცმელის მაგვარია... დიდკაცების სახლები და ყველა სახელმწიფო შენობა სპარსულ შენობათა გეგმაზეა აგებული. ქართველები სპარსელებს ჰბაძვენ სხდომაში, წოლაში, ჭამა-სმაში. ..მებატონეებს ძრიელ დიდი უფლება აქვთ ყმებზე. მებატონეები მთელი თვეების განმავლობაში რამდენიც უნდათ, იმდენს ამუშავებენ ყმებს და არც ჯამაგირს აძლევენ და არც საზრდოს. მებატონეს ხელი მიუწვდება ყმების ქონებასა, თავისუფლებასა და სიცოცხლეზედაც კი. ბატონები ჰყიდიან ყმების შვილებს და ან მონებადა ჰყავთ სახლში... საქართველოში შეხვდებით სომხებს, ბერძნებს, ურიებს, ოსმალებს, სპარსებს, ინდოელებს, თათრებს, რუსებს, ევროპიელებს. საქართველოში ყველასა აქვს უფლება იცხოვროს თავის რჯულისა და ჩვეულებისამებრ. სომხებს უმეტესად დაბალი მოხელეების ადგილი უჭერიათ. ქართველები იმათზე ძლიერნი, თავმომწონენი, ზვავნი და მედიდურნი არიან. ქართველებს და სომხებს ეზიზღებათ ერთმანერთი, განსაკუთრებით ქართველებს ძრიელ სძულთ სომხები და თითქმის ისე უყურებენ, როგორც ევროპაში ურიებს... საქართეელოში კარგი ჰავაა. ქვეყანა ნაყოფიერია. პური ისეთი მოდის, რომ სხვაგან არსად იცის იმისთანა. ხილიც მშვენიერი იცის. ევროპიის არც ერთ ადგილას მოდის ისეთი უკეთესი ვაშლი, მსხალი. აქაური ბროწეული მთელ აზიისას სჯობია. წვრილ ფეხი საქონელი მრავალია და ძალიან კარგის ჯიშისაა. გარეული ღორი საკმაოდ ბევრია. ყველა სოფლებში ინახვენ გარეულ ღორებს. მტკვარსა და კასპის ზღვაში იჭერენ მრავალ თევზს. საქართველოში ბევრ ღვინოსა ჰსმენ. ვაზი ხეს ახვევია, როგორც კოლხიდაში. თბილისიდგან ღვინო ბლომად გააქვთ სომხითში, მიდიაში და ისპანიაში. ცხენის საპალნე კარგი ღვინო ჰღირს რვა ფრანკი (2 მან.) საქართველოში ბევრი აბრეშუმი მოდის. აბრეშუმის მოყვანის ხელი კარგად არ იციან. აბრეშუმი გააქვთ ოსმალეთში, არზრუმში და სხ... ქართლში ოთხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალაქია: გორი, სურამი, ალი და თბილისი. თბილისი ერთი უკეთესი და უმშვენიერესი ქალაქია, თუ[illegible]ცა ძრიელ დიდი არ არის. უმეტესი ნაწილი სახლებისა სალს კლდეებზედ აგებულია. ქალაქი შემოზღუდულია შვენიერ და მაგარ კედლებით. სამხრეთის მხრივ, მთის კალთაზე, აქვს დიდი ციხე, რომელშიაც მხოლოდ სპარსები სცხოვრობენ. ციხის წინ არის სარბიელი. თბილისში რამდენიმე ეკკლესიაა, მათ შორის ექვსი ეკუთვნის ქართველებს და დანარჩენი სომხებს. ქართველების სიონი ძველი შენობაა, მხატვრობიანი. იქვე არის არქიელის სასახლე. თბილისში მეჩითი სრულებით არ არის. სპარსები ბევრჯელ ცდილან მეჩითის აგებას, მაგრამ ამაოდ. ქრისტიანებს ისევ დაუნგრევიათ. ...აქ რამდენიმე საჯარო შენობებია. დიდრონი ბაზრები, ქარვასლები. შიგ ქალაქში ცოტა აბანოებია. ხალხი ბანაობს ციხის აბანოებში. დუქნები კარგად არის მოწყობილი და სუფთად შენახული. მეფის სასახლე ერთი უმშვენიერესი შენობათაგანია... კახეთის მეფის სასახლე ქალაქის განაპირას არის... თბილისის მიდამო შემკულია რაოდენიმე სალხინო სახლით და შვენიერი ბაღებით. მათგან ყველაზე დიდი მეფის ბაღია... თბილისში არის კაპუცინების სახლი. მათ თავიანთ თავისთვის ეკიმები დაურქმევიათ... მეფემ მიმიწვია თავის დისწულის **ქორწილში**. ჯვარის წერა სასახლეშივე იყო. ქორწილი სასახლის აივანში გამართეს. აივნის ირგვლივ დაედგათ ტახტები. აივანი დახურული იყო ჩარდახით, რომელიც ხუთ სვეტზე იდგა. ჩარდახს ქვეშიდგან გაკრული ჰქონდა ოქსინო, ხავერდი და ჭრელი ტილო. იატაკზე გაეფინათ შვენიერი ხალიჩები. 40 დიდი ლამპარი ანათებდა იქაურობას. ოთხი ლამპარი, რომელიც მეფის ახლო იდგა, ოქროსი იყო, სხვები ვერცხლისა. თითო მათგან იწონს 40 გირვანქას. სტუმრები ტახტზე ჩამომწკრივებულ იყვნენ. მეფე უფრო მაღალ ტახტზე იჯდა. სამეფო ტახტი გუმბათის მსგავს ჩარდახით იყო დახურული. მეფეს მარჯვნივ თავისი შვილები ⁄ ძმები უსხდნენ, მარცხნივ-ეპისკოპოსები. სიძესაც მეფის ახლო ჰქონდა საჯდომი. მესაკრავენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძირს ისხდნენ. როცა დავსხედით, ცოტა ხნის უკან ქალაქის კოზმა შემოიყვანა სიძე. მას მიულოცეს მშობლებმა და სტუმრებმა და საჩუქარი მიართვეს: ოქრო-ვერცხლის ფული და ვერცხლის წვრილი თასები. ვახშამი ასე დაიწყო: სტუმრების წინ გაშალეს სუფრები. მერე ჩამოარიგეს სამნაირი პური. ხორცი ეწყო ვერცხლის დიდრონ ლანგრებზე. ვისაც ლანგრები შემოჰქონდა, სეფის კარებშივე აწყობდნენ, სუფრაზედ. სუფრაჯი ღრმა თეფშებზედ არიგებდა საჭმელს და უბრძანებდა მოსამსახურეებს სტუმრებს მიართვითო. ჯერ მეფეს მიართმევდნენ და მერე სხვებს. სულ სამი თავი საჭმელი შემოიტანეს. თითო თავი სამოცამდე ლანგრით მოდიოდა. ას ოცამდე ღვინის სასმელი ჭურჭელი იყო სუფრაზედ: ბადიები, ყანწები, თასები, კულები, თორმეტი აზარფეშა. ყველა ესენი იყო ზოგი ოქროსი, ზოგი ვერცხლისა, ზოგი თვალმარგალიტით მოოჭვილი ანუ ოქროთი დაფერილი. სადღერგძელოების დალევის დროს მსმელი მეორეს ეუბნებოდა „ალავერდი“, ისიც უპასუხებდა „იახშიოლ“.

მიწერ-მოწერა. ა) დღეობა სამეგრელოში (1640 წ.) 21 აპრილს წმ. გიორგის ეკლესიაში მოგროვდა დიდძალი ხალხი. საღამო ლოცვის დაწყების წინ იწყეს ბუკთა დაყვირება: ზართა რეკა, დაფთა ცემა, ხმა-მაღლა მღერა. ასრე გასტანა ორმა დღემ. ამ დროს განმავლობაში განუწყვეტლად უვლიდნენ ეკკლესიას გარშემო. მეორე დღეს მოვიდა პატრიარქი მაქსიმე, მიტროპოლიტნი მიტროფანე და კირილე, გურიის მთავარი ვახტანგ, აგრეთვე მრავალნი აზნაურნი და ბატონიშვილნი. საღამო ლოცვის შემდეგ ეკკლესიის კარებზე გამოასვენეს წმ. გიორგის ხატი და იქვე დასდგეს დიდი დროშა. ეკკლესიის წინ მაღლობზე შესდგა ერთი გლეხი და იწყო ხმა-მაღლა ქადაგება. ეს მჭევრ-მეტყველი სამ საათამდე საუბროობდა და ზოგს უწინასწარმეტყველებდა გამარჯვებას, ზოგს სიკვდილს, ლევან დადიანს უწინასწარმეტყველა სიკვდილი, თუ იგი შეებმოდა იმერთა მეფეს. პატრიარქი და მიტროპოლიტნი უკმაყოფილოდ დარჩნენ ამ გლეხის ლაპარაკით, აღარ მიიღეს მონაწილეობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წირვაში. იგინი ამბობდნენ, რომ გლეხი ქადაგობდა არა წმ. გიორგის შთაგონებით, არამედ ეშმაკისა. ბ) **სადილი** კახეთის მეფის სასახლეში (1638 წ.): მიგვიწვიეს სადილად. მეფის სადარბაზო ოთახში ხალიჩები იყო დაგებული. თეიმურაზ მეფის ქვეშ დაფენილი იყო ძვირფასი ხალიჩა, რომელზედაც გადაფარებულ იყო თეთრი ხალიჩა. ამ ხალიჩაზე აბრეშუმეულით ამოქსოვილი იყო სხვა და სხვა სახეები ცხოველთა და მცენარეთა. თეთრ ხალიჩაზე იდო ფარჩა გადაფარებული ბალიში, რომელზედაც იჯდა თეიმურაზი. ეს მეფე საშუალო ტანისაა, პირისახე აქვს თეთრი და ნაყვავილარი, წვერი შავი, შეკრეჭილი და შეღებილი, თავი მოპარსული, თვალები ჭროღა, მხარბეჭი განიერი ⁄ ცოტა წელში წახრილია. ეცვა სუფთად. ფრჩხილები შეღებილი ჰქონდა. მის შვილს თავ-პირი მოპარსული აქვს. თავზედ აქვს დატოვებული ქოჩორი, რომელიც შეუღებნია. მეფის წინ გაშლილი იყო სუფრა, რომლის შუაგული მწვანე იყო და ნაპირები ოქროთი მოქარგული. სადილობის წინ მეფე სთავაზობდა ელჩებს სასმელებსა და ყალიონებს. სასმური ჭურჭლები იყო: ორი დიდი ბადია, თვლებით მოოჭვილი, ორი სხვა ბადია, ხუთი თასი და ორი ფიალა. ყველა ეს ჭურჭელი ვერცხლისა იყო. ამას გარდა იყო აგრეთვე ათიოდე ბოთლი. ღვინით სავსე ჭურჭლები ეწყო იატაკზედ, თეიმურაზის წინ. სადილის დასასრულს მოიტანეს ხილი: საზამთრო, ვაშლი და მსხალი. საჭმელები იყო: სხვა და სხვა ნაირი ფლავი ქათმითა, ხორცითა და ხის შამფურებზე შემწვარი წვადით.

გ) საცმელი (1642 წ.): მეფის ძეს დავითს ეცვა სიასამურის საცმელი ყვითელი ატლასისა, რომელიც მოქარგული იყო ვერცხლითა და აბრეშუმით; ეხურა სიასამურის ქუდი. პერანგი მისი იყო ჭრელი დარაიასი. პერანგის საყელური მარგალიტ-მოვლებული იყო. იგი დიდი ტანისაა, მოშავო სახისა, ჭრელი თვალებიანი, ქერა თმიანი, მცირე ულვაშებიანი, ენა-ბრგვილი. (1639 წ.): ამ ახალგაზდა დავითის მეუღლე დიდი ტანისაა. თვალები და თმა აქვს შავი, პირისახე სუფთა. იგი $12^1/_2$ წლი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესაა. აცვია სიასამურის ტყავი ოქსინოსი და კაბა წითელი და-
რაიისა. თავზედ ახვევია ჟუნა (კისიას ჩიქილა) და ახურავს აწო-
წოლავებული ქუდი. ყელზედ გაკეთებული აქვს ძვირფას ქვები-
სა და ზურმუხტის საყელური. მას აქვს აგრეთვე ლალ-ბადახ-
შის საყელური. აზნაურთა ცოლებს აგრეთვე აცვიათ კაბები და
ბეწვეული ტყავები. თავზედ ჟუნას ჩიქილა ხურავთ.

დ) იარაღი ქართველებისა (1639 წ.): ელჩებს მიეგება
თეიმურაზი ამალით, რომელსაც შეადგენდნენ 600 მხედარნი,
სახით ფრიად ლამაზნი. მათი იარაღი იყო. მშვილდი, ოროლ-
ი, ხმალი და თოფი. მეფე და მეფის ძე დიდად უყვარს ხალხს.
მხედ·რნი აზნაურთაგან შეადგენენ მეფისა და მეფის ძის ამალას,
ხოლო მათი ცოლები—დედოფლის ამალას. სთესენ პურს. ხვნენ
გუთნით, რომელშიაც აბმენ ხარებს.

რომან წილკნელის დადგენილება (გუჯარი 1669
წლისა): ...სამღვდელოებას მიეცემა წლიურად ყოველ მეკომუ-
რისაგან: თითო ხარი ანუ ვერძი, თითო კოდი ხორბალი, თი-
თო კოდი ქერი და თითო მარჩილი (60 კაპ.). ამას გარდა
მრევლისაგან ღვდელს ყოველ წლივ მიეცემის ერთი კაცი მუ-
შად. ყოველ მეკომურმა წელიწადში ერთხელ უნდა უმასპინძ-
ლოს ღვდელს.

გლოვის წესი (1646 წ.): ოტია (მარიამ დედოფ-
ლის შვილი) გორს მიიცვალა. შეიქმნა დიდი გლოვა, ტირილი
12 დღეს. ქართველნი ჯალაბობით, თავიანთ ჯარითა, და შეძ-
ლებითა მოვიდიან და მიუტირიან ბატონს დედოფალს, მკვდართ
მიმსგავსებულს, სახე დახეულს, თმა დაგლეჯილს, შვენება შეშ-
ლილს, ტანისამოს სისხლით გასვრილს, მიწაზედ მჯდომს, ღო-
ნე-იმედ დაკარგულს,—მერმე გამდელსა და ჩარიგებით მათს
მხლებლებსა, მერმე მეფესა და ჰირისუფლებსა: თავადთა, აზ-
ნაურთა, მსახურთა და მოხელეთა; მერმე მცხედარსა მიუტი-
რებდიან და გარდასაბურავს გარდაჰფენდიან; ამას უკან ყოველს
ნიშანს (ხმალს, საცმელს და სხ.) ცალკ-ცალკე მიუტირებდენ.
...რვაასი „მეორმოცე“ დააყენეს და ქართველნი ძაძითა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

შავით შეიმოსნენ... ცხეთას წაასვენეს და დაკრძალეს. ... მოცამდინ აქ იდგნეს... სააღაპო ძროხა, ცხვარი, თევზი, ხიზილალა, ბანბა, მარილი, სანთელი, საკმეველი ამდენი მოატანინა (თბილისით), რომ ხსნილის დღეებში ასი ძროხა და ცხვარი დაიკლოდა, მარხვის დღეებში ათასი ხმელი თევზი გაიჭრებოდა.. ამ ორმოცს დღეს დედოფალს მარილიანი ვერ აჭამეს, ქერის პურის მეტი.. რა ორმოცი გათავდა, კიდევ ცხრაასი „მეორმოცენი“ დაუყენეს... ამდენი ხარჯი მეფემ თავისის სალაროდამ გაიღო. ..ოცს წელიწადს დედოფალმან არც ხორცი ჭამა და არც შავი გამოიცვალა.

ქართველების სიწმინდეთა საქმე იერუსალიმში.

იერუსალიმის პატრიარქი პაისი და მისი მოადგილე დოსითეოზი საქართველოში იმიტომ მოსულ იყვნენ, რომ ქართველების იერუსალიმის სიწმინდეთ დიდი ვალი დასდებოდათ და ფულის მსესხებელნი ისაკუთრებდნენ მათ. ხოლო ქართველთ სიწმინდეია საფუძველი დაიდო იერუსალიმს მეფე მირიანის დროს როდესაც იწყეს იქ შენება ჯვრის-ტაძრისა. ეს ტაძარი გაამდიდრეს და გაამშვენეს ვახტანგ გორგასალმა და ბაგრატ III-მ, მთელს იერუსალიმში ამაზე დიდებული და მდიდარი მონასტერი არ ყოფილა. ამ მონასტერს გარდა ქირთველ მოღვაწეებმა სხვა-და-სხვა დროს ამავე წმ. ადგილებში ააგეს კიდევ ოცამდე მონასტერ-სამლოცველონი: იაკობ ალფეზისა, წმ. ნიკოლოზისა, აბრამ მამათ-მთავრისა და სხ. მეფეებმა ამ მონასტრების საზრდოდ შესწირეს დიდი მამულები ქართლ-კახეთ-იმერეთს და იერუსალიმის ბერებს დაავალეს აღზრდა ქართველ ყმაწვილებისა. ბაგრატიონთა შთამომავლნიო, ამბობს იმპერატორი კოსტანტინე 952 წელს, რადგან თავის თავს იერუსალიმის მეფე დავითის (წინასწარმეტყველის) ჩამომავლად ხადიდნენ, ამიტომ დიდძალ საჩუქრებს სძღვნიდნენ უფლის საფლავს და იერუსალიმის პატრიარქს. თამარ მეფისა და მცირე-აზიის სულთნებ შორის დადებულ ზავის წყალობით დიდი შეღავათი მიეცა არა თუ მარტო ქართველ მლოცავებს, არამედ ყველა ერის ქრის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიანებსაც, რომელნიც კი მიდიოდნენ იერუსალიმის მოსალოცავად, ამ დროს ქართველებს დიდი სახელი ჰქონდათ იერუსალიმში. არაბთა ისტორიკოსი ელკალკაშენდი სწერს, რომ ქართველ მეფეებმა თვისის „განჩინებით განადიდეს საღვთო სახლი—იერუსალიმიო“. 1575 წელს რაუვოლფი ამბობს: „ქართველებს იერუსალიმში აქვთ თვისი მონასტერი, რომელშიაც ქართულად სწირავენ და გალობენო. სხვათა შორის მათი საყდარი არის გოლგოთ აზედაც უფლის საფლავთანაო“. რაძივილლი (1580 წ.) მოწმობს, რომ მთელი გოლგოთა წინათ ეკუთვნოდათ ქართველებს და აქ ახლა ერთი-ღა სამლოცველო აქვთო. ბერნგარდ სურის (1644—1647 წ.) სიტყვით, იერუსალიმში, მის დროს, კათოლიკების შემდეგ, ყველაზე მომეტებულნი მოღვაწენი იყვნენ ქართველნი. იქვე 1640 წელს იყო ქათალიკოსი მაქსიმე. პატრიარქი დოსითეოზი (1658—1669 წელ.) ამბობს, რომ ქართველებს აქვთ კვართი უფლისა, მისი სამსჭვალი (ლურსმანი) და ცოტაოდენი სისხლი ქრისტესი და ყველა ამით ძრიელ მოაქვთ თავიო. იერუსალიმის ქართველ სიწმინდეთ 1645—1658 წლებში დაედოთ დიდი ვალი და იგინი მოვახშეებს დარჩათ. მათ სახსნელად ფულის შესაკრებად საქართველოში მოვიდნენ პატრიაქი პაისი (1658 წ.) და დოსითეოზი (1681 წ.). დოსითეოზის სიტყვით, ამ დროს იერუსალიმის სიწმინდეთა წინამძღვრად იყო ფრიად განათლებული ქართველი—ნიკოლოზი, რომელმაც ჯვრის მონასტერი ჩააბარა გაბრიელს და თვითონ საქართველოში მოვიდა. ამ გაბრიელმა მონასტრის სახელით მოვახშეებისაგან ისესხა დიდი ფული და მიფლანგა. მონასტერს დაედო ვალი. ამ ვალის გადასახდელად ხსენებულმა ნიკოლოზმა გაბრიელს გაუგზავნა (1658 წ.) ფული, რომელიც მან მოვახშეებს ჩააბარა, მაგრამ დაავიწყდა გამოერთო და დაეხია თამასუქები. ეს თამასუქები მაჰმადიანთა მოვახშეებს ჩაუვარდათ ხელში. საჭირო შეიქმნა ხელ-ახლა ფულის შეკრება. ხსენებული ნიკოლოზი რომ მოკვდა, ქართველებმა ასწერეს მთელი ქონება მისი. მიუმატეს მას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიდევ 100000 დრაჰკანი და იესე თბილელის ხელით გაგზავნეს იერუსალიმს. მაგრამ ამ იესეს გზაზედ დაეცნენ ანატოლიის თათარნი და გაძარცვეს. იესე საჩივრით მიიქცა დიდ ვეზირისადმი, მაგრამ არა გამოვიდა-რა. 1661 წ. იერუსალიმს ფული მოიტანა ილარიონ კოლხიდელმა, მაგრამ მას უთანხმოება მოუვიდა პატრიარქთან და საქართველოშივე დაბრუნდა ფულითურთ. 1663 წ. იოსებ ბარათაშვილმა მიიტანა ცოტაოდენი ფული და მოვახშეებს თამასუქები განუახლა. 1666 წ. 10,000 გროში მიიტანა მელესიმ და ისევ განუახლა თამასუქები. ამ დროს ჯვრის მონასტრის ვალი 94000-მდე გროში იყო. იმავე იოსებ ბარათაშვილმა კვლავ შეჰკრიბა 40000-მდე გროში, 50 ჯაჭვი ოქროსი და მრავალი ძვირფასი ნივთი და წაიღო იერუსალიმს. იგი ტრაპიზუნტში ჩაჯდა ლაზთა გემში და გაემართა ქიოროისკენ. აქ ასტყდა გრიგალი. შეიქმნა ზღვის ღელვა, რომელმაც შთანთქა გემი და ქართველების ყველა ქონება. შემდეგ ქართველთა ქათალიკოსმა დომენტი (ეს იყო შანაოზ მეფის ბიძაშვილი, ქათალიკოსობა ებოძა 1660 წ.) შეჰკრიბა 100000 პიასტრი და თვითონ დააპირა იერუსალიმში წასვლა. მაგრამ ამდროს საქართველოში არეულობა მოჰხდა. მეფე ყაენმა დაიბარა. ეს მეფე მოკვდა († 1675 წ.) იმ დროს, როდესაც ქათალიკოზი უკვე ემზადებოდა იერუსალიმში გამგზავრებას. მეფის სიმწუხარისგამო მალე ეს ქათალიკოსიც მოკვდა. ქართველებმა ჩაგვაბარეს 40,000 პიასტრი (1678 წ.). მევახშეებს კიდევ მივეცით 32,000 პიასტრი. ამის შემდეგ ჩვენ თვითონ გავემგზავრეთ საქართველოში (1681—1688 წ.), შევკრიბეთ ფული და გადავიხადეთ ივერიის მონასტრის ვალი—სულ 94,000 პიასტრი; ამ ფულიდგან 50,000 ერგო მოვახშეებს და 3000 ფლორინი მიეცა მრიუხანე ფაშას, რომლის დაუხმარებლადაც საქმე არ რიგდებოდა.

—

დოსითეოზ პატრიარქი აგრეთვე გადმოგვცემს მრავალ საყურადღებო ცნობას შესახებ საქართველოს ისტორიისა საზო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადოდ და 1605—1688 წლებისა განსაკუთრებით, მოკლედ ალ-
წერს საქართველოს სამეფო-სამთავროებს. მეფე-მთავრების დამო-
კიდებულობას, ომებს, აღნიშნავს კათოლიკეთა მოძღვრების გაძ-
ლიერებას საქართველოში ⁂ სხ ⁂ სხ. სხვათა შორის იგი ამბობს:
შანაოზის დროს საქართველოში მოვიდა ექიმი ანდრია ხიოსელი
და მეფეს ჩააგონა გამოეწერა იეზუიტები (კაპუცინები) ამათთვის
სომხებს წაართვეს ორი ტაძარიო: ერთი გორში და ერთიც
თბილისში და იეზუიტებს გადასცესო. ამათ პაპისადმი მიაქციეს
ზოგიერთნი სომეხნიო. 1688 წელს ერთი იზეუიტი რომაელს
სწერდაო, რომ პაპისადმი მოვაქციეთ მეფეცაო და სამღვდელოების
უფროსებიცო. მაგრამ ყოველივე ეს ტყუილიაო, ამბობს დოსითე-
ოზი. დოსითეოზი ყოფილა აგრეთვე გელათის ტაძარში. სხვათა
შორის გელათში მყოფ ხახულის ღვთის მშობლის ხატის გვირგვი-
ნის შესახებ ამბობს, რომ ეს გვირგვინი მთლათ ძვირფას ლალე-
ბისა არისო, ხოლო ყოველი ლალი კვერცხის-ოდენაოო. ერთ
ადგილას დოსითეოზი ამბობს, რომ აფხაზთა ისტორიის მასა-
ლა ამოვკრიბე ძველ ქართულ წიგნიდამო, რომელიც შეუდგე-
ნია აფხაზთა მეფეს პანკრატს 992 წელსო —ეს პანკრატი არის
ბაგრატ III, რომელიც აფხაზეთში გამეფდა 980 წ., ხოლო
985 წელს შეიქმნა აფხაზ-ქართველთა თვ-თ-მპყრობელ ხელმ-
წიფედ.. დელლავალლე 1627 წ. სწერს, რომ პატრს ფრა ჯა-
ვან-თადეოზს თეიმურაზ მეფემ აწირვინა თავის ქვეყნის უმთავ-
რეს ტაძარში ადგილობრივ მიტროპოლიტის თანდასწრებითაო,
გარდა ამისა მეფემ პატრს მისცა ადგილი მონასტრის ასაგებადო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფენი

ქართლისა	გიორგი XI	(1676—1688 წ.)
	ერეკლე I	(1688—1703)
	ვახტანგ (გამგედ)	(1703—1711)
	ქაიხოსრო	
	ვასტანგ (მეფედ)	(1711—1714)
	იესე	(1714—1716)
	ბაქარ	(1716—1719)
იმერეთისა	ალექსანდრე IV	(1683—1695)
	(ტიღობის ხანა)	(1695—1698)
	სვიმონ	(1698—1701)
	(ტიღობის ხანა)	(1701—1720)
კახეთისა	(ხანების ყამი)	(1675—1703)
	ერეკლე I	
	დავით	(1703—1722)

ერეკლე (იგივ ნიკოლოზი),— ძე დავითისა, ძისა თეიმურაზ მეფისა, რომელსაც გადამტერებოდა ყაენი,— დედითურთ გარდიხვეწა რუსეთს. იქ მოოფობის დროს იგი მარადის სცდილობდა კახეთის მეფე არჩილი, თვისივე სიძე, განეძევებინა და თვითონ დაეპყრო ეს ქვეყანა. ამიტომ მან მიიბირა მთიულნი და თუშნი და მათ შემწეობით ეკირთებოდა არჩილს. მაგრამ იგი ვერას გახდა, რადგან არჩილი ყაენის მიერ ზურგ მომაგრებული იყო. მაინც ერეკლე არა სცხრებოდა. შეაგულიანა თუშნი ს რუსთა ხელმწიფის ქვეშევრდომობა ათხოვნინა. მაგრამ არცარა აქედგან გამოვიდა. მაშინ თავის დას ქეთევან დედოფალს, არჩილის მეუღლეს, შემოესვეწა მიშუამდგომლე მეფის წინაშე, რათა გზა მომცეს სპარსეთში წასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკლელადო. არჩილმაც შეიწუნარა თავისი კეთილი ტოლის თხოვნა ჯ ერეკლე კახეთს მიიწვია. თუშეთიდგან ბატონიშვილი გადმოვიდა ჯ მივიდა სიძისას. არჩილმა სიყვარულით მიიღო ტოლის ძმა, ანადიმა, ანადირა, დაასაჩუქრა, კახელები გააყოლა და ისპაანს წარგზავნა (1675 წ.). უკენს თრიად ანმა, ათასი თუმანი გზაზედვე მოაგება, მიიპატიჟა ისპაანს და წლიურ ულუფად დაუნიშნა 2000 თუმანი თეთრი, დღეში 12 ჭიქა შირაზული ღვინო და 500 თუმანი ხორასნის ღვინის შემოსავალი. მერმე სთხოვა გამაჭმადიანებულ იყო, მაგრამ მან არ ინება. უკენმა იგი იქვე დაიტოვა. ხოლო კახეთის ტახტი დარჩა უმეფოდ 1703 წლამდის. ამ ხნის განმავლობაში კახეთის მმართველებად იყვნენ: ბეჟან-ხანი (1677—1683), ხანი (1683—1688), აბაზ-ყული-ხანი (1688—1695), ქალბალი-ხანი (1695—1703 წ.) ამ ხანების დროს თრიად გაძლიერდნენ ლეკნი, მეტადრე ჭარ-ბელაქნელნი. თვით ხანები ლეკების მომხრენი იყვნენ. ლეკნი არბევდნენ და ალხრებდნენ ქვეყანას.

იმერეთის მეფე რომ გამეფდა, მაშინ უკვე თრიად გაძლიერებულ იყვნენ მებატონენი. ერთი ამ გვარი მებატონეთაგანი იყო აბაშიძე პაატა, რომელსაც ეჭირა მთელი არგვეთი. ამ მძლავრ მებატონის მომხრე იყო მიქელაძე გიორგი, რომლის დისწულიც იყო პაატა აბაშიძე. მეფე ალექსანდრემ ამ აბაშიძის გულის მოსაგებლად შერთო მას თავისი დაი დარეჯან ჯ ამ მოყვრობით მოიმტკიცა იმერნი. მეფის მოწინააღმდეგედ დარჩნენ გიორგი ლიპარტიანი (ჩიქოანი), რაჭის ერისთავი შოშიტა, ბეჟან ლორთქიფანიძე ჯ გურიელი. მეფის მოწინააღმდეგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი შეიყარნენ საჩინოს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯვებულმა მეფემ რუსეთიდგან დაიბარა არჩილი. „შენი გამეფება კახთაც ნებავთ და იმერთაცა“. არჩილი გამოეშურა.

ქართლის ამბები რომ მიუკიდა ყაენს, იფიქრა: «უკელა ამის წამმართებელი გიორგის ძმა ლევანი უნდ' იყოსო» და მეფეს მოსწერა ლევანი აქ გამომიგზავნეო. ამ ლევანს გურიელის ასულის თუთასაგან ჰყვანდა შვილები: ქაიხოსრო, ვახტანგ (შემდეგში მეფე ქართლისა და სჯულმდებელი), დომენტი, სვარამზე. თუთა მოკვდა 1678 წ. და ლევანმა შეირთო ავალიშვილის ასული თინათინ (1680 წ.), რომლისაგან მიეცნენ შვილები: იესე, სვიმონ და თეიმურაზ. გიორგი მეფემ ლევანი კერ დასთმო, ხოლო ყაენის დასამშვიდებლად მას მისწერა: „თუ ორგულად მთვლი, ჩემს ერთად ერთს შვილს ბაგრატს გამოგიგზავნიო“. ყაენმა შემოუთვალა: «ორთავენი გამომიგზავნეო». ამის გამგონე მეფემ განიგულა და ეზრახა კახელთ, რათა მოჰკლან კახეთის ბოროტი ხანი, შეერთდნენ და ქართლ-კახეთი ჰყონ ერთ-სამეფოდ. კახთაც მტკიცე ფიცი მისცეს. მეფემ შეჰკრიბა ჯარი ლ მიავიდა ყურეუთას, რათა ღამე თავს დაესხას თოიგ-ყარალაჯს მდგომარე ხანს. მაგრამ მეფის დაწყობილება ჩაიშალა. იმავე ღამეს ლაშქრიდგან გაიპარა თამაზ სპასპეტი, მეფის დედის ძმა. ულონო ქმნილ მეფემ თავისი ძმა და შვილი წარგზავნა წინაშე ყაენისა (1688 წ.).

ამის შემდეგ მეფემ გადასწყვიტა დასჯა ურჩი ერისთავი არაგვისა. შეჰკრიბა ლაშქარი და მიუსტა გიორგი ერისთავს. დაამარცხა იგი ლ მოაოხრა დუშეთი. ამ ბრძოლაში მოიკლა იოსებ თბილელი. ეს ამბავი რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიუკიდა ყაენს, ბაგრატი და ლეკანი ბატიმრად წაიგზავნა წერათს, ხოლო მეფეს კი მოსწერა: „მოკვედ წინაშე ჩემსა და მოგცე ქვეყანა სხვა და ნიჭნი დიდნი, არა-მედ ქართლი მიმიცია ერეკლესთვის“.

ეს წინად ხსენებული ერეკლე 14 წელიწადი იყო, რაც სპარსეთში იმყოფებოდა. ყაენი მრავალ გზის სხთოვდა გამაჭმადიანებულ იყო და მიეღო მეფობა ქართლ-კახეთისა, მაგრამ იგი რჯულის გამოცვლას არ ნებულობდა. ახლა კი შეუჩნდნენ მას იქ მყოფნი კახელნი და აგრეთვე მისი მოძღვარი მოანაზონი ნაცვლიშვილი და აიძულეს გამაჭმადიანებულ იყო. ერეკლეც გამაჭმადიანდა ცოლ-შვილითურთ. გახარებულ ყაენმა დიდის სიჩუქრებით გამოისტუმრა ერეკლე-ნაზარალი-ხანი მეფედ ქართლისა და დაუმორჩილა მას ქიზიყელნი და თუშნი. იგი რომ მოვიდა თბილისს, გიორგი მეფე გადავიდა რაჭას (1688 წელს).

რადგან ერეკლე უმაწვილობიდგანვე უცხოეთში გადახვეწილ იყო, ამიტომ საქართველოს წეს-ჩვეულებისა არა იცოდა-რა. იგი იყო კაცი ლიარწოთა და უშვერთა მოუბარი, სმისა და შვება-ლხინთა მოყვარე. მოსვლისათანავე დაამხო ძველნი ქათალიკოზ-ეპისკოპოსნი და ხელისუფალნი, და ახალნი დაადგინა; ქათალიკოზად გაამწესა ნიკოლოზ დიასამიძე, მთავარ-ეპისკოპოზად ნაცვლიშვილი და სხ. ამ გვარად მეფის გარეშემო შემოიკრიბნენ ახალნი კაცნი, რომელთაც საშინლად შეიძულეს წინანდელნი სელისუფალნი, უკვე დამდაბლებულ-დამცირებულნი, ვითარცა გიგი ამილახორი, აშოთან მუხრან ბატონი, დავით ერისთავი და სხ. ერეკლე მეფემ გაადი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აგრეთვე თბილისის ციხის მცველნი ყიზილბაშნი, რომელნიც ისე თავწასულნი შეიქმნენ, რომ ქართველებს ცოლ-შვილს სტაცებდნენ, ზოგს ჰყიდნენ, ზოგს ამაჭმადიანებდნენ. გაჭირდა ცხოვრება ქართლში. ამიტომ მრავალი ხალხი ქართლიდგან აიყარა და კახეთში დასახლდა.

გიორგი მეფე რომ რაჭას გადავიდა, ალექსანდრე მეფემ პაპუნა ერისთავს შემოუთვალა მეფეს ბინას ნუ აძლევო. პაპუნამ არ გაუგონა. ალექსანდრე შემოვიდა რაჭას. რაჭველნი და ლეჩხუმელნი მას მიემხრნენ. პაპუნა და გიორგი მცირე რაზმით გამაგრდნენ ჯეჯორას. ალექსანდრე მიუსტა მათ. იგინი იცლტნენ გლოლას. ალექსანდრემ მოსწვა უწერა, აოხრა რაჭა და დაბრუნდა (1688 წ.). პაპუნამ ისევ დაიბუდო რაჭა და მოსწყვიტა თვისნი მოწინააღმდეგნი.

ამავე დროს რუსეთიდგან რაჭას გადმოვიდა არჩილ მეფე. გიორგი და პაპუნა ეზრახნენ იმერთა, რათა არჩილ ჰყონ მეფედ იმერეთისა. არჩილმა შემწეობა ითხოვა ყირიმის ხანისაგან. იმერლებმაც ისურვეს არჩილის გამეფება. ესენი წავიდნენ და დადგნენ გველისთავს. მათ მიემხრნენ აგრეთვე ლიპარტიანი, ჭილაძე, მიქელაძენი და ლორთქიფანიძე. ალექსანდრეს მსარე ეჭირათ აბაშიძეს და ქუთათელს, რომელიც იყო სეხნია ჩხეიძის შვილი. ეს ქუთათელი იყო კაცი მეძავი, კაცის მკვლელი, ტუვისმოიდავი. ალექსანდრემ შემოიკრიბა ლაშქარი და მიადგა გველისთავს. ლიპარტიანს მიუგზავნა კაცი და ლეჩხუმის თავობა აღუთქვა. მას გაუსარდა და გამოიპარა ალექსანდრე მეფესთან. არჩილი და გიორგი მთა-მთა წავიდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ავსაზეთს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველმაც ხონთქარს მისწერა: «ჩვენ შორის ზავია დადებული. მომეც მეფენი ორჩილ და გიორგი და ჩუკ იმერთა მეფედ ალექსანდრე». ხონთქარმაც შეიწყნარა მისი მოხსენება. ფაშამ გარემოიცვა ზიკილია, რომელშიაც გამაგრებულ იყო გიორგი მეფე. შეშფოთებული გიორგი ასალტიხეს მიიყვანეს.

ამ დროს ქართველნი უკვე გაბეზრებულ იყვნენ უდიერ ერეკლესგან. მოტიქულის პირით ქართველებმა გიორგის საიდუმლოდ აცნობეს: „მოდი ქართლსვე მეფედ. სულნი თვისნი დაგვიდვია შენთვის“. ამისივე მოწადინენი იყვნენ ერეკლესგან დამტირებულნი ამოთან მუხრან ბატონი, გივი ამილახორი და ნიკოლოზ მალალაშვილი, რომელთაც მეფეს გაუგზავნეს ფული. მეფის მხარე ეჭირათ მესხთაც. ერთ ბნელ ღამეს დოლენჯი ხმალაძემ მეფე გადმოუშვა ციხის ზღუდიდამ სარბლით. იგი იმავ ღამეს მოვიდა სოფელსა, სადაც იყვნენ მისნი სახლეულობანი, წამოასხა იგინი და მოვიდა ქართლის ხევს. აქ დასტოვა თვისი ცოლშვილი, თვითონ კი შემოიკრიბა ჯარი და მიუსტა რუისს, სადაც იყო იმერთა მეფის ალექსანდრეს სახლობა. რუისი აიღო, ალექსანდრეს სახლობა ტყვე-ყო და წავიდა დუშეთს. აქ მოეგებნენ მას ქსნისა და არაგვის ერისთავნი. მეფე ერეკლეს თავზარი დაეცა, კოჟრიდამ გამოიქცა და თბილისში დადგა. ლოპინა ციციშვილმა, რომელიც გაედიდებინა ერეკლეს, მოინდომა შეშფოთება გიორგი მეფის სახლობისა. მაგრამ იგი დაამარცხა გიორგი მეფის ძმისწულმა ვახტანგ. ლოპინა თბილისს გამოიქცა. საციციანო დაიპყრო ლოპინას ძმისწულმა ციციმ და გიორგი მეფეს მიეგება. გაძლიერებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე დუშეთიდან მიავიდა დიდგორს და კოჟორზედ დადგა. სომხითარ-საბარათიანოს მეკვიდრენი მას მიეშველნენ. აქედგან ერთი რაზმი წარგზავნა იმერეთს საშველად არჩილისა, რომელსაც ასჯანეებოდნენ დიდებულნი. ამათ მისვლამდე არჩილი კიდეც დაემსოთ და გამოედევნათ. იგი მოსულ იყო ერწოს. გიორგი მეფემ კახელებს შეუთვალა გაემეფებინათ არჩილი. მათაც სიხარულით მიიწვიეს იგი, მაგრამ რჩილი არ დათანხმდა: «რუსეთში წასვლას ვაპირებო».

გიორგი მეფემ ალუა შემოარტყა თბილისს და შეამწარვა. მერმე გადავიდა ლილოს და ჯარი წარგზავნა კახეთის დასაპყრობად. მაგრამ ეს ჯარი ქიზიყის მოურავმა დუშიაქმა დაამარცხა. გიორგის ჯარი უკანვე დაბრუნდა. მეფე გიორგი მიავიდა მცხეთას, მერე გორს და იქიდგან ისევ კოჟორს დაბრუნდა. ამასობაში დალისტნის შამხალს ყაენმა მისწერა „მთის გზა გიპყრავს. რუსეთს მიმავალი არჩილ შეიპყარ და წარმოგზავნე". ამასთანავე ყაენმა გამოგზავნა დიდძალი ჯარით ქალბალი ხანი, ხოლო გიორგი მეფის შვილი ბაგრატ მოჰკლა. ჯარის მოსვლამდე გიორგიმ რამდენიმეჯერ დაამარცხა ერეკლე და აგრეთვე მისი მომხრე ალექსანდრე იმერთა მეფე, რომელიც დაიჭირა ჯ მოაშთობინა რუისს (1695 წ.). არჩილი ისევ გამეფდა.. სპარსთა ჯარის მოსვლის შემდეგ გიორგი მეფეს გამოეცალნენ მომხრენი და იგი წავიდა იმერეთს (1695 წ.) და აქედგან სპარსეთს, ვინაიდგან ყაენი მტკიცე ფიცს უდებდა არას დაგიშავებო.

გიორგი მეფის ძმის წული ვახტანგ დაშთა ხარაგეულს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც გიორგი მეფეს თავის შვილის ბაგრატისთვის დაეწინდა და საქართველოში მოეყვანა.

იმერეთში არჩილი დარჩა ერთ წელიწადს. აბაშიძემ ლ ლიპარტიანმა (დადიანმა) მოძებნეს ვიდარცა გიორგი, მეფეთა მონათესავედ და გოჩიად წოდებული, და გაამეფეს. არჩილი წავიდა დვალეთს. მაგრამ მალე გოჩია შეიძულეს და ისევ არჩილი მიიწვიეს (1698 წ.). არჩილი იმავ წელიწადს განაძევეს. იგი საბუდამოდ განეშორა საქართველოს. ამის შემდეგ იმერთა ტახტი სრულიად დაცარიელდა და საციხოებელ საგნად გარდაიქცა.

ამ დროს იმერეთში მეტად მძლავრობდნენ დადიანი (ლიპარტიანი,) გურიელი და აბაშიძე, რომლის მსარე ეჭირათ მიქელაძეებსა და ლორთქიფანიძეებს.

ახალციხის ფაშის შემწეობით ალექსანდრე მეფის ძე სვიმონი რომ გამეფდა (1698 წ.), მას შეეზარა აბაშიძე გიორგი ლ შერთო ტოლად თვისი ასული ანიკა, რომელიც წაართვა თვის სიძეს იაშვილს. თვითონაც შეირთო რაჭის ერისთავის ბაბუნას ქვრივი და, რადგან მიქელაძე ლორთქიფანიძეების ნათესავი იყო, ფრიად გამძლავრდა. იმერლებს შეუყვარდათ თვისი მეფე და ემორჩილებოდნენ მას. მედიდურმა აბაშიძემ შეიშურა თავისი დისა და სიძის მფლობელობა და გადაემტერა მათ. სვიმონი ქართლს გაიქცა. აბაშიძე შეიქმნა იმერთა მოთავედ და იწყო მართვა ქვეყნისა. ქათალიკოსად დანიშნა ლორთქიფანიძე გრიგოლ. ამ ყამს ლეჩხუმელნი განუდგნენ ლიპარტიანს. მან შემწეობა ითხოვა აბაშიძისგან. ორნიგე შეკიდნენ ლეჩხუმში, მოსწვეს, მოაოხრეს და დაიმორჩილეს ურჩნი. შემდეგ ამისა აბაშიძემ განიზ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რახა თავისი ჯ მიეთხოვებინა ლიპარტიანისთვის, რომელსაც უკვე ჰყვანდა ცოლი, შვიდი მოწოფული შვილების დედა. ლიპარტიანმაც განუტევა ბერული ცოლი და შეირთო აბაშიძის ჯ თამარა.

გურიელს მეტად ჭშურდა განდიდება აბაშიძისა, ამიტომ სვიმონ მეფე ახალციხის ფაშას მოაყვანინა გურიას, აბაშიძის ქალი ანიკა განატევებინა და შერთო თვისი და ცოლად. აბაშიძე-ლიპარტიანმა გურიელს შეუთვალეს თუ სვიმონს მოჭკლავ, იმერეთში გაგამეფებთო. მანაც ჭკრა თოფი და მოჭკლა. გამეფდა მამია გურიელი (1701 წ.). იგი იმავე წელიწადს აბაშიძემ განაძევა და თვითონ გამთავრდა.

ამ დროს ათხაზნი შემოესივნენ სამეგრელოს და იწყეს მისი რბევა. ლიპარტიანი და აბაშიძე მიუსტნენ მათ, დაამარცხეს ჯ შეიდნენ ათხაზეთში. შარვაშიძე მოეგება და მორჩილება აღუთქვა აბაშიძეს.

სვიმონ მეფის ძმა გიორგი ახალციხის ფაშას ჭყვანდა. ჯ რადგან აბაშიძე არ ემორჩილებოდა ფაშას, ამიტომ მან გიორგის უნუგეშო მდგომარეობა მუსტაფა ხონთქარს შეატყობინა. ძანაც არზრუმის ფაშა გამოგზავნა ზღვითა და ხმელეთით, რათა სრულიად მოაოხრონ იმერეთი. ოსმალთ გაანადგურეს ბაღდადი, არგვეთი, რუხის ციხე ჯ დადგნენ ანაკრიას. ამ დროს სტამბოლში მოხდა დიდი ამბოხი ჯ ფაშა დაიბარეს. ფაშამ მეფედ დაადგინა გიორგი, ხოლო ქვეყნის გამგედ დანიშნა იგივე აბაშიძე, რომელმაც იშვილა გიორგი მეფე. აბაშიძისაგან აიღო დიდი ქრთამი ჯ მძევალი, ჯ დაბრუნდა. მთავრობა ისევ იწყო აბაშიძემ. გიორგი მეფე მის შიშით ქუთაისს ვერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორდებოდა. აბაშიძემ დაამშვიდა ქვეყანა ხდომა-ხრეკ-ბათაგან, „რამეთუ ვერვინ იკადრებდა ბარგად რისამე, განუიდვად ტუვისა, თვინიერ მისსა, არამედ ოდიშს და გურიას იყიდოდა ტუვენი ფრიად და უმეტეს ოდიშს ლიბარტიანისაგან“, რომელსაც უკვე ეშურა დადიანობა.

ქუთაისის ტუვე-მეფემ 1707 წელს შეუთვალა აბაშიძეს: დაუტევე მთელი სამეფო და გეჭირეს მხოლოდ შენი საკუთარი მამული. იმერლები მიემხრნენ მეფეს. აბაშიძე შეეზრახა დადიანს, რომელიც თვისის ლაშქრით მოვიდა და ვაკეს დადგა. მეფის რაზმი მიუხტა მათ, მაგრამ იძლია. მეფემ კვლად განამტკიცა ლაშქარი და შემოერტყა აბაშიძეს კაცხს. ამავე დროს ერთი რაზმი მეფისა ლამე თავს-დასხა დადიანს და მის მომხრე რაჭის ერისთავს, მოსრა იგინი და ტუვეჟო მრავალი (1709 წ.). მეფემ კაცხი ვერ აიღო და წავიდა სვირს, სადაც გამაგრებულ იყო აბაშიძე. ეს ციხეც ვერ აიღო ლ წავიდა რაჭის ერისთვის დასასჯელად. მაგრამ აქედგანაც მალე დაბრუნდა და შემოერტყა აბაშიძეს ნავარძეთს. აქ მეფესთან მოვიდნენ ლიბარტიანის შვილები კაცია და ბეჟან, და სთხოვეს მეფეს შემწეობა თვისის მამის დასამხობად. მეფემაც ნავარძეთს უჩინა ქვეყანა წერეთელი და თვითონ ლიბარტიანის შვილებუთურთ წავიდა ოდიშს. ლიბარტიანი ათხაზეთს გაიქცა. ამათ დაიშურეს ოდიში და შევიდნენ ათხაზეთში. შარვაშიძემ ზავ-ჭყო მათთან. იგინი დაბრუნდნენ და გაადადიანეს კაცია. მეფე რომ იმერეთს გადმოვიდა, ქველ წერეთელს შეკვე აელო ნავარძეთი. მეფემ ახლა მოინდომა კაცხის დაპყრობაც და წარგზავნა ზარბაზნები. აბაშიძე აიყარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გადავიდა ქართლს, სადაც მისმა შვილმა შეირთო ქართლის გამგეს კახტანგის ასული ანუკა. მალე კაცია დადიანი მოკვდა და სამეგრელო ისევ დაიპყრო მისმა მამამ ლიპარტიანმა, რომელმაც განდევნა გიორგი მეფე და გაამეფა გურიელი (1711 წ.). მეორე წელიწადსვე გურიელი, თავის შემწეობით, გიორგი მეფემ დაამარცხა ჩხარს და გამეფდა.

ამ გვარ მიხდომ-მოხდომაში იყო ეს სამეფო 1720 წლამდის და ამ დროს განმავლობაში მარტო გიორგი მეფე შვიდჯერ დაამხეს ტახტიდამ. ხან ერთი მსარე იმარჯვებდა, ხან მეორე. ერთს მხარეს რომ გაემარჯვებოდა, მოწინააღმდეგეთა ტყვეებს დაყიდდა, სასყიდელს აიღებდა და ხმა-მაღლა მღერიდა: „ჩვენი თეთრი ჩვენვე შემოგვაქციესო“. ახლა მეორე მხარეს რომ გაემარჯვებოდა და აგრეთვე ტყვეებს დაჭყიდდა, იმასვე მღერიდა: „ჩვენი თეთრი ჩვენვე შემოგვაქციესო“. შესაზარია ამ მთავრების საქციელი!

გიორგი მეფის სპარსეთში წასვლის შემდეგ ერეკლე მეფის საისარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. სპარსეთიდგან ერეკლემ დაიბარა თვისი ცოლი ანნა, სასახლე აიშენა ნაგებს, დასახლდა ამ სასახლეში და დროს ატარებდა ნადიმობითა ს მგოსნით. ქვეყნის მართვა კი ჩაბარა სპარსელებს და თავის მოხელეებს. ესენი იდგნენ თბილისისა, გორისა და სურამის ციხეებში. მეციხოვნე თათრები იტაცებდნენ ქართველებს ს ჰყიდდნენ. მათ მიბაძვით ქართველნიც გადაემტერნენ ერთმანეთს. გახშირდა ტყვეთა ყიდვა და ვაკაცობა.

სპარსეთის ყაენმა გიორგი მეფე დიდის პატივით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღო. ამ დროს ყაენს აუკანუდნენ ავღანნი და ბუღა-ბაზარნი. მათი დამორჩილება ყაენმა დააკალა გიორგის, რომელსაც თან ჰყვანდა საგუთარი რაზმი ქართველთაგან. მეფე და მისი ძმა ლეკან წაიდნენ ქირმანს, შეებნენ მტერს სასტიკად, მოსრეს, მოსწყვიტეს, დაამშვიდეს იგინი. მერმე ქირმანსვე მოიქცნენ და ყაენს წარუგზავნეს დახოტილ მტერთა თავები. ამმა შაჰს და მრავალი საჩუქარი უბოძა მეფეს, ხოლო ლეკანი დაიბარა და მსაჯულთ-უხუცესობა მისცა, ჯ მის შვილს ქაიხოსროს ტარუღობა ისპაანისა.

გიორგი მეფემ ლეკანის პირით ყაენს შეუთვალა: „მწირ არს კახტანგ იმერეთს და, უკეთუ არ შეეწევით, წარვალს იგი რუსეთს, და ამისთვის ჩვენ უნო ვიყოთ წინაშე შენსა“. ყაენმა მსწრაფლ მისწერა ერეკლე მეფეს, რათა კახტანგი მოიყვანოს ქართლს და მისცეს მას ყოველნი საუფლის-წულონი. ერეკლემ მოიყვანა კახტანგი თბილისს და მისცა ყოველივე, რაც ეკუთვნოდა მისს მამას ლეკანს.

შემდგომად გიორგი მეფეს განუდგნენ ინდოეთის მხრის ავღანნი, რომელნიც გამოეგზავნენ ხორასნის ასაკლებად. მაგრამ იგინი გიორგიმ მოსრა და უკუაქცია. ავღანნი ახლა დაესხნენ ყანდაარს და აიკლეს იგი. ყაენმა ეს რომ შეიტყო, გიორგი მეფეს სთხოვა გაერიგებინა ყანდაარის საქმეც და მერე ქართლს დაბრუნებულიყო მეფედ. გიორგი დასთანხმდა მხოლოდ იმ პირობით, თუ ყაენი ეხლავე ქართლის გამგეობას ჩაბარებდა კახტანგს და ქართლსვე გაგზავნიდა ლეკანს განსაგებელად ქვეყნისა და წამოსაყვანად ქართველ ლაშქრისა ყან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარს. ყაენს გაუხარდა და ერეკლეს მისწერა: „მიგეს ქართლი გიორგი მეფეს, ხოლო შენდა მომინიჭებია კახეთი და ეულარალასობა. აწვე წარმოვედ წინაშე ჩემსა“. ერეკლე სპარსეთს წავიდა. ლევანი სამშობლოში დაბრუნდა. კახტანგი დაჯდა გამგედ ქართლისა, ხოლო კახეთის მეფედ დადგენილ იქმნა ერეკლეს შვილი იმანყულიხან (დავით) (1703 წ.)

ეს ლევან ბატონიშვილი, როგორც იყო ნათქვამი, შანაოზის შვილი იყო. სტარაობიდგანვე იგი ფრიად ღვთის-მოუვარე იყო, ამასთანავე იყო თავმდაბალი, კეთილი, მოწყალე, მშვიდი, „ღრმად გამსინჯველი და მოუბარი“. ამ ლევანმა განაგო ქართლის სექმენი. ყველას კეთილად მოეპყრო, თვით გიორგი მეფის დაუძინებელ მტრებსაც არა დაუშავა-რა. შემდეგ ამისა ლევანმა შეჰყარა 2000 მოამარი და წარუგზავნა თავის ძმას ქირმანს.

გიორგი მეფე, რომელსაც უკვე გურგენ-ხანობით ადიდებდნენ აზიელნი, ქართველთა და სპარსთა ლაშქრით წავიდა გირიშკს და იქიდგან ყანდაარს. გურგენხანის მისვლამ თავზარი დასცა თათრებს, მოწინააღმდეგენი დამორჩილდნენ, იქაური ხანები და დიდებულნი დიდის ძღვენით მოეგებნენ მეფეს და თავი დაუკრეს. მეფეს ძღვენი მოართო აგრეთვე ქობულს მჯდომ ინდოეთის მეფის ძემ. ყაენს დიდად იამა და გიორგი მეფის მოწყალე შეიქმნა.

ლევან ბატონიშვილმა ქართლში დაჰყო 15 თვე. გამართა და გაარიგა გასამართავი და წავიდა ისპაანს, სადაც წაიყვანა თვისი შვილი იესე. კახტანგი შეუდგა ქვეყნის შენებას. იგი იყო კაცი „ღვთის-მოშიში, გულმოდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გინე მშრომელი, ქვრივ ობოლთა და გლახაკთა გამგი-
ხავი, ტოდნის მოუკარე, ბრძენი, მხნე, შვენიერ ჭკეროკა-
ნი, უხვი და მშვიდი, არამედ მრისხანე". ქართლიკოზ-
ად დაადგინა თვისი ძმა დომენტი (1705 წ.), რომ-
ელიც აქამდე რუსეთში იყო. ერეკლეს დროს დანგრეულ-
დაქცეული ქართლი, მან კვალად აღადგინა და აღაშენა.
კახეთში გადასახლებულნი ქართლელნი ისევ მოიყვანა ს
მათსავე მამულებში დაასახლა. თბილისში გამართა სტამ-
ბა და იწყო წიგნების ბეჭდვა. კახტანგის სახელი გა-
ითქვა ყველგან. კახნიცა ს იმერნიც მას მორჩილობდნენ.

ხოლო ყანდაარის დამშვიდების შემდეგ გურგენხანს
განუდგა აზარის სულთანი დაქეზ. მეფემ წარგზავნა ყანდა-
არს სულტანი მირვეისი დაქეზის ამოსაწყვეტად. მირვეისმა
დაამარცხა აზარელნი, შეიპყრო დაქეზი, წარკვეთა თავი ს
მოართო მეფეს, რომელმაც დაქეზის თავი იმავე მირვეისის
ხელით გამოუგზავნა ყაენს. ამასთანავე მეფეს ყაენისათვის
საიდუმლოდ ეცნობებინა, რომ მირვეისი «ბოროტი ს მან-
ქანა» კაცია, ს მანდვე დაიტოვეო. მეფეს წინათვე შეეტ-
ყო, რომ მირვეისს სურდა ქართველების დაღუპვა. გურ-
გენხანის დიდება ძრიელ შურდათ ყიზილბაშთა დიდებუ-
ლებს და ყაენის წინაშე იშუამდგომლეს, რომ მირვეისი
უკანვე გაესტუმრებინა.

გურგენხანმა შუაგულ აზიიდამ თავის საყვარელ სამ-
შობლოს გამოუგზავა 2000 თუმანი იერუსალიმის
ქართველთა ტაძრების (გოლგოთისა და ჯვრის მონასტ-
რის) სახსრად, და მათთვისვე მრავალი შესამკობელნი.
წარმოგზავნა აგრეთვე ოქროსა სტი, ნაწილნი და
ჯვარნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგ ამისა განუდგა მეფეს ქალათარი, რომელიც წინააღმდეგ მეფემ გაისტუმრა თვისი ლაშქარი თავის ძმის ლუარსაბის ძის ალექსანდრეს მოთავეობით. მეფეს დარჩა მცირე რაზმი. ამდრომს მირვეისი მოუსტა გურგენსანს. იგი თავის ძმით ლუარსაბით გაუმაგრდა მოღალატეს. მაგრამ მალე სპარსნი გაექცნენ მეფეს, რომელსაც დარჩა მცირე ოდენი ქართველნი. მეფე ჩაიკეტა ბანიან სასახლეში. მირვეისმა ბანი აარღვევინა და მოჰკლა მეფე (1709 წ.), რომელსაც აჰყარა ხატნი და ჯვარნი, უბოვა ფსალმუნი და ოთველიგე ეს წარმოუგზავნა ყაენს და მოახსენა: «ესრეთ გატოუნებდა მეფე», ესე იგი შენ მაჰმადიანი გეგონა და იგი ქრისტიანი ყოფილაო. ამის შემდეგ იგი წავიდა ყანდაარს, ყანდარელნი დაარწმუნა, რომ მეფე ყაენის ბრძანებით მოკლულ იქმნაო. მათაც ირწმუნეს ჯ ჩაბარეს ყანდაარი.

ალექსანდრემ გაიგო თუ არა ბიძის მოკვლა, უკანვე გამოაბრუნა ლაშქარი და გამოაქცია. მირვეისმა მათ გამოადევნა თვისი ჯარი. ალექსანდრემ ლეილ-მაჯნურის ციხეში შემოასწრო ქართველებით. აქედგან ალექსანდრე და მისი მცირე რაზმი აიყარა და გირიშკს წამოვიდა. მაგრამ ეტიკმა შეატყობინა ქართველნი, ატარა-ატარა და ყანდაარს მიიყვანა. ქართველნი შეკიდნენ ერთ წალკოტში და დადგნენ. მირვეისმა მოტყუებით გამოიყვანა ალექსანდრე და თავისთან მიიყვანა. ხოლო ქართველთა რაზმი ღამე გამოიპარა წალკოტიდგან ჯ გამოიქცა გირაშკისაკენ. მათი რიცხვი იყო 500. მირვეისმა მათ დაადევნა 15000 ცხენოსანი. ესენი დაეწიენენ ქართველებს. შეიბნენ. ქართველებმა ისე თავგამეტებულად შეუტიეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მტერი სრულიად მოსრეს, მტირედნი-და გადარჩნენ და გაიქცნენ, ხოლო თვითონ მშვიდობით მოვიდნენ გირიშს. მირვეისმა კვლავ გამოგზავნა 13000 მხედარნი, რომელთაც ალეა შემოარტყეს გირიშს. განთიადს ქართველნი გამოუხტნენ მტერს, მოსრეს იგინი ძლიერად და გააქცეს, ხოლო დახოცილთა თავებით კოშკი აღმართეს და ყოველივე ატნობეს ყაენს.

ყაენმა გურგენხანის მაგიერ ქართლის მეფედ დანიშნა ქაიხოსრო ლეკანისძე და წარგზავა განდგომილ მირვეისის დასამხობად. ვახტანგმა ძმას გაუგზავნა 1500 მეომარი. ქაიხოსრო სპარს-ქართველებით მივიდა გირიშს. მირვეისმა შეაგროვა დიდი ლაშქარი და შემოებრძოლა ქაიხოსროს. მირვეისი დამარცხდა და უკუნიქცა. ქართველ-სპარსნი მიჰყვნენ კვალ-და-კვალ. ამასობაში ქაიხოსროს ძმამ იესემ მოიყვანა ქართველთა რაზმიც. ამათ გაიარეს მაშათი და შევიდნენ ყანდაარს. მირვეისი ისევ შემოებრძოლა. სამ თვეს იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში მოგლულ იქმნა ალექსანდრე ბატონიშვილი. ბოლოს სპარს-ქართველთ სურსათი შემოაკლდათ. სპარსნი უკუ-იქცნენ. ქართველთ შეუტიეს მტერს, მრავალი დახოცეს, მაგრამ მტრებმაც დიდი ზარალი მისცეს და ქაიხოსრო მოჰკლეს (1711 წ.). ქართველნი უკუნ-იქცნენ და ისპაანს მოვიდნენ იესეთურთ.

ამდენი ძალა ქართველებისა, და ისიც ყველაზე რჩეულებისა, სრულიად უნაყოფოდ და საქართველოსთვის უსარგებლოდ დაიღუპა შუაგულ აზიაში, მხოლოდ-და მას აქეთ აზიელთა შორის დაშთა საუკუნო ხსენება გმირთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგმირესის გურგენსანისა და მის ლომებრ მებრძოლ ქართველებისა.

რა წელიწადსაც ქართველებს დაუმარცხდათ ყანდაარს, იმავე წელიწადს ვახტანგს გაემარჯვა მთაში, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამისა შეირთო მეორე ცოლიც—ასული ერეკლე მეფისა ელენე.

ლეკნი. ზემოთ ხსენებულნი ხანნი რომ განაგებდნენ კახეთს, მაშინ მეტად გაძლიერდნენ ლეკნი. ამათ შემწეობას აძლევდნენ იგივე ხანნი და აქეზებდნენ ყაენნი. ბეყანხანმა (1677—1688 წ.) ააგო სასახლე ყარაღაჯს (ქიზიყშია, ალაზნის ახლოს, მთის ძირას, ლაგოდეხსა და დედოფლის წყაროს შორის) და იქ დადგა. კახელთაც უბრძა აქაკე დაშენებულ იყვნენ. ამ დროს კახეთი უგვე რაოდენათმე მოშენებულ იყო და ხალხი მოსულიებულ იყო. ხანს არ უნდოდა გაძლიერება კახთა და ამიტომ ზოგს აწამლვინებდა, ზოგს ცხადლივ ხოცდა და ლეკებსა და თათრებს აგლებინებდა ჭვეყანას და აყლეტინებდა ხალხს. თუ რა ცოდვის ლული ტრიალებდა ამ დროს კახეთში, ამას მოწმობს სიტყვა ამაკე ბეყანხანისა, რომელიც თათარ-ლეკთა მკვლელ ქრისტიანს თავს სჭრიდა ჯ თანაც ამბობდა: „არა ჯერ არს გაურთაგან (ქრისტიანისაგან) მაჭმადიანის სიკვდილი“, ხოლო იგივე ხანი ქრისტიანის მკვლელს არა თუ არას უშავებდა, არამედ აქებდა ამ სიტყვებით: „ესრეთ ჯერ არს“. ამ დროს ფრიად მძლავრობდნენ ჭარელნი. ამათ მარადის ებრძოდნენ კახეთის თავ-კაცნი: ჩოლაყაშვილი რევაზ, ქაზიყის მოურავი აბელ, ელისენის (საინგილოს ალაზნის ნაპირის ნაწილი) მოურავი მერაბ. ესენი იყვნენ მოთავენი იმ მოძრაობისა, რომელსაც გიორგი მეფე და კახელნი შეითქვნენ (1688 წ.), რათა მოჭკლან ყარაღაჯის ხანი ჯ ქართლ-კახეთი გააერთიანონ. მაგრამ ეს დაწყობილობა რომ ჩაიშალა თამაზ სპასპეტის ღა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლატით და დუშის მოურავის უკუ დგომით, მაშინ ყარაღაჯის ხანი უმეტესად გადაეკიდა კახელებს და მხარი მისცა ჯარელებს. ჯარი შეიქმნა ბუდად დაღისტნის ლეკებისა და ბელადებისა. ამათ იწყეს მძლავრობა გაღმამხარსა, ელისენსა და კახეთს. ამ ყამეთა „იყო ლეკთაგან ტყვენვა, ოხრება და კვლანი კაცთანი მზიერობით, ავაზაკობით და ბარვითა“. ესრეთ ჯერს ვეღარ გაუძლეს კახელებმა. ერეკლე მეფისაგან, რომელიც მაშინ თბილისში მეფობდა, ნება-რთვა აიღეს და შეესივნენ ლეკებს და მივიდნენ ელისენს. ჯარელთ შეეშინდათ და შემოეკედრნენ: ოღონდაც ნუ გაგვყლეტთ, დაგმორჩილდებით და ხარკს მოგცემთო. კახელებმა ეს არ ინებეს. შეივიდნენ ჯარში. მოაოხრეს ქვეყანა, შემუსრეს ციხე-სიმაგრენი და დიდის ალაფვით იქვე დადგნენ და იწყეს ჯარის გარემოს რბევაც. ნარბევ-ნაალაფევით რომ აივსო ბანაკი ქართველთა, გლეხებმა ალარ ისურვეს იქ დგომა, აიღეს ნარბევი ლ წამოვიდნენ. ჯარის უფროსები ამ გლეხებს აყენებდნენ, მაგრამ მათ არ უსმინეს. მცირე ამალით დაშთენილ უფროსებს მოუხტნენ ყველა ჯარელნი ლ შეჰქმნეს თოფის სროლა. ჯარელებმა მოჰკლეს დუშის მოურავი და მრავალნი წარჩინებულნი კაცნი. კახელნი იძლიენენ და გამოიქცნენ. ჯარელებმა გამოქცეულ ქართველებს დაეურევინეს ყველა ნატყვევარი (1695 წ.).

ინგილო ხუციშვილების „ოთხთავის“ ქრონიკონებით ეს ამბავი მომხდარა 1698 წ. ეს „ოთხთავი“ გადმოგვცემს: „ქრონიკონსა ტოზ კახნი ჯარს მიუხტნენ, და გატეხეს, და მრავალი ზიანი უყვეს; და ჩვენ მოგვიკლეს ბელ მოურავი და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთ-ხუცის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვილი და იქმნენ მოწამეთა თანაზიარ თვესა მაისსა 15, დღესა კვირიაკესა".

ამ დროს კ ახეთის ხანად იყო ქალბალი, რომელსაც კახთა დამარცხება დიდად ანაღვლებდა. გამარჯვებულ ჯარეულთ მოუხშირეს რბევა-ოხრება კახეთისა.

1703 წელს მოისპო ხანების მფლობელობა კახეთში. მათ მფლობელობას ასრე ახასიათებს მატიანე: «ხანების ყამს (1677—1703 წ.) შემოხდა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთა და დაუტეგებდნენ ქართულთა: იწყეს კეკლუცობა, განცხრომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილწე, ტუვის-ყიდვა, მრუშება ვიდრე სოდომიამდე, ბატიგისათვის და როქთათვის (ჯამაგირისათვის) იქმნებოდიან მაჭმადიან და მიიღებდიან ყაენისაგან როჭიგსა».

1703 წელს ყაენმა კახეთის მეფობა მისცა ქართლის მეფეს ერეკლეს. ამ მეფეს ჯერ ისევ სპარსეთში მოფობის დროსვე კახეთში წარმოეგზავნა მოტიქული და ცოლად თვისად ეთხოვნა რომელიმე დიდებულთაგანის ასული. მაგრამ მისი სიძეობა ყველას ეშმიებოდა: ხასად ქალს ვერ მიეცემოო. ხოლო ერთმა მებატონემ, ჩოლაყაშვილმა, რომელსაც ერეკლე ბირდებოდა ალაგერდელობას, მისცა თვისი ქალი ანნა. მოტიქულმა ანნა წაიყვანა სპარსეთს. ამ ანნასაგან ისპაანში მყოფ ერეკლეს მიეცა შვილები დავით (იმანყული) და ელენე (ბანჯანუმ). მთელი სახლობა ერეკლესი გამაჭმადიანდა. ქართლში მოსვლის შემდეგ ანნასაგან დაიბადა ვაჟი—თეიმურაზ. დავითი (იმანყული) ისევ სპარსეთში იყო. რადგან ერეკლე დაბარებული იყო ყაენისაგან, თვისი სახლობა მარტყოფს დახიზნა და თვითონ ისპაანს წავიდა (1703 წ.). ყაენმა იგი იქვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაიტოვა და კახეთის მეფედ იმავე წელიწადს გამოაცხადა მისი შვილი იმანუელიხან (1703—1722 წ.). ერეკლე იქვე მოკვდა (1709 წ.).

იმანუელიხანი ყარაღაჯში დაბინავდა. იგი იყო „სრულიად წესსაზედა და სჯულსა მაჭმადისსა, არა რაჲ სწამდა ქრისტიანეთა, არამედ წიგნი ჲ ენანი ქართულ-სპარსულნი უწყოდა წარჩინებულად“. ამან დაიბრო სრულიად კახეთი ჲ, რადგან ჭარელთ უკვე დაეპყრათ ელისენი ჲ კახეთს მოსვენებას აღარ აძლევდნენ, შემოიკრიბა ჯარი კახოუშ-თუშავ-ხევსურნი და წავიდა შესამუსრავად ჭარელთა. მეფე დადგა კარდიანს (აწ გულლუკი) და აქედგან ლეკებს მიუხტნენ ჩარდახს, მოსწყვიტეს მრავალნი და მოსწვეს გარემონი ვიდრე კავკასიონის ქედამდე. მეფის ჯარი ლეკებთან რომ იბრძოდა, იგი მტირე ამალით იდგა კარდიანსვე და ქოს-დაბდან-ბუკს აცემინებდა. უდარდელ მეფეს თვალი შეასწრო ჭარელთა რაზმმა, თავს-დაესხა ჲ ასტესა თოფთა ცემა. მეფის ამალა შეშინდა და გამოიქცა. თუშებმაც გამოიტაცეს მეფე და ყარაღაჯს მოიყვანეს. ამისთანა მარცხის გაგონებაზე დანარჩენნი ქართველნიც იკლტნენ და გამოვიდნენ სალეკოდგან (1706 წელს). ლეკთა სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. ამის შემდეგ კახეთის თავისუფლება მათგან გასაჭირი შეიქმნა. დავით მეფე (იმანუელი ხანი) ლეკთა შიშით ყარაღაჯს ველარ დადგა. აიყარა იქიდგან და გადმოსახლდა თელავს. მეორე სასახლე მას ჰქონდა მანავს.

დავით მეფეს აქაც გაუჭირდა ცხოვრება. ლეკნი მოსვენებას აღარ აძლევდნენ. ამიტომაც კახეთის გამგეობა ჩაბარა თავის ძმას თეიმურაზს, მეულლეს თამარისას, ვახტანგ სჯულმდებლის ასულისას, და თვითონ წავიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსეთს (1711 წ.). ლეკების შესამუსრავად დიდ-ეთ-ს ყაენისაგან ითხოვა ჯარი. ყაენმა აღუთქვა. მაგრამ ეს აღთქმა ტყუილი იყო. დავითი 1716 წ. უკანვე დაბრუნდა ხელცარიელი. მის უცხოეთში მყოფობისას კახეთის მდგომარეობა უფრო გამწვავდა. ახლად ჯვარდაწერილი თეიმურაზ ბატონიშვილი ქორწილის საქმეებს უნდებოდა და დროს ატარებდა თავის თელავისა, მანავისა და მაღარის სასახლეებში. თავის ნებაზე დარჩენილ კახელებს შემოერიათ კერძობა. ერთი-ერთის მტრობა, ღალატი. მოწინააღმდეგეს გასაფუჭებლად ზოგიერთნი მიემხრნენ ლეკებს. ქიზიყის მოურავმა რეკაზ ლეკთა ჯარი თავს-დაასხა ელისენთ მოურავს მერაბს და აკლებინა მისი სამოურავო. შემდეგში მერაბმაც ამითივე გადუხადა თავის მტერ რეკაზს. ტურა რამაზაშვილი გაუწურა ბაატა მანდატურთ-უხუცესს, გაკარდა ჯარს და შეიქმნა ბელადად ლეკთა, რომელთაც მრავალგზის აკლებინა კახეთი. დავით მეფემ დააწყნარა ლეკნი, მაგრამ იგინი მცირე ხნის შემდეგ ისევ შემოესივნენ ქვეყანას, მეფეს დაუხოცეს მრავალი წარჩინებული კაცი და გლეხნი, აიღეს დიდი ალაფი და გაიქცნენ.

გაჭირებულ კახელებმა, ცბიერ ალავერდელის რჩევით, გადასწყვიტეს: თუ ლეკები დაეხსნებიან კახეთს, ჩვენ მივცეთ მათ ჩვენი ბელადები ასაკლებად ყაზახისა, შამშადილისა, ყარაბაღისა და შირვანისა. კახთა ბელადების მოთავეობით ლეკებმა შემოიკრიბეს დიდი ჯარი, გამოვლეს კახეთი, ყარიაზზე ცურვით გავლეს მტკვარი და თავს-დაესხნენ ხუნანს, ბოლნისს და იწყეს რბევა ქვეყნისა. მათ მიუხტა სპასპეტი ლუარსაბ საბარათიანოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშქრით, მაგრამ იძლია ჯ გამოიქცა. ლეკებმა ააოხრეს ქვეყანა, აიღეს აუარებელი ალაფი და უკანვე დაბრუნდნენ საგარეჯოს გზით (1716 წ.). ამ გვარადვე კახთა ბელადები აკლებინებდნენ ლეკებს ბოლნისს, ყარაბალს, შაქს, შირვანს.

ყაენმა ეს ამბები რომ გაიგო, ფრიად განრისხდა ლეკებზე. განრისხდა აგრეთვე მეფე იესეზედაც, რომელმაც დაპირებული ვერ შეუსრულა. ამიტომ კახტანგი მოიყვანა ქირმანიდგან და უბრძა მას ქართლი, სპასალარობა ერანისა, თავრიზი და ბარდა (განჯა). ამასთანავე კახტანგი გამაჭმადიანდა და ეწოდა უსეინ-ყული-ხანი (1617 წ.). იგი ყაენმა იქვე დაიტოვა, ხოლო ქართლის ნაიბობა მისცა მის შვილს ბაქარს, რომელიც დედითურთ იმყოფებოდა რაჯას. ყაენის რაყამი და ბრძანება რომ მიიღო ბაქარმა, აიყარა და მოვიდა თბილისს, იესე გაიქცა კახეთს. მის შესაბურობად ყაენს გამოეგზავნა მტარვალი. იგი შეიბურეს და თბილისში დააპატიმრეს. ბაქარმა შეიბურო აგრეთვე იესეს მომხრენი და სამეფო გვარში შეიტანეს ჩამოგდებნი: ლუარსაბ ხუსუტი, მუხრან ბატონი ერეკლე, ბაბუნა დიასამიძე და სხ. ერეკლეს თვალები დასთხარა, დიასამიძე მოაშთო, ხოლო სხვები ექსორია ჰყო.

კახტანგის თხოვნით უკვე გამჭმადიანებულ ბაქარს ყაენმა მისცა ქართლის მეფობა (1717—1719 წ.). გამეფდა თუ არა ბაქარი, იმავე წლის ზაფხულს შემოსია საქართველოს ჭარელ ლეკთა და ნუხის ბატრონის სულხავის მხედრობა. ამათი რიცხვი იყო 8,000 ცხენოსანი. მათ იწყეს მორბევა ბოლნისისა და ქციის ხეობისა. ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარმა მტრის წინააღმდეგ გაგზავნა ბიძა თვისი სვიმონ 300 მხედრით. ეკვეთნენ ქართველნი სასტიკად ჯ მოსრეს ლეკთა წინა-რაზმი. მაგრამ მალე ეკვლა ლეკებმა საერთოდ შემოუტიეს ჯ გამოდევნეს მარხეულამდის. ქართველნი შემოიქცნენ თბილისს. ლეკებმა მოაოხრეს ქვეყანა, აიღეს ალაფი, გავლეს ყარაია და წავიდნენ ჯარს.

ამავე დროს ბაქარს განუდგა ქსნის ერისთავი დათუნა. ბაქრის ძმა ვახუშტი (შემდეგ დიდი ისტორიკოსი) მიუხტა მას და დაიპყრო ქსნის საერისთო. დათუნასძე შანშე საჩივლელად წავიდა ყაენის წინაშე. ვახტანგმა იგი გამოსთხოვა ყაენს და წარმოუგზავნა ბაქარს თბილისში დასაპატიმრებლად. ყაენმა ლეკების თავწასულობა იუკადრისა და ვახტანგი გამოგზავნა მეფედ ქართლისა (1719 წ.).

მეფენი

ქართლისა ვახტანგ VI	(1719—1724 წ.)
იმერეთისა ალექსანდრე V	(1721—1752)
კახეთისა კოსტანტინე II	(1723—1729)
(ლეკვა-შეფოთის დრო)	(1724—1744 წ.)

ვახტანგს ძლიეს ელირსა დაბრუნება ქართლს, რომელსაც იგი წინად განაგებდა. ვახტანგმა უწინარეს ყოვლისა დასაჯა თვისნი მოწინააღმდეგენი: სომხითის მელიქი თოფეით დაახვრეტინა, ბაგრატ ციციშვილი, ფეშან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გი უთვლანიშვილი, ჯამასპი ხერხეულიძე, ბაბუნა რეკაზანიშვილი, კეშაბიძე და ბლატონ წარგზავნა ოსეთს და თხებზე დააყიდინა. შემდეგ ამისა ზავ-ჭყო კახეთის მეფესთან და კახელ-ქართველებით გაილაშქრა ჭარელთა შესამუსრავად. მაგრამ ამ ლაშქრობიდგან არა გამოვიდა რა, რადგან კახნი გზიდანვე დაბრუნდნენ. ვახტანგიც თბილისს მოიქცა. ყაენმა ახლა შირვანის ბეგლარ-ბეგს უბრძანა ჭარელთა დამორჩილება. მაგრამ ჭარელებმა იგიც დამარცხეს და მოჭკლეს. მერე შემოესივნენ კახეთს და მოიცვეს მთელი არე-მარე ხაშმ-უჯარმამდე. დაშინებული კახელები შეიხიზნენ ციხე-სიმაგრეებში: თელავს, ალავერდს, ლალიყურს, შილდა-უკარელს, გავაზს, ვეჯინს, საგარეჯოს, ხაშმს და სხ. ვახტანგმა კვალად შემოიკრიბა ჯარი და მალარიას დადგა. ლეკებმა ალუთქვეს მორჩილება და ჭარს წავიდნენ (1722 წ.)ნ

1720 წელს შეითქვნენ რაჭის ერისთავი, დადიანი და აბაშიძე, რათა მოჭკლან იმერთა მეფე გიორგი. მეფეს შეუჩინეს სვიმონ აბაშიძე. ამან ისტუმრა მეფე თხმელის ციხეს და თავის მსასურებს ნადიმის დროს მოაკვლევინა. მერე ხ'ენებულმა სამმა მთავარმა იმერეთი გაინაწილეს. გიორგი მეფის შვილი ალექსანდრე ქართლს იყო. ასალციხის ფაშამ, ხონთქრის ბრძანებით, იგი დიდის ჯარით წაიყვანა იმერეთს, დაამარცხა მთავრები და ალექსანდრე დასვა მეფედ (1721 წ.). ბეჟან დადიანმა ფაშას ქრთამად მისცა 12 ქისა თეთრი, რის გამო იგი დადგენილ იქმნა მეფის მზრუნველად. ფაშა რომ დაბრუნდა, დადიანმა მეფეს შერთო თვისი ასული მარიამ.

ამ ყოფაში იყო საქართველო, როდესაც გაძლიერებულ ავღანთა მეფურობელმა, მირკეისის შვილმა შაჰ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაჭმად შემოიკრიბა 8000 მხედარი და გამოეშურა ისპაანის დასაპყრობად (1722 წ.). შეშინებულ ყაენმა კახტანგ მეფეს მოსთხოვა შემწეობა.

ამავე წელიწადს (1722 წ.) რუსეთის ხელმწიფე პეტრე დიდმა სპარსეთს გამოუცხადა ომი და კახტანგს მოსწერა ჩემი შემწე იყავიო ლ შირვანს შემომიერთდიო.

პეტრე დიდის ლაშქრობის ამბავი რომ გაიგო ხონთქარმა, კახტანგს ელჩი გამოუგზავნა და სთხოვა ჩემი ერთგული იყავიო (1722 წ.)

მეფემ აღარ იცოდა, რა ექმნა. შეჭყარა ქართლის ნაზირ-ვეზირნი და მთავარნი და დაჯდა საბჭოდ: თურა გზას დაადგნენ. ბევრი რჩევის შემდეგ ყველანი დაჰყვნენ მეფის სურვილს და გადასწყვიტეს: მიგემხრნეთ პეტრე დიდს, ვითარცა ქრისტიანეთა ხელმწიფესო. ამის შემდეგ თვით მეფემაც სასალხოდ აღიარა თვისი ქრისტიანობა.

კახტანგმა შემოიკრიბა 40,000-მდე მეომარი და წავიდა ყაზახს, რომ შეუერთდეს პეტრე დიდს, უკეთ სოლახიდგან გამომგზავრებულს.

ყაენსა და ხონთქარს დიდად ეწყინათ.

1722 წელს ისპაანი დაიპყრეს ავღანებმა და ყაენი მოჰკლეს. მისი შვილი შაჰთამაზ ამ დროს იყო ასტრაბადს, იგი იწოდა ყაენად და შემოიკრიბა დიდი ჯარი. შაჰთამაზმა ქართლ-კახეთის სამეფოები უბოძა ერეკლე I-ის გამაჭმადიანებულ შვილს კოსტანტინეს (მაჭმად ყულიხანს), და გამოისტუმრა (1723 წ.).

იმავე წელიწადს პეტრე დიდი შეურიგდა ყაენს (12 სექტ. 1723 წ.) და უკანვე დაბრუნდა. იგი აგრეთვე შეურიგდა ხონთქარს (12 ივნისს 1724 წ.)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ მეფის საქმე გაიხლართა.

ჯერ ყაზახიდგან ვახტანგი არ იყო დაბრუნებული, რომ საქართველოსკენ გამოგზავრებულმა კოსტანტინემ ანონა მას თვისი გამეფება. ვახტანგმა შემოუთვალა: ხუნანს ჩამოდი, დავზავდეთ და მერე ერთად ვიომოთ მტრებთანო. კოსტანტინეც დასთანხმდა. ეს ამბავი რომ გაიგო ვახტანგის ძმამ იესემ, რომელიც ამ დროს თბილისში იყო, კოსტანტინეს საიდუმლოდ ანონა არამცა და არამც ვახტანგთან არ მიხვიდე, მას შენი მოკვლა უნდაო. კოსტანტინემ დაუჯერა და ყარაიიდამ საგარეჯოს წავიდა. ვახტანგი თბილისს მოვიდა.

კოსტანტინე მეფემ თბილისის მეციხოვნეებს, რომელნიც სპარსნი იყვნენ, ანონა ყაენის განკარგულება. ამათაც დახშეს ციხის კარი და იწყეს თოფ-ზარბაზნის სროლა. ამასობაში კოსტანტინესთან მივიდნენ ლეკნიც, რომელთათვისაც აღეთქვა თბილისს აგაკლებინებთო. შემოიკრიბა კახ-ლეკნი, მოიწვია აგრეთვე განჯისა და ერევნის ხანების ლაშქარი, მერე კაი-ძალი ჯარით თვისი ძმა თეიმურაზი შეაპარა მცხეთას და თვითონაც მოადგა თბილისს. მაგრამ ვახტანგი მხნედ დაუხვდა მტრებს. მისმა შვილებმა ბაქარმა ლ ვახუშტიმ დაამარცხეს თეიმურაზი ლ განდევნეს, აგრეთვე დაამარცხეს ერევნის ხანის ჯარი, ხოლო ვახტანგმაც განაძევა სეიდაბადს ჩამოძდგარი კოსტანტინე.

ქვეყანა დამშვიდდა, მაგრამ მცირე ხნით. კოსტანტინემ წამოასხა დიდძალი ლეკთა ლაშქარი და უგრძეულად თავს-დაესხა ვახტანგს, რომელსაც, თუ ფეხ-მარდი ცხენი არ შესწრებოდა, შეიპყრობდენ კიდეც. ვახტანგი შვილებითურთ გაიქცა გორს, საცა იყო რუსუდან დედოფალიც. ლეკნი შეცვივდნენ ქალაქში და იავარ-ჰყვეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი. დაატუვეგეს მრავალნი, გახრწნეს ქალწულნი, დასწვეს სიონი (1723 წ.)

ვახტანგმა დედოფალი იმერეთს გაგზავნა, ხოლო თვითონ დადგა ცხინვალს. სალიტიანო, საბარათიანო და ქსან-არაგვი მიემხრო კოსტანტინე მეფეს, ხოლო ზემოქართლი ვახტანგს. ამ დროს დიდი ვეზირი და სარასკირი ოსმალთა ლაშქრისა უკვე მოდიოდა ერევნისა და ადირბეჟანის დასაპყრობად. მან შემოუთვალა ვახტანგს: «მძეკლად შენი ნათესავი გამომიგზავნე და მე დაგიმხობ მტერსო». ვახტანგმა გაუგზავნა თვისი ძმა იესე და მიაგება ბაქარიც. ოსმალნი მოვიდნენ ყურეთას. სარასკირს მიეგება კოსტანტინე მეფე და ჩააბარა ქალაქის კლიტენი. სარასკარმა ბაქარის თხოვნით დააპატიმრა კოსტანტინე და თბილისის ციხეში ჩააყენა იენგიჩარნი, რომელთაც უბრძანა აქ მყოფ სპარსთა გაყლეტა. მათაც შეასრულეს ყოველივე და ბაქარს ჩააბარეს ქალაქიცა და ქართლიც. დავალებულმა მეფის ძემ მამას შეატყობინა დაეჯილდოვებინა ოსმალნი. ვახტანგმაც მათ „წარუვლინა 12 ჯორი კიდული ოქრო-ვერცხლითა და მოოქვილითა“.

თუმცა ოსმალნი ბაქარს ქართლის პატრონად უწოდებდნენ, მაგრამ ნამდვილად კი თვითონ განაგებდნენ ქვეყანას. თბილისში ჩადგა რაჯაბ-ფაშა. ბაქარის აქ დარჩენა საშიშო შეიქმნა. ამიტომაც გაიპარა და მიავიდა ძმასთან. ოსმალები მოედვნენ ქვეყანას და დაიპყრეს ყველა ციხე-სიმაგრენი: გორი, სურამი, ცხინვალი და სხ. ვახტანგს უღალატა თვით მისმა ძმამაც—იესემ, რომელიც მოვიდა თბილისს და სუნიტობა მიიღო (წინად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი იყო შიიტი). ოსმალებმა მას უბრძეს პეტრეზედ ქართლისა. იესემ შემოიკრიბა ოსმალთა ლაშქარი და თავს-დასხა ბაქარს, რომელიც მთაში მიიმალა (1724 წ.).

ამასობაში ვახტანგს პეტრე დიდმა მოსწერა რუსეთს მოდიო. ვახტანგიც აიყარა და 1200 კაცით (დედა-წულიანად) გადასახლდა რუსეთს (1724 წ.).

ამის შემდეგ უფრო გაძნელდა ამერეთის მდგომარეობა. კახეთი დაიპყრეს ლეკებმა ლ დაბებში მოლები ჩაყენეს სალსის გასამაჭმადიანებლად. თვით იესე სასტიკად ებრძოდა ურჩ მებატონეებს. ერთ ბრძოლაში მან იმდენი ქართველი გაჟლიტა, რომ დახოცილთა თავები ურმებით გაგზავნა თბილისს რაჭაბ-ოვაშის გასახარებლად.

ესრეთი მტარვლობა ველარ მოითმინეს ქართველებმა. კახნი, ქართლელნი და თუშ-ფშავ-ხევსურნი შეითქვნენ მოეწვიათ მეფე კოსტანტინე (რომელიც ბაქარის დროსვე თბილისიდგან გამოპარულ იყო) და გაეთავისუფლებინათ სამშობლო. ამასთანავე კოსტანტინემ შველა ითხოვა ყაენისაგანაც. მაგრამ ეს დაწყობილება მალე მოიშალა. თელაველებმა, ერთი ხუცესის მოთავეობით, მუსრი გაავლეს თელავში ჩამომდგარ ლეკებს. მათს მაგალითს მიჰყვნენ სხვა დაბა-ციხეების კახელებიც და განდევნეს ლეკნი, და გაათავისუფლეს კახეთი. ეს რომ იხილა კოსტანტინემ, ქართველები დასტოვა, წავიდა კახეთს და ზავ-ჰყო ლეკებთან. მეფეს ლეკებმა უთხრეს: ოღონდაც გზა მოგვეცი ქართლის ასაკლებად, კახეთსაც მშვიდობიანად ვამყოფებთ და შენც ნარბეკ-ნაალაფევის ხუთის-თავს მოგცემთო. მეფეც დათანხმდა.

ოსმალებმა ასწერეს ქართლი და სარკი დაადეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცს (სულზედ) თითო დრაჯკანი, ცხვარზედ ორი შაური, ძროხაზედ აბაზი, კამბეჩსა და ცხენზედ ექვს-ექვსი შაური, მოსავალზედ ხუთის-თავი.

ამ გვარ ჭირისაგან ქვეყნის სახსნელად სტამბოლს წავიდა ქათალიკოზი დომენტი, რომელმაც ხონთქარს შეაგედრა ქართველები. მაგრამ იგი შეასმინა ახალციხის ფაშამ და ხონთქარმაც ქათალიკოზი დააპატიმრა თუნადოს.

1727 წელს მოკვდა იესე და ისაე-ფაშამ ახალციხისამ მეფური უფლება მიიღო. ეს ფაშა თბილისში იჯდა და განაგებდა ქვეყანას, რომელიც გაჭეო რამდენიმე ნაწილად და ყოველი კერძო ჩაბარა თავის მომხრე კაცებს. მერე კახეთს წარგზავნა თვისი შვილი უსუფფაშა, რომელმაც მოტყუებით ხელთ იგდო კოსტანტინე და თავი წარჭვეთა (1729 წ.), ხოლო შიგნით კახეთს შეუსია შაქ შირვანის პატრონი სულხანი, რომელმაც შემუსრა თელავი, შიდა, გავაზი, მოსწვა, მოსტყვენა ჯ წავიდა. ოსმალნი დამკვიდრდენ ყარალაკს (ქიზიყში), ააშენეს ციხე, გაამაგრეს ზარბაზნებითა და შიგ ჩაუყენეს თვისი ლაშქარი. ჭარელნი შემოებრძოლნენ ოსმალებს, მაგრამ დამარცხდნენ ჯ თავზარ დაცემულნი უკუნ-იქცნენ. კახელებმა ფაშაკს მიმალული თეიმურაზ (ერეკლე I-ის ძე) თელავს მიიყვანეს (1731 წ.) ჯ მორჩილობის გამოსაცხადებლად გაგზავნეს თბილისს წინაშე ისაე-ფაშისა. თუმცა კახეთის მეფობა ხონთქარს მიეცა ისაე-ფაშის შვილის უსუფფაშისათვის, მაგრამ ისაემ მაინც შეიწყნარა თხოვნა კახელებისა და თეიმურაზი კახეთსვე გაისტუმრა და უბრძანა: «ჩვენი ერთგული იყავ და თელავში იმეფოთ».

ამ სახით ქართლ-კახეთს დაეპატრონნენ ოსმალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულ თამარ-მეფის ტახტზედ აწ იჯდა სამცხის-თა-ბაგი ისაე-ფაშა და განაგებდა ქვეყანას. მაგრამ ისაე-ფაშა ჯაყელმა მალე იცოტავა ამერეთ-სამცხის მფლობელობა და მოინდომა იმერეთიც დაეპყრო.

1722 წელს ოსმალნი რომ ამერეთში შემოვიდნენ, იმათივე ფაშა მოადგა ფოთს და იმერთა მეფე ალექსანდრეს სთხოვა შემომიერთდიო. მაშინ ალექსანდრეს მტრობდნენ დადიანი, რაჭის ერისთავი და აბაშიძე ზურაბ. ამათი მხარე ეჭირათ ათხაზთაც. ამის გამო ალექსანდრე მიეიდა ფაშასთან. იმერ-ოსმალნი შეესივნენ ოდიშ-ათხაზეთს და იწყეს წვა და რბევა ქვეყნისა. ოსმალნი შეეიდნენ ილორს, ილორის ტაძარს აჭყარეს ბრპენის კრამიტის სახურავი, დახატულობანი გააფუჭეს და მერე გადასწვეს. შარვაშიძე მოეგება ფაშას და გამაჭმადიანდა თავის ამალითურთ. ამის შემდეგ ფაშამ ალექსანდრე მეფეს სთხოვა ჯიქეთის დასაპყრობად წავიდეთო. ეს არ მოინდომეს იმერლებმა. და ღამე მეფითურთ გამოიპარნენ და გამოიქცნენ. მათი ბარგი-ბარხანა ოსმალთ დარჩათ (1733 წელს). მცირე ხნის შემდეგ ათხაზნი წაეხუბნენ ფაშას და შემუსრეს ოსმალნი. ფაშამ ძლივს მოასწრო ზღვით გაქცევა.

ოდიშის აკლებინებისათვის დადიანი გადაეკიდა მეფეს, რომელმაც შემწეობა ითხოვა ისაე-ფაშისაგან. ამანაც თბილისიდამ მიაშველა მას ოსმალ-ქართველთა ლაშქარი, გივი ამილახორისა და მაჭმად-ბეგის წინამძღოლობით. დაშინებულმა დადიანმა და სხვა მთავრებმა ზავ-ნეეს მეფესთან (1734 წ.).

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს თვით სპარსეთი საშინელ მდგომარეობა-ში იყო. სპარსეთის აქეთი ნახევარი ოსმალთ ეჭირათ და იქითი ისპაანითურთ ავღანთ. განჯა-შამახია-შაქს თვა-შად იჯდა სულხანი, რომელიც ამას წინად ჭარელები-თურთ ებრძოდა კახელებსა და ქართველებს. ყაენი შაჰ-თამაზ მტრების შიშით დამალულიყო თარაბადს, კასპიის ზღვის პირას. მაგრე მას მიემხრო ნადირ-ყული-ხანი ავშარი და მისით ყაენმა დაამარცხა ავღანნი და აიღო ისპაანი (22 ნოემ. 1729 წ.). ნადირ-ყული-ხანი გამოეკიდა ავღანთ და დაიპყრო ავღან-ყანდაარი, გასწყვიტა ყველა მოწინააღმდეგე ხელისუფალნი, დაადგინა ახალნი და დაბრუნდა.

მინამ ნადირ-ყული დაბრუნდებოდა, ოსმალები შეებრძოლნენ ყაენს, დაამარცხეს იგი და წაართვეს თავრიზი. ყაენმა ოსმალებს დაუთმო ყველა მათ მიერ დაპყრობილი ადგილები, გარდა თავრიზისა, და შეურიგდა ხოთქარს.

დაბრუნებულმა ნადირ-ყულიმ ყაენს არ მოუწონა ასრეთი, სპარსთათვის სამარცხვინო, ხელშეკრულობა. ყაენი მიიწვია ჯარების დასახედავად, მერე ისტუმრა და ამ სტუმრობის დროს შეიპყრო, თვალები დასთხარა და მეშედს დაუპატიმრა. ხოლო ყაენად დასვა მისი რვა თვის ვაჟი აბაზ III და თვითონ შეიქმნა მის ვეზირად და გამგედ სპარსეთისა (1732 წ.). ამის შემდეგ ფიცხლავ შემოიკრიბა 100000 მოამარი და შეესია ოსმალეთს. ნადირი თავს დაესხა თოფალ-ფაშის 100000 მოამართ და შემუსრა. აქ მოიკლა თვით ფაშაც (1733 წ.). ამ ბრძოლაში მონაწილეობა მიიღო

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე მაჭმად-მირზამ, რომელიც იყო კახეთის მეფის დავითის (იმან ყულიხანის) შვილი. ბრძოლის დროს ოსმალებმა ნადირს მოუკლეს ცხენი. დაჭვეითებული ნადირი რომ იხილა მაჭმად-მირზამ, ფიცხლავ თავის ცხენიდამ ჩამოხტა და მიართო მას. ნადირი შეჯდა და განაგრძო ბრძოლა. ხოლო მაჭმად მირზა აკუწეს ოსმალებმა. ამის შემდეგ ნადირს ბაღდადის აღებაც უნდოდა, მაგრამ შემოესმა კახტანგ მეფე დარუბანდით მოდის შამახიის დასაბურობადო. განძვინებული ნადირუული სწრაფად წამოვიდა და შეესია შირვან-შამახიას. დაამარცხა სულხავ-თვაშა, დაიბურო შაქი (ნუხი) და მოიცვა განჯის არე-მარე. აქედგან კახტანგ მეფეს შეუთვალა მოდი ჩემთანაო. მაგრამ იგი უკანვე გაბრუნდა და აშტარხანს მიეიდა. ნადირი შემოერტყა განჯის ციხეს (1734 წ.).

თბილისიდგან ისაყ-თვაშამ გაგზავნა ლაშქარი ქიზიყს, რათა ებრძოლონ სპარსთა. მაგრამ კახელნი შეითქვნენ, ღამე უგრძნეულად თავს-დაესხნენ ოსმალთა ლაშქარს და ამოწყვიტეს. ეს გაიგეს თუ არა ქართველებმა, მიუხტნენ თბილისის გარემოს მყოფ ოსმალებს და გასწყვიტეს. ამავე დროს გიორგი ამილახორი შეიჭრა გორის ციხეში, მოსრა ოსმალნი და დაიბურო გორი. ნადირს ეამა ოლველივე ეს და განჯიდამ მოითხოვა ტოლად ზემოხსენებულის მაჭმად მირზას და, ასული დავით მეფისა. თეიმურაზმა იგი გაუგზავნა და თვითონაც წავიდა მის წინაშე განჯას. იქვე მივიდნენ ქართლ-კახეთის დიდებულნი. ნადირ-ყულიმ თეიმურაზი და ქართველები დიდის ჯარით შეესია ჭარს. ლეკნი მოისრნენ. მათი ციხე-კოშკსიმაგრენი შეიმუსრნენ. ყარაღაჯს მდგომარე ოსმალნი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეძრწუნდნენ და გაიქცნენ თბილისს. კახელებს დარჩა ყარაღაჯი და მრავალი თოფ-ზარბაზანი.

ნადირს ჯერ განჯა არ ეღირა, რომ მიუვიდა ამბავი: ოსმალთა 100000 ლაშქარი ქოთრულის სარასკრობით ყარსს ჩამოდგა. ნადირყულიმ განჯას ალყა შემოარტყა ლ თვითონ ქოთრულს შეება ერევანთან. მტერი სასტიკად შემუსრა. ქოთრილი და 40000 კაცი დახოცა. იმდენი ოსმალნი დაატყვევა, რომ „ერთი ასსა შეიშურობდა“. ხონოქარმა ნადირ-ყულის დაუთმო ერევანი, განჯა, ლორე და თბილისი. ისაყ-თავშიმ ქალაქს მყოფნი ოსმალნი აჭყარა და 300 ურმით ახალციხეს წაკიდა (1735 წ.). ერევანს მდგომარე ნადირ-ყულიმ დაიბარა თეიმურაზი და ქართველთა დიდებულნი. ესენიც ეახლნენ. იქ მიხული თეიმურაზი შეიპყრო და უკანვე გამოგზავნა, რათა ამან თბილისს, სადა თვითონაც უკვე მოდიოდა, ჩამოიყვანოს თვისი ტოლ-შვილი და აგრეთვე კახთა დიდებულნი დედა-წულიანად. ხოლო ქართლ-კახეთის მეფობა უბრძა ალიმირზას, თეიმურაზის ძმის წულს.

ამის შემდეგ თვით ნადირ ყულიც შემოვიდა თბილისში (1735 წ.) დიდის დიდებითა. მოქალაქეთ მას გაუშალეს ფიანდაზი. კახელთ არ ინებეს თბილისში ჩამოსვლა და თეიმურაზითურთ ტოლ-შვილიანად ფშავს შეკიდნენ. აგრეთვეთე ნადირ ყულის წინაშე არ გამოცხადდნენ ზოგიერთი მებატონეები ქართლისა. ეს იწყინა და გაუსია თვისი რაზმები ქვეყნის ასაკლებად: ქსანს, არაგვს, სადიციანოს, ზემო ქართლს. ამათ „აოხრეს ქვეყანა, დასწვეს, დაატყვევეს, შეაბილწეს ეკკლესია, წაიყვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნეს ქართლიდამ რვა-ასი კომლი, — ვინ იცის სახლში რამ-დენი სული იყო? — მოსრეს ყმაწვილნი ვით ერთდ, ჩჩვილს ურიდენ და დიდი, რომელიც დავარდის, ცხვირსა და ყურებს აჭრიდიან". ეს ტყვენი ნადირ ყულიმ ხორასანს გაისტუმრა. ამ დროს მოუვიდა ამბავი დარუბანდს ყირიმის ხანი მოადგა და სპარსეთის დასაპყრობად მიდისო. მსწრაფლ აიყარა ქალაქიდამ და შევიდა კახეთს, აოხრა ქვეყანა, აჭყარა მრავალნი და დედაწულიანად ხორასანს წარგზავნა. თვითონ გადავიდა ალაზანზე, შევიდა ჭარს და აოხრა იგი, გადავიდა შამახიას და იქიდგან შევიდა დაღისტანს და შემუსრა ლეკთა ბატონი უცმი. ყირიმის ხანი უკანვე დაბრუნდა. ნადირ-ყულიც უკმოიქცა და დადგა მუღამს. აქ ძლევამოსილი ნადირ ყული გახელმწიფდა და იწოდა მაჭ-ნადირ ანუ შაჭ-თამაზ. მას გამოეცხადნენ მეფე ქართლისა ალექსანდრე, თეიმურაზი, ერანის ჯარი და სხვანი. ყველამ იგი აღიარეს ყაენად (1736 წ.).

ყაენმა ალექსანდრე გამოისტუმრა და ქართლს შეაწერა ხარკად 3300 თუმანი და ხუთასი ნოქარი ტოლშვილით. თვითონ კი თეიმურაზითურთ წავიდა ისპაანს და იქიდგან ყანდაარს.

1740 წელს იმერეთის მეფეს ალექსანდრეს ჭსურდა შეემუსრა თვისი მოწინააღმდეგენი, რომელთაც შველოდა ვახუშტი ბაშიძე, სიძე ვახტანგ მეფისა. ამ დროს ვახუშტი თავის ტოლ-შვილით იდგა ტეძერის ციხეში, ქართლს. ალექსანდრემ ვახუშტს თავს-დაასხა ლაშქარი, რომელმაც შეიპყრო იგი და მეფეს წარუდგინა. ვახუშტი დააპატიმრეს ნავარძეთის ციხეში. მისმა მეუღლემ ანუკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონიშვილმა ალექსანდრე მეფეს სთხოვა ქმარი გაბა-თავისუფლეო. ალექსანდრემ მოსთხოვა 500 ქისა თეთრი. ანუკას ეს ფული არა ჰქონდა და ისაუ-თვაშას შეეხვეწა მიშველეო. ისაუ-თვაშა ოსმალთა ჯარით შეეიდა იმერეთში და აიღო ქუთაისი. დიდებული ტაძარი ბაგრატისა ოსმალთა ჯარის ჯაბახანად აქცია. მეფე ალექსანდრე ქართლს გაიქცა (1741 წ.). იმერთა მეფედ გამოცხადებულ იქმნა ალექსანდრეს ძმა გიორგი. ალექსანდრე გამოეცხადა შაჰ-ნადირს, რომელმაც ისაუ-თვაშას უბრძანა განეძევა გიორგი ტ იმერეთის ტახტზე დაესვა ალექსანდრე. ისაუ-თვაშამაც შესრულა ყაენის ბრძანება (1744 წ.). ამავე წელიწადს ოსმალებმა მოსპეს მემკვიდრეობა სამცხის ათაბაგ ჯაყელებისა. სამცხე-საათაბაგოს გამგეობა დაეძვემდებარა ოსმალეთის საზოგადო წეს-წყობილებას.

1736—1744 წლებში კახელები ერთგულად ემსახურებოდნენ შაჰ-ნადირს, რისგამო ყაენმა თეიმურაზს უბრძა მეფობა ქართლისა, ხოლო მის შვილს ერეკლეს—კახეთისა (1744 წ.).

II

საზოგადო განხილვა გაგლილ მეფობათა (1676—1744 წ.)

ამ გრძელი ხნის განმავლობაში თვალწინ გვესტება მხოლოდ ერთად ერთი ხელმწიფური ახოვანება გიორგი XI-ისა, რომელიც, რაინდულის თავგანწირვით, ზრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნავს გაერთიანოს ამერეთი და, თავის ძმის არჩილის ქუთაისში გამეფებით, მოიმტკიცოს იმერეთიც. შემდეგში, როდესაც შური და მტრობა საქართველოს მთავრებისა განტეორტნის ამ დიდებულ მეფეს შუაგულ ზღვაში, იგი მაინც იქაც არ იკიწუებს თვის სამშობლოს და საქმეს ისე ჩარხავს, რომ საქართველოს გამგეობა ეძლევა ყველაზე განათლებულ ბატონიშვილს — ვახტანგ სჯულმდებელს. იქიდგანვე ეს გიორგი მეფე მოაწვდის ვახტანგს 2000 თუმანს და მრავალ ძვირფასეულობას სასსრად იერუსალიმის ქართველ სიწმინდავეთა. სამწუხაროდ, არჩევანი გიორგი მეფისა ვერ ამართლებს მისს მოლოდინს. საქართველოს ამ დროს იმოდენად განათლებული მეფე არ ეგზირებოდა, რაოდენადაც შორს-მხედველი და გიორგი ბრწყინვალესებური სარდალი და შემმართებელი მეფე. სწავლა-განათლებით დალმობიერებულ ვახტანგს კი სწორედ ეს სასარდლო-სასულმწიფო ნიჭი აკლდა. ვახტანგი იყო კარგი მწიგნობართ-უხუცესი ანუ საერო განათლების მინისტრი და არა თვითმპყრობელი ხელმწიფე. თვისის შორს-განუჭვრეტელობით ვახტანგმა კეთილად არა სცნო ბრძნული რჩევა ვეზირებისა, რომელნიც 1722 წელს მეფეს ეუბნებოდნენ: გვეყოფა ამდენი წუვეტა-ტმასნობა, ორი საბელი (სპარსთა და ოსმალთა) გვაბია და მესამესაც ნუ მოვიბამთო, სამს დიდს ხელმწიფეს რომ პირი მივცეთ, გარს მოგვეჭირება მუხრუჭიო.

ვახტანგის შორს-განუჭვრეტელობის წყალობითვე არ მოსდა ქართლ-კახეთის მეგობრობა და გაერთიანება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა ამ მეგობრობის მოწადინე იყო თვით კახეთის მეფე კოსტანტინე.

ამას გარდა, 1724 წელს რომ ვახტანგი აიბარგა რუსეთში წასასვლელად, თან წაიყვანა 1200-მდე რჩეული ქართველი. უცხოეთში მიმავალი მეფე ვერ მიხვდა, რომ ამ წარჩინებული შვილების წაყვანით საქართველო რჩებოდა უკაცურად.

ამ დროის მეფე-მთავრებს დავით გურამიშვილი ადებს იმ ბრალსა, რომ „მოისრა სშირი ქვეყანა, გახდა ვერანად, ტრამლადა, ალარავინ დარჩა თვარსაგი, ბატონად, ქვეყნის მამლადა“. ამ „მამალთაგან“ მარტო ვახტანგმა 3500 კაცი წარგზავნა შუაგულ აზიას ყანდაარავღანთა დასამხობად, და იგინი იქვე დაიღუბნენ; ახლა ვინ მოსთვლის, რაოდენ მამულიშვილს გაეთხარა სამარე იმ დროს, როდესაც „თურქი, სპარსი, ლეკი, ოსი, ჩერქეზ, ღლიღვი, დიდო, ქისტი სრულად ქართველის მტერნი იყვნენ, ყველამ წაჭრა თვითო ქიშტი; მერმე შინათ აიშალნენ, ძმამ მოუდვა ძმასა ყისტი; თავის თავსა ხმალი იცეს, გულთა მოახვედრეს ხიშტი“.

ეს დრო უფრო საყურადღებოა სხვა მხრივ. მე X—XII საუკუნეს აქეთ მარტო მე XVII საუკუნის მიწურულსა და მე XVIII-ის დამდეგს ეკუთვნის ბიერველი ადგილი საქართველოს გონებრივ წარმატებაში. დიდნი და ჭეშმარიტნი ფილოსოფოსნი, არქეოლოგ-ისტორიკოს-გეოგრაფოსნი, სჯულმდებელნი, მწიგნობარ-მელექსიკონნი, მქადაგებელნი და სხ. ამ დროს იბადებიან. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროსვე პირველად იმართება სტამბა და აგრეთვე ხელ-ახლა იბეჭდება ქართული ფული, რომლის ჭრა გიორგი ბრწყინვალეს აქეთ საქართველომ აღარ იცოდა.

ღირსია ყურადღებისა ის გარემოება, რომ უმეტესი ნაწილი ამ დროის მოღვაწეთა არიან ანუ შანაზე მეფის შვილები, ანუ შვილი-შვილები და მათნი მონათესავენი, კითარცა: არჩილ მეფე, მოსამართლე ლევან, მისი შვილი კახტანგ სჯულმდებელი, კახტანგის შვილები: ბაქარ მწიგნობარი და კახუშტი ისტორიკოსი, ქათალიკოსი ანტონ I იესესძე—ღვთის-მეტყველი, ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, და აგრეთვე საბა ორბელიანი, დედის ძმისწული მეფის გიორგი XI-ისა, რომელმაც საბას დავალა ლექსიკონის შედგენა; ისტორიკოსი ბაბუნა ორბელიანი და სხ.

ამათ გარდა კიდევ შესანიშნავნი არიან დავით გურამიშვილი, იობ მწერალი, იოსებ სამებელი, ნიკოლოზ რუსთაველი, ნიკოლაოს მრეველი, პეტრე ჩხატარიშვილი, მამა კოსმა, იესე ერისთავი, დიმიტრი ორბელიანი.

ამ მოღვაწეთა დროის მიმართულება ფილოსოფოსს-ისტორიკოსს დავით გურამიშვილს გამოუსტავს ასრე: „ემაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადა: ვინ არის, სიდამ მოსულა, სად არის, წავა სადაო“.

საჭიროა, ამბობს იგივე ფილოსოფოსი, კაცი განუწყვეტლივ შრომობდეს: მხვნელი, მთესველი, მწიდვნელი, მბარავი ოთველ დღე, მზის ამოხვლითგან ჩასვლამდე, შეუსვენებლივ უნდა მუშაობდეს, ღვარეს ცხელი ოფლი, ჭამოს თვითონაც და აჭამოს ქვეყნის მფარავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაცა. ყოველი წოდების კაცმა მისდამი მინდობილი საქმე კეთილსინდისიერად უნდა შეასრულოს, ვინაითგან ბრძენი კაცი მხოლოდ სიტყვით დარჩებისო, ოსტატი თავის ხელითო, ხუცესი წიგნვით, ვაჭარი ადლსასწორის სასწორით, მოლაშქრე სისხლის ქცევითა, მხვნელი ოფლითა ცხელითა, მწყემსი სამწყსოს მხნედ მოვლითო.

ხოლო ყველასთვის კი საერთოდ საჭიროა ჭკუაგონების განვითარება და სწავლა, ვინაიდგანო „ჭკვის შეკეთესი საქონლად არა რა საქონელიაო“, „თუ კაცსა ცოდნა არა აქვსო, გასტანჯავს წუთი-სოფელიო“.

ყოველ კაცს უნდა ახსოვდესო, რომ „ერმაც სწავლაში მომშვიდებისო“, ხოლო «უსწავლელი ვაყიკაცი სიბერის დროს გაწბილებისო», რადგან „რიკ-თვინის“ დრო გარდაუა, ველარ გაჭკრავს, ჩაჭბილებისო“. თუმცა „სწავლის ძირი მწარე არისო, მაგრამ კენწეროში გატკბილებისო“ და ამიტომაც ისწავლეო, რადგან სწავლა სიკვდილამდე შენიაო, მუდამ შენთან მყოფელი და შენი უხილავი საუნჯე, რომელსაც ვერავინ შეგეცილების, ვერავინ გაგიყოფს, ვერავინ წაგართმევს და ვერავინ მოგპარავსო.

ყველა ეს დიდებული აზრები რომ მარტო გურამიშვილის კუთვნილება არ ყოფილა, არამედ მაშინდელ დროის საქართველოს შვილების საერთო მიმართულების მოთხოვნილება, ესა სჩანს ბროსეს სიტყვებით. ბროსე ამბობს, რომ გურამიშვილის «დავითიანი» არის ისეთი „ენციკლოპედია“ (სამეცნიერო დარგთა კრებული),

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელიც კარგად გვიხატავს განათლების მდგომარეობას იმ ქვეყანაში, სადაც აზრადურს ამდენი ცოდნის შემენა შესძლებიაო“.

ცნობის-მოყვარეობის სურვილმა დაბადა საჭიროება ხალხში გაეგრცელებინათ წიგნები, ხოლო წიგნი მაშინ ძვირად ღირდა, რადგან მის გადაწერას დიდი დრო უნდებოდა. ამიტომაც ვახტანგ მეფემ, ხალხის საერთო სურვილის დასაკმაყოფილებლად, უნგრო-ვლახეთიდგან მოიყვანა მესტამბე მიხეილ სტეფანეიშვილი და თბილისში გაამართვინა სტამბა (1709 წ.). ამ სტამბაში დაბეჭდა: სახარება (1709 წ.), კონდაკი და ყამნი (1710 წელს), დარიგება თუ ვითარ უნდა ასწავლოს მასწავლებელმა მოწაფეს (1711 წ.), ვეფხის ტყაოსანი (1710 წ.), დაუჯდომელი (1712 წ.), კურთხევანი (1713 წ.), პარაკლიტონი (1720 წ.), ქმნულების ცოდნის წიგნი: ცებისა და კარსკვლავთა ცოდნა (1721 წ.).

ამ სასიკეთო მოძრაობას დიდი კავშირი ჰქონდა იმ მოძღვრებასთან, რომელიც საქართველოში შემოიტანეს კათოლიკე ბერებმა. ამ ბერების მოძღვრება შკვე დამკვიდრდა სამეფო გვარეულობის მონათესავეთა ოჯახებში. სბა ორბელიანი, შემდეგში თვით ანტონი ქათალიკოსიც და მრ. სხვანი შეიქმნენ მოწაფედ კათოლიკე ბერებისა, რომელთაც ქართველებს, ლათინთა მოძღვრების გარდა, გაუცნეს აგრეთვე ევროპიის ერთა ყოფა-მდგომარეობა, იქაური მწიგნობრობა, სტამბის საქმე და სხ. ამათგანვე ვახტანგ მეფე გაიგებდა იმასაც, რომ ევროპაში, სახელდობრ რომს, 1629 წლითგანვე შკვე არსებობდა ქართული სტამბა, სადაც დაებეჭდათ ქარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თული «ანბანი» და „ლექსიკონი"; ამას გარდა თვით რომის „მქადაგებელთა სკოლის" ქართული ენის პროფესორსაც, რომელსაც ქართველთაგანვე ირჩევდნენ, აგრეთვე ექნებოდა მიწერ-მოწერა საქართველოს შვილებთან, რომელთაგან ზოგიერთნი აგრეთვე დრო-გამოშვებით მოგზაურობდნენ ევროპაში, ვითარცა ჩოლაყაშვილი, საბა ორბელიანი და სხ.

სულხან საბა ორბელიანი (დაიბადა 1658 წ. და †1725 წ.) და ქართული ლექსიკონი. სულხანი იყო მსაჯულთ-უხუცესის ყაფლანის შვილი, ხოლო ეს ყაფლანი იყო ძმა დედოფლის როდამისა, შანაზ მეფის (1658—1675 წ.) მეულლისა. სულხანი დედის მხრივ იყო ბიძა ვახტანგ საჯულმდებელისა. სიყრმიდგან 40 წლამდის იგი მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო საქმეებში. 12 მარტს 1698 წ. იგი ბერად აღიკვეცა, იწოდა საბად და გარესჯის მონასტერში დაბინავდა. 1710 წელს იგი წავიდა ხორასანს, ნახა მეფე ქაიხოსრო და დაბრუნდა. შემდეგ 1712 წ. მეფე ვახტანგს გაეგზავნა ისპაანს და იქიდგან რომ დაბრუნდა, ახლა წავიდა (1713 წ.) საფრანგეთს, ჟენევას, სიცილიას და რომს. ამ მგზავრობის დროს ნახა საფრანგეთის მეფე, იქაურნი დიდებულნი, აგრეთვე რომის პაპი კლიმენტი, რომელიც მას თავის ლრამატაში (26 ივნ. 1714 წ.) იხსენიებს მონაზონად. იგი დაბრუნდა 1716 წ. კონსტანტინეპოლის გზით. აი საბას შრომანი: „საძოთხის კარი", რომელშიაც იგი ემხრობა ლათინთა ეკეკლესიას: „მიმოსვლა ევროპასა", საცა აღწერს თვის მოგზაურობას; «სიბრძნე-სიტყვე»,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ იგავ-არაკნი, დიდის ნიჭიერებით შედგენილნი და „ქართული ლექსიკონი“.

სიბრძნე-სიტრფის შემდეგ, ყველაზე საპატიო შრომა საბასი არის ლექსიკონი, რომელიც მას შეუდგენია ბერად აღკვეცამდე (1698 წ.). ლექსიკონის წინასიტყვაობაში საბა ამბობს, რომ ძველი ქართული ლექსიკონი, რომელსაც მეფე ვახტანგ V-მ (შანაოზი) „სიტყვის-კონა“ უწოდა, დაკარგულ და უჩინო ქმნილიყოფო. და ამიტომ ‹გიორგი მეფემ (1675—1688 წ.) მიბრძანა ამის ხელოფოვადო და მეც ჭაბუკობისა და სიყრმის ყამს, 30 წლის განმავლობაში, დიდის შრომითა და რუდუნებით შეკასრულეო. იქვე საბა გვაუწყებს, რომ პეტრიწის (რომელსაც სთვლიან ავტორად ქართულის ძველის ლექსიკონისა) სიტყვები მეტ-ნაკლებად დაუწერიაო, კითარცა: „**მრთელი**: მოკედ, **მეტი**: მოკედინ, **ნაკლები**: მოდი, **განგეთილი**: მო“.

იობ მწერალი. ჩვენს დროშიო, ამბობს საბა, თბილისში სცხოვრობდა წინამძღვარი იობ, კაცი ფრიად სწავლული, კარგი მოსაუბრე, მცოდნე და მკითხველი ყამნისა და დავითნისა, ნაქები მგალობელი, განთქმული მწერალი. როდესაც დაიწყე შედგენა ამ სიტყვის-კონისა, იგი ამაგებდა და მკიცხავდა, ხოლო რა დავასრულე, ჭნახა და მოეწონა. მე ვთხოვე გადასწერად. მან გადასწერა, მაგარამ სადაც იყო ჩაწერილი ჩემი სახელი, ამოეშალა და მისგან გადაწერილში ჩაეწერა თვისი სახელი, ვითომც მას შეედგინოს. მე ამისთვის ვიჩივლე“. ეს იობი ალბად ის წინამძღვარია ფიტარეთისა, რომელიც ამ დროს სცხოვრობდა თბილისში და რომლის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტონი I ამბობს: „შვენიერ იყო ითბ სიტყვათა ჭეშმარიტ სამღვდელოთა წერილთა ზედმიწევნილ; მწიგნობართანი ძნელად ესწორებოდიან მას. მის ქადაგებათ აქებდნენ ბრძენნი. იგი იყო კეთილ მწერალიცა და შვენიერ მგითხველ მუსიკობითა, ქართულითაც გამოცდილ“.

ანუფრე მაჭუტაძე (1695 წ.) გარესჯის უდაბნოს წინამძღვარი და მისი გამამშვენებელი. მის დროს მონასტრის სამწიგნობროში მოიპოვებოდა წიგნები: „ისტორია მცხეთის ეკკლესიისა“; ცხოვრება წმ. ნინოსი, წმ. იოანე ზედაზნელისა, წმ. დავით გარესჯელისა, წმ. შიო მღვიმელისა, სამცხის დავითნი და სვინაქსარი (ეს უკანასკნელნი შეიცავენ მთელს ისტორიას სამცხისას). ანუფრეს მეცადინეობით სპარსთაგან გაოხრებული მონასტერი ისევ გაიკსო ბერებით, რომელთაც მეფემ ყოველ წლიურ ულუფად დაუნიშნა: 100 კოდი პური, 10 საპალნე ღვინო, 100 ლიტრა ბრინჯი, 100 ჩარექი ზეთი, 100 ლიტრა უველი, 100 ლიტრა მარილი, 60 წყვილი დოში, 40 ზურგიელი, 30 ლიტრა ხიზილალა, 50 ლიტრა ლობიო, 50 ჩარექი ნიგოზი, 30 ლიტრა ხახვი, 20 ლიტრა მატყლი, 200 მან. ფული, ერთი ლიტრა აბრეშუმი.

ვახტანგ ორბელიანი (1710 წ.) არის სამას თანამგზავრი ევროპაში მიმოსვლის დროს. მან დასწერა წიგნი „მსურველებისათვის სარწმუნოებისა“. ანტონი I ამბობს, რომ ეს ვახტანგი სამაზედაც უგეთესად შაირობდა, იგი იყო კაცი რიტორ-შვენიერი, მწერ-მეთქვი, ფილოსოფოსი პიიტიკოსიო.

პეტრე ჩხატარიშვილი (1725 წ.) იყო ქობუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეთიდგან. მან შეადგინა „მოთხრობა შესახებ ქრისტიანობისა ქობულეთში“. ანტონი I სწერს: ბეტრე მესტიხე, მეშაირე მადალი, ისტორიათა შინა ბრძენი, კალიგრიტორი, შვენიერ მოუბნარი.

დიმიტრი ორბელიანი (1727 წ.) ანტონი I-ის სიტყვით არის კარგი მელექსე, რომელმან თვარსი განკაზმის უცხოდ.

ნიკოლოზ რუსთველი (†1729 წ.) გვარად ჩერქეზიშვილი, დამწერი „საგალობელისა“ წმ. დოდოს დღესასწაულისათვის. მისნი ქადაგებანი გონიერებით სავსენია, ამბობს ბლ. იოსელიანი. 1722 წლის გუჯარში იგი მოხსენებულია დიდ თილოსოფოსად.

იესე ქსნის ერისთავის შვილი (†1739 წ.), „რომელმან დიდად იღვაწა განმრავლებისათვის ქართულთა წიგნთა და აღწერა „მოწამეობა ელიზბარ-შალვა-ბიძინასი“. ანტონის სიტყვით იგი სიბრძნის ტრფიალიყო.

ნიკოლოზ მრეველი (†1725 წ.), რომელსაც სიკვდილის წინად ებრძა თბილელობა. მან დასწერა: ა) შვიდთა მოამაგედინებელთა ცოდვათათვის და შვიდთა მადლთა და ბ) ბასსალიონი, რომელიც შემდეგში გავრცელებით დაბეჭდა ბაქარმა 1743 წელს.

გერმანე ხუცეს-მონაზონი (†1748 წ.), რომლის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო კახტანგმა აღბეჭდა (1711 წ.)

დავით გურამიშვილი საგურამოს თავადიშვილი იყო. სოფ. ლამისყანას იგი დაატყვევეს ლეკებმა და წაიყვანეს დაღისტანს, საიდანაც იგი გაიპარა და წავიდა მოსკოვს (1730 წ.). იქ შეეიდა რუსის ჯარში და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესწრო ხოტინის ომებს (1739 წ.), ფრიდრიხგამარჯვებულს (1742 წ.), პრუსიელებთან ბრძოლას (1757 წ.), კისტრინთან ბრძოლის დროს იგი ტუვეჭუეს და მაგდებურგის ციხეში ჩასვეს (1758 წ.). ბოლოს იგი დაბრუნდა რუსეთში და იქვე მოკვდა. მისი უკანასკნელი ლექსი დაწერილია 1774 წ., ხოლო ამის შემდეგ მოუგონია სარწყავი და წისქვილის დასაბრუნებელი მანქანა (1787 წ.). გურამიშვილის „დავითიანს“ კარგად ახასიათებენ ის ნიმუშები, რომელნიც უკვე ზემორე მოვიხსენიეთ. შოთა რუსთველის შემდეგ საქართველოს კერ ამისთანა პოეტი არ დაბადებოდა. მისი ნაწერები სავსეა სამშობლოს სიყვარულითა. გურამიშვილი მოიხსენიებს რადენიმე მწერალს. იგი ამბობს: «შოთა (რუსთაველი) მღერს... ბეგთაბეგ, ნოდარ, ოთარი, ოინანა ბანს ეშურება; დრვინვენ ყარან ლ მამუკა, მე მსურის მათი ყურება“.

ვახტანგ VI-ის ოჯახი.

ა) **საქართველოში:** ბაქარ მეფემ (1716—1719) თბილისში გამართა ზარათუხანა და მოაჭრევინა სპილენძის ფული, რომლის ზემო პირზე გამოხატულია თვრშავანგი და აწერია ბქრ (ბაქარ), მეორე პირზე არაბულად წერია „იჭედა თბილისს ფული“; ვახტანგმა, როდესაც იგი იყო საქართველოს გამგებლად (1703—1711 წელს.), «განაჩინა წიგნი სამართლისა.—ოთხშაბათსა ლ პარასკევსა დაჯდის სამდიენოსა სახლსა და განაგებდა სამართალსა მცირეთა და დიდებულთა თანა. კვირესა და სამშაბათსსა განაგებდა მეჯლისსა, ნახევდის ლხინსა, გასტემდის უშურველსა საბოძვარსა. როცა სამართლისა და ლხინისაგან მოიცალის, ინადირის და გავიდის მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანსა, ბურთის და ესროდენ ყაბახთა. ადაშენა ქალაქს-სიონისა გუმბათი და სამსრო, და შეამკო. განაპატიოს-ნა ცხოველს-მყოფელი სვეტი (მცხეთისა) და შემოავლო სვეტსა ფარდა მძიმისა ზარბაბისა. თლილისა ქვისა ადა-შენა ურბნისს სამრეკლო და გალავანი. გამოიღო სტამ-ბა ს. განამრავლა სალმრთო წერილი. განიღო რუ ნახი-დურითგან ყისყალამდის. ადაშენა ხუსანი, სოფლები უშენს ადგილებსა და განიღო რუ ნაგებიდამ ბოლოსა ყა-რაისსა და ადეშენა სოფლები. ადაშენა ქართლი. ადაშე-ნა ქალაქსა სახლი პატიოსანი მიჭვრიტანისა და ოქროსა ვარაყითა შეთხზნული". (ამის მწერალი ისტორიკოსი სეხნია ჩხეიძე აქ უმატებს: „მზემან ამისმან, ამ სასახ-ლის უმშვენიერესი სახლი არ ერანსა შიგან მინახავ-სო"). დღესა ერთსა ინება ნადირობა და წაბძანდა თრიან-ლეთსა და შანბიანსა მთასა და დაიბარა ქართველთ დი-დებულნი. ინადირა სარბევადა, შეიქმნა ირემთა მოდენა.. ამოსწყვიტეს სამოცი ოდენი ირემი. მეორეს დღესა შე-მოვადექით შანბიანსა. შემოარტყა ირგვლივ ჯელგა. დადგნენ სასუნდართა შინა. მოვიდა ნადირი უანგარიშო. შეიქმნა სროლა. ამოსწყვიტეს. დაბალთეს. თვით პატ-რონმა ჩვენმა სამი მოკლა. დაჯდა ნადიმსა ზედან. მო-ართვეს მას დღესა ირემი ას-სამოცი და სხვას ნადირს ვილა დასთვლიდა... ჩამობრძანდა თავსა ახალქალაქისასა. ქტიის მდინარეში იყო მორეკი დიდი. ჩაუშვეს კირი. შე-იქმნა ჭერა ორაგულისა. მას დღეს მოართვეს ვახტანგს ორაგული ორას-სამოცი და სულ კი დაიჭირეს ოთხა-სიოდენი".

ამ ვახტანგმა თვისი ასული ანუკა მიათხოვა ვახუშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტი აბაშიძეს და მეორე ქალი თამარი თეიმურაზ II-ს, ერეკლე II-ის მამას. ანუკა ბატონიშვილის «მზითვის წიგნი» და აგრეთვე «მზითვის წიგნი» ანნასი, ლუარსაბ ორბელიანის მეუღლისა (1688—1703 წ.) ფრიად საყურადღებოა იმ მხრით, თუ რაოდენი სიმდიდრე მოიზოვებოდა ამ ჟამს მეფე-დიდებულთა გვარეულობაში.

ანნას, ბაინდურ ერისთავის დას, მზითვად მიჰყოლია: ხატები, ჟამნი, დაუჯდომელი, იელქანი 4000 მარგალიტითა, ქუდი პატიოსანი, თალფაქი 15,000 მარგალიტითა და 3000 კილიტითა; პირის-მარგალიტი 83 მარცვალი; საყური ბადახშანის ლალისა, ოქრის მარგალიტითა, ჯინჯილითა; ყელსაბამი 140 მარგალიტითა, 12 იაგუნდითა, 19 ზურმუხტითა, მაქარა მარგალიტისა; ყელის ჯაჭვი 35 ფირუზითა და თვალებითა, 60 მსხვილის მარგალიტითა; კიდევ ოქროს ყელჯაჭვი 19 ლალითა, 11 ზურმუხტითა; ბეჭედნი ალმასისა, ზურმუხტისა, იაგუნდისა, ლალისა (ოთხი), ყვითელის იაგუნდისა; გულის პირის ჩამოსავლები 3000 მარგალიტითა, 15 იაგუნდითა, 15 ფირუზითა; კაბის ღილი 10 მურასა 200 იაგუნდითა; დანა მურასად მოჭედილი 60 იაგუნდითა და ფირუზითა და მინაქრის ტარითა. კირიელეისონი: 1 ლალის ცილისა 12 ოქროს ბირკითა, 1 გიშრისა 26 ოქროს ბირკითა, და 15 მსხვილის მარგალიტითა, 3 მარგალიტის გოგრითა; 1 ქარვისა და მარჯნისა; თმისატანი მურასა 2000 მარგალიტითა და 60 ოქროს მილებითა; 11 თავსაკრავი.—შემდეგ ჩამოთვლილია საპირისფარეშო (რომელთა შორის დასახელებულია მიჭვრიტანა (სარკე) მურასად მოჭედილი, კიდევ სხვა ვერცხლით მოჭედილი და ოქროთ დაფერილი), სკივრები, საწერელი, სუფრის იარაღი, ქვეშაგები, ტანისამოსი (ტყავები, ქათიბნი, კაბები. საგულეები, ახალუხები, პერანგები, ჩექმა და სხ.), ჭურჭელი, გამდელი, მისი გოგო, მოლარე, მედოშაკე, ფარეში, სუფრაჯი, ფანარი, ცხენი და სხ.

ანუკა ბატონიშვილის მზითევი ამაზედაც ბევრად მეტია

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მდიდარი. ანუკას, საეკკლესიო წიგნთ გარდა, ძველთვალ მიჰყოლია აგრეთვე საერო წიგნები: „ვეფხის-ტყაოსანი“, „ლეილ-მაჯნური“, „უსუფ-ზილიხანიანი“ და „სამიანი“.

ვახტანგ მეფემ აგრეთვე ბევრი იზრუნა „ქართლის-ცხოვრების“ შემოსაკრებად. მანვე შეადგინა „საქართლის წიგნი“, რომელიც შესდგება 1315 მუხლისაგან. მეექვსე მუხლში სწერია: საქართლის აღმოსაჩენად დადგენილია: ა) ფიცი, ბ) განხურვებული რკინა, გ) მდულარე წყალი, დ) ხმალში გამოთხოვა, ე) მოწმები და ვ) ცოდვის ტვირთვა.—ამაკე მეფემ შეაკსო «დასტულამა». ამ წიგნში სწერია: „დასტულამალი საქედოფლო პირველ მეფის გიორგისაგან (1675—1688 წ.) განწესებული და შემდგომად მეფის ვახტანგისაგან განახლებით დამტკიცებული“. ამ წიგნის ზოგი ნაწილი გიორგი მეფეზედაც ადრე ყოფილა შედგენილი. იმავე დასტულამაში ვკითხულობთ: «ძველადგან საქედოფლო და აწ მეფის გიორგისაგან დამტკიცებული». დასტულამაში, სხვათა შორის, მოუკანილია ის წესი, რა წესითაც აიწერების და დავთარში ჩაკარდების ქვეყანა. იქვე ჩამოთვლილია ფულები, რომელიც ამ დროს იხმარებოდა საქართველოში: თუმანი, მარჩილი (60 კაპ.), მინალთუნი, აბაზი, შაური, ბისტი.—ვახტანგმა აგრეთვე გადმოთარგმნა სპარსულიდამ წიგნები „ქმნულებათათვის“, „ამირ-ნასარიანი“ და „ქილილა და დამანა“. ამ „ქილილა და დამანის“ წინასიტყვაობაში იგი ამბობს, რომ ეს წიგნი თამარ-მეფის დროსვე ეთარგმნათ ქართულად, მაგრამ იგი დაკარგული იყოფა. შემდეგში პირველი ნახევარი ამ წიგნისა ეთარგმნა თეიმურაზ I-ის მამას დავითსა, მაგრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი ნათარგმნი არ ვარგოდა და ამიტომ, ქირმანს ბრძ
დაბეტიმრებულ ვიყავ, მაშინ სულახლა გადმოვთარგმნეო.
„ქილილა და დამნა“ იგავ-არაკის წიგნია, ფრიად დიდი.

ბ) **რუსეთში:** რაჭიდამ ვახტანგი ამალითურთ გადავიდა დიგორს და იქიდგან ჩერქეზეთს, სადაც უმასპინძლეს მას მისმა მოყვრებმა. აქედგან აიყარა და მივიდა სოლალს, მერე აშტარხანს (1725 წ.). აქედგან ვახტანგი მივიდა ცარიცინს, სადაც შეიტყო პეტრე დიდის გარდაცვალების ამბავი († 28 ივნ. 1725 წ.). შესწუხდა ფრიად და წავიდა მოსკოვს. ვახტანგს 3000 მანათი უბოძეს და გაისტუმრეს პეტერბურგს. ქალაქის ახლოს მოაგებეს ჯარი. შეიქმნა სოფელა ზარბაზანთა, ასე „რომე ეურთა ხმა ალარ იყო“, მიიყვანეს მისთვის მომზადებულს სადგურს და სამ დღეს უმასპინძლეს. მერე ვახტანგი დაეპატიჟა ეკატერინე დედოფალმა. მეფემ სამმიმარი უთხრა და გამეფება მიულოცა. რამდენიმე ხნის შემდეგ ეკატერინემ მეფეს უბოძა „კავალერია“, «ანდრია მოციქულის ჯვარი» და გააცანა ჯარი გილანის დასაპყრობად. მეფემ ბაქარი და დედოფალი რუსეთიდან იქვე დასტოვა და თვითონ წამოვიდა და აშტარხანს ჩამოდგა. მისი ლაშქრობიდან არა გამოვიდა-რა. უიმედოდ დაშთენილი ვახტანგ მეფე გარდაიცვალა აშტარხანს (1737 წ.). ქართველებმა იგი მწარედ დაიტირეს და იქვე დამარხეს. მის სიკვდილის შემდეგ მასთანვე გადასახლებულ ქართველებს უბრძანეს ან ჯარში შესულიყვნენ ან სამშობლოში დაბრუნებულ იყვნენ. მათ არჩიეს იქვე დარჩენა, რის გამო დაურიგდათ მამულები მცირე-რუსეთსა და სხვა ადგილებში. რუსეთში დასახლებულ ქართველთაგან შესდგა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ქართველთა გუსარის ბოლგი“, რომელმაც რუსეთ-ოსმალეთა ომში (1768—1774 წ.) დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინა. მათნი შთამომავალნი დღესაც ქართულის გვარებით იწოდებიან.

მამის სიკვდილის შემდეგ მისი შვილები დასახლდნენ მოსკოვს. გამართეს ქართული სტამბა ვსესვიატგში (1740 წ.). ჯ იწყეს ბეჭდვა ქართული წიგნებისა. სხვათა შორის მათ დაბეჭდეს დაბადება (1743 წ.). სტამბის საქმეში ბატონიშვილებს შველოდნენ ქრისტეფორე გურამიშვილი, მელქისედეკ კავკასიძე, იოსებ სამებელ ეპისკოპოსი და მრ. სხ.

ვახუშტი, ვახტანგ სჯულმდებელის უკანონო შვილი, დაიბადა 1696 წლის უახლოეს ყამს და გარდაიცვალა მოსკოვს 1772 წ. იგი ფრიად განათლებული კაცი იყო, საფუძვლიანად იცოდა ქართული ენა, ისტორია, გეოგრაფია და სხ. მან შეადგინა: ა) საქართველოს ისტორია (1744 წლამდე), ბ) გეოგრაფია, გ) ქრონიკონები 1201 წლიდამ 1755 წლამდე, დ) საზოგადო ისტორიის ცალიცები ქართულითურთ, ე) გამოანგარიშება 35 ეპისკოპოსა, ვ) გეოგრაფიული ატლასი 22 რუკით.—ისტორიის წერის დროს მას სახელმძღვანელოდ ჰქონია „ბერათაანთ გუჯარი“, „გარიგების წიგნი“ იმერეთისა, „მესხური დავითნი“ და სხ. გეოგრაფიის შესადგენად მასალა გამოუკრებია საქართველოს სახელმწიფო დავთრებიდამა და წიგნებიდამ. ვახუშტის შესახებ ანტონ I ამბობს: «ვახუშტს ვუქებ ღეოღრაფიის ცნობას, ისტორიათ თქმას, ვრცელ-ბრძნად გამოცემას».

ერეკლე მეფის ცხოვრების ბოლო. 1798 წ. იმერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებმა ტასტიდგან რომ ჩამოაგდეს არჩილი, იგი წავიდა მოსკოვს, სადაც მიუბოძეს მას დიდი მამული. სიკვდილამდის (1712 წ.) იგი იქ მოღვაწეობდა ქართულ «დაბადების» შესაკრებ-შესადგენად. მისი ერთად ერთი შვილი ალექსანდრე (მამუკა წინადვე მოჭკვდომოდა) პეტრე დიდმა წაიყვანა ევროპას და, რომ იქიდგან დაბრუნდა, მას უბოძა თელრეიხმეისტერობა. შვედებთან ბრძოლის დროს იგი მტრებმა შეიპყრეს ლ დააპატიმრეს სტოკგოლმს. მერე განთავისუფლებული რომ მოდიოდა მოსკოვს, რიგას მოკვდა შიერიმის სენით (1710 წ.). რუსეთში ქართული წიგნების ბეჭდვა განიზრახა ამ არჩილ მეფემ. სიკვდილის წინად იგი შუამდგომლობდა რუსთა სელმწიფის წინაშე შესახებ იმისა, რომ ნება დაერთოთ დაებეჭდა რამდენიმე საეკლესიო წიგნი ქართულს ენაზე საქართველოში გასავრცელებლად, „ვინაიდგანო, განაგრძობს არჩილი ამავე თხოვნაში, ჩემს სამშობლოში წიგნთა ბეჭდვა ნაკლულევან არსო ასოთა და მუშაკთა სიმცირისაგამოვო“ (იხ. „მიწერ-მოწერა“).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეფენი

ქართლისა	თეიმურაზ II	(1744—1762 წ.)
კახეთისა	თეიმურაზ II	(1733—1744)
	ერეკლე II	(1744—1798)
იმერეთისა	სოლომონ I დიდი	(1752—1781)
	დავით II	(1781—1788)
	სოლომონ II	(1788—1810)

ერეკლეს მამა თეიმურაზ დაიბადა 1700 წ. ეს თეიმურაზი 12 წლისა იყო, რომ ტოლად შეირთო კახტანგ სჯულმდებლის ასული თამარ. ამ თამარისაგან იშვა ერეკლე (1718 წელს). მაშასადამე, კახტანგ სჯულმდებელი იყო პაპა ერეკლე ბატონიშვილისა. ეს ერეკლე ჯერ 12—13 წლისა არც კი იყო, რომ მამა მისმა დანიშნა იგი სარდლად კახეთის ლაშქრისა. ამის შემდეგ ერეკლეს ალარ დაუტოვებია ეს ლაშქარი. ერეკლე მთლად შეეხორცა-შეეთვისა თვის მხედრებს. პატარაობიდგანვე ერეკლე განითქვა ლომ-გულობით. 14 წლისამ შემუსრა ლეკთა დიდი ჯარი. ამ ბრძოლაში ერეკლე ლომივით იბრძოდა, ამბობს პაპუნა ორბელიანი, და, თუმცა მტირეწლოვანი იყოვო, მაგრამ, რა საქმესაც იქმოდა, «ფალავანის შესადარისს იქმოდა». მამულსაც ამ დროს სწორედ ასრეთი ფალავანი ეჭირებოდა. საქართველოსთვის საჭირო იყო „გმირი საგმირთა მქნელი“ და აი უფალმაც მოგვივლინა „ივერიის ნუგეშ-დიდება, თვისის დროისა გამშვენებელი, მამათა შორის საკვირველება, პატარა

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახი, მეფე ერეკლე. წარბ-შეკრულნი, სმალ-ხელ მოწვდენით ვაი მას მტერსა, სად აღჩნდებოდა!“

ხოლო მტერი კი მრავალი იყო. ვითარცა გიორგი ბრწყინვალის დროს, ისრეც ეხლა საქართველოს სძოვდნენ და ანადგურებდნენ სპარს-ოსმალნი, მთიულნი (ლეკნი, ოსნი, ჩერქეზნი, ღლიღვნი და სხ.) და ქართველნიცე მებატონენი. ამ მტრებს ქვეყანა სრულიად გაეღარიბებინათ უზომო და უდიერ ხარკის აკრეფით, უგეთესნი მამულის შვილნიც ანუ გადაშენებულ იყვნენ რუსეთს კახტანგთან ერთად, ანუ ამოწყვეტილ იყვნენ მტერთან ბრძოლაში—თვით სამშობლოსა თუ შუაგულ აზიაში. საკირო იყო გმირი, გმირების შემქნელი, ამ აუარებელ მოსისხლე მტრების შესამუსრავად ს დატეტულ ქვეყნის აღსადგენად. ერეკლეს ძლიერმა მარჯვენამ შეუქმნა ესრეთი გმირები, დალეწა მტერნი, აღადგინა ქვეყანა და კვალად დაადგა საქართველოს გვირგვინი ახოვანებისა და ძლევა-მოსილებისა.



I

მამა და შვილმა (თეიმურაზ—ერეკლე), გაითვალისწინეს-რა საქართველოს უნუგეშო მდგომარეობა, უწინარეს ყოვლისა შეუდგნენ ზრუნვას იმის შესახებ, რომ კახეთის ტახტი მოემტკიცებინათ და მერე ქართლისაც შემოერთებინათ. ხოლო, რადგან მთელი ამერეთი ამ დროს ითვლებოდა სპარსთა გუთვნილებად და უკანი იყო ქართლ-კახეთის სამეფო ტახტების გამრიგებელი, ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ მამა-შვილმა საჭიროდ სცნეს თვისის სამსახურით ყაენის გული მოეგოთ. ამგვარ თვალთა-საზრისს ადგა თეიმურაზი ადრითგანვე, სახელდობრ 1733 წლითგან, როდესაც იგი გამოცხადებულ იქმნა პატრონად და ბატონად კახეთისა.

ვახტანგი რომ რუსეთში გადასახლდა, მას საქართველოში დარჩა ძრიელი მომხრეები, ვითარცა გიგი ამილახორი, მუხრან ბატონი და სხ. ეს მომხრეები ჯერ-ჯერობით მიჩუმებულ იყვნენ, რადგან 1725 წლიდგან 1735 წლამდე მთელს ამერეთში თრიად მძლავრობდნენ ოსმალნი, რომელთა ფაშა მეფობდა თბილისში. ეს ოსმალნი თვით ძმას ვახტანგისას იესეს (მუსტაფა-ფაშას), რომელიც მათ დაადგინეს ქართლის მეფედ (1724 წ.), უპატიოდ ეჭცელდნენ. იესე მოკვდა 1733 წ. მისი შვილი აბდულა-ბეგ სცხოვრობდა სამშვილდეში. ამ ყამს ნადირშა გამწარებულად ებრძოდა ოსმალებს. ყაენის მომხრე იყო თეიმურაზ კახბატონი და მისი შვილი ერეკლე. უსუფ-ფაშა, რომელიც იდგა მალარის (ქიზიყს) ოსმალთა ჯარით, თეიმურაზმა დაამარცხა (1734 წ.). ფაშამ ძლივს მოასწრო გაქცევა თბილისს. 1735 წელს ოსმალთა მომხრე ლეკის ჯარი შემოესია კახეთს. მას ძლიერად შეება ერეკლე, შემუსრა ლეკნი და აიღო მათი ალაფი.

იმავე წელიწადს თვით ყაენმაც ოსმალთ წაართვა შირვანი, განჯა, ერევანი და ყარსი, სადაც მოკლა ხონთქრის ამირ-სპასალარი (სარასკარი) ლ გაულიტა 40000-მდე მტრის ბოლმარი. ქართლში დაშთენილნი ოსმალნი ახალციხეს წავიდნენ (1735 წ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ დროს ერეკლის დაბანაკებულ ყაენმა დაიბარა თეიმურაზი 2000 მეომრით. თეიმურაზი გამოეცხადა ყაენს, იქვე იყო მაშინ თეიმურაზის ძმისწული ალიმირზა (ალექსანდრე). ქართლ-კახეთის გამგედ ყაენმა დანიშნა ეს ალიმირზა და გამოისტუმრა, სოლო თვითონ თეიმურაზი-თურთ ყანდაარს წავიდა. «ყანდაარს რომ მიუახლოვდითო, ამბობს თეიმურაზი, მირვეიზის შვილი თავს-დაგვესხა ლამე 40,000 მეომრითაო. ამ ბრძოლაში დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს ქართველებმა, რისგამო ყაენმა მადლობა გვითხრაო. ყველა ყანდაარელნი აჯანყდნენ და შეიარაღდნენო და მათთან ბრძოლა დიდხანს გაგრძელდაო. აქაც ისევ თავი იჩინეს ქართლ-კახეთის მეომრებმაო. ბოლოს მტრები დავამარცხეთ და ყანდაარს ალყა-შემოვარტყითო. ამ დროს ყაენმა ერეკლეც დაიბარა კახეთიდგანო. ეძვს თვეს გარს ვადექით ყანდაარს და ბოლოს ავიღეთო. ამ ქალაქში პირველად შეეკარდა ტუსიშვილი. ყაენი ჩვენი მადლიერი იყო. ჩემი შვილი ერეკლე წაიყვანა ინდოეთს და მუ გამომისტუმრაო. ნადირშაი მწვავედ შეება ინდოეთის ჯარსო, ამოწყვიტა 20,000-მდე კაცი და დაატყვევა თვით ინდოეთის ხელმწიფე. შახნაბადს რომ დაბრუნდა, აქაური ქალაქი დაანგრია ჯ თვითონ იწოდა ინდოეთის ხელმწიფედ და მერე დაიპყრო სინდეთიცა, ჯ დაბრუნდა ყანდაარს. აქედგან ჩემი შვილი ერეკლე სამშობლოში გამოისტუმრაო. ერეკლეს დაბრუნების ამბავი ჩვენ მოგვიტანა გურგენიძემო, რისგამო მას კუბოძეთ თელავის ტარუღობა, ქიზიყის ქალანთარობა ჯ დიდუბის მოურავობა» (სიგელი 1764 წ.).

თანამედროვე ისტორიკოსი ომან მდივანბეგი ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბობს: „1737 წ. ფებერვალს ერეკლე წავიდა. მის მისვლამდის შანადირს ყანდაარი აღო (16 მარტს 1737 წ.) ერეკლე რომ წარადგინეს ყაენის წინაშე, შაჰნადირი ბრძანების კილოთი დაეკითხა: «არ გათათრდებიო». ერეკლემ მტკიცედ უპასუხა. „ჩემი სიკვდილი შესაძლებელ არს და სულისა არავის ძალუძსო და არც მე გავმაჰმადიანდებიო“. ყაენმა დაუკვეებით უთხრა: „ნუ გეშინიან, მე ალარ გაიძულებო“. მეორე დღეს ყაენმა თეიმურაზი და ქართველები გამოისტუმრა და თვითონ ერეკლეთურთ წავიდა ინდოეთს, რომლის ხელმწიფე ამად-შაჰ 300,000 კაცით შემოება. მაგრამ დამარცხდა. შაჰნადირმა დაიპყრო ინდოეთი, სინდეთი და ყანდაარს დაბრუნდა. ერეკლეს დიდი სიმხნე და კაეკატობა გამოეჩინა ამ ომებში. იგი მაეუკანინა თავის წინაშე და უთხრა: «მეფის ძეკ ერეკლე, შენ შენს ქვეყანას ეჭირვები. ნება მომიცია წახვიდე. მარადის ჩვენი წყალობის მოიმედე იყავო». ერეკლე მაისის 28-ს ყანდაარიდამ გამოვიდა და ალავერდს (კახეთს) მოვიდა იმავე წლის (1739 წ.) დეკემბრის 13-ს, ლამის 4 საათს*). თეიმურაზ მეფის ყანდაარში ყოფნის დროსვე მისი ასული ქეთევან ტოლად შეირთო შაჰნადირის ძმის-წულ ალიყულიხანმა.

რა მოხდა საქართველოში კახ-ბატონების უცხოეთში ყოფნის დროს? ერეკლე რომ გაემგზავრა ყანდაარს,

---

*) ერეკლეს ინდოეთში ლაშქრობის ამბავი უფრო დაწვრილებით მოთხრობილია თვით ერეკლესივე წერილში, რომელიც მას ინდოეთიდგან მოუწერია თავის დის ანნასათვის (Hist. ge. p. II. გვ. 354—363).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაშინ ზემორე ხსესებული ალიმირზა, გამგე ქართველისა, განუდგა ყაენს, შეეზრახა აბელ-მოურავს და განიზრახა კახეთის დაპყრობა და გამეფება. თვისი აზრი განუზიარა თეიმურაზის მეუღლესაც, თამარ დედოფალს. თამარმა შორს დაიჭირა ღალატი. გივი ჩოლაყაშვილის პირით უბრძანა თუშებს არ მიმხრობოდნენ ალიმირზას, რომელიც უკვე ქიზიყს იდგა. თუშებმა მტკიცე პირი მოსცეს. მაშინ თამარი წავიდა ქიზიყს. ქიზიყელებმა დედოფალი რომ იხილეს, გაიფანტ-გამოიფანტნენ. მარტოდ დარჩენილი ალიმირზა წავიდა ყანდაარს შაჰნადირთან და ინდოეთის ლაშქრობაში მოკვდა. ამასობაში ყანდაარიდამ წამოსული თეიმურაზიც კახეთს მოვიდა (1738 წ.).

1739 წელს ყაენმა წარმოგზავნა ადირბეყანის სპალარი და დაავალა მას თეიმურაზიც მიეწვია, შესულიყო ჯარს და გეენადგურებინა იქაურობა. ჯარელნი და დალისტანელნი ამ დროს ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ. მათი მომხრე იყო აგრეთვე ახალციხის ფაშა. თეიმურაზი და სპასალარი შეეიდნენ ჯარს, მოსწვეს, მოახრეს იქაურობა, გაანადგურეს კოშკები, დაიმორჩილეს ლეკნი და დაბრუნდნენ. სპასალარმა ჯარი გამოისტუმრა და თვითონაც წამოსულ ლაშქარს გამოჰყვა მცირე ამალით. მზირად ჩასაფრებულ ჯარელებმა რა ნახეს მისი ამალის სიმცირე, თავს-დაესხნენ და აკაფეს მტერნი. თვით სპალარიც მოკლეს. ეს სპასალარი იყო ღვიძლი ძმა შაჰნადირისა.

1741 წელს შაჰნადირმა არდაკელს დაიბარა თეიმურაზი, მისცა მას ჯარი და წარგზავნა ჯარელთ დასასჯელად. თეიმურაზმა საშინლად აოხრა ქვეყანა, და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ატუვეკვ აუარებელი რიცხვი კაც-დედაკაცთა და წარუდ-
გინა ყაენს. განძეინებულ ყაენმა «დედანნი ჭარელთა დასხ-
ნა რუსეთად სუთა შორის თეისთა». თეიმურაზი თე-
ლავს გამოგზავნა, ხოლო თეითონ ქართველებითურთ წა-
ვიდა დარუბანდს დაღისტნელთა შესამუსრავად. შაჰნა-
ზერთან ამ დროს იყო გივი ამილახორი, რომელსაც
ყაენმა უბრძა ქსნის ხეობა და ქართლის ვექილობა, და
გამოისტუმრა.

ამ დროს ქართლი ფრიად გაჭირებულ მდგომარეო-
ბაში იყო. ყაენს ამ ქვეყანაზე დაედო მძიმე ხარკი და
თავის ლაშქრის სურსათად ერთი თეის განმავლობაში
აქედგან წაელო 300,000 კოდი პური და ქერი. ქართ-
ლიდანვე ყაენს მოეთხოვნა: ერთგზობისას 6000 ხარი,
რომლებსაც განჯიდამ პური აჰკიდეს და წაიღეს დარუ-
ბანდს. ეს ხარები უკანვე აღარ დაუბრუნებიათ. 3,000
შებმული ურემი კიდევ სხვა წავიდა დაღისტანს. ოთველ
ურემს ედვა 200 ლიტრა პური. 2,000 ურემი გაიგზავ-
ნა მესამედ. ქართლში ხარი აღარ მოიპოებოდა. ამას გარ-
და, ყაენმა ქართლის ვექილს გივ ამილახორს კიდევ
მოსთხოვა: „ქვრივნი ქალნი, ქალწულნი და ვაჟნი სამას-
სამასნი, 500 კომლი კაცი, და 20,000 ხარკარი პური
(2,000,000 ლიტრა). გივმა მოთხოვნილის მიცემა ვერ
შესძლო და ეზრახა ქართველთ: „არა ძალ-გვიძს ოთვად
ჯ განუდგეთო“. ქართველებმა პირი მისცეს. გივმა იგი-
ვე შეუთვალა თეიმურაზს. ამან მძლავრი ყაენის წინააღმ-
დეგობა უარ-ყო. გაბოროტებულ გივმა თეიმურაზი შე-
ასმინა თბილისის ხანს. გივს სურდა ეს ხანი განეძევა
ქალაქიდამ და თეითონ დაეპყრო ქართლი. ამიტომაც იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეაგულიანა და დაითანხმა გაელაშქრათ დაღისტანს. მი-
სიკე რჩეკით ხანმა მოუწოდა თეიმურაზს და დაავალა
ლაშქრის წინამძღვრობა. თეიმურაზმა მოსწერა: „ოდეს
მოხვალ კახეთს, მაშინ მოვიდე“. ხანი რომ გავიდა თბი-
ლისიდამ და კახეთს წავიდა, გივი ამილახორი განიკვ-
ლო და მივიდა ქსნის-ხეკს. ხანმა ეს რომ გაიგო, გაა-
ნადგურა საგარეჯო და თბილისს დაბრუნდა. გივი ამი-
ლახორისაგან შესმენილი თეიმურაზიც ხანს მოღალატედ
ეჩვენა. და ამიტომ შაჭნადირს მისწერა: «თეიმურაზი
უკუ-დგა». ვიდრე ხანის ბარათი მიუვიდოდა ყაენს, თეი-
მურაზი უკვე ეახლა მას და თავი იმართლა. ყაენს არ
ეჯერებოდა მისი სიტყვა და თამარ დედოფალი დაიბარა.
ეს ასოვანი დედოფალიც მალე წარსდგა მის წინაშე. ყა-
ენმა დიდი პატივი სცა მას, მიუბრძანა მრავალი ძღვენი და
მეფე-დედოფალნი გამოისტუმრა. სოლო თბილისის ხანს
მოსწერა ამილახვარზე გალაშქრება. ამ დროს ვახტანგ
მეფის შვილი ბაქარი აშტარხანს ჩამოდგარ იყო. გივს
ეგონა, იგი მეფედ დასაჯდომად მოდისო და მოიპატი-
ჟა.

II

გივი ამილახორმა გაამაგრა სურამი და ქსნის-ხეო-
ბა. მოიწვია ლეკის ჯარი, რომელსაც მოთავეობდა იმ
დროს დაღისტანს განთქმული გმირი მალაჩი და მისი
ამხანაგი გალეგა. აგრეთვე შემწეობა ითხოვა ახალციხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვაშისაგანაც. გაძლიერებულ გივმა დაიპყრო ანაგიის ხეობაც. გივს შეელოდა აგრეთვე მისი ბიძაშვილი რევაზ. ამ რევაზს თეიმურაზმა აღუთქვა წყალობა. რევაზი განუდგა გივს და ციხეები ჩაბარა თეიმურაზს. ამის შემდეგ ერეკლე წავიდა ცხინვალს. გივმა სურამიდამ წამოიყვანა ლეკისა და ოსმალთა ჯარი (5000 მეომარი) და შეება ერეკლეს, მაგრამ დაუმარცხდა ლ სურამს შეიკლტო.

გივმა დაღისტნიდამ დაიბარა ახალი ჯარი, გაიმრავლა ლაშქარი და მალაჩი ბელადს აკლებინა საბარათიანო, ახალდაბა, ტირძნისი, შინდისი, ხოლო თვითონაც შეკიდა ქსნის ხეობაში და აიღო ახალ-გორი.

ამ დროს ნადირშაჰ დარუბანდიდამ წამოსულიყო და ოსმალებს ებრძოდა ყარსის მხარეს. მისი სარდალი განაგებდა ადირბეჟანს.

გივი ამილახორის განდგომა რომ სცნეს შირვანშამახიას ელებმა, იგინიც აუჯანყდნენ ყაენს. იქაური ხანი და ვეზირ-ნაზირნი დაიჭირეს, ზოგი დახოცეს, ზოგი დააპატიმრეს, სპარსთა ქონება იავარ-ყვეს და ზავი შეჰკრეს დაღისტნელებთან დასამხობად ნადირშაჰისა. ამასთანავე მათ გამოძებნეს ვიღაც კაცი, და გამოაცხადეს: „ეს შაჰზადა (ძველი ყაენის შვილი) არისო და ჩვენ ამას ვემორჩილებითო“. ადირბეჟანის სარდალმა საქართველოში მეოთე ხანს მოსწერა: მანდ რომ ჩვენი ჯარია, თვიცხლავ წამოიყვანე და განჯას მოდიო. ეს ხანიც წავიდა. სპარსთა წასვლა რომ გაიგეს, მთიულნი უფრო წათამამდნენ. ამილახორთან შემოიკრიბნენ ოსნი, ჩერქეზნი, ლეკნი, ოსმალნი და სს.

ამ ყამს ოსმალთა ჯარის სარასკარს დიდი ხაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა გამოეტანებინა ერთი ფაშისთვის და ებრძანა ბელადმა მალაჩი მიეწვია და მის შემწეობით იგი ხაზინა წაელო შამახიას შაჰზადასთვის,—სპარსთა ყაენის ტახტის „მემკვიდრედ“ გამოცხადებულისთვის. მალაჩი ბელადმა და ფაშამ ხაზინა უკლებლივ მიიტანეს შამახიას და თვითონ დაბრუნდნენ. ჩამოვლეს საბარათიანო და აიკლეს. მათ თავს-დაესხნენ საბარათიანოს მკვიდრნი და მუსრი გაავლეს. მათი ნაშთი ოსმალეთს გარდიხვეწა.

თეიმურაზი შეკიდა ქსნის-ხეობაში და დაიბურო იგი. ამილახორის ტოლი დაატეკვა, და იქვე დადგა.

ამ დროს ოსმალეთში გამოჩნდა კიდევ ერთი კაცი, რომელიც ძველი ყაენის შვილად აღიარებდა თავის თავს. ხონთქარმა მისცა მას ჯარი, ხაზინა და გამოისტუარა. ამ „ყაენის ძემ“ ამილახორს გამოუგზავნა ხალათი, ცხენი და თეთრი მრავალი. „ყაენისძე“ ამილახორს ჭვირდებოდა: »ვინც ჩვენ სამსახურზე ხმალს იქნევდეს, იმათ მიეცით და კიდევ უმეტეს წყალობას მოელოდეო“. ამილახორს ოსმალთა ჯარიც რომ მოუვიდა, განიზრახა თავს-დასხმოდა თეიმურაზს. ეს შეიტყო მეფემ, თვისი შვილი ერეკლე დაიბარა და შემოადგა ახაბეთის ციხეს და აიღო. გიგი ამილახორი მოუხტა მათ. ერეკლეს რაზმმა შემუსრა ოსმალ ლეკი და კოფით უკუ-აქცია (1744 წელს). ამ დღეს ერეკლე ფალავანის შესადარისად ირჯებოდაო, ამბობს მემატიანე. გიგმა დაბრუნებისას დასწვა ცხინვალი და სურამს წავიდა.

ნადირშაჰს თავისი შვილი ნასრულა მიერზა დიდი ლაშქრით გაეგზავნა შემახიას იქაურ «ყაენის ძის» შესაბურობად. „ყაენისძემ“ ეს ამბავი რომ შეიტყო, იქ გე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარ დადგა. ასიოდე კაცით გამოვლო კახეთი და ბოლოვით ქსნის ხეობაში გადავიდა. იმას ეგონა, აქ ისევ ამილახორი არის ლ იგი გამაცილებს ყარსსა, სადაც, როგორც იგი ეველას არწმუნებდა, იყო მისი ძმა „ძველი ყაენის ძე". ერეკლე მაშინ აქ იდგა. შეიტყო რა „ყაენის ძის" მოსვლა, თვისნი „ვეშაპნი" მიუსია და შეიპყრო. „ყაენისძე" შებოჭეს და ანანურის ციხეში ჩააგდეს. ხოლო ეს ამბავი ყაენის შვილს ნურსალ-მირზას და თვით ყაენს აცნობეს. ნურსალმა „ყაენისძე" მოითხოვა. ერეკლემ მიჰგვარა იგი. ყაენმა ერეკლეს უბოძა ხალათი, ხმალი, ძვირფასი უნაგირი და ასი თუმანი თეორი, ხოლო თეიმურაზს მძიმე ხალათი და სამი ათასი თუმანი.

ხონთქრის ბრძანებით უსუფ-ფაშა გადმოვიდა სურამს. აქედან ერთ რაზმს გაატანა ფული დაღისტანიდან ლეკის ჯარის წამოსაყვანად. ერეკლე ამ რაზმს თავს-დაესხა მარტყოფთან და სულ ყველანი დაიჭირა და ყაენს გაუგზავნა ნახჩევანს. ამასობაში უსუფ-ფაშა ჩამოდგა რუის-ურბნისს, ხატ-ჯვარნი დალეწა და რაც გორის არემარეზე ყანა იყო, სულ გაათიბინა და გაათელინა. მერე მალაჩი ბელადს მისცა ხაზინა და დაღისტანს გაისტუმრა. მალაჩი საგურამოს გზით აპირებდა წასვლას. ერეკლემ გზა შეუკრა არაგვზე. მტერი რომ მოუახლოვდა, თავს-დაესხა და გაულიტა. ბელადი მალაჩიც გაჭეშმარიტა ერეკლეს ხმალმა. შეშინებული უსუფ-ფაშა განიცლტო ახალციხეს (1744 წ.).

ყველა ეს ამბები ფრიად იამა ნადირშას. თეიმურაზს უბოძა მეფობა ქართლისა და 2000 თუმანი, ხოლო მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვიდს ერეკლეს მეფობა კახეთისა და 1400 თუმანი (1744 წ.)

—

ეს ამბავი რომ მოუვიდათ, ფრიად განიხარეს, ვინაიდგან დღეს აღუსრულდათ თვისი გულის ერთი წადილთაგანი—გაერთიანება დიდიხნითგან გაუოფილ და გაურილ ქართლ-კახეთისა. და რომ უფრო მტკიცე ეოფილიეო ეს ახალი კავშირი, თეიმურაზმა თელავიდამ თბილისს ჩამოიყვანა თვისი მეუღლე თამარ დედოფალი, რომელსაც, ვითარცა რუსეთში გარდახვეწილ კახტანგ VI-ის ასულს, ეკუთნოდა მემკვიდრეობა ქართლის ტახტისა. ჯერ 1741—1742 წლებშიკე ამ თამარს ქართლელ დიდკაცობისთვის ფიცით აღეთქვა, რომ თქვენი ტახტის მპყრობელი მე ვიქნები და ჩემი მეუღლე თქვენს საქმეებში არ გაერევაო. აი ამიტომაც შორს გამჭვრეტელი მეფე ეშურებოდა, რაც შეიძლება ჩქარა, დედოფალი დაესვა ქართლის ტახტზედ ს მით აელაგმა განდგომილობის მსურველნი.

დედოფლის დასახვედრად მზადებას შეუდგა მანდატურთ-უხუცესი დიმიტრი ორბელიანი, რომელსაც ცოლად ჰყვანდა თეიმურაზის ასული ანნა. სხვა დარბაისელნი და სამღვდელოანი წავიდნენ კახეთს. დიმიტრი ორბელიანმა მოამზადა ეოველიფერი. თბილისის სამეფო სასახლე მოაფარდაგინა, დედოფლის მისაგებებლად დაადგინა მოჭალაქენი და სამღვდელოთა დასნი. ერეკლე მეფემ დიდის დიდებით ჩამოიყვანა დედა თვისი. გაეგებნენ ერთა გუნდნი და დედაოა ბანაგნი, შეასხეს ქება და მადლობდეს ღმერთსა: „ვინ გამოგვიჩინა ხსნად ჩვენდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭირვეულთა და გვიხსნა მტერთაგან ჩვენთა". ძალიერ ძანდა დედოფალი დიდებითა და დაბრძანდა „ტახტსა ზედა დედისა თვისისა რუსუდან დედოფლისა". მიეგებნენ დარბაისელთა ჯალაბნი. დაულოცეს ტახტი და დაიდვეს ნადიმი. შეიქმნა მეჯლიში. და იყო ლხინი, განცხრომა უზომო.

ამ დროს თვით მეფე თეიმურაზ იდგა ქოლაგირს. ბრძენმა მეფემ იმიტომ არ მიიღო მონაწილეობა ამ ლხინში, რომ ჭსურდა უსისხლოდ მომხდარიყო შეერთება ქართლ-კახეთისა; თამარის ტახტზე დასმით მას სწადდა დაერწმუნებინა ქართლის დიდებულნი, რომ ამ ქვეყნის მეფე და გამგებელი იქნება მხოლოდ კახტანგის ასული თამარ. მაგრამ მარტო ამას არ დასჯერდა თეიმურაზი. ქოლაგირიდან დბანისს გადავიდა და იქიდგან ბრძანება გამოსცა: „ქათალიკოსად დაადგინეთ ანტონი იესეს ძე". ეს იესე, როგორც უკვე ითქვა, ძმა იყო კახტანგ VI-ისა და ერთ დროს კიდეც მეფობდა (1714—1716 წლებში, როდესაც იგი აღვიარებდა შაიტის მცნებას და ერჭვა ალიყულიხან, და მეორედ 1725—1733 წ., როდესაც სუნიტის მცნება თავს-იდვა ჯ მუსტაფა-ფაშის სახელწოდებით იმეფა თბილისში). ანტონის არჩევით თეიმურაზმა კვალად მოიგო გული ქართველებისა.—ანტონი წინად იყო ჭუოათელ ეპისკოპოსად და ახლა კი სცხოვრობდა თბილისში, თამარის სასახლეში. ანტონს ჯერ არ სურდა თავს-ედვა მაღალი ხარისხი ქათალიკოზობისა, მაგრამ იგი დაითანხმა დედოფალმა. მაშინ სამღვდელოთა დასმა მოართვა მას ბარტუული, კვერთხი და მდინარი. ერეკლე მეფემ, დარბაი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთა და სამღვდელოთა დასმა გლობით მიაცილეს ბატონი და დასვეს საპატრიარქო ტახტზედ (1744 წ.).

გონიერ მეფეს სისხლ-დაულვრელადვე ჭსურდა დაემორჩილებინა გივი ამილახორიც. მაგრამ გივი არ ნებდებოდა. ამიტომ მეფე მივიდა ქართლს და შემოადგა სურამს (1745 წ.). გივის მეომრები გამოუხტნენ მეფეს, მაგრამ ვერა გაუწყეს-რა და ისევ ციხეში შეცვივდნენ. ქართლის დიდებულნი აქა-იქიდგან გამოეცხადნენ თეიმურაზს. გივი მაინც არ ნებდებოდა მეფეს. მაშინ თეიმურაზი შეეზრახა გივის შვილს დიმიტრის, ალუთქვა წყალობა ლ გამოაპარა ციხიდამ. ამ დიმიტრის დაენიშნა ჯამაგირად 50 თუმანი და აგრეთვე მიებოძა ამილახვრობა. ყოველივე ეს აცნობეს გივს და მორჩილება სთხოვეს, მაგრამ მან არა ქმნა. სურამი ფრიად გამაგრებული ჭქონდა ზარბაზნებითა და ჯაბახანით. სურსათიც მრავალი შეეზიდნა წინათვე.

ამასობაში გივს მოუტანეს ყაენის რაყამი „წყალობისა და დანაშაულის პატიებისა“. გივმა გამოგზავნა მოტიქული ლ დაუბარა: „ბატონი (თეიმურაზ მეფე) მობძანდეს, სიტყვა მაქვს, მოვახსენებ, და გამოვალ იმის ბძანებითაო“. ციხის ახლოს კარავი დადგეს. აქ შეიყარნენ გივი და მეფე. გივმა ძელი-ჯუშარიტი წინ დაიდო და ასრე შემოჭეიცა მეფეს: „შენი ორგული არ ვიყოო“. მეფე დიდ წყალობას დაჭპირდა. ამილახორმა ისევ მოახსენა მეფეს: „ყაენისაგან ისეთი რაყამი მომიტანინეო, რომ ჩემი გული შესჯერდესო და მაშინ ციხეს მოგართმევო“. მოუტანინეს ეს რაყამიც. ყაენი სწერდა გივს: „შენი დანაშაული და სისხლი მეფე თეიმურაზისათვის გვიპატიებიაო“. გივი მაინც არ მოენდო მეფეს. მას იმედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭქონდა ახალციხის თავშისა, რომელიც ჭეირდებოდა ოსდიდ ლაშქრით მოსვლას. გიგმა ჩაგეტა ციხე და თოფ-ზარბაზნის სროლა იწყო. საქმე რომ ასრე დატრიალდა, კახეთიდგან სურამს მოთრინდა ერეკლე მეფე. მამა-შვილმა შეუსიეს ლაშქარი ახალციხის მხარეს. ამათ შემუსრეს ოსმალნი და აიღეს საკირის-ციხე.

თეიმურაზის ბრძანებით სურამის ციხეს მისცეს ნალმი და „ციხის ნასეკარი სულ დაინგრა“. გიგს გაუჭირდა საქმე და მეფეებს შემოუთვალა: «ბატონი დედოფალი (ოამარ) მობძანდესო და იმას მიეენდობიო». ოამარი ამ დროს თბილისში იყო. თეიმურაზმა იგი დაიბარა. სურამს რომ მიეიდა დედოფალი, გიგი ამილახორი გამოეგება მას და მოართვა „ძელი-ჯეშმარიტი და თვისი საქონლის დაკოარი“, ამასთანავე შემოჭვიცა: „თქვენი მოლალატე ალარ ვიყოო“. დედოფალმა უთხრა სრულიად არა დაგიშავდება-რაო. დედოფალმა გიგი ქალაქს წამოიყვანა. თეიმურაზმა სურამი აიღო სასხლდაუნთხვლად (1745 წ.) და ქალაქს დაბრუნდა.

ეს ამბები რომ შეიტყო ყაენმა, მეფეს მოსწერა სპარსთა ჯარიცა ლ გიგი ამილახორიც წინაშე ჩემსა წარმოგზავნეო. თეიმურაზმაც გაგზავნა, ხოლო იშუამდგომლა ყაენის წინაშე გიგს აპატიე ყოველივეო. ყაენმაც აპატია და ხორასანს წარგზავნა, ხოლო მეფეს მოსწერა: გიგს ისევ მალე დაგიბრუნებო. ყაენმა შემოიკრიბა 40,000 მოამარი და შეება ოსმალთა ლაშქარს, რომელსაც შეადგენდა 600,000 კაცი. ეს ჯარი არეზაჩაიზე დალეწა (1745 წ.). იმავე წელიწადს ყაენმა შემუსრა ოსმალთა მეორე ლაშქარიც და მოკლა მათი სარასკარი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისწული ხონთქრისა. თეიმურაზმა ძლევა-მოსილ ყაენს მიულოცა გამარჯვება. ყაენმა მადლობა მოახსენა და შემოუთვალა: „კითარცა თქვენი მეფობის რიგი არისო, ეგრე კურთხევა მიიღეო“.

—

დაგვირგვინება მეფისა (1745 წ. 1 ოკტომბერს). მეფე-ცხებული ქართველებს დიდი ხანი იყო, რაც ალარა ჰყოლოდათ. ამიტომ ფრიად დიდს სიხარულს მიეცნენ. მეფეც შეუდგა მზადებას. კახეთიდგან მოიწვია მეფე ერეკლე დედოფლითურთ და ლაშქრით. მეფის ბრძანებით გააკეთეს ოთხი დროშა და ამ ოთხ დროშას დაუქვემდებარეს ლაშქარი, რომელიც ოთხ სასარდლოდ დაანაწილეს: ქაიხოსრო ორბელიანისა, კოსტანტინე მუხრანბატონისა ქსან-არაგვის ხეობებითურთ, ამილახორის დიმიტრისა და თვით მეფისა.

ერეკლეც მობრძანდა. მას მიეგებნენ სამღვდელონი და მოქალაქენი. შესხეს ქება. ერეკლეს «თავნი ლეკთანი წინ მოუძღოდა ლ ჯარი აქეთ-იქით დასად მოსდეგდა ლ თვითონ მარტივად მობძანდებოდა. წითელსა ტაიჭსა იჯდა, ქარქაშ-ხილთვითა ოქრო-მოჭედილი წელთა ერტყნეს; სუმბულნი (წვერ-ულვაში) ახლად აშლოდეს, კარჯნი (თმა) თხემთა დაშლოდეს, ტან-კვიპაროზი გმირთა ალაგნურად ალზრდოდეს. მიბძანდა სარაიათა, სამეოთვთა მეფისათა, გარდამოხდა ცხენისაგან. მეფე-დედოფალი მოეგებნენ და მოეხვივნენ სურვილითა».

უკელანი გაემგზავრნენ მცხეთას. ანტონი ქათალიკოზს შეკვე „გამოეკვლია წერილთაგან წესი მეფეთა კურთხევისა“. მესამე დღეს მეფე გამობრძანდა საყდარს წინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ანტიოქიასა“, „სეფე იდგეს დიდი და სეფესა ზედ
დით სკვანი დაედგნეს. დაბრძანდა სეკვანს და გვერდითა
ისხენეს დარბაისელნი, რომელნიც, ღირსებისამერ, ზო-
გი დაჯდა, ზოგი დადგა. მოიტანეს სამეფო შესამოსე-
ლი: ბოროვირი, ბისონი, დიადემა, გვირგვინი, ხმალი,
სკიპტრა ს ქვეყნისა სფერო. ყოველივე ეს ამიერ ს იმი-
ერ მოუწყეს. მოვიდა მთავარ-ეპისკოპოსი არსენ შემოსი-
ლი ს მთავარ-დიაკონი ს წინა უგმეკდეს. ჯვარის-მტვირ-
თველსა ჯვარი აღემართა და მგალობელთა დასნი მას
მოუძღოდნენ და ჯვარის საგალობელს ამბობდნენ.

შემდეგ ამისა მთავარ-ეპისკოპოსმა აიღო მეფის
შესამოსელი ს იარაღი ს ეკკლესიაში შეიტანა. მას გა-
ლობით მიჰყვნენ მგალობელნი. დარეკეს მწუხრისა. მე-
ფე აბრძანდა ს გაემართა ეკკლესიისკენ. ამ დროს ჰკრეს
ქოსთა ს სპილენძ-ჯურთა. მეფეს მოეგებნენ ეპისკოპოსნი,
თაყვანი-სცეს და მერე ლოცვა დაიწყეს. განსრულდა
მწუხრის ლოცვა. მერე იწყეს ღამის-თევით გარდახდა.
სვეტი-ცხოველის დღესასწაულის დღე იყო. ამას ზედ
დაერთო მეფის კურთხევაც.

გათენდა. მოთვარდაგეს სეფე და მის წინ აღმარ-
თეს ოთხი დროშა. მეფე დაბრძანდა სეფესა შინა. მო-
ვიდნენ სამღვდელოთა დასნი: კარის დეკანოზს ხატი
თავს ედვა, ჯვარის მტვირთველს ჯვარი ეჭირა. მთავარ-
დიაკონნი აკმევდნენ საკმეველთა. ღვდელნი უკანა უვიდო-
დეს. ყოველთა დიდრონნი ლამპარნი ეტვირთნეს. მგა-
ლობელნი გალობდნენ. მოვიდნენ და მეფეს თაყვანი-
სცეს. წარსდგა პატრიარქის მთავარ-დიაკონი ს მეფეს ქება
შეასხა. მიიწვიეს მეფე ეკკლესიად. წარუძღვნენ დასნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰკრეს ქოს-სპილენძ-ჯურთა. მორთულთა აქლემთა კიდე-ბულნი ქოს-ნალარანი და სპილენძ-ჯურნი მიუძღოდეს უწინარეს ოკეანოთა და ამას დროშა სარდლისა, დროშას მარქათვანი შეკაზმულნი და გამგენი კარისანი. მახლობელ მეფისა წინა-უძღოდა სიძე მისი დიმიტრი ორბელიანი, აგრეთვე ზაალ ორბელიანი მეოთოფეთა უფროსი. მეფის მარჯვენა მკლავი ეპყრა სარდალს ქაიხოსრო ორბელიანს, მარცხენა—კოსტანტინე მუხრანბატონს. უკან მისდევდნენ დიდებულთა შვილნი, რომელთაც მიჰქონდათ მეფის თითო-თითო ალაფნი. სამი დროშა აქეთ-იქით მისდევდა. რა მიეახლნენ ეკკლესიასა, სამი დროშა კა-რებზე აღმართეს, მეფის დროშა ტაძარში შეიტანეს და აღსავლის კარებზე აღმართეს. კარის-ბჯეში მეფეს მიე-გებნენ პატრიარქი, ეპისკოპოსნი და სამღვდელონი ოკეანნი. ოაუკანი-სტეს. ცალ-კერძ მეფეს მოუდგა პატრი-არქი, ცალ-კერძ მთავარ-ეპისკოპოსი, სამღვდელონი წინ-შეუძღვნენ ჯვარითა, გალობით და ანთებულის ლამპრე-ბით. ფეინდაზი ეშალა კარითგად საყდრისა მის შუა-გუ-ლამდის. მეფე მიიყვანეს და აღსავლის კარის ქვემორე დააყენეს. ოკეანნი ეპისკოპოსნი ამიერ ს იმიერ მო-უდგნენ. ეგრეკე სომეხთა და ფრანგთა სამღვდელონი. პატრიარქმა მეფეს ჰკითხა სარწმუნოება და მერე აღთქ-მისა ეპისტოლე წაუკითხა. მერე წამოიყვანეს. ეკკლესი-ის შუაგულს ტახტი იდგა, ოთხ სარისხიანი. ტახტზე ორი სელი იდგა. ერთზე მეფე დაბრძანდა და ერთზე პატრიარქი. ტახტის ერთ მხარეს დადგა მთავარ-ეპისკო-პოსი, მეორე მხარეს ალავერდელი, და მათ გასწვრივ ორისავე მხრით ჩამწკრივდნენ ექვს-ექვსნი ეპისკოსნი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამღვდელონი. მოიტანეს მარტივ ბისონი და ჩააცვეს. დაიწყეს წირვა. დრო რომ მოვიდა, პატრიარქი წმიდათა წმიდათაში შებრძანდა. მეფეც შეეწვიეს ს სცხეს საცხებელი შუბლთა, ბეჭთა და გულთა ჯვარის სახედ. პატრიარქმა სთქვა საღმთო მადლი, მერე მეფეს ბისონსა ზედა ჩააცვეს დიადიმა, წამოასხეს პორფირი, დაადგეს სამეფო გვირგვინი, მარჯვენესა მისცეს სკიპტრა და მარცხენესა ქვეყნის სფერო. მერე პატრიარქმა აზიარა. შემდგომად სკიპტრა გადასცეს რეკაზ ორბელიანს ს სფერო მეითარ ზურაბს. პატრიარქმა და მთავარ-ეპისკოპოსმა მეფე გამოიყვანეს საკურთხეველიდამ და დასვეს ტახტზე. ამირ-სპასალარმა მას შემოარტყა ხმალი. ამის შემდეგ საღვდელოთა დასი მივიდა და მეფეს ხელზე ეამბორა, ასრე-ვე ეამბორნენ დიდებულნი და ერისანნი.

მეფე რომ გამობრძანდა ეკკლესიით, შეიქმნა სრული თოფთა და ზარბაზანთა, ცემა ქოსთა და სპილენძურთა. ერის სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა. აქვე საუკუბლად თბილისიდამ მოსულიყვნენ ყველა სპარსნი. დედოფალმა მიულოცა და გარდაუყარა გოარი (თვალ-მარგალიტი), მიულოცეს უფლის-წულთ, დარბაისელთა ჯალაბთ. წამობძანდა მეფე სეფესა შინა დიდებითა და რიგწესულობით. და დაბძანდა ტახტსა. მილოცვის რიგი რომ გათავდა, მდივნებმა, წესისამებრ, წაიკითხეს დავთარნი. შეიქმნა დიდი მეჯლიში და ლხინი. ქართველნი გულსრულობით სიხარულს არ დაუცადებდნენ, ამით რომე დიდი ხანი გასულიყო, ქრისტიანე მეფე არა სჯდომოდათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კურთხევით გვირგვინოსანი არ ესილათ. დიდნი და მცირენი მადლობდნენ ღმერთსა.

—

თამარ დედოფლის სიკვდილი (1746 წ.). ამ წლის იანვრის პირველს აღესრულა თამარ დედოფლის დაჯ ანუკა, მეუღლე ვახუშტი ბაბაშიძისა. მოიგლოვეს იგი და სიონში დაასაფლავეს. საუკარელ დის დამარცხებამ დააჭმუნვა თამარ დედოფალი და დაასნეულა. მას დაუდგინეს ექიმნი, მაგრამ ამათ ვერ განკურნეს იგი. იმდუღრებოდნენ ქართველნი და ღმერთს სთხოვდნენ სასიქადულო დედის განკურნებას. არ შეისმინა ღმერთმან აჯა ერისა. აღესრულა დედოფალი კეთილ-მორწმუნე. მეფე-ცხებული, მეფე ერეკლე და სხვანი ოჯველნი იფხვრიდენ თმასა და იტუებდენ თხემთა. წაასვენეს მცხეთას. გაჰყვნენ მეფენი, ლაშქარნი, ქართლ-კახეთის უველა ეპისკოპოსნი და სხ. და დაკრძალეს აღსავლის კარის ჩამოსწორ. დაბძანდა მეფე საბნელოსა შინა. იუვის თუთხმეტამდის ტირილი და ვაება გაუწუვეტლად. მერე მეფე წამობრძანდა ქალაქს. მოიფლოსვნენ ოჯველნი შავთა ძაძათა-მიერ. იყო ოჯველგან წუხილი უზომო.

უდედოფლოდ დაშთენილნი ქართველნი ითხოვდნენ დედოფალს. დაქვრივებულ მეფეს ჯერ ორმოცი არ გადასულადნა, რომ ურჩიეს შეერთო ქვრივი ქაიხოსრო ციციშვილისა ბეჟან თაქალთიანის ასული ანახანუმ, რომელიც დედი-და-შვილობით მონათესაობდა იესე მეფეს და მის ძეს საქართველოს ქათალიკოზ ანტონს ამ უკარად გონიერმა მეფემ, ქართველთა დასამშვიდებ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად, ტახტზე დასვა ისევ ვახტანგ მეფის ძმის ბიძაშვილ მონათესავე დედოფალი (1746 წ. აგვისტოს).

—

დაგვირგვინებული მეფე მცხეთიდამ ქალაქს რომ მოვიდა, ამბობს მემატიანე, დაჯდა ტახტსა და იბეურა სასწორი სიმართლისა. ამ სიმართლის მბურობელმა მოიწადინა მოლაპარაკება ლეკებთან მათ შემოსარიგებლად. მაგრამ ლეკები არ დაჰყვნენ მის ნებას. არც ოსებმა ინდომეს მშვიდობა. ამიტომაც მეფის ბრძანებით ქართლ-კახეთის ჯარებმა მუსრი გაავლეს ლეკების ერთ დიდ რაზმს, მეორედ კიდევ 15000 ლეკის ლაშქარს. ლეკების საბუნაგო ადგილები (ყარსს აქეთ) აღოხრა საბარათიანოს ლაშქარმა და აუარებელი ტყვე და ალაფი წამოასხა. ერეკლე მეფემ თუშთა მოურავი წაიყვანა და შეკიდა ოსეთში. ოსნი გამაგრდნენ კოშკებში. ერეკლემ დალეწა 40 კოშკ-სიმაგრე, დასწვა თრუსო, დაატყვევა ისინი, რომელთაც ამას წინად მოეკლათ ბეყან ერისთავი, და დაბრუნდა ანანურს. აქედგან ზოგი ტყვე გაუგზავნა თვის მამას ჯ ზოგი იქვე დაიტოვა. თეიმურაზმა ტყვეებს თვალები დასთხარა. აგრეთვე ერეკლემაც. მერე ცოლშვილიანად აჰყარა თვალ-დათხრილნი და კახეთს გაისტუმრა. ქსნის ხეობის ოსებს რომ ესმათ ეს ამბავი, თავზარი დაეცათ, დღემდის ქედმაღლობით აზვავებულნი აწ დამცირებულის სახით წარსდგნენ მეფის წინაშე და ითხოვეს დანაშაულის შენდობა და მოსცეს სრული ბეგარი (1746 წ.).

ასრე რომ წარემართა ამერეთის სვე-ბედი, იმერთა მეფეს ალექსანდრეს განუდგა მისი უმცროსი ძმა მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუკა, გადმოაგდო ტასტიდამ და თვითონ გამეფდა. ალექსანდრე შემოეხვეწა თეიმურაზს და შემწეობა ითხოვა. მეფემაც მიაშველა იასე მაჩაბელი ქართლის ჯარით და ეაზახიხ სულთანი. ესენი რომ იმერეთს გადავიდნენ, მამუკამ მოიწვია ოსმალთა ლაშქარი და გზები შეუკრა იასეს ლაშქარს. იასემ ეს ეცნობა თეიმურაზს. ამან მიაშველა კახუშტი აბაშიძე ჯარით. ალექსანდრემ დაამხო მამუკა და გამეფდა (1746 წ.).

ქართლ-კახეთის მეფენი შეუდგნენ ქვეყნის შენებასა და აღდგენას. იყო შვება და ლხინი ყოველგან. დიდი-ხნიდგან დაჩაგრული და მრავალგვარად დაჭრილ-დამცირებული ერი აღფრთოვანდა, წელში გაიმართა და ლი-ღინით გაუდგა თავის გუთანს.

III

1746 წელს ნადირშა შეურიგდა ხონთქარს. მოუსვენარი ყენი ისევანს დასახლდა. ამ დროს სპარსეთი, მრავალ ომების გამო, სრულიად გაღარიბებულ იყო. ამას გარდა დაღუპულიყო უთვალავი სპარსი დაღისტნისა, ოსმალეთისა თუ ყანდაარ-ინდოეთის ლაშქრიანობაში. ნადირშამ ქვეყნის გაჭირებისაგან დასახსნელად თვის სამფლობელოებს შეაწერა უზომო არბები (ხარკი). ამისთანავე არბები შემოაწერა ქართლ-კახეთსაც (1747 წ.). ყენის ბრძანებით ქართლ-კახეთს დაედო 200,000 თუმანი არბები. „ეს თეთრი მზათ დაიჭირე 300,000 ეიზილბაშისთვისაო“, სწერდა ყენი თეიმურაზ მეფეს.

ესრეთი ბრძანება რომ მოუვიდათ მეფეებს, ჯავრისაგან ალარ იცოდნენ რა ექმნათ. ითათბირეს და გადასწყვიტეს არ მიეცათ არბები და გაემაგრებინათ ქვეყა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა. მეფე თეიმურაზი წავიდა ანანურს. ხალხიც ლაღიზნა აქა-იქ. ყველანი მოელოდნენ ღვთის-რისხვას. ყაენმა ეს ამბავი რომ გაიგო, განძვინდა და დიდი ჯარი წარმოგზავნა. მაგრამ ამ ჯარს ვერ მოუხდა საქართველოში შემოსვლა. ყაენს შინაობაშიაც საქმე გამოუჩნდა. მთელი ადირბეჟანის ქვეყანაც აეშალა. ერევნის ხანიც განუდგა. ერევნის სახანოს დიდკაცობამ და თვით ხანმაც თეიმურაზსა ს ერეკლეს მოსწერეს: „რასან თქვენ გაგიბედნიათ უკუდგომა, ჩვენც თქვენ უმასავით გვიმსახურეთო. საცა გეშრიანებოდესთ, ჩვენს ჯარს იქ გაახლებთო“.

ყაენმა კარგად იცოდა, თუ რა ვაჟკაცნი არიან ქართველნი, თუ რა ძალა აქვს შეერთებულ ქართლ-კახეთს და ვითარ „განთვენილ არს სახელი თეიმურაზისა ერანსა შინა“,—ამიტომ ჯავრი გულშივე ჩაიკლა, დასცხრა, გამოსტუმრებული ლაშქარი უკანვე დაუბრუნა ს თეიმურაზს სიტყვებით მოსწერა: „მიპატიებია შენთვის 15,000 და ერეკლესთვის 10,000 თუმანი. დანარჩენი არბაბი, როგორც გენებოს, ისე გაარიგე. თბილისს დაბრუნდი და ხალხს ჩემი ბძანება გააგებინეო. ერეკლე მეფეც გამოიგზავნე და, რასაც მაგის პირით შემოითვლი, ყოველივე აღსრულებული იქმნებაო“. ქართველების თათბირმა გადასწყვიტა დამორჩილებოდნენ ყაენის ბრძანებას, ხოლო ერეკლეს-წილ სპარსეთს წასულიყო თვით თეიმურაზ მეფე. თეიმურაზმაც დასტური დასცა და წავიდა.

ვიდრე თეიმურმზი ყაზმინს ჩავიდოდა, სპარსეთში მოხდა დიდი არეულობა. ნადირშაი მოჰკლა მისმავე ძმისწულმა ალიყულიხანმა და თვითონ გაუყენდა ადილშაის სახელწოდებით. ეს ალიყულიხან-ადილშაი იყო სიძე თეი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მურაზისა. ნადირშაის მოკვლის ამბავი რომ გაიგეს თავრიზელებმა, იგინიც აჯანყდნენ. ამ ამბოხში თავრიზელებმა ვილაც საამშა, რომელსაც ძველის ყაენის შვილად ჩაუდიდნენ, ყაენად დაისვეს. თეიმურაზი ყაზმინიდგან თავის სიძეს ადილშას ეწვია (1747 წ.).

თეიმურაზის ამბავი დიდხანს არ მოვიდა. რადგან სპარსეთში ლელვა და შფოთი იყო, ვერც თეიმურაზის კაცებმა გამოახწიეს საქართველოდის და ვერც ერეკლეს ჩაფრებმა მიაწიეს თეიმურაზამდის. ბევრ ქართველს კიდეც ეგონა, რომ თეიმურაზი დაიღუპაო.

აი ამ დროს აბდულა-ბეგმა, კახტანგ VI-ის ძმის იესეს ძემ, მიიბარა საბარათაშვილოს მკვიდრნი ლ ერეკლეს შემოუთვალა: „თუ თეიმურაზი ალარ დაბრუნდა, ქართლი ჩემი არის ლ ალარავის დავანებებო“. აბდულა ბეგმა გაამაგრა სამშვილდე. ორი წლის თადარიკი ნახა და შიგ ჩადგა ხალხითურთ. ამასთანავე თავრიზის ყაენს მისწერა: „შენი ერთგული ყმა ვარო“. საამშამაც ქართლის ბატონობის რაყამი გამოუგზავნა. ამის შემდეგ აბდულაბეგმა, რომელიც უკვე მეფედ იწოდებოდა, ქართლის ყველა თავადებს ცალკ-ცალკე მისწერა: „მოდით, ჩვენს სამსახურს დადექითო“, ხოლო ერეკლესაც აცნობა: „ქართლი ჩემია. დამანებეო. და შენ კახეთს მიეპატრონეო“.

განრისხებული ერეკლე თბილისს ჩამოვიდა. შეჭყარა კაი ჯარი და შემოიფიცა. ყველამ ერთგულობის ფიცი მისცა. ერეკლემ საამშას მისწერა: „ჩვენგან შენი ყმობა არ იქმნებისო“. ეს რომ გაიგო აბდულა-ბეგმა, ყაზახ-ბორჩა ოც მიიმხრო და საბრძოლველად შეემზადა. ერეკლეს ჭაბუკნი მიუსტნენ ყაზახ-ბორჩალოს. ის იყო

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა გაენადგურებინათ იქაურობა, რომ ქეთხუდები მოვიდნენ ერეკლეს წინაშე, მოართვეს ძღვენი და ითხოვეს დანაშაულის პატიება. და აპატია მეფემაც.

ამასობაში ყაზახს მოვიდა ალიხანი დიდის ჯარით. მას უნდოდა ქართლის დაპყრობა. ყაზახის სულთნის ლაშქარიც წამოიყვანა და ქალაქს მოადგა. ერეკლეს ლაშქარმა შემუსრა ძალა ალიხანისა და გაანაბნია. ალიხანი განჯას ჩავიდა, შემოიკრიბა ჯარი და გაემართა საომშას დასამხობად. აქ იგი შეიპყრეს ლ თვალები დასთხარეს.

აბდულაბეგმა მოიწვია დაღისტნიდამ დიდი ჯარი და იწყო ომრება სომხითისა და ქართლისა. ერეკლეს აქამდის ძმათა სისხლის დაქცევა არ უნდოდა. ასლა კი გარისხდა და ალყა შემოარტყა საომშვილდეს. აბდულაბეგს შეუგზავნა კაცები და შეუთვალა: «მინამ თეიმურაზი დაბრუნდებოდეს, ჩვენ ომნიკ მუდრომთ ვიყვნეთო». აბდულაბეგიც დათანხმდა. ერეკლე თბილისს დაბრუნდა. მაგრამ აბდულა ბეგმა პირობა მალე დაარღვია. ადირბეყანის სპასალარს გამოსთხოვა 8000 მეომარი, თავისიც წამოიყვანა, მოვიდა ლ თბილისს შემოადგა. გაიმართა ბრძოლა. ამ დროს დაღესტნის ბელადმა ოჯალ დაჭერა ავჭალას, დაარბია იქაურობა და დიდის ალაფით დაღისტნისკენ წავიდა. ერეკლემ თვისი ლაშქარი თბილისს შემოარტყა და თვითონ 200 კაცით მიჭეერინდა კახეთს და დედოფლის წყაროზედ გზა შეუკრა ოჯალს. მტერმა რომ მოაწია, ერეკლე თავს დაესხა, შემუსრა და ნარბევი დაუარეკინა. გაქცეულ ლეკებს წინ შემოხვდა დიდძალი ლაშქარი ჯარელებისა. შეიტყეს-რა ერეკლეს რაზმის სიმცირე, მიუხტნენ მას. ერეკლემ იგინიც დაამარცხა და გაუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტა მრავალნი. დანარჩენნი გაიქცნენ. აქედგან ერეკლე მოვიდა თბილისს. გორიდამ მოატანინა დიდი ზარბაზანი. დაუშინა მტრებს, დაამარცხა იგინი, გააქცია და თვითონაც კვეით უკან მისდია ჯ აიღო სამშვილდის ციხეც (1748 წ.). აი ამ თავხედ აბდულაბეგზედ თქმულა: „ვამშულაი შეიკაზმა თოფითა და ჯინჯილითა: უნდა ქალაქსა მივადგე, ამოვსოტო შიმშილითა. ეს რომ ერეკლემ გაიგო, გადაბრუნდა სიტილითა. ერეკლემ ხმალსა გაიკრა, სათრები მოამზადა. შიგ ჩასხა მარჯვე ბიჭები, ესროლა ჩქარა-ჩქარა. ზარბაზნები დაადგნა, თხებიკით დაილალა. შარშან შემძვრალნი ჩირგვებში დღესაც არ გამომძვრალანო“.

—

ზრუნვა ზნეობის განკარგებისა ჯ განათლების გასავრცელებლად (1748წ.). კარგასანს გამოეკლოვო, ამბობს მემატიანე, რომ ქართლს ქრისტიანე მეფე აღარ ჯდომოდა. ურწმუნონი ქვეყანას განაგებდნენ მრავალ ყამს და ამისგამო ბევრგვარად შეცვლილიყო ქრისტიანული წესები ნათესაობის აღრეკითა, მრუშებითა და სხ. თვით სამღვდელოთაც აგრეთვე შეშლოდათ ქცევა და რიგი საეკლესიო. ამიტომ ერეკლე მეფემ შემოკრიბა ქართლკახეთის ყველა ეპისკოპოსნი საპატრიარქო სასახლეში და ქათალიკოზიოურთ დაბძანდა განსახილველად ესე ვითართა საქმეთა. დაიდვეს წინ ტხოველს-მოოფელი ჯვარი, სახარება ჯ სჯულის კანონი. ამ მსოფლიო კრებაზედ «განარჩევეს ჯ აღმოფხვრეს ყოველივე უწესოდ ქცევანი და დაუდვეს სჯული მტკიცე და შეურყეველი; გამოიღეს აგრეთვე სტამბა,—რომელი ვახტანგ VI-ის აქეთ ქართლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალარ იყო,—და ალავსეს წიგნითა ქართული. ამ სამეფოსათვის ფრიად იგულეს-მოდგინა ქათალიკოსმა ანტონ. მას შეეწყობდნენ ერეკლე ჯ ეპისკოპოსნი: ქართლისა: თბილელი, დმანელი, ბოლნელი, წილკნელი, სამთავნელი, მროველი, ურბნელი, ნიქოზელი; კახეთისა: ალავერდელი, ბოდბელი, სამებელი, ნეკრესელი, ჭერემელი, რუსთველი, ნინოწმინდელი.

ციხე-სიმაგრეების აგება (1749.წ.). ამ წელს სპარსეთიდგან დაბრუნდა თეიმურაზ მეფე. მას დიდის სიხარულით მიეგებნენ ერეკლე, დედოფალნი, მოქალაქენი და სხ. ქალაქი „ალამპარნეს, იყო სიხარული დიდი. სრულა თოფთა ჯ ზარბაზანთა“. ამის შემდეგ თეიმურაზ-ერეკლემ თბილისის მეტეხის ციხიდამ გამოიყვანეს ყველა სპარსნი მეციხოვნენი და კახეთში დასასახლეს. ციხეში თავის კაცები ჩააყენეს. აგრეთვე სცა ლეკის მოსავალი გზები იყო, ყველგან ციხე-სიმაგრეები აგეს, სხვათა შორის ბოკოწნისა (არაგვზედ), ჭოეთისა (ალაზანზედ, საინგილოს გამოსწვრივ), ბოჯორმისა (ფშავში). ბირთვისისა და სამშვილდის ციხეები (საბარათიანოში) გაამაგრეს. ყველა ამ ციხეებში ჩააყენეს თვისი ლაშქარი.

IV

იმავე წელიწადს, რა წელიწადსაც თეიმურაზი დაბრუნდა (1749 წ. აპრილის 20-ს), სპარსეთი დიდს განსაცდელში ჩავარდა. თეიმურაზის სიძემ ადილშა ისელმწიფა ცხრა თვე. იგი მოჰკლა მისმა ძმამ იბრეიმმა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაენად შეიქმნა. ეს ყაენი მოჰკლა ნადირშას შვილმა-შვილ როხმა და გამეფდა (1749 წ.). ამასობაში მთელი სპარსეთი აირია. ყიზილბაშთ დაიწყეს ერთმანერთის რბევა, ყლეტა, მუსრვა. განდგნენ აგრეთვე სხვა და სხვა ხანნი, გამძლავრდნენ სხვა და სხვა მებატონენიც და მოინდომეს ყაენად თუ არა, ხანად მაინც გამხდარიყვნენ. ამ არეულობის დროს ისპაანს მყოფნი ქართველნი ყველანი შემოიკრიბა გიორგი ამილახორმა, რომელსაც აწ ერეკლა შაჰყულიხან, გამოუძღვა და ქართლისკენ გამოემართა. „დახვდნენ წინ ყიზილბაშნი მრავალჯერ, მაგრამ ისე ლომგულად მოიქცნენ, რომ, „სანცა მტერი აუჩნდესთ, რისხვა ღვთისა დასცეან და ეგრე ხმლის ძალით მოვიდნენ სამშობლოში“.

ამ ცდა-ბედის-მონახვევრობის დროს სპარსეთში გამოჩდა ვინმე მაჰმადხან, რომელიც ფრიად გაძლიერდა ადიბეჟანის მხარეს. მან გაიჩინა დიდი ჯარი და იწყო ოხრება იმ ქვეყნებისა, რომელნიც მის ბატონობას უარჰყოფდენ. იგივე მაჰმად ხანი მიუხტა ერევნის ხანს, დაიბურო ამ ქალაქის არე-მარე, დაატყვევა ხანის ძმა ცოლშვილით და თვით ერევნის ციხესაც ალყა შემოარტყა. გაჭირებულმა ხანმა და ერევნელებმა თეიმურაზ-ერეკლეს მოსწერეს: „ერანში მეპატრონე აღარ არის. ეს მაჰმად ხანი ამ ქვეყანას აოხრებს. თქვენ მოგვეშველენით. ამას მოგვარჩინეთ. და თქვენ გვიმსახურეთო“.

ლაშქრობა ერევანს. ხარგვიარაბის ციხის აღება (1749 წ.). თეიმურაზ-ერეკლე 12,000 კაცით მიადგნენ ერევანს. ქართველებმა შეუტიეს მაჰმადხანს და ერთი მისი რაზმი დაამარცხეს. მაჰმადხანი მოეცალა ერევანს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და განჯისაკენ გაემართა. ბარდის სხლოს იყო მიხეილ-გვირაბის ციხე, რომელიც ძრიელ გაემაგრებინა. თუ ველზედ ვერ გაიმარჯვებდა, სარგვირაბს აპირებდა შემობრძოლებას. ქართველნი კვალ და კვალ მიჰყვნენ მტერს. მალე მაჰმადხანი შეჩერდა ერთ მინდორზე და ლაშქარი გააწყო საბრძოლველად. ბრძოლის წინ ერეკლეს ჩვეულებად ჰქონდა დაეთვალიერებინა მტრის ბანაკის ადგილმდებარეობა და ძალა მისი. და ამიტომაც 500 კაცით მიუახლოვდა მტერს, გაიგო ყოველივე, დაბრუნდა და თათბირი მოახდინა. ლაშქარი ოთხ სადრაშოდ გაჰყვეს: **მეწინავედ** (რევაზ ორბელიანი საბარათაშვილოს ჯარით და მოურავი თამაზ ქიზიყის ჯარით), **მემარჯვენედ** (ამირინდო ამილახორი ქართლისა და კახეთის ჯარით), **მემარცხენედ** (კოსტანტინე მუხრან-ბატონი ქსან-არაგვის ჯარით), **უკანა-წყობად** (თეიმურაზ მეფე დანარჩენი ჯარით). ხოლო მთელი ლაშქრის უფროსობა და სარდლობა მიენდო ერეკლე მეფეს.

ასრე რაზმ-წყობით რომ მიუახლოვდნენ მტერს, ლაშქრის წინამძღოლი და მისი სარდალი ერეკლე მეფე მოუბრუნდა ქართველებს და ქუსილის ხმით შემოსძახა: «ჩემო ძმებო, ეველანი სიკვდილის შვილები ვართ. გარნა სიკვდილი მამულისა და მეფისათვის ეველაზე უდიდესია და სახელოვანი. იბრძოლეთ, ძმებო! უშიშრად ბრძოლა მტერთან არის წამი გულოვანებისა». დაასრულა რა თვისი მამაცური სიტყვა სარდალმა, მეწინავე სადრაშო გულსრულად მიუხტა მტერს და „ვითაც ქორი გუნდსა მტრედისასა, ისე შეტვივდა მაჰმადხანის ჯარში, რომელმაც იმავ წამს ზურგი იბრუნა და გაიქცა. გაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეულებს შეუტიეს მემარჯვენე და მემარცხენე სადრაშო-ებმაც. ქართველებმა იწყეს ხმალ-და-ხმალ კაფა მტრისა. მაჭმადხანი ხარგვირაბს ველარ შეეიდა ლ თავ-ალებული განიგლტო. ქართველები დასასვენებლად ერთ გორაზე ჩამოხდნენ. ცოტა რომ შეისვენა ერეკლემ, ახლა წავიდა თავის ჭაბუკებით ლ აიღო ხარგვირაბის ციხე, დაატუვეკა მაჭმადხანის ცოლ-შვილი, ერევნის ხანის ბურობილი ძმა გაათავისუფლა, იავარ-ყო იქაური საქონელი და დაბრუნდა. ამასობაში თვით თეიმურაზსაც დაეშურა სხვა ციხე, საცა იდგნენ მაჭმად ხანის ყველა სანდო კაცნი. მამა და შვილი ერთმანეთს რომ შეეყარნენ, დიდძალი ნაალაფევი თავის ლაშქარს გა-უფვეს და მერე აიყარნენ და ერევანს მივიდნენ. ერევნე-ლებმა მოართვეს მეფეებს 5,000 თუმანი. ეს ფულიც თეი-მურაზმა თავის ჯარს გაუხაწილა. შემდეგ ამისა აიყარ-ნენ და ქართლს გამოემართნენ ძლევა-მოსილნი.

„ერთი ამისთანა ხმალი და გამარჯვება ქართველ-თაგან ერანის ქვეყანაში ჯერ არ მომხდარ იყოვო“, ამ-ბობს გახარებული მემატიანე.

ოცი ყარათაფას (1750 წ.). კიდრე ქართველნი ერევნიდგან დაბრუნდებოდნენ, მაჭმადხანის თხოვნით, ფა-ნახანს შეეკრიბა ჯარი, შამახიიდან წამოსულიყო და ალა-ქოლას დამდგარ იყო. თეიმურაზ-ერეკლემ ყაზახს რომ მოაწიეს, ფანახანს შემობრძოლება უნდოდა. მაგრამ ამ დროს მეფეებს ქართლ-კახეთიდამ მოუვიდათ ახალი ჯა-რი და ისეთი, „რომ მტერს თვალი დაუბნელდა“. ეს ფანახანი უკანვე დაბრუნდა და იწყო ბურობა ქვეყნებისა. მალე დაიჭირა ყარაბალი, შამახია და განჯის სახანო. ამ დროს განჯაში ხანად იყო შაგერდი. ფანას სურდა განჯის ციხეც აეღო და გამხდარ იყო ხანად განჯისა და სპასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლარად ადირბეჟანისა. გაჭირებულმა შაკერდიმ თეიმურაზ-ერეკლეს, თავის ძმის რიზაყულის ხირით, სთხოვა: „დამიხსენით ამ კაცისაგანო. მე და ჩემი ქვეყანა თქვენი მონა ვიქმნებითო. თქვენს ჯარსაც ჯამაგირს მივსცემთო“. ამავე დროს მეფეებთან მოვიდნენ ერთი ეპისკოპოსი და ორი მელიქი. ესენი იყვნენ სიღნახიდგან (ყარაბაღშია), სადაც უკვე ჩამდგარ იყო თანახანი ლ ანიოკებდა იქაურ სომხებს. ესენი შემოეკედრნენ მეფეებს და შემწეობა ითხოვეს.

მეფეებმა შემოიკრიბეს 40,000 მეომარი და სწრაფად გაემართნენ განჯისაკენ. თანახანს ჰყავდა 6,000 საკუთარი მეომარი და ამას გარდა შეეკრიბა აგრეთვე ჯარები ჯავანშერისა, სიღნახისა, შამშადილოსი, ბარგუაშეთისა და შაჰსეიფნისა. ქართველები რომ განჯასთან დადგნენ, თანახანს მოერთვნენ აგრეთვე ჭარელების ლაშქარი. ამ ლაშქრით თანახანს შეეკრა გზები და თვითონაც ერთ მარჯვე ადგილას, გორაკებში, დამდგარიყო. ერეკლე მიუსტა ჭარელებს ლ შამშადილოელებს, მიეთანტმოეთანტა ლ ქართველ ლაშქარს გზა გაუხსნა. მერე ორასი კაცი წაიყვანა თანახანის ბანაკის დასათვალიერებლად. კარგა რომ დაათვალიერა, მოუბრუნდა თავის რაზმს და უთხრა: »ქართველნო, ჩემნო უშიშარნო ძმანო! ვინ არის ერთგული ჩემი და აქვს გული მამაცობისა, ყამი ეს არის“. სთქვა ესა და უშიშრად შეკარდა თანას ჯარში. მას მიჰყვნენ დანარჩენნიც. იწყეს კაფვა მტრისა. ეს ერთი მუჭა ქართველნი ლომებივით იბრძოდნენ. მტრებს თვისის სიმრავლის იმედი ჰქონდათ და ალყა შემოარტყეს ქართველებს. ამ დროს თეიმურაზის ლაშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარიც გამოჩნდა. იწყეს ზარბაზანთა სროლა, ბუკ-დაბთა ცემა. თანასანის ჯარი შეშინდა, შეძრწუნდა და გაიქცა. ქართველებმა კოფვით სდიეს ღამის რვა სათამდის. მთელი ჯაბახანა და მტრის თოფ-ზარბაზანი, და მრავალი ტყვე ქართველებს დარჩათ. მეორე დღეს ერეკლემ ისევ სდია თანასანს არეზამდის. თავხედი თანა არეზს იქით გადიკარგა.

ერეკლეს ასრეთმა ძლევა-მოსილებამ თავზარი დასცა ადირბეჟანელებს. ყველა ხანები მოწიწებით გამოეგებნენ მეფეებს, მორჩილება გამოუცხადეს და ფეშქაშები მოართვეს. განჯის ხანმა შაკერდიმ მადლობა გადუხდა მეფეებს, მოართვა 10,000 თუმანი; ამდენივე ოოველწლიურ ხარკად დაედვა განჯის სახანოს. საქონელი იმდენი მოქუხდა, რომ ქართველები ცხვარს ორშაურად ყიდდნენ, ძროხას ხუთ აბაზად, ტყვეს ორ მინალთუნად. მარტო ცხვრის რიცხვი 200,000-მდე იყო.

ლეკთა ჯარის ამოწყვეტა (1750 წ.). გამარჯვებული მეფეები განჯიდგან რომ დაბრუნდნენ, თბილისს მოვიდნენ ჭარელთ ქეთხუდები, თან მოიყვანეს კაკის (საინგილოს) სულთანი მამადხანი. ამათ პირით ჭარელნი „შემოხვწოდნენ შემორიგებას და მორჩილებასაც აღუთქმიდენ“. მეფეები დასთანხმდნენ. ქეთხუდები უკანვე რომ დაბრუნდნენ, ჭარელებმა თვისი პირი გასტეხეს, მოიწვიეს დაღისტნელნი, შეკრიბეს დიდი ლაშქარი და შემოესივნენ ქიზიყს. მეფეები წავიდნენ კახეთს. ერეკლეს მიახლოებისავე უმალ ლეკნი ჭარს გადიხვეწნენ. ლეკებმა ხმა დაჭყარეს: „ჩვენ ალარ შეებრძვით ქართველებსო. დაღისტნელნი უკანვე წავიდნენო“. ეს ხმა თურმე მეფეების თვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასახვევად დაეყარათ. ქართველთა ლაშქარი უკანვე დაბრუნდა და იქ დარჩა მხოლოდ ერეკლე, ლეკთა აუარებელი ლაშქარი იორზედ ჩამოვიდა. ერეკლემ აცნობა თავის მამას. ესეც მალე მოეშველა. ქართველებმა შირაქზე ჩაიარეს და ლეკებს გზები შეუკრეს. ეს იგრძნეს ლეკებმა და უკანვე დაბრუნდნენ და დანლიზს ჩავიდნენ. ქართველებმა შეუტიეს მათ. ლეკები ალაზანში შეცვივდნენ. ქართველები კვალ-და-კვალ მიჰყვნენ. იქით ნაპირას რომ გადავიდა ლეკის ლაშქარი, მდინარე ეგრისა და ალაზან შუა ერთ მთაზე გამაგრდა. ერეკლემ ალარ ამოასუნთქვინა მათ. თავს-დაესხა მედგრად. გაულიტა, მესრი გააგლო წუნკალებს. გამარჯვებული ერეკლე იქვე ალაზნის პირას ჩამოსდა. თეიმურაზიც მოვიდა. დახოცილ და შეპყრობილ ლეკთა რიცხვი იყო 700, ხოლო ცხენთა 1500.

გაქცეულ ჯარელებმა ქართველების გამარჯვება მოჰფინეს კაკ-შაქ-ჯარს. ყველანი შეშინდნენ. რაც ჯარში დალისტნელი იყო, აიყარა ჯ სამშობლოშიკე გარდიხვეწა. შაქის ხანი აჯი-ჩალაბი ძღვნით მოეგება მეფეებს.—მეორე წელიწადს თეიმურაზ-ერეკლე ისევ შეებნენ ჯარელ-შაქელებს, მაგრამ მოკავშირე ხანების ღალატით დაუმარცხდათ. შაქის ბატონ აჯიჩალაბმა დიდი ზარალი ბისცა ქართველ ჯარს.

ალაზანის შემუსრვა (1752 წ. ივლისს). გამოჩენილი ნადირშაის სარდალი ალაზანს, რომელსაც განეზრახა გაუეენება, შემოვიდა ადირბეჟანის ქვეყანაში 40000 კაცით და ერთი დიდი რაზმი შემოუსია ერევნის სახანოს, რომელიც საქართველოს სამფლობელოდ ითვლებოდა და ყოველ წლიე იხდიდა 200,000 მანათ ხარკს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ რაზმმა მოახერხა ერეკნის არემარე, ალყა შემოარტყა თვით ერეკნის ციხესაც. ერეკნელებმა მეფეებს მოსწერეს: «ვინაიდგან გაძლევთ ხარკსა, გაქვთ ვალი განგვათავისუფლოთ ესე ვითარისა მძლავრისა ხელისაგან». ერეკლემ ფიცხლავ შემოიკრიბა 5000 მეომარი და ერეკნს «გადაეფრინდა». აზატხანის რაზმი მოეცალა ერეკნს, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან ჩამოხდნენ. დაქვეითდა ერეკლეც და ქართველნი ასრე დაარიგა: „სანამდინ მე ცხენზე არ შევჯდე, თქვენ ნურავინ შეჰსჯდებითო და ვინემდის ჩემი თოფი არ გავარდეს, მანადისინ თოფს ნურავინ გააგდებთო“. შემდეგ ამისა ერეკლე წუნარად გაუძღვა თავის რაზმს. იგი მტრის იმ დასტისკენ მიდიოდა, რომელიც უფრო დიდი იყო. ქართველნი რომ მიუახლოვდნენ მტერს, ოზატხანმა ოთხივ კუთხივ ჯარი შემოახვია: „ყველას ცოცხლებსავე შეგიპყრობო“, ჰფიქრობდა იგი. ამ დროს ერთმა ჩინებულმა ხანმა გამოაქანა ცხენი და მრისხანედ იკითხა: „ჰანი ირაკლი ხან“ (სადაა ერეკლე ხანიო). „მე ვარ ერეკლე მეფეო“, დასძახა მეფემ და მისცა ცეცხლი თოფსა. ხანი გადმოვარდა ცხენიდან უსულოდ. ერთბაშად იჭრეს ქართველთა თოფებმა, ბირქვე გაეფინა მრავალი მტერი. აღჯდა ერეკლე ცხენსა. შეათრიენდნენ ცხენებს სხვანიც. იგრეს ხმალს ხელი და შეუტიეს გოცებულ მტრებს, რომელნიც ველარ დადგნენ და გაიქცნენ. მეფე და მისნი ჯაბუკნი მიჰყვნენ, დაჰკრეს, კაფეს, სრისეს, გათელეს, გაფანტეს, გაუშვეს სახელი გაამაყებულ ოზატხანისა, მერე უკუმოიქცნენ და შემოალაგეს შერცხვენილ მტრის ბარგი-ბარხანა: 14 ზარბაზანი, 200 ზამბურაკი თავისის ასის აქლემით, მრავალი დროშა, 3,500 კარავი. ხოლო ტყვისა და საქონლის რიცხვი უთვალავი იყო.

ეს ოზატხანი შემდეგში დიდის ხვეწნა-ვედრებით შეურიგდა მეფეებს და შეირთო თეიმურაზის ნათესავის ქალი მარიამ-ბეგუმი. ოზატხანი მოკლულ იქმნა ქარიმხანისაგან, რომელსაც გამოექცა დაღისტანში დასამალავად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქარიმხანის გედრებით ერეკლემ ყაზახში შეიბურო ყაზა-ხანი და ქარიმს წარუგზავნა.

ჭარის დაწვა (1755 წ.) ხუნძახის ბატონი ომარ-ხან, ჭარელნი, შაქის ხანი ალაქიში, კაკის სულთანი და სხ. 20,000 ლაშქრით შემოერტყნენ ყვარლის ციხეს. მეციხოვნეებს შემოაკლდათ სურსათი და ტყვია-წამალი. ერეკლეს შეკითხებით 130 კაკკაცმა იკისრა მეციხოვნე-ბისათვის სურსათისა და ტყვია-წამლის მიწოდება. ესენი დაიტვირთნენ და გაეშურნენ ყვარელისაკენ. ციხემ-დის რომ მიაწიეს, გმირულად შეუტიეს მტრებს, გაარღ-ვიეს მათი რაზმები და შეცვივდნენ ციხეში. ამასობაში ერეკლემაც გაგზავნა ჯარი და გადასწვა ჭარი. ყვარელ-თან მყოფ ჭარელებმა ეს რომ გაიგეს, გაიქცნენ თავიანთ ქვეყნის საშველად. ავარიის ხანიც აიყარა და განიკლტო.

V

1755 წელს საბა ნინოწმინდელმა აღიმაღლა ხმა დასაცველად მართლ-მადიდებლობისა, რომლის მტერი შექმნილიყო თვით ანტონი ქათალიკოზი. ანტონი მეცნიერი კაცი იყო. სწავლობდა სხვა და სხვა ენებს. და ამიტომ დაუახლოვდა საქართველოში მყოფ კათოლიკეთა ბერებს. ამათთან დაახლოვებამ ქათალიკოზს შეაყვარა კათოლიკეთა სარწმუნოება. ამიტომაც მოინდომა თავისი სამწყსო კათოლიკეთა სარწმუნოებაზე მიექცია. ეს გაუგეს ეპისკოპოსებმა. ნინოწმინდელმა გამოამჯღავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ოკეანეზე. თეიმურაზ მეფემ მცხეთაში მოახდინა ეპისკოპოსთა კრება, რომელმაც ანტონს ჩამოართო ქართლიკოზობის სარისხი. 1756 წ. ანტონი წავიდა რუსეთს, სადაც დაადგინეს იგი გამგედ ვლადიმირისა და იერუსალიმის საარხიეპისკოპოსად (1757 წ. 1 დეკ.). მის მაგიერ საქართველოში ქართლიკოსად დანიშნეს იოსები. ეს იოსები განათლებული კაცი იყო. მის-მიერ მოწვეულ ეპისკოპოსთა კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა: „ეპისკოპოსნი მოვალენი არიან თვის სამწყსოს ასწავლონ წერა-კითხვა“. ეს იოსები დიდხანს არ იყო ქართლიკოსად. 1762 წელს ერეკლემ საპატრიარქო ტახტზედ მოიწვია ისევ ანტონი, რომელიც ამავე წელიწადს სამშობლოში დაბრუნდა.

1760 წ. თეიმურაზ მეფესა და ერეკლეს შორის რაღაც მიზეზისაგამო უთანხმება მოჰხდა. თეიმურაზი რუსეთს წავიდა. 1761 წელს იგი მივიდა პეტერბურღს, ინახულა ელისაბედ იმპერატრიცა და აშტარხანს დაბრუნდა. იგი აქვე მოკვდა (1762 წ.). ერეკლე შეიქმნა თვითმპყრობელად ქართლ-კახეთისა.

შინაური საქმე. კახტანგ VI რომ გარდაიცვალა (1737 წ.), მისი შვილი პაატა რუსეთის სამხედრო სკოლიდამ გამოვიდა და საფრანგეთში წავიდა. იქიდგან სტამბოლს მოვიდა და 1751 წ. შემოვიდა თბილისში. მეფეებმა ცუდი განზრახა ვერ შეატყეს მას და ამიტომ პატივით დახვდნენ. მან კარგად იცოდა ორტიოლერია და თოფხანის საქმე. 1753 წელს მეფეებმა განჯას რომ გაილაშქრეს, პაატას წაუვანაც უნდოდათ, მაგრამ იგი არ წაჰყვა. მეფეებმა მუხანათობა შეატყვეს და თბილისში და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსებთან ხელშეკრულობის დადგენის (1783 წ.) წინად საქართველოში მოხდა შემდეგი ამბები. 1768 წ. იმპერატიცა ეკატერინემ ოსმალეთს გამოუცხადა ომი და მოშველება ითხოვა იმერ-ამერთა მეფეებისაგან. სოლომონ იმერთა მეფემ და ერეკლემაც დიდის სიხარულით აღუთქვეს შემწეობა. საქართველოს მხრივ ოსმალებთან საბრძოლველად მოვიდა რუსის ჯარი (3,767 კაცი) ტოტლებენის სარდლობით (29 აგვ. 1769 წ.). ერეკლე და ტოტლებენი შეიყარნენ სურამს (14 მარტს 1770 წ.). მეფეს ჰყვანდა 7,000 მეომარი და 2000-საც მოელოდა. გადასწყვიტეს გაელაშქრათ ახალციხეზედ. 17 აპრილს რუს-ქართველთა ჯარი აწყურს მივიდა. აქედგან ახალციხეს უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ტოტლებენი მეფეს აღარ გაჰყვა, 19 აპრილს აჰყარა თავის ჯარი და შეგუ-იქცა. ერეკლე დარჩა ბირისპირ ოსმალთა დიდძალ ლაშქრისა. მაგრამ მეფე არ შეუშინდა მას. შეება და გაემარჯვა (19 აპრ.)

ასპინძის ომი (20 აპრ.). გამარჯვებული ერეკლეს მხედრობა (სულ 3000-მდე კაცი) ახალქალაქ-ხერთვისს შორის დადგა. ახალციხის ფაშამ გამოგზავნა დიდი ლაშქარი, რომელიც ასპინძის ხიდზე გადმოვიდა და შეურთდა დანარჩენ ჯარს ოსმალებისას და ლეკებისას. ლეკების მოთავედ იყო კოსტა ბელადი, რომელსაც თავის შვილიც თან ახლდა.

ერეკლემ სამად გაჰყო თავის რაზმი: მემარჯვენედ, მემარცხენედ და შუაში თვითონ ჩადგა. მეფესთან დადგნენ აგრეთვე „შვილნი ხევსურნი“. მეფემ წინათვე აუწერევინა ასპინძის ხიდის ისრები, რომ მტრის ლაშქარს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასალციხიდგან ველარ მოშველებოდა სხვა ჯარიც. შუადღისას ორთავე მხრიდამ თოფ-ზარბაზნის ჭექა-გრგვინვა გაისმა. ფიცხელი, მწვავე ბრძოლა გაიმართა. თავგამეტებით იბრძოდნენ მოპირისპირე მტერნი. ოსმალთა აუარებელი გუნდი მოაწვა ქართველების შუაგულ რაზმს. ერეკლემ იგრძნო, რა საშიშ მდგომარეობაშიაც იყვნენ და თავის ჯარს ამ სიტყვებით მიჭმართა: „გულოვანნო მხნენო ქართველნო, ჩემო განუყრელნო ყოველ საშინელებაში, ჩემო გულის ძმანო! ამისთანა გაჭირებული ომი ჩვენ თავზედ პირველი არ არის. კარგა გაარჩიეთ, დაინახეთ, რა სიკვდილის ლხინი არის დღეს! ვიომოთ სიკვდილამდის, ასე სიკვდილამდის, რომ ჩვენი ზურგი მტერმა არ დაინახოს: ეს ჯაბანთა წესი არის. ჩვენს ცოლშვილში, სირცხვილია, დამარცხებულნი მივიდეთ... გავწყდეთ, ქართველებო, მეც აქ თქვენში ვიმყოფები, ერეკლე!“ — «გავწყდეთ, ერთიანად გავწყდეთ. დედა შეერთოს ცოლად, ვინც აქედგან უსიკვდილოთ დამარცხებული წავიდესო!», — ერთხმად დაიქუხეს ერეკლეს ჯაბუკებმა. ამ დროს იგრიალა ერეკლეს თოფმა და გადმოაგდო კოხტა ბელადი, რომელიც ჭენებით მოაქროლებდა თავის რაზმს ქართველებზე თავს დასასხმელად. კოხტას ჩამოკარდნამ მტრის ჯარს თავზარი დასცა. იგი შედრკა. შეძრწუნდა. ქართველებმა გულსრულად შეუტიეს. მტერმა ზურგი იბრუნა. „ხმალი ამ წუნკალებსო“, გაისმა ხმა ერეკლესი. იშიშვლეს ხმლები და უწყალოდ დაუშინეს ოსმალ-ლეკებს, რომელთაც მიჭმართეს ასპინძის ისარ-აყრილ ხიდს. მტკვარსა და ქართველების ხმლებ შორის მოქცეული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მტერი მთლად განადგურდა. მკტვრის ზვირთებმა ოსმალთა დამსრბვალი გვამები გააქანა თბილისისკენ. ასპინძის არემარე გაივსო იმათიგე ლეშებით

1772 წელს რუსები შეურიგდნენ ოსმალებს და საქართველოდგან გაიყვანეს თვისი ჯარი. „ამის შემდეგ ოსმალნი გადაეკიდნენ ქართველებს და მოსვენებას აღარ აძლევდნენ«, ამბობს ბუტკოვი, მაგრამ ერეკლე ვაყვაც ქართველებით ოსმალთა ლაქარს უველგან მუსრს ავლებდა. ერეკლემ მოაოხრა ჯავახეთი, არტანი, კოლა და შემუსრა ბაიაზეთის ფაშა. ხონიქარი დიდძალ ფულს გზავნიდა დაღისტანს, იწვევდა ლეკებს ერეკლესთან საბრძოლველად, მაგრამ ვერას გახდა. ამიტომ უაენს ქარიმხანს მისწერა: «ჩვენ შორის ზავია. რად აგიშვია ეგ ლომი ერეკლე და რათ აოხრებინებ ჩემ მამულებსო». ქარიმხანი ერეკლეს-მიერ ფრიად დავალებული იყო (ტახტის დასაპყრობად შემწეობას აძლევდა) და ამიტომ მეფეს გამოუგზავნა ხმალი.

ასრე რომ გაძლიერდა ერეკლე, სწორედ ამ დროს ერევნის ხანმა ხარკის მოტემა აღარ ინდომა, გაამაგრა ერევანი და განუდგა მეფეს. ერეკლე თავის ცხენოსან ჯარით შემოერტყა ერევანს. ქალაქის გარემო ადგილები მთლად დააქცია. გადარჩა მხოლოდ თვით ერევანი და ეჩმიაძინი. ერევნის ელი გადიხვეწა ბაიაზეთის საფაშოში. მაგრამ ერეკლე გამოედევნა მათ. მოაოხრა სრულიად ბაიაზეთი, შემუსრა ქურთნი, მოარბია იქაურობა და წამოასხა ელნი, მრავალი ტყვე და საქონელი. ამ ამბავმა თავზარი დასცა ადირბეჟანის ხანებს, ერევნის ხანი გულმოდგინედ ეხვეწებოდა მეფეს ეპატიებინა დანაშაული და

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალუთქმიდა ორ-სამ კეტ ხარკს, თვით სპარსეთშიც გავარდა ხმა ერეკლე დღეს-ხვალ ერანსაც დაიპყრობსო. მეფეს საჩუქრები მოართვეს და მორჩილება გამოუცხადეს ხანებმა: თავრიზისამ, ხოისამ, ურუმიისამ, მაყუიისამ, მარალიისამ, ბაიაზეთის ფაშამ; განჯა-ყარაბაღი მეფეს წინათვე ჰქონდა დაპყრობილი. ერევნის ხანი დამორჩილდა მეფეს, რომელმაც ერევანს დაადგინა თვისი მოურავი იოანე მუხრანბატონი.

ამ დროს ალექსანდრე ბაქარისძე და ზემორე ხსენებული ალექსანდრე ამილახორი იდგნენ დაღისტანში ლ ა ქ ებ ბ ნ ე ნ მ ო ო ბ რ ე ე ბ ს ერეკლეს დასამხობად. აქაურ მფლობელებს — შამხალს, უცმის და ყაზიყუმუხის ხანს ხონთქრის კაცებისაგან შთაგონებული ჰქონდათ ბრძოლა ერეკლესთან (ბუტკოვი).

ამ უოფაში ერეკლე მეფემ განიზრახა ევროპიის მეფეთა შორის მოეძებნა მოკავშირე. ამ აზრით მან წერილი მისწერა რომის იმპერატორს იოსებ II (1781 წ.). ამ გვარივე წერილი მისწერა აგრეთვე 1782 წელს და ალუთქვა, რომ, თუ ოსმალეთი შემოება გერმანიას, მე დაგეხმარებითო. ევროპიიდგან ერეკლეს არავითარი შემწეობა არ მოუვიდა. ამიტომ იგი მიიმართა რუსეთის ხელმწიფისადმი და ითხოვა: ა) რუსეთის იმპერატორს ქართლ-კახეთი მიეღო თავის მფარველობის ქვეშ, ბ) მეფესა და მის შთამომავლობისათვის დაემტკიცებინა მეფობა, რათა ალექსანდრე ბაქარისძის მაგვარ ტახტის მეძიებელთ ველარ შესძლებოდათ წამოდგება.

18 ივნისს 1783 წ. იმპერატრიცა ეკატერინესა ლ მეფე ერეკლეს შორის დადგინდა ხელშეკრულობა (იხ. რუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულ-ქართულად დაბეჭდილი ხელშეკრულობის წიგნი „წერა-კითხვის საზოგად., №1396), რომლის ძალით იმპერატრიცამ ამერეთი მიიღო თავის მფარველობის ქვეშ და ერეკლესა და მის შთამომავლობას დაუმტკიცა მემკვიდრეობა ქართლ-კახეთის ტახტისა სამარადისოდ. ამის შემდეგ ალექსანდრე ბაქარისძე და ალექსანდრე ამილახვარი განაშორეს დღისტანს და პირველი დაბინავეს სმოლენსკში (1784 წ.), მეორე—ვიბორგში (1784 წ.). ალექსანდრე ბაქარისძის შთამომავლობას ეწოდა „გრუზინსკი“.

ბუტკოვი სწერს (ტ II. გვ. 177): ფაშები არზრუმისა, კარისა (ყარსისა), ბაიაზეთისა და ვანისა ერეკლეს ეპყრობოდენ თავაზიანად, მეგობრულად და კეთილი მეზობლობა ჰქონდათ საქართველოსთან ვიდრე რუსეთის ჯარის შემოსვლამდე საქართველოში. ამის შემდეგ ახალციხის ფაშა სულეიმან დაუძინებელ მტრად გადაექცა ერეკლეს. მან მიიბირა თავის მხარეს დღისტნის ომარხანი, შეეზარხა განჯელებს და გადასწყვიტა ერთბაშად ყოვლის მხრივ შემოსეოდნენ საქართველოს და დაეპყრათ იგი. ერეკლემ ჯარები ჩააყენა გორში, თბილისში, თელავში და სიღნაღში, ხოლო თვითონაც ქიზიყს დადგა. ომარხანი ამ დროს (1785 წ.) ჩამოსულიყო ჯარს და შეეკრიბა 20,000 მეომარი (11,000 დღიტნელი და 9000 ჯარელი). ამ ჯარით ომარხანი უგრძნეულად გადავიდა იორზედ (შირაქის ბოლოს), სწრაფად მოვიდა ყარაიას და მტკვრის მარჯვენა მხარეს გადავიდა. ვიდრე ერეკლე დაეწეოდა ომარხანს, მან უკვე მოასწრო საბარათიანოს ალხრება და ახალციხის ფაშასთან მისვლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაშა და ომარხანი ემზადებოდნენ საქართველოზე წამოსვლას, მაგრამ ამ დროს ხონთქრისაგან სულეიმან ფაშამ მიიღო ფირმანი ერეკლესთან ზავ-ყოფისა. ამ ფირმანში, ხონთქარი, სხვათა შორის, სწერდა: „ოდესაც ხარი (იგულისხმე ერეკლე მეფე) წევს, ნურას ერჩით, და ნუ აიძულებთ ფეხზე წამოდგეს“. ომარხანიც შეურიგდა ერეკლეს და თავის სამშობლოში დაბრუნდა (1787 წ.).

VI

ევროპიულ წეს-წყობილებათა შემოღება და სამეფოს განახლება. 1784 წელს პოტემკინი საქართველოს შესასწავლად მოვიდა და, აქედგან რომ დაბრუნდა, დასწერა: „ერეკლე მეცადინეობს თვისი ერი ევროპიულად მოაწყოს და ევროპიულად განაახლოს. ეს მეფე შუატანიანია, ცხარე ხასიათისა, მჭრე მხედველობიანი, წარბ შეჭმუხვნით მოსაუბრის მომსმენელი. თუმცა მოხუცებულობისაგან ტანში ცოტათ წახრილია, მაგრამ მაინც ფრიად მხნეა, საკვირველად მომთმენი, მთელი ლამე მხნეობაშია და ქვეყნის საქმეების გარიგებაში. სძინავს ცოტა, აზიური პოლიტიკა იცის. ერეკლე იმ გვარ კაცთაგანია, რომელსაც შეუძლიან გიპასუხოს ორწოფად, ორ-წვერულად.

—

1773 წ. ერეკლეს ბრძანებით მცოდნე კაცებმა აღმოაჩინეს ახტალას ოქრო-ვერცხლის მადანი. მის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაკებლად მეფემ მოიწვია ბერძნები. ეს მადანი ერეკლეს ყოველ წლიკ აძლევდა: ბირველსანს 60,000 მანათის ვერცხლს და 3,200 მან. ოქროს და შემდეგში კი 100,000 მანათის ოქრო-ვერცხლს. შეძენილი მადნეულით მეფემ მოაჭრევინა ფული. ჯერ ამის წინად იჭრებოდა სპილენძის ფული: 1731 წლიდგან თეიმურაზისა და 1744 წლითგან ერეკლესიც. ამას გარდა ერეკლეს შემოსდიოდა ყოველ წლიკ ხარკად: შუშის ხანისაგან 120,000 მან., ერევნის ხანისაგან 200,000 მან. და განჯის ხანისაგან 50,000 მან. და აგრეთვე, მაშინდელ დროის მოგზაურის რაინეგსის ჩვენებით, კომლეური ხარჯი ქვეშევრდომთაგან 610,000 მან., უცხოელ ვაჭართა მიერ შემოტანილ საქონლის ბაჟიდამ 25,000 მანეთი.

ამავე წელიწადს მეფემ განაწესა აგრედ წოდებული „მორიგე ლაშქარი". ბუტკოვი ამბობს: „ეს მორიგე ჯარი ასრე განაწესა: ყოველს მკვიდრს, რომელსაც ჰქონდა სახნავ-სათესი ანუ ცხვარ-ძროხა, წელიწადში ერთი თვე უნდა ემსახურნა მეფისაგან დანიშნულ ადგილას. მორიგეობისაგან განთავისუფლებულნი იყვნენ მხოლოდ თუშ-ფშავ-ხევსურ-ოსნი, რომელთაც ლეკების გადმოსასვლელი გზები ეჭირათ. განთავისუფლებულნი იყვნენ აგრეთვე ვაჭარნი და ხელოსანნი. ყოველ რიგობაზე გამოდიოდა 5000 „მორიგე", რომელთა უფროსნი იყვნენ ასისთავნი, ხუთასის თავნი და ათასისთავნი და ესენი ყოველნი თავადთაგან იყვნენ. თავადნი მსახურობდნენ თვიურად, დანარჩენნი უვადოდ. ჯამაგირი ეძლეოდათ ხაზინიდამ. „მორიგე" ზოგი ცხენოსანი იყო, ზოგი ქვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი. „მორიგე“ ლაშქარი იქ დგებოდა, ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქქვსნი, დიდ-შენნი, ავაზიანნი. კალას არს ციხე, ბაშენი მაღალს კლდესა ზედა. მაღალს ციხეში არს ეკკლესია გუმბათიანი და სასახლე მეფისა. ბალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი. როსტომ მეფემ თავისა თვისისათვის აღაშენა—სიონსა და ანჩისხატის შუა—სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, უიზიერბაშთა რიგისა. მეფემან კახტანგ (1658—1675 წ.) აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა... არს კალას ეკკლესია გუმბათიანი, დიდი, დიდად შვენიერი, **სიონი**, რომლისა საფუძველი დასდვა მეფემან გურამ (575—600 წ.) ...ისნს, კიდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა, არს ეკკლესია მეტეხი.. აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა. სოლო ხიდის უურს სამხრით არს საფლავი წმ. ანტონი... კალა მოზღუდვილია და აქვს დასავლით ორი კარი და ჩრდილოთ ორი კარი. ზღუდეს გარეთ უხმობენ გარეუბანს, სადაც არს ასპარეზი. სომხები მოსახლობენ ციხეს გარეთ და არიან ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა,—ზოგთა სპარსთა რიგისა და ზოგთა ქართულითა, არამედ ციხე-ეკკლესიანი და ზღუდენი ქვიტკირისანი არიან. ჭალითა არს მშვენიერი და მხიარული. ერნი მშვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და საგარდენი მრავალნი, ყოველის ხილითა და ყვავილითა სავსე. გარნა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი უშვერნი; ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი; გაზაფხულ-შემოდგომა მშვენიერი და საკრფო. სანადირონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალნი ასლოს,—ფრინველთა და ნადირთა. იშიტუ-
რუქის კლდესა შინა არს მონასტერი მთა-წმინდისა.—
თბილისის სამხრ-აღმოსავლით არს ნათლუხი. მუნ დის
ნავთი, კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით
მრავალი არ აიღების. აღმოსავლით თბილისისა არს ლი-
ლო, სადა არს ვენახნი და ხილნი... თბილისის ჩრდი-
ლოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა ბირველ ეწო-
და ცხენის—ტერფი... ვერესა ზედა არს ხიდი დიდი,
ქვიტკირისა... თბილისიდამ მცხეთამდე უწყლოა, არამედ
მოსავლიანი. ვერე წუნეთამდე წალკოტითა შემკული, და
მრავალნი. მის სამხრით არს ველი საბურთალოისა. ამას ში-
ნა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი, აწ უმისოდ უნა-
ყოფო არს. მას ზევით არს ტბა ლისისა, და მის და-
სავლით მთა სასაფლაო-დიდისა, ველთილი აგარაკი და შვე-
ნიერი ყოველითა (ეს აღწერილობა ვახუშტს დაუსურა-
თებია თბილისის გეგმით, რომელიც მას საგუთარის ხე-
ლით დაუსტია 1735 წ. თებერვალს).—(დელაპორტი,
რომელიც თბილისში იყო 1768 წელს, ამბობს): თბილისი
ვრცელი არ არის, მაგრამ ლამაზი ქალაქია. აქ არის მშვე-
ნიერი სახლები ლ ბალატნი, სოლო ყველაზე კი ლამაზი
არის მეფის სასახლე, რომელიც მრავალ ოთახებიანია,
მტკვარსა და ვრცელ ბაღებს გადაჰყურებს. ბაზრები ქვით
დაფენილია ლ ფაქიზად შენახული. საფრანგეთში კი ბაზ-
რები, ბირიქით, აუშნოებენ უგეთესთა და უმთავრეს ქა-
ლაქებს. აქ არის აგრეთვე აბანოები, ქვის თაღებიანი და
თლილი ქვის აუზებიანი. ქართველების სახლებში დიდი
სისუფთავეა. აქაურ დედაკაცზე უმშვენიერესი ალარსად იქ-
ნება, გაუოცებლად ვერ ვუყურებდი ამ ქმნილებათა. სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლიანად ამ ქუეყანას უნდა ეწოდოს სამშობლო მშვენიერებისა. აქ არა ლამაზ ქალს ისე იშვიათად შეხვდები, როგორც სხვაგან ლამაზს. ძნელად წარმოიდგენს კაცი იმისთანა მშვენიერ სახეს, მოუკანილ ტანს, შნოიან და ლამაზ მიხვრა-მოხვრას, როგორიც ქართველ ქალსა აქვს. დიდებულთა ტოლნი მდიდრულად შეკაზმულ ცხენებით დამგზავრობენ. ქართველი აძაყია და ღირსეულად უჭერია თავი.—1701 წელს ტურნეფორი სწერს, რომ თბილისში ისეიდება ადგილობრივი აბრეშუმი და აქედგან ოთხელ წლიგ გააქვთ 2000 აქლემის საპალნე ენდრო.

ზრუნვა ხალხში სწავლა-განათლების მოსაფენად. 28 მაისს 1783 წ. გაიხსნა თელავის სემინარია. ამის შემდეგ აგრეთვე გამართეს სამრევლო სკოლები ზოგიერთ მონასტრებისა და ეკლესიების კარი-ბჭეებში, ხოლო თბილისში სემინარია. თელავის სემინარიას ეწვია ერეკლე (1784 წ.). რექტორი სემინარიისა გაიოზი მეფეს მიეგება გრძნობით აღსავსე სიტყვებით. სხვათა შორის, მან სთქვა: ბერძნები ამაყობენ ალექსანდრე მაკედონელით, რომაელნი იული ცეზარით, რუსნი პეტრე დიდით, მგზავსადვე ჩვენცა თანა-გვამს ვიქადოდეთ ესე ვითარისა მეფისათვის, რომელმანცა თვის შორის შემოიკრიბა უაზნაურესნი იგი ნიშანნი ზემოხსენებულთა მეფეთანი. ...ერეკლემ სცნო, თუ რა გვარი ბედნიერება გამოვალს მეცნიერების შესწავლისაგანო და სხ. სწავლა-განათლების მოტრფიალე მეფე სწერს ნეკრესის განათლებულ ეპისკოპოსს დოსითეოზს: «იცოდეთ, მე ძრიელ მესიამოვნება, თუ თქვენ არ მოაკლებთ მეცადინეობას

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის წარსამართებლადო. შემატყობინეთ, რა მდგომარეობაშია სასწავლებელიო».

ამავე დროს ზრუნავენ დაარეგულირონ გორში უმაღლესი სასწავლებელი, სადაც უნდა ისწავლებოდეს ორი ძველი ენა (ბერძნულ-ლათინური), ერთი ახალი (ფრანგული), აგრეთვე კატიღორია (ლოღიკა), რიტორიკა და სხ.

მეფის მზრუნველობით იბადება მთელი გუნდი მოღვაწეთა, იბეჭდება მრავალი წიგნი. 1783 წელს დაბეჭდილ ზადიკის ბოლოს აღნიშნულია შემდეგი წიგნები, რომელიც დაუბეჭდია თბილისში ქრისტეფორე კეკელაშვილს: დაუჯდომელი (400 ცალი), კიტაის სიბრძნე (400 ც.), ლოცვანი (1000 ც.), სახარება (800 ც.), სამოციქულო (1000 ც.) და კიდევ სხვა წიგნები 3800 ცალი.

გამოჩდნენ აგრეთვე დიდნი პოეტნი (მაგ. ბესარიონ გაბაშვილი), დიდნი მქადაგებელნი (ნეკრესის ეპისკოპოსი ამბროსი, იონა ხელაშვილი), დიდნი რიტორნი ⁄ მსაჯულნი (სოლომონ ლეონიძე), მოგზაურნი (ტიმოთე, იონა), ისტორიკოსნი (პაპუნა ორბელიანი, ომან მდივანბეგი და სხ.), ფილოსოფოს-ისტორიკოს-პოეტი ანტონ ქათალიკოზი და სხ.

ანტონ ქათალიკოზი იყო სული და გული ამ მოძრაობისა. მას შესწავლული ჰქონდა მრავალ-გვარი მეცნიერება: ფილოსოფია, ისტორია, ღვთის-მეტყველება, ლოღიკა, სხვა და სხვა ენები. იგი დაუღალავად მუშაობდა. მან შეადგინა ანუ უცხოთა ენებიდგან გადმოიღო მრავალგვარი წიგნები, რომელთაგან უმთავრესნი არიან: წყობილ-სიტყვაობა (ლექსად), ქართული ღრამატიკა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზამეტყველება, ქართული ისტორია, ფილოსოფია ბუნ-
მეისტრისა, ფიზიკა ბოლფისა, კლდე სარწმუნოებისა,
კატეხიზმო, ღვთის მეტყველება (ოთხ ნაწილად), განმარ-
ტება არისტოტელის კატეგორიათა და სხ.

ეს ანტონი ქათალიკოზი გარდაიცვალა 1788 წ.
მის მაგიერ ერეკლე მეფემ ქათალიკოსად დასვა თავისი
შვილი ანტონ II.

ზრუნვა საქართველოს გასაერთიანებლად. სწავ-
ლა-განათლების გაძლიერებამ ხალხში განაძლიერა მამუ-
ლის სიყვარული. «არა არს-რა ესრეთ ტკბილი, კით მა-
მულის სიყვარული», ამბობს გაიოზ რექტორი. 1777
წელს ერეკლემ მოსპო ერისთობა ქსნის ხეობისა (არაგ-
ვის ერისთავობა უკვე მოესპო თეიმურაზ მეფეს 1743
წელს). ამის შესახებ ერეკლეს „წყალობის წიგნში“ სწე-
რია: „ნიადაგ საქართველოში შეოთის მიზეზი ეს ქსნის
ერისთავის შვილები ყოფილანო“. ერეკლე რომ რუსებ-
თან სელშეკრულობას სდებდა, მისმა ელჩებმა მოითხო-
ვეს ერეკლე ხსენებულ ყოფილიყო ასრე: „მეფე ქართ-
ლისა და კახეთისა, მემკვიდრე მთავარი სამცხე-საათაბა-
გოსი, მთავარი ყაზახისა, მთავარი ბორჩალოსი, მთა-
ვარი შამშადილოსი, მთავარი კაკისა (საინგილო), მთა-
ვარი შაქისა (ნუს-ალდაშის მაზრები), მთავარი შირვა-
ნისა, მფლობელი და მფარველი განჯისა, ერევნისა და
სხვათა“.

იმერეთი. ალექსანდრე მეფე მოკვდა 1752 წ. და
გამეფდა მისი შვილი სოლომონ I, **დიდი.** სოლომონი
იყო კაცი მხნე, მამაცი და გამბედავი. მან შეირთო ათ-
ხაზთა თავადის ინალის ასული. ამ დროს იმერეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიად მძლავრობდნენ რაჭის ერისთავი როსტომ, ლევან აბაშიძე, გურიელი ლ დადიანი ოტია. ამას გარდა იმერეთის ციხეები (ქუთაისისა, შორაპნისა, ცუცხვათისა, ბაღდადისა) ეპყრათ ოსმალებს, ხოლო ფოთს იჭდა მათივე ფაშა 1725 წლითგან. მეფე იმერეთისა ფრიად შეკიწროებული და დამცირებული იყო ამ მტრებისაგან. თვით სამეფოც გაოხრებული იყო, რადგან მტერნი მარადის აწიოკებდნენ ხალხს, ატყვევებდნენ და ფოთის ფაშას აგზავნინებდნენ სტამბოლს გასასყიდლად.

ასეთი დამცირება ქვეყნისა ახალგაზდა სოლომონს მოსვენებას არ აძლევდა, იგი მარადის იმის ფიქრში იყო, თუ როგორ ეშველა თავის სამშობლოსათვის. ბევრი ფიქრის შემდეგ, მან გადასწყვიტა გაჭეროდა ინალის ასულს და შეერთო ოტია დადიანის ასული მარიამ. დადიანთან მოუკრიბით მეფემ შეიძინა მძლავრი მოკავშირე. მის შემწეობით სოლომონი შეება ოსმალებს და დაამარცხა იგინი. მერე მიუსტა აბაშიძეს და მოსრა მისი ძალაც. აბაშიძე განიკლტო იმერეთიდამ, წავიდა და მოიყვანა ოსმალთა სერასკარი დიდის ჯარით, შეება სოლომონს და დაამარცხა. სოლომონი ქართლს გაიქცა. ოსმალებმა იმერთა მეფედ დასვეს თეიმურაზ მამუკასძე. სოლომონმა ქართლიდამ მოიყვანა ჯარი, შემოიკრიბა იმერნი და მეგრელნიც, შეება ოსმალებს ხრეხილთან, შემუსრა მათი ძალა, მოჭკლა ლევან აბაშიძე, გოლა-ფაშა და სხ. (1756 წ.). ამავე ბრძოლაში მოკლულ იქმნა ხუტინია შარვაშიძე, რომელიც ცხარე ბრძოლის დროს შეიჭრა ოსმალთა ჯარში ლ მოჭკლა 16 მეომარი. სოლომონმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბურა ტახტი. ამ ხანებში მოკვდა ოტია დადიანი და გადადიანდა მისი შვილი კაცია.

ამის შემდეგ სოლომონმა შემოიკრიბა ჯარი და შეკიდა რაჭაში. როსტომ ერისთავი შემოება მეფეს, მაგრამ დამარცხდა. სოლომონმა შეიბურო მძლავრი ერისთავი როსტომ და მისნი შვილნი და დასწვა თვალები. ხოლო რაჭის ერთი კუთხე მისცა წერეთელს—ძმებს ბაბუნას და ზურაბს, და დანარჩენი იმერეთს შეუერთა (1769 წ.). რაჭას მეოთხებისას მეფეს მოუვიდა რუსის დესპანი, რომელმაც სოლომონს აცნობა ოსმალებთან ომის გამოცხადების ამბავი და მოწოდება რუსეთის ხელმწიფის დასახმარებლად. მეფემ აღუთქვა. ტოტლებენი აწყურიდამ რომ დაბრუნდა, იმერეთში შეკიდა. მეფის ჯარები და რუსები შეებნენ ოსმალებს და განაძევეს იმერეთის ციხეებიდამ. ხოლო ფოთი ვერ აიღეს და რუსნი რუსეთსკე დაბრუნდნენ.

გამარჯებული მეფე სოლომონ შეუდგა ქვეყნის შენებას. მრავალგან დაამართვინა სტამბები, ქუთაისში აიშენა მშვენიერი სასახლე «ოქროს-ჩარდახი», აღკრძალა ტუკეთა ყიდვა, ალაგმა ქვეყნის მაწიოკებელნი მებატონენი. იმერეთი დამშვიდდა. მშვიდობამ ძლიერება შეჭმატა.

რუხის ომი (1780 წ.). სოლომონის ძლიერება ფრიად აწუხებდა ათხაზეთის ბატონებს—ზურაბ, ქელაიშ და ბექირ-ბეგ შარვაშიძეებს. მათ შემოიკრიბეს ათხაზნი, ჯიქნი, ალანნი, სამურზაყანოელნი (სულ 40000-მდე მეომარი) და მოუხტნენ დადიანს. დადიანი მეგრელ—ლეჩხუმელ—სვანებით დაებანაკა რუხს. სოლომონი დიდის ჯარით მიეიდა იქვე. ათხაზნი გადმოვიდნენ ენგურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედ და დადგნენ ბირისპირ რუსისა. მეორე დღეს შეებნენ სოლომონ-დადიანს. გაიმართა საშინელი ბრძოლა. თუმცა შარვაშიძეების ზარბაზნები დიდად აზარალებდნენ მოპირდაპირეებს, მაგრამ იმერნი არ შეუშინდნენ მათ. შეტვიგდნენ ათასაზთა ჯარში, გაგლიჯეს იგი და შემუსრეს. ათასაზნი იელტნენ. მათი ბარგი-ბარხანა და მრავალი ტყვე იმერლებს დარჩათ. აქედგან დაბრუნებისას სოლომონმა დადიანს მოუნათლა მისი ასული მარიამ.

ამის შემდეგ ზურაბ შარვაშიძე ჯ მისი ძმისწული ქელაიშ გადაემტერნენ ერთმანეთს. ზურაბმა დადიანს შემწეობა სთხოვა. დადიანმა გაგზავნა თვისი ძმა გიორგი. ზურაბი შეება ქელაიშს ჯ წაართო ცხომი. დადიანმა თავის შვილს მანუჩარს შერთო ცოლად ზურაბ შარვაშიძის ასული რუსუდან.

მეფე სოლომონს ჭსურდა ოსმალები განეძევა ჩაქვიდამაც. 1781 წელს იგი მიუხტა ოსმალებს და შეება ჩაქვს. მეფეს გაემარჯვა. მაგრამ დაბრუნების დროს ოსმალნი ისევ შემოებნენ, დაუშინეს ზარბაზნები და მოუკლეს მრავალი წარჩინებული კაცები. დამარცხებული მეფე ქუთაისს დაბრუნდა დანაღვლიანებული. ამ ნაღვლმა იგი დაასალმობიერა. სნეულმა მეფემ მოინდომა რუსეთის მფარველობა ეთხოვნა, მაგრამ სიკვდილმა ალარ დაუცალა. იგი მოკვდა 23 აპრილს 1781 წ., უმემკვიდრეოდ.

ამ გარემოებას ხელი ჩასჭიდა ერეკლემ. იმერეთის სულ ერთიანად შემოერთება მეფემ მოხერხებულად არა სცნო. მაგიერად მოინდომა იქ გაემეფებინა თვისი შვილის-შვილი, ელენეს ვაჟი დავითი (სოლომონის გარდაცვლილ ძმის არჩილის წული), რომლისთვისაც სოლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მონს ჩამოერთო საუფლის-წულო და გამოეძევა ქართველს. სოლომონს ჭყვანდა აგრეთვე ბიძაშვილი დავით გიორგ. გისძე, რომელიც პაპუნა წერეთელმა გამოაცხადა იმერთა მეფედ. ამან მაშინათვე გაგზავნა ელჩები რუსეთს და ითხოვა მფარველობა და შემწეობა. მალე მიიღო იქიდან 4000 ბაჯაღლო. ეს დავით მეფე წაეჩხუბა სარდალ წერეთელს ლ წულუკიძეს. ამათ მოიწვიეს 500 ლეკი და 1000 ოსმალი და შეებნენ მეფეს, მაგრამ დამარცხდნენ (1786 წ.). ეს დამარცხებული სარდალი წერეთელი, ევთიმე გენათელი, დოსითეოს ჭუთათელი, პაატა მიჭელაძე, სახლთხუცესი ზურაბ წერეთელი, როგორც მოწმობს პლ. იოსელიანი, მოვიდნენ ერეკლესთან და სთხოვეს: „იმერეთი შეიერთეო“.

ერეკლე ახლა კი შეუდგა საქმეს. დავით არჩილისძის გამეფება მოინდომა. მაგრამ ახალციხის ფაშამ ეს არ მოიწადინა და დავით გიორგისძის მხარე დაიჭირა. ერეკლემ გაუსივა თვისი მხედრობა ყარსის მხარეს და თავის შვილის-შვილს დავით გიორგისძეს დაუპურობინა ინჯაღარა, ყომუშლუ, ფოლდერვანი და სხ. დავითმა დაატეხა 15000 კაცამდე და დაბრუნდა. იგივე დავითი ახლა ერეკლემ გაგზავნა იმერეთს. დავითმა დაამარცხა იმერთა მეფე და ტახტზე დასვა არჩილისძე დავით, რომელიც იწოდა სოლომონ II-ედ. დავით გიორგისძე კი ახალციხეს განიცლტო (1790 წ.).

გაქცეულმა მეფემ მიიმხრო ახალციხის ფაშა, გურიელი, გრიგოლ დადიანი და აბაშიძე და განიზრახა სოლომონ II-ის მოკვლა. სოლომონი დაემუქრა დადიანს. ამან შემოჭეიცა ერთგულობა, მაგრამ მალე ფიცი გატეხა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოკავშირეებითურთ შემოება სოლომონს. მეფემ დაუ-
მარცხა იგი და ათხაზეთს განაძევა. დადიანობა უბრძა
მის უმცროს ძმას მანუჩარს.

მტრები მაინც არ დასცხრნენ. გრიგოლ დადიანი,
გურიელი ს დავით მეფე დიდ-ძალ ჯარით შეესივნენ იმე-
რეთს. მიიშველიეს აგრეთვე ათხაზთა, ოსმალთა და ლეკ-
თა ჯარებიც. ერეკლემ ჯარი გაუგზავნა სოლომონს.
მოწინააღმდეგენი სძლია სოლომონმა და გათვანტა. სო-
ლომონს დარჩა ტუკედ ლეკის რაზმი. დავით მე-
ფე განიკლტო ახალციხეს და იქვე ეკვალით მოკვდა
(1795 წელს).

გრიგოლ დადიანი კიდევ ბევრჯელ შეეცადა დადია-
ნობა დაეპყრო, მაგრამ ძალით ვერას გახდა. ამიტომ
შეეგედრა ერეკლეს დადიანობა ისევ მისთვის მიეცათ. ერეკ-
ლემაც იგი შეარიგა სოლომონ II-სთან. გრიგოლს და-
დიანობა მისცეს. ამის შემდეგ სოლომონ მეფემ შეირ-
თო დადიანის დაჲ მარიამ, ხოლო გრიგოლ დადიანმა
ერეკლე მეფის ძის გიორგის ასული ნინო.

იოსელიანის თქმით, აქ სოლომონის დროს (1790
წელს)საქართველოს მეფე-მთავრებმა დასდვეს შემდეგი ხელ-
შეკრულობა თვის შორის: «ვინაიდგან ყოველთავე ივე-
რიელთა (ქართლ-კახთა, იმერთა, ოდიშთა და გურულ-
თა) აქვსთ ერთმორწმუნეობა, არიან ერთიასა ენისა მქო-
ნებელნი, სისხლით ნათესავნი, ამისთვის ჩვენ, ზემო-
ხსენებულ ივერიისა ქვეყანათა მეფე-მთავარნი აღვსთქვამთ
მტკიცესა ერთობასსა». ხელშეკრულობა მოუწერია ერეკ-
ლეს, დარეჯან დედოფალს, ანტონი II-ს, სოლომონ მსა-
ჯულს, სოლომონ II-ეს, მარიამ დედოფალს, მთავრებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოხელეებს და სხ. ხელშეკრულობა გამოცხადებულ იქმ-ნა საქართველოში ყველგან.

VII

ერეკლეს მარცხი. ქარიმ ყაენის სიკვდილის შემ-დეგ სპარსეთში მოხდა დიდი არეულობა. და ეს არეუ-ლობა დასრულდა მხოლოდ 1791 წ., როდესაც აღა-მაჰმად-ხან ყაჯარმა სპარსეთის ტახტი დაიჭირა. იგი 80 წლის ხადუმი იყო. ამ ყაენმა შეჰკრიბა 100,000 მეო-მარი, თოფსანა თოფანგებს მიანდო და ადირბეყანის ხა-ნებსა და ერეკლე მეფეს შემოუთვალა დამემორჩილენით, ხარკი და მზეკლები მაძლიეთო. აღა-მაჰმადს ამასთანავე სურდა ყველა ესენი შეეკრიბა და მათ წინაშე საყაენო გვირგვინი დაედგა თავის თავზე. ზოგი ხანი შიშით და-მორჩილდა მას, ზოგმა უარი-შეუთვალა. უარი შეუთვა-ლეს აგრეთვე შუშისა და ერევნის ხანებმაც, რომელნიც ერეკლეს მოხარკენი იყვნენ (პირველი ოთხელ წლიც იხ-დიდა 120000 მან., მეორე 200000 მან.). განჯის ხა-ნი ჯავათი, თუმცა მოხარკე იყო მეფისა (იხდიდა 50000 მან.), მაგრამ იგი განუდგა ერეკლეს და ყაენს მიეშორა. ერეკლემაც ყაენის შემოთვლილი უგუაგდო. ყაენმა 8000 მეომარი გამოუსივა ერევანს, მაგრამ ეს ჯარი შემუსრა ალექსანდრე ერეკლეს ძემ და განაბნია.

აღამაჰმადხანი სწრაფის სიარულით მოადგა შუშის ციხეს. მაგრამ იგი ფრიად გამაგრებული იყო, ამიტომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაენი აიყარა და განჯით თბილისზე გამოეშურა 70,000 მეომრით.

ოვგელიგე ეს ისე სწრაფად და მოულოდნელად მოხდა, რომ ერეკლემ ვერ მოასწრო შემოკრება თვისის მხედრობისა. 10 ენკენისთვეს 1795 წელს ყაენი კრწანისის მხრით მოადგა თბილისს. მეფეს ჰყვანდა 5000 მეომარი ⁄ 2000 სოლომონ მეფისა, აგრეთვე ბატონიშვილებისაგან კიდევ მოელოდა ათ-ათ ათასს რაზმებს. თვითონ მეფე იდგა კრწანისის ვიწროებში, ხოლო ბატონიშვილი დავით გიორგისძე სოლოლაკ-ტაბახმელას გზაზე, ვახტანგი თუშ-ფშავ-ხევსურებით კრწანისის ბოლოს. შეიბნენ მწკავედ. ყიზილბაშთ გაიმარჯვეს. მეფე 140 კაცით განიგლტო ანანურს. დავითი თავის რაზმით გაეცალა მტერს და მესამე დღეს აგრეთვე მიეიდა ანანურს. სოლომონ მეფე იმერეთს დაბრუნდა. ამასობაში მტერმა აიღო თბილისი, აოხრა. მეფემ ფიცხლავ შეჰკრიბა დიდძალი ლაშქარი და დაუპირა თავს-დასხმოდა მტერს, მაგრამ იგი ალარ დადგა; ენკენისოვის გასულს აიყარა და განჯით სპარსეთს გაიქცა. თბილისში, ქართველებთან ბრძოლის დროს, მოკლულ იქმნა 13000 მეომარი ყაენისა.

ერეკლემ დავით ბატონიშვილი გამოგზავნა თბილისს და ურბძანა დანგრეულ ქალაქის აშენება ⁄ გადასხვეწილ მცხოვრებლების მოყვანა და დავანება.

მეორე წელიწადს მეფე წავიდა განჯას, აიღო იგი, მოაოხრა განჯის არემარე, ჯავად ხანს წაართვა თბილისიდამ წაყვანილნი ტყვენი (1000-მდე სული), დახარკა ⁄ დიდის ალაფით დაბრუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარსელთ, უკუ-ქცევის დროს, დაეპყრათ ერეკლის სახსნოც და იქაური ხანი ტყვეთ წაეყვანათ. ეს ხანი გზიდამ გამოჭეპრადათ და საქართველოში მოსულიყო. ერეკლემ იგი ისევ ერეკლის ხანად დაადგინა, ამისგამო ხანმაც ძველებურად ხარკის მოტემა იტვირთა. იგი ხარკს იხდიდა (80,000 მან.) თვით გიორგი მეფის გარდაცვალებამდე.

ალამაჭმადხანი შინაყმებმა მოჭკლეს 1797 წ. მისი მოჭრილი თავი მოლალატეებმა წაიღეს ჭარს და იქ დამარხეს*).

ერეკლეს გარდაცვალება (11 იან. 1798 წ.). დამარცხებით დანაღვლიანებული მეფე წყალმანკით დასნეულდა. 1797 წელს საქართველოში მძვინვარებდა დიდი ჭირი. ხალხი ჭირის შიშით მთიან ადგილებში იყო დახიზნული. თვით მეფეც თელავის სასახლეში იდგა. 11 იანვარს დილის 7 საათზე სული განუტევა პატარა კახმა, მეფე ერეკლემ. შეიქმნა დიდი გლოვა და ტირილი. მეფის დაკარგვას იგლოვდნენ ყველანი: ამერნი, იმერნი,

---

*) ეს ამბები მოთხრობილია თანახმად თეიმურაზ ბატონიშვილისა, ბუტკოვისა და თვით ერეკლე მეფის ბარათებისა. ერთ ამ ბარათთაგანში (ბარათი 1788 წ.) მეფე უბრძანებს თიანელთ (თუშ-ფშავ-ხევსურთ) კომლზე თითო კაცი სალაშქროდ უნდა გამოიყვანოთო. „ასე რომ გამოხვალთო, სწერს ერეკლე, 40000 კაცი შეიყრებითო“. მეორე ბარათში (1795 წლ., ივნისის 14) მეფე ერეკლე, რომელიც უკვე შესდგომია თადარიგს ალამაჭმადხანის დასახვედრად, სწერს, რომ „ხუთი-ექვსი ათასი მეომარი მზად მყავს, ჯერ მთის კაცნი და უცხოს ქვეყნის ჯარები არ მოგვსვლიანო. ქართლისა და კახეთის ჯარი არც მესამედი მოსულაო და არც იმერლები. ჩვენ ჯარს დღე-დღეობით მეომრები ემატებიანო“ („მოამბე“)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუშ-ფშავ-ხევსურნი. მისი გვამი ხის ორკეტ კუბოში დაკრძალეს ჯ წასვენეს მცხეთას. ცხედრის გამოსვენებას თელავში შეკრებილი 20,000 მეომარი ზარბაზნისა ჯ თოფის სროლით მიეგება, ხოლო თუშ-ფშავ-ხევსურნი უსულო მეფეს შეჭლაღდებდნენ ტირილით; «ალსდეგ, გმირთ-გმირო, ნუ გძინავს: მტერთა ისმიან ხმანია...»

მეფენი

ქართლ-კახეთისა გიორგი XII (1798—1800 წ.)
იმერეთისა სოლომონ II (1790—1810 წ.)

ერეკლე მეფე სამჯერ იყო შეუღლებული. მეორე ცოლისაგან მას მიეცა გიორგი, ხოლო მესამე ცოლის დარეჯანისაგან: ლევანი, იულონი, კახტანგი, ანტონი, მირიანი, ალექსანდრე, მარიამი, ქეთევანი, ანასტასია, ეკატერინე, თეკლე, ელენე და პირველის ცოლისაგან თამარ. ლევანი 1782 წელს აღესრულა. ანტონი (თეიმურაზ) მამა მისმა ქათალიკოსად დაადგინა (1788 წ.). იულონს ცოლად ჰყვანდა რევაზ ამილახვრის ასული სალომე; კახტანგს დავით ინდრონიკაშვილის ასული მარიამ; მირიანი რუსეთს იყო წარგზავნილი და იქ მსახურობდა ღენერლის ჩინით; მარიამი მეეთხოვა თბილისის მოურავს ციციშვილს; ქეთევანი მუხრან-ბატონს; ანასტასია რევაზ ერისთავს; ეკატერინე გიორგი ჩოლა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყაშვილს; თეკლე ვახტანგ ორბელიანს; ელენე ზაქ. ანდრონიკაშვილს; თამარ დავ. ორბელიანს.

გიორგი ერეკლესძე ორჯელ იყო შეუღლებული. ანდრონიკაშვილის ასულის ქეთევანისაგან ჰყვანდა შვილები: დავით, იოანე, ბაგრატ, თეიმურაზ, სოფიო, ნინო, რიფსიმე, გაიანე, ბარბარე; გიორგი ციციშვილის ასულის მარიამისაგან: მიხეილ, ჯიბრაილ, ილია, ოქრობირ, ერეკლე, თამარ, ანნა. დავითი ერეკლემ წარგზავნა რუსეთს სამხედრო საქმეების შესასწავლად. მას ებოძა ლენერალ-ლეიტენანტობა. სამშობლოში რომ დაბრუნდა, შეირთო ანამელიქის ასული ელენე; იოანეს ცოლად ესვა წერეთლის ასული ქეთევან; ბაგრატს ჩოლაყაშვილის ასული ეკატერინე; თეიმურაზს ამილასვრის ასული ელენე; სოფიო ცოლად ჰყვანდა ლუარს. თარხნიშვილს; ნინო გრიგოლ დადიანს; რიფსიმე დ. ჩოლაყაშვილს; ბარბარე ანდრონიკაშვილს.

ბატონიშვილების სიმრავლემ ქსელივით გადაბა და გადახლართა საქართველოს დიდებულთა გვარეულობანი მეფის ოჯახთან. ესრეთი კავშირი საკეთილო იქმნებოდა ქვეყნის ერთობის სიმტკიცისათვის, თუ თვით მეფის ოჯახში ყოფილიყო ერთსულობა, სიყვარული და ერთობა. ვიცოდით, ერეკლეს ოჯახში სუფევდა ორი ბანაკი: დარეჯანისა და გიორგი ბატონიშვილისა. ვირველ ბანაკს მხარს აძლევდნენ დარეჯან დედოფლის შვილები და მათნი მოყვარენი, ხოლო მეორეს გიორგის შვილები და მათნი მოყვარენი. ვირველ ბანაკს ჰსურდა ერეკლეს სიკვდილის შემდეგ ძმებს ემეფნათ ჩამორიგებით (უფროსუმცროსობის მიხედვისამებრ), ხოლო მეორეს სწადდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში დატულიყო ძველი წესი მემკვიდრეობისა. სულთ-მობრძავ ერეკლე მეფეს, სიკვდილის წინა ღამეს, შეუხნდა დარეჯანი და გამოსტეუა სიტყვიერი ანდერძი „ჩამორიგებით მეფობისა“.

სახელოვანმა და გმირმა მეფემ რომ სული განუტევა (11 ივნ. 1798 წ.), გიორგიმ თავისი თავი მეფედ გამოაცხადა. ქიზიყელებმა ერთგულობა შეჰფიცეს. ამ ამბავზე აირივნენ მისნი ძმანი. იულონი ქართლს გამგრდა. ვახტანგი არაგვის ხეობაში. თვრნაოზი სურამს. ალექსანდრე ყაზახ-ბორჩალოში. გიორგი მეფე თვიცხლავ მიკიდა ყაზახ-ბორჩალოს. ალექსანდრე განიკლტო დუშეთს. ყაზახ-ბორჩალომ გიორგი აღიარა მეფედ. აქედან მეფე წავიდა გორს და შემოიფიცა თავად-აზნაურნი და ხალხი. ამის შემდეგ გიორგი წავიდა თელავს, სადაც ჯერ ისევ ესვენა გვამი ერეკლესი; გიორგის მისვლამდის, დარეჯან დედოფალმა შეადგინა ქალალდი იმის შესახებ, რომ ეკკლესიებში გიორგიზე უწინარეს მოხსენებულ ყოფილიყო სახელი დარეჯანისა. გიორგიმ თავმოუკარე დედოფალს მტკიცედ უთხრა: „მეფობაში წილს ვერ დაგიდებო“. ერეკლეს გვამი წაასვენეს მცხეთას. შემოკრებულ კახელებმა ერთხმად აღიარეს მეფედ გიორგი და შემოსძახეს: „ცოცხლენ, მეფეო გიორგი“.

ძმები მაინც არ ნებდებოდნენ მას. ამიტომაც გიორგიმ მოაწერა ხელი ერეკლე მეფის ანდერძზე, რომლის ძალით გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ მეფობა უნდა რგებოდა იულონს. ამ ამბავმა ტოტათი დააშოშმინა გამწვავებული მდგომარეობა ქვეყნისა. დარეჯანი შეურიგდა მეფეს, ძმებიც ჩაჩუმდნენ. მაგრამ ეს ჩაჩუმება დრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებითი იყო. მალე დროში გავრცელდა ხმა, რომ დიდი ჯარი სპარსთა საქართველოში მოდისო. გიორგი მეფე შეშინდა. მას იმედი არა ჰქონდა, რომ მტერს დასძლევდა. ამიტომ განიზრახა ოსმალეთს მიმხრობოდა. ასლან ორბელიანი წარგზავნა ახალციხეს შემწეობის სათხოვნელად. ფაშამ შეატყობინა ხონთქარს, რომელმაც დაიბარა ორბელიანი. ამასობაში რუსეთიდგან დაბრუნდა გიორგის პირმშო შვილი დავით და მამას მოახსენა, იმპერატორი პავლე დიდ წყალობას გპირდებაო. მეფეს გაუხარდა. სწრაფად წარგზავნა კაცი ახალციხეს და სტამბოლში წასასვლელად გამზადებული ორბელიანი უკანვე მოიხმო. ამის შემდეგ გარსევან ჭავჭავაძეს მეფემ რუსეთს გაატანა ბარათი და ითხოვა იმპერატორისაგან: ა) რომ იგი დაემტკიცებინა საქართველოს მეფედ, ბ) მისთვის მფარველობა გაეწია, გ) მემკვიდრედ დაემტკიცებინა დავითი, დ) დარწმუნებინა მეფე აღთქმით, რომ მისნი შთამომავლნი საუკუნოდ იმეფებენ საქართველოში.

იმპერატორმა ყოველივე შეუსმინა და ნათხოვნი დაუმტკიცა და ამასთანავე საქართველოში წარმოგზავნა ღენერალი ლაზარევი ერთის პოლკით ჯ მინისტრად, მეფის კარზე სამყოფად, კოვალენსკი (26 ნოემბ. 1799 წ.).

ამ ამბავმა დიდი შფოთი ასტეხა ძმათა შორის. იგინი გადატეხვიდნენ ზოგი იმერეთს, ზოგი ახალციხეს, ზოგი სპარსეთს ანუ დაღისტანს და ითხოვეს შემწეობა გიორგის დასამხობად. ბატონიშვილების მომხრე იყო დარეჯან დედოფალი, რისგამო მეფემ მას ჩამოართო საუფლისწულო მამულები და სარჩენად დაუნიშნა ყოველწლიურ 822 მან. ალექსანდრე წამოუძღვა ომარხანს და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოადგა საგარეჯოს ლეკის 20000 მეომრით. გიორგი მეფის ძენი იოანე და ბაგრატ 10000 ქართველი მეომრით და რუსის ჯარით შეებნენ ომარხანს იერის ნაპირზე ნიახურას და დაამარცხეს. ომარხანი გაიქცა ჭარს და იქვე მოკვდა. ალექსანდრე იულტო სპარსეთს. (17 ნოემბ. 1800 წ.).

17 ნოემბ. 1800 წ. მეფისაგან წარგზავნილ ელჩებმა—გარსევ. ჭავჭავაძემ, გიორგი ავალიშვილმა და ელიაზარ თალაკანდიშვილმა რუსეთის სამინისტროში შეიტანეს შემდეგი თხოვნა: ა) მეფე გიორგის, მის ხელისუფალთ, სამღვდელოებას და ხალხს ჩსურთ ქვეშევრდომობა რუსეთის იმპერატორისა, ბ) მეფე ითხოვს, რომ იგიცა და მისნი მემკვიდრენიც დაშთნენ მეფის სახელწოდებით და ჩქონდესთ უპირატესობა საქართველოს სამეფო გამგეობაში იმ კანონების მიხედვით, რა კანონებსაც მოსცემს იმპერატორი; გ) მეფეს დაენიშნოს ჯამაგირი და მიეცეს სოფლები რუსეთში, ხოლო საქართველოს შემოსავალი გადავიდეს იმპერატორის განკარგულებაში; დ) მოიჭრას ფული ზედ-წარწერით ერთ მხარეზედ იმპერატორის სახელისა და მეორეზე საქართველოს ღერბისა; ე) მეფის ქვეშევრდომნი ყოველის მხრივ გათანასწორებულ იქმნენ რუსებთან, ვ) საქართველოში შემოვიდეს რუსის ჯარი, ქართველთა მილიციონერებს ნება ჩქონდესთ იმსახურონ თავიანთ საერო ტანთ-საცმელითვე, განჯისა და ერევნის ხანები ძველებურადვე მეფის დამოკიდებულებაში დაშთნენ.—ყველა მუხლები ამ თხოვნისა უმაღლესად დამტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცებულ იქმნა იმპერატორის პავლეს-მიერ 19 ნოემბერს 1800 წელს *).

ვიდრე რუსეთიდგან დაბრუნდებოდნენ ავალიშვილი და ფალავანდიშვილი, გიორგი მეფე უკვე აღესრულა (22 დეკ. 1800 წ.). ავალიშვილმა და მისმა ამხანაგმა რომ მოაწიეს თბილისს, გიორგისძეს დავითს სიტყვიერად გადასცეს, რომ მან, ვითარცა მემკვიდრემ, იტვირთოს გამგეობა სამეფოსი ლაზარევთან ერთად (ბუტკ. ტ. III, გვ. 331). დავითიც შეუდგა სამეფო საქმეების გამგეობას, მაგრამ ლაზარევს ბრძანება მოსვლოდა, დავითისთვის ნება არ მიეცა არა რისამე განკარგულების მოსახდენად საქართველოში (იგივე ტ. III, გვ. 332).

18 იან. 1801 წ. პეტერბურღში გამოცხადებულ იქმნა უმაღლესი მანიფესტი საქართველოს რუსეთთან შეერთების შესახებ. იგივე მანიფესტი თბილისში გამოცხადეს 16-სა და 17 თებერვალს ქართველთა და სომეხთ ეკკლესიებში. 19 თებერვალს რუსეთს წარგზავნეს გიორგი მეფის ძენი იოანე, ბაგრატ, მიხეილ და განსვენებული მეფის სიმამრი სარდალი გიორგი ციციშვილი. 20 თებერვალს მცხეთაში დამარხეს გიორგი მეფე. საქართველოს მართებელ კნორინგმა გააუქმა დავითისმიერ მოხდენილნი განკარგულებანი და დააწესეს (1801 წ. 8 მაისს) დროებითი მმართველობა—უმაღლესი თბილისში ღ დამოკიდებულნი—გორსა ღ თელავში. უმაღლეს მმართველობის თავმჯდომარედ დაინიშნა ლაზარევი. ქართველ

*) იხ. ბუტკოვი (ტ. II, გვ. 461 – 462).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონიშვილებს ამ მმართველობაში არავითარი მონაწილეობა არ მიეცათ. (ბუტ. III, გვ. 338).

12 მარტს 1801 წ. აღესრულა იმპერატორი პავლე და ტახტზე აღვიდა იმპერატორი ალექსანდე I. ამ ხელმწიფეს საქართველოს რუსეთთან შეერთება არ ჭსურდა და ამიტომაც სახელმწიფო საბჭოს შეეკითხა: „საქართველოს რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომად მიღება უსამართლობა ხომ არ იქმნებაო“. სახელმწიფო საბჭომ განიხილა ყოველივე დაწვრილებით და იმპერატორს მოახსენა საქართველოს შემოერთება სასარგებლო იქმნება თვით ქართველებისთვისაო. ამის შემდეგ იმპერ. ალექსანდრემაც გამოსცა მანიფესტი (12 ენკ. 1801 წ.) და დაამტკიცა საქართველოს შეერთება რუსეთთან. ეს მანიფესტი გამოცხადებულ იქმნა თბილისში 12 აპრ. 1802 წელს.

—

იმერეთი. ამერეთს რომ იბრძოდნენ ბატონიშვილები, იმერეთშიაც იმ დროს ჩხუბობდნენ მეფე სოლომონი და დადიანი გრიგოლ. მათი ჩხუბის მიზეზი ის იყო, რომ მეფეს ჭსურდა დადიანის მძლავრობა აელაგმა და ლეჩხუმ-ოდიში თვითონ დაეჭირა. მეფე კარგად ჭსედავდა, რომ ქვეყნის სახსნელად ერთად-ერთი და გზა დარჩენილ იყო—შეერთება ყველა სამთავროებისა. რაჭა, შორაპანი და დანარჩენი იმერეთი უკვე შემოემტკიცებინა მეფეს. გურიაში მთავრობდა მის-მიერ დადგენილი გურიელი. ამ გვარადვე საჭირო იყო მეფეს დამორჩილებოდა დადიანიც, რათა საერთო ძალით მოეგერებინათ მრავალნი მტერნი. ხოლო მძლავრი დადიანი გრიგოლ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიტუაციურად მეგობრობდა მეფეს, საქმით კი ჩუმად მეფის საწინააღმდეგო კვერს ჭკვერავდა. ამ მებატონეს თვიჭრადაც არ მოსდიოდა, რომ მტერნი „მრავალ იუკნენ“ და ეხლა საჭირო იყო პირმტკიცეობა და მორიგება. მორჩილებისა და მორიგების მაგიერ გრიგოლი შეკიდა ლეჩხუმში, მოჰკლა ამ კანჭულის პატრონი ქაიხოსრო გელოვანი და ლეჩხუმი შეუერთა ოდიშს (1799 წ.). მეფემ შემოიკრიბა ჯარი, შეკიდა ოდიშში, გრიგოლი განაძევა და დადიანად დასვა მისი ძმა მანუჩარი. გრიგოლ გაიქცა ლეჩხუმს და გამაგრდა მურს. მეფე და მანუჩარი მივიდნენ ლეჩხუმს. გრიგოლი შემოეკედრა მეფეს: ჩემს ძმას ნუ მიემხრობი და ლეჩხუმი ჭუკიშის ციხითურთ შენი იყოსო. მეფე რაჭას გადავიდა. ძმები შერიგდნენ. გრიგოლმა დაპირებული არ აღუსრულა სოლომონს. მეფე მოვიდა, ჭუკიში აიღო და დაებანაკა ლაილაშს. გრიგოლი თავის ჯარით დადგა ურხელოს. შეიბნენ ძმანი ესე ადგილსა „უსახელოს სახელოვანად მბრძოლნი“. გრიგოლი დამარცხდა და მურს გაიქცა. მეფე შემოერტყა დეხვირის ციხეს, რომელიც გაემაგრებინა ყრუაშვილს. ეს ციხეც დაანგრია სოლომონმა და დაიპყრო მთელი ლეჩხუმი. გრიგოლი ოდიშს გაიქცა. მეფემაც ლეჩხუმის გამგებლად დაადგინა გელოვანი ქაიხოსროსძე და ქუთაისს დაბრუნდა.

გრიგოლმა იცოდა, რომ მეფეს ვერარ გაუმაგრდებოდა. ამიტომ შემწეობა ითხოვა ოსეთის მთავრის ქელაიშბეგისაგან. ამან მძევლად მოსთხოვა შვილი ჯ ფუული. გრიგოლმა წარგზავნა მცირე-წლოვანი მემკვიდრე თვისი ლევანი ჯ თეორიც მიართვა. ქელაიშ დიდი ჯარით მოვიდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დადგა აბედათს. მეფე დაებანაკა იკანდიდს. ქელაიშ-ბეგმა ვერ გაბედა შებმა და უკანვე დაბრუნდა. მეფემ დაიჭირა ოდიში. გრიგოლი წავიდა გორდს და იქიდგან წარგზავნა თბილისს საქართველოს მმართველ ციციანოვთან ელჩი და მოახსენა: თუ რუსეთის იმპერატორის ქვეშევრდომობასა და მფარველობაში არ მიმიღებთ და არ შემეწეთ, ხანთქარს ვეუმობიო". ციციანოვმა შეუთვალა: „შენი სანდო კაცები გამომიგზავნეო". გრიგოლმა გამოგზავნა მღვდ. სვიმონ ასათიანი და გიორგი გუგუნავა. ციციანოვის-მიერ წარგზავნილი მაინოვი დადიანმა მიიღო დიდის სიხარულით, შემოიკრიბა სამეგრელოს დიდებულნი და 4 დეკ. 1803 წელს მიიღო ფიცი იმპერატორის ქვეშევრდომობისა. მაინოვმა გრიგოლს მიართვა ორდენი ალექსანდრე ნეველისა.

ამის შემდეგ რუსის ჯარი ჩადგა ხობს, ოდიშს და ლეჩხუმს. მალე გრიგოლი მოკვდა (24 ოქტ. 1804 წ.). ექიმი ნიკოლო გრიგოლის მოწამლვას აბრალებდა მისივე მეუღლეს ნინოს...

დადიანობა იმპერატორმა უბოძა გრიგოლისძე ლევანს, რომელიც მძეგლად ჰყვანდა ქელაიშ-ბეგს. რუსის მთავრობამ ქელაიშს მოსთხოვა ლევანი. მან უარი შემოუთვალა. დიდძალი ჯარი რუსისა შევიდა ათხაზეთში და გამოიყვანა ლევანი. 10 ივნისს 1805 წელს ლევანს ებოძა ხელმწიფის ღრამტა, რომლის ძალით მთავრის დაკაკვანებამდის სამეგრელოს მმართველად დაინიშნა მისი დედა ნინო, ასული ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ისა. დადიანები სამეგრელოში მთავრობდნენ 1867 წლამდე. ხოლო ამ წელიწადს 4 იანვარს ნიკოლოზ დადიანმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვისნი მფლობელობითნი უფლებანი სამეგრელოს-სამთავროისა რუსეთის ხელმწიფეს დაუთმო 1,000,00 მანათად.

12 აპრ. 1802 წელს თბილისში რომ გამოაცხადეს მანიფესტი შესახებ საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, ამან მალე დიდი მითქმა-მოთქმა დაბადა. ამ მითქმა-მოთქმათა მოთავედ აქაური მმართველი ენგრინგი სთვლიდა გარს. ჭავჭავაძეს. ამ გარსეკვანს ბეტერბურღიდგან მოეწერა წერილები თავად-აზნაურობისა და ხალხისათვის და ერჩია მათთვის შეედგინათ ქალალდი და მოეხსენებინათ იმპერატორისათვის, რომ მათ არასდროს უარი არ უყვიათ მეფობა ბაგრატიონებისა და ეთხოვნათ მეფე (ბუტკ. ტ. III, გვ. 347).

ჭავჭავაძის ამ გვარმა რჩევამ იმედი აღუფრთოვანა ბატონიშვილებს და თავადებს. კახეთში და ზოგიერთგან ქართლშიაც მეფედ გამოაცხადეს იულონი. ყაენმაც სოლომონ ძეფეს მისწერა მოხმარებოდა იულონ მეფეს. რუსის ჯარი წავიდა სიღნაღს და დაამშვიდა განდგომილები (1802 წ.). იმავე დროს ტუჩკოვი შეკიდა არაგვის ხეობაში და დაატუვევა ვახტანგ ბატონიშვილი. სიმონოვიჩი მიეიდა სურამს, იულონი და ფარნაოზი გადავიდნენ იმერეთს.

სოლომონ მეფის მდგომარეობა გასაჭირი შეიქმნა. სამეგრელოს მხრივ და ქართლის მხრივ მას დაუმეზობლდნენ რუსნი. თბილისის მმართველებისათვის საჭირო შეიქმნა პირდაპირი გზა ქართლიდამ სამეგრელოში გადასასვლელად. ეს გზა ეჭირა დამოუკიდებელ სამეფოს სოლომონისას. ყოველივე ეს და აგრეთვე ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარემოებაც, რომ სოლომონი ბინას ამლეკდა იულონს და თვარნაოზს, მთავარ-მმართებელს ციციანოვს იძულებულ ყოფს მიწერ-მოწერა გამართოს სოლომონთან.

მეფეს სთხოვენ გამოაძეოს იულონი და თვარნაოზი და ამას გარდა მოსტეს აგრეთვე იმერეთში დამწყდეული კოსტანტინე, ძე მეფის დავით II-ისა. სოლომონი ორთავე თხოვნას უარ-ყოფს. მაგრამ მცირე ხნის შემდეგ იგი იძულებული ხდება დააკმაყოფილოს ციციანოვის თხოვნა. სოლომონი თბილისს გზავნის ლიონიძეს და ითხოვს იმპერატორის მფარველობას იმ პირობით, რომ იგი შთამომავლობითურთ დამტკიცებულ იქმნეს იმერეთის მეფედ, თუ შვილი არ მიეცა, მემკვიდრედ დანიშნოს ზემორე ხსენებული კოსტანტინე. ამგვარ თხოვნით ლიონიძე მიდის პეტერბურღს (5 აგვ. 1803 წ.), ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლების დაფიცება იმპერატორის ქვეშევრდომად. სოლომონი კვლავ გამოეცხადა ციციანოვს (25 აპრ.) და რუსეთის ხელმწიფეს შეჰფიცა „საუკუნო ყმობა და ქვეშევრდომობა“ იმ პირობით, რომ იგი და მისი შთამომავლნი მარადის დაშთნენ მეფედ იმერეთისა. იმერეთის რუსეთთან შეერთება უმალლესად დამტკიცებულ იქმნა 4 ივლისს 1804 წ. ლიტვინოვი რუსის ჯარით ჩადგა ქუთაისს. სოლომონ მეფე დადგა ვარდციხეს.

მაგრამ ვარდციხეს დიდხანს ალარ დარჩა სოლომონი, იგი იდუმალად სცდილობდა ოსმალნი შემოეუკანა და გაერეკნა რუსნი. ეს გაუგეს მას. რუს-მეგრელ-გურულთა ჯარები მიესივნენ მეფეს. იგი გამაგრდა ხანის წულის ხეობაში. საქმე რომ გასჭირდა. სოლომონი გამოეცხადა რუსებს და თავისი სიმართლე გამოუცხადა მათ. მეფე გამოგზავნეს თბილისს (1810 წ. აპრ.) და დამწყვდიეს სუმბათაშვილის სახლში. 10 მაისს იგი გაიპარა და 13-ს მივიდა ახალქალაქის სოფელ კოტელიას, სადა იყო ალექსანდრე ერეკლესძე. სოლომონთან ერთად გაიპარნენ აგრეთვე ქაიხოსრო, როსტომ და სვიმონ წერეთლები, დავით ერისთავი და სხვანი, სულ 23 კაცი. კოტელიიდგან იგინი მივიდნენ ახალციხეს და ოსმალთა ჯარით გადავიდნენ იმერეთში, მაგრამ ვერას გახდნენ. მრავალგან და მრავალჯერ დამარცხებული სოლომონ მეფე ბოლოს წავიდა ტრაპიზუნტს და იქ აღესრულა (1815 წელს). იგი იქვე დამარხეს ბერძნების ეკკლესიის ეზოში.

გურია. 1810 წელს სოლომონ მეფე რომ თბილისს გამოისტუმრეს, იმერეთი დაიჭირა რუსთა მხედრობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამია გურიელს იმის მეტი გზა აღარ დარჩენოდა, რომ იმპერატორის ქვეშევრდომობა მიეღო. 8 აპრ. 1811 წელს იგი დამკტიცებულ იქმნა გურიის მთავრად. მამიამ ოზურგეთში გახსნა სკოლა, გამართა «მარიონობა» (ირმუკა), მოიწვია მემუსიკენი, მსახიობნი და სხ. გურიის ერის ყოფა-მდგომარეობა წარმატების გზას დაადგა. 1826 წ. 21 ნოემბერს გარდაიცვალა მამია, რომელსაც დარჩა მცირეწლოვანი მემკვიდრე დაკითი. გურიის გამგეობა გადაეცა „რჩევას“, რომლის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა მამიას მეუღლე სოფიო. „რჩევაში“ ერიგნენ ისეთი კაცები, რომლებიც მოწინააღმდეგენი იყვნენ სოფიოს ოჯახისა. 1828 წელს სოფიო მიემხრო ოსმალებს და გაიქცა ტრაპიზუნტს, საცა წაიყვანა თავისი შვილები: 8 წლის დაკითი და 14 წლის ეკატერინე. სოფიოს ხელმძღვანელი იყო დაკით მაჭუტაძე. მისი გაქცევიდამ არა გამოვიდა-რა იმის მეტი, რომ სოფიომ საუკუნოდ დაჭკარგა „გურიელობა“. სოფიო იქვე ოსმალეთში გარდაიცვალა (7 სექტ. 1829 წ.). მისი მცირეწლოვანი ობლები სტამბოლს დაბინავდნენ (1831 წ. იანვ.). მალე ეკატერინეს სილამაზე გაითქვა სტამბოლში. ხონთქარმა მოისურვა იგი ცოლად შეერთო. მაგრამ ეკატერინემ უარი შეუთვალა. 15 სექტ. 1833 წ. ბიტონიშვილები დაბრუნდნენ გურიაში. დაკითი წაიყვანეს პეტერბურგს და მიაბარეს „პაჟების“ კორპუსში. იგი მოკლულ იქმნა დაღისტნის ომში. ეკატერინე მისთხოვდა ლეკან ჩიჩუას (1834 წ.). ქმარი რომ მოუკვდა, ეკატერინე პეტერბურგს გადასახლდა (1844 წ.) და იქვე აღესრულა.

აფხაზეთი. რუსთა იმერეთში დამკვიდრების დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათხაზეთის მთავრად იყო ქელაიშ ბეგ შარვაშიძე, კეთილ-ხოვანი, ძლიერი და მდიდარი. მას ულალატა შვილმა სლან-ბეგმა და აყუს ციხეში მოჰკლა, ათხაზეთი კი თვითონ დაიჭირა. სლანბეგს ჰყავდა ძმა სათარ ბეგ, სიძე დადიანისა. იგი მოვიდა ლეკან დადიანთან და ითხოვა შემწეობა. რუს-მეგრელთა ლაშქარმა დაამხო მამის მკვლელი და ათხაზეთი დაუმორჩილა სათარბეგს, რომელიც რუსთა მფარველობაში შეკიდა (1808 წ.). სათარბეგი მოკვდა 1821 წ. და მის მაგიერად მთავრად დაჯდა მისი შვილი დიმიტრი, აღზრდილი პეტერბურღში. ეს დიმიტრიც მოკვდა 1824 წ. უმემკვიდრეოდ. გამთავრდა მისი ძმა მიხეილი, ღენერალ-ადიუტანტი. მალე მიხეილი განუდგა რუსებს. ათხაზეთში დიდი აჯანყება მოხდა. რუსებმა შეიპყრეს მიხეილი და კარონეყში დაასბინავეს. იგი იქვე მოკვდა 1866 წ. გვამი მისი მოასვენეს ათხაზეთს. ამ დროს ათხაზნი კიდევ აჯანყდნენ და დახოტეს იქაური უფროსები. მაგრამ მალე იგინი დაუწყნარეს. მრავალი ათხაზი ოსმალეთში გადასახლდა.

სვანეთი სამ ნაწილად იყოფებოდა: საბალონოდ ანუ სადადეშქელიანოდ, სადადიანოდ და თავისუფალ სვანეთად. ყველა ამ ნაწილებში 15,000-მდე მკვიდრია. წინად სვანეთს განაგებდა ერისთავი. საქართველოს განაწილების შემდეგ სვანეთის ერთი ნაწილი (ცხენის წყლის ხეობა) დაიჩემა დადიანმა, ენგურის ხეობის ქვემო ნაწილი დაიპყრეს დადიშქელიანებმა, ხოლო იმავე ხეობის ზემო ნაწილი თავისუფლად ან დამოუკიდებლად დაშთა. ზეპირგადმოცემით დადიშქელიანები არიან ნათესავნი დაღისტნის შამხლებისა. იგინი მე-XV საუკუნეში დამკვიდრდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ სვანეთში და ბრძოლა აუტეხეს აქაურ ძლიერ გვარს
რიჩქიანებისას. იმამ დადიშქელიანმა სიკვდილის წინად თა-
ვის შვილებს უანდერძა: «რიჩქიანები გასწყვიტეთ ! მათი და-
ლუშვის ამბავი ¹ საოჯახოში ჩამოამძახეთო. მაშინ მე სიხა-
რულისაგან გავცოცხლდებიო. მე XVIII ს. ნახევარს სა-
ბატონო სვანეთს განაგებდა ოთარ დიდი დადიშქელიანი.
ამ ოთარის შვილებსა და მათ ბიძას თენგიზს შორის
მოჭხდა დიდი შეფოთი. თენგიზის შვილი ბაბა ტიოხი
მწვავედ გადაეკიდა თავის ნათესავებს. ბაბა-ტიოხის შვი-
ლებმა მე XIX საუკ. დამდეგს დადიშქელიანები განაძევეს
სვანეთიდგან. მაღე მათ შორისაც უთანხმოება მოჭხდა.
თათარხანმა დაიბერო ეცერი, ბეჩო, ლეჩქინი და შეეცა-
და დაეჭირა ჩუბიხევიც, რომელიც ეკუთვნოდა მის ძმის-
წულს ტიოხს. ამ ტიოხს შეეშინდა და 1833 წ. რუსე-
თის მფარველობა ითხოვა. იგი დაამტკიცეს ჩუბიხევის
მთავრად. მას მიჭბაძა თათარხანმაც. იგიც დაამტკიცეს
მთავრად ეცერისა, ბეჩოსი და ლეჩქინისა. ამასთანავე
ორთავენი მოინათლნენ. ტიოხს დაერქვა მიხეილი და
თათარხანს ნიკოლოზი. ტიოხი მოკვდა 1841 წ. მას
დარჩნენ ძენი: კოსტანტინე, ალექსანდრე, ისლამი, თენ-
გიზი და ტიოხი. თათარხანი აღესრულა 1851 წ. ! დას-
ტოვა შვილები ჯანსუხა და ოთარი. მაღე მათ შორის
სისხლი ჩამოვარდა. ამის მიზეზად შეიქმნა ის გარემო-
ება, რომ 1843 წ. თათარხანს დაეწვა დიდედა ტიოხის
(მიხეილის) შვილებისა გმოხო. ახლა ტიოხის შვილებმა
თენგიზმა და ისლამმა მოჭკლეს თათარხანის შვილი ჯან-
სუხი (1855 წ.). ჯანსუხის შვილები გაიქცნენ სამეგრე-
ლოს და კოსტანტინემ დაიბერო ეცერი (1855 წ). ამავე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონსტანტინემ 1857 წლამდე დაიჭერა მთელი საბატონო სვანეთი და აგრეთვე შემოიერთა თავისუფალ სვანეთის ორი საზოგადოება. რუსის მთავრობამ შეარიგა დადიშქელიანნი მიხედვისამებრ 1833 წლის ტრაქტატისა. ამ საქმის გასათავებლად კონსტანტინე ქუთაისს ჩავიდა. ქუთაისის გუბერნატორ გაგარინმა მას გამოუცხადა დროებით თბილისში უნდა წახვიდეო. კონსტანტინე გაჯავრდა და სასიგვდილოდ დასჯრა გაგარინი, თავი გადუჩეხა მის მოხელეს ილინს, აგრეთვე მოჰკლა ათიცერი არდაშვილი (1858 წ.). კონსტანტინე ჩამოარჩვეს.

ბატონიშვილები და დედოფალნი. 4 სექტ. 1802 წელს საქართველოს მმართველად დაინიშნა პავლე ცეციანოვი, რომელიც იყო შვილი ვახტანგ მეფესთან ერთად რუსეთში გადასახლებულ დიმიტრი ცეციშვილისა. ეს დიმიტრი იყო ერთი თანა-მოლვაწეთაგანი მოსკოვში დასახლებულ ბაქარ მეფისა. პ. ცეციანოვი საქართველოში რომ მოვიდა, იმპერატორს მოახსენა: საქართველოს დასაწყნარებლად საჭიროა მეფის გვარეულობის წარმომადგენელნი რუსეთში გადასახლებულ იქმნენო. ამის ნება-რთვა რომ მიიღო, დედოფლებს და ბატონიშვილებს სთხოვა წასულ იყვნენ რუსეთს. ზოგმა შეიწყნარა მისი თხოვნა და ზოგმა არა. გადასახლების დიდი მოწინააღმდეგე იყო ერეკლე მეფის მეუღლე დარეჯან დედოფალი, გიორგი მეფის ქვრივი მარიამ, ერეკლეს ძენი ლ იულონისძე ლევან. მრავალის მეცადინეობის შემდეგ უველანი გარდასახლებულ იქმნენ, გარდა ალექსანდრე ერეკლეს ძისა და ლევან იულონისძისა.

1805 წ. 25 აპრ. ლევანი და ალექსანდრე ერეკ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის სასანოში მეცადინეობდნენ შეეკრიბათ ჯარი ლ საქართველოში შემოსულიყვნენ. 1806 წელს ალექსანდრემ ოსეთში გამოგზავნა ლეკანი და აჯანყა ოსნი. 1807 წელს ალექსანდრე ოსმალოს ჯარით შეება რუსებს, მაგრამ დამარცხდა. ლეკანის შესაშურობად მთავრობამ ბევრი ლონე იხმარა, მაგრამ იგი ვერ დაიჭირა. ხან ერთ ღელეში აღელვებდა ოსებს, ხან მეორე-მესაეში. მას გაუგზავნეს წერილი მისის მამისა, რომელიც სთხოვდა დანებდი მთავრობას და ჩემთან რუსეთში გადმოსახლდიო. მაგრამ მან არ შეიწუნარა ესრეთი თხოვნა. ლეკანს ხელახლა გაუგზავნეს მოწოდების წერილი, რომელიც მისოსტ ჩალიკაშვილმა გაატანა ქოჩიშვილს ლეკანისთვის გადასაცემად. ბატონიშვილმა ამ წერილის პასუხად მისოსტს მოსწერა: „ამ ქოჩიშვილმა შენი გამოგზავნილი წერილი მომიტანა. და შენც შეგარცხვინა და იმ წიგნის მომწერიც“. ბოლოს გამოაცხადეს 500 მან. ჯილდო იმისთვის, ვინც ან ცოცხალს შეიპყრობდა და ან წარმოადგენდა მის თავს. ლეკანი მოკლულ იქმნა გოგის-ციხის ხეობაში (1811 წ.) გვამი მისი დასასთელავეს ყინცვისის მონასტერში.— ალექსანდრემ 1811 წელს აჯანყა კახეთი, რომელსაც ამ აჯანყებით დიდი ზარალი მიეცა. ბოლოს იგი მოკვდა თეირანში (1844 წ.). მას დარჩა მეუღლე მარიამი და ძე ერეკლე, რომელიც ერევნიდამ პეტერბურგს წაიყვანეს. ეს ერეკლე აღესრულა თბილისში (1882 წ. 27 აპრ.).

დედოფალი მარიამ. 18 აპრ. 1803 წ. რუსის მთავრობამ შეიტყო, რომ დედოფალი მარიამ აპირებს თბილისიდგან გაქცევასო. ციციანოვმა ლენერალ ლაზარევს უბრძანა დედოფლის შეპყრობა და რუსეთში გადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლება. 19 აპრილს, დილის ექვს საათზე, ლაზარევმა ჯარი შემოარტყა დედოფლის სასახლეს. ყარაულები გარეთ დააყენა და თვითონ რამდენიმე ათეცრით დედოფლის საწოლ ოთახში შეეიდა. დედოფალმა მრისხანედ მოახსენა, საქართველოს თავს არ დავანებებო. ლაზარევი გარეთ გავიდა განკარგულების მოსახდენად. მერე ისევ შეირბინა ოთახში და დედოფალთან მიეიდა. მარიამმა უცბად ამოაძრო საბან ქვეშ დამალული ხანჯალი და ღენერალს ღონივრად ჩასცა მარცხენა გვერდში. ლაზარევი იქვე დაეცა უსულოდ. დედოფალი წაიყვანეს რუსეთს და ბელგოროდის მონასტერში დაამწყვდიეს. იგი რუსეთშივე აღესრულა. გვამი მისი საქართველოში მოასვენეს და დიდის დიდებით დაკრძალეს მცხეთის ტაძარში (1851 წელს 30 მარტს).

დედოფალი დარეჯან თბილისში სცხოვრობდა. მას დიდი მიწერ-მოწერა ჰქონდა გაქცეულ ბატონიშვილებთან. ციციანოვმა ეს კარგად იცოდა და ქალაქიდგან გასვლის ნებას არ აძლევდა. მაგრამ ბოლოს დარეჯანმა თავი მოიავადმყოფა ⁄ ციციანოვს სთხოვა მუხრანში წასვლის ნება მოემეცია. მუხრანში მყოფობის დროსაც ეს დედოფალი წინამძღვრობდა განდგომილებს. ამიტომ იგი გადასასახლეს რუსეთს, სადაც აღესრულა 8 ნოემბ. 1807 წელს. ამ დედოფლის ამალის ერთი წევრთაგანი—გაბრ. ჭილაძე პეტერბურღიდგან სწერს თბილისის ექიმს თათულას *:—უფალმა „მიგვიღო უკანასკნელი, უცხოებასა ამას შინა, ნუგეში ⁄ მოგვაკლო ჩვენ საზოგადოსა და-

*) წერა-კ. „ისტორიათა მასალა“ №427.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასა და მეფარველსა ჩვენსა საქართველოს დედოფალს დარიას, ესე ვითარსა ღვთაებრ მოწყალესა გვამსა, რომელიცა არა მხოლოდ ჩვენზედა, არამედ ყოველთა იწრეებათა ჯ უბედურებათა ბნელ მორტყმულთა ზედა მოჩნდა სხივთა ლმობიერთა და ხელის აპყრობასა მოწადეობდა... ავათ გახდა და 8 ნოემბერს მიიცვალა. ოჯ, რა საცოდაობა იყო იმისის შვილებისა და აქ მყოფ ქართველთა—მამრთა და მდედრთა! ბატონიშვილები და ბატონის რძალი ქეთევან და სხვანი ქართველნი ყველანი სრულებით იქ ვახლდით. თქვენ წარმოიდგინეთ, რა ყამი შეუდგებოდათ იმის შვილებსა: ყოველი ჭირი გაუახლდათ. ძველმა და ახალმა იმათის მწუხარების ცეცხლმა აღგზნება დაიწყო და ჩვენც იმათის სიბრალულის ცეცხლით ვიწოდით. ...ნეკსკის მონასტერში დიდის დიდებით დავასაფლავეთ. გასვენებას დაესწრო თვით იმპერატორი ჯ დიდი ჯარი....“

ანტონი II, ქათალიკოზი. ანტონი ერეკლესძესაც სწამებდნენ განდგომილ ბატონიშვილების მომხრეობას. მისი დიდი მტერი იყო არსენი თბილელ მიტროპოლიტი. ანტონი გადასასახლეს რუსეთს (1811 წელს), საცა დაენიშნა ჯამაგირად 54,000 მან. იგი გარდაიცვალა 1827 წელს 21 დეკ. ნიჟნი-ნოვგოროდში და დასაფლავებულ იქმნა სკორბია-შჩენსკის სობოროში, საიდანაც მისი ნაშთი გადიტანეს ფერისცვალების საკათედრო ტაძარში, და დაკრძალეს (19 სექტ. 1841 წ.).

მწერალნი, ისტორიკოსნი, ბოეტნი ჯ მქადაგებელნი. წარსულ საუკუნის მიწურულსა ჯ მიმავალ საუკუნის დამდეგს კალმის კაცნი ფრიად ბევრნი იყვნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათნი ხელმძღვანელნი და მფარველნი იყვნენ თვითონ ეროვ. იმერთა მეფენი, რომელთაც დაუარსეს სტამბები თბილისს, ქუთაისს, სიხხერეს, წესს და სხ. ამ დროის მწერალნი იგვლეგდნენ არქეოლოგიას, ისტორიას; იძიებდნენ ქართულ ენის გრამატიკას; აღწერდნენ ერის შინაურ ცხოვრებას; აღგენდნენ სასელმძღვანელოებს საქმიმოს (კარაბადინი), სამხედროს; უცხო ენებიდგან სთარგმნიდნენ სხვა და სხვა წიგნებს—ჩერადოტეს, ბლუტარხს, ილიადას და სხ. ასე რომ მწერლობა ამ დროს მეტად გაცხოველებულიყო.

ამ მოღვაწეთაგან უფრო შესანიშნავნი არიან: გიორგი მეფის **მემკვიდრე დავითი** (აღესრულა პეტერბურგს 13 მაისს 1819 წ.), რომელმაც დაგვიტოვა რამდენიმე თხზულება და მათ შორის „საქართველოს ისტორია“. **თეიმურაზ** ბატონიშვილი (†25 ოქტ. 1846 წ.) დიდად განათლებული კაცი იყო. იგი ამორჩეულ იქმნა სამეცნიერო აკადემიის წევრად. მან დაგვიტოვა: «საქართველოს ისტორია» ძველი დროისა, „დავით ბატონიშვილის ომები“, „თბილისის აღება აღამაჰმადხანისაგან“; მცოდნე კაცები იყვნენ აგრეთვე ბატონიშვილები: **იულონ** (†23 აგვ. 1816 წ.), **ფარნაოზ** (†20 მარტს 1852 წ.), **ვახტანგ** (†23 ოქტ. 1814 წ.), **თეიმურ** და **ქეთევან** ბატონიშვილები (მათ მიერ დათხზული ლექსები იხ. ჩუბინაშვილის ქრესტომატიაში), **იოანე** და **ბაგრატ** გიორგი მეფის ძენი. ამათგან უკელაზე ჩინებული მწერალი იყო ეს იოანე. ამ იოანემ და **იოანა ხელაშვილმა** შეადგინეს დიდად შესანიშავი წიგნი „კალმასობა“, რომელშიაც მდებიო ენით მოთხრობილია (მოკლედ) ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოსოფია, ისტორია, არქეოლოგია, ლვთისმეტყველება, საქართველოს ზნე-ჩვეულებანი, ამ დროის ჭირ-ვარამი და სხ. „კალმასობაში“ ფრიად შესანიშნავია იონა ხელაშვილის ქადაგება წმ. ნინოს მონასტერში, ალავერდის სობოროში, ბასსი გარს. ჭავჭავაძესთან ლ სხ. იონამ დაგვიტოვა 42 თხზულება. იონე ბატონიშვილმა შეადგინა რუსულ-ქართული ლექსიკონი ექვს ნაწილად. ამ იონეს მდიდარი ბიბლიოტეკა მისმა შვილმა ივანემ უფრო გაადიდა. 1880 წ. ეს ბიბლიოტეკა გადაეცა პეტერბურგის „საერო ბიბლიოტეკას“.

გაიოზი ნაცვლიშვილი, თელავის სემინარიის რექტორი და შემდეგ ეშტარხანის მთავარ-ეპისკოპოსი (†1819 წ.). მისნი შრომანი: ა) ქართული გრამატიკა, ბ) საქართველოს ისტორია, გ) ქადაგებანი, დ) სამღვდელო ისტორია, ე) კვირიონის ისტორია, ვ) ძველთა სამეფოთ ისტორია, ზ) მარკ-ავრელია, ₩) ველიზარი, ი) კიტაის სიბრძნე, ია) ერმათ სასწავლო ჴაზრი და მრ. სხ.

დავით **რეკტორი** ალექსიძე, რომელმაც დაგვიტოვა ქადაგებანი, ლექსები და სხ. მას ჴქონდა ფრიად მდიდარი წიგნთ-საცავი და ძვირფასი ხელთ-ნაწერები.

ფანასკერტელ **ციციშვილი**, რომელმაც შეადგინა ვრცელი წერილი „ქართული ენის ლიტერატურისთვის“, მოთხრობა „ზნენი და ჩვეულებანი ქართველთა“ და სხ.

ჭაბუა **ყაფლანიშვილი**—ფილოსოფოსი, მოლექსე, მწერალი სამართალთა ლ საერთა წერილთა. ეგნატე **იოსელიანი**—კაცი განათლებული, მწერალი წიგნთა. **გარლამ** მიტროპოლიტი ერისთვისშვილი (შემდეგ ბირველი ეგზარხოსი) მქადაგებელი და მწერალი. **იოსტოს**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდრონიკაშვილი—კაცი ფილოსოფოსი; პეტრეს-რაძე (†1837 წ.), მოლექსე ჯ მწიგნობარი. დავით ჩოლაყაშვილი ნიჭიერი მწერალი და მოლექსე; ტრიფილე (†1808 წ.) დიდი მწიგნობარი; გერასიმე ანთაძე, მისი ძმა და შვილი გიორგი იყვნენ გურულნი. მათ ამერეთში შემოიტანეს იმერული კილოს გალობა. მზეჭაბუა ორბელიანი—კაცი რიტორი და ფილოსოფიის მცოდნე. გიორგი თუმანიშვილი, რომელმან ძველ ლექსთაგან შეადგინა კრებული „მრავალ ყვავილოვანი"; ოთარ ქობულოვი მოლექსე; სასთნავა იყო გამოჩენილი მწერალი და მომღერალი; მღვდ. ქრისტ. კეკერაშვილი, მოგზაური ბაბილონს, ეგვიპტეს, როდოსს, იერუსალიმს, ეფესოს და სხ., კაცი დიდად განათლებული და სტამბის საქმის მცოდნე (იხ. ზემოთ).

ბესიკ გაბაშვილი იყო დიდი პოეტი. ბრალს ამბობს: „ბესიკის სტირა ბასრია, ვითარცა შუბის წვერი, მისი რომანსები სინაზითა და გრძნობით სავსეა". ბესიკი აღესრულა 1799 წ.

სოლომონ ლიონიძე, მსაჯული ერეკლე მეფის დროისა. ლიონიძე ფრიად განათლებული კაცი იყო, დიდად მჭევრ-მეტყველი მწერალი და პოეტი. გიორგი მეფე რომ მიიცვალა, ლიონიძე მიემხრო დავით ბატონიშვილს და მოინდომა მისი გამეფება, მაგრამ მთავრობამ იგი დაუპატიმრა. მერე თავისუფლება რომ მიეცა, გადავიდა იმერეთს, სადაც სოლომონ მეფემ უბრძანა მამული ჯ დანიშნა მსაჯულთ-უხუცესად და კანცლერად.

ომან ხერხეულიძე მდივანბეგი, ავტორი „ერეკლეს ისტორიისა" და პაპუნა ორბელიანი, ავტორი «ქართ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ცხოვრებისა» (1739 წ. 1758 წლამდე). ბაბუასმიერ შედგენილი ისტორია გადუწერია სარების საუდრის დეკანოზის ძეს დავითს20ა გვ. 1773 წ. ომან მდივანბეგის ისტორია იწყობა 1722 წლიდგან და თავდება 1780 წლით. დასასრულს ომანი ამბობს: «ღვაწლნი ჯ შრომანი მეფის ირაკლისანი არა ადვილ შესაძლებელ იყო აღწერად, არამედ რავდენ ძალ-მედვა სმენითა და მესხიერებითა, სარწმუნოთა კაცთაგან ცნობით აღვსწერე». ომანი გარდაიცვალა 1805 წ.

ამბროსი ნეკრესელი დიდად განათლებული კაცი იყო. სწავლა მიეღო ბესარიონ ქართლიკოზისაგან, რომელიც იყო კაცი ფილოსოფოსი, და აგრეთვე ქართლიკოზ ნიკოლოზისაგან. 1781 წელს იგი დაადგინეს ნეკრესის ეპისკოპოსად. ამის წინად კი იგი ეპისკოპოსობდა ჯერ მანგლისსა და მერე წილკანს. ამბროსი დიდად მჭევრმეტყველი მქადაგებელი იყო. რადგან მას ეჭირა ლეკების მოძიჯნავე ეპარქია, ამიტომ მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ ქართველები გაემხნევა. იგი თავის სამწყსოს ამას ეუბნებოდა: „ვითარცა ქრისტეს უყვარდა ერი და მოყვასნი, ისრე შეეიყვარეთ ჩვენი ქართველობა და დავიცვათ იგი“. ამბროსიმ დაგვიტოვა მრავალი ქადაგება. იგი გარდაიცვალა 1808 წ.

ნიკოლოზ დადიანი იყო ღრმად მცოდნე ქართულის ენისა. მან შეადგინა ისტორია, რომელსაც ჰქვიან „ქართლის ცხოვრება“. ეს ისტორია უმეტესად შეეხება იმერთა ცხოვრებას და სრულდება 1823 წ. ნიკოლოზი რასაც მოგვითხრობს 1784 წლითგან ან თვითონ უხილავს და ან გაუგონია სარწმუნო პირთაგან. ბუტკო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვის ისტორია და „არქეოლოგიურ აკტების“ ტომები სრულად მოწმობენ ნიკოლოზის-მიერ მოთხრობილ ამბების სიხამდვილეს.

ივანე გეგეჭკორი, პოეტი. მას 1836 წ. გამოუცემია ლექსად „რუსის ბრძოლა“ და ამბობს, რომ ამ ბრძოლაში შეოვაშიეებს ჰყოვნდათ 40,000-მდე მეომარი.

—

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, იმპერატორმა **ალექსანდრე კურთხეულმა** გამოსცა **მანიფესტი** (12 სექტ. 1801 წ.), რომლითაც, სხვათა შორის, უცხადებდა თვის ასალქვეშეგრდომთ: ...„ძალმან გარემოებათა ამათ ზოგად ამის ძალით გრძნობამან თქვენმან, ჯ ხმამან საქართველოისა ერისამან, მოგვზიდნეს ჩვენ არა დაუტოვთ და არა მივსცეთ მსხვერპლად განსაცდელისა ენა ერთმორწმუნეთა, მომტეტელთა სვედრისა თვისისა დიდსულისა რუსეთის საფარველისადმი... უკანასკნელად, რათა სცნათ თქვენ ფასი კეთილად მმართებლობისა, რათა დაეშენოს შორის თქვენსა მშვიდობა, მართლ-მსაჯულება, რწმენება, ვითარცა ნივთთა, ესრეთვე საქონლისაცა, რათა მოისპოს თვით-მმართებლობაი, (самоуправство) და მხედრებრივი უთანხმობა, რათა იქცეოდეს თვითოეული უმჯობესთა საგებელთა თვისთა და საზოგადოებისადმი თავისუფლად დაუბრკოლებლად, შრომის-მოყვარებდეს მიწისა მუშაკობისა, განზრახვათა ვაჭრობისათა და ხელთასაქმეთა, შინა საგრილსა ქვეშე სჯულთა ყოველთა თანასწორ მფარველთასა. ნაშთი და კეთილ-დღეობა თქვენი იქმნების მხოლოდ ჯილდო ჩვენთვის. მიეცა საყდრისანსა ქალაქსა მოსკოვს სექტ. იბ დღესა, ჩყა წელსა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მანიფესტი თბილისში გამოცხადებულ იქმნა 12 აპრ. 1802 წელს. ამის შემდეგ ქართველთა ცხოვრება დაადგა ასალს გზას, ახალს ცხოვრებას. საქართველოში დაწესდა ახალი მმართველობა—ამერეთ-იმერეთ-გუბერნია, საექსარხოსო (1811 წ. 30 ივნ.), საოსტატო, თუალის საჭრელი ზარაფხანა (1802 წ. 21 აგვ.), ფოსტის უწყება (1804 წ. 19 აპრ.), თავად-აზნაურთა კრება (1803 წ. 4 ივნ.), რომელმაც თავის წინამძღოლად ამოირჩია გარს. ჭავჭავაძე; თბილისში დაარსდა გეოლოგიბილთა სასწავლებელი (1803 წ. 25 ივლ.) ⁊ სასულიერო სემინარია (1 ოქტ. 1817 წ.). საქართველოს თავად-აზნაურნი გათანასწორებულ იქმნენ რუსეთის თავად-აზნაურობასთან (1827 წ. 25 თებ.). განთავისუფლებულ იქმნენ ყმები—ამერეთ-იმერეთში (1864 წელს 8 ნოემ.), სამეგრელოში (1866 წ. 1 დეკ.).

ამავე დროს საქართველოში დაიბადნენ შესანიშნავნი მოღვაწენი—დიდნი პოეტნი ალ. ჭავჭავაძე, ნიკ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, რომელმაც 1851 წ. დაარსა ქართული თეატრი ⁊ გამოსცა გაზეთი «ცისკარი»; მწერალნი—სოლომონ დოდაშვილი, აკადემიკი „ლოლიკისა“ და 1832 წლითგან რედაქტორი გაზ. „თბილისის უწყებანისა“ (ამის უწინარეს იბეჭდებოდა სხვა გაზეთი—„ქართული გაზეთი“, სოლო შემდეგ «გუონის დედა» (1860 წ.), «საქართველოს მოამბე» (1863 წ.), „დროება“ (1866 წ.), „მნათობი“ (1869 წ.), „სასოფლო გაზეთი“ (1869 წ.), ყურნ. „კრებული“ (1871 წ.) და სხ.), პლ. იოსელიანი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი, არქეოლოგი; დ. ბაქრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი (†1853 წ.), რომელიც იყო დიდად განათლებული კაცი და შემგრებელი ქართულ წიგნებისა და ხელნაწერებისა; ჩუბინაშვილმა დაბეჭდა ქართლის ცხოვრება, ქართული ვრცელი ლექსიკონი და სხ.

—

დამკვიდრდა-რა რუსის მხედრობა საქართველოში, შეეცადა დაეპყრო ადერბეჟანი, დაღისტანი, ჩერქეზ-ჩაჩანი, საათაბაგო ჯ ანჯარა-ოლთისი.

გიორგი მეფემ ამერეთთან ერთად რუსეთს გადასცა აგრეთვე საქართველოს კუთვნილი სახანოები ერევნისა, განჯისა და ყაზახ-ბორჩალოსი. მაგრამ ამ ხანებმა არ მოინდომეს რუსეთის ხელმწიფის ქვეშევრდომობა. ამიტომაც ასტეხა ომი სპარსეთთან, რომელიც ხსენებულ სახანოებსა და მთელს ადერბეჟანს და საქართველოს თავისად სთვლიდა. ეს ომი დასრულდა სპარსთა დამარცხებით. გულისტანში შეკრულ [illegible] 1813 წ.) მიხედვით ყაენმა სამუდამ[illegible] სის იმპერატორს ყარაბალი, განჯა, შაქი (ნუსი), შირვანი, დარუბანდი, უუბა, ბაქო, თალიში, შურაგელი, ამერეთ-იმერეთი. ჯარ-ბელაქანი დაპყრობილ იქმნა 1803 9 მარტს.

სოლომონ მეფე რომ მიემხრო ოსმალებს, რუსეთის მთავრობამ იწყინა ჯ ოსმალეთს შეუსია თვისი მხედრობა. ეს ომი დასრულდა ადრიანოპოლის ტრაქტატით (1829 წ. 2 სექტენ.). ამ ზავის მიხედვით რუსეთს დარჩა ს[illegible], ფოთი, ახალციხე, აწყური[illegible] სელიდლეკეთი. ლეკებთან ბრძოლას რუს[illegible] ჩაი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ნაკლებ. წინა დროს ლეკეთი ერთ სამთავროს ან წარმოადგენდა. იგი დაყოფილი იყო სხვა და სხვა მფლობელებს შორის. მაგრამ მიმაკვალ საუკუნის დამდეგიდგან ნელ-ნელა მთელს დაღისტანზე გავრცელდა ერთად ერთი უზენაესი უფლება „იმამისა“. დამაარსებელნი ამ უფლებისა იყვნენ: ჭამზათ-ბეგი, ყაზი-მოლა და შამილი. ჭამზათ-ბეგი დაიბადა 1789 წ. 1801 წელს მან დაასრულა სწავლა ადგილობრივ სკოლაში. ამ დროს გამოჩნდა ახალი მოძღვარი „თარიყათისა“ (ღვთისთვის თავდადება). მას მიემხრო ჭამზათ-ბეგი. ამათ გამოაცხადეს „ყაზავაი“ (ომი ქრისტიანებთან). ანდია და ავარია, გარდა ხუნძახისა, დაემორჩილნენ მათ. ჭამზათ ბეგი მიიწვიეს ჭარელებმა, რომელნიც აუჯანყდნენ რუსებს. რუსის მხედრობა შეკიდა ჭარ-ბელაქანში. ამასობაში დაზამთრდა და დაღისტნის გზები შეიკრა. ჭამზათ-ბეგი მოემწყვდია რუსთა ჯარისა და კავკასიონის მთებ შორის. იგი მოცა რუსებს, რომლებმაც თბილისს მოიყვანეს. რუსებს ერთგულობა შეჰფიცა ლ დაღისტანს წავიდა. იქ შეჰკრიბა ჯარი და ისევ ჭარს გადმოვიდა და ზაქათალას ალყა შემოარტყა. მაგრამ აქ ვერა გაუწყო რა და დაბრუნდა. ყაზი-მოლასა და ჭამზათ-ბეგს მიემხრო აგრეთვე შამილი (დაიბადა 1799 წ.). იგი ყაზი-მოლას მოწაფე იყო. 1829 წ. ყაზი-მოლამ შემოიკრიბა 15,000 მეომარი და მიუსტა ხუნძახს, რომელსაც რუსების ქვეშევრდომობა მიეღო. აქაურ სანის ქვრივმა ბახუ-ბიქამ დაამარცხა მოწინააღმდეგენი. ყაზი-მოლა არ შეშინდა. მიუსტა შამხალის სატახტო ქალაქს და დაარბია, აქედგან წავიდა და შემოერტყა ბურნაიას, მერე კნეზაპნოს, დაამარცხა ლენერა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი ემანუელი, და ალეა შემოარტეა დარუბანდს, ძალვერ აიღო. გაეცალა დარუბანდს, მიჭეერინდა ყიზლარს, დაარბია, დასწვა და დაბრუნდა ღიმრას (1832 წ.). რუსის ჯარი მიიეკანა როზენმა, ღიმრი აიღო და ყაზიმოლა მოჭკლა. იმამად ამოირჩიეს ჭამზათ-ბეგი, რომელმაც ამოსწეიტა ანუ დაამდაბლა ლეკთა ურჩი დიდკაცობა და მიუსტა ხუნძახს. ბიხუ-ბიქას შერიგება უნდოდა. ჭამზათ-ბეგმა აიღო ხუნძახი, მოჭკლა ბიხუ-ბიქაცა და მრ. სხვანი. მაგრამ ჭაჯი-მურადმა ეღალატა ჭამზათ-ბეგს და მოჭკლა. ხუნძახსა და ავარიის უფროსად შეიქმნა ჭაჯი-მურადი და 1837 წლითგან ბოლოკანიკი აჭმად-ხან. დაღისტნელი იმამად გამოაცხადეს შამილი.

1837 წ. რუსებმა გაამაგრეს ხუნძახი და აქედგან თემურ-ხან-შურამდე გაიეკანეს გზა. შამილი ტილიტლს იეო და იწვევდა ლეკებს რუსებთან საბრძოლველად. რუსის ჯარი ტილიტლს რომ მიუახლოვდა, იგი გაიქცა ახულგოს, აქედგან შატოს. მას მიემხრნენ ჩაჩანნი. შამილი გამაგრდა დარღოს, რომელსაც ერტეა იჩკერიის შეუკალი ტეეები. თვისი ქვეყანა შამილმა გაჭეო რამდენიმე სანაიბოდ, ჯარში საამსახური ეველა ლეკისთვის საკალდებულოდ გამოაცხადა. ეოველ მეომარს დაუკალა ჭქონოდა თოფი, ხმალი, დამბაჩა, ხანჯალი, მდიდრებს ცხენიც. თავისთან ამალად დაადგინა 600 მურიდი (მოწაფე). შამილი იეო გამჭრიახი ჭკეის კაცი, მოსამართლე განთქმული, მხნე და გამბედავი. მალე მან დაიმორჩილა თითქმის მთელი დაღისტანი, რომელიც გულსრულად უეკარდა. იგი ამბობდა ხოლმე: «მე ვერ შეკედრები დიდ სელმწიფეებს, მე უბრალო ლეკი შამილი ვარ, მაგრამ ჩემი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნის ტალახი, ჩემი ტყეები და ხეობანი ღონეს მაძლევენ ვიყო უძლიერესი ძლიერ ხელმწიფეთა. ჩემი ცუდი გზები და ტყენი ისე მიყვარს, რომ, თუ შესაძლებელი ყოფილიყო, ყოველ ხეს ჩემის ტყეებისას ლამაზად მოვრთავდი, გზების ტალახს სურნელოვან თაფლს წავსცხებდი».

1843 წელს შამილს გამოუგზავნეს ჩაჩნელებმა ელჩები მოსახსენებლად, რომ იგინი აპირობენ რუსებს გადაეცნენ. ელჩები შამილის წინაშე შიშით ვერ წარსდგნენ და მიუგზავნეს იმამისავე მოხუცი დედა. შამილმა დედას მოახსენა, რომ პასუხს ვერას გეტყვი, ვიდრე ალლახს არ დავეკითხებიო. შამილმა დარღოელები მოიწვია და თვითონ შეევიდა მეჩითში. სამ დღე-ღამეს ილოცა შამილმა, მერე გამოვიდა და პირქვე დამხობილ დარღოელებსა და ჩაჩნელებს გამოუცხადა: „წინასწარმეტყველმა მცნობა: ასი მათრახი გაერტყას მას, რომელმაც პირველად გაუწყა რუსების მორჩილების ამბავი. კაგლახ მე, კაი მე! იგი იყო დედა ჩემი! ალსრულდესცა უზენაესი ნება წინასწარმეტყველისა!“ შამილის დედა გააწვინეს და გამათრახეს. მეხუთე გარტყმაზე დედაკაცს გული წაუვიდა. შამილმა იგი წამოაყენა და თვითონ დაწვა მის მაგიერ. მემათრახეს უბრძანა ღონიერად დაერტყა მისთვის დანარჩენი 95 მათრახიც. ნაცემი იმამი ლომივით წამოვარდა ზეზე და შეძრწუნებულ ელჩებს მრისხანედ უთხრა: «წადით და ყოველივე აუწყეთ ჩაჩნელებსო.»

ამ ამბავმა დიდად იმოქმედა მთიელებზე. იგინი შემოიკრიბნენ იმამის გარეშემო. შამილმა აიღო უნტუგული, ტატანიხი და გასწყვიტა რუსის ჯარი. აიღო აგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეოკე მოქრილი, გერგებილი და სამი თვის განმავლობაში (1843 წ.) რუსები განაძევა მთელი დაღისტნიდან.

1844 წელს საქართველოს ნამესტნიკად დაინიშნა ვორონცოვი. ამან შამილის შესაჩერებლად საჭიროდ დაინახა დაღისტნის ტუები გაეკეთებინათ, გაეკეთებინათ კარგი გზები, აეშენებინათ სიმაგრეები და ნელ-ნელა დაახლოებოდნენ დაღისტანის შუაგულს. შამილსაც არ ეძინა. იგიც ამაგრებდა თავის ქვეყანას და იმრავლებდა ჯარს. 1854 წელს შამილი ვედენოდგან საქართველოსკენ წამოვიდა. ფოხალის კოშკს რომ მოაწია, კახეთში ჩამოგზავნა ძრიელი რაზმი. ლეკებმა აიკლეს კახეთის სოფლები, დაარბიეს წინანდალი და დაატყვევეს მრავალი ქართველი, მათ შორის ჭავჭავაძეს ცოლ-შვილიც. და წავიდნენ წინაშე შაშილისა. იმამმა დიდის პატივით მიიღო ქართველთა ტყვენი, მეტადრე ჭავჭავაძის მეუღლე ანნა, რომელიც იყო გიორგი მეფის შვილის-შვილი.

1858 წელს მთელი დაღისტანი უკვე შემორტყმული იყო რუსების ციხე-სიმაგრეებით. ფართო გზები აერთებდა ამ ციხე-სიმაგრეებს. მთავარმართებელი ბარიათინსკი შემოერტყა შამილს ყოველის მხრივ. რუსებმა აიღეს შამილის უმთავრესი სიმაგრე ვედენო. იმამი გამაგრდა გუნიბს. ბარიათინსკის ჯარი შემოესვია ამ შაქრის თავის მსგავსად აღზიდულ მთას. შამილმა იბრძოლა ბევრი, მაგრამ ველარას გახდა. 25 აგვ. 1859 წ. იგი გამოეცხადა ბარიათინსკის. „ლომი დაღისტნისა“ პატივით მიიღო ბარიათინსკიმ და წარგზავნა რუსეთს. იგი კალუგას დაუბინავეს. ბოლოს შამილს ნება მისცეს წასულიყო მეჩქას, სადაც იგი აღესრულა..

ეროვნული ბიბლიოთეკა

1859 წლის შემდეგ რუსებს დაემორჩილნენ ჩერქეზნი, ბუჟედუხნი, ნატუხაველნი და მთელი კავკასიონის ერნი.

ბერლინის ტრაქტატით (1879 წ.) რუსეთს შემოუერთდა ყარსისა და ბათუმის ოლქები. ამნაირად ისევ გაერთიანდა ძველი საქართველო, რომლის დასავლეთის მიჯნა, თამარ დედოფლის დროს, იყო ტრაპიზუნტი და აღმოსავლეთისა—დარუბანდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

«საქართველოს ისტორიის» პირველი გამოცემის შესახებ დადგენილობა:

Опредѣленіемъ Особаго Отдѣла Учебнаго Комитета Министерства Народнаго Просвѣщенія, утвержденнымъ г. Товарищемъ Министра, нижеслѣдующее изданіе одобрено для учебныхъ заведеній, въ которыхъ преподается грузинскій языкъ: «Краткая исторія Грузіи», сост. Моисей Джанашвили. Тифлисъ, 1884 г. (Циркуляръ г. Попечителя Кавк. Уч. Окр. 1886 г., №1)

[illegible]